In 2014-2016, prof. T. Chilachava offered nonlinear mathematical models of bilateral and two-dimensional assimilation. He conducted this research together with his discipline doctor M. Chakaberia (Chilachava, 2014, Chilachava, Chakaberia, 2014, 2015, 2016).

The dynamics of innovative processes are one of the promising and fast developing techniques of using mathematical modeling.

In 2016-2017, prof. T. Chilachava offered the new models of social events, namely: the models of fundamental researches, applied researches, experimental-design works, innovative projects interaction processes, two and three stages of scientists training, Universities Competition Processes. He conducted this research with this PhD student T. Gvinjilia (Chilachava, Gvindjilia, 2016, 2017a, 2017b, 2017c, 2017d).

In 2005, Mathematicians Robert Aumann and Thomas Schelling won the Nobel Prize in Economics for the scientific work cycle **"Understanding of the problems of the conflict and cooperation through the game theory".**

At the awarding lecture, on December 8, **Robert Aumann** pointed out that "Wars and other conflicts are among the main sources of human misery. So it is appropriate to devote this lecture to one of the most pressing and profound issues that confront humanity: that of War and Peace".

Regarding to the conflict between Israel and Palestine, the "repeated game" principle presents another important methodological aspect of mathematical modeling (game theory). According to this principle: **the long-term relationship of subjects in competition can generate cooperation between them, for which, there can not be found a sufficient basis in case of one time relationship (contact). In other words, long-term relationship generates common interests and preconditions for cooperation.**

At the awarding lecture, **Thomas Schelling** noted: **"The most spectacular event of the past half century is one that did not occur. We have enjoyed sixty years without nuclear weapons exploded in anger".**

Lee Kuan Yew, author of the Singaporean **"Economic Miracle",** noted: **"If you want economic growth, do not break out the war with neighbors, establish trade relations with them, instead".**

Considering the existing conflict regions in Georgia, we consider this kind of mathematical models are very perspective and innovative, including computer simulation that can determine conditions (dependence between model parameters) for which conflict can be solved.

Prof. T. Chilachava proposed to create new nonlinear mathematical models of economic cooperation between two politically (not martial) inter conflicting parties (possible states or country and its legal entities), which envisages economic or other type of cooperation between the part of population of the parties, direction towards the rapprochement of the parties and the peaceful resolution of the conflict (Chilachava, 2018). He conducted this research with his PhD student **George Pochkhua** (Chilachava, Pochkhua, 2018a, 2018b, 2019a, 2019b).

1. Mathematical model describing of settlement of the bilateral conflict by means of economic cooperation

The new nonlinear mathematical model (the dynamic system) of economic cooperation between two warring sides offered by us has an appearance:

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = -\alpha_1(t)(a - N_1(t))(b - N_2(t)) + \beta_1(t)N_1(t)N_2(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = -\alpha_2(t)(a - N_1(t))(b - N_2(t)) + \beta_2(t)N_1(t)N_2(t) \end{cases} \tag{1.1}$$

$$N_1(0) = N_{10},\ N_2(0) = N_{20}, \tag{1.2}$$

where $N_1(t)$ – number of the citizens of the first side in time-point t, wishing or already being in economic cooperation and inclined to the subsequent peaceful resolution of the conflict, $N_2(t)$ – number of the citizens of the second side

in time-point t, wishing or already being in economic cooperation and inclined to the subsequent peaceful resolution of the conflict, $\alpha_1(t)$, $\alpha_2(t)$ – coefficients of aggression (alienation) of the sides, $\beta_1(t)$, $\beta_2(t)$ – coefficients of cooperation of the sides, a, b – the population according to the first and second sides which in model are assumed invariable (zero demographic factor), $N_1, N_2 \in C^1[O,T]$, T – time-point of resolution of conflict.

We assume that rather weak and strong conditions of resolution of conflict are:

$$\begin{cases} \frac{a}{2} < N_1(t) \le a \\ \frac{b}{2} < N_2(t) \le b \end{cases} \quad \begin{cases} \frac{2a}{3} \le N_1(t) \le a \\ \frac{2b}{3} \le N_2(t) \le b \end{cases} . \; t \ge t_* \qquad (1.3)$$

Let's consider a special case of constant coefficients of model.

$$\alpha_i(t) = \alpha_i = const > 0, \; \beta_i(t) = \beta_i = const > 0, \quad i = 1,2 \qquad (1.4)$$

The system of the nonlinear differential equations (1.1), in case of (1.4) has the following stationary (special) points: $M_1(a;0)$, which when performing inequality $\alpha_1\beta_2 - \alpha_2\beta_1 > 0$ is unstable knot, and when performing opposite inequality $\alpha_1\beta_2 - \alpha_2\beta_1 < 0$ – a hyperbolic saddle; $M_2(0;b)$ – when performing inequality $\alpha_1\beta_2 - \alpha_2\beta_1 < 0$ is unstable knot, and when performing opposite inequality $\alpha_2\beta_1 - \alpha_1\beta_2 < 0$ – hyperbolic saddle.

When performing equality $\alpha_1\beta_2 - \alpha_2\beta_1 = 0$ in the first quarter of the phase plane of solutions we will receive a curve which each point is special point

$$M_3\left(q; \frac{\alpha_1 b(a-q)}{\beta_1 q + \alpha_1(a-q)}\right), \; 0 < q < a \qquad (1.5)$$

Let's assume that the ratio takes place

$$\alpha_1\beta_2 - \alpha_2\beta_1 = 0, \; \frac{\alpha_1}{\beta_1} = \frac{\alpha_2}{\beta_2} = p \qquad (1.6)$$

For various values p the following exact analytical solutions are received:

1. $p = 1$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -a\left[\beta_1(b - N_{20}) + \beta_2 N_{10}\right] + (\beta_1 b + \beta_2 a)N_1(t), \; N_1(0) = N_{10}$$

$$N_1(t) = \frac{1}{\beta_1 b + \beta_2 a}\left\{\beta_1(bN_{10} + aN_{20} - ab)\exp\left[(\beta_1 b + \beta_2 a)t\right] + a(\beta_1 b - \beta_1 N_{20} + \beta_2 N_{10})\right\} \qquad (1.7)$$

$$N_2(t) = N_{20} + \frac{\beta_2}{\beta_1}(N_1(t) - N_{10})$$

The analysis of the exact solution (1.7), shows that the necessary condition of resolution of conflict has an appearance

$$bN_{10} + aN_{20} > ab \tag{1.8}$$

2. $p \neq 1$ (1.9)

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -pa[\beta_1(b - N_{20}) + \beta_2 N_{10}] + [\beta_1 pb + \beta_2 pa + \beta_1(1-p)N_{20} - (1-p)\beta_2 N_{10}]N_1 + (1-p)\beta_2 N_1^2,$$

$$N_1(0) = N_{10}$$

2.1 $p > 1$

$$\delta^2 \equiv pa[\beta_2 N_{10} + (b - N_{20})\beta_1], \qquad \varepsilon \equiv \beta_1 pb + \beta_2 pa - \beta_1(p-1)N_{20} + (p-1)\beta_2 N_{10} > 0$$

a) $\varepsilon^2 = 4\delta^2(p-1)\beta_2$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -(p-1)\beta_2\left[N_1 - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2}\right]^2 < 0 \tag{1.10}$$

$$N_1(t) = \frac{N_{10} + \frac{\varepsilon}{2}[N_{10} - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2}]t}{[(p-1)\beta_2 N_{10} - \frac{\varepsilon}{2}]t + 1} \tag{1.11}$$

In this case (1.10), (1.11) resolution of conflict is impossible.

b) $\varepsilon^2 < 4\delta^2(p-1)\beta_2$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -(p-1)\beta_2\left\{\left[N_1 - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2}\right]^2 + \frac{4\delta^2(p-1)\beta_2 - \varepsilon^2}{4(p-1)^2\beta_2^2}\right\} < 0 \tag{1.12}$$

$$N_1(t) = \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2} + q\frac{N_{10} - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2} - q\tan((p-1)q\beta_2 t)}{q + (N_{10} - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2})\tan((p-1)q\beta_2 t)} \tag{1.13}$$

In this case (1.12), (1.13) resolution of conflict is impossible

c) $\varepsilon^2 > 4\delta^2(p-1)\beta_2$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -(p-1)\beta_2\left\{\left[N_1 - \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2}\right]^2 - \frac{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}{4(p-1)^2\beta_2^2}\right\}$$

$$N_{11} = \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2} - \frac{\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}}{2(p-1)\beta_2} > 0$$

$$N_{12} = \frac{\varepsilon}{2(p-1)\beta_2} + \frac{\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}}{2(p-1)\beta_2} > 0, \qquad N_{12} > N_{11}$$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -(p-1)\beta_2.(N_1 - N_{12})(N_1 - N_{11})$$

$$N_1(t) = \frac{N_{12}(N_{10} - N_{11}) + N_{11}(N_{12} - N_{10})\exp\{-t\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}\}}{N_{10} - N_{11} + (N_{12} - N_{10})\exp\{-t\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}\}} \tag{1.14}$$

If

$$N_{11} < N_{10} < N_{12}$$

then

$$\frac{dN_1(t)}{dt} = -(p-1)\beta_2.(N_1 - N_{12})(N_1 - N_{11}) > 0$$

$$\lim_{t\to\infty} N_1(t) = N_{12} \tag{1.15}$$

$$\lim_{t\to\infty} N_2(t) = N_{20} + \frac{\beta_2}{\beta_1}(N_{12} - N_{10}) \tag{1.16}$$

The analysis of the exact solution (1.15), (1.16) shows that the necessary condition of resolution of conflict has an appearance

$$N_1(t_*) = \frac{a}{2},\ t_* = \frac{1}{\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}} \ln\left[\frac{\frac{a}{2} - N_{11}}{N_{12} - \frac{a}{2}} \frac{N_{12} - N_{10}}{N_{10} - N_{11}}\right] \quad (1.17)$$

$$N_1(t) > \frac{a}{2},\ t > t_*$$

$$N_2(t_{**}) = \frac{b}{2},\ t_{**} = \frac{1}{\sqrt{\varepsilon^2 - 4\delta^2(p-1)\beta_2}} \ln\left[\frac{s - N_{11}}{N_{12} - s} \frac{N_{12} - N_{10}}{N_{10} - N_{11}}\right] \quad (1.18)$$

$$s = \frac{\beta_1}{\beta_2}\left(\frac{b}{2} - N_{20}\right) + N_{10}$$

$$N_2(t) > \frac{b}{2},\ t > t_{**}$$

3. $p < 1$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = (1-p)\beta_2 \left\{\left[N_1 + \frac{\varepsilon}{2(1-p)\beta_2}\right]^2 - \frac{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}{4(p-1)^2\beta_2^2}\right\} \quad (1.18)$$

$$N_1(t) = \frac{N_{13}(N_{10} - N_{14}) - N_{14}(N_{10} - N_{13})\exp\{t\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}\}}{N_{10} - N_{14} - (N_{10} - N_{13})\exp\{t\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}\}} \quad (1.19)$$

$$N_2(t) = N_{20} + \frac{\beta_2}{\beta_1}(N_1(t) - N_{10})$$

$$N_{13} = -\frac{\varepsilon}{2(1-p)\beta_2} + \frac{\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}}{2(1-p)\beta_2} > 0 \quad (1.20)$$

$$N_{14} = -\frac{\varepsilon}{2(1-p)\beta_2} - \frac{\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}}{2(1-p)\beta_2} < 0$$

$$\frac{dN_1(t)}{dt} = (1-p)\beta_2 .(N_1 - N_{13})(N_1 - N_{14}) \quad (1.21)$$

The analysis of the exact solution (1.19), shows that the necessary condition of resolution of conflict has an appearance

$$0 < p < \frac{N_{10}N_{20}}{(a-N_{10})(b-N_{20})} \quad (1.22)$$

$$N_1(t_{***}) = \frac{a}{2},\ t_{***} = \frac{1}{\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}} \ln\left[\frac{\frac{a}{2}-N_{11}}{\frac{a}{2}-N_{12}}\frac{N_{10}-N_{12}}{N_{10}-N_{11}}\right] \quad (1.23)$$

$$N_1(t) > \frac{a}{2},\ t > t_{***}$$

$$N_2(t_{****}) = \frac{b}{2},\ t_{****} = \frac{1}{\sqrt{\varepsilon^2 + 4\delta^2(1-p)\beta_2}} \ln\left[\frac{s-N_{11}}{s-N_{12}}\frac{N_{10}-N_{12}}{N_{10}-N_{11}}\right] \quad (1.24)$$

$$s = \frac{\beta_1}{\beta_2}\left(\frac{b}{2}-N_{20}\right) + N_{10}$$

$$N_2(t) > \frac{b}{2},\ t > t_{****}$$

2. The mathematical model describing settlement of the bilateral conflict by means of economic cooperation at contribution of the governments both and external side

In this case the new mathematical model (a dynamic system) has the following appearance

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = -\alpha_1(t)(a-N_1(t))(b-N_2(t)) + \beta_1(t)N_1(t)N_2(t) + \gamma_1(t)(a-N_1(t)) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = -\alpha_2(t)(a-N_1(t))(b-N_2(t)) + \beta_2(t)N_1(t)N_2(t) + \gamma_2(t)(b-N_2(t)) \end{cases} \quad (2.1)$$

$\gamma_1(t)$, $\gamma_2(t)$ – appeal coefficients to peaceful economic cooperation of the sides of the third external side (coercion coefficients to cooperation).

Let's consider a special case

$$\begin{cases} \alpha_1 = \alpha_2 = \beta_1 = \beta_2 = \alpha \\ \\ \gamma_1 = \gamma_2 = \gamma \end{cases}$$

at which exact solution (2.1), (1.2) has an appearance

$$N_1(t) = \left[\frac{aN_{20} + bN_{10}}{a+b} + \frac{ab}{a+b}\cdot\frac{2\gamma - \alpha(a+b)}{\alpha(a+b)-\gamma}\right]e^{\lambda_1 t} + \frac{a}{a+b}\left(N_{10} - N_{20} + b - a\right)e^{-\gamma t} + \frac{a(a\alpha-\gamma)}{\alpha(a+b)-\gamma}$$

$$N_2(t) = \frac{\dot{N}_1(t) + (\alpha b - \gamma)(a - N_1(t))}{\alpha_1 a},\ \lambda_1 = \alpha(a+b) - \gamma, \tag{2.2}$$

Let's consider a special case

$$\alpha_1 = \beta_1,\ \alpha_2 = \beta_2,\ \gamma_1 = \gamma_2 = \gamma \tag{2.3}$$

at which exact solution (2.1), (1.2) has an appearance

$$N_1(t) = \alpha_1\left[\frac{aN_{20} + bN_{10}}{\alpha_1 b + \alpha_2 a} + \frac{ab}{\alpha_1 b + \alpha_2 a}\cdot\frac{(2\gamma - \alpha_2 a - \alpha_1 b)}{\alpha_2 a + \alpha_1 b - \gamma}\right]e^{(\alpha_1 b + \alpha_2 a\ -\gamma)t} +$$

$$+\frac{a}{\alpha_1 b + \alpha_2 a}\left(\alpha_2 N_{10} - \alpha_1 N_{20} + \alpha_1 b - \alpha_2 a\right)e^{-\gamma t} + \frac{a(a\alpha_2 - \gamma)}{\alpha_2 a + \alpha_1 b - \gamma},$$

$$\alpha_1 b + \alpha_2 a - \gamma \neq 0 \tag{2.4}$$

$$N_2(t) = \frac{\dot{N}_1(t) + (\alpha b - \gamma)(a - N_1(t))}{\alpha_1 a},$$

and when

$$\alpha_1 b + \alpha_2 a - \gamma = 0,$$

$$N_1(t) = \frac{a(a\alpha_2 - b\alpha_1) + \alpha_1 bN_{10} + \alpha_1 aN_{20}}{\gamma} - \frac{a(a\alpha_2 - b\alpha_1) + (\alpha_1 b - \gamma)N_{10} + \alpha_1 aN_{20}}{\gamma}e^{-\gamma t} + a(\gamma - a\alpha_2)t \tag{2.5}$$

$$N_2(t) = \frac{ab(-a\alpha_2 + b\alpha_1) + (\gamma - \alpha_1 b)(bN_{10} + aN_{20})}{a\gamma} + \frac{\left[a(a\alpha_2 - b\alpha_1) + (\alpha_1 b - \gamma)N_{10} + \alpha_1 aN_{20}\right]b}{\gamma a}e^{-\gamma t} +$$

$$+\frac{(\gamma - b\alpha_1)(\gamma - a\alpha_2)}{\alpha_1}t$$

Let's consider a special case

$$k\alpha_1 = \beta_1,\ k\alpha_2 = \beta_2,\ \gamma_1 = \gamma_2 = \gamma \qquad k \neq 1 \tag{2.6}$$

In case of (2.6), the first integral (2.1), (1.2) has the following appearance

$$\frac{N_1(t)}{\alpha_1}-\frac{N_2(t)}{\alpha_2}=\left(\frac{N_{10}-a}{\alpha_1}-\frac{N_{20}-b}{\alpha_2}\right)e^{-\gamma t}+\frac{a}{\alpha_1}-\frac{b}{\alpha_2}$$

$$N_2(t)=\frac{\alpha_2 N_1(t)}{\alpha_1}-\alpha_2\left(\frac{N_{10}-a}{\alpha_1}-\frac{N_{20}-b}{\alpha_2}\right)e^{-\gamma t}-\frac{\alpha_2 a}{\alpha_1}+b \qquad (2.7)$$

Substituting (2.7) in the first equation of a system (2.1) we will receive Cauchy's task for the following Riccati equation

$$\frac{dN_1(t)}{dt}=(k-1)\alpha_2 N_1^2(t)+\left\{(-k+1)\left[\alpha_2(N_{10}-a)-\alpha_1(N_{20}-b)\right]e^{-\gamma t}+k\alpha_1 b+(2-k)\alpha_2 a-\gamma\right\}N_1(t)-$$
$$-a\left\{\left[\alpha_2(N_{10}-a)-\alpha_1(N_{20}-b)\right]e^{-\gamma t}+\alpha_2 a-\gamma\right\}$$

$$N_1(0)=N_{10} \qquad (2.8)$$

which partial solution we look for in a look

$$N_{1par}(t)=pe^{-\gamma t}+q\ \ p,q=const \qquad (2.9)$$

at the same time performance of the following conditions is necessary

$$p=\frac{\alpha_2(N_{10}-a)-\alpha_1(N_{20}-b)}{\alpha_2},\ q=\frac{\alpha_2 a(k-1)-k\alpha_1 b}{\alpha_2(k-1)},\ \alpha_2 a=\gamma \qquad (2.10)$$

Let's enter transformation

$$\overline{N_1}(t)=N_1(t)-N_{1par} \qquad (2.11)$$

Then Riccati's equation will correspond in a look, i.e. will be transformed to Bernoulli's equation

$$\frac{d\overline{N_1}(t)}{dt}=(k-1)\alpha_2\overline{N_1}^2(t)+\left[(k-1)p\alpha_2 e^{-a\alpha_2 t}+(k-1)\alpha_2 a-k\alpha_1 b\right]\overline{N_1}(t) \qquad (2.12)$$

Let's enter transformation

$$z(t)\equiv\frac{1}{\overline{N_1}(t)} \qquad (2.13)$$

Taking into account (2.13), (2.12) will take a form

$$\frac{d}{dt}z(t)+\left[(k-1)p\alpha_2 e^{-a\alpha_2 t}+(k-1)\alpha_2 a-k\alpha_1 b\right]z(t)=-(k-1)\alpha_2 \qquad (2.14)$$

which solution, taking into account (2.8), (2.9), (2.11) has an appearance

$$z(t)=\exp\left[\frac{(k-1)p}{a}\left(e^{-a\alpha_2 t}-1\right)-\left((k-1)\alpha_2 a-k\alpha_1 b\right)t\right]\left\{\frac{1}{N_{10}-p-q}-(k-1)\alpha_2 A\right\} \qquad (2.15)$$

$$A\equiv\int_0^t\exp\left[\frac{(k-1)p}{a}\left(-e^{-a\alpha_2\tau}+1\right)+\left((k-1)\alpha_2 a-k\alpha_1 b\right)\tau\right]d\tau$$

Thus, the exact solution of a task of Cauchy (2.1), (1.2), in case of (2.6), (2.9), (2.10), (2.15) has the following appearance

$$N_1(t) = \frac{1}{z(t)} + N_{1par} \qquad (2.16)$$

$$N_2(t) = \frac{\alpha_2 N_1(t)}{\alpha_1} - \alpha_2\left(\frac{N_{10}-a}{\alpha_1} - \frac{N_{20}-b}{\alpha_2}\right)e^{-\gamma t} - \frac{\alpha_2 a}{\alpha_1} + b \qquad (2.17$$

Conclusion. Thus, from the analysis of the received analytical solutions (1.7) - (1.24), (2.2) – (2.17) within the offered mathematical model, it is possible to define conditions on model parameters (the number of the population of the sides; initial values of supporters of economic cooperation; coefficients of aggression of the sides; coefficients of economic cooperation of the sides, coercion coefficients to cooperation) at which resolution of conflict by means of economic cooperation between politically warring sides is possible.

References:

1. Chilachava T., Kereselidze N. Mathematical Modeling of the Information Warfare. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2010, № 1 (24), pp. 78 – 105.
2. Chilachava T., Kereselidze N. Optimizing Problem of Mathematical Model of Preventive Information Warfare, Informational and Communication Technologies –Theory and Practice: Proceedings of the International Scientific Conference ICTMC- 2010 USA, Imprint: Nova, 2011a/2012a, pp. 525- 529.
3. Chilachava T., Kereselidze N. Mathematical Modeling of Information Warfare. Information Warfare, 2011b, №1(17), pp. 28-35.
4. Chilachava T. Nonlinear Mathematical Model of Dynamics Of Voters Pro-Governmental and Oppositional Parties. Problems of Management of Safety of Difficult Systems. Works XX of the International Conference, pp. 322-324, 2012b.
5. Chilachava T. Nonlinear Three-Party Mathematical Model of Elections, Problems of Management of Safety of Difficult Systems. Works XXI Of The International Conference, pp. 513- 516, 2013a.
6. Chilachava T., Chochua Sh. Nonlinear Mathematical Model of Two-Party Elections In The Presence of Election Fraud Problems of Management of Safety of Difficult Systems. Works XXI of the International Conference, pp. 349- 352, 2013.
7. Chilachava T. Nonlinear Mathematical Model of Dynamics of Voters of Two Political Subjects. Seminar of I.Vekua Institute Of Applied Mathematics, Reports, 2013b, vol. 39, pp. 13- 22.
8. Chilachava T., Chakhvadze A. Continuous Nonlinear Mathematical and

Computer Model of Information Warfare with Participation of Authoritative Interstate Institutes. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2014, № 4(44), pp. 53- 74.

9. Chilachava T. Nonlinear Mathematical Model of Bilateral Assimilation. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, No.1 (41), pp. 61- 67, 2014.
10. Chilachava T., Chakaberia M. Mathematical Modelling Of Nonlinear Process of Assimilation Taking into Account Demographic Factor. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, No. 4 (44), pp. 35- 43, 2014.
11. Chilachava T., Chakaberia M. Mathematical Modeling of Nonlinear Processes Bilateral Assimilation Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2015, No. № 2 (46), pp. 79 – 85.
12. Chilachava T., Sulava L. Mathematical and Computer Simulation of Processes of Elections With Two Selective Subjects And Float Factors of Model. Problems of Management of Safety of Difficult Systems. Works XXIII of the International Conference, pp. 356- 359, 2015a.
13. Chilachava T., Sulava L. Mathematical and Computer Modeling of Nonlinear Processes of Elections with Two Selective Subjects. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2015b, № 2(46), pp. 61- 78.
14. Chilachava T., Sulava L. Mathematical and Computer Modeling of Three-Party Elections. GESJ: Computer Sciences and Telecommunications, 2016, № 2 (48), pp. 59-72.
15. Chilachava T. About Some Exact Solutions of Nonlinear System of the Differential Equations Describing Three-Party Elections. Applied Mathematics, Informatics and Mechanics, 2016, vol. 21, № 1, pp. 60 – 75.
16. Chilachava T. Mathematical Model of Transformation of Two-party Elections to Three- party Elections. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2017, № 2(52), pp. 21- 29.
17. Chilachava T. Research Of The Dynamic System Describing Globalization Process. Springer Proceedings in Mathematics & Statistics, Mathematics, Informatics, and their Applications in Natural Sciences and Engineering – AMINSE 2017, Tbilisi, Georgia, December 6- 9, 2017a, v. 276, pp. 67- 78, 2019a.
18. Chilachava T. Mathematical Model of Linguistic Globalization. Problems of Security Management of Difficult Systems. Works XXV Of The International Conference, Moscow, 2017c, pp. 259 – 262.
19. Chilachava T., Sulava L. Mathematical and Computer Modeling of Elections with Constant Demographic Factor. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2018a, 2(54), pp. 111- 124.
20. Chilachava T., Sulava L. Mathematical and computer Modeling of Political Elections. The Eleventh International Scientific-Practical Conference Internet-Education Science-2018, Proceedings, 2018b, pp. 113-116.

21. Chilachava T., Sulava L. Mathematical and Computer Modeling of Political Elections with a Change in the Number of Electoral Subjects. Proceeding of SPIE, 2019 (SPIE Digital Library), 15 pg. (to appear).
22. Chilachava T., Chakaberia M. Mathematical Modeling of Nonlinear Processes of Two-Level Assimilation. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2016, № 3(49), pp. 34- 50.
23. Chilachava T., Gvinjilia T. Nonlinear Mathematical Model of Interaction of Fundamental and Applied Researches. Problems of Security Management of Difficult Systems. Works XXIV of the International Conference, Moscow, 2016, pp. 289 – 292.
24. Chilachava T., Gvinjilia T. Nonlinear Mathematical Model of Interference of Fundamental and Applied Researches. International Journal of Systems Science and Applied Mathematics, 2017a, № 2(6), pp. 110- 115.
25. Chilachava T., Gvinjilia T. Research of the Dynamic Systems Describing Mathematical Models of Training of the Diplomaed Scientists. Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports, 2017b, vol. 43, pp. 17-29.
26. Chilachava T., Gvinjilia T. Research of Three and Two-Dimensional Nonlinear Dynamical Systems Describing the Training of Scientists. Applied Mathematics, Informatics and Mechanics, 2017c,Vol. 22, No.1, pp. 3- 20.
27. Chilachava T., Gvinjilia T. Nonlinear Mathematical Model of Interference of Fundamental and Applied Researches of Scientifically-Research Institute. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2017d, № 1(51), pp. 15- 24.
28. Chilachava T. Mathematical Model of Economic Cooperation Between the Two Opposing Sides. IX International Conference of the Georgian Mathematical Union, 2018. Batumi, pp. 96 – 97.
29. Chilachava T., Pochkhua G. Research of the Dynamic System Describing Mathematical Model of Settlement of The Conflicts by Means of Economic Cooperation, GESJ: Computer Science and Telecommunications, 2018a, No. 3 (55), pp. 18- 26.
30. Chilachava T., Pochkhua G. About Possibility of Resolution of Conflict By Means of Economic Cooperation. Problems of Management of Safety of Difficult Systems. The XXVI International Conference. Moscow, 2018b, pp. 69-74.
31. Chilachava T., Pochkhua G. Research of the Nonlinear Dynamic System Describing Mathematical Model Of Settlement of the Conflicts By Means of Economic Cooperation. 8Th International Conference on Applied Analysis and Mathematical Modeling, CAAMM 2019, Proceedings Book, 2019b, pp. 183- 187.

თემურ ჩილაჩავა, გიორგი ფოჩხუა

ეკონომიკური თანამშრომლობით კონფლიქტების გადაწყვეტის მათემატიკური მოდელების ალმწერი დინამიური სისტემების კვლევა

რეზიუმე

შემოთავაზებულია ორ პოლიტიკურად ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა (შესაძლო ქვეყნები, ან ქვეყანა და მისი სუბიექტი) შორის ეკონომიკური თანამშრომლობის არაწრფივი მათემატიკური მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა მოსახლეობის ნაწილთა ეკონომიკურ და სხვა სახის თანამშრომლობას, მიმართულს მხარეთა დაახლოების, კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტისკენ. მათემატიკურ მოდელებში იგულისხმება: პირველ შემთხვევაში, ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი თავისუფალია პოლიტიკური ზეწოლისაგან, ანუ მხარეთა მთავრობები და მესამე გარე მხარე არ ერევა ამ პროცესში; მეორეში – ორივე მხარის მთავრობები (მთავრობა და დე-ფაქტო მთავრობა) და მესამე გარე მხარე ხელს უწყობენ ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესს.

ორივე შემთხვევაში მათემატიკურ მოდელებში არსებული მართვის პარამეტრების მეშვეობით შესაძლებელია იმ პირობების დადგენა, რომელთათვის კონფლიქტები მშვიდობიანად გადაწყვეტადია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
NATURAL SCIENCE

რევაზ თოლორდავა

სამცხე-ჯავახეთის კურორტების კარტოგრაფირების თავისებურებანი

საქართველოში, ბოლო ათწლეულში, საკურორტო მეურნეობა აღმავლობას განიცდის, რაც სახელმწიფოს მიერ საკურორტო-ტურისტული კომპლექსის აღდგენა-განახლების საქმეში დიდი ყურადღების დათმობითაც არის გამოწვეული. დარგი, რომელიც ადრე 2 მილონამდე ადამიანს ემსახურებოდა, გასული საუკუნის 90-იან წლებში დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, რაც სისტემაში შემავალი ობიექტების გაჩანაგებაში გამოიხატა და საბოლოოდ დამსვენებელთა რაოდენობის მკვეთრი შემცირებით აღინიშნა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. დარგი, რომელიც მხარის ეკონომიკის ფლაგმანს წარმოადგენდა, მნიშვნელოვნად დაზიანდა, შენობა-ნაგებობების უმეტესი ნაწილი ან დაინგრა, ან დევნილები არიან ჩასახლებული. საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის აღდგენა-განახლება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესი, მნიშვნელოვან ინვენსტიციებთან ერთად, მაღალ დონეზე მომზადებულ სპეციალისტებსა და ექსპერტებს მოითხოვს, რაც თავისთავად რეგიონების რეკრეაციული რესურსებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის შესახებ სარწმუნო და კომპლექსურ, კარტოგრაფიულად წარმოდგენილი ინფორმაციის მიწოდებასაც გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ სფეროში მართვის ორგანიზაციისათვის ასეთი სპეციალიზებული კომპლექსური კარტოგრაფიული პროექტები რესპუბლიკის მასშტაბით და, მითუმეტეს, რეგიონებისათვის არ განხორციელებულა, რის გამოც დარგი თანამედროვე კარტოგრაფიული მასალის უკმარისობას მწვავედ განიცდის. აქედან გამომდინარე, სათანადო კარტოგრაფიული მასალებით უზრუნველყოფა აუცილებლობას წარმოადგენს. ამრიგად, ამ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის **აქტუალობა** ეჭვს არ იწვევს.

კვლევის მიზანს შეადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საკურორტო სფეროში კარტოგრაფიული ნაწარმებით უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მართვის გაუმჯობესებისათვის რეკრეაციული ობიექტებით გამდიდრებული მასალებით უზრუნველყოფის შექმნის, ორგანიზებისა და წარმოდგენის ფორმების შემუშავება.

მხარის საკურორტო-რეკრეაციული ობიექტებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური დარგობრივი კლასტერის „სამცხე-ჯავახეთის კურორტები და რეკრეაციული ობიექტები“ შექმნა ან მათი ჩართვა რეგიონალურ ყოვლისმომცველი კლასტერის – „სამცხე-ჯავახ-

ეთი – ბუნება, საზოგადოება მეურნეობა“, განვითარების პროცესში. ტურიზმისა და კურორტების განვითარების მიმართლებით განიხილება ახალი ტურისტულ-რეკრეაციული კლასტერების ფორმირება. ამასთან, აუცილებელი იქნება განახლებული კურორტებისა და ბალნეოლოგიური ცენტრების შესწავლა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც შეტანილი იქნება მოცემული ობიექტის ისტორია, ფიზიკურ-გეოგრაფიული (რეგიონი, ბუნებრივი პირობები, დანიშნულება, კომუნიკაციები), კარტოგრაფიული (გეოგრაფიული კოორდინატები, აბსოლუტური სიმაღლე) მაჩვენებლები და სხვა სახის პარამეტრები. მსგავსი სამუშაოების შედეგები ასევე ატვირთული უნდა იყოს მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№428, 2014 3. 07) დამტკიცებული საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის შესაბამისი (https://matsne.gov.ge) მახასიათებლებისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (NAR/105/9 . . . 2014) ფარგლებში, 2014-2016 წლებში ჩატარებული საველე კვლევების შედეგების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ შედგენილია ორი ცხრილი. პირველში განთავსებულია კურორტების (ცხრ. 1), ხოლო მეორეში საკურორტო ადგილების მონაცემები (ცხრ. 2).

სამცხე-ჯავახეთის მხარის საკურორტო ზონები და რაიონები

II – 2 – ა – თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილის დაბალმთიანი საკურორტო ზონა;

II-2 – ბ – ქართლისა და ახალციხის ზეგანის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

II – 2 – გ – თბილისის ზონის დაბალმთიანი საკურორტო რაიონი;

III – ბ – აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის შუამთიანეთის საკურორტო ზონა;

III – გ – თრიალეთის, მესხეთისა და ლიხის ქედების ჩრდილო-დასავლეთის ფერდობების შუამთიანეთის საკურორტო ზონა;

III – დ – თრიალეთის ქედის ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილის შუამთიანეთის საკურორტო ზონა;

III – ე – სამხრეთ საქართველოს მთიანეთის შუამთიანეთის პლატო;

IV – ბ – აღმოსავლეთ საქართველოს შუამთიანეთის საკურორტო რაიონი;

IV – გ – სამხრეთ საქართველოს მთიანეთის შუამთიანეთის საკურორტო რაიონი (https://matsne.gov.ge).

ცხრ. 1. სამცხე-ჯავახეთის მხარის კურორტების მახასიათებლები (ცხრილი კლასტერის მონაცემთა ბაზისათვის)

N	კურორტები/ სტატუსი	პროფილი	დანიშნულება	მდებარეობა	$H_{აბს.}$ მ საკ. ზონა	კოორდინატები	
						ჩ. გ.	ა. გ
1	აბასთუმანი / დაბა	ფთიზიატრიული (ფილტვების), არითორიოლოგიური წუპსანატორიუმები	კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ადიგენის უნიციპალიტეტი. მესხეთის ქედ. სამხრეთ კალთაზე, მდ. ოცხის ხეობაში.	1260 III-გ	41°45′08″	42°50′00″
2	ასპინძა/ დაბა	არითრიოლოგიური, ნევროლოგიური (ვნს*), დერმატოლოგიური	ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი. სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარის ასპინძის მუნიციპალიტეტში	1050. III-ე	41°34′36″	43°14′56″
3	ახალდაბა/ დაბა	პროფილაქტიკური პულმონოლოგიური, არითროლოგიური	კლიმატო-ბალნეო ლოგიური, სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარის ბორჯომის მუნიციპალიტეტში	790.II-2-ა.	41°55′51″	43°29′17″
4	ახალციხე/ ქალაქი	არითრიოლოგიური, ნევროლოგიური (ვნს). გინეკოლოგიური	ბალნეოლოგიური, ნახშირმჟავა	სამცხე-ჯავახეთის მხარე; ახალციხის მუნიციპალიტეტი	980.II-2-ბ.	41°38′17″	42°59′19″
5	ბაკურიანი/ დაბა	პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური, პულმონოლოგიური	სამთო-კლიმატური კურორტი და საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო ცენტრი	სამცხე-ჯავახეთის მხარე; ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1700, IV-გ.	41°44′59″	43°31′38
6	ბორჯომი/ ქალაქი	გასტროენტეროლოგიური	ბალნეო-კლიმატური კურორტი, ნახშირმჟავა	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	800-1000, II-2-ა.	41°50′23″	43°23′02″
7	ვარძია	არითროლოგიური	ბალნეო-კლიმატური ნახშირმჟავა	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ასპინძის მუნიციპალიტეტი	1100, III-ე.	41°22′51″	43°17′01″

8	ლიბანი/ სოფელი	ფთიზიატრიული (ფილტვების), გასტროენტეროლოგიური	ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატური, სამკურნალო ფაქტორია მთის ჰავა და მინერალური, ნახშირმჟავა	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მდ. ბორჯომულის (მტკვრის მარჯ. შენაკადი) ნაპირზე	1370 III-გ.	41°47′20″	43°27′24″
9	ნაქალაქევი/ სოფელი	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და კანის დაავადებანი	ბალნეოლოგიური კურორტი. თბილი (33°C) რადიოაქტიური წყაროები.	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ასპინძის მუნიციპალიტეტი. მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს	1360	41°24′47″	43°20′14″
10	პატარა ცემი/ სოფელი	პულმონოლოგიური, ფთიზიატრიული (ფილტვების)	მთის კლიმატური კურორტი	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1370 III-გ.	41°40′37″	43°28′14″
11	ტბა/ სოფელი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური	ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატური კურორტი	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1250. III-გ.	41°47′54″	43°26′48″
12	ჩითახევი	ფთიზიატრიული (ძვალ-სახსროვანი)	კლიმატური; სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	870, II-2-ა.	41°47′24″	43°18′04″
13	ცემი/ სოფელი	პულმონოლოგიური, ფთიზიატრიული (ფილტვების)	კლიმატური. შედის ბორჯომის კურორტების ჯგუფში	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1120, III-გ.	41°48′05″	42°27′58″
14	ციხის-ჯვარი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, ართროლოგიური	ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატო-ბალნეოლოგიური სუსტადსულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი. მდ. შავი წყლის ნაპირებზე	1640 1800, IV-გ.	41°43′04″	43°26′29″
15	წაღვერი/ დაბა	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, გასტრო-ენტეროლოგიური	ბალნეო-კლიმატური კურორტი. ნახშირმჟავა მინერალური წყლები.	სამცხე-ჯავახეთის მხარე ბორჯომის მუნიციპალიტეტი. თრიალეთის ქ/დ ჩდ. კალთებზე	1020-1150, III-ბ.	41°47′54″	43°29′02″

*პნს – პერიფერიული ნერვული სისტემა

ცხრ. 2. სამცხე-ჯავახეთის მხარის საკურორტო ადგილების მახასიათებლები (ცხრილი კლასტერის მონაცემთა ბაზისათვის)

N		სტატუსი	დანიშნულება	მდებარეობა	$H_{აბს.}$მ	კოორდინატები	
						ჩ. გ.	ა. გ
1	გურკელი/ სოფელი	პულმონოლოგიური, ნევროლო-გიური, გინეკოლოგიური, ართროლო-გიური	კლიმატო-ბალნეოლოგიური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ახალციხის მუნიციპალიტეტი	970 II-1-b	41°43′20″	43°07′07″
2	დაბა/სო-ფელი	პროფილაქტიკური, კარდიოლოგი ური, პულმონოლოგიური	კლიმატური, მდიდარია წიწვოვანი ტყეებით	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორ-ჯომის მუნიციპალიტეტი, თრია-ლეთის ქედის მთისწინეთში	806 II-2-a	41°48′45″	43°27′01″
3	დვირი/სოფე-ლი	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლო-გიური, დერმატო ლოგიური	კლიმატო-ბალნეოლოგიური; სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	980 II-2-a	41°46′28″	43°15′46″
4	ზარზმა/სო-ფელი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური	კლიმატური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ადიგენის მუნიციპალიტეტი	1340 III-g	41°46′28″	43°15′46″
5	მამზეტამზე/ სოფელი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცენტრალური ნერვული სისტემა)	კლიმატური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, წაღვერის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ზე	1250 III-g	41°46′28″	43°15′46″
6	ოტა/ სოფელი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური	კლიმატური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ასპინძის მუნიციპალიტეტი	1460, III-d	41°46′28″	43°15′46″
7	საკოჭავი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს**)	კლიმატური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1500 III-d	41°46′28″	43°15′46″
8	ტიმოთეს უბანი	პროფილაქტიკური პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)	კლიმატური ნახშირმჟავა	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1120 III-გ	41°46′28″	43°15′46″

9	ურაველი/ სოფელი	პოროფილაქტიკური, გასტროენტეროლო-გიური	კლიმატო- ბალნეო-ლოგიური; ნახშირმჟავა ჰიდრო-კარბონატული ნატრიუმიან-კალცი-უმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყალი	სამცხე-ჯავახეთის მხარე ახალციხის მუნიციპალიტეტი	1030-1250 III-ა	41°46′28″	43°15′46″
10	ფლატე	პროფილაქტიკური, გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური	კლიმატო-ბალნეოლოგიური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ადიგენის მუნიციპალიტეტი.	1400 III-გ	41°46′28″	43°15′46″
11	წინუბანი	პროფილაქტიკური, გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური	კლიმატო-ბალნეოლოგიური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1480 III-დ	41°46′28″	43°15′46″
12	წყალთბილა	პროფილაქტიკური, ნევროლოგიური (პნს), ართროლოგიური	კლიმატო-ბალნეოლოგიური; სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ახალციხის მუნიციპალიტეტი	1120 III-ა	41°46′28″	43°15′46″
13	ჭობისხევი	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს**)	კლიმატო-ბალ-ნეოლოგიური; სულფიდური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტი	980, II-2-ა	41°46′28″	43°15′46″
14	ჭობორეთი	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს**)	კლიმატური	სამცხე-ჯავახეთის მხარე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1950, IV-ბ	41°46′28″	43°15′46″

**ცნს – ცენტრალური ნერვული სისტემა

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის მხარის საკურორტო მეურნეობის ფლაგმანს ბორჯომის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, სადაც ამ დარგის 15 ობიექტიდან 10 ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენი 5 კიდევ სამზეა გადანაწილებული (ცხრ. 3). ეს რეგიონი ლიდერობს ასევე საკურორტო ადგილების მიხედვით – 14-დან 7 ამ მუნიციპალიტეტშია თავმოყრილი. ბორჯომის მუნიციპალიტეტი პირველობს საქართველოს მასშტაბითაც – ის კურორტების რაოდენობით 5 ერთეულით უსწრებს მეორე ადგილზე გასულ გაგრას და მხოლოდ ორი ერთეულით ჩამორჩება გულირიფშს საკურორტო ადგილების რაოდენობით. ამასთან, კლიმატური კურორტები აშკარად ჭარბობს დანარჩენი ტიპებისას – მან მთლიანი რაოდენობის 45% შეადგინა. რეგიონის „კურორტიანობის“ მაჩვენებელი რესპუბლიკის მასშტაბით კი შემდეგნაირად გამოიყურება – კურორტები მთლიანი რაოდენობის 14,5%, ხოლო საკურორტო ადგილების მაჩვენებელმა 8,3% შეადგინა (გასაშუალოებული მონაცემი – 10,7%). ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის მხარის ტერიტორიის გათვალისწინებით, (საქართველოს ტერიტორიის 9,2%) ეს მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია.

ცხრ. 3. სამცხე-ჯავახეთის მხარის კურორტნებისა და საკურორტო ადგილების განაწილება მუნიციპალიტეტებისა და ტიპის მიხედვით (ცხრილი კლასტერის მონაცემთა ბაზისათვის)

N	მუნიციპალიტეტები	რაოდენობა		რაოდენობა ტიპების მიხედვით										ჯამი მუნიციპალიტეტების მიხედვით
		კურორტების	საკურორტო ადგილების	ბალნეოლოგიური		ბალნეოკლიმატოლოგიური		კლიმატური		კლიმატო-ბალნეოლოგიური		სამთო-კლიმატურ-იდასამთო-სათ-ხილამური		
				კ	ს/ა	კ	ს/ა	კ	ს/ა	კ	ს/ა	კ	ს/ა	Σ=კ და ს/ა
1	ადიგენი	1	2	0	0	1	0	0	2	0	0	0	0	3
2	ახალციხე	1	3	1	0	0	3	0	0	0	0	0	0	4
3	ასპინძა	3	1	2	0	0	0	0	1	1	0	0	0	4
4	ახალქალაქი	0	1	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	1
5	ბორჯომი	10	7	1	0	1	0	5	4	2	3	1	0	17
6	ნინოწმინდა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	სულ:	15	14	4	0	2	3	5	8	3	3	1	0	29

ცხრ. 4. სამცხე-ჯავახეთის მხარეში კურორტებისა და საკურორტო ადგილების რაოდენობის შედარება საქართველოს მონაცემებთან

N		კურორტები	%	საკურორტო ადგილები	%	მთლიანად
1	საქართველო	104	38,2	168	61,8	272
2	სამცხე-ჯავახეთი	15	51,7	14	48,3	29
3	შედარებითი-საქ./ს.ჯ		14,5		8,3	10,7

მხარეში არსებული საკურორტო ადგილების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ საკურორტო ბაზას დიდი რესურსი აქვს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ეს ნუსხა არ არის სრულყოფილი. ასე მაგალითად, ამ ჩამონათვალში არ არის ხერთვისის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ფარავნის მარცხენა მხარეს არსებული მინერალური წყლის გამოსავლები (φ=41°28′λ=43°17′56, H =1136 მ), რომელსაც მიმდებარე სოფლების მოსახლეობა წარმატებით იყენებს სხვადასხვა დავადებების პროფილაქტიკის მიზნით (№428, 2014 3. 07). საგულისხმოა, რომ ხერთვისის ციხე და მიმდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლანდშაფტი კლდეში ნაკვეთ ქალაქ ვარძიასთან ერთად 2017 წელს შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში (Planning-mapping the Khertvisi.. InterCarto-InterGIS 24), რაც ამ ტერიტორიას უფრო მიმზიდველს ხდის.



ნახ. 1. ხერთვისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კულტურული ლანდშაფტი და მინერალური წყლის გამოსავლები.

რეგიონების საკურორტო მეურნეობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე.

საქართველოს მთავრობა ამ რეგიონში უკვე აწარმოებს მნიშვნელოვან სამუშაოებს. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენენ ქ. ახალციხის მიდამოებში რაბათის ციხე და მისი შემოგარენი, ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, დ. აბასთუმნის ტერიტორია, ქ. ბორჯომის საკურორტო კომპლექსი და სხვა, სადაც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კულტურულ ლანდშაფტს აგეგმვის, კარტოგრაფირების და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ტერიტორიული დაგეგმარების საფუძველზე ჩაუტარდა რესტავრაცია და მოეწყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ასევე საკურორტო ობიექტების შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომლის მაგალითია დ. აბასთუმნის სილიციუმიანი სამკურნალო წყლის ბაზაზე აგებული ძველი აბანოების რესტავრაცია (№428 . . ... 2014), რომელიც ასევე ჩატარებულია ტოპოგრაფია-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და საინჟინრო გეოლოგიური უზრუნველყოფის საფუძველზე.

სურ. 1. დაბა აბასთუმანი, ძველი აბანოები

ნებისმიერი შენობა-ნაგებობების, მათ შორის საკურორტო ობიექტებისა და მათ გარშემო არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კულტურული ლანდშაფტის სამშენებლო თუ სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმარებას წინ უძღვის საველე გეოდეზიურ-კარტოგრაფიული და სხვა სახის კვლევითი სამუშაოები, რომელთა საფუძველზე ხდება დაგეგმარება. მსგავსი სახის სამუშაოები ჩვენს მიერ ჩატარებულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ხერთვისის ისტორიული ციხე-სიმაგრის მიმდებარე ლანდშაფტის ტერიტორიაზე, სადაც ნაწილობრივ განხორციელდა მიმ-

დებარედ არსებული ნასოფლარისა და ტერასების შესწავლა და აგეგმვა (ნახ. 1, 2).



ნახ. 2. ხერთვისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კულტურული ლანდშაფტისა და მიმდებარე ნასოფლარის ტოპოგრაფიული გეგმის ფრაგმენტი.

მხარის საკურორტო მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვნებამ, რომლითაც მდიდარია რეგიონი და, განსაკუთრებით, მისი ეკოლოგიურად სუფთა მაღალი მთებისა და ალპიური ზონის ტერიტორიები. პირველი ექსპედიციისას (NAR/105/9 . . . 2014), 2015 წლის ოქტომბერში, ჩვენ მესხეთის ქედზე, ზეკარის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე (სურ. 2), შევხვდით ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომლებიც სამკურნალო ბალახების (ნაღველა ჯვრისებრის მინდვრის ყვავილი) შესაგროვებლად იყვნენ ამოსული (სურ. 3). რეგიონის სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვნებისა და პოტენციალის შესწავლის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საველე კვლევების ჩატარება ამ დარგის სპეციალისტებისა და კარტოგრაფების მონაწილეობით, რომლებსაც ხელეწიფებათ GPS-ის გამოყენებით აგეგმონ სამკურნალო მცენარეთა გავრცელების არეალები და მიღებული შედეგების საფუძველზე შექმნან გეოინფორმაციული ბაზა. კვლევის მონაცემების ასახვა შესაძლებელია რუკის როგორც ელექტრონული ვერსიის, ისე ტრადიციულის შინაარსში, სპეციალური პირობითი ნიშნების დახმარებით.

სურ. 2. მესხეთის ქედი, ზეკარის უღელტეხილი
(φ=41°49,633; λ= 042°50,285; H=2182).

სურ. 3. სამკურნალო ალპიური ყვავილები
– ნაღველა ჯვრისებრი და კოლხური უცუნა.

კვლევის ძირითადი შედეგები: კვლევის შედეგად სამცხე-ჯავახეთის საკურორტო მეურნეობა მხარის სამეურნეო და ეკონომიური მდგომარების გაჯანსაღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად წარმოჩინდა. დარგის მდგომარეობის გაუმჯობესება და თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება კი მოითხოვს მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნებული კომპლექსური კვლევების მაღალ დონეზე ჩატარებას, რომლის მნიშვნელოვან შემადგენლად საკურორტო ობიექტებისა და ადგილების კარტოგრაფირება და მის საფუძველზე რუკების შექმნაა მიჩნეული. ამ გზით შექმნილი კარტოგრაფიული მასალა კი სპეციალური დარგობრივი კლასტერის „სამცხე-ჯავახეთის კურორტები და რეკრეაციული ობიექტები“-ს საფუძველი უნდა გახდეს.

განხორციელდა მხარის საკურორტო პოტენციალის შედარებითი ანალიზი საქართველოს მთლიან პოტენციალთან მიმართებაში.

შემოთავაზებულია, საკურორტო ობიექტების კარტოგრაფირება კომპლექსურად, მიმდებარე ისტორიულ-კულტურული და ეთნოგრაფიულ ადგილებთან ერთად;

მხარის მდიდარი სამკურნალო თვისებებით გამორჩეული ფლორის შესწავლის ეფექტურ გზად საველე კვლევების ჩატარება და GPS ტექნოლოგიების გამოყენებით მათი კარტოგრაფირება-კორდინირებაა მიჩნეული.

კვლევის შედეგები მოდელირებულია ცხრილებსა და კარტოგრაფიულ მასალაში.

ლიტერატურა:

1. Sartania D., Tolordava R., D. Nikolaishvili D., Maghlakelidze R. Planning-Mapping The Khertvisi Historical-Cultural Landscapes. **I**ntercarto-Intergis 24 Bonn. Interdisciplinary Conference;
2. Saqartveloshi Turizmisa da Kurortebis Ganvitarebis Kanoni (Law on Tourism and Resorts Development in Georgia) (www.matsne.gov.ge/ ka/document/ view/1292547).
3. Saqartvelos Kurortebis Nuskhisa da Statusis Damtkicebis Shesakheb; On approval of list and status of resorts in Georgia (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2386144).
4. Saqartvelos Kanoni Turizmisa da Kurortebis Shesakheb; Georgian Law on Tourism and Resorts Development (www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/turizmi/turizmis).
5. Teritoriuli Dagegmarebisatvis Samckhe-Javakhetis Landshaftur-Ekologiuri Shefaseba Gis-Analizis Meshveobit; Landscape-Ecological Assessment for Territorial Planning of Samtskhe-Javakheti through GIS Analysis (NAR/105/9-280/13. 04.04.2014, Gamoyenebiti Kvlevebi). Shota Rustavelis Erovnuli Samecniero Fondi;

Revaz Tolordava

FEATURES OF SAMTSKHE-JAVAKHETI RESORTS

Summary

The resorts of Samtskhe-Javakheti region, which were the flagship of the economy, have been significantly damaged in the 90s of the last century, most of the buildings are destroyed or IDPs are settled in. Restoration and renewal of recreational farming as a socio-economic process requires large number of well-trained specialists and experts, that implies to provide information on regions' recreational resources and resort infrastructure that will be reliable, complex and cartographically represented. It is noteworthy that such specialized complex cartographic projects in the field of management have not been implemented in Georgia – more specifically in regions and because of this there is a lack of modern cartographic materials in the field. Therefore, it is necessary to provide these materials.

ქეთევან პავლიაშვილი

კრეტის საეკლესიო კრება და აფხაზეთის ავტოკეფალიის საკითხი

საეკლესიო კრებების ფორმათა უმაღლესი გამოხატულება მსოფლიო საეკლესიო კრებაა, რომლის უმთავრესი მიზანი საეკლესიო ერთობის დაცვაა. ისტორიულად, მსოფლიო კრების მოწვევა საგანგებო მოვლენა იყო ეკლესიის ცხოვრებაში და დაკავშირებული რომელიმე სარწმუნოებრივ პრობლემასთან, რომელიც გარკვეულწილად, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საეკლესიო გადმოცემის ნამდვილობას და სულიერ მისიას; საფრთხე კი მომდინარეობდა მწვალებლური მოძრაობებიდან, საეკლესიო ტრადიციების მოშლიდან, სხვა ეპოქალური გამოწვევებიდან. აღნიშნულმა განაპირობა კრებებზე განსახილველად ორი სახის გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება: დოგმატურის (ერესების საწინააღმდეგოდ) და კანონიკურის (საეკლესიო ცხოვრების კანონების). გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ასეთი საეკლესიო ნორმა განხილულ, ფორმულირებულ და მიღებულ იქნა 7 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მომავალში მსგავსმა კრებებმა ფუნქცია დაკარგა და მათი მოწვევის შესაძლებლობებიც აღარ არსებობდა (Kozlov, 2009: 19-23).

საუკუნეების განმავლობაში, სამყაროში განვითარებულმა ეპოქალურმა ძვრებმა, საეკლესიო ცხოვრებაზეც ჰპოვა ასახვა და უცილობელი პირობა შეიქმნა მსოფლიო კრების ტრადიციის აღდგენისათვის. თანამედროვე სრულიად მართლმადიდებლური საეკლესიო კრებისათვის სამზადისმა 50 წელზე მეტ ხანს გასტანა და 1961 წლიდან სამყაროს მართლმადიდებლური ეკლესიის მთელი ძალები გააერთიანა. მისი განხორციელება კი მოხდა კრეტაზე 2017 წლის 16-27 ივნისს. მითითებული კრება იმთავითვე მხოლოდ რელიგიური ხასიათის არ აღმოჩნდა, არამედ, ეს იყო მოვლენა, რომელმაც სერიოზული ზეგავლენა იქონია საერთაშორისო ურთიერთობებზე და მართლმადიდებელ სამყაროში ძალთა გადანაწილებაზე; შესაბამისად, კრეტის კრებამ პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტის ყურადღება მიიპყრო. კრეტის კრების მსვლელობას და შედეგებს მოყვა მსოფლიო საზოგადოებაში მწვავე დისკუსიები, რომელიც მომდევნო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სრულიად მართლმადიდებლურ სამყაროში, მწვავე შედეგებს გამოიწვევს.

კრეტის კრება ჩატარდა 14 ავტოკეფალური ეკლესიიდან 4 ეკლესიის: ანტიოქიის, რუსეთის, ბულგარეთისა და საქართველოს ეკლესიების მონაწილეობის გარეშე. შექმნილი გარემოების მიზეზი გახდა წინასაეკლე-

სიო სათათბიროებზე გამოვლენილი ეკლესიათშორისი პრობლემები და მოუმზადებელი დოკუმენტების კრებაზე დასამტკიცებლად გამოტანა. ეკლესიათშორისმა პრობლემებმა თავი იჩინა განსახილველი დოკუმენტის – „ავტონომია და მისი აღიარების საშუალებები“-ს გამოც. მოცემულ დოკუმენტში ორი საყურადღებო მომენტი ფიქსირდება: 1. „ამა თუ იმ საეკლესიო რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭების უფლება მტკიცდება იმ ავტოკეფალური ეკლესიის მიღმა, რომელსაც ეკუთვნის მოცემული რეგიონი“; 2. „იმ შემთხვევაში, თუ ორი ავტოკეფალური ეკლესია ავტონომიის სტატუსს ანიჭებს ერთი და იმავე საეკლესიო რეგიონს, რის შედეგადაც ამ ავტონომიაზე ეკლესიათშორის აღმოცენდება აზრთა სხვადასხვაობა, მაშინ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციულ დავებში არბიტრაჟის უფლება ეძლევა“. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტის მსგავსი რედაქციით მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ეკლესიების შიდა საქმეებში ურთიერთჩარევას, მსოფლიო საპატრიარქოს არბიტრაჟული როლის დადგინებას, რითიც ზარალდება ყველა ის ავტოკეფალური ეკლესია, რომელსაც მსგავსი პრობლემები აქვს და, რომელიც მათ კრეტის კრებაზე გამოუცხადებლობით დაასაბუთეს, რომ არაფერი ითქვას საეკლესიო კანონიკის უხეშად დარღვევაზე (Karibche, 2016, 11. VI).

კრეტის კრების გარშემო შექმნილი პოლიტიკურ-საეკლესიო ვითარება ცალკე ანალიზს ითხოვს აფხაზეთში განვითარებულ პოლიტიკურ კრიზისთან კონტექსტით, რომელშიც აფხაზეთი საქართველოსგან ჩამოცილებით აღმოჩნდა. XX საუკუნის 90-იანი წლებით გამოწვეულმა მოვლენებმა გააქტიურა აფხაზეთის ნაციონალურ-პოლიტიკური ელიტის ამბიცია ე.წ. „ეროვნულ-რელიგიურ პროდუქტზე“, რაც პირდაპირ მიმანიშნებელია აფხაზეთის საერო და საეკლესიო ძალების გარე სამყაროსკენ ლტოლვისა: ერთის მხრივ, ევროინტეგრაციისაკენ და, მეორის მხრივ, რუსული ორიენტაციისაკენ. მიმდინარე ამბიციამ გამოვლინება ჰპოვა აფხაზეთის ეკლესიისათვის ავტონომიური სტატუსის მოთხოვნაში, რაც საერთაშორისო მასშტაბის საეკლესიო პრობლემად ჩამოყალიბდა. პრობლემის შემომქმედებლებად კი მოიაზრებიან „გაურკვევლობაში“ მყოფი აფხაზეთის საზოგადოება და ამ „გაურკვევლობით“ მოსარგებლე დიდი ეკლესიები: მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები. ამრიგად, აფხაზეთის ეკლესიისათვის საეკლესიო ასპარეზზე აქტიურობენ და ერთმანეთს უპირისპირდებიან დიდი ეკლესიები. ისინი თეორიულად აღიარებენ აფხაზეთის ეპარქიაზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კანონიკურ უფლებას, თუმც, ამავდროულად, მეცადინეობენ მის საკუთარ იურისდიქციაში მოქცევისათვის. ორივე საპატრიარქოსათვის ცნობილია აფხაზეთის ეკლესიაში სქიზმის არსებობა, სადაც ურთიერთდაპირისპირებული სამღვდელოების ორი თაობა იბრძვის საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოშორებისა და გარე ეკლესიის წიაღში შესვლისათვის. სამღვდელოების ძველი თაობა ბესარიონ აპლიას ხელმძღვანელობით ორიენტირებულია მოსკოვის საპატრიარქოზე, ხოლო ახალი თაობა დრო-ოთე დბარის თაოსნობით კი – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე. ამ უკანასკნელებმა აფხაზეთის ეკლესიაში სქიზმა შეიტანეს, გამოეყვნენ

მოსკოვის საპატრიარქოზე ორიენტირებულ ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიას“ და დააფუძნეს „წმ. სამიტროპოლიტო“, საკათედრო რეზიდენციით ახალი ათონის მონასტერში. „სამიტროპოლიტო“ ორიენტირებულია ევროპის სამღვდელოების სულიერებასთან ინტეგრირებისაკენ. მათი მიზანია აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის მიღწევა და ამ საკითხში დახმარებისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართავს; ძველი თაობა კი ამ გზას მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთობაში ხედავს. აფხაზეთის საეკლესიო სქიზმა მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის მიმდინარე მრავალსაუკუნოვან „ცივ ომს“ კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს სძენს, რაც მკაფიოდ გამოვლინდა კრეტის საეკლესიო კრების მიმდინარე პროცესებში (Sakartvelo da Msoplio, 2016; Karibche, 2016, # 66; Khma Berisa, 20016, 5.VI).

ახალი ეკლესიების წარმოშობისა და ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის განხილვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო კრების მოსამზადებელი კომისიის სხდომებზე, თუმც, რუსეთის, საქართველოსა და სერბეთის ეკლესიების დაჟინებული მოთხოვნით, საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. აღნიშნულმა ფაქტმა, საქართველოს ეკლესია აფხაზეთის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოებაში კრიტიკის ობიექტად აქცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობს „წმ. სამიტროპოლიტო“, რომელიც „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ წარმომადგენლებისაგან განსხვავებით ღიად უჭერს მხარს კრეტის კრების გადაწყვეტილებებს და „მორჩილებით“ იზიარებს კრებაში მონაწილე ეკლესიების შეხედულებებს. მათ კრების პოზიცია – ავტოკეფალიის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნაზე – მიიღეს, როგორც სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიების პოზიცია (Versia, 2016, #66; Rezonansi, 2016, 11.VI; 30.VI).

2016 წლის ივლისში აფხაზეთის „წმ. სამიტროპოლიტომ“ მიიღო კრეტის კრების დოკუმენტები, როგორც სავალდებულო აფხაზეთის მართლმადიდებელი თემისათვის, რაც გაცხადდა ახალი ათონის მონასტერში ჩატარებულ საეკლესიო-სახალხო რიგით მეორე შეკრებაზე. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა კრეტის კრებისადმი და სამიტროპოლიტოს ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ მას მხარს დაუჭერდა ოპოზიციაში მყოფი სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის სასულიერო დასი და აფხაზეთის ხელისუფლება. შეკრებაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის საზოგადოება და სამღვდელოება მიისწრაფის არა ნაციონალური ეკლესიის, არამედ ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნისაკენ ერთიანი ორთოდოქსალური ეკლესიის შემადგენლობაში, რომლის განხორციელებაც შექმნილი დაძაბული გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ ეტაპობრივი ხასიათის უნდა იყოს. აფხაზეთის მხარემ საჭიროდ მიიჩნია კრეტის კრების მონაწილეთათვის გაეცნოთ აფხაზეთის საეკლესიო პრობლემის წარმოშობის მიზეზები და მათი დაძლევის გზები. ამრიგად, ჩამოყალიბდა აზრი კრეტის კრებაზე მიმართვის გაგზავნაზე – „მიუხედავად იმისა, რომ არ გვაღიარებენ ოფიციალურ ეკლესიად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ არ გვთვლიან პატრიოტებად ლოზუნგით – „მოგვეცით აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესია!“ და, არც

უნდა მივმართოთ კრებას ასეთი მოთხოვნით. ისინი ჩვენში საეკლესიო მარგინალებს არ ხედავენ, რომლებიც ნებისმიერი გზით ცდილობენ დამოუკიდებელი ნაციონალური ეკლესიის შექმნას“, – აღნიშნავს დბარი. „წმ. სამიტროპოლიტო“ დარწმუნებულია, რომ საქართველოს ეკლესიის პოზიცია კრეტის კრებისადმი უშედეგოდ არ ჩაივლის, რამეთუ მას მართლმადიდებლური სამყაროს წინაშე პასუხისგება მოუწევს აფხაზეთში კანონიკური საკითხების გადაუჭრელობის გამო (Asaval-dasavali, 2016, #23; Karibche, 2016, 17.VI).

„გაევროპულებული“ აფხაზი სამღვდელოების მნიშვნელოვანი მიზანია არ დაუშვას რეგიონალური ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან ინტეგრაცია და ევროპისკენ მიმავალი გზიდან გადახვევა, რაც ვლინდება ბესარიონ აპლიას ნაციონალური ეკლესიის დაარსებასთან წინააღმდეგობით, რამეთუ დბარი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლური სწავლება არ აღიარებს ნაციონალურ და აბსოლუტურად დამოუკიდებელ ეკლესიებს. „თავი არ უნდა მოვიტყუოთ და საჭიროა გავიაზროთ, რომ საეკლესიო სამართლის ნორმებით, აფხაზეთში ახალი ეკლესიის დაარსება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების თანხმობით და მსოფლიო საპატრიარქოს ძალისხმევით“, – აღნიშნავს დბარი. „წმ. მიტროპოლია“ მრევლს არწმუნებს, რომ მსოფლიო პატრიარქმა საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული პირობები დააყენა, კერძოდ, მას ესაჭიროება აფხაზეთის ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარებისათვის რეალური საფუძველი. ასეთად დასახელდა: 1. მრევლის ნების გამოხატულების საბუთი საქართველოს ეკლესიის წიაღიდან გასვლაზე; 2. აფხაზეთის სამღვდელოებასთან კონსულტაცია-დიალოგების მოწყობა; 3. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების მსოფლიო საპატრიარქოსადმი ოფიციალური მიმართვა აფხაზეთში საეკლესიო საკითხის განხილვის დაწყებაზე. აღნიშნული საბუთები, მსოფლიო საპატრიარქოს, ამ მიმართულებით მუშაობის ლეგიტიმაციას ანიჭებს. ყოველივე კი დბარის აზრით, პრობლემური საკითხის განხილვას დააჩქარებს; საამისოდ, კომპეტენტურ სუბიექტად ის კრეტის კრებას მოიაზრებს. ნიშანდობლივია, რომ 2011 წლიდან აფხაზეთის არც ერთ პრეზიდენტს პრობლემის მოგვარების თხოვნით არ მიუმართავს მსოფლიო პატრიარქისათვის; პირიქით, ისინი სამიტროპოლიტოს პოზიციას არ იწონებდნენ და აპლიას დაჯგუფების პოზიციას ემხრობოდნენ; მაგალითად, რაულ ხაჯინბა აღნიშნავს, რომ „ამგვარი მოძრაობა ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს შიდასაეკლესიო განხეთქილების გადალახვის პერსპექტივებზე და წინააღმდეგობაში მოდის აფხაზეთის მართლმადიდებელი თემის ინტერესებთან“.

აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მიღების გზაზე განსხვავებული აზრი აქვს სამღვდელოების ძველ თაობას, რაც განპირობებულია „სამიტროპოლიტოს“ საწინააღმდეგო პოლიტიკურ-რელიგიური ორიენტაციით. ძველი თაობა პროევროპულ ორიენტაციას განიხილავს, ზოგადად, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისათვის საშიშ მოვლენად, ხოლო მართლმადიდებლურ სამყაროში კი მსოფლიო პატრიარქის დიქტატურის

– პაპიზმის დადგინებად. „განხეთქილებაში მყოფებს სურთ აფხაზეთის გადაქცევა კვაზი-სახელმწიფოდ. ისწრაფვიან ხელისუფლების მიტაცებისაკენ და უბიძგებენ აფხაზებს რუსეთთან და მის ეკლესიასთან დაპირისპირებისაკენ“, – აღნიშნავს ბესარიონ აპლია.

ბესარიონ აპლიას დაჯგუფება აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის მიღწევას, მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთობაში მოიაზრებს: „ველით მოსკოვის გმირულ ქმედებას, რომ აფხაზეთი ითაოს. ჩვენ, ეპისკოპოსი მოსკოვიდან გვინდა; მხოლოდ ამაში ვხედავთ გამოსავალს. მთავარია ვიქონიოთ მოთმინება და დაველოდოთ მოსკოვის საპატრიარქოს გადაწყვეტილებას“, – შენიშნავს აპლია (Alia, 2016, 24-28.VI).

მიუხედავად აფხაზეთში შექმნილ რელიგიურ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე საერო და სასულიერო დასის წინააღმდეგობისა, საეკლესიო პრობლემის დარეგულირებისათვის „სამიტროპოლიტომ“ 2017 წლის თებერვალში მსოფლიო პატრიარქს თხოვნით მიმართა, რათა მისი ხელმძღვანელობით შეექმნა საერთაშორისო მასშტაბის მართლმადიდებელ ეკლესიათა საგანგებო კომისია საქართველოს ეკლესიის კანონიკური საზღვრების გადახედვის და აფხაზეთის მართლმადიდებელი თემისათვის სტატუსის მინიჭების მიზნით.

„სამიტროპოლიტო“, ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან“ განსხვავებით, მიიჩნევს, რომ საეკლესიო კრიზისის დაძლევა კრეტის კრების ნებისმიერი გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი, გარდა აფხაზეთის ეკლესიისათვის ამ ეტაპზე ავტოკეფალიის მინიჭებისა. ფაქტია, რომ მიმდინარე გარემოებაში, აფხაზეთის საეკლესიო დაჯგუფებებს არა ავტოკეფალია, არამედ უფრო ავტონომიური უფლების მოპოვება სურთ: ერთს კონსტანტინოპოლის, ხოლო მეორეს – მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნით, რაც იმის დასტურია, რომ აფხაზებისათვის ავტოკეფალიის მოთხოვნა სასპეკულაციო საკითხია საქართველოს ეკლესიის წიაღიდან გასვლისა და გარე ეკლესიაზე დაქვემდებარების მიზნით. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის ჯერ საეკლესიო საყოველთაო კანონმდებლობასთან და, ამავდროულად, ავტოკეფალიის საკითხის დაყენებასთან. კრეტის კრებაზე გაგზავნილი საეკლესიო საზღვრების გადახედვის მოთხოვნის განხილვა, საეკლესიო კანონმდებლობის თანახმად, ბუნებრივად დააყენებდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საზღვრების გათვალისწინებას, რაც სხვა არაფერია, თუ არა აფხაზური მხარისგან პოლიტიკური საზღვრების აღიარების მოთხოვნა კრებაში მონაწილე ეკლესიებისაგან, რომლებიც სულიერების სფეროში თავიანთი სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნული მიზნის მიღწევაში ახალი თაობა მოწინააღმდეგედ მოიაზრებს საქართველოს ეკლესიას. აფხაზეთის ეკლესიის ორივე დაჯგუფება თანხვედრაშია, რომ საქართველოს ეკლესია ეთნოფილეტიზმის ერესშია (ნაციონალური ინტერესების უპირატესობა საერთო მართლმადიდებლურ ინტერესებთან, რომელიც გასამართლდა 1872 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე, Kozlov, 2009: 22).

ცნობილია, რომ კრეტის კრებაზე არ განხილულა ახალი ეკლესიები-

სათვის ავტოკეფალია-ავტონომიის მინიჭების საკითხი. კრების მონაწილე ეკლესიებმა არ დაუშვეს მართლმადიდებელ ეკლესიათშორისი ისედაც დაძაბული ურთიერთობების გამწვავება. აღნიშნულმა, კრეტის კრების შედეგებისადმი „სამიტროპოლიტოს“ სამღვდელოების ნაწილის განხიბლვა გამოიწვია, რამეთუ კრებაზე ცალსახად აღინიშნა, რომ ადგილობრივი ეკლესიებისათვის ავტოკეფალია-ავტონომიის მინიჭება დედა-ეკლესიების პრეროგატივაა. ამით აფხაზეთის სამღვდელოებისათვის ნათელი გახდა, რომ ისინი ავტოკეფალიის მიღებას ვერ მიაღწევდნენ, რადგან ამ ფაქტს საქართველოს ეკლესია არასდროს დაუშვებდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის სამღვდელოება მაინც იმედოვნებს, რომ საქართველოს ეკლესიის კრეტის კრებაზე გამოუცხადებლობა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საშუალებას მისცემს აფხაზეთში თავისი ეპისკოპოსი დაადგინოს და დროთა ვითარებაში, აფხაზეთის ეკლესიისათვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭების საკითხიც გააქტიუროს. დბარის განცხადებით, „აფხაზები დაელოდებიან შემდეგ საეკლესიო კრებას, რომელიც რამდენიმე წელში გაიმართება“. კრეტის კრების დასრულების შემდეგ, „სამიტროპოლიტომ“ ახალი თხოვნით მიმართა მსოფლიო პატრიარქს, რომ აფხაზეთის მართლმადიდებელი მრევლი სამიტროპოლიტოს უფლებით მიეღო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში. ამ მიმართვით, აფხაზეთმა ფაქტობრივად ნებაყოფლობით განაცხადა უარი „ავტოკეფალიის“ მინიჭების მოთხოვნაზე.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Gaz .Alia, 24-28. IX. 2017.
2. Gaz. Asaval-Dasavali, 2016, #23.
3. Gaz. Kviris Palitra, 2016: 13-19.VI; 27.VI-3.VII.
4. Gaz. Saqartvelo Da Msoflio, 2016, #22,15-26.VI.
5. Gaz. Khma Berisa, 2016, 29.VI-5.VII.
6. Gaz. Rezonansi, 2016, 10.VI; 11.VI; 30.VI.
7. Gaz. Versia, 2016, #66 (1226).
8. Jur. Karibche, 2016, 10.VI.
9. Kozlov M., Zapadnoe Khristianstvo: Vzgliad s Vostoka, Moskva, 2009.

Ketevan Pavliashvili

CHURCH MEETING OF CRETE AND THE ISSUE OF THE AUTOCEPHALY OF ABKHAZIA

Summary

For centuries, the evolving epochal changes in the world have been reflected in church life as well, and there have been indispensable conditions for restoring the tradition of the worldwide congregation. It has been more than 50 years of preparation for the modern fully-orthodox ecclesiastical assembly and since 1961 it has united all the forces of the Orthodox Church in the world. It was implemented in Crete on June 16-27, 2017.

The issue on the establishment of new one churches and the granting of autocephaly was one of the most important at the meetings of the Preparatory Commission. By the demand of Russian, Serbian and Georgian churches, this question was untied at the church meeting.

"Abkhazian clergy" sent a petition to Constantinople Patriarchate about the granting of autocephaly but however at that time in Abkhazia there were different viewpoints on above mentioned issue: One part of priesthood had Russian orientation, unity with the Moscow Patriarchate and another part supported Constantinople Patriarchate.

It is known that the meeting in Crete did not discuss the issue of granting autocephaly-autonomy to new churches. The church meeting did not allow the escalation of already tense relations between the Orthodox Churches. The clergy of Abkhazia will wait for the next church meeting, which will take place in a few years.

თამარ ფხალაძე

ჟურნალი „ივერია“ არქიმანდრიტ გაიოზის (რექტორის) მოღვაწეობის შესახებ

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

ძირითადი ბიოგრაფიული დეტალები

გაიოზ რექტორის ბიოგრაფიის რიგი დეტალი ბოლომდე დაუდგენელია. მისი დაბადების თარიღად ითვლება 1746 წელი, ხოლო ადგილად – სიღნაღის მაზრის სოფელი მაღარო. გაიოზ რექტორის გვარის შესახებ კი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. არქიმანდრიტ გაიოზის თანამედროვე გერმანელი ექიმი და მოგზაური ი. რაინეგსიმი გვარად მიუთითებდა ვაგოშაშვილს (Rainegges, 1797), ნ. მთვარელიშვილი – ნაცვლიშვილს (ივერია, 1881, N8), პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით, თვლიდა, რომ „გაიოზ რექტორი გახლდათ თაყაიშვილ-ბარათაშვილის გვარიდან“ (კარბელაშვილი, 1902).

1763-1765 წლებში გაიოზი ანჩისხატის მონასტერთან არსებულ სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მისი მასწავლებლები იყვნენ ანტონ I და ფილიპე ყაითმაზაშვილი. სემინარიის დასრულებისთვანავე ის ანტონ I-მა დიაკვნად აკურთხა და, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა საპატრიარქოში დატოვა გადამწერად.

1772 წელს ერეკლე II-მ ანტონ I და ლევან ბაგრატიონი რუსეთში გაგზავნა საიმპერატორო კარზე დიპლომატიური მისიით. ელჩობაში გაიოზ რექტორიც მონაწილეობდა. ვიზიტი წარუმატებელი გამოდგა – რუსეთის ხელისუფლება ერეკლე მეფის წარმომადგენლებს არც კი შეხვედრია. გაიოზი რუსეთში დარჩა და ჯერ პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო სემინარია დაასრულა, შემდეგ კი – მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. 1778 წელს, საქართველოში დაბრუნებული გაიოზი, მცირე ხნით, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ხდება. ამავე პერიოდში აკურთხეს ის მღვდელ-მონაზვნად. 1782 წელს გაიოზის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსდა თელავის სასულიერო სემინარია. 1783 წელს გაიოზ რექტორი კვლავ რუსეთში იქნა მივლინებული, სადაც მონაწილეობდა გეორგიევსკში რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

გაიოზ რექტორის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთში საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობას უკავშირდება. 1784 წელს იმპერატორ ეკატერინე II თანდასწრებით ის აკურთხეს არქიმანდრიტად. სხვადასხვა წლებში არქიმანდრიტი გაიოზი იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის“ წევრი (რა დროსაც მან ღირებული მონაწილეობა მიიღო ოსური ანბანის შექმნაში), მოზდოკის არქიეპისკოპოსი, სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსი, ხოლო 1808 წლიდან გარდაცვალებამდე – ასტრახა-

ნის მთავარეპისკოპოსი. არქიმანდრიტი გაიოზი გარდაიცვალა 1821 წლის 21 თებერვალს და დაკრძალულია ასტრახანის საკათედრო ტაძარში.

არქიმანდრიტ გაიოზის ბიოგრაფი და მკვლევარი ნ. მთვარელაშვილი ჟურნალ „ივერიაში“ (1881, NN№8, 9, 10) საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას უთმობს მის მოღვაწეობას რუსეთში და სავსებით სწორად ხსნის არქიმანდრიტის მიმართ რუსეთის უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფალთა დამოკიდებულების მიზეზს: „გაიოზი დანიშნა უმაღლესმა მთავრობამ, როგორც ოსეთის კომისიის წევრად, ეგრეთვე, მოზდოკის ეპარქიის მწყემსმთავრად იმის მხედველობით, რომ ეს იყო საქართველოს შვილი, გაზრდილი კავკასიაში, მთის ხალხთან მახლობლად მცხოვრები, მცოდნე მათის ხასიათისა და ჩვეულებისა. გარდა ამისა ის იყო ნასწავლი რუსეთის აკადემიაში და რუსეთშივე კარგა ხანს ნამყოფი...“ (ივერია, 1881, №9: 103-104).

არქიმანდრიტ გაიოზს, როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხელმძღვანელს, ძალისხმევა არ დაუკლია ოს მოსახლეობაში წიგნიერების გავრცელებისთვის. ნ. მთვარელიშვილის მითითებით, არქიმანდრიტ გაიოზს „ყოველივე საშუალება უნდა ეხმარა სწავლის გავრცელებისათვის და წარმატებისათვის ოსების სკოლებში, სკოლების კარგად შენახვისა და მათის რიცხვის გაზრდისათვის“ (ივერია, 1881, №9: 105). არქიმანდრიტ გაიოზის დამსახურება ოსი მოსახლეობის მიმართ, მართლაც, დიდია. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით არაერთი სკოლა გაიხსნა, სადაც იმ დროის მოთხოვნების მიხედვით ხორციელდებოდა სწავლება. ამასთან, არქიმანდრიტ გაიოზის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამები ოსური ენის საგანმანათლებლო ფუნქციის გამოყენებასაც გულისხმობდა: „პირველდაწყებითი სწავლა, რომელიც მოიცავდა გარდა ანბანისა დამარცვლათა სწავლებისა, მოკლე კატეხიზმოს და ლოცვებს, დაბეჭდილი იყო ორ სვეტად, ისე რომ თანასწორ სლავიანურის დედნისა იყო დაბეჭდილი ოსურიც. ამ ანბანის შემწეობით ბევრი დროს დაუკარგავად სწავლობდნენ ოსურსა და რუსულს კითხვას...“ (ივერია, 1881, №9: 105).

ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან, და ხშირად ერთადერთ საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ საქართველოში. აქვე ხდებოდა წიგნების გადაწერა და უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა. ქართველი საეკლესიო პირები, სარწმუნოებრივ მნიშვნელობასთან ერთად, სწორედ ასეთ მაღალ საზოგადო და საგანმანათლებლო ფუქნციებს აკისრებდნენ მონასტრებს. ამ ისტორიულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას ჟურნალი „ივერია“ არქიმანდრიტ გაიოზის მოღვაწეობის შეფასებისას: „ხალხის განათლებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მონასტრებს საქართველოში რუსეთთან შეერთების დრომდე, ე. ი. 1800 წლამდის. ესენი იყვნენ განათლების უპირველესნი ადგილნი საქართველოში თითქმის მაშინაც, როდესაც რუსეთის მიბაძვით, კათალიკოსმა დიდმა ანტონმა გახსნა სემინარიები თბილისში და თელავში. ამათ არც ახლა მოჰკლებიათ თავის შესაფერი ღირსება და პატივი. ამასთანავე, განზრახვით ჰსურდა იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს დაეწესებინა მონასტრები მოზდოკის ეპარქიაში გაიოზის იმედით. გაიოზმა

თავის მხრით ეს მინდობილობაც შეასრულა წესიერად... ამ მონასტრებში უნდა ესწავლებინათ ყმაწვილთათვის საღმრთო წერილი და ცხოვრებაში გამოსადეგი ხელოსნობა“ (ივერია, 1881, №10: 135).

ივერიაში გამოქვეყნებულ წერილებში ნ. მთვარელიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დედათა მონასტრების, როგორც ქალთა განათლების უალტერნატივო კერების მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით იზრდებოდა დედათა მონასტრის საგანმანათლებლო ფუნქცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიან რეგიონში, სადაც ქალთა განათლების ტრადიცია საკმაოდ მწირი იყო. არქიმანდრიტ გაიოზს მთიელების მიმართ ამ მხრივაც მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება. მოზდოკის ეპარქიაში მის მიერ დაარსებული ფერისცვალების დედათა მონასტერი და მასთან არსებული სასწავლებელი წლების განმავლობაში ამ მხარის ქალთა განათლების ერთადერთ კერას წარმოადგენდა: „ამ მონასტერში უნდა აღეზარდათ ქალები, რომელთაც უნდა შეესწავლათ საღმრთო წერილი და ხელოსნობა... რომელნიც ხელს შეუწყობდნენ ქალთა აღზრდასა და განვითარებას, მათთვის ცხოვრების ასპარეზის გაფართოებას...“ (ივერია, 1881, #10: 137).

გაიოზ რექტორი თავის ქადაგებებსა და ნაწერებში საკმარის ადგილს უთმობდა ცოდნის მრავალმხრივი მნიშვნელობის განმარტებას, რითაც ხელს უწყობდა საზოგადოებაში განათლების პოპულარიზებას. მისი გამონათქვამები შეიცავს მსჯელობას განათლების ღირებულებით მნიშვნელობაზე, აღზრდის საზოგადოებრივ დატვირთვაზე: „არა საჭირო არს განხილვაი ამისი თუ ვითარი სხვაობა არს შორის მეცნიერებასა და უმეცრებასა... მეცნიერება მოიყვანს კაცსა ცნობისადმი თავისა... მეცნიერება ასვამს გონებასა ძალისაებრ ცნობასა ღვთისასა... მეცნიერება აჩვენებს მას თუ რაი არს კეთილი და ანუ ბოროტი... მეცნიერობა ჰყოფს ბედნიერებასა ქვეყანისასა. მეცნიერება აჩვენებს ყოველთა კაცთა თანასწორებასა... მეცნიერსა ქვეყანასა შინა არს მშვიდობა, მყუდროება, განსვენება, უხვობა და ყოველი ბედნიერება “ (ივერია, 1881, №8: 105-108). უაღრესად საინტერესოა გაიოზ რექტორის მოსაზრებები ცოდნის ფუნქციონალური დატვირთვის (ე.წ. ფუნქციური ცოდნის) შესახებაც: „მეცნიერებამან უწყის თუ ვითარ შეკრულ არს კაცი კეთილისა საქმისადმი... მეცნიერი მხედარი არა ბოროტს უქმნის მტერთა, არამედ, რათა შეეწიოს ქვეყანასა თვისსა და მშვიდობასა შინა ამყოფოს; წარვალს შორსა გზასა მეცნიერი ვაჭარი არა რათა განიმრავლოს სარგებელი თვისი, არამედ რათა მოქალაქეთა თვისთა განუმრავლოს საჭირონი და სახმარი ნივთნი...“ (ივერია, 1881, №8: 105-108).

გაიოზ რექტორის პედაგოგიური შეხედულებები, მისი მოსაზრებები განათლების, აღზრდის, ადამიანის პიროვნული განვითარების შესახებ ასახულია მის ნაშრომში „ადამიანი და მისი დანიშნულება საზოგადოებაში“. აქ ხაზგასმულია განათლების პროცესის მნიშვნელობა პიროვნების ფორმირებისთვის, სკოლის მრავალმხრივი საგანმანათლებლო ფუნქცია, სწავლების არსი და სწავლა-აღზრდის მეთოდები.

სწორედ ამ პედაგოგიურ პრინციპებზე დააფუძნა გაიოზ რექტორმა

მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული თელავის სასულიერო სემინარია (1782-1783 წწ.). სემინარიაში სწავლება იმ დროისთვის რუსეთსა და ევროპაში აპრობირებული პედაგოგიური მიდგომებით ხორციელდებოდა: რიგ აქტუალურ სამეცნიერო და საღვთისმეტყველო საკითხებზე იმართებოდა სტუდენტთა დისპუტები, ეწყობოდა საჯარო ლექციები. თელავის სასულიერო სემინარიას განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის, რასაც დიდწილად მისი რექტორის განსწავლულობა და ორგანიზატორული უნარები განაპირობებდა: „გაიოზ რექტორი იყო დიდი ორატორი, მჭერმეტყველი, მქადაგებელი და ღირსეული ორგანიზატორი“ (Kandelaki, 1958: 193). გაიოზ რექტორის პედაგოგიური შეხედულებები ნათლად გამოიკვეთა სემინარიის დაარსებისადმი მიძღვნილ ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში: „აწ თქვენდამი მივაქცევ ყოველსა სიტყვასა ჩემსა, საყვარელნო შვილნო ჩემნო, რათა განმშვენდეთ ყოვლად ძვირფასითა ამით სიბრძნისა სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა თქვენსა, დაიცევით საუნჯე ესე დიდფასი, იღვაწეთ სვლად ყოვლადდიდებულსა ამას გზასა ზედა, განაშენეთ ადგილი ესე საღმრთო წმიდითა ქცევითა თქვენითა, თანამოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა – ჰაზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა, ჰყავთ თავი თქვენი სიბრძნისა შემკულებითა ნუგეშად მამობრივისა გულისა მისისა“.

სასულიერო სემინარიაში ისწავლებოდა ღმრთისმეტყველება, ლიტურგიკა, რიტორიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, გრამატიკა, ისტორია, არითმეტიკა და სხვ. (Iveria, 1879: №10: 69). ძველი მსოფლიოს ისტორიის კურსს კითხულობდნენ შარლ ლორენის წიგნის „ძველი ისტორიის“ მიხედვით, რომელიც შედგებოდა 11 ტომისგან და რომლის ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორს დაუწყია (Rukhadze, 1961: 240).

თელავის სასულიერო სემინარია გაიოზ რექტორის შემდეგაც რჩებოდა ქართული საეკლესიო განათლების მნიშვნელოვან კერად. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის დავით ალექსი-მესხიშვილს, რომელიც დავით რექტორის სახელით არის ცნობილი. დავითი ენერგიულად აგრძელებდა წინამორბედის დაწყებულ საქმეს. ფართოდ ერუდირებული რექტორი თვითონ ასწავლიდა სტუდენტებს გრამატიკას, ფიზიკას, ეთიკას და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ საგნებს. იოანე ბატონიშვილის სიტყვებით: „დავითმა ასწავლა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“ (უმეტესწილად ეს იყო საერო ხასიათის დისციპლინები). სემინარიაში ასწავლიდნენ: გრამატიკას, პოეტიკას, რიტორიკას, ლოგიკას, კატეხიზმოს, მეტაფიზიკას, ფიზიკას, ფილოსოფიას, საღვთო სჯულს, საეკლესიო ისტორიას, ქართულ ენას, არითმეტიკას, სამოქალაქო ისტორიას და სხვ...“ (ივერია, 1881, № 9).

სამშობლოს მოცილებული არქიმანდრიტი გაიოზი, რომელსაც უაღრესად საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმიანობის გაძღოლა ევალებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ეპარქიაში, დღენიადაგ ზრუნავდა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის განსავითარებლად. 1796 წელს, მოზდოკში, მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით, რომანოზ

ზუბაშვილმა დააარსა სტამბა, რომელიც სახელმძღვანელოებით ამარაგებდა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ქართულ სკოლებს, ასევე, საქართველოში მოქმედ სასწავლებლებს. 1805 წლის იანვარში არქიმანდრიტმა გაიოზმა ამ სტამბაში დაბეჭდილი 600 ერთეული „ანბანი“ და 630 ერთეული „გრამატიკა“ გაუგზავნა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს“.

ნაყოფიერი აღმოჩნდა არქიმანდრიტ გაიოზის კვლევითი და მთარგმნელობითი საქმიანობაც. მისი გრამატიკის სახელმძღვანელო ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო („მცირე ქართული გრამატიკა“. დაიბეჭდა პოლტავის გუბერინიის ქალაქ კრემენჩუგში 1783-1793 წლებში. შედგება 16 თავისგან). ქართული ენის აგებულებასა და დამახასიათებელ ნორმებზე საუბრისას, არქიმანდრიტი გაიოზი არაერთ ორიგინალურ თვალსაზრისს ავითარებს, რომელთა სიზუსტე თანამედროვე მეცნიერთა მიერაც არის დადასტურებული. არქიმანდრიტ გაიოზის „გრამატიკის“ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებული კანონი ქართულისა ღრამატიკისა“ და პლატონ იოსელიანის „პირველდაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკის“ დაბეჭდვამდე, მშობლიურ ენას სწორედ აღნიშნული სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ.

აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია ქართული ანბანი, მისი სტრუქტურა და ნორმები. ავტორის მითითებით, „ასონი განიყოფებიან სამად: ხმოვანად და უხმოდ, მარცვალნი, ლექსნი და სიტყვა“... „ყოველნი ლექსნი (სიტყვანი) შემადგენელნი ქართულის ენისანი“ თავის მხრივ რვა სახედ იყოფა: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიზედა, კავშირი და შორისდებული... ამათგან, პირველნი ოთხნი იწოდებიან შეცვალებითად, ხოლო დანაშთენნი შეუცვალებლად. ლექსთა აქვთ: ა) სახე პირველსახეობითი (დღე) და წარმოებითი (დღიური) და ბ) ნაკვეთი – ა) მარტივი (პატივი) და ბ) წარმოებითი (პატივსადები)“.

არქიმანდრიტი გაიოზი გრამატიკის სახელმძღვანელოში ასევე ეხება მეტყველების ნაწილებს, განმარტავს მათ ფორმებსა და შინაარსს: „სახელი განიყოფების სამად: ა) არსებითი სახელი აღნიშნავს პირსა ანუ ნივთსა. და განიყოფების სამად: საკუთრებითად (ალექსანდრე), საზოგადოდ (კაცი) და შემკრებელობითად (ტყე)... რიცხვითი სახელი აჩვენებს რიცხვსა ანუ რაოდენობასა პირისა ანუ ნივთისასა და განიყოფების ორად: რაოდენობითად და წესებითად... ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა სიტყვათა შინა იხმარება ნაცვლად სახელისა ანუ დაიდების მასთანა... ზმნა არის ნაწილი სიტყვისა, რომელიც აჩვენებს ყოფასა ანუ მოქმედებასა და ანუ ვნებასა პირისა ანუ ნივთისასა დროთა ქვეშე...“ (სახელმძღვანელოში ასევე განმარტებულია სხვა მეტყველების ნაწილებიც და მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითები – თ. ფ.; (ივერია, 1881, №10: 144-150).

აღსანიშნავია არქიმანდრიტ გაიოზის მიერ 1801 წელს გამოცემული პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტი „განწესება შინაგანისა საქართველოისა“, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიას ასახავს. მის კალამს

ეკუთვნის სამეცნიერო და საეკლესიო შინაარსის ნაშრომი – „წინასიტყვაობა კათალიკოზ ანტონი დიდის „წყობილსიტყვაობისა“ ხუთ-ტაეპოვანი ლექსებით“ და მრავალრიცხოვანი „ქადაგებანი“.

არქიმანდრიტ გაიოზის თარგმანებიდან აღსანიშნავია: რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ფილოსოფიური ხასიათის წიგნი „კიტაიის სიბრძნე“, რომელიც დაიბეჭდა 1784 წელს თბილისში. წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა XVIII საუკუნის მიწურულისათვის ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაზე; „მიმოსვლა“ ბარონ-დე-პოლცანისა, აღწერილი ისტორიულის და გეოგრაფიულის გვარით“ (ტომი პირველი, თარგმნილი რუსულით ქართულს ენასა ზედა არხიდიაკონის გაიოზის მიერ. მოსკოვი, 1776); „წმიდა მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა მიცვალებულისათვის ძმისა მისისა სატირისა (Kremunchiki, 1789); სამღვდელო ისტორია (მოზდოკი, 1799) და სხვ. (ივერია, 1881, №10: 151-154).

ამრიგად, გაიოზ რექტორის შემოქმედება უაღრესად მდიდარია. მას ეკუთვნის, როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ისე თარგმანები. მისი შემოქმედების ნაწილი კვლევითი ხასიათისაა და წარმოადგენს ქართული ენის ფუნქციონირების მექანიზმის, მახასიათებლების, სტრუქტურის, გრამატიკისა და საქართველოს ისტორიის გარკვეული საკითხების საკმაოდ სიღრმისეულ შესწავლას.

თელავის სასულიერო სემინარიის დაარსებითა და მასში სასწავლო პროცესის ჯეროვნად ორგანიზებით გაიოზ რექტორს გამორჩეული წვლილი მიუძღვის საქართველოს განათლების ისტორიის წინაშე. მისი მოღვაწეობის ძირითადი პერიოდი რუსეთის ეკლესიის მსახურებას უკავშირდება. ამ შემთხვევაშიც, გაიოზ რექტორი ცდილობს და ახერხებს დადებითი წვლილის შეტანას არარუსი მოსახლეობის განათლებისა და მათი კულტურის განვითარების საქმეში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ოსური ანბანის შექმნასა და ბილინგვური (რუსულ და ოსურენოვანი) საეკლესიო სკოლების დაარსებაში მისი როლი.

გაიოზ რექტორის მოღვაწეობას არასდროს აკლდა დამფასებელი. როგორც აღვნიშნეთ, ნ. მთვარელიშვილმა მას საგანგებოდ მიუძღვნა ვრცელი პუბლიცისტური გამოკვლევა (ივერია, 1881), სადაც საკმაოდ დეტალურადაა მიმოხილული გაიოზ რექტორის ბიოგრაფია და მრავალმხრივი საქმიანობა. ავტორი გაიოზ რექტორის მოღვაწეობის შეფასებისას მიუთითებს: „გაიოზი გამოირჩეოდა პასუხისმგებლიანობითა და თავდადებული საქმიანობით. ამიტომაც მიანდეს მას ძნელად მოსავლელი მოზდოკელების დამწყემსვა. რაშიაც ხელს უწყობდა იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ ბოძებული გაფართოებული უფლებები და ნდობა, რომელიც მან გაამართლა“. უფრო ადრე მის შესახებ იოანე ბატონიშვილი და დავით ბაგრატიონი წერდნენ: „გაიოზი იყო აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგან საფილოსოფოსოთა და საღმრთისმეტყველოსა სწავლასა შინა, ზედმიწევნით ფლობდა რუსულ ენასა, ლათინურსა, სომხურსა და ბერძნულსა, თავადვე იყო აღმზრდელი მრავალთა და მრავალთა“ (Ioane Batonishvili, 1937; Menabde, 1997:. 261-277); „წელსა ამასა

1821, თებერვალში 21, გარდაიცვალა არხიეპისკოპოსი გაიოზ, რომელიც ესე იყო ფრიად განსწავლულ რუსულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა. ამან თარგმნა რუსულიდამ უმრავლესნი წიგნნი, ვითარცა სამოქალაქო, ეგრეთვე საეკლესიონი ვიდრე 400-მდე; ამან გამართა „დაბადება“ რუსულისაგან და ლათინთა და ბერძენთაგან, რაიცა აკლდა ქართულსა დაბადებასა, შემატა. ესე მიიცვალა წელსა 75“ (Kasradze, 1997: 379-385; Masalebi Saqartvelos Istoriistvis, 1905).

ლიტერატურა და წყაროები:

1. Gaioz Reqtori, Qartuli Gramatika. Tbilisi, 1970.
2. Ioane Batonishvili, Kalmasoba, II, Tbilisi, 1937.
3. Jurnali `Iveria”, 1881, #8; 9; 10. N. Mtvarelishvili. Telavis Seminaria da Misi Pirveli Reqtori Gaioz Nacvlishvili (1746-1819).
4. Kandelaki N., Kartuli Mchermetkveleba. Tbilisi, 1958.
5. Karbelashvilio P., Zveli Anchiskhatis Tadzari Q. Tfilisshi. Tiflis, 1902.
6. Kasraze O., Narkvevebi Qartuli tsignis Bechvdis iistoriidan. Tbilisi, 1997.
7. Masalebi Saqartvelos Isroriistvis. Collected by David and Bagrat Bagrationi. Tiflis, 1905.
8. Menabde L., Gaioz Reqtori (XVII-XVIII Saukuneebis qartuli literatura). Tbilisi, 1997.
9. Rainegges J., Allgemeine Historish-Topograrhische Beschreinburg des Kaukasus, II. 1797.
10. Rukhaze T., Kartul-Rusuli literaturuli urtiertobebi. Tbilisi, 1961.

Tamar Pkhaladze

JOURNAL „IVERIA“ ON THE ACTIVITY OF ARCHIMANDRITE GAIOZ (THE RECTOR)

Presented by Religion Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The creative work of archimandrite Gaioz is very rich. Both original works and translations belong to him. The part of his creative work is of research nature and presents the quite in-depth study of functioning mechanisms, features, structure, grammar of Georgian language and some issues of Georgian history.

The rector Gaioz makes an outstanding contribution in the history of Georgian education thanks to foundation of Telavi theological seminary and proper organization of teaching process. The main period of his activity is related to the service in the Russian church. Even in this case the rector Gaioz tries and manages to make a positive contribution in the education of non-Russian population and development of their culture. In this context his role in the creation of Ossetian alphabet and the foundation of theological schools is worth noticing.

ავთანდილ წერეთელი

რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიათა პირველობისათვის ბრძოლის საკითხი მსოფლიო საეკლესიო კრებებზე

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

ისტორიულად ეკლესიის მდგომარეობა იყო არა სტატიკური ან მშვიდი, არამედ დინამიკური და მღელვარე. ეკლესია მუდმივად შრომობს და იღვწის ჭეშმარიტი რწმენის დამოწმებისთვის, რაც ითხოვს, თავის მხრივ, სულიერ სიზუსტეს, გამოცდილებას და სიწმინდეს. ამ კუთხით მსოფლიო საეკლესიო კრებებმა ფუნდამენტური როლი შეასრულეს, რადგანაც ისინი წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ეკლესიის უმაღლეს მმართველობით და კანონმდებლობით ორგანოს. სინოდალურობა, როგორც მმართველობითი ინსტიტუტი და სამართლებრივი სტრუქტურა, ეკლესიის ბუნებას ეკუთვნის, წარმოადგენს მის არსს და შეადგენს ეკლესიის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. მსოფლიო საეკლესიო კრების მნიშვნელობის გაგება ყოველთვის იყო ეკლესიაში, დაწყებული ევქარისტიული შეკრებიდან დამთავრებული სხვადასხვა სახის ჩამოყალიბებულ სინოდალურ სისტემებამდე. სწორედ მსოფლიო საეკლესიო კრება, ეპისკოპოსების მეშვეობით, წარმოადგენს ეკლესიის სისავსეს, რომელიც ეძებს წარმოჩენილი პრობლემების გადაწყვეტის გზებს, იგია დამცველი ეკლესიის ერთიანობისა, სიმშვიდისა, სწორი რწმენისა და სიყვარულისა.

მსოფლიო საეკლესიო კრებებმა, გამომდინარე მისი მნიშვნელობისა, დიდი როლი შეასრულეს საეკლესიო მოძღვრების ჩამოყალიბება-განვითარებაში, როგორც დოგმატური, ისე ინსტიტუციურ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით. ამ პროცესის მიმდინარეობისას ყველაზე მტკივნეული და ფაქტობრივად გადაულახავი საკითხი გახდა ორი ეკლესიის – დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ანუ რომისა და კონსტანტინოპოლის – ეკლესიების ურთიერთმიმართება. მსოფლიო კრებების დასაწყისიდან საფუძველი ეყრება, ზოგადად, ეკლესიების განსაზღვრის საკითხს. ამრიგად, მსოფლიო კრებებს განვიხილავთ რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების პირველობის სტატუსისასთვის ბრძოლის კუთხით.

პირველი მსოფლიოს კრების (325 წ.) VI კანონი[1], მიმართული მელიტიანელების წინააღმდეგ, ძველი ტარადიციის თანახმად, რომის ეპის-

[1] „ძუელნივე წესნი იპყრობოდედ ადგილთა შინა ეგვიპტისა და ლიბიისა და ხუთქალაქისათა, რაითა ეპისკოპოსსა ალექსანდრიისაა აქუნდეს ამათ ყოველთა ზედა ხელმწიფებაი, ვინაითგან ჰრომაელისაცა ეპისკოპოსისაი ესე არს ჩუეულებაი, ეგრეთვე ანტიოქიელისაცა და სხუათაცა სამთავროთა შინა რომელთამე ეკლესიათა უწარჩინებულესობაი დაცვულ არს...“ (Gabidzashvili, 1975: 232).

კოპოსის უფლებების მსგავსად[1], ამტკიცებდა ალექსანდრიის უფლებას ეგვიპტის, ლიბიის და პენტაპოლისის ეპისკოპოსებზე. ეს კანონი ითხოვდა მართებულ განმარტებას. რომის ეკლესია თავის პრეტენზიებს მასზე ამყარებდა, რის გამოც კანონში გაჩნდა ფრაზა: Romana ecclesia semper habuit primatum (რომის ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა უპირატესობა). ამასთან, მივიწყებას მიეცა ის ფაქტი, რომ ეს კანონი საუბრობს ზოგადად ეკლესიის მოწყობაზე და მასში არ უნდა ყოფილიყო ჩანაწერი რაიმე უპირატესობებზე. ეს დამატება, როგორც ბერძნული ტექსტიდან ჩანს, არა ავთენტურია და, ამასთან, გულუბრყვილოც. მეოთხე მსოფლიო კრებაში მონაწილე რომის ეკლესიის წარმომადგენლებმა თავს უფლება მისცეს წაეკითხათ ეს კანონი (451 წ.) (Bolotov, 1913: 255-256). ამ კანონის მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი განსაზღვრავს საპატრიარქო კათედრების უპირატესობისა და უხუცესობის დაცვას (Grabbe, 2016: 54). როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნიკეის კრების აქტებში არ მოიძებნება არც ერთი სიტყვა რომის უპირატესობაზე და, ამიტომაც მათ მიზნის მიღწევად სხვა გზების ძიება დაიწყეს: ან ეს კანონი უნდა განემარტათ მათთვის სასურველი კომენტარებით, ან თვითონ ტექსტში შეეტანათ ცვლილებები. პირველი მსოფლიო კრების VI კანონი არ აღიარებს რომის ეპისკოპოსს როგორც პაპს, ან როგორც ქალაქ რომის ეპისკოპოსს, არამედ, როგორც ერთ-ერთს დიდს მიტროპოლიტებს შორის, რომელსაც ემორჩილებოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე პროვინცია. ასე მოიაზრებდა და მოიაზრებს დღემდე მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონისტი და ღვთისმეტყველი ამ საკითხს (Milash, 2004: 122-124).

კონსტანტინოპოლის საიმპერატორო ქალაქად გამოცხადებამ ასახვა ჰპოვა საერო და საეკლესიო კანონებზეც. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების (381 წ.) III კანონით[2], ქალაქის სტატუსის მიხედვით, მას მიენიჭა ახალი რომის წოდება, მხოლოდ რომის ეკლესიის შემდგომ. რომის ეკლესიას ამით არ დაუკარგავს უპირატესობა, უბრალოდ კონსტანტინოპოლის ეკლესია ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებზე მაღლა დადგა და დაიკავა რომის ეკლესიის შემდგომი ადგილი.

ისმის კითხვა – რამ განაპირობა ასეთი კანონის მიღება? როგორც სოზომენეს „ისტორიაში“ ირკვევა, კოსტანტინოპოლს, ძველი რომის მსგავსად, არა მხოლოდ სენატი, მოქალაქეები და მაგისტრატი ჰყავდა, არამედ იმართებოდა იტალიაში მოქმედი რომის კანონებითაც. ამრიგად, კონსტანტინოპოლი სარგებლობდა ყველა უფლებით და პრივილეგიით,

[1] მელეტიანელთა განხეთქილების დაგმობა იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი პირველ მსოფლიო კრებაზე. წყაროები სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიან მელეტიანელთა განხეთქილების წარმომავლობის შესახებ. ერთ-ერთი ვერსიით ეს უთანხმოება უკავშირდება მელეტი ეპისკოპოსს, რომელსაც არ ჰქონდა რა უფლება ხელდასხმისა, ან გადაყენებისა მაინც აღასრულებდა ამ საიდუმლოს (The Catholic Encyclopedia, Volume X, New York, 1911: 154-155).

[2] კონსტანტენოპოლისა ეპისკოპოსსა აქუნდინ წარჩინებულებაი პატივისაი, სწორი ჰრომისა ეპისკოპოსისაი, ვინაითგან ახალი ჰრომი არს იგი“ (Gabidzashvili, 1975: 261).

რითაც ძველი რომი. მიიღეს რა მხედველობაში კონსტანტინოპოლის ეს აღზევება სხვა ქალაქებთან მიმართებით, კრების საეკლესიო მამებმა, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს რომის ეპისკოპოსის შემდეგ, განუკუთვნეს პატივით უპირატესობა სხვა ეპისკოპოსების მიმართ. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს, ისევე როგორც სხვა მიტროპოლიტებს, თავის იურისდიქციის საზღვრებში ჰქონდა თანასწორი უფლება (Milash, 2004: 157-158).

ამ კანონის თანახმად, ხდება რომის ეპისკოპოსის პატივით უპირატესობის აღიარება. რაც, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, განპირობებულია ქალაქის უხუცესობით: „რამეთუ საყდარსა უმოხუცებულესისა ჰრომისასა სამეუფოობისათვის ქალაქისა მის სამართლად განუჩინნეს მამათა უაღრესნი პატივნი“. მაშასადამე, ასეთი დამოკიდებულება არ იყო უცხო, უბრალოდ იურიდიული საჭიროებისთვის, კანონით განმტკიცებისთვის მიეცა მას სამართლებრივი სახე (Theologia, 1982: 715). იერუსალიმის საეპისკოპოსო, იერუსალიმის ეკლესიის უხუცესობის გამო, ნიკეის პერიოდში ანალოგიურად იყო აღიარებული როგორც საპატიო საეპისკოპოსო.

ნიშანდობლივია, რომ პაპი გრძნობდა რა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა რომის ეკლესიის უპირატესობას, არ აპირებდა ეცნო III კანონის ეკუმენური ხასიათი. იმპერატორის საეკლესიო პოლიტიკისა და ბიზანტიის პატრიარქის საწინააღმდეგოდ, 382 წელს რომის კრებაზე პაპმა დამას I-მა (366-383) ჩამოაყალიბა პოსტულატი, რომლის თანახმადაც, ეკლესიის სათავეში დგას სამი საეპისკოპოსო ქალაქი, რომლებიც იყო პეტრე მოციქულის მოღვაწეობის ასპარეზი: 1. რომი, რადგან პეტრე იყო მისი პირველი ეპისკოპოსი; 2. ალექსანდრია, რადგან პეტრეს მოწაფე მარკოზი იყო მისი ეპისკოპოსი; 3. ანტიოქია, როგორც პირველი საეპისკოპოსო ადგილსამყოფელი პეტრესი, რომელმაც პირველმა ისტორიაში უწოდა რომს სამოციქულო საყდარი (Gergey, 1981: 23). ამრიგად, 381-382 წლებში დასავლეთის არ აღიარებდა II მსოფლიო საეკლესიო კრებას და ის მხოლოდ ტრულის კრებაზე (681 წ.) აღიარეს (Kartashev, 1963: 120).

პაპის პირველობის თეორია პირველად ჩნდება მესამე მსოფლიო კრებაზე (431 წ.) და უკავშირდება პაპის წარმომადგენელს ფილიპეს. ამ თეორიის თანახმად, მხოლოდ პეტრე მოციქულს ჰქონდა ქრისტესგან მიღებული სრული სამოციქულო ძალაუფლება, რომელიც შემდგომ სხვა მოციქულებს გადასცა. ამგვარად, მოციქულებს რაც ჰქონდათ, ჰქონდათ პეტრე მოციქულისგან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რომის ეპისკოპოსი წარმოჩინდება არა მხოლოდ პეტრე მოციქულის საყდრის მემკვიდრედ, არამედ მისი მისტიური ძალაუფლების მატარებლადაც. თუმც, ეკლესიამ ეს სწავლება არ მიიღო და ყოველთვის უარყოფდა მას (Pheidas, 2002: 848-849).

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ გაიფართოვა ადმინისტრაციული საზღვრები და დაიქვემდებარა პონტოს, მცირე აზიისა და თრაკიის

ეკლესიები მეოთხე მსოფლიო კრების (451 წ.) 28-ე კანონით[1]. ამ კანონით, ქალკედონის კრების მამები ახალ კანონს კი არ აყალიბებენ, არამედ ამტკიცებენ მეორე მსოფლიო კრების III კანონს კონსტანტინოპოლის საარქიეპისკოპოსოს უპირატესობაზე და უერთებენ მას სამ პროვინციას. ამგვარად, მამები დარჩნენ ნიკეის კრების მე-6 კანონის ერთგულნი, ამასათანავე აღიარებდნენ რომის ეკლესიის პირველობას (Milash, 2004: 245-247).

ნიკოდიმოს მთაწმინდელი ამ კანონის განმარტებისას მკაფიოდ აღნიშნავს კრებაზე შეკრებილი ეპისკოპოსების მოტივს და მიზეზს თუ რის გამო ხდება პრივილეგიების მინიჭება კონსტანტინოპოლის კათედრისთვის. წინა კრებებიდან დადგენილი კანონების შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ქალაქ კონსტანტინოპოლის, როგორც საიმპერატორო ქალაქის სტატუსი, მსგავსად ქალაქ რომისა, რომელსაც საიმპერატორო ქალაქის გამო მიენიჭა პირველობა. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლი აღიარებულია, როგორც ახალი რომი, მაშასადამე, ძველი რომის მსგავსად, ისიც უნდა სარგებლობდეს ყველა წინარე პრივილეგიით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძველი რომი, რიგის მიხედვით, უნდა ყოფილიყო პირველი, ხოლო ახალი რომი (კონსტანტინოპოლი) კი – მეორე. განსხვავება იყო ასევე საეკლესიო საკითხებშიც – კანონში

[1] „განჩინებაი წმიდისა ამის კრებისაი, რომელი ხმა-ჰყო დიდებულებისათვის საყდრისა წმიდისა ეკლესიისა კონსტანტინეპოლელთაისა. ყოვლით კერძო საზღვრისა წმიდათა მამათაისა შედგომილნი და აწ აღმოკითხულისაცა კანონისა ასერგასისთა ღმრთისმოყუარეთა ეპისკოპოსთაისა, რომელნი შეკრბეს კეთილად მსახურებით მოხსენებულისა დიდისა თევდოსის მეფისა ზე, რომელი იქმნა საყდარსა ზედა კონსტანტინოპოლისასა, ახლისა ჰრომისასა, მეცნიერნი მასვე განვასაზღვრებთ ჩუენცა და განვაჩინებთ დიდებულებათათვის წმიდისა ეკლესიისათვის მის კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა. და რამეთუ საყდარსა უმოხუცებულესისა ჰრომისასა სამეუფოობისათვის ქალაქისა მის სამართლად განუჩინნეს მამათა უაღრესნი პატივნი და ამითვე გულისსიტყვითა აღძრულთა ასერგასისთა ღმრთისმოყუარეთა ეპისკოპოსთა სწორნი პატივნი განუჩინნეს ახლისა ჰრომისა უფროისად წმიდასა საყდარსა, რამეთუ სამართლად საჯეს, რაითა მეფობითა სვინკლიტიკოსობითა პატივცემული ქალაქი სწორი იყოს დიდებულებითაცა საყდრისაითა ძუელისაი მის სამეუფოისა ჰრომისაი და საეკლესიოთა საქმეთა შინა განდიდნებოდის ვითარცა-იგი და მეორე იყოს შემდგომად მისსა. და რაითა პონტოით კერძოთა და ასიელთა და თრაკისა განსაგებელთასა მხოლოდ მიტროპოლიტთა ოდენ ამათ თანა საბარბაროზოთა შინა მყოფთაცა ეპისკოპოსთა პირველმოხსენებულთა მათ განსაგებელთასა ხელნი დაესხმოდინ პირველთქუმულისა მის მიერ წმიდისა საყდრისა კონსტანტინოპოლელთა დიდისა ეკლესიისა, ხოლო თითოეული მიტროპოლიტი ზემოხსენებულთა ამათ განსაგებელთაი ეპისკოპოსთა თანა თვისისა სამთავროისათა ხელდასხმულ ჰყოფდინ ეპისკოპოსთა მის სამთავროისათა, ვითარცა საღმრთონი კანონნი წამებენ. ხოლო ხელნი დაესხმოდინ, ვითარცა ითქუა, მიტროპოლიტთა პირველთქუმულთა ამათ განსაგებელთასა მთავარეპისკოპოსისა მიერ კონსტანტინოპოლელისა ჩუეულებისაებრ ქმნილითა მით გამორჩევითა ერთხმობითითა და მის მიერ მიღებითა სრულებისაითა.“ (იხ. Gabidzasvili, 1975: 275-276).

ნახსენებ სამიტროპოლიტოებსა და ბარბაროსთა ქვეყნებში მიტროპოლიტების ხელდასხმა დაევალა კონსტანტინოპოლის კათედრას (Pedalion, 1886: 173-175).

რომის ეპისკოპოსის უზენაესობის თეზისით კიდევ უფრო გაძლიერდა პაპი ლევ I პონტიკატის დროს. იგი ეყრდნობოდა მსჯელობას, რომ წმინდა პეტრემ უშუალოდ ქრისტესგან მიიღო უფლება მთელ ეკლესიაზე და მხოლოდ იგი დატოვა მის ერთადერთ მემკვიდრედ. ამგვარად, არა ყველა საეპისკოპოსოს, არამედ მხოლოდ პეტრეს, რომის ეკლესიის დამფუძნებელს, დაუტოვა ქრისტემ თავისი „სამეუფოს გასაღები". დასავლეთ საქრისტიანოს ეპისკოპოსები ბარბაროსების შემოსევებისაგან შეშინებულნი და დაუცველნი, მიტოვებულნი იმპერატორისგან, მზად იყვნენ ელიარებინათ რომის პაპის პრიმატი. უფრო რთული იყო აღმოსავლეთის მამების დარწმუნება ამ თეზისის სისწორეში. ლევ I-მა პირველად დაუჭირა მხარი მოსაზრებას, წარმოადგენილს კონსტანტინოპოლის მიერ დოგმატურ საკითხებში, თუმც, ის მიზნად ისახავდა ხაზი გასმოდა პეტრე მოციქულის უზენაესობას. კრებაზე წაიკითხეს ლევ I წერილი, რომელსაც ეპისკოპოსები შეხვდნენ შეძახილით: „პეტრე საუბრობს ლევის ბაგეებით" (Kowalski,1991: 18-19).

ქალკედონის კრება, თავისი მნიშვნელობით, რომის პრიმატის ისტორიაში წარმოადგენს ორლესულ მახვილს. ამ დროს, რომის ეკლესიის ავტორიტეტი ისე ამაღლდა, როგორც არასდროს, თუმც, ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დროს იყო ყველაზე მძიმე დარტყმები მიყენებული რომის პრეტენზიებისათვის (Bolotov, 2006: 295-296).

IV საეკლესიო კრებამ საბოლოოდ განსაზღვრა პირველი საეპისკოპოსოების მმართველობის საზღვრები: კონსტანტინოპოლს – თრაკიის, მცირე აზიის და პონტოს ეკლესიები, იერუსალიმის ეპისკოპოსს – პალესტინის, ანტიოქიის ეპისკოპოსს – თაკიის და არავიის ეკლესიები. ამავდროულად, ყველა ეპისკოპოსს კრებამ მიანიჭა პატრიარქის ხარისხიც. მსოფლიო ეკლესია იმართება ხუთი პატრიარქის მეშვეობით. საეკლესიო კანონმდებლობით პატრიარქებს ურთიერთშეთანხმებულად უნდა ეღვაწათ და არც ერთს არ უნდა ემოქმედა სრულიად ეკლესიის სახელით (Pavliashvili, 2010: 236-237).

საბოლოოდ, დიპტიხის საკითხი განსაზღვრა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების (680-681 წწ.) 36-ე კანონმა,[1] რომელმაც მოაწესრიგა იმ დროის ხუთი უპირატესი ეკლესიის თანმიმდევრობა (რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი). კრების კანონმა

[1] განმაახლებელნი უკუე ას ერგასისთა წმიდათა მამათა ღმრთივდაცვულსა ამას და სამეუფოსა ქალაქსა შინა შეკრებულთა და ექუსას ოცდაათთა ხალკედონს მოსრულთა სჯულსდებისანი განვასაზღვრებთ, რაითა საყდარსა კონსტანტინოპოლისასა სწორი პატივი აქუნდეს მოხუცებულისა ჰრომისა საყდრისაი და, ვითარცა-იგი განდიდნების საეკლესიოთა შინა საქმეთა, მეორე იყოს ესე შემდგომად მისსა, რომლისა შემდგომად იყავნ ალექსანდრიელთა დიდისა ქალაქისაი და შემდგომად მისსა ანტიოქიისა და შემდგომად მისსა იერუსალემელთა ქალაქისაი" (Gabidzashvili, 1975: 386).

პირველ ადგილზე დააყენა რომის ეკლესია, მეორეზე – კონსტანტინოპოლი, მესამეზე – ალექსანდრია, მეოთხეზე – ანტიოქია და მეხუთეზე – იერუსალიმი.

რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის, ხუთივე საყდრის ეპისკოპოსი, ძალაუფლების მიხედვით, სრულიად თანასწორნი არიან, ხოლო პატივის მიხედვით, დგინდება ნორმა დაფუძნებული ზოგად პრინციპზე, რომლითაც სარგებლობდნენ თავად მოციქულები და მათი მემკვიდრეები საუკუნეების განმავლობაში. კერძოდ, საეკლესიო ოლქების დაყოფა ხდებოდა პოლიტიკური დაყოფის შესაბამისად, ასევე პატივი ამა თუ იმ საყდრისა განისაზღვრებოდა, ქალაქის სახელმწიფო მნიშვნელობით, იმით, თუ რომელ ქალაქში მდებარეობდა ესა თუ ის საყდარი (Milash, 2004: 322).

მსოფლიო საეკლესიო კრებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ორი ეკლესიის გამიჯვნის და მათთვის კუთვნილი ადგილის განწესებაში. მსოფლიო კრების მამებმა ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ზოგადად ეკლესიების საზღვრები, ასევე, მათი ადგილი დიპტიხში. თუმც, დასავლეთის მხრიდან, აქაც ადგილი ჰქონდა უკმაყოფილებას – ზოგი კანონი საერთოდ არ აღიარეს, ზოგი კი აღიარეს მოგვიანებით. ასევე, რამდენიმე კანონი გააყალბეს და სასურველი მნიშვნელობით განმარტეს, რამაც, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღო. მსოფლიო კრებებმა მიიღეს მართებულად ის კანონები, რაც აუცილებელი იყო ეკლესიისთვის. მიუხედავად მსოფლიო კრებების დიდი ავტორიტეტისა, რომის ეკლესია, მაინც არ ეგუებოდა მის აღიარებას, რამაც საბოლოოდ გამოიწვია რომის ეკლესიის გათიშვა, მისი გამოყოფა მართლმადიდებლური სამყაროსგან და დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიად ჩამოყალიბება.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Bolotov B. Lekcii Po Istorii Drevnei Cerkvi, T. III, Sankt-Peterburg, 2006.
2. Lozinsky C. Istoria Papstva, Moskva, 1986.
3. Milash N. Pravila Sviatoy Pravaslavnoy Cerkvy s Tolkovaniami, Moskva, 2004.
4. Pavliashvili K. Qristianobis Istoria, Tbilisi, 2010.
5. Pheidas B. Ekklisiastiki Istoria. Athinai, 2002.
6. Schaff P. History of the Christian Church, Vol. I, New York, 1872.
7. Theologia 53, En Athinai, 1982.
8. Gabidzashvili E., Didi Sjulis Canoni, Gamomcemloba Mecniereba, 1975.
9. Gergey E. Istoria Papstva, Moskva, 1996.
10. Grabbe G. Canoni Pravaslavnoi Cerkvi, Electrolnaia Biblioteka Profilib © 2012–2016.
11. Hieromonk Agapios, St. Nikodemos, Pedalion, En Athinais, 1886.
12. Kartashev A., Vselenskie Sabori, Moskva, 1963.

13. Kowalski J., Papi I Papstva, Moskva, 1991.
14. Volkonsky A. Katolichestvo, Paris, 1933.
15. Zadvorny B. Istoria Rimskikh Pap, T. I, Moskva, 1995.

Avtandil Tsereteli

THE ISSUE OF THE STRUGGLE FOR PRIMACY OF ROME AND CONSTANTINOPLE CHURCHES AT THE ECUMENICAL COUNCILS

Summary

The paper deals with the issue of primacy of Rome and Constantinople churches at the Ecumenical Councils. The Ecumenical Councils played a major and important role in the development of church doctrine as a dogmatic point of view, as well as institutional - administrative. Sensitive issue was to determine the relationship between the two churches of Constantinople and Rome. The same propension to monarchical unity, which created out of the episcopate a centre, first for each congregation, then for each diocese, pressed on towards a visible centre for the whole church. Primacy and episcopacy grew together. In the present period we already find the faint beginnings of the papacy, and with them, too, the first examples of earnest protest against the abuse of its power. From the middle of the fourth century the new patriarch of Constantinople or New Rome, arose to the primacy among the eastern patriarchs, and became a formidable rival of the bishop of old Rome. Despite the authority and decisions of the Ecumenical Councils, Rome finds it difficult to grasp a new reality and it does its best effort to achieve the recognition of being supreme authority over all the churches not only with honor but with power.

ანნა არველაძე

რელიგია და მუსიკა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

ადამიანს აქვს სხვადასხვა უნარი, ჰქმნის ან გარდაქმნის უკვე არსებულს და მისი ფსიქიკისათვის მისაღებ ესთეტიურ სახეს აძლევს მას. ერთ-ერთი ასეთი უნარია ღვთის შემეცნება, სადაც განსაკუთრებით იკვეთება ადამიანის სულიერი სამყარო და ზნეობრივი პრინციპები.

ზნეობრივი ფუნქცია გასდევს და მსჭვალავს ქრისტიანული რელიგიის ყველა მხარეს, ორგანულად ერწყმის მას, რის გამოც დასავლეთის მოაზროვნეები აიგივებენ მორალურ დოქტრინასთან, მაგრამ ქრისტიანული რელიგია ყველა თავისი ფუნქციით მიმართულია იმისაკენ, რომ გონივრულ საზღვრებში ჩააყენოს ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრება, რომელიც გამომდინარეობს საღვთო სჯულის მსოფლმხედველობრივი და სოციალური წანამძღვრებიდან. იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კაცობრიობის კულტურულ ღირებულებათა იერარქიაში (Kodua, 1995: 5).

ქრისტიანული რელიგიის წარმოშობაზე ყველგან ვხვდებით განმარტებას იმის თაობაზე, რომ ღმერთი საიდუმლოა და ღვთის შემეცნება ნიშნავს ეზიარო ამ საიდუმლოს, რომელიც ამის შედეგად კიდევ უფრო იდუმალი ხდება (Berdiaevi, 1990: 462).

ქრისტიანული კულტურა აქცენტირებულია სულიერებისაკენ და შორს არის მიწიერი ემპირიული შტრიხებისაგან.

წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ გავიგოთ მუსიკის ფსიქოლოგიური დატვირთვა ღვთისმსახურებაში. კონკრეტული ამოცანაა განვსაზღვროთ: 1. მუსიკის შესრულება და მოსმენა შთააგონებს თუ არა უზენაესის არსებობას, თუ ამძაფრებს მისკენ სწრაფვის სურვილს და რწმენას; 2. წარმოადგენს თუ არა ღვთისმსახურება ინსპირაციის წყაროს მუსიკის შესაქმნელად.

ღმერთის შემეცნებას ადამიანის მიერ ყოველთვის ჰქონდა სიტყვით აღუწერელობის საფუძველი. სტრუქტურული აღუწერელი შეგრძნება შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ინტუიციურ აღქმაში ინტელექტუალურის საპირისპიროდ. რომც შეეცადო, თეორიულად, მეცნიერულად ვერ ახსნი ღვთისმეტყველებას. რაც უფრო ცდილობ საიდუმლოს ამოხსნას, მით უფრო შორდები მას. იგივეა სამუსიკო საშემსრულებლო ხელოვნებაშიც. ადამიანის ტვინის ის ნაწილი, რომელიც აიძულებს მას ინტუიციურად მიაგნოს მუსიკის სწორ ინტერპრეტაციას, ვვარაუდობთ, ტვინის იგივე ნაწილი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი უზენაესის შეცნობაზე (Stakelum, 2012: 5).

ვინაიდან მუსიკა დროში მიმდინარე პროცესია, თავისი სტრუქტუ-

რით გავს სიტყვიერ თხრობას, ეს ადამიანის ტვინს აიძულებს იფიქროს, რომ იგი რაღაცას გვიყვება, გვეუბნება და რაღაცისკენ მიგვითითებს. მუსიკა გვაიძულებს ჩავუღრმავდეთ საკუთარ შეგრძნებებს და მივიჩნიოთ ეს შეგრძნებები მნიშვნელოვნად.

ბევრი რელიგიის ტრადიციაში ადამიანი ელოდება და მზად არის, რომ ღმერთი რაღაცაზე მიუთითებს, რომ ღვთიური ძალა გამოუგზავნის მას ღვთიურ მინიშნებას. ქრისტიანები ელიან, რომ ღმერთი აუცილებლად მივა მათთან და გონებას გაუნათებს. ზოგიერთ კულტურაში ადამიანები ფიქრობენ, რომ ამგვარი ღვთიური მინიშნება შეიძლება სიტყვიერად იქნას გადმოცემული. ასევე, ამგვარი მინიშნება შეიძლება წამოვიდეს შეგრძნებებით, საკუთარი გამოცდილებით და მოგონებებით. ამასთანავე, შეიძლება ვიმსჯელოთ მუსიკასთან დაკავშირებულ მინიშნებებზეც (Stakelum, 2012: 7).

მუსიკა, რომელიც ჩვენს ყურადღებას მიმართავს საკუთარი შეგრძნებებისაკენ, ფაქტობრივად, ხელს უწყობს იმგვარი სიტუაციის შექმნას, როდესაც ჩვენ შევიგრძნობთ მინიშნებებს და, ერთი მხრივ, მზად ვართ ვეზიაროთ ღვთიურ საიდუმლოს, მეორე მხრივ, ღვთიური მინიშნება შეიძლება გახდეს მუსიკის ინსპირაციის წყარო.

ამ მხრივ საინტერესოა ი. ს. ბახის შემოქმედება. ბახი მომავალი თაობებისათვის არ წერდა მუსიკას და, არც იმაზე ზრუნავდა, რომ თანამედროვეებს ეცნოთ მასში დიდი კომპოზიტორი და ბუნებრივად მიაჩნდა ის, რომ მათთვის იგი პირველ რიგში კლავირზე და ორღანზე საუკეთესო შემსრულებელი იყო. „მუსიკა მისთვის ღვთისმსახურება იყო, ხელოვნება კი – რელიგია. ამიტომაც ამ ხელოვნებას არაფერი ჰქონდა საერთო არც ამ სოფელთან და არც ამქვეყნიურ წარმატებასთან“, – წერს ბახზე შექმნილი გენიალური წიგნის ავტორი ალბერტ შვაიცერი (Shveicer, 1965: 121). ი. ს. ბახი თავისი ნაწარმოებების ბოლოში წერდა: S.D.G.-Soli Deo Gloria (ერთარსებასა ღმერთსა დიდება), ან J J- Jesujuva (იესო მიშველე).

ძველებური მუსიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეოლოგიურ წარმოდგენებთან. ეს კავშირი სიმბოლიკით გამოიხატებოდა – მელოდიური წარმონაქმნების, სივრცითი წარმოდგენების, ფერწერული, სანოტო გრაფიკის, რიცხვების, ასოების სიმბოლიკით (Khodjava, 2010: 187).

იოჰან გოტფრიდ ვალტერი, პირველი გერმანული მუსიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონის (1732) ავტორი, ამ ლექსიკონში წერს, რომ ბახი გაოცებული იყო იმით, რომ მისი გვარი მუსიკალურია – შედგება ბგერებისაგან: BACH (სი-ბემოლ, ლა, დო, სი), და თანაც მოტივი BACH გრაფიკულად კათოლიკურ ჯვარს გამოსახავს. ბახის მუსიკის განმწმენდი, ამამაღლებელი, დამამშვიდებელი, შეიძლება ითქვას, სულის მკურნავი ძალა ამ მუსიკის ღვთივსულიერებაშია. ბევრი ადამიანი თვლის, რომ ბიბლიის კითხვის შემდეგ მსგავს ზემოქმედებას ადამიანზე ვერაფერი ვერ ახდენს! „თითქოს მარადიული ჰარმონია ესაუბრება თავის თავს ღმერთზე, სამყაროს შექმნის წინ. იგივე იყო ჩემს სულშიაც, მე ვერ ვგრძნობდი და თითქოს არ გამაჩნდა არც ყურები, არც თვალები, არც გრძნობის სხვა ორგანოები“, – წერდა გოეთე ბახის მუსიკაზე (Shveicer,

1965: 178)

საგალობლების შექმნაც მიმართულია ადამიანის შეგრძნებების კონცენტრირებაზე – ადიდოს ღმერთი.

პატრისტიკა გვასწავლის, რომ მუსიკა ღვთაებრივი სიბრძნის უკეთესი შეცნობის საშუალებაა. ერთ-ერთი ღვთისმეტყველის აზრით, ღმერთმა დაინახა, რომ ბევრი ადამიანი უხალისოდ კითხულობდა სულიერ დარიგებებს და შეურია მელოდია წინასწარმეტყველებას და ყველანი აღტაცებულნი მელოსის სიმწყობრით, დიდი მონდომებით აღავლენდნენ მის სადიდებლად საღვთო ჰიმნებს.

მუსიკა-გალობა განუყოფელია ღმერთის ბუნებისაგან, იგი გადმოფრქვევაა ღმერთის ბუნებისა, მუსიკა ჩვენი სამყაროს ისეთი მოვლენაა, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოსცემს რელიგიურ ზეშთაგონებას, უსასრულობის გრძნობას. იოანე ოქროპირის თქმით მუსიკა ღმერთის ქმნილებაა, ხოლო ბასილი კესარიელის სიტყვებია: „ოჰ, მასწავლებლის ბრძნულო ქმნილებავ!“ (Gercman, 1988: 38).

ადრეულ პერიოდში, როცა ქრისტიანობა მკვიდრდებოდა საქართველოში, ეკლესიები იგებოდა აკუსტიკური კანონების მიხედვით, ლიტურგიისა და გალობისათვის დანიშნული ადგილი ამაღლებული იყო და გამოცალკევებული მლოცველთაგან. ტაძრებში ასწავლიდნენ ხელსაქმესა და გალობას. V საუკუნემდე იმართებოდა კრებანი, სადაც საზეიმო ვითარებაში კითხულობდნენ რეჩიტატიულად საღვთო წერილს, აქედან განვითარდა ქადაგებანი. გალობა IV საუკუნეში მკვიდრდება ქრისტიანულ ეკლესიაში. მოგვიანებით ბიზანტიის კეისარმა ბასილი დიდმა და იოანე ოქროპირმა შეიმუშავეს ლიტურგიკა (Gvakharia, 1962: 9).

ზოგადად მუსიკაში, მუსიკალური ნიუანსების შეგრძნება არ ითხოვს, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შესაბამისი მუსიკალური განათლება. ბგერებს შორის უმცირესი ტონალური განსხვავებებია, მიუხედავად ადამიანის ტვინის შეზღუდვებისა, მაინც შეგრძნებადია თითოეული ნიუანსი, მაგრამ შეუძლებელია მათი შეცნობა და დახასიათება. ამგვარადვეა ადამიანი ღვთისმსახურების პროცესში, შეიგრძნობს გასხივოსნებას, თუმცა მისთვის შეუძლებელია ახსნას, რა ახალ ნიუანსს, ახალ განცდას ეზიარა. მუსიკას საკუთარი ნიუანსებით შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ტვინში ამგვარი გასხივოსნება და სწორედ ეს ძალა ეხმარება ადამიანს უზენაესის შეგრძნებაში.

ხელოვნება წმინდა ინდივიდუალური, განუმეორებელი და შეუცნობელი ფენომენია. ყველა დიდი ხელოვანი ერთნაირად აღიარებს რომ შემოქმედება, რომელიც ღვთის წყალობას წარმოადგენს, არ შეუძლიათ ახსნან, თუ რა პროცესია, როგორ იბადებიან და ერთდებიან მათ თავში ფანტაზიით სავსე და აზრით მდიდარი იდეები, ვინაიდან მათ თვითონაც არ იციან საიდან და როგორ, არც არაფერ შუაში არ არიან.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოცარტის ჩანაწერები და მოსაზრებანი ნაწარმოების შექმნის პროცესზე, კომპოზიტორის უნარზე, რომ ერთი გასხივოსნებით, შინაგანი ხედვით, დაინახოს ერთიანი კომპოზიცია ისე, როგორც მხატვრული ტილო. ნიმუშად მოვიყვანთ ნაწყვეტს

მოცარტის წერილიდან: „თუ განწყობაზე ვარ, ეტლში ვზივარ თუ ფეხით ვსეირნობ, ანდა უძილობისას, აზრთა მრავალი ნაკადი მეუფლება. საიდან და როგორ ამაზე ვერ გიპასუხებთ. მე ჩემს წარმოდგენაში ერთდროულად მესმის და ვხედავ მთელს ნაწარმოებს. ეს არის ტკბილი სიზმარი, მაგრამ ჭეშმარიტი ტკბობა იმაშია, რომ მე შემწევს უნარი ყოველივე ეს მოვისმინო ერთბაშად, მომენტალურად, რასაც ამგვარი ფორმით დავიჭერ, არასოდეს არ მავიწყდება და უდიდესი სიმსუბუქით გადამაქვს ქაღალდზე და აი, სწორედ, ამაშია ის ყველაზე დიდი ნიჭი, რომლითაც მე დამაჯილდოვა განგებამ“ (Zvancov, 1956: 105).

როდესაც ეკლესიაში იკრიბებიან ადამიანები და ერთად ლოცულობენ, ან მღერიან საგალობლებს, ეს სოციალური აქტივობა აძლიერებს რწმენას, რომელიც საკუთარ თავში, გარდა რწმენისა, იმედს გისახავს, რაღაც განსაკუთრებულ ძალას გმატებს და მზად ხარ ღვთის მსახურებისთვის. ეს ერთად შეუქცევადი პროცესია, მუსიკას აქვს უამრავი ნიუანსი ისევე, როგორც ღვთის მსახურებას, რომელსაც გამოსახატავად სულაც არ სჭირდება სიტყვები. რწმენა და სოციალური აქტივობა აძლიერებს როგორც შემოქმედებით პროცესებს, ასევე ღვთის შეცნობას.

ლიტერატურა:

1. Berdiaev N. Samopoznanie. B cb.: Opiti. Moskva, 1990.
2. Gvakharia V. Qartul Musikalur Sistemata Ganvitareba., Khelovneba, Tbilisi, 1962.
3. Gercman E. Bizantiiskoe Musikoznanie., “Musika”, Leningrad, 1988.
4. Kodua L. Qristianuli Religiis Zneobrivi Funqcia., Tbilisi, 1995.
5. Khodjava R. Selected Works. Tbilisi, 2010.
6. Stakelum M. Music and the Mind: Essays in Honor of John Sloboda, M.E.R., 2012.
7. Shveicer A. Iohan Sebastian Bach., Musika. Moskva, 1965.
8. Zvancov K. O Musikalnom Tvorchestve Mozarta. Moskva, 1956.

Ana Arveladze

RELIGION AND MUSIC AS A FORM OF PUBLIC CONSCIOUSNESS

Presented by Religion Studies Institute of Religion Studies at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Man's knowledge of God helps people perceive the world better. Ability to do so reflects a person's inner world and moral principles, it is mysterious and intuitive. This can't be explained theoretically or scientifically. More you're trying to disclose this secret, further you're getting from it. They think that it's the same in case of music. Catching the nuances of the music does not require special education, just like worshiping lord, and during this process a person gets a feeling of enlightenment and internal peace, but they can't explain what this new feeling is. The biggest musical geniuses write about this magical connection between the art and the faith in god, which can only be perceived and not explained scientifically.

ელენე გეგეშიძე

ადამის ენა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

სამყარო ინტელიგიბელური რომ არ ყოფილიყო, არც ღმერთის არსებობას ექნებოდა აზრი. სამყაროს შემოქმედი, მისი ანი და ჰოე (საწყისი და სასრული) არა მხოლოდ ჰქმნიდა სამყაროს ექვს დღეს, განსჯიდა კიდეც. მთელი სინამდვილის ხილული თუ უხილავი აზრის განსჯა ენის საშუალებით ხდება. იოანე პეტრიწის მიხედვით, სიტყვა (ენა) ღმერთის თანაზიარია: „ვინაი თუ სიტყუა მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრა თანამებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი, და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამისშორისი, რომელ არს დასაბამი თვისი – შორისისა სიტყვისაი, ვითარ დისკოი, თუალი მზისაი შარავანდედთად“ (Enuqashvili: 1961, 219). ქრისტიანული მოძღვრება, სამყაროს ღვთაებრივ ერთიანობას თავის თავში მოცემული სამი იპოსტასის ურთიერთდამოკიდებულებაზე აფუძნებს, მამა-ღმერთის (უსაწყისო საწყისის), ძე-ღმერთის (ლოგოსის, სიტყვის) და სულიწმიდის (სიცოცხლის შემქნელის, შემოქმედის). ტრინიტეტი სამყაროს შექმნაში მონაწილეობს შემდეგი ფორმულით: ყველაფერი მამა-ღმერთიდან მომდინარეობს, მან შექმნა ყოფიერება ძე-ღმერთის გავლით, რომელიც არის აზრობრივი გაფორმება მთელი სინამდვილისა. ქრისტიანობის თანახმად, სამება არის ერთარსება, სამებაში არ ხდება ერთმანეთისადმი დაქვემდებარება, ამიტომ სამყაროს შექმნაში მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა ერთნაირად იღებენ მონაწილეობას, როგორც ერთარსება. ამდენად, ლოგოსი, სიტყვა არის ქრისტიანობაში ამასთანავე პირველადი, შემოქმედი, **„პირველთაგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“** (Sakhareba ioanesi, 1989, 1-3). ღმერთის ქმნადობით ენა და სამყარო ურთიერთღრმა თანაზიარობას განიცდის და ენის უმთავრესი დანიშნულებაა მოგვცეს ნიშანი, რომელიც რაიმესაც აღნიშნავს და ამავე დროს, მის გარშემო სხვა ნიშნებსაც განათავსებს.

ბიბლიის თანახმად, **„ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისსა“**. გამომდინარე აქედან, ქმნილსა და მის შემოქმედს შორის აუცილებლობით განთავსდება არა **იგივეობის**, არამედ **მსგავსების** ნიშანი. აღნიშნული საკითხი, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ „ადამიანობის“ იდეა იყოს გამოყენებული ღმერთისათვის, მის გასაპიროვნებლად, არამედ თვითონ ღმერთი არის ერთადერთი სრულყოფილება, წმინდა პერსონა. ის, რასაც ადამიანი ეწოდება, არის მხოლოდ მსგავსი ღვთაებრივის, და ამდენად, მსგავსმა მსგავსი უნდა შეიმეცნოს, სხვაგვარად შემეცნება ვერ განხორციელდება. წარმოდგენილი თეზისი ნეოპლატონ-

ური ფილოსოფიის გნოსეოლოგიური თეორიის ქვაკუთხედია. მსგავსება, უდაოდ, სხვა არაფერია თუ არა მინიშნება ერთი საგნის მეორეზე, ნიშანი არ არსებობს მსგავსების კატეგორიის გარეშე.

მსგავსება (ფუკოსეულ მხატვრულ განზომილებაში) სამყაროს დიდი მდუმარე სარკეა, რომელიც მიგვანიშნებს და გველაპარაკება, სამყარო უკიდეგანოდ გადაშლილი წიგნია, რომელიც გადატვირთულია გრაფიკული გამოსახულებებით, მთელი ფურცლები დაფარულია უცნაური ფიგურებით, ხაზებით, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ და ზოგჯერ მეორდებიან, მხოლოდ მათი გაშიფვრაა საჭირო. „ნუთუ ჭეშმარიტება არ არის, ის რომ ყველა ბალახი, ხე და სხვა, რაც მიწის წიაღიდან აღმოცენდება, თავისთავად არის წიგნი და მაგიური ნიშანი“ (Grolius Treite des Signatures); „სამყარო შეიძლება შევადაროთ ადამიანს, რომელიც ლაპარაკობს, როგორც მისი (ადამიანი) გაგების ფარული მოძრაობები ვლინდება ხმაში, ისე ბალახებიც, თითქოს ესაუბრებიან ცნობისმოყვარე ექიმს, თავიანთი ნიშნებით უხსნიან მას თავიანთ შინაგან სასიკეთო თვისებებს, რაც დაფარულია ბუნების სიჩუმის საფარველქვეშ“ (Fuko, 2004: 60). სამყარო თავისი ენით მეტყველებს, „რაც კი რამ დაუბადია, უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს არა ყოფილა ურჯულო“ (Baqradze, 1972: 300). ნიგვზის კაკალსა და ადამიანის თავის ტვინს შორის ანალოგია არსებობს. ნაყოფის ნაჭუჭი ისე ფარავს კაკლის გულს, როგორც თავის ტვინის ძვალი. ნაჭუჭის მწვანე წენგო „თავის ქალას ძვლის საზრდულას ჭრილობებს აშუშებს“, ხოლო თავის ტკივილებს თავად კაკლის გული კურნავს, „რომელიც ფორმით ზედგამოჭრილი ტვინია“ (Fuko, 2004: 61). მსგავსების ნიშანი და ის, რაც მას ხდის ხილულს, უბრალოდ ანალოგიაა, ამოცნობის შიფრი პროპორციაში ძევს.

მაცხოვრის სამოძღვრო ენა მოწაფეებთან სიმბოლური ნიშნებით არის გაჯერებული, ამით უფალი ადამიანებს იმასაც ეუბნებოდა, რომ სამყარო ერთი მთლიანობაა, რომ ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს და არც ჰგავს, ზეცა დედამიწის სარკეა და დედამიწა – ზეცის, ისინი ერთმანეთს აირეკლავენ და ადამიანს სიმბოლო-ნიშნის სახით ეცხადებიან, ანუ როგორც ფუკო იტყვის, სამყარო მსგავსებისა და განსხვავების ნიშნით მიმდინარეობს. მაცხოვარი ადამიანებს ალეგორიებით ესაუბრებოდა, როცა ერთის თქმა მეორესაც გულისხმობს და სხვა რამეზე მიგვანიშნებს. ალეგორიული საუბარი კი სიმბოლო-ნიშნის გამოყენების გარეშე არ ხდება. **„და მოუხდეს მოწაფენი (ქრისტეს) და ჰრქუეს მას: რაისთვის იგავით ეტყვი მათ? (მათ, 13;10). ხოლო თავად მან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობა საიდუმლოი სასუფევლისა ღმრთისაი, ხოლო სხუათა – იგავით, რაითა ხედვიდნენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისხმა ყონ“** (ლუკა, 8; 10), ეს არის ის, რასაც თანამედროვე ფილოსოფია ხილულის ღრმა უხილავობას უწოდებს (Fuko, 2004: 47). ლაიბნიცის მიხედვით, „ღვთაებრივი სრულყოფილებანი ყველა საგანშია მოცემული ფარული სახით, მაგრამ მხოლოდ მცირეოდენთ თუ უწყიან, იპოვონ ისინი“ (Bichashvili, 2005: 261).

უფლის ათორმეტ მოწაფეთ უფლისმიერი სამყარო უშუალო განც-

დაში, მისტიურ ხედვაში ეძლევა, მოკვდავთათვის სამყარო მყოფობაა, რომლის გამოსაცნობად ღმერთმა, შემოქმედმა ყველაფერს გარეგნული და ხილული ნიშნები დაუწესა. ღმერთი ყველგანაა და ყველაფერში იცნობების „... სოფელსა შინად, სოფლისა გარეთ, სოფლისა ზეშთად, ზეშთაცად, ზეშთაარსებისად, მზედა, ვარსკვლავად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კლდედ, ყოვლად“ (Enuqashvili: 1961, 12). და ამიტომ „ყოველივე არსთა შინა ყოფაი მისი ითქუმის“, მაგრამ, ამავე დროს, ღმერთი როგორც პირველმიზეზი, ზეაღმატებულია შედეგზე; როგორც შემოქმედი – ზეაღმატებულია ქმნილზე და მის მიღმა სუფევს. ამიტომ იგი „არარაი არს არსთაგანი, არცა რაის არსთაგანისა შორის იცნობების“ (Enuqashvili, 1961: 72).

ფსევდო-დიონისე არეოპაგელს პირველმიზეზის ჭეშმარიტი არსის განსასაზღვრად შემოაქვს ცნება ზეშთაუცნაური. ამ ტერმინში ჩადებულია ადამიანის სიბრძნის უკანასკნელი მარცვალი. ეს არის ენის შესაძლებლობის მიჯნა, რომლის იქით მხოლოდ დუმილია. ზეამაღლებულის, ზეშთაუცნაურის რაობასთან შერწყმა, საცნაურისა და უცნაურის, ერთიანობა უსრულესად გაცხადდა იესოს განსხეულებაში.

XVI საუკუნეში, იტალიური ნატურფილოსოფიის წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ სამყაროში არსებულ საგნებზე დასკვნების გაკეთება ანალოგიით იყო შესაძლებელი. ბუნება, – წერდა კამპანელა, არის წიგნი, რომელშიც ღვთაებრივმა გონებამ თავისი აზრები გამოხატა. იგი ცოცხალი სარკეა, რომელშიც ღვთაების სახეა არეკლილიო (Baqradze, 1972: 27). როგორ ირეკლავს ბუნების ცოცხალი სარკე ღმერთის აზრებს და როგორი იყო ან ეხლა როგორია აზრების მატარებელი ენა? ღმერთმა ჩვენი გონიერების განსავითარებლად ბუნება თავიდანვე სისტემებში განწესრიგებული ნიშნებით აღავსო და შემდეგ ისტორიულ ცვალებადობათა პირბადე გადააფარა, რასაც ჩვენ, ადამიანები, კულტურას ვუწოდებთ.

ადამის ენას (Lingua Adamica) XVI საუკუნის მისტიკოსი იაკობ ბოემე იკვლევდა. ფილოსოფოს მამუკა ბიჭაშვილის თანახმად, „ადამის ენის გამოთქმების ბგერითი ფორმა ახორციელებს პირდაპირ რეფერენციას საგანთა არსებაზე. ამიტომ ყოველგვარი ხელახალი სახელდება, გულისხმობს საგნებისათვის საფარის ჩამოხსნის მისტერიას და დაბრუნებას „ბუნებრივ ენასთან“. საგნობრივი სამყაროს ყოველი ნივთი, ფენომენი არის მხოლოდ ნიშანი და აღნიშვნა შინაგანი ესენციალური (აუცილებელი) სამყაროსი და თუ მოხერხდა გარეგანი საფარის გარღვევა, შეღწევა შინაგან ესენციალურ არსებობის წესთან, ამით ვეზიარებით ენას, რომელზეც ლაპარაკობდა ღმერთი. ეს ენა, როგორც ამას იუწყება ბიბლიაში ფსალმუნი, ამჟამად ცოცხალია და მას იცნობს ბუნების ყველა ქმნილება ადამიანის გარდა, რომელმაც ბაბილონის შემდეგ, საკუთარი ცოდვების გამო მიივიწყა ეს ენა“ (Bichashvili, 20: 158).

„ებრაული ენა ინახავს, ნამსხვრევთა მსგავსად, თავდაპირველ სახელწოდებათა აღნიშვნებს (მარქუე). პირველი სიტყვები, რომლებიც ადამმა წარმოთქვა ცხოველების სახელებად, დღემდე შემორჩა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, რომლებსაც არსებათა შეუცვლელი

თვისებები დღემდე შეიცავენ ცოდნის ფრაგმენტის მსგავსად; მაგალითად, ცხენის სახელს ჰას შეეწყო ზმნა ჩასსას; ალბათ, თავად ზმნა მომდინარეობს ამ სახელწოდებიდან და აღნიშნავს „ამაღლებას“, რადგან ოთხფეხა ცხოველთაგან იგი ყველაზე გულადი და ამაყია, როგორც ამის თაობაზე მიგვანიშნებს „იობის წიგნების“ 39-ე თავი. ეს მხოლოდ ფრაგმენტული გადმონაშთია. ის, რაც მხოლოდ ებრაულმა შეინარჩუნა სხვა ენებმა დაკარგეს. რომ ოდესღაც იგი იყო საერთო ენა ღმერთისა, ადამიანისა და, აგრეთვე, ახლად შექმნილი მიწის ცხოველებისა“ (Fuko, 2004: 71). ასეთია მიშელ ფუკოს წარმოდგენები პირველქმნილი ადამის ენაზე, რომელიც მისი აზრით, კაცობრიობას ფრაგმენტების სახით შემორჩა.

ბოემეს მიერ ადამის ენის აღმოჩენის მცდელობასა და მის რესტავრაციას საეჭვოდ განიხილავდა ლაიბნიცი: „თუკი ვინმე იპოვნის ამ ენას, იგი იპოვნის ბუნების საიდუმლოებასაც და საგანთა თვისებასაც. მაგრამ არავის, ეპარება ეჭვი, რომ ეს აშკარა ილუზიაა“ (Bichashvili, 2005: 158). მიუხედავად ლაიბნიცის მიერ გამოთქმული ეჭვისა, მას მაინც მიაჩნდა, რომ ენის წარმოშობის საკითხის გადაჭრას თავისთავად მოჰყვებოდა ენასთან დაკავშირებული სხვა პრობლემის გადაწყვეტაც. მაგრამ ზოგადი შემეცნების თეორიული თვალსაზრისით, ეს იყო მაინც დაუსაბუთებელი ჰიპოთეზა, რადგან გნოსეოლოგიური თეორია ერთმანეთისაგან მკაცრად მიჯნავს, გენეზისურ და სისტემატურ პრობლემას. ფილოსოფია ვერ დასჯერდება და შემოიფარგლება მხოლოდ მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ამსახველი ფაქტების ცოდნით. შემეცნება პლატონისეულ განსაზღვრებას უნდა ითვალისწინებდეს, რომლის თანახმად, ფილოსოფიური მეცნიერება მუდამ არსის შემეცნებაა და არა ქმნადობის. და ამდენად, ფილოსოფიის ისტორიაში, თუ გვსურს ვიპოვოთ არიადნეს ძაფი, რომელიც ენის ლაბირინთებში გაგვატარებს და მოახდენს გარეგანი საფარის გარღვევას, ეს უპირველესად, შესაძლებელია პარმენიდეს მოძღვრებით, რომლის თანახმად არსი არის და არ არსი არ არის. პარმენიდე ამტკიცებდა, – ყველაფერი არის ერთი, ერთი და იგივეა აზრი და არსი, არსი და ღმერთი, ღმერთი და აზრი, ე.ი. ყველაფერი არის ერთი (Tsereteli, 1968: 105-109). დილსის მიერ წარმოდგენილი პარმენიდეს ფილოსოფიის მე-5 ფრაგმენტის (H. Diels, Fragmente der Vorsok ratiker) თანახმად, „ერთი და იგივეა ის, რაც გაიაზრება და ის რაც არის“, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პარმენიდეს აზრით, რაც მოიაზრება არის არსი და არსი მოიაზრება. არსი არის ის, რაც აზრით მიიწვდომება. მე-8 ფრაგმენტის მიხედვით, „აზროვნება და ის, რისთვისაც აზრი არსებობს, ერთი და იგივეა“. არისტოტელე იონელების ფილოსოფიას პარმენიდესაგან განასხვავებდა იმით, რომ იონელები იკვლევდნენ საგანთა არსს „ნივთიერების მიხედვით“ პარმენიდე კი ეძებდა საგანთა არსს „აზრის მიხედვით“, მაშასადამე, პარმენიდეს არსი, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული აზრია, რომელსაც ჩვენი აზრი წვდება. პარმენიდეს დამსახურება იყო ის, რომ მან ბერძნები აბსტრაქტული აზროვნების გზაზე გაიყვანა, გაანთავისუფლა გონება გარეგან ფაქტებზე მიმართულობისაგან და მისი აზროვნების შედეგები გრძნობად აღქმაზე მაღლა დააყენა.

კვლავ მოვუბრუნდებით XVII საუკუნის ფილოსოფოსებისა და მისტიკოსების მცდელობას აღმოეჩინათ ადამის ენა და აღვნიშნავთ, რომ ენის ჭეშმარიტ ერთიანობას თუ დავუშვებთ და მივანიჭებთ არსებობას, მაშინ იგი ფუნქციური უნდა იყოს და არა სუბსტანციური, რაც გულისხმობს ფორმალურსა და არა მატერიალურ იდენტობას. ფუკოს მიხედვით, „დრო, რომელიც წარმოშობს ენას, ილექება მათში და ცვეთს მათ, იგივე დრო მეტყველებას გარდაქმნის დისკურსად, ვიდრე მას ადამიანი წარმოთქვამდეს“. ენა ერთბაშად იძენს საკუთარ არსებობას და სწორედ ეს არსებობა შეიცავს იმ კანონებს, რომლებიც ენას მართავენ. ღმერთი არა იმდენად ჩვენი ცოდნის მიღმაა, რამდენადაც ჩვენივე ფრაზების წიაღში; და თუ დასავლეთის ადამიანი ღვთისაგან განუყოფლად გრძნობს თავს, ეს არა დაუძლეველი სწრაფვის გამო, გადალახოს ცდისეული საზღვრები, არამედ იმიტომ, რომ თავად მისი ენა მასში გამუდმებით აღვიძებს ღმერთს თავისივე (ენისავე) კანონების კალთებქვეშ. XVI საუკუნეში სამყაროს (საგნების და ტექსტების) ინტერპრეტაცია მიემართებოდა ღვთიური სიტყვისაკენ, რომლის საშუალებით იშიფრებოდა ეს ყოველივე; ჩვენი ინტერპრეტაცია კი, ყოველ შემთხვევაში ის, რაც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, მიემართება ადამიანიდან, ღმერთიდან, შემეცნებიდან ან ქიმერებიდან სიტყვებისაკენ, რომლებიც მათ შესაძლებელს ხდიან; და ის, რაც ამგვარ პროცესში აღმოჩნდება, იქნება არა პირველადი დისკურსის სუვერენობა, არამედ ის ფაქტი, რომ ჩვენ რაიმე სიტყვის წარმოთქმამდეც ვემორჩილებით და გამსჭვალული ვართ ენით.

ამგვარად, თანამედროვე კრიტიკა კომენტარის გამოყენების უცნაურ გზას გვთავაზობს: „ყოველი ახსნა, კომენტარი მიემართება არა ენის არსებობის კონსტანტაციიდან იმის აღმოჩენისაკენ, რასაც იგი აღნიშნავს, არამედ აშკარა დისკურსის განვითარებიდან ენის გამოვლენისაკენ მისსავე საკუთარ არსებობაში“ (Fuko, 2004: 361-362).

ამით აიხსნება ის, რომ XIX საუკუნეში ენობრივი არსის კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა – აზრის ფორმალიზაციისა და არაცნობიერის აღმოჩენისაკენ, რომლის სათავეში ბერტრან რასელი და ზიგმუნდ ფროიდი დგას. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფენომენოლოგიური სწრაფვა წმინდა ფორმათა (არსის) გამოსავლენად, რომლებიც ჯერ კიდევ ყოველგვარ შინაარსამდე იძულებით ეხვევა თავს ჩვენს არაცნობიერს. სწორედ აქ პოულობს სტრუქტურალიზმი და ფენომენოლოგია საერთო სივრცეს და ადგილსამყოფელს. და ამდენად, ენის ფორმალიზებული კვლევის შედეგად ენა მყარად დამკვიდრდა ფილოსოფიურ სივრცეში და „ენა“ უკვე აღარ იყო მხოლოდ ლინგვისტების, გრამატიკოსების, ანუ იგივე ფილოლოგების კვლევის საგანი, სემიოტიკური დისპოზიციიდან ლიტერატურამ საკუთარი ენა შეიძინა ჩამოყალიბებული, როგორც სისტემა (გმირთა და პერსონაჟთა მიმართებათა სისტემა დაყოფის ერთი საფუძვლით, ან მეტაფორათა სისტემა).

ლიტერატურის დაბადება უდაოდ ჰომეროსის სახელს უკავშირდება და ამაზე არც არავინ დავობს, მაგრამ თავად ეს სიტყვა „ლიტერატურა“ გაცილებით გვიან წარმოიშვა, ვინაიდან არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენს

კულტურაში მოხდა გამოცალკავება ისეთი განსაკუთრებული ენისა, რომლის ნამდვილი მოდალობა „ლიტერატურად“ მყოფობაა (Fuko, 2004: 363). ლიტერატურა, მართალია, ფილოლოგიის ტყუპისცალია, მაგრამ ამავე დროს, როგორც ფუკო აღნიშნავს, მისი მწვავე ოპოზიციაცაა, იმ აზრით, რა აზრითაც მოიაზრებს სტრუქტურალიზმი „ლიტერატურას“. ფილოლოგიას „ენა დაჰყავს გრამატიკიდან წმინდა სამეტყველო ენამდე, სადაც გრამატიკა სიტყვათა ველურ და გაბატონებულ მყოფობას აწყდება“ (Fuko, 2004: 363). ამდენად, მწერლობა მარტო მხოლოდ გრამატიკული წესების გამოყენება არ არის, ან სიტყვის „მოთვინიერება“, იგი უფრო თავის მყოფობაში ღმერთთან მისსავე ენაზე საუბარია.

„ენა“ ეთნოგრაფიაში (ეთნოლოგია) – მითების, ჩვეულებების, ტრადიციების, საკულტო წესების „ენაა“, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ სოციალურ-კულტურულ სისტემას, რომელშიც ჩადებულია განსაზღვრული ინფორმაცია: სახვით ხელოვნებაში კი „ენა“ – გამოსახვის გადაცემის სისტემაა, რომელიც გამოიყენება ფერწერის, გრაფიკულ ან სკულპტურულ ნაწარმოებში.

და ამდენად, ფილოსოფიურ-სტრუქტურალისტურ სივრცეში ენა წარმოდგა მთელი თავისი ორიგინალური ფორმით და წარმოადგენს ლიტერატურული, მითოსური, ფოლკლორული, საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის მრავალფეროვანი ტექსტის ოქროს გასაღებს, „სწორედ მაშინ ჩნდება ნებისმიერი მეტყველების საყოველთაო ფორმალიზაციის ან სამყაროს მთლიანი განმარტების თემატური პროექტები, რაც იმავდროულად მისი სრული დემისტიფიკაცია, ან ნიშანთა ზოგადი თეორია იქნებოდა; ასევე, ჩნდება პროექტი შეუნელებელი ტრანსფორმაციისა, მთელი ადამიანური მეტყველების სრული, ინტეგრალური ჩატევისა ერთ სიტყვაში, ყველა წიგნისა – ერთ ფურცელში, მთელი სამყაროსი – ერთ წიგნში“ (Fuko, 2004: 367). და, ეს ერთი წიგნი ბიბლიაა, რომლის ენას ბუნების ყველა ქმნილება იცნობს ჯერჯერობით ადამიანის გარდა.

ლიტერატურა და წყაროები:

1. Baqradze K., Rcheuli Filosofiuri Tkhzulebani, Tomi VI., TSU, Tbilisi, 1972.
2. Biblia, Akhali Aghtqma, Tavi I. Saq. Sapatriarqo, Tbilisi, 1989.
3. Biblia, Zveli Agtqma, Tavi I. Saq. Sapatriarqo, Tbilisi, 1989.
4. Bichashvili M., Laibnicis Metafizika da Enis Filosofia. Tbilisi, 2005.
5. Enuqashvili S., Petre Iberieli (Fsevdo-Dionise Areopageli), Tbilisi, 1961.
6. Fuko M., Sitkvebi da Sagnebi., Tbilisi, 2004.
7. Gogiberidze M., Rcheuli Filosofiuri Tkhzulebani. Tomi IV, TSU., Tbilisi, 1978.
8. Nucubidze S., Kaukhchishvili S., Ioane Petritsis Shromebi, Tomi II, Tbilisi,1940.
9. Tsereteli S., Antikuri Filosofia. Gamomcemloba TSU, Tbilisi, 1968.
10. Vaja-Fshavela “Gvelis Mchameli”, Tkhzulebata Sruli Krebuli, At Tomad, Tomi IV, Poemebi. 1987.

Elene Gegeshidze

LINGUA ADAMICA

Presented by Institute of Religion Studies at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Saussure' s work "Course in General Linguistics" draws attention to the distinction between the language and speech and outlines language as a system of signs, which obeys its own order, the entire theory is logically derived from this basic thesis.

Thus, language is a system of symbols, whose needs and laws dictate the one' s will as an external compulsion, and how can people be the subject of the language, that was created without it, thousands of years before its birth.

According to Christianity, the Trinity is oneness. Therefore, in the creation of the Universe, God the Father, the Son and the Holy Spirit are equally participaded as oneness. Thus the Logos, or word in Christianity is here with the first, the Creator `the word was first, the Word present to God, God present to the Word. The Word Was God, in readiness for God from day one." phenomenon of the Universe With the creation of God language and the word experience the deep sociability and the main purpose of language is `to give us a sign", that denotes and at the same time sets other signs. According to the Bible, `So God Created man in His own image, in the image of God created He him; male and female creted He them" (Bible, Chapter I, 27). Due to the creature and the creator not identity, but the sign of likeness is necessarily set.

Similarity (in Fuko' s dimension of art) is the great silent mirror of the world, which points out and speaks to us. The world is a wide open book, which with an analogy and similarity points out and speaks to us. There is an analogy between the human brain and nut `the green pericarp heals the wounds of the cranial bone in groin" `every object in the universe can transform from the closed, silent existence into the Verbal condition."

Where should we seek for the first meaningful language of Adam (Lingua adamica), which was researched by Jakob Bohme in the XVI th century?! Lingua Adamica is the direct reference about the existence of things. Thus, every new denomination implies the return to the `natural language." Every object, phenomenon of the Universe is only the sign and denotation of the internal essential world.

If we accept and concede the veritable unity of the language then it must be functional and not substantial. Thus, EVERY Explanation, remark is directed from the statement of language existence not to explore what it denotes, but from the obvious development of discourse to reveal the language in its own existence.

ენათმეცნიერება
LINGUISTICS

მანანა შელია, მაია მარღანია

რუსული ნასესხობანი ინგლისურ ლექსიკაში

ლექსიკის გამდიდრების ძირითად წყაროს წარმოადგენს სესხება, სიტყვაწარმოება და ასევე არსებულ სიტყვათაგან ახალ სიტყვათა წარმოება. ნასესხები სიტყვა ყველა ენაში მოიპოვება. ეს ბუნებრივი პროცესია. უცხო მასალა დროთა განმავლობაში უსისხლხორცდება მსესხებელი ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებს ენას (Chikobava, 2008: 35).

კონკრეტულ ენათა კონტაქტების შესწავლისას ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ის ისტორიული პირობები, რომლებმაც გარკვეული კონტაქტები წარმოშვა, ვინაიდან, ენათა ურთიერთგავლენა ხანგრძლივი პროცესია და ის ასეული წლების განმავლობაში გრძელდება.

„ნასესხობა ენის ლექსიკური შევსების, გამდიდრებისა და განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. ნასესხობას უწოდებენ ერთი ენიდან მეორეში სხვადასხვა ელემენტების გადასვლის პროცესს: ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, სემანტიკის“ (Gamyrelidze and other, 2008: 24).

სხვა ენების მსგავსად, ინგლისური ენაც მოქცეულია მუდმივ ცვლილებასა და დინამიკაში. ახალი სიტყვების შემოდინების დიდმა ნაკადმა და მათი მნიშვნელობების ზრდამ გამოიწვია ნასესხები სიტყვების გამოყენება ენაში.

ნაშრომის მიზნია რუსული ნასესხები სიტყვების შესწავლა, მათი ფორმალურ-ფუნქციური და სემანტიკური დახასიათება.

სიტყვათა სესხების პროცესში რუსულმა ენამ შეიტანა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი ინგლისური ენის ლექსიკურ სისტემაში. რუსული ნასესხობანი ინგლისურ ენაში დაკავშირებულია ძირეულ, რუსულ სიტყვებთან, რომლებიც წარმოიშვა რუსეთის ტერიტორიაზე, რუსი ხალხის წინაპრების მიერ.

როგორც ცნობილია, სიტყვების სესხება განსაკუთრებით აქტიურად წარმოებდა სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსული სიტყვების პირველსაწყისი შემოდინება, ხშირად შედგება კონკრეტული სახელებისაგან, ე. ი. სიტყვა აღნიშნავს რაიმე ნივთს, საგანს. მაგალითად, რუსულიდან ინგლისურ ენაში შემოვიდა სიტყვა **„სიასამური“ (соболь) – sable** – a carnivorous mammal of the Mustelidae family native to northern Europe and Asia. სიასამურის ბეწვი შემოიტანეს აღმოსავლეთ სლავებმა მრავალ

ქვეყანაში. სიასამური საშუალო ლათინურიდან sabellum გადავიდა ძველ-ფრანგულში sable (ფრანგ. sable), ინგლისურში sable შემოვიდა დაახლოებით XII-XIII საუკუნეებში და ასევე გერმანულში – Zobel. სიასამურის ბეწვი იყო ურთიერთგაცვლის პროდუქტი (ბარტერული გაცვლა) და ფულის ერთეულის ფუნქციას ასრულებდა.

ცნობილი რუსი ლინგვისტის, პროფესორ ვ. დ. არაკინის მტკიცებით, სიტყვა "sable" შემოვიდა ინგლისურ ენაში XIV საუკუნემდე და შემდგომში სხვა ენებშიც დამკვიდრდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა ზედსართავი სახელი „შავის" მნიშვნელობით საკმაოდ დიდხანს გამოიყენებოდა ინგლისურ ენაში და ჰქონდა დამატებითი მნიშვნელობები – „შავი", „სამგლოვიარო კაბა" (Arakin, 2007: 279).

სიტყვები სლავური ფუძით ინგლისურ ენაში უძველესი დროიდან გვხვდება. ლინგვისტების აზრით, ისინი ნასესხები იყო სლავ ტომთა დიალექტებიდან ჯერ კიდევ XII საუკუნეში და თანამედროვე ინგლისურში ძველი ინგლისურიდან შემოვიდა. მაგალითად, სიტყვა «молоко» – „რძე" – იყო ნასესხები ჯერ სლავი ტომებისგან როგორც "meolk", ხოლო შემდგომში თანამედროვე ენაში გადავიდა როგორც "milk".

XVI საუკუნეში რუსეთსა და ინგლისს შორის მყარდება აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები. უფრო მოგვიანებით კი ინგლისურ ენაში შემოვიდა რუსული ყოფის ამსახველი სიტყვები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით წარმოადგენდა სავაჭრო საგნების აღმნიშვნელ სხვადასხვა სახის სახელწოდებებს. მაგალითად: ფულის, ზომის, წონის, მანძილის ერთეულები:

1. ფულის ერთეული: **rouble** «рубль» – რუბლი ნასესხებია ასევე ყველა ევროპული ენის მიერ. ინგლისურში **r(o)uble** თარიღდება 1554 წლით. შემოსულია ფრანგული ენის საშუალებით; **copeck** «**копейка**» –კაპიკი, **chervonets «червонец»** – ჩერვონეცი – დუკატი;
2. ზომის ერთეული: **verst «верста»** – ვერსტი, **arshin – «аршин»** – არშინი, **sagene «сажень»** – საჟენი;
3. წონის ერთეული: **pood – «пуд»** – პუდი;
4. ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი – **shuba «шуба»** – ქურქი;
5. კვების პროდუქტებს ინგლისელები თვლიან ეგზოტიზმებად: **kvass «квас»** – ბურახი (1553 წ.), **morse «морс»** – ხილის სასმელი, **koumiss «кумыс»** – კუმისი, **borshch «борщ»** – ბორშჩი, **calash «калач»** – კალაჩი, **shashlik «шашлык»** – მწვადი, **kissel «кисель»** – კისელი, **bliny «блины»** – ბლინები, **oladyi «оладьи»** ოლადიები, **okroshka** «окрошка» – ოკროშკა, **pelmeni, kasha, sirniki (syrniki), solyanka, vareniki, pirozhki, beluga** – ბელუგა, **zakuska** – «**закуска**» – ხემსი.
6. რელიგიური ტერმინები: **molitva «молитва»** – ლოცვა, **obednja** – „ობედნია";
7. საკრავი ინსტრუმენტები, ხელოვნების ტერმინები: **balalaika «балалайка»** – ბალალიკა, **bayan «баян»** – ბაიანი, **khorovod «хоровод»** – ხოროვოდი – წრიული ცეკვა, **kazachok** ("Little Cossack" – პატარა

კაზაკი), სწრაფი ტემპის სლავური ცეკვა, რუსული ან უკრაინული. რაც შეეხება რუსულ სიტყვას „მატრიოშკა“ – „მატრიოშკები“ – **matrioshka – «матрешка»** Матрёна-ას კნინობითი ფორმაა, ლათ. **Matrona.** მიჩნეულია, რომ რუსული მატრიოშკა იაპონური ნიმუშის მიხედვით გამოითალა. მატრიოშკას რუსული ფორმის შექმნა ხარატმა ვ.პ.ზვიოზდოჩკინმა 1890-იან წლებში, ხოლო პირველი მოხატულობის ავტორია მხატვარი ს. ვ. მალიუტინი.

8. ყოფითი ტერმინები: **troika** «тройка» – ტროიკა, **izba «изба»** – ქოხი, **telega «телега»** მარხილი, **samovar «самовар»** – სამოვარი, **tarantass** «тарантас» – ტარანტასი, **droshki «дрожки»** – დროგი, **kibitka** «кибитка» კიბიტკა, **makhorka** «махорка» – თუთუნი და ა. შ.
9. მინერალების აღმნიშვნელი ტერმინები: **siberite** – სიბერიტი (ლალის განსაკუთრებული სახეობა), **uralite** – ურალიტი (აზბესტის ფენა, ნაპოვნი ურალში).
10. სასმელები: **kvass** – ბურახი, **vodka «водка»** – არაყი, **starka** «старка» – სტარკა, **nalivka** «наливка» – ნალივკა, **nastoika** «настойка» ხსნარი;

როგორც ცნობილია, **Kvass** ტრადიციული სლავური და ბალტიური სასმელია, რომელიც მზადდება ხორბლის და ალაოს (ჭვავი, ქერის) გამოხდის შედეგად, ზოგჯერ ამატებენ სხვადასხვა ბალახეულს, თაფლს, ხილს, კენკრას. XII საუკუნემდე რუსეთში ის ითვლებოდა ალკოჰოლურ სასმელად, იყო უფრო ძლიერი და სქელი. სიტყვა «пьяница»-ს ანალოგი იყო «квасник». **Kvass** – a fermented mildly alcoholic beverage made from rye flour or bread with malt; sometimes translated into English as “bread drink”.

რუსული ეროვნული ალკოჰოლური სასმელი – **medovukha, რომელიც მზადდება წყლის, თაფლის, საფუარისგან და სხვადასხვა სახის არომატით. Medovukha** is a low alcohol drink (5-10%) obtained by fermenting honey. ln Ancient Rus’ this “drinkable honey” was considered holy and so it was an integral feature of many festivities (https://moonshiners.club›). სიტყვების **medovukha** და **mead** წარმოშობა უკავშირდება პროტო-ინდო-ევროპულს ****méd^{h}u* (honey).**

სიტყვა არაყი – водка, ნაწარმოებია კნინობითისგან წყალი – вода **(small water) vodka (n.)** 1802, from Russian *vodka*, literally “little water”, diminutive of *voda* “water” (from PlE **woda-*, suffixed form of root ***wed-** (1) “water; wet”) + diminutive suffix *-ka*. (https://www.etymonline.com).

Vodka – a strong clear alcoholic drink, made from grain, originally from Russia (Oxford Advanced Learner’s Dictionary, 2007: 1707)

როგორც ცნობილია, სიტყვის შინაარსი **водка – vodka** რუსულ და ქართულ ენებში ნიშნავს „არაყს“, ალკოჰოლურ სასმელს, რომელსაც გააჩნია ლინგვოკულტურული მნიშვნელობა და განსაზღვრული ადგილი უკავია რუსულ კულტურაში. ამ თვალსაზრისით სიტყვა **водка – vodka** კულტურის კონცეპტია. რუსული განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით არაყი – **водка – *«алкогольный напиток, представляющий собой***

смесь очищенного этилового спирта (от 40 до 50 объемных процентов) с водой» (***Толковый словарь русского языка***, 1934-1940); **«алкогольный напиток**, **разбавленный водою винный спирт**; **хлебное вино»** (Ozhegov, 1986).

ძველ რუსეთში არაყის გარდა იყენებდნენ ორის სახის სასმელს – ლუდსა და თაფლს. განსაკუთრებით, რუსებისთვის საყვარელი სასმელი იყო შუშხუნა თაფლი ანუ მედოვინა – თაფლი შეზავებული წყლით, დუღილის შედეგად წარმოიშობა ალკოჰოლი. XIII საუკუნის ბოლოს მედოვინა შეცვალა არაყმა. დასავლეთ ევროპაში არყის დამზადების წესი შემოიტანეს იტალიელმა ვაჭრებმა გენიუდან, რომელიც თავის დროზე შემოვიდა აღმოსავლეთიდან, ხოლო რუსეთში გავრცელდა 1398 წელს. ისტორიკოსების აზრით, იტალიელებს ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან და არყის გაყიდვას აწარმოებდნენ სამკურნალო ბალზამის სახელწოდებით, **„სიცოცხლის წყალი“** (Aqua Vitae)**,** რომელიც მზადდებოდა ღვინის საფუარისგან, წვნიანი ნაყოფისგან და პურის მარცვლისგან. XV საუკუნეში ამ სასმელის საიდუმლოება ყველასთვის გახდა ცნობილი.

11. გეოგრაფიული ტერმინები: ნასესხობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია რუსეთისთვის დამახასიათებელი მოვლენებით, მისი ბუნებრივი თავისებურებებით: **steppe «степь»** – სტეპი, **tundra** «тундра» – ტუნდრა, **taiga** «тайга» – ტაიგა, **polinia** «полыня» – პოლინია, **suslik «суслик»** – სუსლიკი**, borzoi** «борзая» – რუსული ძაღლის სახეობა. სიტყვა **step – სტეპი** ნასესხებია როგორც რუსეთის სპეციფიკური ლანდშაფტის სახელწოდება. დასაწყისში ეს სიტყვა ინგლისურ ენაში გამოიყენებოდა მხოლოდ რუსეთის ბუნების ამსახველი სურათების აღწერის მიზნით. ინგლისურ ენაში ის გამოჩნდა 1671 წლიდან. შემდგომში მან შეიძინა გეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობა და ხშირად შეინიშნებოდა სპეციალურ და მხატვრულ ინგლისურ ლიტერატურაში: “These great **steppes** which range along the feet of the Rocky Mountains” (Irving, 1849); “These rocky **steppes** possess but few streams” (Jahuston). მოცემული სიტყვა steppe გვხვდება აგრეთვე სიტყვათშეთანხმებებში: **steppebird, steppetravelling** და ა.შ.

სიტყვა **tundra** – (tûndra) **ტუნდრა** – an Arctic steppe, 1841, from Russian *tundra*, from Lappish (Finno-Ugric) *tundar*, said to mean “elevated wasteland, high-topped hill”, or “a marshy plain” (Online Etymology Dictionary). „დედამიწის არქტიკული სარტყლის სამხრეთი ზონა – უტყეო სივრცე, სადაც მარადი გაყინულობაა” (Chabashvili, 1989: 68-69).

ამდენად, ნასესხები ლექსიკა, როგორც ლინგვისტური და კულტუროლოგიური ფენომენი, წარმოდგენს ინტერესის საგანს და ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. ამიტომაც, მივიჩნევთ, რომ სიტყვების სესხების და დამკვიდრების პროცესი კანონზომიერია და განპირობებულია ენის სპეციფიკური თავისებურებებით.

ლიტერატურა:
1. Arakin V. D. Ocherki po Istorii Anglisyskogo Yazika. FIZALIT. 2007.
2. Chiqobava Arn. Enatmecnierebis Shesavali. T. I. Tsu Gamomcemloba,Tbilisi, 2008.
3. Chabashvili M. Uckho Sityvata Leqsikoni. 3th Edition. Tbilisi, *Ganatleba,* 1989.
4. Gamyrelidze T, Kiknadze Z, Saduri I, Shengelia N. Teoriuli Enatmecnierebis Kursi. Tsu Gamomcemloba. Tbilisi, 2008.
5. Oxford Advanced Learner's Dictionary, Oxford University Press, 7th Edition, 2007.
6. Ozhegov Ci. I. Clovar Rucckogo Yazika. Ed. N. Yu. Shvedova. 15th Edition. Moscow, 1984.
7. 7. Tolkoviy Slovar Russkogo Yazika. Ed. Prof. D. N. Ushakova. Moscow, TT. I-IV, 1934-1940.
8. https://www.rbth.com › arts › russian-words-english-language–761491
9. https://www.etymonline.com

Manana Shelia, Maia Marghania

RUSSIAN BORROWINGS IN ENGLISH VOCABULARY

Summary

The paper deals with etymological, semantic and formal-functional analysis of Russian loan-words in English language. Many loan-words are derived, either directly or indirectly fromRussian.They are distributed in various spheres of activity.

Loan-words reflect the language impact on different nations' vocabulary. The problem of borrowings as a linguistic and cultural phenomenon is a subject of interest and one of the important means of enriching the lexical structure of the language conditioned by specific linguistic features.English is one of the most widespread amongst the world's languages as it contains a great amount of loan-words.

Since old times, the people, who inhabited vast territories of Russia, had connections with different countries of the world. The exchange between the Russians and English speaking people happened on different levels – in politics, trade, and culture and on the level of language as well.English and Russian languages are very different in many linguistic aspects. This means that the languages have completely different grammar, pronunciation and vocabulary.

ლიტერატურათმცოდნეობა
LITERATURE STUDIES

ნანა აბულაძე

აკვანში დანიშვნა მეგრულ პოეტურ ფოლკლორში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურღულიას სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა

ქალის დასაკუთრების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა აკვანში დანიშვნა, რომელიც მშობლების სურვილზე იყო დამყარებული. ეს იყო დროზე ადრე დანიშვნა-გარიგების ერთი წესი. აღნიშნული ჩვეულება ცნობილი იყო საზოგადოების როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფენებისათვის, თანაც იმდენად გავრცელებული, რომ რუის-ურბნისის მსოფლიო კრებაზეც კი დღის წესრიგში მდგარა ამ ტრადიციის საკითხი (Zhordania, 1897: 64).

აკვანში დანიშვნის წესს ძველად მთიულებიც მისდევდნენ, მაგრამ ყველაზე ნათლად ეს ჩვეულება ხევმა, ხევსურეთმა, მთის რაჭამ, სამეგრელომ და სვანეთმა შემოგვინახა. აღნიშნული ჩვეულება აღწერილია ეთნოგრაფიულ-ისტორიულ ლიტერატურაში. ამ წესის არსებობას ლიტერატურული ძეგლებიც გვიდასტურებენ. მაგალითად, „ზოგან ხოჭიჭნი დანიშვნენ“..., – წერს ი. ბატონიშვილი (Batonishvili, 1936: 209). ამ ტრადიციამ თავისი კვალი ზეპირსიტყვიერებასაც დააჩნია. მიხ. ჩიქოვანმა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანთან“ ხალხური „ტარიელიანის“ შედარების შედეგად დაასკვნა, რომ რუსთაველი „არ იცნობს ამ მოვლენას... ტარიელიანში იგი უსათუოდ სახალხო მთქმელის წვლილს უნდა შეადგენდეს, ადგილობრივ ყოფაზე დამყარებულს“ (Chiqovani, 1937: 47).

ვფიქრობ, საველე მუშაობის დროს ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუში ამ ტრადიციის აღმნიშვნელია:

ამდღა ონწეს – იკოდგუნა
ბაგრატი დო ანეტაში,
იი კათაშ შაყარუა
თინეფიში აკოკათაფაში
ათე საქმეს ირნერო
ღორონთი დოხვამანსია.

დღეს აკვანში დანიშნავენ
ბაგრატსა და ანეტას,
იქნება ხალხის თავშეყრა
მათი შეერთების (აღსანიშნავად),
ამ საქმეს ყოველნაირად
ღმერთი დალოცავს.

(მთქმელი ღულუნი მებონია, სოფელი ჯაგირა, 2000 წელი).

აკვანში დანიშვნის ტრადიციაზე, როგორც ზოგადკავკასიურ მოვლენაზე, მიგვანიშნებს ნართული ეპოსიც. როგორც ტექსტიდან ჩანს,

ნართების გმირი სოსლანი აკვანშივე ყოფილა დანიშნული მზის ასულ აცირუხზე: „ხომ იცი, სოსლან, რომ შენ საცოლედ აკვანშივე დავნიშნეთ მზის ასული აცირუხი“, – ეუბნება თავის ვაჟს სანათა (Gabrichidze, 1966 : 67).

აკვანში დანიშნულთა ფაქიზი გრძნობა ხშირად სხვას ეკუთვნის. ისინი ჩვეულების წინააღმდეგ ვერ მიდიან და ეს საფუძველია მათი სევდისა. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი შუქია არაბულის რეპერტუარიდან:

ქალი: –
ნისლი წავიდა ცისკედა,
ნამი შაბერტყა ქარმაო,
ჩამავაბნიე ცრემლები
შაწუხებულმა ქალმაო.
ვაი, რო პირსა ვერ უტეხ
დედა – მამასა, ძმათაო,
თორო შინ მაგივიდოდი,
არ ვაუბნებდი სხვათაო.

ვაჟი: –
მე შენკენ გამავემართე,
შამავხდი გველის ჯარსაო,
დაძრა სუყველამ ენაო,
შენ თავს სხვას ირჩევს ყმასაო.
მივბრუნდი გაფოთებული,
შაუგმი თავის თავსაო
რად არ ჩავიცომ ბეგთარსა,
რად არ შავიბამ ხმალსაო,
ავხკაფდი ლეკებურა
შენ შინ წამყვანსა ქმარსაო.

(სიხარულიძე, 1958: 379-380).

დაწინდვა ნიშნავდა გოგოსა და ბიჭის მშობლების შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მათი შვილები, როცა გაიზრდებოდნენ, ერთიმეორეზე იქორწინებდნენ. დღესაც მღერიან ამ ძველ შაირს:

მე შენთვის მომიქსოვია
ფერად-ფერადი წინდები.
მიყვარხარ, მაგრამ რა გიყო,
მაინც ვერ დაგეწინდები.

დაწინდვა არა მარტო გლეხობაში, არამედ ფეოდალთა და მეფეთა შორისაც კი ყოფილა წესად. ამ წესს დიდი ნაკლიც ჰქონდა: საქორწინო ასაკს რომ მიაღწევდნენ, გამოირკვეოდა, რომ ქალ-ვაჟი ერთმანეთის შეუფერებელი იყო და თუ გლეხობაში ვაჟს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა შეუფერებელი საცოლის შერთვაზე, ქალს ეს არ შეეძლო. აქედან მომდინარეობდა ე. წ. ძალით ცოლობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაწინდული ქალიშვილი თავისი სურვილის წინააღმდეგ ცოლად უნდა გაჰყოლოდა შეუფერებელ საქმროს ან, თუ გაათავისუფლებდნენ, სხვაზე გათხოვებას აუკრძალავდნენ, აღუკვეთავდნენ („კვეთილში ჩასვამდნენ“) (Cogochuri, 1978 : 25). ე. ი „კვეთილიანი... ის ქალია, რომელიც ქმარს დაიწუნებს და თავს დაანებებს ან დანიშნულ საქმროს არ ინდომებს. ამისთანა ქალს გათხოვება არ შეუძლიან, თუ გათხოვდა, მოჰკლავს შეურაცხყოფილი კაცი“ (Iveria, 1888, № 121).

1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 121) ნ. ურბნელმა ბათაკა თოთიაშ-

ვილ-არაბულის ნაკარნახევი ერთი ხალხური ლექსი გამოაქვეყნა:

... ამაგ სიმღერის მათქვამი
არჭილოს ქალ ვარ თმიანი,
ცოლადა წამაგივიდოდ,
მაგრა ვარ კვეთილიანი ...

(ივერია, 1888, № 121).

არსებობს აღნიშნული ლექსის ვარიანტები, სადაც „კეთილიანია" ნახმარი „კვეთილიანის" ნაცვლად, მაგრამ აშკარაა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მთქმელს აღარ სცოდნია რას ნიშნავს „კვეთილიანი" და იგივე უფრო „ნაცნობი" სიტყვით შეუცვლია. ასეთ შემთხვევაში ფოლკლორისტის ჩარევა აუცილებელია (Barnovi, 1989: 34).

უკანასკნელ დრომდე ლაზეთში მიღებული იყო აკვანში დანიშვნაც. დანიშნული ბავშვების აკვნებს ერთად დადგამდნენ („ინწელიშ ოკოდგიმუ") (ვანილიში, თანდილავა, 1964 : 112).

აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში აკვანში ნიშნობის წესი მოხევეებთან ერთად დიდხანს შეინარჩუნეს ხევსურებმა და მთიულებმა.

მეგრულ პოეტურ ფოლკლორს ამშვენებს ისეთი ნიმუშები, რომლებშიც გადმოცემულია ქალიშვილის წინააღმდეგობა დანიშნულის მიმართ, რადგან მას არ მოსწონს იგი:

ბოში რექ ტანი სრული,
ჩქიმოთ რექ დანიშნული
მას სი ვაგა უნადა,
ჯოჯოხეთის სკანი შური.

ბიჭი ხარ ტანსრული,
ჩემთვის ხარ დანიშნული,
მე შენ თუ არ გაგყევი,
ჯოჯოხეთის შენი სული.

(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 : 237).

ვფიქრობთ, საინტერესოა მეგრული ზღაპარი „უსქე ხენწიფეში არიკი" („უშვილო ხელმწიფის ზღაპარი"), რომელიც ნიშნობის მაგალითს იძლევა. „ჩქინ სქუალეფი, ძღაბი დო ბოშიქ ქიუანიდა, ჩილ დო ქომონჯო ქიმვორჩქინათია" (ჩვენი შვილები გოგო და ბიჭი თუ იქნა, ცოლ-ქმრად მივიჩნიოთ) (Khubua, 1937 : 70).

ვაჟა-ფშაველასთან ასევე ვკითხულობთ:

„აკვნიდან ჩემი გოდერძი
მის სიძედ დამინიშნია".

(ვაჟა-ფშაველა, 1937: 136-141).

აკვანში ნიშნობის პარალელურად ხევში ფართოდ მოქმედებდა მცირეწლოვან ბავშვთა დანიშვნის წესი, ხოლო აკვანში ნიშნობის ჩვეულების თანდათანობით გადავარდნასთან ერთად, საქართველოში მას საერთოდ მცირეწლოვან ბავშვთა დანიშვნის წესი ჩანაცვლებია. მცირეწლოვანთა დანიშვნის წესის შესრულება კვლავ მშობლების სურვილსა და

გადაწყვეტილებაზე ყოფილა დამოკიდებული (Quridze, 1977: 227).

მცირეწლოვანთა დანიშვნას ეხმიანება მეგრული ზღაპარი, რომლის სიუჟეტი ასეთია: აკვანში მშობლებმა დანიშნეს ქალ-ვაჟი. ვაჟს მამა გარდაეცვალა და დედა სთხოვს შვილს მამის პირობა შეასრულოს. ვაჟი უარობს, რადგან ის მხოლოდ თორმეტი წლისაა და დედა მაინც აგზავნის შვილს დასაქორწინებლად, რადგანაც – პირობა უღუდუა სქან მუმას დო ოკო შევასრულათია (მამის პირობა უნდა შევასრულოთ) (Quridze, 1937: 249).

გურიაში არა მხოლოდ მცირეწლოვანთა დანიშვნა, არამედ თვით გათხოვებაც კი სცოდნიათ. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ივ. შილაკაძის ეთნოგრაფიული მასალები გურიის შესახებ, სადაც ავტორი წერს, რომ გურიაში 10-14 წლის ქალის გათხოვება უჩვეულო როდი ყოფილა. მასვე ჩაუწერია უწლოვანი ქალის გათხოვებასთან დაკავშირებული ხალხური სიმღერა:

„დედავ, რიზა გამათხოვე ასე პატარა ქალია,
ვოჯახობა ვერ შევძელი, ვერ მოვიტანე წყალია,
ქმარმა გარეთ გამომაგდო, მულმა ჩაკლიტა კარია“.

(შილაკაძე, 1932: 104)

ივ. შილაკაძის მიერ ჩაწერილ ლექსში, თუმცა პროტესტია გამოცხადებული „პატარა ქალის“ გათხოვებაზე, მაგრამ ჩანს, რომ მაინც ფაქტი ყოფილა.

ნიშნობის თითოეული სახე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურის ანაბეჭდს ატარებს. არასრულწლოვანთა დაწინდვა თავის დროზე განმარტა ჟან შარდენმა, რომელიც ქალების ნაადრევად გათხოვების მიზეზად სოციალურ უთანასწორობას და ძალმომრეობას მიიჩნევდა. იგი წერდა: „საქართველოში ვისაც ლამაზი ქალები ჰყავდა, რაც შეიძლება ადრე ათხოვებდნენ, მეტადრე ღარიბი ხალხი ათხოვებდა ადრე ქალებს და ხანდახან აკვანშიც ნიშნავდა. ამას იმიტომ ჩადიან, მებატონეებმა არ მოსტაცონ გასაყიდად. თუ ქალი, რაც უნდა პატარა იყოს გათხოვილი ან დანიშნულია, მებატონეები მოკრძალებით ექცევიან და ადვილად აღარ ბედავენ მოაშორონ ქალი თავის ოჯახს“ (შარდენი, 1975 : 90).

ვფიქრობთ, ეს მეგრული ანდაზა მცირეწლოვანთა დაქორწინებასთანაა დაკავშირებული:

„ადრეიან ირფელი ჯგირი რე ღურაშ მეტია“.
„ყველაფერი ადრეული სჯობია სიკვდილის მეტიო“.

(ხალხური სიბრძნე I, 1994 : 6)

მცირეწლოვანთა დანიშვნისა და სარძლოს ქმრისეულ ოჯახში დასახლების საუკეთესო სურათს იძლევა სვანური ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშები – მრავალ ვარიანტად ცნობილი „ასლან-მურზა“, ანუ „ასლანი“ და „მესტიელი ბიმურზელა“ (ზოგი ვარიანტით – „ბიმურ-

ზოლი“, „გუალ დედისა“) (სვანური პოეზია I, 1939: 133-139). ეს ტექსტები მოგვითხრობენ უილბლო, ტრაგიკულ სიყვარულზე, რაც ხშირად თან სდევდა აღნიშნული წესით ქალ-ვაჟის შეუღლებას. ბალადა „ასლან-მურზა“ გადმოგვცემს: მშობლებმა ასლან-მურზას საცოლე ბავშვობის ასაკში მოუყვანეს სახლში. მცირეწლოვანი საცოლქმრონი ერთად იზრდებიან და თანდათან ცნობიერებაში შედიან. ვაჟს გულით უყვარს თეთრი დარჯული, მომავალ ბედნიერებაზე ოცნებობს. მშობლების მოლაპარაკებით ქორწილის დღეც დაინიშნა (Nizharadze, 1962 : 83). დარჯულამ საზურგალი და ოხარო წამოიკიდა და სასოფლო წყაროზე ავიდა. წყალთან ტოლ-ამხანაგები დახვდნენ და ხუმრობით ქორწილის ამბავი ჩაასმინეს. გოგონა აცრემლდა. ამ ხანში ასლან-მურზამ პაპიც მოიყვანა.

– დედა, დარჯული რა იქნა? – ეკითხება ვაჟი დედას.

– ოთახში იქნება, დედილამ!

მაგრამ ოთახში არავინაა, ვერც სხვაგან იპოვეს სადედოფლო. ვაჟი მიხვდა – დარჯული მშობლებისას გაიქცა.

– დედა, სკივრი გამიღე, – სთხოვა ერთადერთმა შვილმა საყვარელ დედას.

– ვერა, ვერ გაგიღებ, დედილამ! – უარზე დადგა დედა, რადგან შეამჩნია, აღელვებული ასლან-მურზა წასვლას აპირებდა.

ამ მდგომარეობაში ასლან-მურზას შეკავება ძნელი აღმოჩნდა. ჭაბუკმა დაბეჯითებით თქვა:

ტანზე ჩავიცვამ აბჯარს,
თავზე დავიხურავ ზუჩს,
ფეხებზე ჩავიცვამ ჩექმებს,
მკლავებზე მოვიცვამ ბეგთარს.
თოფსა და ხმალს დავიკიდებ,
ჩემს ხანჯარს გვერდზე მოვიგდებ,
წითელ საღარზე შევჯდები,
უკან გავეკიდები მეძავ დარჯულს!

იარაღასხმულმა ჭაბუკმა ცოლოურს მიაკითხა. ჰხედავს, დარჯული ცხრა ძმას შუაში უზის და ტირის, მოხუცი მამა კარის ზღრუბლზე ზის (ქართული ხალხური პოეზია, 1976 : 40).

– ჩემო ძმებო, რას იზამთ, ასლამაზმა რომ ნაწნავები შემაჭრას?

დარჯულის ძმები – ასლამაზის ცოლისძმები წამოცვივდნენ, სიძეს ირგვლივ შემოერტყნენ და ცემა დაუწყეს იქით-აქედან. ასლანმა თხოვნით მიმართა მათ:

– ჩემი ცხრა ცოლის ძმაო, ცემა იკმარეთ, თორემ ხანჯარს თუ ამომაღებინებთ, ცემას მე გასწავლით, თავებს (კისრებს) გაგაყრევინებთ, როგორც ნეზვის გოჭებს. (სვანური პოეზია, 1939: 133-139).

ცოლისძმებმა ასლანის თხოვნას ყური არ დაუგდეს, მაშინ აღარც სასიძომ დააყოვნა და ყველანი მისი უნებლიე მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. სიმამრმა რომ დაინახა, მისი შვილები (ცხრა ვაჟი) სისხლში ცურავდნენ,

იქვე განგმირა სასიძო:

მამაისი, მამის ცხრა შვილო,
თქვენი თანაბარია ასლან-მურზა!
ჩვენი ცოდვა დარჯულს ჰქონდესო,
რა უქნარი მაქნევინა.

(სვანური პოეზია, 1939 : 133-139).

ასე მოთქვამდა სასოწარკვეთილი, საბრალო მოხუცი.

ამავე თემაზეა აგებული მეორე ბალადა „მესტიელი ბიმურზელა“. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნაწარმოებში მანოლი (ზოგ ვარიანტში დარჯული) ცოლად მიჰყვება თავის დანიშნულს და ცხოვრობს ოჯახში უსიყვარულოდ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მანოლი მესტიელ ბირმუზელას შეუყვარდა. ქალიც თანაუგრძნობდა და ერთ დღეს, როდესაც ქმარი სანადიროდ იყო წასული, ქალმა მიატოვა ქმრისეული ოჯახი და ბირმუზელასთან წავიდა.

ნადირობიდან დაბრუნებულმა ქმარმა შეიტყო ყოველივე და სისხლის ფასად დაუსვა შეურაცხყოფა ცოლყოფილს. მოჰკლა ბიმურზელა და ადათის დარღვევისათვის მოკლა ასევე სრულიად უდანაშაულო ცოლისძმა (სვანური პოეზია, 1039: 141-145).

ამ მძიმე ბალადური სიუჟეტის მქონე ლექსებს ღრმა საზოგადოებრივი აზრი კვებავს. უასაკოთა აკვანში დანიშვნა ვერ ამართლებს დანიშნულებას, პირიქით, ეს ადათი ტრაგედიის მიზეზიც ხდება. ის მძიმე რეალობა, რომელიც საბაბი გახდა ადათის დაცვისა, თვალნათლივ დავინახეთ ზემომოყვანილ ბალადებში. ტრადიციის დაცვას მოჰყვა ორი ოჯახის კერიის ცეცხლის ჩაქრობა, გაცივება. ასლანი ცოლის ცხრა ძმის მკვლელი ხდება და ის, თავის მხრივ, დედის ერთადერთი ვაჟია, რომელსაც სასოწარკვეთილი სიმამრი კლავს. მეორე ბალადის „მესტიელი ბიმურზელას“ მოქმედი გმირები, როგორც წესი, აკვანში ინიშნებიან, შექმნიან უსიყვარულოდ ოჯახს. მაგრამ ვერ გაამართლებს უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი და ისინიც ამ წეს-ჩვეულების მსხვერპლნი ხდებიან, რადგან შეურაცხყოფილი გმირი ცოლყოფილსა და უდანაშაულო ცოლის ძმას კლავს. ფაქტობრივად, ისინი წეს-ჩვეულების მსხვერპლნი ხდებიან.

გარდა ზემომოტანილი ბალადებისა, აკვანში მცირეწლოვანთა ნიშნობის გამო პროტესტი სხვა ზეპირსიტყვიერ ნიმუშებშიც გვხვდება.

ამდენად, აკვანში მცირეწლოვანთა დანიშვნა ვერ ამართლებს თავის ფუნქციას, პირიქით, იგი ახალგაზრდებისთვის უბედურების მიზეზი ხდება. წეს-ჩვეულება გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ყალიბდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ თავის ძლევამოსილებას კარგავს. ტრადიციის სიმყარე დროის გამოცდაზეა დამოკიდებული.

ლიტერატურა:

1. Barnovi, G. (1989), Tserilebi, Tbilisi (Barnovi, G. (1989 *). Letters*, Tbilisi).
2. Batonishvili, I. (1936), Kalmasoba, T., 1, Tiflis (Batonishvili, I. (1936) Kalmasobas , T. 1,Tiflis).
3. Chardin J. (1975). Mogzauroba Sparsetsa da Aghmosavletis Skhva Qveknebshi Tbilisi (Chardin J. (1975) Travel to Persia and Other Countries of the East, Tbilisi).
4. Chiqovani, Mikh. (1937), Khalkhuri "Vephkhvistkaosani", Tbilisi (Chikovani, Mikh. (1937). Folk "The Knight in the Panther's Skin", Tbilisi).
5. Gabrichidze, M. (1966), Nartta Eposi. Tbilisi (Gabrichidze, M.(1966) York eps,Tbilisi).
6. Gogochuri, G. (1978), Khalkhuri Sitkviereba Mavne Tses-Chveulebata Tsinaaghmdeg, 7 seria.Tbilisi (Gogochuri,G (1978). Folk Verbalism Against Malicious Rules, 7 Series, Tbilisi).
7. Iveria (1888) gazeti ,Tiflis 1888, № **121 (**Iveria (1888) Newspaper. Tiflis 1888, № **121).**
8. Khalkhuri Sibrdzne 1. (1994) Megruli da Lazuri Andazebi. Tbilisi (Folk Wisdom 1, (1994) Megrelian and Lazy Proverb. Tbilisi).
9. Khubua, M. (1937) Megruli Teqstebi.Tiflisi (Khubua, M. (1937) Megrelian Texts, Tiflisi).
10. Nizharadze, B. (1962) Istoriul-Etnographiuli tserilebi. Tbilisi (Nizharadze, B. (1962). Historical and Ethnographic Letters, Tbilisi).
11. Piradi arqividan (Mtqmeli Guguni Mebonia, Sofeli, Jaghira, 2000 tseli) From the personal archive (Narrator : Gughuni Mebonia ,village Jaghira, 2000 year)
12. Qartuli Khalkhuri Poezia (1976) T., 5, Tbilisi (Georgian People's Poetry (1976) Tbilisi).
13. Qartuli Khalkhuri Sitkviereba (1975),Tbilisi. Georgian folklore (1975) Tbilisi).
14. Quridze K. (1977), Qortsinebisa da Ojakhuri Urtiertobis Qartuli Tradiciebis Zneobrivi Ghirebuleba, Tbilisi (Quridze K. (1977). The Moral Value of Georgian Traditions of Marriage and Family Relations, Tbilisi).
15. Shilakadze Iv., (1932). Dzveli Guria, Tbilisi. (Shilakadze Iv., (1932) Old Guria, Tbilisi).
16. Sikharulidze, Q. (1958). Narkvevebi, 1, Tbilisi. (Sikharulidze, Q. (1958). Essays, Tbilisi).
17. Svanuri Poezia, 1, (1939) Tbilisi. (Svan Poetry, 1, (1939) . Tbilisi).
18. Vanilishi M., Tandilava, A, (1964) Lazeti (Vanilishi M., Tandilava A. (1964). Lazeti. Tbilisi).
19. Vazha-Pshavela (1937).Etnographiuli Tserilebi. Tbilisi (Vaja-Pshavela (1937). Ethnographic Letters. Tbilisi).
20. Zhordania, T. (1897), Qronikebi, T., 2, Zhordania, T. (1897). Chronicles, T., 2, Tbilisi).

Nana Abuladze

ENGAGEMENT IN THE MEGRELIAN POETIC FOLKLORE

Presented by O. Churghulia Institute of Literature and lenguage at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Mengrelian Folk poetry plays important role in Georgian tribes' Folk poetry.

Engagement as a domestic phenomenon plays a major role as in Mengrelian Folklore as well as in Georgian poetry in general.

Engagement precedes marriage and determines couple's further marriage. Marriage institute and marriage related customs have done long way of development.

Engagement is a considerable phase of marriage, ritual influencing the couple's future fate. The name of a custom "SHANUA" (nishanoba) – Nishanua (putting a sign, mark) means to put a sign, to mark something or someone. In marriage ceremony NISHANUA means to "mark" a young woman for further marriage and this way declare one's ownership over her. "She is chosen now, she was identified by someone so nobody else now dares to have her" – T. Sakhokia.

Engagement in a cradle was wide spread form and mostly used in mountainous regions of Georgia. It was commonly exercised tradition not only in Georgia but in entire Caucasus. The custom was so popular among higher class of the society that the tradition was included in an agenda of Ruis-Urbnisi Orthodox Council.

In old times engagement in a cradle was common among Mtiulians but vividly preserved was in Khevsureti, Racha, Samgrelo and Svaneti. The above custom is described in ethnographical and historical literature. Some old literary compositions read the following to prove the above said:" In some areas the infants were engaged" – says I. Batonishvili.

This tradition even affected on folklore. Child betrothal was arranged by parents agreement, it was only their wish and one of the customs of match-making, though, it often ended with unhappy marriage; in some cases they even led to a tragedy.

მაია ქარდავა

რომანტიზმის ეპოქის ზღაპრისა და ნოველის სიუჟეტური სტრუქტურა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურღულიას სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა

რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, თავისი ციკლი არ დაუსრულებია მე-19 ს. შუახანებში და მისმა შემოქმედებითმა იმპულსებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს კულტურის განვითარების გზები მე-20 საუკუნეში, კერძოდ, რომანტიკული ტრადიციები გამოვლინდა XIX-XX სს. მიჯნაზე შექმნილ „ახალ მითოლოგიაში“, შემდეგ კი პოსტმოდერნიზმის ეპოქაში.

რომანტიზმის ეპოქაში მითები, ზღაპრები და ფანტასტიკური ნოველები აღიარეს ესთეტიკურ ფენომენად, რომელსაც ამავდროულად ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც მხატვრული შემოქმედების პროტოტიპს, რომელსაც ღრმა სიმბოლური აზრი ჰქონდა (Gafrindashvili, Miresashvili, 2008: 281).

პირველი თაობის რომანტიკოსთა მიერ შექმნილი მითები, ზღაპრები და ფანტასტიკური ნოველები ძალიან მოთხოვნადია XXI-ე საუკუნის მკითხველის მიერ. საკვლევი მასალის მეცნიერული სიახლე და აქტუალობა განისაზღვრება ამ სფეროში კომპლექსური გამოკვლევების დეფიციტითა და თემატიკით.

თავის ერთ-ერთ პროგრამულ განაცხადში ნოვალისი გვთავაზობს, მხატვრულ ტექსტში ჩადებული ძირითადი აზრის ძიების სანაცვლოდ ყურადღება გავამახვილოთ ტექსტის სტრუქტურაზე და იმ კანონებზე, რომლის მიხედვითაც ის ფუნქციონირებს. „რომანი, როგორც ასეთი, არ არის გარკვეული რეზულტატის განსაზღვრება, ის არ არის თეზისი, ის არის იდეის ხილული სახე. იდეა წარმოადგენს თეზისთა დაუსრულებელ რიგს, ირაციონალურ სიდიდეს, რომლის განსაზღვრაც შეუძლებელია“ (Novalisi, 1981: 879). აქედან გამომდინარე, ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, გარკვეული ჟანრის ტექსტების სიუჟეტის აგების კანონზომიერება.

სიუჟეტი წარმოადგენს ტექსტში მოვლენათა განვითარებას ქრონოლოგიურად, განსხვავებით ფაბულისგან, რომელიც ეყრდნობა თხრობის თანმიმდევრობას. სიუჟეტის ასეთ განმარტებას ემხრობოდა ცნობილი ლიტერატურისმცოდნე ალ. ვესელოვსკი, ამ აზრს იზიარებდნენ ბორის ტომაშევსკი და მიხეილ ბახტინიც.

რომანტიზმის ეპოქის ავტორების ზღაპრები და ფანტასტიკური ნოველები, ფორმით და არსით მიეკუთვნება მცირე ეპიკურ ჟანრს. ზღაპარი ლაკონურად გვიჩვენებს ინდივიდის ინიციაციის პროცესს. ამ გზაზე ზღაპრული, რომანტიკული მითოლოგია მიმართულია ადამიანური არ-

სისკენ, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს პიროვნების ეტაპობრივი იდენტიფიკაცია, რომელიც სამ ნაწილიანი, დიალექტიკურად ორგანიზებული პროცესია და განისაზღვრება ინდივიდუალური პოტენციალის მიხედვით (სოციალური გარემო, გვარი, ოჯახი).

ნაშრომის მიზანია თვალი გაადევნოს აზროვნების დიალექტიკური მოდელის რეალიზაციას რომანტიზმის მხატვრულ პრაქტიკაში, კერძოდ, მის განხორციელებას გარკვეული ჟანრობრივი ჯგუფის სიუჟეტურ სტრუქტურებში.

რომანტიზმის მიმართ მეცნიერული ინტერესი გაჩნდა XIX-XX სს. მიჯნაზე, სიმბოლიზმის პერიოდში, მაგრამ ამ მიმდინარეობის სისტემური, მეცნიერული შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1960-იანი წლებიდან. რაც შეეხება რომანტიკოსების ახალ მითოლოგიას და მის რეალიზაციას ზღაპრებსა და ფანტასტიკურ ნოველებში, მას სათანადო ყურადღება არ მიქცევია და დღეისთვისაც ამ მიმართულებით ძალიან ცოტაა მეცნიერული კვლევა.

რომანტიკული ზღაპრები და ნოველები იქმნებოდა დინამიურ ეპოქაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სწრაფვა ლიტერატურული პროცესების გლობალიზაციისკენ. თვითონ რომანტიკოსებმა თავიანთი კულტურული ეპოქა წარმოადგინეს, როგორც ინდივიდი, გაათანაბრეს პოეზია და ფილოსოფია, გზა გაუხსნეს მეთოდზე, სკოლაზე, პოეტიკაზე ორიენტირებულ კრიტიკას, რომელსაც ნაკლებად აინტერესებდა ავტორის პიროვნული სპეციფიკა.

სტრუქტურული ანალიზი არ ითვალისწინებს მხატვრული ნაწარმოებების მრავალსახეობრიობის დაყვანას ერთ იდეამდე, ერთ თეზისამდე, ფორმულირდება მხოლოდ ურთიერთობების სისტემა, მისი განხორციელების კანონ-წესები, რომლის მიხედვითაც გარკვეული კულტურული ეპოქის წარმომადგენლები ახდენენ მხატვრული ობიექტის მოდელირებას. თავის დროზე რომან იაკობსონი წერდა: "როდესაც ვსაუბრობთ პარალელიზმზე, აბსოლუტურად გაუგებარია, რას ვერ იგებენ კრიტიკოსები, რადგან ინვარიანტების ძიება არა თუ გამორიცხავს სხვადასხვა ვარიანტების შესწავლას, არამედ პირიქით, განსაზღვრავს მათ აუცილებლობასო" (Yakobsoni, 1987: 464).

ტექსტის ანალიზის ძირითად ერთეულს წარმოადგენს ფუნქცია. პერსონაჟის ნებისმიერი ქმედება და მისი მდგომარეობის ცვლილება ქმნის ახალ სიტუაციებს. ფუნქციაც აღწერს პერსონაჟების გააზრებულსა თუ გაუაზრებლ ქმედებებს. ზოგადად, რომანტიკულ ზღაპრებსა და ფანტასტიკურ ნოველებში ძირითადი ფუნქციები გაერთიანებულია და იკვეთება მხოლოდ ერთი ის, რომელიც ეხება რაოდენობრივად მრავალფეროვან ცვლილებებს: პერსონაჟის გადაადგილებას სივრცეში, მის ურთიერთობას გარესამყაროსთან და გაუცხოებას. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე პერსონაჟის შინაგანი ბუნების ჩვენება გეგმის სახით, სწორედ ეს ცვლილებები წარმოადგენენ რომანტიკული ზღაპრისა და ფანტასტიკური ნოველისთვის ერთგვარ ზამბარას შემდგომი ქმედებებისთვის, სადაც, იკვეთება პერსონაჟის (პერსონაჟების) მახასიათებლები, მათი აქტივაცია

და დეაქტივაცია. სიუჟეტის ფუნქციურად დაყოფა ეყრდნობა პროპის, ლევი სტროსის, იაკობსონის, ლოტმანის თეორიებს, რომლებიც ორიენტირებდნენ მხოლოდ მთავარ გმირზე და დამხმარე პერსონაჟებს ითვალისწინებდნენ იმდენად, რამდენადაც ახდენდნენ ისინი ზეგავლენას სიუჟეტის მთავარ ღერძზე.

სივრცის კლასიფიკაციის დროს გასათვალისწინებელია მისი ფუნქციონალური დატვირთვა და მნიშვნელობა. გამოიყოფა სივრცის სამი ტიპი: საწყისი ანუ მშობლიური, საიდანაც მთავარი გმირი იწყებს თავის გზას და სადაც ბრუნდება, ახალი, სადაც გმირი ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას, სოციალიზირებას და განსაკუთრებული სივრცე, სადაც გმირი პოულობს, ითვისებს ახალ რესურსებს. თუკი საწყისი და ახალი სივრცე – სოციალური სივრცეა, რომელიც შეიძლება გაიყოს პრინციპით: მშობლიური და უცხო, განსაკუთრებულ სივრცეში აუცილებლად ვპოულობთ სტიქიური სამყაროს ნიშნებსა და თვისებებს.

რომანტიკული ეპოქის ზღაპრებისა და ნოველების სიუჟეტური სტრუქტურების კვლევას მივყავართ შემდეგ პუნქტებამდე:

- **ძირეული თემატიკა,**
- **ტიპოლოგიური თავისებურებები,**
- **დრამატურგია,**
- **საკვლევი ჟანრული ჯგუფის ინტერპრეტაციის საზღვრები.**

1. რომანტიკული ზღაპარი და ფანტასტიკური ნოველა ესაა დიალექტიკური თვითიდენტიფიკაციის პროცესი, რომელსაც საფუძვლად უდევს სამსახოვანი სტრუქტურა: პერსონაჟი, მისი ინდივიდუალობის წარმოჩენა და შეზღუდვა.
2. საკვლევი მასალის ჟანრის ტიპოლოგიური თავისებურება წარმოადგენს მხატვრული სახის ორიენტაციას პროცესზე და არა მოქმედებებზე, რაც გამოიხატება დრამატურგიის დეცენტრალიზაციაში, ციკლურობაში, პარალელიზმსა და ფუნქციონალური ხაზის განმეორებაში. სტიქიური კონფლიქტი წარმოშობს ინდივიდუალურ კონფლიქტს, რომელსაც ანეიტრალებს მითოლოგიური კონფლიქტი. ძირითად სიუჟეტურ ვარიაციად აქ გვევლინება კაპრიჩიო – მთლიანი და გოტიკური – დანაწევრებული მოდელი, რომელიც მოგვითხრობს განუხორციელებელ თვითიდენტიფიკაციაზე.
3. რომანტიკული ზღაპარის და ფანტასტიკური ნოველის დრამატურგია დეცენტრალიზებული ხასიათისაა. მას არ გააჩნია კულმინაცია, რითაც განსხვავდება კლასიკური ნოველისგან. გმირის, პერსონაჟს ქმედებები განისაზღვრება მისი უნარით გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი რესურსები და დაინახოს გარესამყაროს მიერ გამოგზავნილი სიგნალები. აქ სიუჟეტს განსაზღვრავს გმირის თავისუფალი არჩევანი, რომანტიკოსები მას თავისუფლებას ანიჭებენ, მანიპულირების ძალა კი ვლინდება მის მიერ შექმნილ სიტუაციურ მომენტებში, წამქეზებლობაში. ინტერპრეტაციის მეშვეობით რომანტიკოსები გვიჩვენებენ გმირს, რომელიც ბედისწერის მსხვერპლია, ყოველივე ეს კი ეწინააღმდეება დრამატურგიის ჟანრის პრინციპებს.

4. ინტერპრეტაციის საზღვრები. მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური სტრუქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: პირველ რიგში რომანტიკული ზღაპრებისა და ფანტასტიკური ნოველების დიდაქტიკური ხასიათი შორსაა მეტაფიზიკური კატეგორიებისაგან, მათ შორის კეთილისა და ბოროტის ბრძოლისაგან, ერთადერთი წინააღმდეგობა ესაა იმ ძირითადი პერსონაჟების ამბივალენტურობა, რომლებიც ასრულებენ ერთნაირ ფუნქციებს, ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხშირად ამ ზღაპრებსა და ნოველებში, ტრადიციული ზღაპრებისაგან განსხვავებით მთავარი გმირი იღუპება, ვინაიდან რომანტიკოსები აგვიწერენ მხოლოდ შინაგან პროცესებს, რომლებიც დიალექტიკური ხასიათისაა.

რომანტიკოსები შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ ცხოვრებას, ნოვალისი წერდა: „მომავალ სამყაროში ყველაფერი იქნება ისე, როგორც უკვე იყო წარსულში და ამავე დროს ეს იქნება აბსოლუტურად განსხვავებულიც. მომავალი ეს გონივრული ქაოსია, რომელიც განსაზღვრავს საკუთარ თავს და გარესამყაროს.“ (Novalisi, 1981: 783). ცხოვრებისადმი ეს მიდგომა ჩანს ზუსტად, რომანტიკოსთა ზღაპრებსა და ფანტასტიკურ ნოველებში, არსი უცვლელია.

ნოვალისისეული განსაზღვრება უფრო განავრცო ლევი სტროსმა, როდესაც განაცხადა: “რომანტიკულ ზღაპრებში თხრობა ყოველთვის იწყება მყარი მდგომარეობით, რომელიც ირღვევა გარკვეული ძალების მიერ, ირღვევა ბალანსი, რომელიც შემდეგში თანაბრდება და მყარდება. ახალი ძალიან გავს ძველს, მაგრამ არასდროს არ იმეორებს მას. ერთი სიტყვით თხრობის პროცესი ორი ტიპისაა: ერთი აღწერს გმირის მდგომარეობას, მეორე კი მის გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში. პირველი გვიჩვენებს ძირითადი მოღვაწეობის არს, მეორე კი მოვლენებს მითოლოგიურ ჩარჩოში“ (Levi Strosi, 1985: 535).

რომანტიკოსებისათვის გმირის ერთპიროვნული გამარჯვება არასასურველია, სახიფათოა, სიუჟეტის დონეზე ეს კარგად ჩანს გოტიკური ვარიაციების ფინალში, სადაც ერთნაირად ფატალურია, როგორც გმირის დროებითი გამარჯვება, ისე მისი დამარცხება და სიკვდილი. რომანტიკოსებისთვის ყველაზე მისაღები იყო მოვლენათა და პერსონაჟთა მოქნილი ურთიერთზემოქმედება და ურთიერთგამომრიცხავი საწყისების შერწყმა, რასაც ვხედავთ კიდეც რომანტიკულ ზღაპრებსა და ფანტასტიკურ ნოველებში, ახალი მითოლოგიისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ თავისებურებებში, რომლებიც საინტერესოა დღესაც. ამიტომაც გაუძლო დროს რომანტიკოსთა შემოქმედებამ და დღევანდელი მსოფლიო ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ლიტერატურა:
1. Bahtin M. Literaturovedenie kak Distplina. Moskva, 1960.
2. Iakobson R. Ruski Formalizm XX Veka. Moskva,1987.
3. Gafrindashvili N., Miresashvili M. Literaturatmcodneobis Safudzvlebi. Tbilisi, 2008.
4. Novalisi. Literaturni Manifest. Moskva, 1981.
5. Stros L. Struqturnaia Antropologia. Moskva, 1985.

Maia Qardava

THE PLOT OF THE ROMANTIC-ERA FAIRY TALES AND NOVELS

Presented by O. Churgulia Institute of Literature and Language at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The authors of narrative of Romantic era, the plot of fairy tales and the fantastic novels are of great interest in terms of scientific research. The starting point of the paper is the following authors' thematically mutual defining narratives: Gotron's "Howe's Masquerade", Edgar Poe's "The Masque of the Red Death", Fouqué's "Undine ", Andersen's "The Little Mermaid", Gogol's "St. John's Eve", etc.

The creations of these authors are very close to each other, thematically and structurally. But at the same time they do not exclude their interaction, which is an involuntary resemblance to Bakhtin's words: "That's the similarity, which is the most interesting and this is the similarity that should be learnt very carefully, as it points to something common of the primary source which has developed a similar story line, structure and plot in writers' creative works of various countries" (Bakhtin, 1960:367).

The novelty of the paper based on the creations of different countries' writers is considered by the peculiarities of the author's narrative and the plot structure of the Romantic era fairy tales and fantastic novels, as a constitutive variation of the genre group. The scientific-practical significance of the work is determined by its complex nature and by the method of structural analysis.

The scientific and practical significance of the work is determined by its complex nature and method of structural analysis.

ლალი ჭითანავა

ჯეინ ოსტინის ფენომენი

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურღულიას სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა

ჯეინ ოსტინი, როგორც პიროვნება და როგორც მწერალი საოცრებაა მე-19 საუკუნის ინგლისურ ლიტერატურულ სამყაროში, რომელმაც მთელი პანორამით გვიჩვენა ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაწილი საზოგადოებისა, ანუ ქალი და მამაკაცი პლუს სამთავრობო საზოგადოება. ეს უკანასკნელი ყოველმხრივ ცდილობდა ქალის როლის დაკნინებას. ამაზე არამარტო ჯეინ ოსტინი, არამედ დები ბრონტეების ცხოვრებიდან ერთ-ერთი ეპიზოდიც მეტყველებს. კერძოდ, შარლოტამ და ემილი ბრონტეებმა თავიანთი ლექსების კრებული წარუდგინეს რობერტ საუთს შეფასებისათვის, თუმცა მისგან მკაცრი პასუხი მიიღეს, რომ ლიტერატურა არ იყო ქალების საქმე (Sazgvargaretuli Literaturis Istoria, 1985: 427). უფრო შორს, რომ წავიდეთ, ვნახავთ შემდეგს: ცნობილი ფრანგი განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო თავის „ემილში“ ხაზს უსვამს, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს ფიზიკურად, ზნეობრივად და მორალურად, თუმცა, ასეთ აღზრდას ის უწესებდა მხოლოდ ვაჟებს, ხოლო გოგონებისათვის საუკეთესოდ მიაჩნდა საოჯახო საქმეების წარმართვა (Urushadze 1964: 170-186).

ინგლისის მმართველი წრეებისათვის მეტად მომგებიანი იყო ქალების უმემკვიდრეოდ დატოვება, რომლის მსხვერპლი ბევრი იყო. თუ მდიდარ ოჯახში არ იზრდებოდა ვაჟი, ქალიშვილი ვერ იქნებოდა მამის პირდაპირი მემკვიდრე, ამიტომაც სანოტარო სამსახური სასამართლოსთან და აღმასრულებლებთან ერთად ეძებდა მამის მხრიდან ნათესავს, ნათესავი კი აუცილებლად მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ასეთი მემკვიდრეობა მთელი თავისი ტიტულებით მიიღო თავის დროზე ჯორჯ ბაირონმაც (Sazgvargaretuli Literaturis Istoria, 1985: 12-50). თუ ოჯახში ვაჟი იზრდებოდა, ქალიშვილების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. მათ ძმა დაწესებულ წლიურ შემოსავალზე მეტს უნაწილებდა, უკეთეს შემთხვევაში გაათხოვებდა, ზოგჯერ შეთანხმების გარეშეც.

ჯეინ ოსტინმა სწორედ ამ პრობლემას გაუსვა ხაზი, თანაც ისე, თითქოს პირადად გამოეცადოს ეს ყველაფერი, თუმცა, მსგავსი საშიშროება მას არ ემუქრებოდა, რადგან საოცრად მოსიყვარულე დაძმებს შორის იზრდებოდა. უფრო მეტიც, ავადმყოფობის ჟამს არაჩვეულებრივად უვლიდნენ. მისმა ძმამ, ფრანცის ოსტინმა და დისშვილებმა მწერლის რომანები ესკიზებით დაამშვენეს, სადაც გვიჩვენეს მაშინდელი ინგლისური საზოგადოების ჭრელი ფენის სრული პანორამა. ჯეინის დამ კასანდრამ კი, იმის გამო, რომ გარდაცვალების შემდეგ ვინმეს არ ეფათურა მწერლის პირად ცხოვრებაში, ყველაფერი გაანადგურა თეორი-

ულ ნაშრომებთან ერთად. მოგვიანებით მკვლევარებს მოუწიათ ჯეინის ლიტერატურულ პორტრეტზე სერიოზული მუშაობა. მნიშვნელოვანია ეზრა პაუნდის შეხედულება, რომელიც თვლიდა, რომ ოსტინის რომანებში ადვილი შესამჩნევი იყო პერსონაჟებისა და ავტორის ხასიათების თანხვედრა. მაგალითად, ლიზი ბენეტი („სიამაყე და ცრურწმენა“) თავისი ძლიერი ხასიათით და ინტელექტუალური ბუნებით, შეუპოვრობით და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით, კეთილშობილებით თუ კაცთმოყვარეობით მწერლის ლიტერატურული პორტრეტის ერთი-ერთი ნაწილია. იმავე რომანში ლიზი ბენეტიც, თავისი სათნოებით და მოკრძალებით, ასევე მწერლის პორტრეტის სხვა მხარეს უსვამს ხაზს.

1802 წელს ჯეინს ცოლობა სთხოვა ჰარის ბიგ-ვიზერმა, უხეშმა და უტაქტო ადამიანმა. ჯეინმა კი ის უარით გაისტუმრა, თუმცა ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით ინანა, რადგან მის მომავალ ქმარს, მისი ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება შეეძლო. მიუხედავად ყველაფრისა (იგულისხმება მატერიალური პრობლემა – ლ. ჭ.), ჯეინი ახერხებდა თავისი მხატვრული ტექსტების პუბლიკაციას (Dasavluri literatura, 2017: 164-166).

ოსტინი განმანათლებლობის ტრადიციების გამგრძელებელია და მისი შემოქმედება ინგლისური რეალისტური რომანის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. მან მაშინ დაიწყო რომანების წერა, როდესაც ინგლისში პოპულარობით სარგებლობდა გუთური რომანი, სავსე საშინელებებით, რომლებიც შუა საუკუნეობრივ ფონზე ვითარდებოდა. ოსტინი წინ აღუდგა ლიტერატურის ასეთ მიმდინარეობას. რომანში „ნორთინგემის სააბატო“ დასცინოდა გუთური რომანების ფანტასტიკას.

ჯეინ ოსტინი თავისი ნაწარმოებებით ცდილობს გააღვიძოს მკითხველის ინტერესი რეალური ცხოვრების ჭეშმარიტი სურათებისადმი, რაც კარგად გვიჩვენა ერთ-ერთ საუკეთესო რომანში „სიამაყე და ცრურწმენა“ (1813), სადაც არის მთელი გალერეა ხასიათებისა, ფაქიზი იუმორი და ბედნიერი დასასრული. ამას მოჰყვა „მენსფილდ-პარკი“ (1814), ესეც ამაოების ბაზარია, უგმირო რომანი „გონება და გრძნობა“ შეუპოვარი კრიტიციზმით, „ემი“ და ასე მრავალი.

ოსტინის რომანებში მოცემულია ჩვეულებრივი ადამიანების სულიერი სამყარო, საუბარია იმ ახალგაზრდა გოგონებზე, რომლებიც ოცნებობენ გათხოვებაზე. მწერლის მიერ ასევე შესანიშნავადაა დახასიათებული მემკვიდრეობის მაძიებლები და ის ეგოისტი ლამაზმანები, რომელთა საფიქრალი სხვათა ბედის განკარგვას წარმოადგენს.

მწერალი გმირების სამყაროს უყურებს ირონიით და მკითხველს თავს არ ახვევს საკუთარ მორალურ პოზიციას, თუმცა, ყველა „სურათი ოჯახური ცხოვრებიდან“, როგორც ამას თვითონ უწოდებდა, მნიშვნელოვან და საინტერესო ფერებშია წარმოდგენილი. მისი რომანები მაინც სოციალურია, სადაც ფული არც თუ ნაკლებ როლს თამაშობს, რადგან არამარტო უარყოფითი პერსონაჟები, არამედ ისინიც კი, ვის მიმართაც გარკვეული სიმპათიები გააჩნია მწერალს, ძირითადად მემკვიდრეობის თემაზე საუბრობენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეკერეიმდე ცოტა ხნით ადრე ოსტინმა ყურადღება გაამახვილა ტიპიურ ინგლისურ „დაავადებაზე“, რასაც „სნობიზმი“ ეწოდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯეინის დამ, იმის გამო, რომ მწერლის შემდეგ არავინ არ დაინტერესებულა მწერლის პირადი ცხოვრებით, თეორიულ ნაშრომებთან ერთად ყველაფერი გაანადგურა, აი რას წერს ვირჯინია ვულფი: „მისს კასანდრა ოსტინს თავისი რომ გაეტანა, ჯეინ ოსტინისაგან რომანების გარდა აღარაფერი დაგვრჩებოდა. ჯეინი მხოლოდ თავის უფროს დას წერდა გულახდილად; მხოლოდ მას ანდობდა თავის ოცნებებსა და, თუ ხმებს ვერწმუნებით, უდიდეს იმედგაცრუებას თავისი ცხოვრებისა; მაგრამ, როცა მისს კასანდრა ოსტინი მოხუცდა, თავისი დის სახელის მოხვეჭამ საზოგადოებაში, ეჭვი გაუჩინა, რომ შესაძლოა ისეთი დრო დადგეს, უცხოებმა ცხვირი ჩაჰყონ ჩვენს წერილებში და მეცნიერებმა ჩხრეკა დაიწყონო. მან დაწვა ყველა ის წერილი, რომელთაც შეეძლოთ სხვების ცნობისმოყვარეობა გამოეწვია და ინტერესი აღძვროდათ, ეს კი მძიმე ფასად დაუჯდა. დატოვა მხოლოდ ის წერილები, რომლებიც მეტისმეტად ტრივიალურად მიიჩნია საამისოდ“ (Vulfi, 1988: 91).

ჯეინ ოსტინზე, როგორც საკმაოდ მნიშვნელოვან მწერალზე, ჩვენი ცოდნა ემყარება მოარულ ხმებს, ორიოდ წერილსა და წიგნებს, შესაბამისად რომანებსაც. რაც შეეხება მოარულ ხმებს, ჭორებს, მათ დროს გაუძლეს და აი, მე-20 საუკუნის მიწურულამდეც მოაღწიეს, თუმცა, არც ერთ ასეთ ჭორს ზიზღი არ გამოუწვევია, პირიქით, საინტერესოც კი არის. აი, რას წერს ჯეინის ბიძაშვილი ფილადელფია ოსტინი: „ჯეინი სულაც არ არის მიმზიდველი და თორმეტი წლის გოგონასთვის შეუფერებლად მკაცრია... ჯეინი ახირებული და პრანჭიაა“ (იქვე) და სწორედ ეს პრანჭია, მკაცრი გოგონა მალე უნდა გამხდარიყო ცნობილი მწერალი, რომელიც განმანათლებლების ტრადიციებს გააგრძელებდა და ამავე დროს ინგლისური რეალისტური რომანის განვითარების ახალ ეტაპს დაიწყებდა. მას ახასიათებდნენ როგორც მახვილი გონებისა და მბრძანებლური ძალის პატრონს, ხშირად „საჩხრეკ რკინას“ ადარებდნენ. როგორც ამბობდნენ, ჯეინის ძმებს ძალიან უყვარდათ თავიანთი და და ამაყობდნენ მისით (Ostini, 1982: 82).

„მომხიბვლელი, მაგრამ ცივი, შინ საყვარელი, მაგრამ უცხოთათვის შემაცბუნებელი, ენამწარე, მაგრამ გულკეთილი – ეს კონტრასტები სულაც არ არის შეუთავსებელი და როცა რომანებს მივუბრუნდებით, დავინახავთ, რომ ეს სირთულეები მის მწერლობასაც ახასიათებს“, – ამბობს ვირჯინია ვულფი (Vulfi, 1988: 92).

მისი შემოქმედების განხილვისას ის ისევე აქცევს ყურადღებას ოსტინის რომანტიკულ გმირებს, რომლებიც თითქოსდა მოწყდნენ მიწიერ სამყაროს და „ზედმეტი“ ან თუნდაც „მოჭარბებული“ გრძნობების ბატონობის ქვეშ მყოფნი ათასგვარ სისულელეებს სჩადიან და ერთგვარად „დაუსჯელნიც“ რჩებიან. ამავე დროს მწერალი მათ გვერდით იმყოფება, გულისტკივილს თუ თანაგრძნობას გამოხატავს, მაგრამ ასევე მის მახ-

ვილ თვალს არ გამოეპარება ზედმეტი ქცევები საკუთარი გმირებისა, შინაურული ხუმრობები იქნება თუ სატირული დეტალები. იგი დასცინის მშვენიერ ქალბატონებს, „დივანზე მსხდომნი რომ ოხრავდნენ და გული მისდიოდათ“. ეს საქციელი მას არაბუნებრივად მიაჩნია და ყველა ასეთ გმირს, მოლიერის „პრანჭია ქალებისა“ არ იყოს, სასაცილო სიტუაციაში აყენებს და ხშირ შემთხვევაში ერთგვარი გამოსწორების შანსსაც აძლევს. ვირჯინია ვულფი აღნიშნავს, რომ „და-ძმანი ალბათ იცინოდნენ, როცა ჯეინი უკითხავდათ თავის ბოლო თავდასხმებს იმ მანკიერებებზე, თითოეულს რომ ეზიზღებოდა... და იგი ესწრაფებოდა იმ სიჩქარით, როგორი წერაც შეეძლო, და უფრო სწრაფად, ვიდრე კითხვას შეძლებდა, მოეთხრო არაჩვეულებრივი თავგადასავლები“ (Vulfi, 1988: 83).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯეინ ოსტინმა მაშინ დაიწყო რომანების წერა, როდესაც ინგლისში პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „გუთური“ ციკლი, სავსე საშინელებებით, უცნაური ფათერაკებით, შემთხვევითი კადრებით, რომლებიც შუასაუკუნეობრივ ფონზე ვითარდებოდა (Sazgvargaretuli literaturis istoria, 1985: 369-370). მწერალი იმთავითვე დასცინოდა რომანის გამართვის ასეთ სტილს. ნაწარმოებში „ნორთენგერის სააბატო“, რომელიც 1798 წელს დაიწერა, პირდაპირ თავს ესხმის გუთურ სტილს, „უაზრო“ ფანტასტიკას, უჩვენებს მის მავნე გავლენას მკითხველებზე და ხაზს უსვამს უშუალოდ მკითხველის გემოვნებას, ცდილობს გააღვიძოს ინტერესი რეალური ცხოვრების ჭეშმარიტი სურათებისადმი.

ერთ-ერთ საუკეთესო რომანში „სიამაყე და ცრურწმენა“, რომელიც 1813 წელს დაიწერა, დამაჯერებლად გვიჩვენებს პროვინციელ დიდგვაროვანთა ცხოვრების თითქმის ყველა დეტალს. ნაწარმოები მდიდარია გმირთა ცოცხალი სახეებით. მწერალი არ ეხება თავისი დროის დიდ საზოგადოებრივ საკითხებს და, როგორც აღვნიშნეთ, იგი პატარ-პატარა ყოველდღიური დეტალებით პროვინციული ინგლისის თავისებურებებს ასახავს. სწორედ ეს ცხოვრებისეული სიმართლე, ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატობა და იუმორი, თამამად შეიძლება ითქვას, ხალასი, სხარტი იუმორი, ყველაზე მეტად ხიბლავს მკითხველს ჯეინ ოსტინის რომანებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ „კაპასი, მკაცრი გოგონა“ გაიზარდა და გადაიქცა ყველაზე კოხტა, ქარაფშუტა, ყველაზე პრანჭია, სხვის ქმრებზე მონადირე პეპელად“, როგორც მის უცნობ მეგობარს, მისის მიტფორდს ახსოვდა და საზოგადოების წინაშე წარსდგა გენიალური რომანის ავტორად, მხედველობაში გვაქვს „ამპარტანება და ცრურწმენა“, რომელიც საიდუმლოდ დაწერა „ჭრიალა კარებს ამოფარებულმა“ და რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ეტრფოდა მხოლოდ ერთ ადამიანს, უილიამ უორდსუორთის ძმას, რომლისადმი გრძნობა ისე სათუთად იყო შენახული მწერლის გულში, რომ ადრესატმა ოსტინის გარდაცვალების შემდეგ შეიტყო (Ostini, 1982: 82).

რაც შეეხება რომანს „სიამაყე და ცრურწმენა“ წლების განმავლობაში გამოუქვეყნებელი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯეინ ოსტინი ლიზი ბენეტის თუ ჯეინ ბენეტის სახეში და ხასიათებში საკუთარ თავს აზოგა-

დებდა, ბევრი საერთო ჰქონდა მათთან, ხოლო მისტერ დარსი მისთვის იყო იდეალური მამაკაცი (ალბათ თავის წარმოდგენებში ხატავდა იდუმალი სატრფოს პორტრეტს), და ამავე დროს შორიდან მომზირალი. მან ვერ გაუძლო ამ დატვირთვას, ძლიერ განიცდიდა თავის უმოქმედობას გამომცემლებთან მიმართებაში და აკვირდებოდა თაროზე დადებულ თავის „პირმშო-რომანს“. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მწერალს ეს რომანი დაუმთავრებელი დარჩა. არ ვიცით როგორ დაასრულებდა რომანს, როგორი ჩასწორებებით, ჩამატებებითა თუ მხატვრული ხერხებით, მაგრამ ლიზის ან ჯეინ ბენეტის სახეს ის ალბათ არ შეცვლიდა.

ოსტინის რომანები შედარებით ვიწრო დიაპაზონით ხასიათდება. მწერალი არ ეხება თავისი დროის დიდ საზოგადოებრივ საკითხებს. პირიქით, იგი პატარ-პატარა, ყოველდღიური დეტალებით პროვინციული ინგლისის თავისებურებებს ასახავს და ხალასი იუმორით და ზოგჯერ გესლიანი ირონიით დასცინის ეგოისტურ და ანგარებიან ზრახვებს.

ჯეინ ოსტინის გენია თავისუფალია და აქტიური. ჩვენი შეგრძნებები ერთბაშად ცოცხლდება, გვეუფლება რაღაც განსაკუთრებული დაძაბულობა, რისი გადმოცემაც მას შეუძლია. ისმის კითხვა: საიდან? რისგან იქმნება ყოველივე? პროვინციულ ქალაქში მოწყობილი მეჯლისისაგან? წამიერი შეხვედრებისა და ერთი-ორი თავაზიანი კომპლიმენტისგან? – თითქოს ეს ყველაფერი უბრალოა – არ არის ტრაგედია, არც ჰეროიზმი. მაინც რაღაც მიზეზთა გამო ეს პატარა სცენა არღვევს თავისი საზეიმო ზედაპირის პროპორციებს და წინ მიიწევს. მკითხველს ეუფლება გაურკვეველი შეგრძნება იმისა, რომ ასეთ უბრალო, ყოველდღიურ, თუნდაც პრიმიტიულ სცენას თვითონაც დაწერდა, მაგრამ მეორე მხარე – ჩადებდა იმ კოდს, შემოქმედებით გენიას, რომლის დარღვევა შეუძლებელიც კი იქნებოდა. და მაინც, ეს პატარა სცენა გადამწყვეტი აღმოჩნდა პირველ რიგში მკითხველისათვის და შემდგომ უკვე მწერლისათვის; ამ შემთხვევაში მწერალი და მკითხველი მარტოა. იგი გვიბიძგებს, მოვიძიოთ ის, რაც იქ არ არის. მწერალი რასაც გვთავაზობს, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, მაგრამ იმგვარად არის შეთხზული, რომ მკითხველის გონებაში განივრცობა და წარმოაგდენს ყველაზე გამძლე ფორმას ცხოვრების სცენებისას. ყურადღება მხოლოდ გმირზეა, მას სჯერა მათი, გარდა იმისა, რომ აღიარებს.

უცნობია რამდენჯერ შეხვდა ჯეინი უორდსუორთის ძმას, მაგრამ თუ მივყვებით რომანის ეპიზოდებს, მათი შეხვედრა ალბათ რამდენიმეჯერ შედგა, ისიც ალბათ მეჯლისზე და უშედეგოდ, რადგან იგი იყო მეზღვაური და სულ სხვა მიზნები ჰქონდა – აინტერესებდა მხოლოდ სამხედრო საქმე და კარიერა. ჩანს არც უფიქრია თუ ვინმე ფიქრობდა მასზე. როცა ყველაფერი მწერლის სიკვდილის შემდეგ გაიგო, დარდიც ვერ მოასწრო, ვინაიდან ისიც მალე ტრაგიკულად დაიღუპა. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ უორდსუორთი ძალიან ახალგაზრდა, მწერლის გარადაცვალებამდე დაიღუპა და თითქოს ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მწერლის სიკვდილის დაჩქარებისა, ანუ მის დაავადებას დარდიც დაემატა.

ჯეინ ოსტინი გამორჩეულად ნიჭიერი გახლდათ. მის დაუსრულებელ რომანებში ვერ ვნახავთ ვერც ერთ ჩავარდნას. გარდაიცვალა იმ ასაკში, როდესაც უკვე სიცოცხლის დიდი უნარით დაჯილდოებას გრძნობდა, რომ ეცოცხლა, მეტს დაწერდა და მაინც იგი 42 წლისა აღესრულა, წავიდა შემოქმედებითი ძალების მწვერვალზე ყოფნისას.

ლიტერატურა:

1. Baironi J. Chaild Haroldi, Translated By S. Khundadze, Qutaisi, 1925.
2. Biganishvili T., Chitanava L. Dasavluri Literatura. Tbilisi, 2017.
3. Khavtasi G., Revishvili Sh., Orlovskaia N., Charqhalashvili Z. Sazgvargaretuli Literaturis Istoria, Nat. II. Tbilisi, 1985.
4. Ostini J. Sochineniya, T. I, Moskova, 1982.
5. Urushadze N. Sazgvaretis Literaturis Istoria, Tbilisi, 1964.
6. Vulfi V. Eseebi, Tbilisi, 1988.

Lali Chitanava

JANE AUSTEN'S PHENOMENON

Presented by O. Churgulia Institute of Literature and Language at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Jane Austen, as a personality and writer, is a miracle in the nineteenth-century English literary world that showed us with a whole panorama two interconnected societies, that is, women and men, plus a government society that tried to derogate the role of women. The writer emphasized this problem, as if she had experienced it, though she did not pose such a threat, as she grew up and lived among his loving brothers and sisters. Jane Austen's gene is free and active. Our senses come to life at once; we feel some special tension that she can convey. In one of the best novels "Pride and Prejudice", written in 1813, convincingly the author shows almost every detail of the provincial nobles, life with little daily episodes, peculiarities of provincial England. Truth of life, the mastery and humor of psychological analysis that most fascinates readers in Jane Austen's novels.

მაია ქარდავა

ლიტერატურული პერსონაჟის გარეგნობა, როგორც ღირებულება

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ო. ჭურ-ღულიას სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში აღინიშნება მზარდი ინტერესი ლიტერატურული პერსონაჟის გარეგნობისადმი. „სხეული, ვიზუალი, ტანსაცმელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხატვრული შეფასების სპეციფიკური მომენტი, პერსონაჟისაგან განცალკევებით, როგორც მხატვრული ხედვის ღირებულებითი ცენტრი“ (Bakhtin, 200: 87).

ადამიანის სხეული ხელოვნებაში შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკე ობიექტი, ავტორისა და მკითხველისაგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვანია პერსონაჟის განხილვა ავტორის მხატვრულ წარმოსახვაზე დაყრდნობით, სადაც აქცენტირებულია მისი ვიზუალურ-სხეულებრივი მხარე, როგორც მხატვრული არჩევანი და ნაჩვენებია გმირის კონკრეტული ადგილი ამ სამყაროში. პერსონაჟის ხილული სახე განიხილება იმ ესთეტიკურ გარემოში, რომელშიც ის არსებობს. ამ მიდგომით მისი პორტრეტი გამოიკვეთება არა ფორმალურად, არამედ როგორც განსაკუთრებული აზრობრივი მხარე.

მხატვრული რეალობის აღწერისას რიგ შემთხვევებში ნაკლებად ხდება პერსონაჟის გარეგნობის გამოკვეთა და გარეგნობა გარკვეულწილად ნაჩვენებია, როგორც დამხმარე საშუალება. მაგალითად, მ. გაბელის ნაშრომში „Изображение человеческой внешности“ გარეგნობა განისაზღვრება, როგორც ლიტერატურული პორტრეტი, მაგრამ რას წარმოადგენს ის, არ არის განხილვის საგანი. იგივე სურათს ვხვდებით Harry Shaw-ს ლექსიკონში, სადაც ფიზიკური არსებობა (physical appearance) განიხილება, როგორც დახასიათების (characlerization), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, მაგრამ პერსონაჟის გარეგნობა არ არის სპეციალური შესწავლის საგანი. ზემოთხსენებულ ლექსიკონში არ არის ასევე ახსნილი მისი ფიზიკური დახასიათების აუცილებლობა. ხშირად გარეგნობა ლიტერატურული აღწერისას ადგილს უთმობს პორტრეტის სხვა კატეგორიებს: სხეულს, ტანსაცმელს, ჟესტს და ა.შ.

ცნობარში “Literary tems and criticism“, სტატიაში „Character“, პერსონაჟის გარეგნობა განიხილება, როგორც „ტანისამოსი“ ან „ვიზუალური განსაკუთრებულობა“ და არ გამოდის პირველ პლანზე, როგორც კვლევისა და ინტერესის საგანი.

ლიტერატურული გმირის გარეგნობის მიმართ მეცნიერული ინტერესი განაპირობა სხვადასხვა მეთოდების და სტილის წარმოშობამ, რომლებიც იცვლებიან ეპოქათა ცვლასთან ერთად და ცვლიან პორტრეტის კატეგორიასაც. თვით სიტყვა „პორტრეტი“ ხაზს უსვამს მის კავშირს

ფერწერასა და სკულპტურასთან, ის შეიძლება მოიცავდეს პერსონაჟის გარეგნობის აღწერას, მიუთითებდეს ტექსტის გარკვეულ დონეზე ან უჩვენებდეს მხატვრული სახის გარკვეულ მხარეს. მაგალითად, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“, მარიამ დედოფლის პორტრეტი სავსებით ზუსტად გვიჩვენებს ეპოქას, პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას და ტექსტის მაღალმხატვრულ დონეს: „დედოფალი შემოვიდა დარბაზში. სიგამხდრეს კიდევ უფრო მეტად გაემაღლებინა ისედაც ახოვანი, პირხმელი ქალი. ფერგამკრთალი ჩანდა და სახემშრალი. ჩინური, შავი ფარჩა ეცვა, დიდრონი ალმასების მანიაკი ირისეს დარად უთიმთიმებდა ყელის გარშემო. წვრილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი, ენერგიული ძარღვები მოუჩანდა. რისხვიანად უელავდნენ წამოსივებული თვალები (Gamsakhurdia, 1976: 50).

„პორტრეტი შეიძლება იყოს იდეალიზირებული, გროტესკული და მისტიკური. ისინი ლიტერატურულ ნაწარმოებში შეიძლება დავყოთ ექსპოზიციურ და ლეიტმოტივურ კატეგორიებად, როგორც ნაწარმოების კომპოზიციასთან თანხვედრაში მყოფნი. გარეგნობის, როგორც არქიტექტონული ელემენტის შესწავლა კი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კომპოზიციის ხარისხი სწორედ ლიტერატურული ნაწარმოების არქიტექტონიკით განისაზღვრება, ამასთან გარეგნობა, როგორც არქიტექტონული მომენტი განსაზღვრავს აღწერის კომპოზიციურ ფორმებს“ (Baxtin, 2000: 304).

ლიტერატურული გმირის პორტრეტი, როგორც მთლიანი სახე, გვიჩვენებს ავტორის სიმპატიას ან ანტიპატიას. ზოგიერთი პერსონაჟის სახე თვალნათლივ მეტყველებს მათდამი ავტორის დამოკიდებულებაზე, დადებითია ის თუ უარყოფითი. გავიხსენოთ ჯაყოს პორტრეტი, მ. ჯავახიშვილის რომანიდან „ჯაყოს ხიზნები“, თუ როგორ აღწერს მწერალი მის სახეს:

„ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო. შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი – მოკლე და აჭყლეტილი. თვალები – მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუღლუტი, მოელვარე და მოუსვენარი. თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბების ლარი, რომელიც მაღალსა და წინ-წამოვარდნილ კვინიხზე შუაზე გადატეხილიყო.

თავთ ეხურა ყავისფერი ოსური ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა ოსური შალის

გაპოხილი ჩოხა, ხოლო ფეხებზე – ხალათი პაიჭებით, თათრული ჭრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები. ერთი ადლის სიგრძე და ვერცხლით შეჭედილი თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი ტლანქსა და ბეჭგანიერ გოლიათს ხალვათ სიარულისთის თეძოზე ჩამოეკიდნა.

ჯაყოს ერთ ხელში რკინით ნაჭედი მაჯის სისქე კომბალი ეჭირა, ხოლო მეორე იღლიაში ჭედილა – ცხვარი ამოეჩარნა, რომელიც ისე ადვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიაზე მძიმე არ ყოფილიყო. ბეჭებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაგდებული, გულმკერდსა და წელზე სამი სავაზნე ჰქონდა შემორტყმული, ხოლო თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდა“ (Javakhishvili, 1977: 35).

აქ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ჯაყოს ნატურას და მისადმი ავტორის დამოკიდებულებას.

პორტრეტის კატეგორია მთლიანად ვერ ახასიათებს და ვერ მოიცავს ადამიანს, როგორც სპეციფიკურ ლიტერატურულ პერსონაჟს. გარეგნობას, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების არქიტექტონულ მომენტს სჭირდება გარკვეული საზღვრები, რაც არ არსებობს პორტრეტის კატეგორიაში, მაგრამ მისი მეშვეობით მკვლევარებს შეუძლიათ აღწერონ ადამიანის სახე მხატვრულ სამყაროში, გვიჩვენონ მისი ნატურის სახეცვლილება ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა პერიოდსა და სხვადასხვა მწერალთა შემოქმედებაში. პორტერეტი, როგორც ჟანრი განსაზღვრულია G. VonWilpert-ის ლექსიკონშიც, სადაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული ლიტერატურული და ფერწერული პორტრეტი. გარეგნობა – ეს ხილულ-გრძნობითი აღწრილობაა ადამიანისა, ის პერსონაჟის პლასტიკურ-ფერწერული მხარეა. ლიტერატურული გმირის განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაშიც, რომ მხატვრულ-წარმოსახვით სამყაროში ის სხვა პერსონაჟს წარმოუდგება, როგორც მისი შინაგანი აღქმის გრძნობითი სახე. ავტორის მხატვრული ღირებულების საგნად იქცევა უკვე დანახული და ეთიკურად შეფასებული პერსონაჟი, სწორედ ამაშია პორტრეტის კატეგორიის განსაკუთრებულებლობა ლიტერატურათმცოდნეობაში, რომელიც დაკავშირებულია ისეთ მცნებებთან, როგორიცაა „ხედვა“ და „ვიზუალურობა“. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვიზუალურობა„ თავის თავში იტევს გარეგნობის არა მარტო ემპირულ მხარეს, არამედ გმირის შინაგან თვალთახედვასა და მის შინაგან სამყაროს.

ძალიან მნიშვნელოვანია გარეგნობის გამოსახულებითი ხარისხი, როგორც გმირის თვითგამორკვევის ერთ-ერთი ასპექტი ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელიც განიხილება, როგორც შეფასება-ინკარნაცია.

მორიგი საინტერესო საკითხი, რომელიც გმირის პორტრეტს უკავშირდება, ესაა ლიტერატურული პერსონაჟის გარეგნული სახის სტრუქტურა, რომელიც შეისწავლება სტრუქტურულ-სემიოტიკური მეთოდით. გარეგნობის ფიზიკურ, არტიკულირებად მხარეში კონცენტრირდება ყველა ელემენტი და ძალიან მნიშვნელოვანია მათი განხილვა გმირის მთლიან სახესთან ერთად. ზოგჯერ ლიტერატურულ ნაწარმოებში არც კი გვაქვს გმირის სახე, მაგრამ ის იგრძნობა, როგორც მაგალითად ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებსა და მინიატურებში: „შეუგნებლად დაერიდა

ბავშვების სივილს--- გამოვიდა ქოხიდან... გადიარა ეზო... უგზო-უკვლოთ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი“... „ბავშვები“... „ხარი“... ისევ ადგა, ჯერ შარაგზას გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვიღაცამ. მობრუნდა.

– გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწამე, არ მქონდა; აი დღეს ქე მაქ ცოტა და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო – იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო.

– მომეცი! – მოკლეთ მოუჭრა და ღობეს მიადგა.

– ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი. მე თვითონ წამოვიღებ ...ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა.

– რა დაგემართა. კაცო?

– არაფერი!

– ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ჩვენკენაც მოიხედავს... ნელა შემობრუნდა, უხმოთ მოშორდა მოხუც დედაკაცს – თავის ნათლიას, რომელიც გულში ფიქრობდა: შენი მტერია, ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე... მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს... რას უშველის, საწყალს, ნახევარი ჯამი?.. ეხ. ღმერთო, ღმერთო!“ (Lortqifanidze, 1982: 23).

ამდენად, სტატიაში მოცემულია მცდელობა ლიტერატურული გმირის გარეგნობისა და მისი ხილულ-გრძნობითი სახის განხილვა, როგორც მხატვრული ღირებულება. პერსონაჟის გარეგნობა და მისი შინაგანი სამყაროს ურთიერთობა, გამომსახველობითი მხარე, მხატვრული შეფასების გამოვლენაა. ვიზუალი შეიძლება იყოს განუყოფელი გმირის შინაგანი სამყაროსაგან და გარეგნობა მთლიანად ხსნიდეს ადამიანს, ამ შემთხვევაში ის სხვათათვისაც ხილული და შესაგრძნობი ხდება, რადგან ადამიანის ღირებულებას ვერ განვსაზღვრავთ მისი შინაგანი სამყაროსგან დამოუკიდებლად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ირღვევა კავშირი გმირსა და მის შინაგან სამყაროს შორის და გარეგნობა არ გამოხატავს პერსონაჟის „მე-ს“. ეს ორი კატეგორია სრულიად დამოუკიდებლად არსებობს. მაგალითისთვის გავიხსენოთ ვიქტორ ჰიუგოს კვაზიმოდო და ოსკარ უაილდის დორიან გრეი. აქ საქმე გვაქვს ღირებულებათა ტრაგიკულ ცვალებადობასთან, რადგან გარეგნობა ამ შემთხვევაში მკვდარი გარსია, რომელშიც არ ჩანს ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სული.

ლიტერატურული გმირის გარეგნობის სტრუქტურულმა განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვენახა პორტრეტის კატეგორია, როგორც პრობლემა. პერსონაჟის გარეგნობის გარკვეულ ნაწილზე აქცენტის გაკეთება ერთგვარი მხატვრული შეფასებაა, ხოლო გარეგნობის სტრუქტურიზაცია წარმოგვიდგება, როგორც არაერთგვაროვანი ფასეულობა. გარეგნობის ტოპოგრაფიული სტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული მის გამომსახველობასთან. ტრადიციულად გარეგნობის აზრობრივი ცენტრი – სახეა, მაგრამ აქცენტი ასევე შეიძლება გაკეთდეს ხელებზე (შეხება, ჟესტი). სახე, პირველ რიგში კი – თვალები, ესაა ადამიანის შეცნობის ერთ-ერთი პირველი გზა, რომელთანაცაა დაკავშირებული მისი შინაგანი „მე“. პერსონაჟის შეცნობის ეს ხერხი დამახასიათებელია რომანტიკული ეპოქისათვის, იდილ-

იური და ელეგიური ნაწარმოებებისათვის, სადაც თვალები გამოხატავენ გმირის შინაგან სამყაროს, ტუჩები – გრძნობას, მკერდი კი გულს. სახისა და თვალის სილამაზე თავისებურად გვიჩვენებს პიროვნების თვითღირებულებას, რაც დამახასიათებელია მხატვრულობის რომანტიკული პარადიგმისთვის. (მაგალითად, ჯორჯ ბაირონის პოემები).

კვლევისას გამოყენებულ იქნა ჰერმენევტიკული მეთოდი, რომელიც აუცილებელია სახეთა გარეგნული მხარეებისა და ნაწარმოების შინაგანი აზრობრივი შეცნობისათვის. აქედან გამომდინარე გარეგნობის აღწერა, როგორც სპეციფიკური ფასეულობა განუყოფელია კონკრეტული მხატვრული ტექსტისაგან, რასაც მივყავართ ფენომენოლოგიურ მეთოდთან, რომელიც გმირის გარეგნობის აღწერას აკავშირებს მხატვრულ ფენომენთან. გარეგნობის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის მთლიანი სახის ცალკეული ნაწილის განხილვა კი აუცილებელია მისი სრული შეცნობისათვის, გმირის შინაგანი „მე“-ს ემოციურ-სტრუქტურული გამოხატვისათვის.

ლიტერატურა:

1. Bakhtin M. Sobranie sochinenii, т. I. Moskva, 2003.
2. Bakhtin M. Epos i roman. Moskva, 2000.
3. Gamsakhurdia K. Didostatis marjvena. Tbilisi, 1976.
4. Javakhishvili M. Rceuli. Tbilisi, 1977.
5. Lortkifanidze N. Tkhzulebebi, Tbilisi, 1982.

Maia Qardava

LITERARY CHARACTER' S APPEARANCE AS A VALUE

Presented by O. Churgulia Institute of Literature and Language at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Structural review of literary character's appearance gave us opportunity to see the category of portrait, as a problem. Feature of evaluation is focused on a certain part of the appearance of the character and the structure of the appearance is a variety of values. The scientific interest in the appearance of the literary hero was due to the emergence of various methods and styles, which change the category of portrait painting.

The paper illustrates the variations of characters' portrait in different periods of literature development and in various writers' creative work.

ისტორია
HISTORY

გურამ კუტალია

ეროვნული სულის შემძვრელი სტატიები და ინფორმაციები XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში
(დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის, რელიგიის და პედაგოგიკის საკითხებზე დაყრდნობით)

XIX საუკუნის მეორე ნახევარი – ეს ის დროა, როცა რუსეთის იმპერიაში დამონებულმა ხალხებმა მასიურად იწყეს გამოღვიძება. იწყება ბრძოლა თავისუფლებისათვის. გამონაკლისი არც ქართველები იყვნენ, აქტიურობდნენ არა მარტო „სამოციანელთა“ თაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, არამედ ინტელიგენციის რიგითი წარმომადგენლებიც კი, რომლებსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონდათ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. იბეჭდებოდა მათი ეროვნული სულის შემძვრელი სტატიები და ინფორმაციები, რომლებშიც მრავლად იყო მაგალითები არა მხოლოდ მშობლიური ქვეყნის ისტორიიდან, არამედ ევროპის ხალხთა წარსულის, რელიგიისა თუ პედაგოგიური ნააზრევის სფეროდანაც კი. მართალია, ეს მასალა ყოველთვის როდი მისდევდა ისტორიულ სინამდვილეს, და ამდენად, სერიოზულ კორექტირებასაც საჭიროებს, მაგრამ ქართველ მკითხველს იმის წარმოდგენას კი უქმნიდა, რაოდენ დიდი ძალისხმევის ფასად მოიპოვება თავისუფლება, რაოდენ მასშტაბურ მსხვერპლს მოითხოვს მამულის სამსახური. ერთი სიტყვით, ქართული პერიოდიკა თავისი პუბლიკაციით ერთგვარ იდეოლოგიურ საფუძველს ამზადებდა, ქართველ ხალხს ეროვნულ თვითშეგნებას უღვიძებდა, თავისუფლების მოპოვების სურვილს უძლიერებდა.

ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ იმ სტატიებზე, რომლებშიც დამაჯერებლად აისახა შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ცალკეული ხალხების თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სარწმუნოებრივი თავისუფლების მოპოვებისათვის. ერთ-ერთი ასეთი სტატია, სათაურით – „კლოვისი და რიკულფი“ – ჟურნალ „ცისკარში“ 1884 წლის ნოემბერში დაიბეჭდა. ავტორია გიორგი დიდებულიძე.

მართალია, თხრობა აგებულია მხატვრული სიუჟეტზე, მაგრამ მასში მაინც ვხვდებით არაერთ ცნობას ფრანკთა ბრძოლის შესახებ ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა და ქრისტიანობის მიღებისათვის. სტატიაში აღნიშნულია, რომ ფრანკებმა რომაელები განდევნეს გალიიდან (დღევანდელი საფრანგეთიდან), თუმცა მათ ხელში დარჩა კიდევ ერთი ქალაქი – სუასონი, რომელსაც მართავდა სიაგრიუსი. გრიგოლ ტურელი სიაგრიუსს შეცდომით იმპერატორად მოიხსენიებს, სინამდვილეში კი ის მხოლოდ რომაელი სარდალი და სენის მიდამოებში არსებული მიწების

გამგებელი იყო. სტატიის ავტორი ამ შეცდომას, რა თქმა უნდა, არ იმეორებს, თუმცა ერთ უზუსტობას მაინც უშვებს, უთქმელს ტოვებს, რომ არც ფრანკები იყვნენ გალიის მკვიდრნი, მოსულები იყვნენ გერმანიიდან. სტატიაში საუბარია „კლოვისის“ მეფედ არჩევისა და კურთხევის შესახებაც; მეფის არჩევა ტომის ყრილობაზე, მისი დიდი სამეფო ფარისა და კოცონის ირგვლივ შემოტარებით ხდებოდა, რაც მთლიანად ჯდება ძველ გერმანელთა (მათ შორის ძველ ფრანკთა) ეთნოგრაფიულ რიტუალებში.

„კლოვისი“, რომელსაც მეფედ ირჩევენ, უნდა იყოს ფრანკთა მეფე ხლოდვიგი (481-511), რადგან მოთხრობაში ლაპარაკია „კლოვისის“ მეფობაში ქრისტიანობის მიღებაზე. მართლაც, ცნობილია, რომ ხლოდვიგი (3000 ფრანკთან ერთად) რომაული წეს-ჩვეულებით 496 წელს ეზიარა ქრისტიანობას, გახდა კათოლიკე. გიორგი დიდებულიძეს არ ავიწყდება იმის თქმა, რომ მეფე განეკუთვნება მეროვინგების დინასტიას, რომ იგი იყო შთამომავალი „მეროვეისა“, იმ სამხედრო მეთაურისა, რომელიც ფრანკებს მიუძღოდა კატალაუნის ველზე 451 წელს, როცა ებრძოდა ატილას. ამის შემდეგ სტატია, როგორც ვთქვით, კარგავს ისტორიულ პრინციპულობას, ფრანკთა ბრძოლას გალიაში ისე წარმოაჩენს, თითქოს ისინი ათავისუფლებდნენ საკუთარ მიწა-წყალს რომაელთა ბატონობისაგან. სინამდვილეში, ფრანკები იპყრობდნენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ადრე ეკუთვნოდათ გალებს ან ფრანკებისავე მონათესავე გერმანელ ტომებს. V საუკუნის მიწურულს მათ დაიპყრეს ტიურინგია და ალემანია, 507 წელს იერიში მიიტანეს სამხრეთ გალიაზე, სადაც ვესტგოთების სამეფო იყო. ამრიგად, ხლოდვიგს არავითარი ბრძოლა რომთან (თუ არ ჩავთვლით სიაგრიუსთან ბრძოლას 486 წელს, როცა მან ხელთ იგდო სუასონის ოლქი) არ ჰქონია და ვერც ექნებოდა, რადგან ამ დროს რომის იმპერია აღარ არსებობდა, მან არსებობა შეწყვიტა 476 წელს, როცა ოდოაკრმა ტახტიდან გადააგდო რომულუს ავგუსტუსი.

ასევე საფუძველს მოკლებულია ფრანკთა მიერ კათოლიკობის მიღების ავტორისეული ვერსია, რომლის მიხედვითაც, ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო მისი ერთგული მონადირის – რიკულფის მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ. სინამდვილეში კათოლიკობის მიღება ფრანკებში სხვა გარემოებით იყო განპირობებული. ხლოდვიგი ომს აპირებდა ვესტგოთებთან, რომლებიც არიანელები იყვნენ. ამიტომაც ხლოდვიგისათვის ბევრად უფრო მომგებიანი ჩანდა კათოლიკობის მიღება, მას რომის პაპის მხარდაჭერა ექნებოდა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხლოდვიგმა ასეთი ნაბიჯი მხოლოდ პოლიტიკური მიზნით გადადგა. საქმე ის არის, რომ ამ დრომდე, კათოლიკობის გავრცელებამდე, ხლოდვიგის ჯარისკაცებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც მზად იყო ქრისტეს სჯულის მისაღებად. ეს შეუმჩნეველი არც გრიგოლ ტურელს დარჩენია. „ხლოდვიგი, – წერს იგი, – ხედავდა, რომ ბევრი მისი ჯარისკაცი ბრძოლის დროს გაჰყვიროდა: იესო ქრისტე, დამეხმარე მე, რადგან ჩემი ღმერთები უღონონი არიან, ხოლო თუ დამეხმარები, გიწამებ შენ“ (Turskiy, 1987: 17). ამრიგად, საფუძველი ქრისტიანობის მიღებისათვის არსებობდა და ხლოდვიგმა ეს კარგად გამოიყენა. ერთი სიტყვით,

ფრანკების მოქცევა კათოლიკობაზე სულ სხვა ვითარებაში მოხდა, ვიდრე ეს აღწერილი აქვს გ. დიდებულიძეს და მონადირე რიკულფი უფრო მითოლოგიური პიროვნებაა, ვიდრე ისტორიული.

ამგვარად, ვერ ვიტყვით, რომ გრიგოლ დიდებულიძემ არ იცის ფრანკთა ისტორია, მაგრამ ზოგჯერ, როცა ამახინჯებს ფაქტებს და ამძაფრებს სიტუაციას, ამას იგი შეგნებულად აკეთებს. ამ გზით ავტორი კიდევ უფრო ნათელს ხდის თავის მთავარ სათქმელს, რომელსაც იმპერიული ცენზურის პირობებში პირდაპირ ვერ იტყოდა: რომაელთა წინააღმდეგ ფრანკების ბრძოლაზე რომ მოგვითხრობს, მასში დებს პატრიოტულ სულისკვეთების სიუჟეტს და ამით თავის ერს მამულის ხსნისაკენ მოუწოდებს.

პატრიოტულ ჟღერადობას არც დ. ჯავახიშვილის ის სტატიაა მოკლებული, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარის“ 1857 წლის ივნისის ნომერში სახელწოდებით – „ყრმათა ჯვრებით გალაშქრება სარწმუნოებისათვის მეცამეტე საუკუნეში“. სტატია მოთავსებულია ჟურნალის სპეციალურ განყოფილებაში – „სხვადასხვა ამბავი“ და ეხება დასავლეთ ევროპის ისეთ ტრაგიკულ მოვლენას, როგორიცაა ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც წინ უძღოდა V ჯვაროსნულ ლაშქრობას (1217-1221 წწ). ამ მოვლენას დ. ჯავახიშვილი, მსგავსად გ. დიდებულიძისა, თავისებურ საცერში ატარებს და ისეთ მომენტებს წარმოაჩენს, რომელთაც, მისი აზრით, ქართველი ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„1212 წელს, – წერს დ. ჯავახიშვილი, – ფრანცია და გერმანია იყვნენ მოწმეები იმ დიდი საკვირველებისა, რომელსაც „მათე პარი“ აღგვიწერს. ჯერ, უპირველესად, „მათე პარის“ ვინაობის შესახებ, რომელიც ავტორს ამ ამბის მთავარ მემატიანედ ჰყავს გამოყვანილი. საქმეს ართულებს ის, რომ ბავშვთა ლაშქრობას აღწერს შუა საუკუნეების დროინდელი ორმოცდაათზე მეტი ავტორი, აქედან მხოლოდ ოცი ავტორის ცნობას აქვს რეალური მოვლენის ელფერი, რადგან ისინი, ან თვითონ იყვნენ მხილველნი ამ მოვლენებისა, ან აღწერილი აქვთ ეს მოვლენები უშუალო მონაწილეთა მონათხრობით (Zaborov, 1980: 253), რადგან ტექსტში მოცემული ცნობები შეესაბამება სინამდვილეს. „მათე პარი“ ამ ოც ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ. ირკვევა, რომ იგი წარმოშობით ინგლისელია, რომელიც შემდეგში სენტ-აბატის მონასტერში ბერად მოღვაწეობდა. ასეთი კი იყო მათე პარიზელი, რომელსაც ეკუთვნის თხზულება „დიდი ქრონიკა“, სადაც მოიპოვება ცნობები ბავშვთა ჯვაროსნულ ლაშქრობებზე. რაც შეეხება მის სახელს – „მათე პარის“, იგი სასულიერო მეტსახელია, ან ფრანგულიდან დამახინჯებით გადმოტანის შედეგი.

მაინც რა იყო ის დიდი „საკვირველება“, რომლის მოწმენი გახდნენ საფრანგეთსა და გერმანიაში?

უპირველესად, ეს იყო ბავშვი მქადაგებლის – სტეფანეს გამოჩენა საფრანგეთში. „ყოვლად უცნობი ყმაწვილი, – ნათქვამია „დიდ ქრონიკაში“, – დაიარებოდა ფრანციის ქალაქებში და სოფლებში და მშვენიერი ხმით მღეროდა ფრანციცულ ენაზე. ამ სიმღერებში გაისმოდა მოწოდება, რომ ჯვრებით ხელში გაელაშქრათ მსურველებს პალესტინისაკენ“.

ეს ბავშვი იმაში არწმუნებდა თანატოლებს, რომ იგი ღვთის მიერ არის წარმოვლენილი დედამიწაზე და მოუწოდებდა მათ, რომ მიეღოთ მონაწილეობა მუსლიმებისაგან ქრისტეს საფლავის გათავისუფლებაში. ასეთივე მოწოდებით გერმანიაში გამოდიოდა ბავშვთა ლაშქრობის მეორე მქადაგებელი ნიკოლოზი (ნიკოლაუსი), 10 წლის ბავშვი, რომელსაც მონებით მოვაჭრე მამამისი აქეზებდა. ამაზე დუმს როგორც „დიდი ქრონიკის“ ავტორი, ისე დ. ჯავახიშვილი. ბავშვთა ლაშქრობას ისინი ღვთაებრივი ელფერით მოსავენ, რეალური ვითარება კი სხვაგვარი იყო: ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის წინ საფრანგეთსა და გერმანიაში ვრცელდებოდა ხმები, თითქოს წინა ლაშქრობების მარცხის მიზეზი მხოლოდ მოზრდილი ადამიანების მონაწილეობა იყო, უთვალავი ცოდვის მქონენი ვერ იმარჯვებდნენ მუსლიმებზე, საჭირო იყო უცოდველ ბავშვთა ლაშქრობა, რომლებიც ქრისტეს დახმარებით მიაღწევდნენ მიზანს („მოუშვით ჩემთან ბავშვები“ – იოანეს სახარებიდან). იდეის სისრულეში მოყვანას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამ ხანებში დასავლეთ ევროპაში მეტად დიდი იყო ღარიბ ბავშვთა რაოდენობა, რომლებმაც შეადგინეს ძირითადი მასა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისა“ (Meyer, 1965: 131). ეს ლაშქრობა უფრო ჯვრებით სვლის ელფერს ატარებდა, ვიდრე საბრძოლო ლაშქრობისა. ბავშვებს არ გააჩნდათ რაიმე სერიოზული შეიარაღება. „მოლაშქრეებში“ მაინცდამაინც არც ასაკობრივი შეზღუდვა იგრძნობოდა, მასში მოზარდებიც მონაწილეობდნენ (Zaborov, 1980: 253). ბავშვების შეკრებაში, დ. ჯავახიშვილის მართებული თქმით, ავანტურისტების ხელიც ერია. როცა ისინი შეეცადნენ ათასობით ბავშვის გადაყვანას ხომალდებით, მათი ერთი ნაწილი ზღვაში ამოვარდნილმა ქარიშხალმა იმსხვერპლა, ხოლო გადარჩენილი ხომალდების პატრონებმა ამ ხომალდებში მყოფი უმწეო ბავშვები ეგვიპტეში გადაიყვანეს და იქ მუსლიმებს მონებად მიჰყიდეს. „ასე უბედურებით გათავდა გასაკვირველი და სამწუხარო ყრმათა ჯვრებით გალაშქრება, რომლებსაც ჰქონდა დიდი გავლენა ადამიანებზე“, – წერს დ. ჯავახიშვილი. ამ მართებულ შეფასებებთან ერთად, დ. ჯავახიშვილის სტატიაში უზუსტობანიც გვხვდება. მაგალითად, როცა ეხება ლაშქრობაში მონაწილე ბავშვების ოდენობას, იგი ასახელებს 100 ათასს, ეს მეტისმეტად გაზვიადებულია, სინამდვილეში მოლაშქრეთა რიცხვი საფრანგეთში 30 ათასს არ აღემატებოდა, გერმანიაში – 20 ათასს. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ევროპის ყველა მონარქი ხსენებულ ლაშქრობას მხარს უჭერდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტმა აკრძალა ეს ლაშქრობა, ხოლო იტალიაში არც კი გაატარეს მისი მონაწილენი. ამაზე დუმს სტატიის ავტორი. იგი ტოვებს სხვა ისტორიულ ნიუანსებსაც და დაშვებული აქვს ზოგი ისეთი უზუსტობაც, რომელსაც ვერ ავხსნით ავტორის მიერ საკითხის ზედაპირული ცოდნით. ასე, მაგალითად, როცა ის წერს: „ყრმანი, რომელთაც ჰქონდათ ჯვრები, ერთიანად გაიძახოდნენ, რომ არა თუ ხმელეთზე ვივლით, ზღვაშიც კი გავალთ სარწმუნოებისა და მამულისათვისო“, აშკარაა, რომ აქ სიტყვა „მამულის“ ხმარება ისტორიული მოვლენის ავტორისეული ინტერპრეტაციის ნაყოფია. ჯვაროსნული ომი არ შეიძლება ყრმათათვის ყოფილიყო

მამულისთვის ომი, რადგან აქ ლაპარაკია არა საფრანგეთის ან გერმანიის გათავისუფლებაზე, არამედ პალესტინის ქრისტიანული სალოცავების ხსნაზე. ამ ლაშქრობას მხოლოდ სარწმუნოებრივი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. ამას ნიშნავს პაპი ინოკენტი III-ის სიტყვებიც, რომელიც მან წარმოთქვა ბავშვების სამზადისის დროს: „ეს ყმაწვილები ნიშს გვიგებენ, ისინი თავს სწირავენ სარწმუნოების გულისათვის“. რა თქმა უნდა, დ. ჯავახიშვილმა მშვენივრად იცის, რომ ინოკენტი III „სარწმუნოების“ ქვეშ სულაც არ გულისხმობდა მამულს, მაგრამ თვითონ თუ აკეთებს ამას, ეს იმიტომ, რომ, მისი აზრით, ასე სჭირდებოდა მის ქვეყანას. ასე იმიტომაც იქცევა, რომ ოდითგანვე ქართველებში სარწმუნოებისა და მამულის ცნებები გაიგივებული იყო. ერთი სიტყვით, დ. ჯავახიშვილი თავის სტატიას ბევრად უფრო მეტ დატვირთვას აძლევს, ვიდრე ისტორიული ფაქტის, ან ნააზრევის გადმოცემაა, ოდნავი გადახვევა ცალკეული ფაქტისაგან ან მისი იმდაგვარად გააზრება (დროებით მაინც), რომ სიკეთე მოუტანოს თავის ხალხს, მას დასაშვებად მიაჩნია. თუ ქართველებში აამაღლებდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობას და განაწყობდა მათ მამულისა და სარწმუნოების თავდადებისათვის, მისი მისიაც შესრულებული იქნებოდა, – ასე ფიქრობდა დ. ჯავახიშვილი.

ამ სტატიის გამოქვეყნება ემთხვევა იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნებში აღინიშნება ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ეროვნული თანასწორობა – აი, რა მოთხოვნას აყენებდნენ ისინი. ეს პროცესი ეხმიანებოდა ქართველი კაცის სულიერ განწყობილებას და XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციაც იმას ცდილობდა, რომ ყოველმხრივი მხარდაჭერა გამოეხატა ჩაგრულთა მიმართ. მათი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებიც. ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც რუსეთივით ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აზვირთდა ეროვნული მოძრაობის ტალღა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, კრეტელი ბერძნების ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ დაიწყო ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის. მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება ამ კონფლიქტისაკენ იყო მიმართული, გამონაკლისი არც საქართველო იყო. გაიზარდა ინტერესი კუნძულ კრეტას ისტორიული წარსულისადმი. ქართულ პერიოდიკაში სისტემატიურად იბეჭდებოდა წერილები კრეტის მკვიდრ ბერძენთა მდგომარეობაზე, ჩნდება კრეტას ხალხის ისტორიის წარმომჩენი პუბლიკაციებიც.

ერთ-ერთი ამგვარი სტატია 1868 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეექვსე ნომრის ფურცლებზე დაიბეჭდა. წერილის ავტორი უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ მას ჰქონდა ფსევდონიმი – „წყალტუბოელი“, რომელიც ჯერჯერობით გაშიფრული არ არის.

სტატიაში, უპირველსად, მოცემულია კუნძულ კრეტის გეოგრაფიული მდებარეობის აღწერა და მისი დახასიათება. ავტორი მხოლოდ ამის შემდეგ მოგვითხრობს კრეტის ისტორიას უძველესი დროიდან. ეყრდნობა რა „დაბადებას“, ავტორი უარყოფს თეორიას ებრაელების კრეტიდან წარმომავლობის შესახებ და ამ კუნძულის თავდაპირველ მოსახლეობად

ფილისტიმელებს მიიჩნევს. სტატიაში განხილულია კრეტაზე რომაელთა ბატონობის პერიოდიც, ნათქვამია, რომ იმპერატორ კონსტანტინეს კუნძულზე ახალშენიც კი დაუარსებია.

ავტორი შედარებით ვრცლად ჩერდება შუა საუკუნეების ამსახველ კრეტის ისტორიაზე, უპირველესად, ჩერდება არაბების შემოსევაზე აბდულ-მელიქ ხალიფას დროს (685-705 წწ.), რომელიც მარბიელ ლაშქრობებს აწყობდა არმენიაში, კვიპროსზე; ასევე თავს ესხმოდა კუნძულ კრეტას; ამ ბრძოლას სათავეში ედგა ანდრია კრეტელი და წარმატებითაც იგერიებდა არაბთა შემოსევებს.

კრეტელებს ბრძოლა არც მომდევნო საუკუნეებში შეუწყვეტიათ. ისინი ვერ ეგუებოდნენ არა მარტო არაბების ბატონობას, არამედ ბიზანტიელების გავლენის ქვეშ ყოფნას, ებრძოდნენ ჯვაროსნებს, ვენეციელებს და გენუელებს. მათი ბრძოლა ხშირად სარწმუნეობრივი ხასიათის მატარებელიც იყო. „წყალტუბოელი“ მართებულად წერს: „გარდა სამოქალაქო გავლენის დაკარგვისა, კრეტელ ბერძნებს ავიწროებდნენ თავიანთი სარწმუნოების (მართლმადიდებლობის) გამო; ვენეციელებმა აღაშენეს კრეტაში რომის საკათოლიკო ტაძარი და მონასტრები, დააწესეს რამდენიმე ეპარქიაც კი. იყო იმისთანა დრო, როცა კრეტელ ბერძნებს უკრძალავდნენ ღვთისმსახურების აღსრულებას. ყველა ამ მიზეზმა გააძლიერა სიძულვილი ბერძნებსა და ვენეციელებს შორის. იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს ბერძნები, რომ „თათრის უღლის ქვეშ ყოფნა ერჩივნათ“. ამ აზრის შემცველია „წყალტუბოელის“ ეს სიტყვებიც: „ლათინთა იმპერიის ბატონობის პერიოდში (1204-1264 წწ.), ასევე ვენეციელთა ბატონობის დროს კრეტელი მართლმადიდებლები მეტად შევიწროებულები იყვნენ. უფრო ადრე არც მართლმადიდებელი ბიზანტიელები ინდობდნენ მათ. ამან გამოიწვია მათი ინდიფერენტული დამოკიდებულება ოსმალური საფრთხისადმი“. ერთმორწმუნეობამ ვერც სხვა ხალხებს მოუტანა სიკეთე“, – ასკვნიდა ავტორი. ამდაგვარი მსჯელობანი და მინიშნებანი მრავლადაა სტატიაში. შეიძლება ამ მსჯელობების მეცნიერულ ღირებულებებზე გვესაუბრა, მაგრამ ამჯერად ეს არ შეადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. დავკმაყოფილდებით იმის თქმით, რომ ავტორი ამ სტატიის დაბეჭდვით თანადგომას უცხადებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ კრეტელ ბერძნებს, ამასთან ქართველებს იმ აზრს ჩააგონებდა, რომ ამ პატარა ხალხის (კრეტელების) ბრძოლაშიც ბევრი რამ მისაბაძია.

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შუა საუკუნეების ევროპის პედაგოგიკაშიც ეძებდნენ მისაბაძს, ყველაფერ იმას, რაც ქართველების სულიერებას და თვითშეგნებას აამაღლებდა.

ისინი ხედავდნენ, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთის იმპერიული ხელისუფლება „პირუთვნელად“ და სამხედრი დისციპლინით ატარებდა ჯერ კიდევ ეკატერინე II-ს დროიდან მომდინარე პრინციპს – „სხეულით ქართველი, სულით რუსი“. უმეტესობა სკოლებისა დაკომპლექტებული იყო რუსი მასწავლებლებით, რომლებიც, ძირითადად, სასჯელის მოსახდელად იგზავნებოდნენ საქართველოსა და, საერთოდ კავკასიაში. ამიტომაც მათი პედაგოგიური ღირსება საეჭვო იყო, და მეო-

რეც, პიროვნება, რომელიც ვერ იღებდა ქართველთა ზნე-ჩვეულებას, ადათებს, რომლისთვისაც უცხო იყო ქართული კულტურა და ქართული ენა, რასაკვირველია, ვერ გახდებოდა ქართველი ყმაწვილის სულიერი მოძღვარი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს და, საერთოდ, ქართულ სკოლას განსაცდელი დაუდგა. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსი შოვინისტის – იანოვსკის პოლიტიკაზე, რომელმაც თავისი „მეთოდური მითითებებით“ ქართული ენა და საქართველოს ისტორია სკოლიდან გააძევა და იქ რუსული ყაზარმული წესები დაამკვიდრა. სკოლა ქართული სულის საწამებელ ადგილად აქცია, მას მიზნად დაუსახა ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც რუსული იმპერიალიზმის დასაყრდენი იქნებოდა საქართველოში. ქართველთ მოძულეობის ასეთ პოლიტიკას, ბუნებრივია, ქართველი მამულიშვილები ვერ შეურიგდებოდნენ. სულ მალე ივერიის ფურცლებზე პროტესტის ნიშნად და ქართველთა გასამხნევებლად იბეჭდება დიდი იტალიელი ჰუმანისტის და პედაგოგის მატეო ვეჯიოს (1408-1458 წწ.) სიტყვები: „უფრო იოლია მზეს შეაცვლევინოთ გზა, ვიდრე დაბადებით თანდაყოლილი მიდრეკილებანი ბავშვებმა შეცვალონ“. დაბადებიდან კი ადამის ძეს პიროვნული თავისუფლებისაკენ მიდრეკილება დაჰყვება, რომელსაც შემდგომ ეფუძნება ეროვნული თავისუფლება, – წერს სტატიაში „განახლების ეპოქის პედაგოგიური თეორიების“ (დაიბეჭდა 1888 წლის 11 მაისს „ივერიაში“, №96) უცნობი ავტორი.

სტატიაში ასევე ვეცნობით რენესანსის ხანის სხვა პედაგოგთა და ჰუმანისტთა (ვიტორინო დე ფულტარეს, ასულიო ოვერტერიოს, ფრანსუა რაბლეს, ერაზმ როტერდამელის) პედაგოგიურ ნააზრევს და მის ავტორისეულ შეფასებას, მაგრამ ამ მასალას დაწვრილებით ვერ გავაშუქებთ. ამ ნააზრევიდან და ავტორისეული შეფასებიდან უფრო ისეთ ამონარიდებს წარმოვაჩენთ, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მიანიშნებდნენ ქართულ სკოლებში რუსი შოვინისტების თვითნებობაზე.

ასე მაგალითად, უცნობი ავტორი ქართველებისაგან დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სკოლებში დანერგონ არა იანოვსკის „მეთოდური მითითებანი“, არამედ გადმოიღონ ჯერ კიდევ XV საუკუნეში მოღვაწე ვიტორინო დე ფულტარეს (1414-1447 წწ.) სკოლისათვის დამახასიათებელი პროგრესული მხარეები, სახელდობრ, მასთან „სკოლის კარი ღია იყო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისე ღარიბთათვის. ეს სკოლა იმიტომაც იყო მისაღები, რომ აქ ღარიბთა შვილები „მუქთად“ სწავლობდნენ, თანაც სკოლაში არ გამოიყენებოდა ფიზიკური სასჯელის მეთოდი; ვიტორინო თავის მოსწავლეებს ზრდიდა არა „ცემა-ტყეპის“ გამოყენებით, არამედ მაგალითებისა და ჩაგონების გზით, ძალიან იშვიათ შემთხვევაში თუ გამოიყენებოდა „ხორცთა სასჯელი“. ამ სიტყვებით სტატიის ავტორი მიანიშნებს იმ აუტანელ მდგომარეობაზე, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის რუსული სასკოლო განათლების სისტემისათვის, სკოლებში სწავლების თითქმის ერთადერთი მეთოდი ფიზიკური დასჯა იყო.

უცნობი ავტორი ქართველთა ყურადღებას ფრანსუა რაბლეს პედაგოგიურ გამონათქვამებსაც მიაპყრობდა, მათ იმაში არწმუნებდა, რომ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ფრანგი ავტორისათვის მიუღებელი იყო „პიროვნული თავისუფლების დამთრგუნველი პედაგოგები“, ისინი, ვინც ბავშვებს წკეპლავდნენ. გაწკეპვლის ამ წესს, – იგონებს რაბლე, – პედაგოგები განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულების წინ მიმართავდნენ და ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ ეს დღესასწაულები კარგად დამახსოვრებოდათ ბავშვებს.

გაწკეპვლაზე მოგონება ერაზმ როტერდამელსაც აქვს. მის თანამედროვე ზოგიერთ სკოლას, – ამბობს იგი, – ბავშვების სპეციალური გამწკეპლავებიც კი ჰყავდა. „ცემა-ტყეპის“ ეს მეთოდი მისთვისაც მიუღებელი იყო.

ამგვარად, როგორც უცნობი ავტორი ამბობს, რენესანსის ხანის პედაგოგებისა და ჰუმანისტებისაგან ქართველებს ბევრი რამის გადმოღება შეეძლოთ, მათ ხანდახან ყური უნდა ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც უნდა მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდბუნებოვანი პედაგოგებისაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ.

ერთ-ერთ ასეთ დიდბუნებოვან პედაგოგთა რიცხვს, უცნობი ავტორის თანამედროვის, ანთიმოზ ჯუღელის აზრით, მარტინ ლუთერიც განეკუთვნება. მან თავის სტატიაში „ლუთერი როგორც პედაგოგი“, რომელიც დაბეჭდილია 1884 წელს ჟურნალ „ივერიაში“ (№5-6) „გადაღმელის“ ფსევდონიმით, ის აზრი გამოთქვა, რომ ლუთერს, ამ დიდ რეფორმატორსა და პედაგოგს, სურდა მოეხდინა არა მარტო საეკლესიო გარდაქმნები, არამედ დაემყარებინა ქვეყანაზე ძმობა, ერთობა, თანასწორობა და კეთილდღეობა, ე.ი. მას სურდა ის, რასაც თვით მაცხოვარი ქადაგებდა; ლუთერი გერმანელი ერის გაერთიანებისათვის იბრძოდა და ამ საქმეში წარმატების საწინდარს განათლებაში ხედავდა. ლუთერის ეს პოზიცია, ჯუღელის აზრით, ასევე მისაღები უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის, იმ ერისათვის, რომელსაც ლუარსაბ თათქარიძეები, ტარიელ მკლავაძეები და მედროვე ადამიანები მოსძალებოდნენ. დიახ, ქართველებისათვის ყურადსაღები იყო ლუთერის ეს მოწოდება: „ჩვენ თუ ახალ თაობას აღვზრდით და კეთილ გზაზე დავაყენებთ, იცოდეთ, რომ ქვეყანაზე ძმობა, ერთობა და ბედნიერება დამყარდება და ამის მეტი რაღა უნდა კაცობრიობას!“ ერთობა კი საქართველოსათვის როდის არ იყო აქტუალური მოწოდება?

ქართველებისათვის, ჯუღელის აზრით, არანაკლებ საჭირო იყო ლუთერის იმ გამონათქვამების გაცნობაც, რომლებიც მისი ქვეყნის მანკიერებათა მხილებას ეხებოდა. მას გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ მის ქვეყანაში ბევრი იყო მშობელი, რომელიც შვილებს ფუფუნებაში აცხოვრებდა, ან კიდევ „დიდი მოწიწებით ლოცულობდა და უხვ შესაწირავს სწირავდა ეკლესიას, მაგრამ ღვთის ნამდვილ სამსახურს – შვილის კარგად აღზრდას კი ივიწყებდა“, არ ზრუნავდა მისი განათლებისთვის, სკოლების შექმნისთვის. ასეთ მშობლებს იმის უნარიც არ შესწევდათ,

დაენახათ, თუ რა განსაცდელს უმზადებდნენ მათ ქალიშვილებსა და ვაჟებს ის ადამიანები, რომლებიც გერმანიის დიდ ქალაქებში საროსკიპოების გახსნას მხარს უჭერდნენ, იმას ამტკიცებდნენ, რომ ხალხი უკვე მიეჩვია ასეთი სახლების არსებობას და უკეთესიცაა, რომ ახალგაზრდებმა იარონ ასეთ დაწესებულებებში, ვიდრე შეარცხვინონ წესიერი ქალები. „მეტწილად, – წერდა ლუთერი, – ასეთ აზრს გამოთქვამენ გერმანიაში ჩამოსახლებული ადამიანები“, ე.ი. არაგერმანელები, რომლებიც უხვად სარგებლობენ ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის ლმობიერებით (ზოგჯერ ვიტყვით, ბრიყვს რა გამოლევს) და ყველა იმ სიკეთით, რისი მოცემაც ჩვენს მიწა-წყალს შეუძლია; ასე მგონია ეს ადამიანები გერმანული საროსკიპოების შექმნის სურვილით იძინებენ და იღვიძებენ, თუმცა თავიანთ ძირძველ ქვეყანაში, საიდანაც მოვიდნენ, ამგვარი სახლების შექმნის გაგონებაც არ სურთ“. ამ ადამიანებს მხოლოდ იმის სურვილი ამოძრავებთ, რომ აცურაონ ჩვენი ქვეყანა უზნეობის ჭაობში“; „მათგან მომდინარეობს „დროსტარების“ იდეაც, მათ მშვენივრად იციან, რომ ადვილია უზნეო და რწმენადაკარგულ ახალგაზრდებთან საერთო ენის გამონახვა და მათი წარმართვა იქითკენ, საითაც მოისურვებ“ (Luteri, 2012: 132). ამგვარად, გმობდა რა გერმანიაში დაბუდებულ მანკიერ მხარეებს, ლუთერი იმავდროულად მათი გამოსწორების გზებსაც სახავდა, განათლების სწორად წარმართვაში ხედავდა გამოსავალს. ასე იქცეოდა ქართული ინტელიგენციაც, რომლის წარმომადგენელი ანთიმოზ ჯუღელი იყო; მანკიერებისაგან თავისი ქვეყნის ხსნას იგი განათლების სწორად წარმართვასა და ლუთერისა თუ სხვა ევროპელი მოწინავე ადამიანების რჩევა-დარიგების გათვალისწინებაში ხედავდა. მხოლოდ ამდაგვარ მიდგომას თუ შეეძლო ქართველების გათავისუფლება (თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც) რუსული მმართველობის იმ დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან, რომელსაც იგი ყველაზე მძაფრად სკოლაში ავლენდა. ეს იყო ბრძოლა ერის მომავლისათვის, მისი სულიერი არსებობის შენარჩუნებისათვის, და თუ განათლების იმპერიულმა მანქანამ ქართველ კაცს ვერ დააკარგვინა თავისი ისტორიული სახე, ვერ შეძლო მისი ალაპარაკება „სამხრეთული დიალექტის რუსულზე“, ეს იმიტომ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ინტელიგენციამ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოიგო.

ლიტერატურა:

1. Femkov M. U. Istoriya zapodno-evropeyskoy Pedagogiki. M. YU, 1912;
2. Gazeti “Iveria”, 1888, #5-6.
3. Jurnali ”Iveria”, 1884, #5-6.
4. Jurnali ”Tsiskari”, 1857, #5.
5. Jurnali ”Tsiskari”, 1868, #6.
6. Jurnali ”Tsiskari”, 1884, #11.
7. Luter Martin, dadga Jami Cheshmaritebis Ghaghadisa da Didi Cvlilebebisa.

Translate and Comments of N. kalandia and G. Kutalia. Tbilisi, 2012.
8. Meyer H.E. Geschichite der Kreuzzuge" Stuttgart, 1965.
9. Turskiy G. Istoriya Frankov. Moskva, 1987.
10. Zaborov M. A. Krestonostsi na Vostoke. Moskva, 1980.

Guram Kutalia

NATIONAL SENSIBLE ARTICLES AND INFORMATION IN GEORGIAN PUBLICATIONS OF THE 60s OF THE XIX CENTURY
(On the Basis of the Issues on Western Europe History, Religion and Pedagogics of the Medieval Centuries)

Summary

In the second half of the XIX century Russian imperialism dictated to Georgian Intellectuals that it was necessary that the Issues of History, Religion and pedagogics of middle ages Western Europe should be served as rising of Georgia national identity. Georgians started to print the materials expressed these issues in Georgian periodical publications. Often, it was like Ezope language which prepared ideological basis, arouse people's national self-consciousness, forced Georgian people to struggle against Royal dominance, The Georgian reader learnt how much effort is necessary to obtain freedom. Only such approach could make Georgians free (if not completely, then still partially) from humiliating civil restrictions and from discriminative policy, which was expressed by Tsarism mostly at schools. It was a struggle for Nation, s future, to maintain its spiritual existence, And if Imperial machine of education could not manage to lost Georgians historic face, could not make them speak in "Russian language of Southern dialect", then it was due to the fact, that Georgian Intellectuals of the second half of the XIX century won the Struggle for Life or death.

ქეთევან მანია

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, როგორც ეროვნული მეხსიერების ადგილი (ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია, რომლის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და მისი გონებრივად და ზნეობრივად განვითარება. ამავე დროს ზრუნავდა ქართული კულტურის (მწერლობის, თეატრის, მეცნიერების, მუსიკის, მხატვრობის) დაცვა/განვითარებაზე, ასევე ეხმარებოდა მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებს თუ სტუდენტებს.

საზოგადოება ახორციელებდა განმანათლებლურ პროექტს და ავრცელებდა ნაციონალურ იდეებს ხალხში. ის სწორედ ფართო განმანათლებლური პროექტის კონტექსტში განიხილავდა თავის მოღვაწეობას. საზოგადოების მიზანი გაცხადებულია მის ერთ-ერთ გვიანდელ ანგარიშში:

„თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, ე.ი. კრება იმ ძალთა, რომელნიც ქმნიან ხალხის დამოუკიდებელს შესაძლებლობას“ (განათლება 1915, №10: 113).

აქ ფართო მასშტაბის კულტურული საქმიანობა წარმოჩენილია, როგორც თავდაპირველი სურვილი დამფუძნებლებისა“ (Chkhartishvili, Mania 2011: 106-107).

ამგვარი მრავალმხრივი მოღვაწეობა ანიჭებს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სიმბოლურ მნიშვნელობას და აქცევს ეროვნული მეხსიერების ადგილად.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ შეიქმნა 1879 წ. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების მონდომებით და ინიციატივით, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო დ. ყიფიანი, მოადგილე ი. ჭავჭავაძე, წევრები: ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი. 1882-1885 წწ. „საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, 1885-1907 წწ. – ი. ჭავჭავაძე. „საზოგადოებამ“ იარსება 1927 წლამდე. ახალგახსნილ ორგანიზაციას ფულადი დახმარება გაუწია თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკმა, თითოეულმა 11 000 მანეთის ოდენობით (ცნობის ფურცელი 1904. №2452), კერძო პირებმა – ძმებმა ზუბალაშვილებმა და დ. სარაჯიშვილმა. „საზოგადოება“ ძირითადად შემოწირულობით არსებობდა. 900-იან წლე-

ბამდე შემოწირულობა იმდენად მცირე იყო, რომ მას საქმიანობისთვის ფართო გასაქანი არ ეძლეოდა, მაგრამ 1915 წლისათვის წლიური შემოწირულობა 300 000 მანეთს აღემატებოდა (განათლება 1915. №10).

სახალხო-საგანმანათლებლო პროექტს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ახორციელებდა მისივე ინიციატივით დაარსებული სკოლების მეშვეობით. სკოლების დანიშნულება ხალხში განათლების ამაღლებასთან ერთად, ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდობის აღზრდა იყო. ამ მიზნით 1880 წ. „საზოგადოების“ ინიციატივით დაარსდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა ადგილობრივი სათავადაზნაურო ბანკის ფულით, 1881 წ. – ბათუმის სკოლა, 1882 წ. – წინარეხის სკოლა, 1883 წ. – თონეთის სკოლა, 1884 წ. – ხელთუბნის სკოლა, 1888 წ. – კავკავის სკოლა, 1897 წ. – გომარეთის სკოლა (საქართველოს კალენდარი 1905: 275-282).

„საზოგადოება“ ფილიალების ჩამოყალიბებამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობასთან კავშირს ახორციელებდა თავისი რწმუნებულების მეშვეობით. წარმატებული საქმიანობისთვის „საზოგადოება“, დაარსების პირველი წლებიდანვე, მიუთითებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი გამგეობების აუცილებლობას (დროება, 1883. №246; №249), რომლის განხორციელება მოხერხდა ახალი წესდებით. „საზოგადოების“ გადემოკრატების ანუ ხალხთან უფრო დაახლოების მიზნით, 1907 წ. მარტში დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც უფლება მიენიჭა გაეხსნა განყოფილებები კავკასიის მასშტაბით. ახალი წესდების საფუძველზე „საზოგადოებამ“ 1909-1917 წწ. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში გახსნა თავისი განყოფილებები.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, როგორც ინსტიტუციის, ჩამოყალიბება საქართველოში უკავშირდება რუსული მმართველობის ხანას, რომელიც აღინიშნა ყოველივე ქართულის დევნით, ეროვნული მახასიათებლების მოშლის გამძაფრებული მცდელობებით. ეროვნული ღირსების შელახვამ ქართული ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მოაქცია იდეოლოგიური ბრძოლის სათავეში. იდეოლოგიური ბრძოლა სწორედ ეროვნული ნიშნებით გამოკვეთილი ინსტიტუციების – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება, საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკი, საეკლესიო მუზეუმი და სხვ. დაარსების და საქმიანობის გაშლის მიმართულებით წარიმართა. ეს ინსტიტუციები წარმოადგენენ ეროვნული მოძრაობის მეხსიერების გამორჩეულ ნიმუშებს, შუალედურ რგოლებს ეროვნული მოძრაობის ისტორიისათვის.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობის ანალიზი მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, შესაბამისად, დღეისათვის მრავალი ასპექტით არის წარმოდგენილი „საზოგადოების“ ღვაწლი სპეციალისტების მიერ. ნაშრომები მიეძღვნა განათლებისა და ქართული კულტურის განვითარების თვალსაზრისით გაწეული (ფოლკლორულ-შემკრებელობითი, ფილოლოგიური, საგამომცემლო) საქმიანობის შესწავლას; სამაგალითო წევრების ღვაწლის ასახვას; საზოგადოების მიერ დაარსე-

ბული წიგნთსაცავების და ბიბლიოთეკების ისტორიას, საზოგადოების საქმიანობის ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობის წარმოჩენას და სხვა.

მე არ შევუდგები საკითხის ისტორიოგრაფიულ ანალიზს ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, კვლევები მრავალრიცხოვნობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მის ანალიზს ცალკე გამოკვლევას მივუძღვნი. აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას. როგორც მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში აღვნიშნავდით (Chkhartishvili, Mania 2011: 106), ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ საინტერესო შეხედულებას ვხვდებით გერმანელი ქართველოლოგის ო. რაისნერის გამოკვლევაში (Raisneri 2004), რომელიც „საზოგადოებას“ უწოდებს „ქართველი ერის სკოლას“. მკვლევარი გ. თევზაძე მის გაჩენას უკავშირებს ქართული იდენტობის შექმნას. იგი აღნიშნავს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მართლაც იყო „ქართველთა სკოლა“, ოღონდ არა იმ აზრით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა სწავლობდა მასში, არამედ ამ სკოლიდან გამოვიდა ქართველი ერი, ანუ ქართველი ერი დაიბადა და აღიზარდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ (Tevzadze, 2009: 20-21).

თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო წრეებში ისტორიული მოვლენის შესწავლის განსხვავებული მიდგომები შეინიშნება. ერთ-ერთი ასეთი ორიგინალური მიდგომა არის ფრანგული მეთოდოლოგიური მიდგომა ისტორიული მეხსიერების ადგილების შესახებ, როგორც ისტორიული უწყვეტობის მაგალითებზე, რომელიც მოიცავს ყველაფერს – იქნება ეს გეოგრაფიული ადგილები, ძეგლები, ნაგებობები, არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები თუ ხელოვნების ნიმუშები, სახელმძღვანელოები, ნაციონალური სიმბოლოები, დღესასწაულები (Nora... 1999: 17-50). მათი რეპრეზენტაცია გვიდასტურებს და გვეხმარება შეწყვეტილი მეხსიერების რეკონსტრუქციაში. ე.ი. წარმოადგენენ შუალედურ რგოლებს შეწყვეტილი მეხსიერების აღდგენაში. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ასეთი განსაკუთრებული მეხსიერების ადგილი იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. წინამდებარე ნაშრომში ბეჭდური მედიის პუბლიკაციების მიხედვით შევეცდები თვალი გავადევნო „საზოგადოების“ აქტიურობას რუსეთის ხელისუფლების შექმნილი დენაციონალური მეხსიერების ადგილების მსხვრევის და ახალი ეროვნული მეხსიერების ადგილების კრისტალიზაციის მიმართულებით.

გარდა იმისა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლები საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ამავე დროს ქართველობის ტაძრად გვევლინებიან. აი რას ამბობს კავკავის სკოლის მაგალითზე კორესპონდენტი:

„ერთადერთი ძეგლი, რომელიც ეხლა ქართველების აქ ყოფნას ამტკიცებს, არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლა... ეს ერთად-ერთი ტაძარი ჩვენის ეროვნების წარმომადგენელი აქ მშვენივრად მოუწყვიათ... გულს სიხარულის ფანცქალსა ჰგვრის თავისის წარწერით: „ქართული სკოლა“.

კავკავის სკოლა ერთი იმ ზნეობრივ კავშირთაგანია, რომელსაც ყვე-

ლა წოდების წარმომადგენელნი ქართველნი, მდიდარი თუ ღარიბი, ჩინიანი თუ უჩინო ერთად გადაუბამს, ერთის აზრით გაუმსჭვალავს, ერთგვარის სიყვარულით აღუძრავს მათი გული საერთო საქმისთვის. დღეს კავკავის სკოლა შეადგენს ერთს იმ სანუკველს საგანს მთელის აქაურის ქართველებისას, რომლის ბედ-იღბალი ყველასთვის ერთგვარად ძვირფასია და მასზედ ზრუნვა, მისი გაუმჯობესება და წინ-სვლა სანატრელი და გულის ტკივილის საგანია“ (დროება, 1895, №97).

სკოლა მრავალმხრივ კულტურულ ცხოვრებას ეწეოდა: იმართებოდა ქართული საღამოები, სპექტაკლები და ამგვარად უწყობდა ხელს აქაური ქართველების ზნეობრივ გაფაქიზებას და სამშობლოსთან მჭიდროდ დაკავშირებას.

ამგვარი მრავალმხრივი მოღვაწეობა სკოლას ანიჭებდა სიმბოლურ მნიშვნელობას – აქცევდა მას ქართველობის სიმბოლოდ. სკოლა აღძრავდა და აძლიერებდა ნაციონალურ გრძნობებს, აერთიანებდა სრულიად ქართველობას ერთგვარი სიყვარულით საერთო საქმისთვის, რაც ხდიდა მას ქართველთა განსაკუთრებული მეხსიერების ადგილად.

თუმცა საზოგადოებრივმა გულგრილობამ იჩინა თავი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. როგორც პუბლიკაციებიდან ვიგებთ, ნივთიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილმა წამოიწია ქართველებში, რასაც დაექვემდებარა ჩვენში შექმნილი სხვადასხვა საზოგადოებანი: თბილისის სამეურნეო საზოგადოება, დეპო-ბანკების დაფუძნება, თვით წიგნების გამომცემელი საზოგადოებანიც. ბეჭდური მედია შეახსენებს „საზოგადოებას“ თავის დანიშნულებას:

„დიაღ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ღვთიური ვალია საყოველთაო კუთვნილებად გახადოს წერა-კითხვა და საზოგადოდ პირველ-დაწყებითი სწავლა! მისი ვალია სულ უკანასკნელის და უშორესის, მივარდნილის **ქართველის ოჯახშიაც შეიტანოს ქართული წიგნი, ქართველ ერის უკეთეს შვილების სული დაატრიალოს ყველა მათგანის სახლში!..** (ხაზგასმა ჩემია – ქ.მ.) წერა-კითხვა საზოგადოდ წიგნი უმთავრესი იარაღია ადამიანის განვითარებისა“, – აღნიშნავს „ივერია“ (ივერია, 1895, №68).

პუბლიკაცია, ერთი მხრივ, ნაციონალური სენტიმენტების გაღვივებით ქართველობას მოუწოდებს ხელი შეუწყონ განათლების საქმეს მათივე შვილების საკეთილდღეოდ, მეორე მხრივ, მიუთითებს ხალხში განათლების მოფენასთან ერთად, საუკეთესო შვილების შესახებ მეხსიერების გააქტიურების აუცილებლობაზე.

მომდევნო წლის „ივერიაც“ ქართველთა დაუდევრობაზე და საზოგადო საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე მიუთითებს: „საზოგადოების წევრები დაუდევარნი არიან და არაფერს არა სცდილობენ მისთვის, რომ შესძინონ რამე მას. სხვა ქვეყნებში უბრალო ხარაზები და მოსამსახურეები უკანასკნელს გროშებს აგროვებენ, რათა ამგვარს საზოგადოებას შეეწიონ და ჩვენში ისინიც-კი არ ანძრევენ ხელს, რომელთათვის ასი მანეთის გადაგდება არაფერია...“ (ივერია, 1896, №85). გაზეთი აქვე დასძენს „საზოგადოების“ საქმიანობის წარმატებისთვის აუცილებელ აქტივობებზე:

„თუ გვინდა ჩვენმა საზოგადოებამ ის დიდი სარგებლობა მოიტანოს, რის მოტანაც მას შეუძლია, უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ მის ქონებრივად გაძლიერებისათვის. უნდა გავმართოთ წარმოდგენები, კერძო შემოწირულობანი უნდა ვკრიბოთ და სხ.“ (ივერია, 1896. №85).

„საზოგადოების“ საქმიანობის შემაფერხებელი სირთულეების დაძლევის მიზნით აქტიური მსჯელობები იმართებოდა საანგარიშო ყოველწლიურ კრებებზე, რომლის გაშუქება ინტენსიურად ხდებოდა მედიის ფურცლებზე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა წარმოდგენილია „დროების“ კორესპონდენციაში, სადაც გამოთქმულია „საზოგადოების“ წარმატებული საქმიანობისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი გამგეობების დაარსების თვალსაზრისი (დროება, 1883, №246; №249).

ამავდროულად, მედია აქვეყნებს წერილებს სხვა ქვეყნებში ამგვარი საზოგადოების მუშაობის შესახებ. ჩეხეთის „მატიცას“ წარმატებული საქმიანობის წარმოჩენას მიეძღვნა არა ერთი კორესპონდენცია, სადაც ხაზგასმულია, რომ საზოგადოების მატერიალური გაძლიერება განპირობებული იყო ჩეხელთა მონდომებით დაეხმაროს „ყოველსავე ნაციონალურს დაწესებულებას“. „მატიცას“ მატერიალური გაძლიერების საქმეში ერთიანად ყოფილან ჩართული ჩეხელთა ყველა ფენის წარმომადგენლები. საუბარია ამ მიმართულებით გაშლილ მოძრაობაზე: ჩეხელები ყოველგვარ შეკრებაზე აგროვებდნენ თანხას „მატიცის“ გასაძლიერებლად; რესტორნებში იყიდებოდა სიგარები „მატიცას“ სასარგებლოდ; სხვადასხვა საზოგადო და სავაჭრო დაწესებულებებში ყოფილა სპეციალური ყუთები „მატიცისათვის“ თანხის შესაგროვებლად; ჩეხელები შვილის შეძენის აღსანიშნავად „მატიცას“ სწირავდნენ თანხას; სავიზიტო ბარათებს „მატიცას“ ემბლემიან ქაღალდებზე ბეჭდავდნენ და თანხაც „მატიცას“ სასარგებლოდ ირიცხებოდა; იბეჭდებოდა წიგნები და ბროშურები „მატიცის“ სასარგებლოდ, ჯვრისწერის ბარათები „მატიცას“ ბილეთებზე და სხვა (ივერია, 1896, №23; №24).

ჩეხეთის „მატიცას“ მაგალითით ცდილობს მედია სრულიად ქართველობის ჩართულობა გამოიწვიოს განათლების ამაღლებისათვის ზრუნვაში.

უცხოთა საუკეთესო მაგალითების მიწოდების პარალელურად, მედიის საშუალებით ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ თავიანთი თანამოძმეების გულგრილობას და დაუდევრობას, ინტენსიურ საუბრებს მართავდნენ განათლების აუცილებლობის შესახებ მათივე შვილების საკეთილდღეოდ, მოუწოდებდნენ სრულიად ქართველობას ფინანსური თანადგომისაკენ. „საზოგადოების“ ინიციატივით იმართებოდა განათლების ხელშეწყობისთვის საჭირო სახსრების მოსაძიებლად საქველმოქმედო საღამოები, წარმოდგენები, ლატარიის ბილეთების გათამაშება, საიდანაც შემოსული თანხით სახელმძღვანელოებს შეიძენდა და უგზავნიდა სოფლის მასწავლებლებს ხალხში გასავრცელებლად (ივერია, 1894, №96; ივერია, 1893. №110; №111). ბეჭდურ მედიაში მრავლად ვხვდებით ინფორმაციებს ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული წიგნების გავრცელების შესახებ. ამ მოძრაობის მიზანი ქვეყანაში არსე-

ბული უწიგნურობის დაძლევა იყო (ივერია, 1887, №8).

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან რუსული მმართველობის რეაქციის ხანა იწყება საქართველოში. ქართველთა გამარუსებელი პოლიტიკა მძაფრ ფაზაში გადავიდა, რის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა მეგრულ-აფხაზურ ენაზე სწავლებისა და წირვა-ლოცვის შემოღება სამეგრელო აფხაზეთის სკოლებსა და ეკლესიებში. ქართველთა დენაციონალიზაციისაკენ მიმართულ ამ ნაბიჯს, სამწუხაროდ, ჰყავდა ადგილობრივი მხარდამჭერებიც, მაგრამ, შეიძლება ითქვას, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში. ხალხმა ეკლესიებში შეწყვიტა სიარული, სკოლებში შემცირდა მოსწავლეთა რიცხვი. ასეთ ვითარებაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით ახალი მეხსიერების ადგილების შექმნა – ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელი კლასების პარალელური განყოფილებებით სენაკში (1884 წ.) გადატანა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო დენაციონალური მეხსიერების მსხვრევის თვალსაზრისით. სკოლის დაარსების წლისთავი კი ქართველობის შენარჩუნება/დაცვის დღესასწაულად იქცა, რომელშიც გამორჩეული სიტყვა წარმოუთქვამს ა. წერეთელს:

„დედამიწის ზურგზე არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავის ჭირნახულობით და ისტორიულის თავგადასავლიანობით. ჩვენს ერზედ უფრო დიდებული და ღირს-შესანიშნავი წარსული ჰქონდეს. – გასაოცარის გმირობით, საკვირველის მხნეობით, ჩვენი წინაპრები გაუმკლავდნენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიქადულს და სულის დგმას; ე.ი. საკუთარი ფერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვა-კუთხედი, დედა-ენა. ესეები ყველა გადმოგვცეს შეუბღალავად და ჩვენც მადლობით მიმღები ამ საუკუნო განძისა ვალდებული ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!...

სად შევიძინოთ ესეები ყველა? იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთაგანიც დღეს აქ ვაკურთხეთ. დიაღ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავის თავი და მიხვდენ, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ; სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა ქართული ენით...“ (ივერია, 1885, №11).

აკაკის სიტყვაში გამოკვეთილია სკოლის როგორც ეროვნული მეხსიერების ადგილის ფუნქცია, რომელმაც უნდა აღზარდოს ეროვნული სულისკვეთების ქართველი ახალგაზრდობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარსულის დიდებული მეხსიერების გააქტიურებას, რათა წინაპართა სამაგალითო ღვაწლის გახსენებას აღეძრა და გაეძლიერებინა ნაციონალური სენტიმენტები.

როგორც ცნობილია, რუსულმა მმართველობამ 1884 წლიდან აუკრძალა „საზოგადოებას“ კერძო სკოლების დაარსება (ივერია, 1894, №103). ვინაიდან „საზოგადოების“ საქმიანობა მთავრობამ შეზღუდა კერძო

სკოლების გახსნის თვალსაზრისით, მან გადაწყვიტა სხვა კუთხით შეეწყო ხელი საზოგადოებრივი განვითარებისათვის. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრებაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა, გადაწყდა ალტერნატიული საგანმანათლებლო პროექტების – სამკითხველოების, სახალხო კითხვების, კერძო წიგნთსაცავების დაარსების მხარდაჭერა (ივერია, 1896, №102).

კორესპონდენციებიდან ვლინდება ხალხის მონდომებაც თავისუფალი დრო მოახმაროს მისსავე გონებრივ განვითარებას. ამ სულისკვეთებით შემდგარა ახალგაზრდათა წრე, რომლებიც თავიანთი ინიციატივებით მართავდნენ სახალხო წარმოდგენებს. აღნიშნული ინიციატივების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს კორესპონდენცია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და, ზოგადად, სრულიად ქართველობას, რადგან ამგვარი ინიციატივების მიზანი არა მხოლოდ სახალხო განათლების ამაღლება იყო, არამედ „აუცილებლად საჭიროა ხალხიც გახდეს მონაწილედ იმ იდეალურის მისწრაფებისა, რომელიც ასულდგმულებს ჩვენს ინტელიგენციას და ამიტომ საჭიროა დაუღალავად ვიმუშაოთ ხალხის თვით-ცნობიერების გაღვიძებისა და გაძლიერებისათვის“, – აღნიშნავს „ივერიის“ კორესპონდენტი გიორგი ლასხიშვილი „ლალის“ ფსევდონიმით (ივერია, 1895, №267).

ბეჭდური მედია უყურადღებოდ არ ტოვებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების სასარგებლოდ გამოგზავნილ შემოწირულობებზე ინფორმაციას (ივერია, 1893, №103; ივერია, 1895, №66), თუ გამართულ წარმოდგენებს (ივერია, 1895, №66). პუბლიკაციებში ხაზგასმულია საზოგადოებრივი ინტერესი და აქტიურობა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „საზოგადოება“ იყო ეროვნული თავშესაფარი. აქ იყრიდა თავს „ჩვენი წარსული კულტურის ნაშთები, რაც კი რამ ქართველის უკვდავს სულს შეუქმნია, რაშიაც კი გამოხატულა ჩვენის სულისა და გულის მოძრაობა და აღბეჭდილია წიგნებში, მხატვრობაში, ხუროთ-მოძღვრებაში, – ყველაფერი აქ იყრის თავს და ხელს უწყობს ჩვენი თავის გათვითცნობიერებას“ (ცნობის ფურცელი, 1902, №1811). ამდენად, განსაკუთრებულია „საზოგადოების“ ღვაწლი სიძველეთა საცავის დაარსებისა და ქართული კულტურის ნიმუშების გამოვლენა/დაცვა/შენახვის თვალსაზრისით. სწორედ „საზოგადოების“ თაოსნობით შეიქმნა ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი და მუზეუმი, რომელიც ძირითადად შემოწირულობებით არსებობდა. „საზოგადოების“ ყოველწლიურ ანგარიშებში ქვეყნდებოდა ქართული კულტურის ძეგლების შეგროვების და მათი შემომწირველების შესახებ ინფორმაცია. „ეს იყო წ-კ. საზ-ის ფასდაუდებელი საქმიანობა. იმ ხანებში წ-კ. საზ-ბამ ყიდვისა და შეწირულების სახით ქართველი ხალხის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას მოუყარა თავი“ (Khundadze, 1960: 66).

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გამორჩეული დამსახურების მქონე პირების ღირსეულად მოხსენიებას. „საზოგადოება“ დამსახურებული მოღვაწეების წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით, მათდამი პატივის მიგებით

უკვდავყოფდა მათ სახელებს ქართველთა მეხსიერებაში და ქმნიდა ისტორიული მეხსიერების გამორჩეულ ფაქტებს. ამის მაგალითს წარმოადგენს „საზოგადოების“ ინიციატივით საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგ მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთვისადმი მიძღვნილი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის გადახდა (ივერია, 1902, №48).

„საზოგადოება“ გვევლინება ქართული მეხსიერების დიდებული ადგილის სახელოვან მამულიშვილთა განსასვენებელი დიდუბის პანთეონის დაარსების ინიციატორად:

„დღეს განახლების გზაზე დამდგარმა საქართველომ, რომელიც თან და თანობით ითვისებს ახალს კულტურას, აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი შესანიშნავი ისტორიული გადმოცემანი, რომელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ სახალხო გმირთა თაყვანისცემის კულტი. მაგრამ ამ კულტის მისტიურ თვისებას ჩვენ უნდა მივცეთ ისეთი გარეგანი ფორმა, რომელიც სარწმუნოებრივ მიზნების დაცვასთან ერთად შეიქმნება თვალსაჩინო აღმზრდელ საშუალებად მოზარდ თაობისათვის... ეს ფორმა ისტორიულად გამოსახულია არა მარტო მონუმენტების სახით, ხალხის ეპოქათა ისტორიის აღსანიშნავად, არამედ მხატვრულად მორთულ-მოკაზმულ სავანეთა-პანთიონების სახითაც, სადაც განისვენებენ ნეშტნი კერძო პირთა, რომელთაც თავიანთი ნიჭით ანუ პირადი მსხვერპლით საზოგადო საქმისთვის დაიმსახურეს საუკუნო მადლობა და პატივისცემა შთამომავლობისაგან“ (განათლება, 1915, №10).

ე.ი. ქართველობისათვის მებრძოლ ქართველთა განსასვენებელი აუცილებლად უნდა ქცეულიყო ქართველთათვის განსაკუთრებულ ადგილად – ქართველობის სიმბოლოდ. „საზოგადოება“ კი თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდა მათი სახელების უკვდავყოფას.

ამდენად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ახალი ფურცელი შექმნა საქართველოს ისტორიაში, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურმა ბრძოლამ. საზოგადოებამ ეპოქალური გარდატეხა მოახდინა განათლებული ქართული ერთობის შექმნის თვალსაზრისით. რუსული მმართველობის რეაქციის ხანაში ქართველთა დენაციონალიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, ახალი ეროვნული მეხსიერების ადგილების შექმნით დაუპირისპირდა. „საზოგადოება“ ქმნიდა ისეთი მეხსიერების ადგილებს, რომლთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობის შენარჩუნებისათვის. ამგვარი მიზანდასახულობით „საზოგადოება“ გვევლინება ქართველობის დამცველად, ქართველობის შენარჩუნებისათვის მებრძოლ ინტელექტუალთა მეხსიერების ადგილად.

ლიტერატურა:

1. Chkhartishvili M. Mania K. Qartvelta Nacionaluri Konsolidaciis Procesis Asakhva Bechdur Mediashi. Iveria da Misi Mkitkhveli Saqartvelo. Tbilisi: Universali. 2011.
2. Goderidze L. Masalebi Qartvelta Shoris Tsera-Kitkhvis Gamavrcelebeli Sazogadoebis Istoriisatvis (1901-120). Saistorio Moambe. #41-42, 1980.
3. Nora P., Ozouf M., de Puymège G., Winok M. Problematika Mest Pamyati. Frantsia/Pamyat. Publ. by University of Peterburg, 1999, pp. 17-50. (Http://Ec-Dejavu.Net/M-2/Memory-Nora.Html).
4. Gogebasvili I. Rogor Daarsda Tsera-Kitkhvis Sazogadoeba. Ganatleba. # 2, 1991.
5. Khundadze T. Tsera-Kitkhvis Gamavrcelebeli Sazogadoeba (Narkvevi Saarqivo Masalebis Mikhedvit) 1879-1927 Ts., Tbilisi. 1960.
6. Reisner Oliver. Die Schule Der Georgischen Nation: Eine Sozialhistorische Untersuchung Der Nationalen Bevegung Im Georgien Am Beispiel Der `Gesellschaft Zur Vorberaitung Der Leze Und Schreibkunde Unter Der Georgiern~ (1850-1917). Wiesbaden. 2004.
7. Tevzadze G. Qartveli Eris Dabadeba. Identoba Da Ideologia. Politetaluri Da Societaluri Identobebi. Erovnuloba da Religiuroba. Kreb: Qartveli Eris Dabadeba. Ilia Chavchavadzisadmi Midzgvnili Konferenciis Masalebi. Tbilisi: Ilia Chavchavadzis Sakhelmtsifo Universiteti, 2009.

Ketevan Mania

"SOCIETY FOR THE SPREADING OF LITERACY AMONG GEORGIANS" AS A SITE OF NATIONAL MEMORY (BY PRINTING MEDIA REPRESENTATION)

Summary

"Society for the Spreading of literacy among Georgians' " was one of the most important institutions with the main goal of spreading education among people and their mental and moral development. At the same time, it took care about protection/development of Georgian culture (writing, theater, science, music, painting), also financially helped public figures or students living in poverty. This kind of sense of purpose made the 'Society' distinguished example of national memory.

Since 80s of the XIX century during reaction period of Russian governance the 'Society for the Spreading of literacy among Georgian' has opposed activities towards denationalization of Georgians with creating new sites of memories and

one of the clear example was en effort of teaching and conducting church service on Megruli, Svanuri and Apkhazuri languages in the schools and churches of Samegrelo-Svaneti-Apkhazeti. The "Society" was creating such site of memories, whose creation had a significant meaning for maintaining Georgianness. In this aspect, the role of the "Society" in the activity of establishing library-book storage and museum is worth of mentioning. The created centers were based on the initiative of the "Society", greatly supported identification/protection/saving work of arts of Georgian culture. Thus, the "Society" became a national shelter, where the work-arts of Georgian culture were gathered.

The 'Society' was also an initiator of establishing Didube Pantheon, a place of burial of famous Georgians, a great site of Georgian memory. With the effort and support of the "Society", the Pantheon became a special site of memory for Georgians – symbol of Georgianness.

According to the printing media publications this paper represents how the "Society" created a new page in the history of Georgia, towards breaking Russian government de-national sites of memory and crystallization of new sites of national memory.

The "Society" made an epoch turn, played a significant role in creating educated Georgian unity. At a time, the "Society" appears as a guard of Georgianness, site of warrior intellectuals' memory for maintaining Georgianness, where cultural memory is localized.

გურამ კუტალია

ოსმალების მოძალება ევროპაში და გერმანული რეფორმაციის ცნობილი მოღვაწეები ანტიოსმალურ კოალიციაში ქართველების შესაძლო მონაწილეობის შესახებ

ოსმალების მოძალებამ ევროპაში, რომელმაც სულ უფრო და უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო XV საუკუნის შუა ხანებიდან, ჯერ ბოლო მოუღო უძველესი ევროპული ცივილიზაციისა და ქრისტიანული კულტურის კერას – ბიზანტიის იმპერიას (1453), შემდეგ კი თითქმის მთელი ბალკანეთი აღმოჩნდა მათი ძალმომრეობის ქვეშ: თურქეთის სულთანმა სულეიმან კანუნმა (1520-1566) მოხაჩთან (1526) გამარჯვების შემდეგ ხელთ იგდო უნგრეთის უმეტესი ნაწილი, აიღო ბუდა და იერიში მიიტანა თვით ჰაბსბურგთა მამულებზე. 1529 წელს მან ალყა შემოარტყა ვენას, მართალია, ქალაქის აღება ვერ შეძლო, მაგრამ საფრთხე შეუქმნა უშუალოდ გერმანიას და მთელ ევროპას. ასეთ ვითარებაში ევროპის იმ ქვეყნებს (საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას), რომლებსაც, არ განიცდიდნენ რა ოსმალებისაგან თავდასხმის საშიშროებას და რომლებსაც პოტენციურად შესწევდათ უნარი თურქების დამარცხებისა, რეალურად არავითარი ღონე არ უხმარიათ მომხდური მტრის მოსაგერიებლად (Mamistvalishvili, 2009 : 94). პირიქით კი იქცეოდნენ: 1445 წელს, როცა პაპმა კალიქსტ III-მ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდა ევროპელებს, საფრანგეთში გააქტიურდნენ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მკაცრად დევნიდნენ ჯვაროსნული ომის მქადაგებლებსა და ლაშქრის შემგროვებლებს (ZinkeisenI, 1854: 63). მოგვიანებით ვერც საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (1515-1547) მოიქცა ღირსეულად: 1526 წელს ტყვეობიდან განთავისუფლებისთანავე (ტყვეობაში იგი 1525 წ. პავიასთან ბრძოლის დროს ჩაუვარდა გერმანიის იმპერატორს) იგი შეუერთდა კარლ V-ის წინააღმდეგ შექმნილ ლიგას, რომელშიც შედიოდნენ პაპი კლიმენტ VII, ინგლისის მეფე და იტალიის ზოგიერთი სახელმწიფო. მან კავშირი დააყარა თვით სულთან სულეიმან კანუნთანაც კი, რომელიც მაშინ ქრისტიანობის ყველაზე საშიში მტერი იყო. ფრანსუა I თურქი მეკობრეები დასაზამთრებლად შეუშვა თავის ნავსადგურ ტულონში და ნება მისცა მათ აქედან ეძარცვათ ესპანელები. ამ ნავსადგურიდან თურქებმა 10 ათასზე მეტი ქრისტიანი მონებად წაასხეს.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის მეფის ასეთ გულგრილობას ყველა ფრანგი ან სხვა ქვეყნის შვილი ვერ გაიზიარებდა. გამოჩნდნენ ცალკეული მოწინავე და პატრიოტი ადამიანები, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს მმართველთა ასეთი გულგრილობის წინააღმდეგ და აქტიურად მხარი დაუჭირეს ანტითურქული კოალიციის შექმნის იდეას, ასეთ პატრიოტთა რიცხვს განეკუთვნებიან გერმანული რეფორმაციის ცნობილი მოღვაწეები: მარტინ ლუთერი, სებასტიან ფრანკი და იოახიმ ვადიანუსი.

ლუთერმა ჯერ კიდევ 1529 წელს გამოაქვეყნა თხზულება „თურქების წინააღმდეგ ომის შესახებ“ (Von Krieg wider der Turken), რითაც გამოეხმაურა ვენის ალყას, მხედველობაში ჰყავდა რა ავსტრიის ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი, იმპერატორი კარლ V, ლუთერმა ამ თხზულებაში ის აზრი განავითარა, რომ „იმპერატორმა, როცა თავს ესხმიან მის სამეფოს, იტაცებენ მის ქონებას და ავლადიდებას, როცა აუპატიურებენ მის ქვეშევრდომ ქალებსა და ქალიშვილებს, უპირველესად, იმისათვის უნდა იზრუნოს, რომ დაიცვას თავისი სამეფო და თავისი ხალხი. საჭიროების შემთხვევაში მან მოკავშირეებიც უნდა ეძებოს, რათა წარმატებას მიაღწიოს თურქებთან ომში“ (Luther, 1955 : 301-302).

ანტითურქული იდეის მატარებელია 1530 წელს ნიურნბერგში გერმანულ ენაზე გამოცემული ლათინურიდან თარგმნილი ანონიმური წიგნიც: „ტრაქტატი თურქების ზნე-ჩვეულებების შესახებ“ (Tractatus de moribus Turcorum), რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა ლუთერის წინასიტყვაობა (მოგვიანებით ლუთერისა და მისი მიმდევრებისათვის ცნობილი გახდა, რომ ანონიმური ტრაქტატის ქვეშ იგულისხმებოდა ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორია“, Revishhvili, 1987: 269). ტრაქტატის გამომცემელსა და წინასიტყვაობის ავტორს, ვფიქრობთ, სხვა არაფერი ამოძრავებდათ, თუ არა ის, რომ მათი ქვეყნის მმართველებსა და ხალხს შეეგნოთ კარს მომდგარი „თურქული საშიშროების“ სერიოზულობა; ის, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელი იყო, თუ არა მთელი ევროპის ქვეყნების გაერთიანებითა და ერთიანი ბრძოლით. მეტიც, მათი აზრით, ქრისტიანულ ევროპას მოკავშირეებიც უნდა ეძებნა აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის. ასეთ მოკავშირედ მათ ქართველებიც ესახებოდათ. ამაზე მიანიშნებს ქართველების ჟაკ დე ვიტრისეული დახასიათების მოხმობაც. აი, რას წერდა ჟაკ დე ვიტრი თავის „იერუსალიმის ისტორიაში“:

„აღმოსავლეთში ცხოვრობს ქრისტიანი ხალხი, რომელიც გამოირჩევა თავისი მეომრული სულისკვეთებითა და მამაცობით. ძლიერნი და ძლევამოსილნი არიან, თუმცა გარს ახვევია მრავალი ურწმუნო და მტრულად განწყობილი ხალხი: სარაცინები, სპარსები, მიდიელები და სირიელები, მაგრამ თავს არავის არ უხრიან. ისინი იწოდებიან ქართველებად, ანუ გეორგიანებად და ეს სახელწოდება მათ მიიღეს წმინდა გიორგისაგან, რომელიც მიჩნიათ თავიანთ ძლიერ შემწედ და მფარველად წარმართებთან ომის დროს. ქართველები წმინდა წერილს ბერძნულ ენაზე კითხულობენ და საღვთო საიდუმლოებებსაც ბერძნული წესით აღასრულებენ.

როცა ისინი წმინდა (ქრისტეს) საფლავის მოსალოცად მიემართებიან, იერუსალიმში გაშლილი დროშებით შედიან და ამისათვის ხარკსაც არავის უხდიან, ყელზე ატარებენ სამხედრო ემბლემებს და მათი მხედრული შესაძლებლობების წინაშე სარაცინებს ძალზე დიდი შიში აქვთ. მათი ქალებიც, ისე როგორც ამაზონები, რაინდებივით იარაღს ატარებენ და ბრძოლებში მამაკაცივით მონაწილეობენ, ატარებენ წოწოლა ქუდებს. ქართველები ძალიან აღაშფოთა დამასკოს მმართველის – კორადინის

გადაწყვეტილებამ, რომ დაენგრია იერუსალიმის კედლები მაშინ, როცა ლათინებს დამიეტა ჰქონდათ ალყით გარშემორტყმული“ (De Vitry, 1896: 127).

ცხადია, ჟაკ დე ვიტრისეული ამ ამონარიდის მოხმობით, როგორც ვთქვით, ტრაქტატის გამომცემელი და მისი წინასიტყვაობის ავტორი, ლუთერი, სხვა მიზანს არ ისახავდნენ, გარდა იმის დამტკიცებისა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო „მუსლიმებისათვის მეტად შეურიგებელი და მეომარი ხალხის“ – ქართველების ჩაბმას ანტითურქულ კოალიციაში. სხვა მიზანს არც ლუთერის მიმდევრები – სებასტიან ფრანკი და იოახიმ ვადიანუსი ისახავდნენ, როცა იგივე საკითხზე წერდნენ.

სებასტიან ფრანკი (1499 – 1543) ლუთერის თანამედროვე ფილოსოფოსი და ისტორიკოსია. მსგავსად ლუთერისა, ისიც აღაშფოთა თურქების გამოჩენამ ევროპაში. 1529 წლის ვენის ალყაში მან ევროპის ქვეყნების დასასრულის „ავბედითი ნიშანი“ დაინახა (Revishvili, 1987 : 159) და მაშინათვე ამ საკითხს მიუძღვნა საგანგებო ნაშრომი – „თურქული აღწერა და მატიანე“ (1530), სადაც მკითხველს აუწყა „გამძვინვარებული“ ოსმალების დაუოკებელი მადის შესახებ – ხელთ ეგდო რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები. ფრანკი იმავდროულად შეეცადა ევროპელებისათვის მოეთხრო თურქების ადგილ-სამყოფელზე, მათ ისტორიაზე, ადათ-წესებსა და საბრძოლო თვისებებზე, რისი ცოდნაც, მისი აზრით, ასე საჭირო იყო ევროპელებისათვის. ნიშანდობლივია, ლუთერმა მის ნაშრომსაც საგანგებოდ დაუწერა წინასიტყვაობა.

ფრანკის კალამს ეკუთვნის არაერთი სხვა წიგნიც, რომელთაგან ჩვენთვის, ქართველებისათვის, საგულისხმოა: „მსოფლიოს წიგნი: მთელი დედამიწის სარკე და სურათი“ (1534) და „ქრონიკა: ისტორია და თანამედროვეობა დასაბამიდან 1531 წლამდე“ (1535) (Franck, 1531; 1535). ორივე წიგნში ცალკე ქვეთავები ეთმობა ქართველებზე მსჯელობას, რამეთუ მათში ხედავს შესაძლებელ მოკავშირეს თურქებთან ომში. კონკრეტულად ამ ქვეთავებში საუბარია ქართველების ისტორიაზე, მათ ადგილ-სამყოფელსა და საბრძოლო თვისებებზე, მაჰმადიანური სამყაროს მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. ავტორს არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ქართველები თავიანთი წეს-ჩვეულებითა და რწმენით „ემგვანებიან“ ევროპელებს და მათთან საერთო ენის გამონახვა ადვილად შეიძლება. ეს ინფორმაციები მას, როგორც ზიგფრიდ ვოლგასტი გვარწმუნებს, აღებული აქვს უშუალოდ ლუდოვიკო დე ვართემას და იოჰანეს ბოემუს შრომებიდან (Wollgoest, 1972: 214). თუმცა, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ იგი სარგებლობს ჟაკ დე ვიტრის და ბერნარ ფონ ბრაიდენბახის (XV-ს) ინფორმაციებითაც.

„მსოფლიო წიგნის“ ერთ-ერთ ქვეთავში, რომელსაც ჰქვია „გეორგიანელები“, სებასტიან ფრანკი ევროპელებს დაბეჯითებით არწმუნებს, რომ ქართველები ქრისტიანობის ერთგული მიმდევრები არიან, ისინი მისდევენ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს, ჰყავთ თვრამეტი ეპისკოპოსი და ერთი კათალიკოსი, რომელიც მათთვის პაპი, უმაღლესი ეპისკოპოსია. თავდაპირველად ისინი ემორჩილებოდნენ ანტიოქიის პატრიარქებს. მათ

აქვთ ტონზურა და ქუდები – წითელი და ბრტყელი, ხოლო ერისკაცებს – ოთხკუთხედი.

სასულიერო ცხოვრებაში ფრანკს განსაკუთრებით ის მოსწონს, რომ ქართველები ერიდებიან სიმონიას, სასულიერო თანამდებობით ვაჭრობას, რაც ასე გავრცელებული იყო XVI საუკუნის ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში. გმობს რა სასულიერო თანამდებობით ვაჭრობას, ამ მანკიერ სისტემას, ფრანკი მიესალმება კულტის მსახურების ღირსების მიხედვით დაწინაურებას, მათი ნამოღვაწარის უანგაროდ დაფასების პრაქტიკას, რაც ასე მოწონებით სარგებლობს ქართველებს შორის. აქ „მღვდლები და სულიერი მამები, – წერს ფრანკი, – მორჩილად ელოდებიან თავიანთ დაწინაურებას და გაურბიან თანამდებობების დაუმსახურებელ მიღებას“ (Franck, 1531: 137).

ქართველების ღირსება, ფრანკის აზრით, ისიც არის, რომ საოცრად „მებრძოლი ხალხია“ (Send gant strreitbar Leuf), რომელთა წინაშე კრთიან მიდიელები და სირიელები. მათი სახელი „გეორგიანელები“ წმინდა გიორგისაგან (თავიანთი მხსნელისაგან) მომდინარეობს. ამიტომაც მისივე სახელით „იბრძვიან შეუწყვეტლივ და მოუღლელად“. შებრძოლების წინ გასამხნევებლად სვამენ მაგარ სასმელს და შემდეგ მტერს ძალუმად ეკვეთებიან ხოლმე. დიდია აღმოსავლეთში ქართველების შიში და მორიდება. ალბათ, ეს არის იმის მიზეზიც, რომ ისინი როცა წმინდა საფლავზე ჩადიან, სარკინოზებს არ უხდიან რაიმე ხარკს. წმინდა ქალაქში (იერუსალიმში) ზეაღმართული სამხედრო დროშებითა და აფრიალებული ალმებით დადიან; ფრანკი ქართველი ქალების სამხედრო გაწვრთნილებას და ბრძოლის უნარიანობაზეც მიუთითებს: „სალაშქროდ ისინი მამაკაცებთან ერთად მიდიან“, – წერს იგი (Franck, 1531: 137).

მკითხველის ყურადღებას ფრანკი „კოლხეთსაც“ მიაპყრობს, ამბობს, რომ კოლხეთის სამეფო, რომელიც პონტოს ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს, ოდითგანვე ცნობილი იყო ანტიკური მწერლებისათვის. ეს ის ტერიტორიაა, საითკენაც ოქროს საწმისის მოსატაცებლად თესალიელი იაზონი გაემგზავრაო. იქვე ფრანკი იშველიებს დიოდორე სიცილიელის ავტორიტეტს (შესაძლებელია ეს უფრო სტრაბონი და მისი „გეოგრაფია“ იყოს) და წერს, რომ კოლხეთი მცენარეთა ნაირნაირი ნაყოფით მდიდარი ქვეყანაა, მასში მოიპოვება გემთმშენებლობისათვის საჭირო ყოველგვარი მასალა. ამ ქვეყანაში მზადდება ფისი, სელი, ცვილი, თაფლი და კანაფი, რაც კოლხებს შორეულ ქვეყნებში გააქვთ. დაბოლოს, ფრანკის თქმით, კოლხეთში მიედინება მეტად წყალუხვი მდინარე ფაზისი, სადაც მრავლად მოიპოვება თევზი, მის სანაპიროზე ბინადრობენ ხოხბებიც (Franck, 1531: 183).

ამგვარად, ფრანკი საქართველოს ბუნებას, სიმდიდრესა და ხალხს, მათ ბრძოლისუნარიანობას და მტრებთან შეურიგებელ პოზიციას იმდაგვარად წარმოაჩენდა, რომ თურქული საშიშროების წინაშე მყოფი მისი ხალხი და მმართველები დაერწმუნებინა, თუ რაოდენ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ანტითურქულ კოალიციაში ქართველების ჩართვას და მათთან ერთად ბრძოლას.

ანალოგიურ პოზიციაზე იდგა იოახიმ ვადიანუსიც.

იოახიმ ვადიანუსი (1484-1551) გერმანული წარმოშობის შვეიცარიელი ჰუმანისტი და მწერალია, დაიბადა და გარდაიცვალა სან-გალენში; სწავლობდა იენისა და ვენის უნივერსიტეტებში, მოგვიანებით გახდა ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ერთი ხანობა განაგებდა პოეტიკისა და რიტორიკის კათედრას, ასწავლიდა პოეზიას და გეოგრაფიას, ლათინურ და ბერძნულ ენებს; იყო ვენის უნივერსიტეტის რექტორი და სათავეში ედგა ვენელი ჰუმანისტების წრეს. მან ვენაში წაიკითხა პირველი ლიტერატურული ისტორიული ლექციების კურსი, რომელიც 1518 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით – „ნარკვევები პოეტიკასა და პოეზიის მეცნიერებაზე“.

1518 წელსვე იგი შვეიცარიაში ბრუნდება და თავის მშობლიურ ქალაქ სან-გალენში ექიმად იწყებს მუშაობას; განიცდის ლუთერისა და ცვინგლის გავლენას, მიმოწერა აქვს ლუთერთან და ერაზმთან. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი სამეცნიერო გამოკვლევა, მათ შორის „სან-გალენის მონასტრის სააბტოს ქრონიკა“, სამტომიანი „გერმანული ისტორიული თხზულებები“, „ფრანკი მეფეების ისტორია“ და სხვა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლათინურ ენაზე დაწერილი ნაშრომი – „ქვეყნის სამი ნაწილის აღწერილობა“ (Vadianusi, 1534), რომელიც გამოიცა 1534 წელს ტიგურში და სადაც სხვა საკითხებს შორის ცალკეა გამოყოფილი თავი – „ალბანია, იბერია, კოლხეთი, ბოსფორი“ (Vadianusi, 1534: 406-413). მართალია, ვადიანუსი ამ ქვეყნებში არ ყოფილა, ეყრდნობა ანტიკური ხანის ისტორიკოსების (სტრაბონის, პლინიუსის, პტოლემაიოსის და ნეპოტის) და შუა საუკუნეების ქრონისტების ცნობებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი თხრობა საკმაოდ დამაჯერებელია.

იბერიაზე რომ მოგვითხრობს, ავტორი უპირველესად იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მასში საკმაოდ ბევრია „მჭიდროდ დასახლებული ადგილები“ და ქალაქები, რომ ქალაქებიდან ყველაზე ცნობილია „ჰარმოზიკე, ანუ არმაზ ციხე“. ავტორს იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ იბერია ძნელად მისადგომი ქვეყანაა, სადაც ბევრია მთები, რომლებიც ქმნიან გაუვალ ადგილებს. აქ გზები შიგდაშიგ ხელით გასაჭრელი ხდება. ყველაზე ძნელი მისასვლელი მაინც კავკასიონის მხრიდანაა. აქ სარმატიასა და ალბანიას შორის აღმართულია სვეტები, ანუ კარიბჭე, ამას გვაუწყებს პტოლემაიოსი და პლინიუსი. ამ კარიბჭეს ხშირად რკინის ბოძებით ამაგრებენ. საინტერესოა აგრეთვე არმენიის სვეტები, რომელიც გაიარა პომპეუსმა. მართალია, მან დაამარცხა ტიგრანი, მაგრამ კარიბჭეს შიში სულ თან დაჰყვებოდა მას, მიუდგომლად ესახებოდა ხოლმე (Vadianusi, 1534: 409).

საინტერესოა კოლხეთის ვადიანისეული აღწერაც. მისი თქმით, კოლხეთი „განთქმულია არა იმდენად სამეფოს ისტორიით, რამდენადაც მითით აზონისა და მედეას, აგრეთვე ოქროს საწმისის თაობაზე“. ეს მითი ხშირად პოეტთა მითქმა-მოთქმის მიზეზი გამხდარა, ამის ნიმუშებს უხვად ვპოულობთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ მეთერთმეტე წიგნში, სა-

დაც დამოწმებულია აგრეთვე ოქროთი და მადნეულით მდიდარი საბადოები (Vadianusi, 1534: 410).

ვადიანუსს საუბარი აქვს აგრეთვე კოლხეთის მკვიდრ მოსახლეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. იგი საგანგებოდ ლაპარაკობს კოლხების ეგვიპტურ წარმომავლობაზე, რითაც იმეორებს სტრაბონისა და ჰეროდიტეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. ოდინდელი კოლხების ტომს, აღნიშნავს ვადიანუსი, ეგვიპტიდან მოსდგამთ დასაბამი. აქ ისინი დამკვიდრდნენ ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში, როცა ეგვიპტელთა მბრძანებელი დიოდორეს ესოსტრისი ევროპაში შეიჭრა და სკვითური ტომები დაიპყრო თვით მდინარე ტანაისამდე. მისი ეგვიპტური ჯარის ერთი ნაწილი მდინარე ფაზისთან რაღაცამ შეაკავა და ეგვიპტელები აქ დასახლდნენ კიდეცო. იმის დასასაბუთებლად, რომ კოლხების ტომი ეგვიპტური მოდგმისაა, ვადიანუსს, ჰეროდიტეს მსგავსად, მოაქვს ასეთი აქტი: კოლხებსა და ეგვიპტელებს ერთნაირი ჩვევა აქვთ – წინდაცვეთა (Vadianusi, 1534: 411). რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ქართულ მეცნიერებაში გაზიარებული არ არის, მაგრამ მაინც გვმართებს იმის გათვალისწინება, რომელიც ჰქონდათ ძველ ბერძნებსა და შუა საუკუნეებში მაცხოვრებელ ევროპელებს ხალხთა დისლოკაციის, ურთიერთობისა და გადაადგილების თაობაზე.

ვადიანუსი იმის საჭიროებასაც ხედავს, რომ ევროპელებს გააცნოს არამარტო იბერიელების, არამედ მათივე მონათესავე ხალხის – კოლხების სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობის ცალკეული დეტალებიც. იგი ამბობს, რომ კოლხები ამზადებენ „საიალქნე ტილოს“, რომელსაც სარმატებს უცვლიან სხვა საქონელში (Vadianusi, 1534: 411); ისინი ეწევიან სელის წარმოებასაც და ამ საქმეში ტოლს არ უდებენ ეგვიპტელებს (Vadianusi, 1534: 410).

კოლხეთში, ვადიანუსის თქმით, საკმაოდ ბევრია წყალუხვი მდინარე და ნაყოფიერი მიწა. განსაკუთრებით იგი გამოყოფს მდინარე ფაზისს, რომლის ნაპირებზე გაშენებულია იმავე სახელწოდების ქალაქი – ფაზისი. გადმოცემის თანახმად, ფაზისზე ძველად გადებული იყო 120 ხიდი და მდინარე ნაოსნობისთვისაც გამოიყენებოდა. ნაოსნობისათვის გამოიყენებოდა კოლხეთის სხვა მდინარეებიც, მაგალითად: გლავკოსი (ტეხურა), ჰიპოსი (ცხენისწყალი) და კიანეოსი (მოქვისწყალი). ამ მდინარეებიდან ორი უკანასკნელი – ჰიპოსი და კიანეოსი – ცალკე ჩაედინება პონტოს დიდსა და მშფოთვარე ზღვაში. ზღვაში ჩაედინება დიდი და „აქაფებული ფაზისიც“ (Vadianusi, 1534: 411).

ვადიანუსი მოგვითხრობს კოლხეთის სოფლებზეც. მისი თქმით, განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელი ვირუსი, სადაც დამზადებული პროდუქტები სავაჭროდ გააქვთ დიოსკურიაში (სოხუმში), რომლის მკვიდრნი, ენობრივი განსხვავების მიუხედავად, ერთმანეთს ერწყმიან და საერთო ენასაც პოულობენ. ასეთ აზრს თვით პტოლემაიოსი გამოთქვამდა. ვადიანუსს საყურადღებოდ მიაჩნია მითრიდატეზე, პონტოს უძლიერეს მმართველზე, გამოთქმული მოსაზრებაც, რომელიც ოცდაორ ენაზე მოლაპარაკე თავის ხალხებს, მათ შორის კოლხებს, უშუა-

ლოდ მიმართავდა და თარჯიმნის გარეშე ელაპარაკებოდა (Vadianusi, 1534:411).

ვადიანუსის მთავარი სათქმელი მაინც კარსმომდგარი თურქული საშიშროების თავიდან აცილების საკითხია. იბერებსა და კოლხებზე საუბრის დასასრულს შეახსენებს თავის ხალხს, რომ თურქებმა საფრთხე შეუქმნეს არამარტო „მაკედონიას და ბალკანეთის სხვა ხალხებს“, არამედ ავსტრიას და თვით მათ სამშობლოს – გერმანიასაც“, „რომის ადგილს ახლა მოძალადე თურქები იკავებენ (Vadianusi, 1534 : 413). მართალია, 1533 წელს ავსტრიამ დიპლომატიური ზავი დადო თურქებთან, მაგრამ ეს ზავი სრულიადაც არ გამორიცხავდა მომავალში ვითარების გართულების შესაძლებლობას. ამიტომაც ვადიანუსი ფრთხილად ლაპარაკობს დამპყრობლური ომების ავბედით ხასიათზე, თუმცა ერთიანად სასოწარკვეთილებაში არ ვარდება: ყოველგვარ დაპყრობას, ამბობს იგი, თავისი დასასრული აქვს და ყოველ დამპყრობელს თავისი აღსასრული ელის. გამამხნევებლად ისმის მისი ეს სიტყვებიც: „ქრისტიანობის იმედი უნდა გვქონდეს“, არ დაგვავიწყდეს, რომ აღმოსავლეთში ცხოვრობენ იბერები და კოლხები, რომლებიც „თურქული ექსპანსიის პირობებშიც კი ქრისტიანებად რჩებიან და ღმერთს ემსახურებიან საღვთო წერილის მიხედვით და არა ღვთისმსახურების კათოლიკური წესით“ (Vadianusi, 1534: 413). სანიმუშოა ამათი საერო ცხოვრებაც. დიდი ბრძოლისუნარიანობითა და მამაცობით გამოირჩევიან ისინი და, ამდენად, მათთან ანტითურქულ კოალიციაში შესვლას, მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია გერმანიისა და მთელი ევროპისათვის, – ირწმუნებოდა ვადიანუსი.

დაბოლოს, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ერთიანად გაზიარება ყველა იმ ინფორმაციისა, რომელიც მოაქვთ ლუთერს, ფრანკს და ვადიანუსს, შეუძლებელია, მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომლებსაც გვერდს ვერავუვლით. თუნდაც ის, რომ ისინი აღიარებენ ქართველების სამხედრო პოტენციალს და მათი ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობის მნიშვნელობას, მისაღებია.

ლიტერტურა:

1. Franck S. Chronick: Geschichte und Zeitbuch Von Anbeginnbis 1531, 1535.
2. Franck S.Weltbuch: Spiegel und Bildnib Des Ganzenerdbodens, 1534.
3. Iacques de Vitry,Shistory of Ierusalem, 1896.
4. Kutalia G.,Beri, Romelic Aujanyda Roms. Martinluteri, Tbilisi, 2009.
5. Luther M. Vom Krieg Wider Der Turken. – Fausel H. Martin Luther. Stuttgart, 1955.
6. Mamistvalisvili E**.** Saqartvelos Sagareo Politika da Diplomatia, I, (XV – XVI Ss), Tbilisi, 2009.
7. Revishvili Shota, Narkvevebi Germanul-Qartul Literaturul Kavsirebze, Tbilisi, 1987.
8. Saqartvelo da Jvarosnuli Armosavleti Jak de Vitris Cnobebis Mikhedvit,

Translate of Tea Tsitlanadze, Tbilisi, 2015.
9. Vadianus I. Epitome Triumterraa, Partium, Tiguri, 1534.
10. Wollgoest S. Der Deutsche Pantheismus In 16. Iahrundert, Berlin, 1972.
11. Zinkeisen I. W. Geschichte Des Osmanischen Reiches In Europa, Bd, II, Gotha, 1854.

Guram Kutalia

OTTOMAN'S ATTACKS IN EUROPE AND FAMOUS FIGURES OF GERMAN REFORMATION ON POSSIBLE PARTICIPATION OF GEORGIANS IN ANTI-OTTOMAN COALITION

Summary

Turkish Sultan, Suleiman the Magnificent (Kanun, 1520-1566) after the victory at Mokhach (1526) occupied the most part of Hungary and threatened directly Germany and the whole Europe. In such condition European states (France, England, and Italy) showed amazing indifference and did not even bother to stop this very dangerous enemy. But there appeared some advanced and patriotic people, who raised their voice against the government's indifference position and actively supported the idea of creation anti-Turkish (anti-Ottoman) coalition. The famous figures of German reformests belonging to the number of such patriots as: Martin Luther, Sebastian Frank and IoachimVadianus. They demanded that it was necessary to unify not only the Christian European countries, but they also should search for supporters among the Christians of the East Europe. They thought that such supporters could be Georgians. The Europeans were assured, that "In the East there lived the Iberians and Kolkhs, who maintained Christianity even in the conditions of Turkish expansion "and that these people showed great courage in fights against the Turk invaders; They thought, that entering in anti-Turkish coalition could bring only benefit for Germany and for the whole Europe".

ეთნოლოგია
ETHNOLOGY

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

სამეგრელოს ტრადიციული კულტურა თედო სახოკიას შრომებში

ქართველი ხალხის უძველესი ტრადიციული კულტურა, კაცობრიობის ცივილიზაციის ერთი მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაწილია. ტრადიციების კვლევას და მისი კულტურის თვითმყოფადობის წარმოჩენას საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა. ეთნოგრაფიული მასალის შეკრების ცხოველი ინტერესით, არაერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო დაკავებული. იმ დროიდან იგი ეროვნულობასთან დაკავშირებულია და მას, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

გამოჩენილმა ეთნოლოგმა, მთარგმნელმა, მწერალმა, ლექსიკოგრაფმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, თედო სახოკიამ ეროვნული ტრადიციების კვლევა სწორედ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. სამშობლოს გულშემატკივარმა, ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონისტური პოლიტიკიდან მომდინარე პრობლემების მიუხედავად, მოკრძალებული თანხებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ჩვენი ერის ეთნიკური კულტურის განვლილი თუ იმ დროისთვის დამახასიათებელი თავისებური წეს-ჩვეულებები შეკრიბა. მასალები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა. მოგვიანებით, ჯერ ერთ წიგნად – „მოგზაურობანი“, გამოვიდა 1950 წ., ხოლო მეორე, სახელწოდებით „ეთნოგრაფიული ნარკვევები“, გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რედაქტორობით და წინასიტყვაობით იქნა გამოცემული 1956 წ.

შეიძლება ითქვას, რომ თედო სახოკიას მიერ დაუნჯებული ეთნოგრაფიული მასალები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მის მიერ ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურაზე დაკვირვება და გაკეთებული კომენტარებიც. შეიძლება ითქვას, რომ ეთნოგრაფიული მასალების პუბლიკაციები მარტო მშობლიური ხალხის შესწავლის სურვილით არ იყო განპირობებული, არამედ იგი სხვადასხვა ენაზე თარგმნით და ამავე დროს, საერთაშორისო ეთნოყრილობებში მონაწილეობით, ევროპელი სპეციალისტებისათვის (რუსების, ფრანგების, ინგლისელების, იტალიელების და სხვ.) გასაცნობად იყო გამიზნული. პუბლიკაციებში თავმოყრილი იყო მითოლოგიის, ხალხური მედიცინის, რელიგიის, სამართლის, სოციალური ყოფის და სხვ. საკითხებზე შეკრებილი და გაანალიზებული მასალები.

ორიოდე წლის წინ, საზოგადოებას გავაცანი თედო სახოკიას დაკვირვება აფხაზთა ტრადიციულ კულტურაზე. ამჟამად ჩემს ნაშრომში

მხოლოდ მეგრელთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხებზე იქნება საუბარი, რომელიც მეგრელების მიერ საუკუნეების მანძილზე მდიდარი ემპირული ცოდნით იყო დაგროვილი. თედო სახოკია მეგრელთა ყოფას აკვირდებოდა, სწავლობდა მათ ზნე-ჩვეულებებს და სხვადასხვა საკითხზე საინტერესო მასალას იწერდა. ფაქტებსა და მოვლენებს მთელი სისრულით აღწერდა და ანალიზს უკეთებდა. დღეისათვის ეს მასალა ნამდვილად ფასდაუდებელია. საბჭოთა პერიოდში, ჩვენს მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებში არსებობს ფაქტები, რომელშიც XIX საუკუნეში აღწერილი მონაცემი, ძველის ცოდნის წყალობით, ზოგიერთი ჩვეულების უკეთ გარკვევაში გვეხმარება.

„ეთნოგრაფიულ ნაწერებში“ (Sakhkoia, 1956: 7-22) თავდაპირველად ავტორი სამეგრელოში გავრცელებულ მითოლოგიურ გადმოცემებს გვაცნობს. ამ გადმოცემებით იგი ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ურთიერთკავშირის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ამ პრობლემისა და მისი რეალიზაციის საკითხზე აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. რაც შეეხება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურას, ეთნოლოგები, ფოლკლორულ გადმოცემებში მოძიებულ ხელშესახებ მონაცემებს, როგორც წესი, ჩვეულებრივ იყენებენ. ფოლკლორი და ეთნოლოგია ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული, რომელშიაც ხალხის ცოცხალი ყოფითი მასალა მოჩანს.

ავტორი ჩამოთვლის და ცალკეულად აღწერს იმ ავსულებს, რომელთანაც ადამიანს ბრძოლა უწევს – საზარელი შესახედაობის „ოჩოკოჩ“-ს (ოჩო=ტყის; კოჩი =კაცი); ტყის მეფე ქალს (რომელიც ტყეში შემხვედრ მამაკაცს აცდუნებს და შემდეგ აგიჟებს); ჭინკას (რომელიც ადამიანთა საცხოვრებელთან ახლოს, ბნელ კუთხეებში სახლობს); დიხაშკოჩს (ანუ მიწის კაცს, რომელიც მიწაზე ოთხით დაღოღავს და ადამიანს ისიც აშინებს); ჟამს, ანუ გაცივების სულს (რომელიც უხილავია, ნოტიო ადგილზე ცხოვრობს, ადამიანს და ბავშვებს აავადებს); ეშმაკს (იგივე მავნე და მაცდურ სულს); მზაკვარს (მაზაკვალს – კუდიან გრძნეულს); მეგრელთა გადმოცემით, ადამიანისათვის ვნების მისაყენებლად, გარდა ხმელეთისა, მდინარეებსა და ზღვაშიც ავი სულები ცხოვრობდნენ. ასეთები იყვნენ – წყლის დედა (ანუ წყლის მეფე, რომელიც ლამაზი ქალის სახით ევლინებოდა ადამიანს და დაგვიანებულ მგზავრს წყალში ითრევდა და კლავდა); მესეფს, ანუ ზღვისკაცს (რომელიც ასევე ადამიანს წყალში ახრჩობდა) (Sakhokia, 156: 7-22).

მეგრული მითები, მართალია, სამყაროს შესახებ ცოდნას ამყარებს, მაგრამ ამავე დროს, რელიგიურ წარმოდგენებსა და ცრურწმენასაც ასახავს. ავტორის მიერ ფიქსირებულ მითებში, იმდროინდელი მეგრელის წარმოდგენით, სამყაროში ადამიანების გვერდით ბოროტი სულებიც არსებობდნენ, რომლებიც თითქოს რეალურები იყვნენ. ადამიანები ამ ბოროტი სულების დასამარცხებლად მუდმივად ბრძოლას აწარმოებდნენ. ისინი ცდილობდნენ ავი სულების მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ. ამიტომ, გადმოცემებში ადამიანები ყოველთვის ისეთ ხერხს მიმართავდნენ და სიმამაცეს იჩენდნენ, რომ სამშვიდობოს უვნებლად გამოსულიყვნენ.

ყურაღებას იმსახურებს იმდროინდელ მეგრელთა წარმოდგენა კალანდის, ახალი წლის შესახებ.[1] კალანდა, მათ როგორც ღვთაება, შორეული, უცნობი მხრიდან, მოგზაურის სახით ევლინებოდათ. როგორც ჩანს, ყოველი ახალი წელი მათთვის, როგორც სულიერი, ისე ხორციელი ცხოვრების დასაწყისად მიაჩნდათ. ამიტომ, ცდილობდნენ საქმე, რომელიც ძველ წელში ჰქონდათ დაწყებული, წლის ბოლომდე მისი დამთავრება შესძლებოდათ. ამ დღესასწაულს, როგორც წყალობა, ისე უმოწყალობაც მოჰქონდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, კალანდას შესაფერი პატივით უნდა დახვედროდნენ. აუცილებელი იყო საკალანდო ღორის დაკვლა, „ჩიჩილაკის“ – მზის სიმბოლოს (თხილის დარბილებული, მსხვილი ტოტი, კანგაცლილი, ტანზე ანათალით ხუჭუჭა თეთრ ბურბუშელას უტოვებდნენ, რომელიც მთელ ტოტს ფარავდა) მომზადება და გამართვა. ჩიჩილაკი კალანდის სიმბოლოს წარმოადგენდა, რომლის წვერს 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე ჯვარედინად ჩაჭრიდნენ და წაწვეტებულ ნაწილებზე ბროწეულს და ვაშლებს ჩამოაცმევდნენ. ვაშლებში ვერცხლის ფულს არჭობდნენ, ზედ ქარვის კრიალოსანს ჰკიდებდნენ და თავზე თაფლის სანთელს ამაგრებდნენ. ბურბუშელებს კი, ცოცხალი სუროსა და ღიჭის წითელნაყოფიანი ყლორტებით რთავდნენ. დიასახლისი ნავის ფორმის ხორბლის ფქვილის ღვეზელს ნაკვერჩხალზე აცხობდა, რომელსაც გულში, ცეცხლში გამოყვანილ კვერცხებს უდებდა. აუცილებლად აკეთებდნენ გოზინაყს და სუფრაზე ღვინოსაც დგამდნენ. ყველაფერი ეს ერთად, მეგრელისათვის ნაყოფიერების და ბარაქის სიმბოლოდ ითვლებოდა.

დილით „მაკუჩხარი“ (ე.ი. მეკვლე-მეფეხე), კალანდის წინამძღოლის როლის შემსრულებელი, რომელსაც ოჯახის უხუცესი მამაკაცი ასრულებდა და ახალი წლის ღამეს ბოსელში ათევდა, ალიონზე ჯერ წყაროზე მიდიოდა პირის ჩამოსაბანად, შემდეგ სახლში წასაღებ ცარიელ დოქს ახალი წყლით შეავსებდა. ბოსელში შენახულ ხის ხონჩას („ფრია სენი“, ანუ ფრიალა ე.ი. გადაშლილი გობი), რომელზეც მრავალ საკვებთან ერთად, ნავის ფორმის ღვეზელი, გულ-ღვიძლი და ღომის-ღომის მარცვლით სავსე ჯამიც იყო მოთავსებული. ოჯახის უფროსი ჩიჩილაკზე მიმაგრებულ სანთელს აანთებდა და როგორც წესი, სახლის კართან მისვლისთანავე, „მობრძანებულ კალანდასა“ და სახლში მყოფ დიასახლისთან, ან ოჯახის სხვა წევრთან, სიმბოლური ხასიათის საუბარი იმართებოდა. ოჯახის უხუცესი კალანდას სახელით ოჯახის წევრებს

[1] მეგრელების საახალწლო სუფრაზე ღორის თავი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით,ხალხში თქმულება ყოფილა გავრცელებული – ერთ ახალ წელიწადს, როდესაც ეკლესია სავსე ყოფილა და წმინდა ბასილი წირვაზე წმინდა სახარებას კითხულობდა, ეშმაკს საკურთხეველში ღორი შეუგდია, რათა მორწმუნეთა ყურადღება გაეფანტა. ღორი ბასილის ფეხებში შემძვრალა, მაგრამ წმინდანს ცალი ფეხი ღორის კუდზე დაუდგია და სახარების კითხვა ისე გაუგრძელებია, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ამ დროს ეშმაკი ღორის მუცლიდან ამომხტარა და ეკლესიიდან გაქცეულა. ფიქრობენ, ღორს სწორედ ამიტომ აქვს კუდი ბოლოში გაბრტყელებული.

ჰპირდებოდა – სიმრთელეს, გამარჯვებას, ოქროსა და ვერცხლს, კარგ მოსვალს, ბევრ აბრეშუმის პარკს, საქონლისა და ფრინველის სიმრავლეს, ღვთის წყალობას, წმინდანების მფარველობას და ა.შ. გობზე გაწყობილი მრავალფეროვანი საკვები იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ოჯახი მთელი წლის განმავლობაში სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო. ხონჩაზე შაქრის მოზრდილ ნატეხსაც დებდნენ, რომ ოჯახის წევრებს კბილით მცირე ნაწილი ჩამოემტვრიათ, რაც მათ მთელი წლის სიტკბოებაში ცხოვრებას უქადდა.

სახლში შესვლისთანავე გობს რომელიმე მამრობითი სქესის ადამიანს, მომდევნო ძმას ან უფროს ვაჟს გადასცემდა, ხოლო თვითონ ჩიჩილაკითა და ღომის მარცვლის ჯამით, საცხოვრებლის ყველა კუთხე-კუნჭულს მოივლიდა ლოცვითა და ღომის მარცვლის ფანტვით. ოჯახის უფროსი კალანდას ხმამაღლა შესთხოვდა საკუთარი ოჯახის ყველა წევრის ჯანმრთელობას, საქონლისა და ფრინველის გამრავლებას. შემდეგ უხუცესი მოტანილი ახალი წყლით იატაკს მორწყავდა, რითაც კალანდას მოსვლისათვის საჭირო რაოდენობის წვიმასაც ითხოვდა, ყველა დამხმარე ნაგებობას მოივლიდა ლოცვით და ღომის მარცვლის მიმობნევით. ყველაზე დიდხანს გადახურულ, ან ღია მარანთან ჩერდებოდა, სადაც ქრისტიანული წმინდანების და დღესასწაულების სახელზე ქვევრები ჰქონდათ ჩაფლული. კალანდას სახელზე არსებულ ქვევრს გახსნიდა და პირველი ჭიქა ღვინით ქვევრებსა და იქ მდგომ ოჯახის წევრებს დალოცავდა (Sakhokia, 156: 46-47).

ამის შემდგომ, მთელი ოჯახი საახალწლო ტაბაკთან იკრიბებოდა. საახალწლო სუფრის შუაგულში „წმინდა ბასილას“ სახელზე, სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი, ჩვეულებრივზე უფრო დიდი მჭადი იდო. მჭადის გული წვრილად დაჭრილი ღორის ზურგის ქონით, დანაყილი ნიგვზითა და მარილით იყო შეზავებული. თუმცა, სანამ მას ტაბაკზე მოათავსებდნენ, გამოცხობისთანავე, ოჯახის მამაკაცი და ქალი მჭადს „ცეცხლზე დადებულ დედა-შეშაზე“ (Sakhokia, 156: 48) გადატეხავდნენ.

აი, რას წერს ს. მაკალათია წმინდა ბასილთან დაკავშირებულ ჩვეულებაზე: „ძველ საქართველოში, ახალი წლის დღესასწაული დაკავშირებული იყო მზის ღვთაებასთან. ამიტომ, მისი შესაფერისი რიტუალიც იყო შემუშავებული. მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, იგი, წმინდა ბასილი დიდის ხსოვნას დაუკავშირეს და ამიტომ საჭირო გახდა ამ დღის წარმართული წესების გადმოქრისტიანება, მაგრამ ეკლესიამ ეს სავსებით ბოლომდე ვერ შეძლო ჩვენში. ამ დღესასწაულს სახე გაუქრისტიანდა, მაგრამ რწმენა წარმართული დარჩა“. მისი ვარაუდით, ჩიჩილაკის ნათალი, გრძელი, ხუჭუჭა ბურბუშელა, რომელსაც „წილამური“ ეწოდებოდა, „ბასილის“ თეთრ წვერს დაუკავშირდა, ისევე, როგორც ნავის ფორმის ღვეზელი, რომელშიაც ს. მაკალათიას გადმოცემით, „დაჯერჯილი“ (ე.ი. გამხმარი) კვერცხის გული იდებოდა (Makalatia, 1941: 293-295) და წმინდა ბასილის სახელზე გამომცხვარი მჭადიც.

ახალი წლის ღამეს, სოფლის ყველა სახლის აივნიდან თოფის სროლის

ხმა ისმოდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მოსახლეობა წინა წლის უსიამოვნებებს ისტუმრებდა და ამავე დროს, კალანდას სიხარულით ეგებებოდა.

ქართველებში, ამ შემთხვევაში, კერძოდ მეგრელებში, ახალი წლის პირველ დღეს ერთი ბაბუის განაყოფი ოჯახები ჩვეულებრივ, თუ ერთ სოფელში და მით უმეტეს, ერთ უბანში სახლობდნენ, ჩვეულებრივ ბაბუის სახლში იყრიდნენ თავს და კალანდას ერთად ხვდებოდნენ. ბუნებრივია, ეს მათი ნათესაური კავშირის სიმტკიცეზეც მეტყველებდა.

ახალი წლის კალანდას დღესასწაული ნათლისღებამდე გრძელდებოდა. მეგრელები, ნათლისღების წინა დღეს, ჩიჩილაკს მორთულობას მოაცილებდნენ, ეზოში გაიტანდნენ და დაწვავდნენ, რადგან მისი სახლში დატოვების ეშინოდათ. ჩიჩილაკის ჯოხს მდინარეს ატანდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ბურბუშელაგაცლილ, ნაჩიჩილაკარ, გამურულ ჯოხს, შიმშილთან ერთად, უბედურებაც მიჰქონდა.

რელიგიის გავლენა, ქართულ ხალხურ ტრადიციულ ჩვეულებებზე, თავიდანვე მნიშვნელოვნი იყო. ბუნებრივია ისიც, რომ ხალხური წეს-ჩვეულებანი ქართველების სულიერი კულტურის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მათივე მსოფლმხედველობას ასახავს. არა თუ თ. სახოკიას მიერ XIX საუკუნეში, არამედ საბჭოთა პერიოდში ჩვენს მიერ სამეგრელოში შეკრებილ მასალებიდანაც კარგად ჩანს ხალხის სარწმუნოებაში უძველესი ქრისტიანობამდელი მსოფლმხედველობის კვალი.

რელიგიასთან დაკავშირებული ხალხური წეს-ჩვეულება იოლი შესასწავლი არაა, რადგან ერთი, რომ მისი მრავალმხრივი განხილვაა საჭირო, მეორე – რელიგიურ დღესასწაულებს თან ისეთი ასპექტები ახლავს, რომელიც სხვადასხვა ეპოქის სიღრმიდანაა შემორჩენილი და მისი განხილვა აუცილებელია. გარდა ამისა, ზოგიერთი დღესასწაულის დროს ხალხის ქცევები, გარკვეულ მაგიურ ქმედებებსაც უკავშირდებოდა. თუმცა, მთელი დღესასწაული მაინც ერთიან, ფუნქციურ კომპლექსში ჯდებოდა. თ. სახოკიამ ძველი პლასტების გამოყენებით, ამ ხალხური დღესასწაულის იმდროინდელი მრავალფეროვნება და სიმდიდრე ზუსტად გადმოგვცა. იგი დღესასწაულის მნიშვნელობას ღრმად ჩასწვდა. ამდენად, მის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფიქსირებული მასალა, თანამედროვე ეთნოლოგისათვის კულტურულ მემკვიდრეობად აქცია.

თ. სახოკიას მიერ დადგენილი წეს-ჩვეულებებიდან, სამეგრელოში, რელიგიური თვალსაზრისით, ყურადღებას წმინდა გიორგის კულტი იპყრობს. იმ დროისათვის წმინდა გიორგი მეგრელებს სამეგრელოში დაბადებულ მეგრელად წარმოედგინათ, რომელიც მამაცი და ღონიერი ვაჟკაცი, მუდმივად თეთრ ცხენზე ამხედრებული იყო, ამავე დროს, ხელში შუბის მპყრობელი, ადამიანებისადმი არაკეთილგანწყობილი, ვეშაპებისა და ავსულების მგმირავი ყოფილა. ხალხური გადმოცემით, ეს ჩვეულებრივი მიწიერი პიროვნება ღმერთმა შეამჩნია და ზეციურ პიროვნებად აქცია, რომლის შემდგომ, სამეგრელოს მიწაზე, ყველგან მისი სახელობის ტაძრები დააარსა. მათ შორის იყო – ილორის (ოჩამჩირის რაიონი), ყულეს

(ზუგდიდის რ-ში), ხეთის, ჯეგეთაშის[1] (ხობის რ-ში) ეკლესიები და სხვ. აქედან, ყველაზე ძლიერი ხატი ილორსა და შემდეგ ხეთაში ყოფილა დასვენებული. ილორის ხატს დღემდე ყველაზე კრძალვით მოიხსენიებენ. ღმერთს წმინდა გიორგისათვის ჭექა-ქუხილის პატრონობა მიუნდვია, ასევე, თავის დროზე დედამიწისთვის წვიმის მიწოდება და თან უკეთური სულების, განსაკუთრებით ეშმაკის დევნა დაუვალებია, რომ მათ ადამიანებისათვის არაფერი ევნოთ (Sakhokia, 1956: 58-64).

უნდა ითქვას, რომ ქრისტიანულ საქართველოში, ქართული საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, სამართლის ნორმებთან ერთად, უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა რელიგიას ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, ხალხურ ტრადიციებთან წმინდა გიორგის მოვალეობის გაფართოება და მის სახელთან სამართლის ნორმების დაკავშირება, ადრიდანვე უნდა მომხდარიყო. ამ შემთხვევაშიც, სამართლის ნორმების რელიგიასთან დაკავშირება, სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო. ჩვენი ვარაუდით, წეს-ჩვეულებები, ისევე, როგორც სამართალი, სოციალურ ნორმებს მიეკუთვნება.

დონ არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) თანახმად, სამეგრელოში დამნაშავის გამოსავლენად და სამართლის დასადგენად სხვადასხვა მკაცრ ზომებს მიმართავდნენ – ეჭვმიტანილს ხელს ადუღებულ წყალში აყოფინებდნენ, ხან გახურებული შანთის ხელში აღებას აიძულებდნენ, ან ხეზე ცალი ხელითაც ჰკიდებდნენ და ა.შ. დამნაშავის გამოვლენის შემდეგ კი, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, დამნაშავეს ზოგჯერ ცხვირს, ხელს ან ცალ ფეხს აჭრიდნენ, გახურებული შანთით თვალებს უწვავდნენ და სიკვდილითაც სჯიდნენ (Lamberti, 1991: 71-76). მაგრამ ამავე დროს, მისივე გადმოცემით, მეგრულ სოფლებში სხვადასხვა სასამართლო საქმე შუამავლების მონაწილეობით მორიგებით გვარდებოდა. მოციქულები ზრდილობიანად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, მომჩივანს მოპასუხის პასუხს გადასცემდნენ და თუ შეამჩნევდნენ, რომ ერთ-ერთი მხარე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, საქმეს რამდენჯერმე უბრუნდებოდნენ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოეგვარებინათ (Lamberti, 1991: 79).

XVII საუკუნის მეორე, მნიშვნელოვან წყაროში (Shardeni, 1975: 153), იტალიელი დონ იოსებ მარი ძამპის ეთნოგრაფიულ მასალებში, წმინდა გიორგის ძლიერ ხატთან დაკავშირებულ მეგრულ სამართალზე ვხვდებით ცნობას. მისი გადმოცემით, „მსჯავრის გამოტანისას, ხატზე დაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარად გამოტანილ მსჯავრს არასოდეს ასაჩივრებდნენ. ხატების შიში იმდენად დიდი ჰქონდათ, რომ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ხატზე დაფიცება მაშინაც არ სურდათ, როცა მართალ ჩვენებას აძლევდნენ“. თუმცა, ძამპი იმასაც ამბობდა, რომ „ისეთ ხატებთან, რომლებსაც მეგრელები ძლიერად არ თვ-

[1] მეგრელებში ჯეჯე, იგივე ჯგეგე, გეგე, წმინდანს აღნიშნავს, მაგ., ჯეგე მარიამი, ჯეგე გიორგი, თუმცა, ხშირად იგი მარტო წმინდა გიორგისთან მიმართებაში მოიხმარება (Kipshideze, 1994: 412).

ლიდნენ, ცრუ ფიცის მიცემაც შეეძლოთ“, მაგრამ ისინი „ძალიან ფრთხილად იფიცებდნენ“, ვარაუდით, მხოლოდ „მათ მიმართ კეთილგანწყობილ და სუსტ ხატებთან“.

XVIII საუკუნის დასაწყისში, ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ, ხანგრძლივი გამოყენების შედეგად შექმნილი ჩვეულებითი სამართლის ნორმები, იურიდიულ ნორმად აქცია, კანონის მნიშვნელობა მიანიჭა და სახელმწიფო სამართალში შეიტანა. საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ე.წ. „ბატონყმური რიგის“ მოწესრიგების, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოხელეთა უფლებებისა და ფუნქციების განსაზღვრისათვის. რამაც, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში, ახალი შინაარსი შეიძინა. მართალია, ვახტანგ VI ქართლის მეფე იყო, მაგრამ მის მიერ შედგენილი „სამართლის წიგნი“ მთელ საქართველოში მოქმედ კანონთა კრებულად იქცა, რომლის საფუძველზეც ფეოდალური კოდექსის ჩვეულებათა ერთობლიობა განვითარდა (Bakhia-Oqruashvili, 2014).

თუმცა, თ. სახოკიას ნაშრომის კონკრეტული ფაქტებიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც მეგრელებს ჯერ კიდევ სწამდათ ხატისა და სამართლის, რომელსაც მის ძლიერ ხატთან დაფიცება და ხატზე გადაცემა აწესრიგებდა. მართალია, სამართლის დარღვევაში ეჭვმიტანილს წმინდა გიორგის ხატზე დაფიცება სასჯელისაგან ათავისუფლებდა, მაგრამ ცილისმწამებელს ეს ფაქტი ძვირად უჯდებოდა. ამიტომ, ცილისმწამებელიცა და მოფიცარიც წმინდა გიორგის რისხვისა და მისი სასჯელის შიშით, არც ცილისწამებდნენ და არც იოლად იფიცებოდნენ (Sakhokia, 1956: 65-67).

წმინდა გიორგი რომ უზენაესი მოსამართლე იყო, ჩანს თ. სახოკიას მიერ 1940 წ. დაწერილ ნაშრომში – „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“. ამ ნაშრომიდანაც მჟღავნდება, რომ მეგრელების ქცევის წესებში წარმართული რელიგიის კვალი ჯერ კიდევ ცოცხლობდა. ცხენის, საქონლის ან რაიმე ნივთის ქურდობის შემთხვევაში, მეგრელები სწორედ სიძლიერით სახელგანთქმულ წმინდა გიორგის ხატს მიმართავდნენ და მის წინ ახდენდნენ „გადაცემას“ (ხატზე დაწყევლას). მათი ვარაუდით, წმინდანი ქურდს აუცილებლად გამოამჟღავნებდა და დაზარალებულს დანაკარგი უნდა დაბრუნებოდა. დაზარალებული ხატის მსახურის დახმარებით, მოწვეული დიდი რაოდენობის მრევლის წინაშე საჯაროდ, წმინდა გიორგის ხატს შესთხოვდა, რომ თუ ქურდი ნაქურდალს არ დააბრუნებდა, მისთვის სასტიკი სასჯელი და ტანჯვა მოევლინა, დაეავადებინა მოურჩენელი სენით, ან გული შუბით გაეგმირა და ა.შ. (Sakhokia, 1956: 114-115). ქცევის ამ წესს მეგრელები „ხატიშ გინოჩამას“ (ხატზე გადაცემას) უწოდებდნენ. თავისთავად, ცხადია, ქურდი თუ თანასოფლელი იყო, ამ წყევლას უმეტესად, თვითონაც ესწრებოდა. თანაც თუ დაზარალებული, მეტი დამაჯერებლობისათვის, ლურსმანს წმინდა ხეში ჩაარჭობდა, ის ან მისი ოჯახის წევრი მოსვენებას კარგავდა. ამის შემდეგ, დაზარალებული თვეობით და ზოგჯერ წლობითაც ელოდა წმინდა გიორგის სასჯელს. მეგრელების ვარაუდით, მამის ბრალს, ზოგჯერ

შვილი იხდიდა. თუ დამნაშავე ქურდი, ან მისი ოჯახის წევრი, რაიმე ძნელად მოსარჩენი სნეულებით ავადდებოდა, ავადმყოფობას სწორედ ამგვარ წყევლასა და „გადაცემას“ უკავშირებდნენ. აქედან გამომდინარე, დამნაშავე ნაქურდალს მალევე ანაზღაურებდა, შენდობას ითხოვდა და ბოდიშსაც მოიხდიდა, თან მაწყევარს თხოვდა ხატის წინ წყევლა აეცილებინა. ხშირად, როდესაც თვით მაწყევარი ხდებოდა ავად, იგი უკვე იწყებდა ფიქრს იმაზე, რომ შემთხვევით ისეთი ადამიანი ხომ არ „გადასცა“ წმინდა გიორგის ხატს, რომელსაც არაფერი დაუშავებია. ამიტომ იგი მაშინვე ეკლესიის კარს მიადგებოდა და ე.წ. „ალობის მიცემას“, ე.ი. შენდობას წმინდა გიორგის ხატის წინ მოითხოვდა და მის საჩივარს ამ სიტყვებით აბათილებდა: „საჩივარი უკან გამაქვს და მეტი არავის არაფერი მოეკითხოსო“. შემდეგ კი, თავისი საკუთარი თავის განსაკუთრებულად შესაწირავ მოზვერს, თაფლის სანთელს და ფულს პირდებოდა.

ამ ნაშრომში, შემდგომ თ. სახოკია მიცვალებულის კულტის განხილვას იწყებს. თუმცა, მანამდე იგი ბავშვის დაბადებას ცაში ახალი ვარკვლავის გაჩენას უკავშირებს, რომლის გამოჩენისთანავე ამ ახალი ადამიანის ბედისწერა უკვე მისგან დამოუკიდებლად უკვე დაწერილია. ბედისწერის აღსრულება კი, მეგრელების აზრით, ყველა მეგრელს შუბლზე აწერია. მისი ცხოვრება, დაბადებიდან სიკვდილამდე, ზეცაში არსებული მისი ვარკვლავით არის განსაზღვრული.

დაავადებულის განკურნების ერთ-ერთ საშუალებად მეგრელს მიაჩნია სალოცავი „სადაბადო“. სადაბადოს სახელზე მოსახლეობა სახარე ხბოს სწირავდა, რომელიც როცა მოიზრდებოდა, სალოცავს – „სადაბადოს“ – შესწირავდნენ.

თ. სახოკია იმ განსაკუთრებულ წესებზეც საუბრობს, როდესაც დედას შვილის ავადმყოფობის დროს, მისი განკურნების საშუალებად, ძლიერი სალოცავი „სადაბადო“ მიაჩნია. ოჯახი სადაბადოს სახელზე სახარე ხბოს ზრდიდა, რომელსაც კარგი მოვლის შემდეგ, სალოცავს შეწირავდა. ავტორი იმ წესებს გვამცნობს, თუ როგორ იქცევა დედა შვილის ავადმყოფობის დროს, როგორ უვლის და თუ სიკვდილიდან არის ავადმყოფი დასახსნელი, სასთუმალთან ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, მახვილს უდებს, რომ ამით სიკვდილი შეაშინოს.

ავტორი სამეგრელოში გავრცელებულ გარდაცვალებასთან დაკავშირებულ წესებს გვამცნობს. იგი აღწერს დატირების, ზარის, დასაფლავების, ქელეხის, სამგლოვიარო სამოსის ტარების წესებს, ასევე ქცევის იმ წესებსაც, თუ როგორ იქცევა ცოლი ქმრის, ქმარი – ცოლის, დედმამა – ვაჟიშვილის ან ქალიშვილის, ძმა – დისა და პირიქით, ასევე ახლო ნათესაობა ნათესავის გარდაცვალების დროს და დასაფლავების შემდეგ (Sakhokai, 1956: 118-142).

ივ. ჯავახიშვილმა წმინდა გიორგის კულტის შესწავლისათვის გამოიყენა სხვადასხვა ხალხური გადმოცემა, ზღაპარი, თქმულება და მათი ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ღვთაებათა უმთავრესი ადგილი ქართველებში სწორედ წმინდა გიორგის ეკავა. იგი შემოქმედ ღმერთზე და ელიაზე გაცილებით უფრო მაღლა მდგარა. ამავე მასალამ

აჩვენა, რომ წმინდა გიორგი საკმაოდ მოხერხებული, კეთილი, ადამიანის მფარველი და ყოველნაირი ბოროტების და განსაცდელისგან მხსნელი ყოფილა (Javakhishvili, 1979: 85).

ივ. ჯავახშვილის აზრით, ქართველი ხალხის აზროვნებაში, წმინდა გიორგის, ძველი წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია (Javakhishvili, 1979: 90), რასაც თვით თ. სახოკიას მასალაც ადასტურებს, რომლის თანახმად, მთვარის დღე ორშაბათი იყო. მეგრულად მას „თუთაშხა“ – მთვარის დღე ეწოდებოდა.

როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პერიოდში, წმინდა გიორგის ტაძრებისათვის სწორედ მთვარის წარმართული საკულტო სივრცეები ყოფილა გამოყენებული, რასაც მოწმობს ს. მაკალათიას ლიტერატურული წყარო მარტვილის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ, რომელიც სწორედ უძველესი წარმართული მუხის („დიდი ჭყონის“) საკულტო ადგილზე, დიდი ბრძოლით ყოფილა აშენებული (Makalatia, 1941: 348), რაც შეეხება წმინდა გიორგის ილორის ტაძარსა და ხატს, როგორც თ. სახოკია (Sakhokia, 1965: 61, 63-65), ისე ს. მაკალათია (Makalatia, 1941: 348), თავის ნაშრომებში ხაზს უსვამენ და ძლიერ „ხატ-სამლოცველოდ“ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას თვლიან, რომელიც ქ. ოჩამჩირედან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. მას გარშემო შემოვლებული ჰქონდა ქვითკირით ნაგები მაღალი გალავანი. ეკლესიას, ორივე ავტორი, XVII საუკუნით ათარიღებს. გალავანს სამრეკლოს მოპირდაპირე მხარეს ჰქონია პატარა ჭიშკარი, რომელიც ღამით მუდმივად დაკეტილი ყოფილა. დღესასწაულის წინა საღამოს, ეს კარი საგულდაგულოდ იკეტებოდა, მაგრამ მრევლს დილით, ტაძრის ეზოში შესაწირი ხარი ყოველთვის სასწაულებრივად მაინც ხვდებოდა. როგორც ჩანს, ამ გადმოცემისადმი მეგრელის რწმენა და ნდობა იმდენად დიდი იყო, რომ თქმულებამ დღემდე მოაღწია.

ჩვეულებითი სამართლის საკითხების წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირება ჩვენი ეთნოგრაფიული მასალისათვისაც იყო დამახასიათებელი, თუმცა, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს თ. სახოკიას აქვს მოცემული. სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში XX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ჯერ კიდევ არსებობდა მსგავსი კონკრეტული ფაქტები, რომელიც ჩვენმა მთხრობლებმა გადმოცემით შესანიშნავად იცოდნენ. მათი მონათხრობით, წმინდანის ხატის წინაშე ხდებოდა როგორც დამნაშავის გამოვლენა, ისე დანაშაულის გამჟღავნების შემდეგ ხატზე გადაცემა ან კომპენსაციით დასჯა. მეგრელებს წმინდა გიორგის ხატის დიდი რიდი და შიში ჰქონდათ, ამიტომ მის წინ, როგორც სიცრუის, ისე სიმართლის თქმასაც ერიდებოდნენ. ხალხი ფიქრობდა, რომ წმინდა გიორგის შეეძლო – მკვლელობაში, ქურდობაში, ქალის გატაცებაში, გაუპატიურებასა და სხვ. დანაშაულის ჩამდენის მკაცრი დასჯა ხატზე გადაცემის შედეგად. ამიტომ, ხატის წინ, მოწმის სტატუსით, მხოლოდ იმ ახლობელ ადამიანს თუ ეხმარებოდნენ, რომლის სიმართლე ჭეშმარიტად სარწმუნო იყო.

გარდა ზემოთქმულისა, წმინდა გიორგი ხალხის მკურნალადაც იყო

აღიარებული. იგი ყოველ სნეულებას კურნავდა. მშობლებს ეკლესიაში ახალდაბადებული, დაავადებული ბავშვები აკვნიანად მიჰყავდათ, რომ წმინდა გიორგის შევედრებოდნენ მათ გამოჯანმრთელებას. სამაგიეროდ, წმინდა გიორგის მთავარ (ილორის) ტაძარს, მინიატურულ ვერცხლის აკვანს და სხვა ძვირფას ნივთებს, ფულს, თაფლის სანთლებს და ა.შ. სწირავდნენ (Sakhokia, 1956: 63).

სნეულებისაგან სოფ. გოდოგანის (მარტვილის რ-ნი), სოფ. გარახანას (ჩხოროწყუს რ-ნი), სოფ. ჯუმათის (ჩხოროწყუს რ-ნი), სოფ. ჯიხაშ-კარის (ზუგდიდის რ-ნი), სოფ. ნოქალაქევის (სენაკის რ-ნი) და ა.შ., წმინდა გიორგის ეკლესიაში ჯეგე მისარონის დღეს, განსაკუთრებულად თვალის სნეულებით დაავადებულები, სულიერად გაუწონასწორებელი და ბნედიანებიც მიჰყავდათ. ისინი უკვე წმინდანს „შეხვეწილები“ უნდა ყოფილიყვნენ და შეწირული ჰქონოდათ ღორები, სანთლები, მძივები, ფული, ნემსები, ფერადი ძაფები და ა.შ. მნათეები ამ ავადმყოფებს ეკლესიაში არსებულ განსაკურნავ მშვილდში აძვრენდნენ. ამ მშვილდში ორსულ ქალებსაც ატარებდნენ, რომ მსუბუქი მშობიარობა ჰქონოდათ და თან ახალშობილი ჯანმრთელი დაბადებულიყო (Makalatia, 1941: 302-303).

თ. სახოკია ქართული ტრადიციების ისეთ მნიშვნელოვან ჩვეულებაზეც ამახვილებს ყურადღებას, როგორიცაა „საქორწინო ჩვეულებანი საქართველოში“. მანამდე მეგრელების საქორწინო ჩვეულებების შესახებ მონაცემები წინა საუკუნის სხვადასხვა ავტორებთან, მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო დაფიქსირებული. თ. სახოკიამ, როგორც პროფესიონალმა ეთნოლოგმა, მეგრელთა საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ პირველმა მოგვაწოდა გაანალიზებული მასალა.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდგომ, სამეგრელოში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, ქორწინება ძველთაგან ეგზოგამური შეზღუდულობით რეგულირდებოდა. ბუნებრივია, ეს შეზღუდვები მთლიანად არა მარტო სისხლით, ე.ი. „ჯინჯიშ“ (ფუძის) ნათესავების წრეზე ვრცელდებოდა, არამედ გვარზეც. დამრღვევნი მკაცრად ისჯებოდნენ. ეგზოგამია საგანგებოდ წინაპრის ხაზით წარმოშობილ სისხლით ნათესავებში 8-9 თაობის განმავლობაში, „ძველებური სიწმინდითა და ხელშეუხებლობით“ (Sakhokia, 1956: 63, 70-72) დაცული უნდა ყოფილიყო, სანამ წინაპრის სახელი და საერთო წარმოშობის შესახებ მახსოვრობა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც დავინახეთ, პირველი და მთავარი ქორწინების შემაფერხებელი სწორედ სისხლით ნათესაობა ხდებოდა. თუმცა, მეგრელებში გავრცელებული იყო ხელოვნური დანათესავების სხვადასხვა შემაფერხებელი მიზეზიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს ქორწინების შედეგად ჩამოყალიბებული ხელოვნური დანათესავება წარმოადგენდა. არსებობდა ხელოვნური დანათესავების სხვადასხვა ჩვეულებები, მაგალითად – „დაძმობილობა“, „ძმობილობა“, „დობილობა“, შვილად აყვანა ე.ი. შვილის მაგიერის – „მანგიორის“ აყვანა. თუ მამას ახალგაზრდა ვაჟიშვილი გარდაეცვლებოდა, იგი ერთი წლის გავლის შემდეგ, შვილის მოსაგონრად მის მეგობარს ან მეზობ-

ლის ვაჟს თხოვდა, რომ „მანგიორი“ (მაგიერი) გამხდარიყო, რომელ წინადადებაზეც უარის თქმა არავის შეეძლო; თუ დას ან ძმას ერთი ან მეორე გარდაეცვლებოდა, ისინიც ძმის ან დის „მანგიორს“ გაიჩენდნენ; როდესაც ვაჟს საშუალო ასაკში მამა დაელუპებოდა, შეეძლო ასევე გლოვის დასრულების შემდეგ, მამის „მანგიორი“ ამოერჩია. ამაზე უარს ვერავინ ეტყოდა; ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი ჩვეულება იყო – „ძუძუშ კიბირის გედგუმა“ (ე.ი. ძუძუზე კბილის დადგმა), ანუ რძით დანათესავება. ესეც შვილად აყვანის ჩვეულება იყო. ოჯახების დაპირისპირებისა და შემდეგ შუამავლების ჩარევის შედეგად, შესარიგებლად ხდებოდა შვილად აყვანა. დამსწრე საზოგადოების თვალწინ, ახალგაზრდა ვაჟი თავის მომავალ მამასთან ფიცის წესს ასრულებდა, ხოლო მომავალ დედას ძუძუზე კბილს დაადგამდა, ამავე დროს ხმამაღლა იტყოდა „შენ დედა და მე – შვილი“. შვილად აყვანა ხდებოდა მაშინაც, თუ ქალს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა და ვაჟი არ შეეძინებოდა, ან უშვილობის დროს. იგი მშობიარე ქალის როლს გაითამაშებდა და მას „მოლოგინების“ დროს საწოლში ბავშვს შეუგორებდნენ. ეს აქტი კანონიერად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში, სოფელში, ჩვეულებრივ, ყველაზე ღარიბი მშობლების შვილს იყვანდნენ, რასაც მეგრულად „სკუაშ მითორგინაფა“ (Sakhokia, 1956: 73-74) (ანუ შვილის შეგორება) ეწოდებოდა; ხელოვნური დანათესავების კიდევ ერთი სახეობა გაძიძავება იყო. ამ ჩვეულებას ძველად „მამამძუძეობა“ ეწოდებოდა. თავადის, აზნაურის და მაღალი სასულიერო წოდების პირის ცოლი, ან ქალიშვილი საკუთარ შვილს, მით უმეტეს ვაჟს, თვითონ არ ზრდიდა, რაც მართებულად და მათ საკადრისად ითვლებოდა. ამიტომ, ისინი ჩვილს აღსაზრდელად სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ოჯახს აძლევდნენ. რადგან ბუნებრივი იყო, რომ ისინი უფრო ღარიბები იყვნენ, ისინი ამ ოჯახს მეწველი საქონლით ეხმარებოდნენ და თან ამ ოჯახს მფარველობასაც უწევდნენ. მამამძუძე და ძიძა ქალი ვაჟს ისევე ექცეოდნენ (უკეთესადაც კი), როგორც საკუთარ შვილებს. ვაჟი, რომელიც მათ ოჯახში დაბადებიდან შვიდ წლამდე ან სრულწლოვანებამდე იზრდებოდა, ძიძასა და მამამძუძეს თავის მშობლებად, ხოლო მათ შვილებს თავის ძმებად და დებად მიიჩნევდა.

ამგვარად, მსგავსი ხელოვნური დანათესავება მათ აიძულებდათ, რომ ეგზოგამიის წესები დაეცვათ, მაგრამ ეგზოგამია დროში უფრო ხანმოკლე იყო, ვიდრე სისხლის ნათესავების. თავისთავად ცხადია, ქრისტიანობამ მოიტანა კიდევ ერთი ხელოვნურად დანათესავების მაგალითი – ნათლიასა და ნათლულის ოჯახების ურთიერთობა. ბუნებრივია, ნათლობა შვიდი წლით ქორწინების შემაფერხებელი მიზეზი ხდებოდა ამ ოჯახებს შორის; გარდა ზემოჩამოთვლილისა, ქორწინების შემაფერხებელი მიზეზი დასაქორწინებელი ქალისა და ვაჟის მშობლების შეუთანხმებლობა გადასახადის „ურვადის“ თაობაზე ხდებოდა, რასაც მამაკაცის ნათესაობა საკმაოდ მძაფრად აღიქვამდა და ზოგჯერ იგი უსიამოვნებებს წარმოქმნიდა, მაგრამ, ორივე ოჯახის წარმომადგენლები და შუამავლები ცდილობდნენ შეთანხმება საბოლოოდ მაინც დამყარებულიყო.

მეგრელების საქორწინო ტრადიციული წეს-ჩვეულებები ღრმადაა

შესწავლილი და თ. სახოკიას მიერ გაანალიზებული; იგი, ქორწინების წინაპირობების დაცვის სავალდებულო მასალასაც იძლევა; ასევე ქორწინების სავალდებულო წესებსაც გვაწვდის; ქორწინების მოტივებს გვამცნობს; მამაკაცისა და ქალის საქმიანობას ახასიათებს, აკვანში დანიშვნის წესებს აღწერს; საცოლის სყიდვით ფორმას (ე.ი. „ურვადს“) და მზითევზე („ოჭყუდური“) საუბრობს; (თედო სახოკია აქ საკმაოდ საინტერესო თემას ეხება, ქალის სყიდვითი ფორმის „ურვადისა“ და მზითვის ინსტიტუტის თანხვედრას. ამ ორი ინსტიტუტის ერთდროულად არსებობა იმაზე მიანიშნებს, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორეს აქრობს. ერთდროულად მათი არსებობა გამორიცხულია, ამიტომ, როგორც ჩანს, ეს ის პერიოდია, როდესაც სამეგრელოში საცოლის სყიდვითი ფორმა უქმდება და მის ადგილს მზითვის ინსტიტუტი იკავებს. ქართველურ ქრისტიანულ მოსახლეობაში მზითვის ინსტიტუტმა საცოლის სყიდვითი ფორმა შეცვალა. ორივე ინსტიტუტის გამოყენება ქონების გაცვლა-გამოცვლას ნიშნავდა, ამიტომ, როგორც ჩანს, მან ტრანსფორმაცია განიცადა. ეს ინსტიტუტი უმეტესად ჩრდილო კავკასიელებსა და მუსლიმურ მოსახლეობას შემორჩა. საცოლის გადანახულებას – „გინოძირაფას“ (ე.ი. გასინჯვას) გვიხასიათებს; დანიშვნაზე, ანუ „შანუაზე“ გვაწვდის მასალას; ასევე გვამცნობს საცოლის ქმრის სახლში მოყვანის (ანუ „მოყონაფას“) რიტუალს და ბოლოს, თვით ქორწილს აღწერს. ჩამოთვლილი საკითხების შესწავლისას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ყურადღებას ისეთ საკითხზე ამახვილებს, როგორიცაა იმდროისთვის ქალის უუფლებობა მამაკაცთან შედარებით (Sakhokia, 1956: 80-111).

როგორც დავინახეთ, საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლა ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია. იგი დაკავშირებულია საზოგადოების ისეთ სოციალურ ერთეულთან, როგორიცაა ოჯახი, ნათესაობის სისტემა და სხვა. ასევე მასზე დიდ გავლენას, ბუნებრივია, საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი მხარეები ახდენდა. ცხადია, როგორც ოჯახი, ისე საქორწინო ჩვეულებებიც, დროთა ვითარებაში ტრანსფორმაციას განიცდიდა, რაც თ. სახოკიას ნაშრომში თვალნათლივ არის დანახული და ასახული. ცხადია, ოჯახის ტრადიციების ცვლასთან ერთად, საქორწინო წესებიც ვითარდებოდა. მეგრული წეს-ჩვეულება ქართულია, მაგრამ საქართველოს სხვა მხარეთა ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან, მცირედ, მაგრამ ლოკალურ განსხვავებას მაინც იძლევა.

თ. სახოკიამდე სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალები, მხოლოდ მისიონერების, მოგზაურების, ვაჭრების და ა.შ. იქნა შეკრებილი და მცირე და ფრაგმენტული სახით გამოქვეყნებული. ამის შემდგომ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ პირველმა პროფესიონალმა ეთნოლოგმა თ. სახოკიამ, სამეცნიერო მიმოქცევაში „სამეგრელოს აღწერა“ გამოაქვეყნა, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავდა სამეგრელოს ყოფისა და კულტურის შესახებ.

თ. სახოკიამ ეროვნული პოზიციიდან დაინახა თავისი ხალხის ყოფა და კულტურა, ნაშრომი მდიდარ და მრავალფეროვან ფაქტობრივ მა-

სალას დაეყრდნო. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ნაყოფიერი და ფუნდამენტური მუშაობა აქვს ჩატარებული. სამეგრელოზე შექმნილი ნაშრომები მნიშვნელოვანია და ყველა საკითხი თანამედროვე ეთნოლოგებისათვის გამოსაყენებელი. ვფიქრობთ, ავტორმა ამ ნაშრომებით შემდგომი მუშაობისთვის შექმნა ბაზა და მაგალითი მოგვცა როგორ უნდა გამოკითხვის მეთოდით ღრმად და ნაყოფიერად მუშაობა. ამ ნაშრომის გამოყენება აუცილებელია. დასასრულ, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ, ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ლექსიკოლოგიის, ფოლკლორისტიკის დარგში, როგორც მწერალმა და მთარგმნელმაც, უძვირფასესი მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ერს.

ლიტერატურა:

1. Bakhia-Oqruashvili S. , Afkhazta Chveulebiti Samartali, Tbilisi, 2014.
2. Javakhisvili Iv. , Tkhzulebani, T. I, Tbilisi, 1979.
3. Kipshidze I. Rcheuli Tkhzulebani, Tbilisi, 1994.
4. Lamberti Don Arqanjelo, Samegrelos Aghtsera, Tbilisi, 1991.
5. Makalatia S. , Samegrelos Istoria da Etnografia, Tbilisi, 1941.
6. Sakhokia T. Etnografiuli Natserebi, Tbilisi, 1956.
7. Samartali Vahtang VI, Teqsti Daadgina, Gamokvleva da Sazieblebi Daurto I. Dolizem, Tbilisi, 1951.
8. Shardenis Mogzauroba, Tbilisi, 1975.

Salome Bakhia-Oqruashvili

TRADITIONAL CULTURE OF SAMEGRELO IN TEDO SAKHOKIA'S WORKS

Summary

The eminent ethnologist Tedo Sakhokia began to research national traditions in different parts of Georgia in the 80s of the 19thcentury. He thoroughly studied one of the regions of Georgia – Samegrelo, and gathered materials on mythology, folk medicine, religion, legal issues, social life, wedding customs and on other issues. He considered his people's life and culture from the national point of view. Those ethnographic materials on Samegrelo represent a rare bibliography today. In his writings "Travelling" (Tbilisi, 1950) and "Ethnographic Essays" (Tbilisi, 1956) Tedo Sakhokia describes all the aspects of social and economic life not only in Samegrelo but also in other parts of the country.

Working in different fields of history, ethnology, literature, linguistics, lexicology and floristics Tedo Sakhokia left a great cultural heritage to Georgian people.

ნინო მინდაძე

თედო სახოკია ქართული ხალხური მედიცინის შესახებ

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტმა

თედო სახოკია იყო პირველი მეცნიერი, რომელიც პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი გახდა. ეს მოხდა საზოგადოების სხდომაზე მის მიერ წაკითხული მოხსენების შემდეგ. მოხსენების სახელწოდება იყო „ყვავილ-ბატონები“ საქართველოში (ერთი გვერდი სახალხო მედიცინისა)“, რომლის შესახებ გიორგი ჩიტაია წერდა: „ეს მოხსენება, გატანილი იმდროინდელ მაღალ სამეცნიერო წრეში, ღირსშესანიშნავია არა მარტო იმით, რომ მომხსენებელმა მოვლენის ქართული თავისებურება გამოამჟღავნა, არამედ იმითაც, რომ ამ მოვლენას მეცნიერული ანალიზი გაუკეთა და მას მეცნიერული შეფასება მისცა“ (Chitaia, 2001: 81). გ. ჩიტაიას შეფასება არა მხოლოდ აღნიშნულ მოხსენებას, არამედ ხალხური მედიცინის საკითხების კვლევაში თედო სახოკიას მთელ დამსახურებას ესადაგება. შევეცდები ნაწილობრივ გავაშუქო მისი, არ შევცდები თუ ვიტყვი, პირველი ქართველი ანთროპოლოგის, მოღვაწეობა ამ მიმართულებით. თედო სახოკიას ღვაწლი ზოგადად ეთნოლოგიის და, კერძოდ, ხალხური მედიცინის დარგში განხილულია ვალერიან ითონიშვილის მონოგრაფიაში თედო სახოკიას შესახებ (Itonishvili, 2013). წინამდებრე სტატიაში განსხვავებულ ასპექტებს წარმოვაჩენ.

თედო სახოკიას ნაშრომი, სახელწოდების მიხედვით, მხოლოდ ყვავილ-ბატონებს ეხება, ფაქტობრივად, კი მასში სამეგრელოში და, არა მხოლოდ სამეგრელოში, დადასტურებული „ბატონებთან“, ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან, დაკავშირებული მითო-რელიგიური სისტემაა განხილული, რომელიც არქაული, წინარექრისტიანული ხანიდან მომდინარე, რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს მოიცავს. მისივე მონაცემებით, დროთა ვითარებაში, რელიგიური მრწამსის ცვლილებასთან ერთად, ამ სისტემაში ცვლილებები ხდება. მაგ., ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელების შემდეგ, „სარწმუნოების მხრივ“ ბატონები „ქრისტეს და ისლამის“ აღმსარებელებად მიუჩნევიათ“ (Sakhokia, 1956: 25). იმავდროულად, ბატონების სულების ადგილსამყოფელი უმშვენიერესი ბაღი, წალკოტი, რომელშიც ბატონებით გარდაცვლილის სული ხვდება, რიგი ეთნოგრაფიული მონაცემით, სამოთხედ იქნა გააზრებული. სწორედ ამიტომ, უწინ როგორც სამეგრელოში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, არ შეიძლებოდა ბატონებით გარდაცვლილის დატირება.

ამ ასპექტით საინტერესოა ბატონებთან დაკავშირებული აკრძალვებიც. თ. სახოკიას მიხედვით, „ბატონებს ეჯავრებოდათ“: თოფის სროლა, ნავთის ლამფა, მეზობლისთვის რაიმეს თხოვება, თამბაქოს მოწევა, აბრე-

შუმის ჭია, შავი ფერი და სხვ. სახადიანს არ უნდა შეეხედა წიგნისთვის, სურათებისთვის, დაწერილი ქაღალდებისთვის“... (Sakhokia, 1956: 26-27), აქედანაც აშკარად ჩანს თუ როგორ იკავებს უძველეს წეს-ჩვეულებებში ადგილს ახალი ელემენტები: ნავთის ლამფა, თოფი და სხვ. ამასვე ადასტურებს წმინდა ბარბარეს თაყვანისცემა, ბატონებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. თუ ბატონებმა ავადმყოფს „წაართვეს ყურთასმენა ან თვალის სინათლე ანუ, როგორც მეგრელები იტყვიან ხოლმე, „ბატონებმა თავიანთი ძვირფასი სახსოვარი დაუტოვესო“... მიმართავენ წმინდა ბარბალეს, იმედს, მწესა და მფარველს, ვისაც ბატონების მიერ „სახსოვარი“ აქვთ დატოვებული, მიართმევენ ავადმყოფობის დროს დაპირებულ ძღვენს და შეევედრებიან საქმეში ჩარევას. ამ წმინდანის დღეობაზე ეკლესიაში მიდიან თეთრად გამოწყობილი, ფეხშიშველი, ეკლესიის ეზოში ღამის სათევად. წმინდა ბარბალეს დღეობა ყველიერის ორშაბათსა ხვდება. ამ დღეს ეკლესიის მრევლი ფიზიკურად არ საქმიანობს“ (Sakhokia, 1956: 37). ყველიერის ორშაბათი, ბატონებისთვის შეწირულ დღედ ითვლებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგ., გურიაში „ამ დღეს არაფერ საქმეს არ აკეთებდნენ – იგი დღეი ყვავილ ბატონებს ეკუთვნისო“, – წერს ა. წულაძე (Tsuladze a, 1971: 119). ვ. ბარდაველიძის მიხედვითაც, გურულების რწმენით, ბარბალე ყვავილით დასნეულებულს ეხმარება და კურნავს მათ... ამ სენისგან. ამ დღეს (ყველიერის ორშაბათს – ნ. მ.) ევედრებიან ბარბალეს ჩემი წამლები არგე და ავადმყოფი მოგვირჩინეო (Bardavelidze, 1941: 50). ამ შემთხვევაშიც მითოლოგიური კონტექსტის ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, ვ. ბარდაველიძემ ბატონები, დიდი დედა ნანას წილღვთაებებად მიიჩნია, ხოლო დიდი დედა ნანა, მზის უძველეს ქალღვთაება ბარბარეს იპოსტასად (Bardavelidze, 1957: 83). თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ბატონებთან დაკავშირებულ მითო-რიტუალურ სისტემაში, წმინდა ბარბარე ბარბრეს უძველეს კულტს ჩაენაცვლა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონებთან დაკავშირებული ზოგიერთი წარმოდგენა, წესი თუ ჩვეულება საერთოდ გაქრა და სამეგრელოს მოსახლეობის მეხსიერებასაც არ შემორჩა. თუნდაც, თ. სახოკიას მიერ დადასტურებული ევფემიზმების გამოყენების ტრადიცია. უწინ სამეგრელოში არ შეიძლებოდა სახადიანთან ეხსენებინათ სიტყვა თვალები, ან ყელი. „თუ უნდა გაიგონ, როგორ აქვს ავადმყოფს თვალები, უნდა იკითხონ: ავადმყოფს „სარკე“ როგორ აქვსო, სიტყვა ყელის მაგიერ ამბობენ „შუშას“ (Sakhokia, 1956, 33). მსგავსი მასალა დადასტურებული აქვს გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ერთ-ერთ კორესპოდენტს. სახადიანთან „სიტყვა თვალს არ ახსენებდნენ – ავადმყოფს თვალები დაუბრმავდებაო... შემოიყვანდნენ რამდენიმე ნაყვავილარ კაცს და ბატონებისთვის შეახვეწებდნენ. ბატონებო, ჩვენს ავადმყოფს მიეცი სარკე (თვალი) და ჭიქაო (კისერი)“ (გურულ-მეგრელი, 1899, N753). ევფემიზმების გამოყენებას მაგიური დანიშნულება ჰქონდა და იმ ორგანოების შენიღბვას ემსახურებოდა, რომელზედაც სახადის გართულება მწვავედ აისახებოდა (Mindadze, 2013: 224).

თ. სახოკია ეხება სახადის გავრცელებასთან ბრძოლის საკითხსაც. ცნობილია, რომ კარანტინის შემოღებამდე, ეპიდემიებთან ბრძოლის საშუალება ეპიდემიის კერიდან განრიდებას, „გახიზვნას“ გულისხმობდა. თ. სახოკია წერს: „მეგრელები ზედმიწევნით ასრულებენ იმას, რაც, მათის აზრით, „ბატონებს“ აქვთ ნათქვამი: „როცა ჩვენი სახელი (გამოჩენა) გაიგოთ, თავს უშველეთ, იმდენი ირბინეთ, სანამ კამეჩის ტყავის ქალამნები, ფეხებზე რომ გაცვიათ, სიარულისგან არ დაგიცვდებათ, ეცადეთ, ჩვენმა თვალებმა არ დაგინახოთ, თორემ ვაი თქვენს შავ დღეს“ (Sakhokia, 1956: 27). ნიშანდობლივია, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ხიზვნა მტერთა და სენთა (სნებათა) დარიდებაა“ ე.ი. ეს ტერმინი მტრის შემოსევის ან ეპიდემიის დროს საცხოვრებლიდან აყრას გულისხმობს, რადგან, მისივე განმარტებით, ხიზანი ლტოლვილია (Orbeliani, 1993).

თ. სახოკიას მიერ აღწერილია ბატონებიანი ბავშვის მოვლის წესები ბატონების „მსახურის“ ხელმძღვანელობით, რაც პირველ რიგში, ჰიგიენური ნორმების დაცვას ემსახურებოდა – „მსახური გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, რომ სახლში ყველაფერი წესსა და რიგზე იყოს, ყველგან იდეალური სისუფთავე სუფევდეს. გარდა ამისა, მსახურია, რომ ერთგვარ დეზინფექციას უკეთებს ყველაფერს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, სადეზინფექციოდ სიმჟავეს რასმე არ ხმარობს: რამე ყვავილის და იის ფოთლების ნაყენითაა, რომ ასხურებს იქაურობას. ამ ნაყენს ასხურებს სახლის ყოველ კუთხეში, გარეთ გაყრილ ნაგავს, ეზოში მდგარ ხეებს, ყველგან იის სუნია, რაც ძალიან უყვარს ბატონებს“ (Sakhokia, 1956: 34). იის ნაყენის სადეზინფექციო თვისებები, ალბათ, ფარმაკოლოგებს დააინტერესებს.

ბიოეთიკის თვალსაზრისით, მეტად ღირებულ ინფორმაციას მოიცავს „ბატონების მსახურის“ შერჩევის წესი: „ბატონების“ მსახურების საქმეში სქესს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მსახურად შეიძლება იყოს როგორც დედაკაცი, ისე მამაკაცი, ამ თანამდებობის ასასრულებლად საჭიროა მსახურს მოხდილი ჰქონდეს „ბატონები“ და უზრუნველყოს, რომ ის ხელმეორედ არ შეეყაროს. გარდა ამისა, უნდა იყოს მჭევრმეტყველი, ენაზე თაფლი უნდა ჰქონდეს დასხმული, როგორც ამბობენ ქართველები, ესე იგი, იცოდეს ალერსიანი და მოფერების სიტყვები, ემარჯვებოდეს ბატონებისთვის ქათინაურების თქმა, საცა უნდა და არ უნდა, დამსახურებულსა თუ დაუმსახურებელისა, სულერთია, არავის დასძრახავს, მსახურმა არ უნდა დაივიწყოს, რომ „ბატონებს“ ქათინაურები ძალიან უყვართ, გარდა ამისა, მსახურმა უნდა იცოდეს ტკბილად მოყოლა სხვადასხვა გასართობი ამბებისა, არტისტული ნიჭიც უნდა ჰქონდეს, სთქვას ლექსები, ბატონების პატივსაცემად გამოთქმულები, სიმღერა უნდა იცოდეს, ბატონების სმენა დაატკბოს ჩონგურის დაკვრითა და ზედ ტკბილი სიმღერების დამღერებითა, იცოდეს ცეკვა, იყოს მომთმენი და სხვადასხვა“ (Sakhokia, 1956: 31). „მსახურს ძალიან ხშირად ეხმარებიან მეზობლები, რომლებიც მოქმედებენ „მსახურის“ ხელმძღვანელობით“ (Ssakhokia, 1956: 33-34). აღვნიშნავთ ერთი გარემოების შესახებ. ბატონების მსახურ მამაკაცზე, ეთნოგრაფიული მასალა ვერ მოვიძიეთ,

ვერც ლიტერატურაში შეგვხვდა რაიმე მონაცემები. გამონაკლისს წარმოადგენს აბელ იაშვილის 1904 წელს გამოცემული ნაშრომი, რომელშიც თ. სახოკიას ცნობას, ფოტომასალა ადასტურებს (Iashvili, 1904). ამდენად, თ. სახოკიას ზემოაღნიშნული ცნობა მეტად მნიშვნელოვანია და სახადიანი ავადმყოფის მსახურებაში მამაკაცის მონაწილეობას ადასტურებს. ხომ არ შეიძლება ეს მივიჩნიოთ ბატონების სქესობრივი ნიშნით დაყოფის დასტურად? ვ. ბარდაველიძის მიხედვით, ბატონებს (ყვავილს) სქესის მიხედვითაც ანსხვავებდნენ: მძიმედ მიმდინარე დაავადებას მამაკაცად მიიჩნევდნენ, ხოლო შედარებით მსუბუქი ფორმისას – ქალად (Bardavelidze, 1957: 83). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მძიმე ფორმის დაავადების დროს მსახურად მამაკაცს იწვევდნენ.

სამეგრელოს მოსახლეობაში მსახურის სოციალური მნიშვნელობა და პრესტიჟი საკმაოდ მაღალი ყოფილა: „ბატონების კარგ მსახურს თავისიანებში განუზომელი ფასი აქვს. ბატონებიც, თავის მხრივ, აფასებენ მის ღირსებას, შრომასა და დაღალვას, რაც მის თანამდებობას ახლავს თან“ (Sakhokia., 1956: 31). ამგვარად, თ. სახოკია ინფორმაციას გვაწვდის სამედიცინო ანთროპოლოგიის და, საერთოდ, მედიცინის ისეთ პრობლემატურ საკითხზე, როგორიცაა მკურნალის, უფრო ზუსტად კი, მომვლელისა და ავადმყოფის ურთიერთდამოკიდებულება.

სახადიანი ავადმყოფის მოვლის წესები, რაც გულისხმობს მისთვის მშვიდი, დადებითი ემოციური გარემოს შექმნას (სურნელოვანი ყვავილები, სასიამოვნო მუსიკა, სპეციალურად შერჩეული ფერები...), ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა და მას სიამოვნებას ანიჭებდა. თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ თანამედროვე მედიცინა მკურნალობის პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავადმყოფზე ესთეტიკურ ზემოქმედებას, მისთვის მშვიდი, სასიამოვნო გარემოს შექმნას, სავსებით მართებულია თედო სახოკიას დასკვნა, „მეგრელების წესი ყვავილის კურნებისა (სხვა ინფექციური დაავადებისაც – ნ.მ.)... არც ისე დასაწუნია და არსებითად განსხვავებული არ არის თანამედროვე ექიმების მიერ მიღებული წესებისა“ (Sakhokia, 1956: 26).

სამედიცინო ეკოლოგიის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია თედო სახოკიას დაკვირვება ენდემურ დაავადებებზე, რომელთაც იგი „ალაგობრივ სატკივარს“ უწოდებს. მის მიერ გმოვლენილია ციებისა და ჩიყვის კერები გურიაში, აჭარასა და აფხაზეთში. აჭარის სოფლების: შუახევის და ხიჭაურის შესახებ იგი წერს: „მეტად ჩავარდნილ ადგილებში არიან გაშენებული, წყლის პირას, თითქმის ყოველი მხრით კლდეებით არიან შემოსაზღვრულნი და ჰაერის მოძრაობა მეტად შეჩერებულია. ციების გარდა ზოგიერთ (მურისი და ცხმორისი ქვემო აჭარაში, ღორჯომი – ზემო აჭარაში) ჩიყვიც არის სოფლელთა შორის...

„მკურნალობა აქაურ სოფლებში მოლების ხელშია..., რაც არ უნდა სენი სჭირდეს ავადმყოფს, მოლა უკან არ დაიხევს, ყველაფერში მეცნიერობას იჩენს. მათი წამალი – შელოცვა და თილისმებია. თუ ავადმყოფი მორჩა, – დიდება და სახელი მოლას, თუ თქვენი ჭირი წაიღო, მაინც არ დაგემდურებიან – ალბათ წერა ყოფილაო, თორემ მოლას ცდა

არ დაუკლიაო, გასამრჯელოს მოლას ამ თილისმებისა და ლოცვებისთვის ზოგჯერ 5-3 მანეთამდე აძლევენ“... (Sakhokia, 1985: 245-246). გარდა იმისა, რომ აქ ნაჩვენებია ენდემურ დაავადებათა (ციება, ჩიყვი) გავრცელების არეალი, ლაპარაკია მათ ხელშემწყობ ბუნებრივ პირობებსა და მკურნალობის ადგილობრივ ტრადიციებზე, რომელთა მიმართ ავტორის დამოკიდებულება აშკარად უარყოფითია.

უფრო დეტალურადაა აღწერილი აჭარის სოფ. ღორჯომში გავრცელებული დაავადებანი: „ჰაერი აქ მრთელია. ავადმყოფობა, განსაკუთრებით გადამდები, იშვიათი მოვლენაა. არის აქ ერთ-ერთი სატკივარი – თეადორა. აქაურს ყიყვი გამოუვა ყელში, ეზრდება და ბოლოს, დიდ ღაბაბსავით დაათრევს. ზოგს ისე დიდი აქვს, რომ წვერის მსგავსად მთელ გულს უფარავს. ვინც ყიყვიანია, ფერი არ ადევთ, სისხლ-ნაკლებობიანი არიან. ერთი შეხედვით, ღორჯომში ყიყვიანი, ყრუც იყო და მუნჯიცა, მაგრამ მისი სიმუნჯე და სიყრუვე იქნება სხვა მიზეზისგან ყოფილიყო. ამბობენ ქალებშიაც შეხვდება კაცი ყიყვიანებსაო. აქეთკენ, როგორც მთა ადგილებში, ხშირია ეს ავადმყოფობა. ბევრნაირი ჰიპოთეზაა ამ სატკივარის შესახებ. მიზეზად ზოგი იმას ასახელებს, რომ სოდის მარილის ნაწილები აქაურ წყალს ნაკლებად აქვსო. ზოგი იმითა ხსნის, რომ აქაურ მცენარეულობაში იოდი ცოტა არისო. ეს სატკივარი, როგორც ვიცით, სვანეთშიაც ხშირია, ამბობენ, კირის კლდეების სიბევრეც არის ყიყვის მიზეზიო“ (Sakhokia, 1956: 175). ამ უკანასკნელთან მიმართებაში ყურადღებას იპყრობს სვანეთის მკვიდრის დარისპან მარგიანის შემდეგი ცნობა – „მუჟალელების განსაკუთრებული კარჩაკეტილობა, ჩაგვრა, შიშიანობა მეზობელი ხალხისგან, მხოლოდ სამ-ოთხ გვარებს შორის ქალების თხოვა-გათხოვება, ისიც თითქმის ყველა ჩიყვიანების... სმა ღვარძლიანი არაყისა, უსუფთაობა, – ...შავი ღელეების წყლის სასმელად ხმარება, მარილის უქონლობა და სხვა ამგვარი, ყველა ერთად ხელს უწყობდა ჩიყვის გავრცელებას მუჟალში“ (Marghiani, 1946: 10).

მეტად საინტერესოა თედო სახოკიას დაკვირვება აჭარის სოფელ ვერნების მოსახლეობასა და სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიაზე: „სოფელში შესვლისთანავე თქვენ ყურადღებას ერთბაშად იპყრობს იქაურების დაავადებული სახე. წამლად ერთ ადამიანს ფერი არა აქვს, ყველანი ჩაყვითლებულნი, უმეტესად ქოსანი არიან. თითქოს ეს არის სამარიდან ამოუღიათო, ძლივს დადიან, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკში სიცოცხლე აკლიათ. ათი კაცი ვნახეთ და მათ შორის ოთხს უშველებელი ჩიყვი ჩამოჰკიდებოდა კისერზე, ცხვრის დუმასავით... ამ სოფელს სრული ამოწყვეტა ან გადაშენება მოელის. ცხადია, ჰავა ან წყალი ხელს არ უწყობს მცხოვრებთა გამრავლებას, რასაც თვით მისი სახელი „ვერნებიც“ მოწმობს“ (Sakhokia, 1985: 295).

თ. სახოკიას მონაცემებით, გურიაში ნატანების ჭალებში გავრცელებული ციების ერთ-ერთი რთული ფორმა „გურიანთას ციები“-ს სახელით ყოფილა ცნობილი. როგორც თავად აღნიშნავს: „ციებით დაავადებულნი, გურიის ახალმოდის აგარაკზე, ბახმაროს მთაზე მიდიან, სადაც მთის ჰაერი ყოველგვარ წამალზე უკეთესად და უფრო ჩქარა ჰკურნავს

ხოლმე, ვისაც კი აქ ამოსვლა შეუძლია“ (Sakhokia, 1985: 17). ჯანსაღი ჰაერით გურიაში ცნობილი ყოფილა აგრეთვე სოფლები: გომი, სურები, ასკანა, ვაკი-ჯვარი, ლიხაური და სხვ. (Sakhokia, 1985, 56; 105).

მიუხედავად იმისა, რომ ციების მკურნალობა მთიანი ბახმაროს უნიკალური ჰავით არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაუწყიათ, როგორც თავად თ. სახოკია წერს: „ბახმაროს ყურადღება მიაქციეს სულ 7-8 წლის წინათ.“[1] (Sakhokia, 1985: 385). დასავლეთ საქართველოს ჭაობიანი დაბლობის მკვიდრთა შორის „ჰაერის შეცვლის“ ტრადიცია, დიდი ხანია არსებობდა. სამეგრელოში დადასტურებული აქვს ჰასტჰაუზენს (Haxthausen, 1857: 16). ხოლო ცხოვრების მთაბარულ წესს (ზაფხულში მთაში ცხოვრება, ზამთარში ბარში) ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში, დღევანდელი ქობულეთის მიდამოებში, მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები (Khakhutaishvili, 1955: 27), რასაც უთუოდ ციების გავრცელების ფაქტორიც განაპირობებდა.

აფხაზეთში ციება გავრცელებული ყოფილა ფსირცხის მონასტრის ახლოს, გუდაუთის გზაზე, ვაკეზე. აქ რუსების ახალშენი პეტროპავლოვსკი ყოფილა გაშენებული, რომელსაც თ. სახოკიას აღწერილობით – „გარშემო არტყია ტყე, მზის სინათლე არ ატანს, გაუვალი გაუშრობელი ჭაობები, სინესტის გამავრცელებელი, ამას ზედ ერთვის უხვი წვიმა და ნამი, მზეც სითბოს არ აკლებს. ყოველივე ეს საუკეთესო პირობებია ციების არსებობისათვის“ (Sakhokia, 1985, 385) და სწორედ ამ მიზეზის გამო აქ ფეხს ვერ იკიდებდა უცხო მოსახლეობა.

თ. სახოკიას გვერდი არც ქოლერის ეპიდემიისთვის აუვლია. იგი ერთ მეტად საინტერესო ფაქტს აღნიშნავს, კერძოდ. თურმე „ხოლერის ეპიდემიის (ოზურგეთში, 1892 წ. – ნ. მ.) გავრცელების საწინააღმდეგოდ მოსახლეობა მცენარეების გაჩეხვას მიმართავდა. „ორპირად ჩამწკრივებულ დუქნების წინ. ზამთარ-ზაფხულ ამწვანებული ყოფილა იქაურობა, მაგრამ ხორველობის (ხოლერის ეპიდემიის – ნ. მ.) დროს სულერთიანად აუჩეხიათ“ (Sakhokia, 1985: 25-27).

ამგვარად, თ. სახოკია მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ენდემურ დაავადებათა გამომწვევ და ხელშემწყობ ფაქტორებზე. ამასთან ერთად, მეტად ფასეულია მისი მონაცემები დაავადებათა ხალხურ ეტიოლოგიასა და მკურნალობის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებზე. როგორც იგი აღნიშნავს: „... მკაცრ ფატალისტ მეგრელს აზრადაც არ მოუვა, რომ შეიძლება კაცი მოჰკვდეს ბუნებრივის სიკვდილით, გარეშე მიზეზების რისამე ჩაურევლად, ჯერ ავადმყოფობის, მერე თვით სიკვდილის მიზეზს, იგი, უფრო, ერთ შემთხვევაში, ეძებს ამა თუ იმ „ოხვამერში“ (სალოცავში) ან სულში, რომელსაც ევედრება მეგრელი, ან „ჯინჯიშხატ“-ში (ძირეული ხატი) ან უბრალოდ „ხატში“, ან კიდევ მისი მიზეზი შეიძლება იყოს წყევლა, რომელსაც მიჰმართეს ავადმყოფის ადრესით მისგან ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილო მეზობლებმა, ან და დასასრულ, კუდიანი

[1] ოფიციალური მონაცემებით ბახმაროს ჰაერის სამკურნალო თვისებები აღმოაჩინეს XIX საუკუნის ბოლო წლებში.

დედაკაცების და ავსულების ოინები“ (Sakhokia., 1940, 162).

დაავადებათა გამომწვევ მიზეზს სამეგრელოს მკვიდრნი უმეტესად ავ სულებს უკავშირებდნენ: ოჩოკოჩს, ტყის მეფეს, ჭინკებს, დიხაშკოჩს (მიწის ავსულს). მაგ., ტყის მეფეს, ულამაზეს ქალს, თუ თმის ვარცხნის დროს ვინმემ შეხედა, და ეს ტყის მეფემ შეამჩნია, გააგიჟებს. იმავდროულად იგი აღნიშნავს – „ჭკუაზე შეშლის შემთხვევებსა ოჩოკოჩსა და ტყის მეფესთან შეტაკების დროს, უფრო ხშირადა ვხედავთ მწყემსებსა და საერთოდ სოფლების მოშორებით მცხოვრებთა შორის“ (Sakhokia, 1956: 11). სოფლიდან მოშორებით დაავადებათა გამომწვევად მეგრელები მიიჩნევდნენ ასევე „მაზაკველს“, „მზაკვარს“, რომელიც „თვალცემულობის ძალის“ მქონე, „ავი“ და „შურიანი“ „კუდიანი ქალი“ ყოფილა... „მაზეკველის ერთი თვალის გადავლება“ საკმარისი იყო, იმისთვის, რომ ლამაზი ბავშვი ავად გამხდრიყო და მომკვდარიყო (Sakhokia, 1956, 18). ეს არის ავი თვალის შესახებ არსებული წარმოდგენების უძველესი შრე. შემდეგ და შემდეგ უფრო ხშირად გვხვდება წარმოდგენა, რომლის მიხედვით, ავი თვალის მქონე შეიძლება იყოს სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, რომელმაც ხშირად თავად იცის, რომ მის მზერას შეიძლება უარყოფითი შედეგი მოჰყვეს და ცდილობს თავისი მზერის ძალის განეიტრალებას. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, თუ როგორ განიცდის ტრანსფორმაციას დაავადებებთან დაკავშირებული წარმოდგენები.

თვალის ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, მეგრელები სხვადასხვა საშუალებას მიმრთავდნენ, თ. სახოკია წერს: „აკვანზე, ჩემს თავს ზემოდან, ალისყურთან ერთად, ჩამოჰკიდა (ძიძამ – ნ.მ.) სამკუთხედად შეკერილი სამოგვის ნაჭერი ანუ ავგაროზი, რომელშიც ერთი ბალახის ყვავილი იდო ავი თვალის ასარიდებელ თვისებისა, ეს ავგაროზი მონათვლის შემდეგ, პატარა ლითონის ჯვართან ერთად, გულზე მეკიდა და მანამდევ ვატარებდი, სანამ 11-12 წლისა შევიქნებოდი... ამავე დანიშნულებისათვის იყო დაკიდებული აკვნის ხელზე ალისყურთან ერთად, ზღვის ლოკოკინების მძივი, ყველა ამას დაკისრებული ჰქონდათ ჩემი დაცვა-ფარვა გაღალვისაგან. მთავარი იყო რკინის ნატეხი, ძიძამ ჩემს პატარა ლეიბის ქვეშ რომ ამომიდო, თავით. აბა ეს იყო მფარველი და მცველი ჩემისთანა ყრმებისა, რაც არ უნდა დიდი ძალი ჰქონოდა მღალავის თვალს, ამ რკინასთან მიახლოვებაზე მისი შიშით თურმე „ჰქრებოდა“ (Sakhokia, 1955: 6). ამ შემთხვევაში. რელიგიური სინკრეტიზმის ერთ-ერთ ტიპურ მაგალითთან გვქვს საქმე, როდესც ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოსთან, ჯვართან ერთად, მაგიური დატვირთვის საგნებიც გამოიყენება.

თ. სახოკია მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ დაავადება – უჟმურზე, რომელიც ციების ერთ-ერთ სახეობას უნდა წარმოადგენდეს და რომელსაც მეგრელების წარმოდგენით იწვევდა – „ჟამი, ანუ სული გაცივებისა, უხილავი სული, ბუდობს ნოტიო ალაგას, ჭანჭრობებში, ღელეების ნაპირებზე. თუ ადამიანი, განსაკუთრებით, ბავშვი გუბეში ჩავარდა, ან თუ ზის სოველ და ნესტიან მიწაზე, ადგომისას თან აჰყვება სინესტე, რომელიც ეკუთვნოდა ჟამს,

რომელიც ჩვენ დაგვსჯის გაციებით, უმეტეს შემთხვევაში ცივების ხასიათით, თვით დაავადების პროცესს მეგრულად ჰქვიან, ჟამუა, ხოლო ვისაც ჟამი სჯის – ჟამილი. უფრო ხშირად ჟამი ემტერება ბავშვებს, ყოველთვის, როდესაც დედამიწაზე დავეცემით ან ზედ ჯდომის შემდეგ ავდგებით, თუ გვინდა მშვიდობით გადავრჩეთ, დედა-მიწას და ნაჯდომ ან დანაცემ ადგილას უნდა დავანერწყოთ, ე.ი. ნერწყვის სახით ჟამს დავუბრუნოთ ის სინოტივე, რომელიც შეიძლებოდა აგვყოლოდა... ჩვენი დაცემისა ან დაჯდომის დროს. მეორე საშუალება არის ავგაროზი, რომელიც საგანგებოდ ჟამის წინააღმდეგ არის გაკეთებული. მესამე საშუალება არის სოფლის ექიმებისგან ან თვით მკითხავის მიერ სხვადასხვა ბალახებისგან შემზადებული სასმელი „წამალი“. თუ არც ერთმა საშუალებამ არ უშველა მიმართავენ მკითხავს და ის ურჩევს რომელიმე ხატს მიმართონ“ (Sakhokia, 1956: 14-15). ამ ამონარიდში რამდენიმე საინტერესო ინფორმაციაა, კერძოდ ახსნილია თუ რატომ ანერწყვებენ მიწას ნესტიანი მიწიდან ადგომის დროს. ეს წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია მოსახლეობის მეხსიერებას არ შემორჩა. საინტერესოა, რომ ამ დაავადების საწინააღმდეგოდ აკეთებდნენ სპეციალურ ავგაროზს და წამალს მცენარეებისგან. უჟმურის სამკურნალოდ წამლის გამოყენების ფაქტს ადასტურებს გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი კორესპოდენტი: „დასავლეთ საქართველოში უჟმურის წამალიც იყო ცნობილი. იგი შესაზელ მოყვითალო ფერის სითხეს წარმოადგენდა, რომელსაც მეტწილად ებრაელი მეწვრილმანეები ყიდდნენ. ზოგი კი დასალევი იყო და თავად მკურნალი ამზადებდა. ქუთაისის ერთი მკვიდრი იგონებს: „ლოცვის შემდეგ, მოიტანა (ექიმბაშმა – ნ.მ.) გვიმრის და ანწლის ძირი, თუთის და ვაშლის ტყავი, იის ფოთოლი, ჯამზედ დაყარა, წყალში ამოავლო, წყალი გაათბო, ცოტა ლილა და შაბი გაურია და ეს შეზავებული წამალი თითქმის ძალით დამალევინეს მთელი სტაქანი.

მაშინათვე პირიდან მასაქმებინა და კინაღამ საიქიოს არ წავედი. მაგრამ ექიმმა კი სიხარულით სთქვა: ეხლა კი მორჩა აგი ბოვშვი, სტორეთ ეშმაკი ამოვაგდებინე პირიდანო“ (Kandelaki, 1872: 2-3). ამ შემთხვევაში მკურნალი იყენებდა წამალს, რომლის რეცეპტი აღწერილია. ეს წამალი იწვევდა ღებინებას ავადმყოფის სხეულიდან დაავადების გამომწვევად მიჩნეული ავი სულის გამოსადევნად, რაც ერთ-ერთ უძველესს და საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ მაგიურ ქმედებებს განეკუთვნება. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ წამალს რაიმე დადებითი სამკურალი ეფექტიც ჰქონოდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით რაიმეს თქმა ჩვენს კომპეტეციას აღემატება.

მინდა შევეხო ფსიქიკურ დაავადებათა გამოწვევისა და მათი მკურნალობის მაგიურ-რელიგიური საშუალებების საკითხს. ამ კუთხით საინტერესოა რიტუალური წყევლა. „იმ დროს ძვირის მოქმედის, და საზოგადოდ მტრის შურისძიების ერთი სახე გახლდათ წყევლა, – წერს თ. სახოკია, – როცა ფარული მტერი ეყოლებოდათ“. მაწყევარი მივიდოდა კაკლის ხესთან კვირაობით ან დღეობაში, როცა მის გარშემო

ხალხი იქნებოდა თავმოყრილი, და ამ ხალხის თანდასწრებით კაკლის ტანში ქვით ჩაარჭობდა დიდ ლურსმანს და ხობის ღვთისმშობელს ან ხეთის წმინდა გიორგის შესთხოვდა: ჩემი გაქურდვისათვის (ან სხვა რამ ბოროტებისათვის) ან ჩემისთანა საწყალი ადამიანის დაჩაგვრისთვის, გთხოვ, შენი სახელის ჭირიმე, ლოგინად ჩააგდო, საშველი არ მისცე და მანამდე სტანჯო, სანამ კაკალთან არ მოვა და თავისი კბილით არ ამოაძრობს ამ ლურსმანსო. დამსწრენი უსმენენ ამ „გადაცემის“ სიტყვებს და, ნიშნად თანაგრძნობისა, გათავებისას ერთხმად ეუბნებოდნენ: „ამინ!“ (Sakhokia, 1955: 13-14). წყევლის რიტუალი ე.წ. ხატზე გადაცემა სალოცავშიც ხდებოდა და მას დაზარალებულის თხოვნით, სალოცავის, „ხატის“ მსახური „მეხატულე“ ატარებდა... იგი წმინდა გიორგისადმი მიმართვას ამთავრებდა შემდეგი სიტყვებით: „...შენი ბოძალი დაატაკე, შენი რკინის შუბით გული გაუგმირე მისი ცხენის ქურდს; ისე მძიმედ გახადე ავად, რომ სულ შენი წმიდა სახელი აყვირო და გთხოვოს შველა, მაგრამ სანამ ერთი-ორად არ გადაუხადოს, მანამდე ნუ მისცემ ხსნას“ (Sakhokia, 1956: 114-115). ამის შემდეგ მეგრელი დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავე დაისჯებოდა მძიმე, უმეტესად, ფსიქიკური დაავადებით და ხშირად, ეს მართლაც, ასე ხდებოდა, რადგან, ხატზე გადაცემის რიტუალის ჩატარების ფაქტი ხატზე გადაცემულისათვის ყოველთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რაც მის ფსიქიკაზე ძლიერ მოქმედებდა და ფსოქოპათოლოგიურ გადახრას იწვევდა. ეს ნათლად ჩანს თ. სახოკიას შემდეგი სიტყვებიდან: „ქურდს, დადარდიანებულს, გამწარებულს არ შორდება შიში, რომ წმ. გიორგი, რომელსაც მოპარული ცხენების პატრონმა ისეთი ძღვენი მიართვა, თავს გამოიდებს, თავის სასწაულობის გამოჩენას არ დაახანებს, ჩააგდებს ლოგინად ქურდს, აყვირებს წმ. გიორგის სახელს...

დადის იქით აქეთ ქურდი დაღონებული, თავჩაქინდრული. გადაცემას შემდეგ არ გაუვლია ერთ კვირას, ლოგინად ჩაწვა. აბოდებს ხმამაღლა იძახის წმ. გიორგის სახელს, ცხენები მე მოვიპარეო, ნუ მომკლავ შენი სახელის ჭირიმე, მაპატივე, მეტს აღარ ვიზამო“ (Sakhokia, 1956: 68).

ამ ამონარიდიდან აშკარად ჩანს, რომ დამნაშავე, ხატზე გადაცემის შემდეგ, რეალურად ხდებოდა ავად, როგორც აღვნიშნეთ, ფსიქიკური დაავადებით. ამას ადასტურებს ს. მაკალათიას მონაცემებიც (Makalatia, 1941: 351-352).

ამ კუთხით საინტერესოა თ. სახოკიას კიდევ ერთი ცნობა სხალთის ტაძრის შესახებ: „სხალთის ტაძრის გადარჩენის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს, როგორც აქაურებმა გვიამბეს, ის შიში, რომელიც მის დაქცევა-დანგრევის მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორ გარემოებას: ერთს იქაურ გლეხს სახლის ბუხრისთვის აქედან ერთი ციგა თლილი ქვები წაეღო, ხარებს ციგა დაუძრავთ თუ არა, გლეხს ბნედა დამართნია, ხარებს ციგა უპატრონოდ შინ აუტანია. მოუკითხავთ პატრონი. ბევრი ძებნის შემდეგ ეკლესიის გალავნის ახლოს დახვედრიათ სიკვდილის პირას მისული, უთქვამთ, ალბათ, გურჯების (ქართველთა) ღმერთი გაგვირისხდა ქვის წაღებისთვისო და წაღებული მასალა უკანვე

დაუბრუნებიათ. მომაკვდავი გლეხი მაშინვე მობრუნებულა...

თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათ ეს ტაძარი მეჩეთად გადაეკეთებინათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ჭკუაზე შემცდარან და განზრახვაზე ხელი აუღიათ. ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზე და ამ ტაძრისადმი შიში და კრძალვა ჩაუნერგავს“ (Sakhokia, 1985: 301).

მსგავსი ფაქტები დადასტურებულია სამცხე-ჯავახეთში – „ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით ერიდებოდა წმინდა ადგილებს, ძველ საყდრებს, ნასაყდრალებს, ნასაყდრალზე შემორჩენილ წმინდა ხეებს. სჯეროდა, რომ მათი შეურაცხყოფა წმინდანის წყრომას იწვევდა და დამნაშავე უთუოდ დაისჯებოდა, დაიგრიხებოდა – ხელი ან ფეხი გაუჩერდებოდა. კისერი მოექცეოდა და სხვა. ეს რწმენა გავრცელებული იყო როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან მოსახლეობაში, ამიტომ მაჰმადიანები ძველ საყდრებს ერიდებოდნენ და ამის წყალობით არა ერთი ძეგლი გადარჩენილა“ (Maisuradze, 1939: 52).

ყოველივე ზემოთქმული კი იმაზე მიგვითითებს, რომ დაავდება ტრადიციულ საზოგადოებაში სოციალური კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

თედო სახოკია აღწერს ფსიქიკურ დაავადებთა სამკურნალო რიტუალებსაც. მაგ., „ილორის ეკლესიაში ინახებოდა რკინის მშვილდი, რომელშიაც უნდა გატარებულიყვნენ სხვადასხვა ავადმყოფნი, ვინც წმ. გიორგის წინაშე შუამდგომლობის როლში გამოდიოდა.

„... წმ. გიორგი ითვლებოდა მკურნალად ყოველგვარ სნეულებათაგან. ავადმყოფის განკურნებისათვის წმ. გიორგის საკლავის მოყვანას, თაფლის სანთელს, ვერცხლის ფულს, ჯერ ისევ აკვნის ბავშვების მორჩენისათვის მშობლები პირდებოდნენ ვერცხლის აკვნის მოტანას წმ. გიორგის ხატთან. მართლაც, წაიყვანდნენ მშობლები მორჩენილ ბავშვს წმ. გიორგის ეკლესიაში და თან წაიღებდნენ ვერცხლის სულ პაწაწინა ხუთ-ექვს სანტიმეტრის სიგრძის და ორი სანტიმეტრის სიმაღლის აკვანს და მადლობასთან ერთად მიართმევდნენ წმ. გიორგის“ (Sakhokia, 1956: 62).

წმ. გიორგი საქართველოში მკაცრ წმინდანად ითვლებოდა. მიაჩნდათ, რომ იგი შემცოდეს ფსიქიკური დაავადებით სჯიდა და მასვე შეეძლო განკურნება.

თ. სახოკიას ნაშრომებში დაცულია ცნობა ავადმყოფობის დროს აღთქმის დადების შესახებ, რომელთაგან ზოგს იგი უძველეს, წინა ისტორიულ ხანას უკავშირებს: „ზოგჯერ მეგრელი ავადმყოფობის დროს „კუჩხას“ (ახალი წლის მეორე დღე „ფერხობა“) სულსა და ღვთაებას აღთქმას აძლევს: ოღონდ მომარჩინე და რკინეულს არასფერს მოვკიდო ხელიო, მეგრელი ზედმიწევით იცავს ამ აღთქმას და „კუჩხა“ დღეს ხელში არ აიღებს არც თოფ-იარაღს და აღარც სასოფლო სამეურნეო რკინის იარაღს და ამას შვრება მაშინაც კი, როცა მტერი ემუქრება და თავის დასაცავად იარაღს უნდა მიმართოს. ამ ჩვეულების საწყისი, ალბათ უნდა ვეძებოთ ადამიანის ცხოვრების იმ ხანაში, როცა რკინის თვისება

პირველად გაიცნო და ამ თვისებისათვის ხსენებულ ლითონს თაყვანსა სცემდა, მოწიწებით ეპყრობოდა და აღმერთებდა და მისთვის ხელის მიკარება და მით უფრო გამოყენება მხრივ ცოდვად ითვლებოდა“ (Sakhokia, 1956: 55).

მეტად საინტერესოა თ. სახოკიას მიერ აღწერილი თავზე ხელის შემოვლების რიტუალი და მისი ინტერპრეტაცია: „თავზე ხელის შემოვლება ითვლება განუსაზღვრელ სიყვარულის ნიშნად. იგივე ნიშანია იმისა, რომ ხელის შემომვლები მზადაა მოკვდეს იმის მაგიერ, ვისაც ხელს შემოავლებენ. ეს ჩვეულება წარმოშობილია მეგრელის იმ რწმენისაგან, რომ ერთს შეუძლია მეორის მაგიერ მოკვდეს. ერთს შეუძლია თავისი სიცოცხლე მეორის კარგად ყოფნას ამსხვერპლოს. მიმართავენ ამ ჩვეულებას განსაკუთრებით მაშინ, როცა საყვარელი არსება ვინმე მძიმედ ავად გახდება. მაგ., შვილის ავადმყოფობის დროს დედა ან მამა ავადმყოფისა სამჯერ შემოავლებს ხელს ავადმყოფს თავზე და ამით სიკვდილს ეხვეწებიან ავადმყოფი შვილის სულის მაგიერ იმათი სული წაიყვანოს... შეიძლება ადამიანის მაგიერ მსხვერპლად სიკვდილმა ცხოველიც შეიწიროს, ამ შემთხვევაში შესაწირავ საქონელს სამჯერ შემოატარებენ ავადმყოფს გარშემო“ (Sakhokia, 1956: 95).

თ. სახოკია აღწერს აგრეთვე თავშემოვლების განსხვავებულ წესსაც: „როდესაც დედას შვილი გაუხდება ავად, ზურგზე უნაგირს დაიდგამს, დაოთხდება, გამოხატავს მორჩილებას და აგრეთვე საფერხეს (ცხენი და სხვა) ამა თუ იმ კეთილი სულისას, სამჯერ შემოუვლის ავადმყოფის სარეცელს და კეთილ სულს შეეხვეწება – ჩემი ავადმყოფი შვილის მაგიერ წამიყვანეო“ (Sakhokia, 1956: 117).

მსგავსი რიტუალი დადასტურებულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მაგ., ქართლში სახადიანი ავადმყოფის დედა ან ბებია მკერდს გაიშიშვლებდა, სამჯერ შემოუვლიდა ავადმყოფს ფორთხვით, და იტყოდა: „დედაო მიწავ, შენი დედა ვიქნები, ოღონდ გვაპატიე, ოღონდ შვილი კარგად მიმყოფეო“. ეს რიტუალი დედამიწის თაყვანისცემას უკავშირდება და „ბატონების“ რიტუალში ერთ-ერთ უძველეს ელემენტს წარმოადგენს (Mindadze, 2013).

შესაძლებაელია თ. სახოკიას მიერ აღწერილი რიტუალიც დედამიწის თაყვანისცემის უძველეს ტრადიციას ეხმიანებოდეს.

მნიშვნელოვანია თ. სახოკიას მიერ სამეგრელოში დადასტურებული ავადმყოფზე და პალიატიური მზრუნვლობის ტრადიციები: „მეზობელს, განსაკუთრებით დედათა სქესისას, თავის მოვალეობად მიაჩნია თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც ინახულოს ავადმყოფი, მაგრამ არ ეგების ავადმყოფთან ხელცარიელი მისვლა. ზოგს მოაქვს პური, ზოგს ხილი, და სხვა რამ სასუსნი. ყოველი მნახველი მოსაკითხს (მოტანილ საჩუქარს) ავადმყოფის წინ დასდებს, სახეზე მხირულებას დაიმჩნევს და ავადმყოფს მალე მორჩენას უსურვებს.

მნახველი ავადმყოფის ამბავს რომ იკითხავს, მერე რაც არ უნდა გაჭირვებული იყოს ავადმყოფი, არ შეუძლია დაღონებულის სახით გაჩერდეს, განსაკუთრებით აკრძალულია და დანაშაულადაც კი ითვლება

ავადმყოფთან გულხელის დაკრეფა, ამიტომ ასეთი პოზა გამოხატავს მეგრელის მძიმე მწუხარებასა და დარდ-ნაღველისა და იდეათა ასოციაციით – თვით სიკვდილსაც... ღამ-ღამობით იმ სახლში, საცა ავადმყოფი წევს, ღამეს უთევენ... ამრიგად, ავადმყოფის დაღლილ პატრონს მოსვენების საშუალებას აძლევენ, ფხიზლობენ, თვითონ უგდებენ ავადმყოფს ყურს და თითქო სიკვდილს ხელს უშლიან სახლში შემოვიდეს, განსაკუთრებით ღამე თამაშობას მიემატება რაიმე გასართობი ამბავის მოყოლა, მხოლოდ ცდილობენ ლაპარაკის თემა სიკვდილი არ იყოს. ამიტომ გაურბიან სიტყვა „სიკვდილის“ ხსენებას არამც თუ ავადმყოფის წინ, არამედ მთელ სახლში, სადაც ავადმყოფი წევს... როდესაც ავადმყოფის გადარჩენის იმედი გადაუწყდებათ სიკვდილის წინ იხმობენ მღვდელს საზიარებლად“ (Sakhokia, 1940, 165-167).

მძიმე ავადმყოფისთვის ღამის თევამ, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება და დღემდე შემოინახა თავი, დადებით ემოციურ გარემოს უქმნიდა ავადმყოფს, მისი მდგომარეობის შემსუბუქებას ემსახურებოდა და იმავდროულად ავადმყოფის ოჯახზე ზრუნვასაც ითვალისწინებდა. მეზობლებისა და ახლობლების შესაწევარი, მოსაკითხის სახით, შღავათს აძლევდა ავადმყოფის ოჯახს მატერიალურად, თანაგრძნობა-თანადგომა ამაგრებდა სულიერადაც.

მეტად საინტერესოა თედო სახოკიას ინფორმაცია ხალხური სამედიცინო პერსონალის შესახებ – „ხალხის მკურნალობის საქმე სავსებით ებარა შინაურ და სოფლის მეწამლეებს, რომლებიც უმეტესად ქალები იყვნენ[1], – წერს იგი, – „ხოლო ქირურგები“, კბილის ამომღებნი და სისხლის გამომშვები მამაკაცები იყვნენ. მკურნალობის ამ სამ დარგს ზოგჯერ ერთი კაცი ითავსებდა, ასეთ „ექიმს“ მხარზე ჰქონდა სამგზავრო ჩანთა, რომელშიც ელაგა სისხლის ნესტარი, კბილის ამოსაძრობი გაზი, სულ მუდამ დაჟანგული... მაშინდელ გლეხს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოეშვებინა სისხლი მკლავის მთავარი სასისხლე მილიდან. ასე, რომ მუშტარი სოფლის „ქირურგს“ არ აკლდა. ასეთი მეწამლე ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა, მეორედან – მესამეში. სადმე სოფელში გაჩნდებოდა თუ არა ერთბაშად მთელ სოფელს მოედებოდა მისი გამოჩენის ამბავი...

მეწამლე ქალები ზაფხულშივე აგროვებდნენ ბალახებს, აშრობდნენ და ინახავდნენ ტომსიკებით ზანდუკის ყურში ან კედელზე ეკიდათ, ჰქონდათ ქვის ბრტყელი ფიცარი და მრგვალი ქვა წამლის სანაყავად, გასამრჯელოს ნატურით ღებულობდნენ. ...ათასში ერთხელ კარაბადინიც აღმოაჩნდებოდა ხოლმე სოფლის მეწამლეს.

თვით ჩემი მამამძუძე, უთუთია, მეწამლე იყო, სპეციალობად ჰქონდა ხუნაგისსა და საწერელის მორჩენა. ხუნაგისათვის ხმარობდა რაღაც ძირნაყოფა მცენარის ძირებს. ამ მცენარეს ახმობდა, ნაყავდა, ბურნუთად აქცევდა და ამას ხუნაგიანს მასრით აყრიდა გასიებულ ყელში ჩაბ-

[1] ქალების სამკურნალო საქმიანობის შესახებ ცნობას გვაწვდის არქ. ლამბერტიც (ლამბერტი, 1981: 91; იოანე ბატონიშვილი (1991: 231).

ერვით. თუ სატკივარი მწიფე იყო, უეჭველად გასკდებოდა. შორი მანძილიდან მოდიოდნენ ჩემს მამამძუძესთან ავადმყოფის მოსარჩენად. ასეთი წამლობა მამას შვილისთვის უნდა ესწავლებინა“ (Sakhokia, 1955: 8-9). ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია სამკურნალო საქმიანობის სქესობრივი ნიშნით განაწილების, მემკვიდრეობით გადაცემის ასპექტითა თუ სხვ. სამკურნალო საქმიანობის სქესობრივი ნიშნით დაყოფა, როდესაც ქალები უმეტესწილად მცენარეებით მკურნალობენ, ხოლო მამაკაცები, ძირითადად, „ქირურგებად“ გვევლინებიან, ტრადიციული სამედიცინო სისტემებისთვის დამახასიათებელი, უძველესი და ფართოდ გავრცელებული წესია. ამ ტრადიციის შესახებ ცნობები როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნების მითოლოგიაში გვხვდება. მაგ., ამირანის მითის პერსონაჟი – ყამარი და არგონავტების მითის მთავარი გმირი კოლხი მედეა სამკურნალო მცენარეების საიდუმლოებას ფლობდნენ (Mindadze, 2013).

ქართული ხალური მედიცინის შესწავლისათვის განსაუთრებულია თედო სახოკიას წიგნში – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ თავმოყრილი ხალხური ტერმინები თუ გამოთქმები. თუნდაც „ბალბა არ მომიხარშო“, რომელსაც თ. სახოკია შემდეგნაირად განმარტავს: „მოხარშულ ბალბას ქართლ-კახეთში ჭრილობის მოსარჩენად ხმარობენ. ბალბა არ მომიხარშო – საკუთრივ ნიშნავს, ვერ დამჭრი იარაღით, რომ საჭირო იქნეს ჩემთვის ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადება“ (Sakhokia, 1973: 4). აქ საინტერესო ინფორმაციაა სამკურნალო მცენარეებისა და ფოლკლორში მათი ორგინალურად ასახვის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტერმინი „ზერე-ქვერე“, რომელიც თედო სახოკიას მიერ ასეა ახსნილი: „ეს რთული სიტყვა იხმარება ერთნაირი ავადმყოფის მდგომარეობის გამოსახატავად, როცა კაცი ავადმყოფობას ხან ჩაუწვება ლოგინში, ხანაც ფეხზე წამოუდგება. ასეთზე ამბობენ ზერექვერედ არის ავადო, ასეთსავეზე იტყვიან ხაზმუზიანობსო. თვით ამ მდგომარეობას ჰქვია ზერექვერეობა, ანუ ხაზმუზიანობა“ (Sakhokia, 1973: 210).

ამგვარად, ზერე-ქვერე ადამიანის ჯანმრთელობის შუალედურ მდგომარეობას ასახავს, როდესაც იგი არც კარგად არის და არც მთლად ავადმყოფია, არც ჯანმრთელია და არც სნეული, ხან დაწვება და ხან ადგება... ძველი ქართული სამკურნალო წიგნების მიხედვითაც, არსებობდა ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მას ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფი არ იყო. XIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ ექიმის მოვალეობაა: „სიმრთელისა ჟამსა კაცისა მრთლად შენახვა..., და მას ჟამსა რომელ კაცი სნეულად იყოს, და მას ჟამსა რომელ არცა მრთლად იყოს და არცა სნეულად...“ (წიგნი სააქიმოი, 1936, 11-12).

ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ ქართული ტრადიციულ, ისევე როგორც ძველ ქართულ პროფესიულ და თანამედროვე მედიცინაში ცნობილი იყო ადამიანის ჯანმრთელობის სამი მდგომარეობა: ჯანმრთელობა, ავადმყოფობა და შუალედური, როდესაც ადამიანი არც ავად არის, მაგრამ არც მთლად ჯანმრთელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თედო სახოკიამ მნიშ-

ვნელოვანი მასალა შესძინა ქართული ტრადიციული მედიცინის კვლევის საქმეს და ამ მასალის საინტერესო ანალიზი შემოგვთავაზა. თედო სახოკიას ნაშრომიდან ნათლად ჩანს, რომ იგი იმ დროს პოპულარული ევოლუციონისტური თეორიის, კერძოდ, კი ტაილორისეული ანიმისტური თეორიის მიმდევარი იყო, რასაც ადასტურებს მისი სიტყვებიც: „ჯერ გაჩნდა ანიმიზმი“, ხოლო შემდეგ მან „ფეხი გადასდგა შეთხზული სარწმუნოების მეორე სტადიაში – ანთროპომორფიზმში.... ამასვევ ხედავთ ყველგან და ყველა ხალხებში და თუ ცოტა მეტხანს მოვუნდით საქართველოში „ყვავილ-ბატონების“ წამლობის აღწერას, ეს იმისთვის მოგვივიდა, რომ უნდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად ერთნაირია გონებრივი ევოლუცია, რომელიც არსებობს ამ მხრივ ქართველებსა და იმათივე კულტურის სხვა ხალხებს შორის, იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ მეტად დაგვენახვებინა თვალსაჩინო ფაქტი ავადმყოფობის სულების გაჩენისა“ (Sakhokia, 1956, 38). ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ მისი ნამოღვაწარი ეხმიანება დღეს ფართოდ გავრცელებულ და მნიშვნელოვან სამეცნიერო დარგებს – სამედიცინო ეკოლოგიას, ეთნომედიცინას და, ზოგადად, სამედიცინო ანთროპოლოგიას.

ლიტერატურა:

1. Bardavelidze V., Qartvelta Udzvelesi Sartsmunoebis Istoriidan, Rhvtaeba Babar-Barbar, Tbilisi, 1941.
2. Batonishvili I., Khumarstsavla, Kalmasoba, I, Tbilisi, 1990.
3. Chitaia G. Tedo Sakhokias Rvawli Qartul Etnografiashi, Shromebi, 5, volume is prepared for publication by Z. Tsereteli and T. Cagareishvili, Tbilisi, 2001.
4. Gurul-Megreli (Beridze Nikoloz), Samegrelos Avadmkofobani. Cnobis Furceli, 1899, N753.
5. Haxthausen August Von. Zakavkazskie Zametki o Semeynoy i Obshestvennoy Zhizni Obitayushchikh Mezhdu Chernim i Kaspiyskimi Moryami. Sankt-Peterburg, 1857, Ch. I.
6. Itonishvili V., Tedo Sakhokias Rhvatsli Qartul Etnografiashi, Tbilisi, 2013.
7. Kandelaki [K]. Qutaisi, “Droeba”: N 18, 1872.
8. Khakhutaishvili D., Qobuletis Qveyana, Tbilisi, 1955.
9. Lamberti A., Samegrelos Arhwera, Tbilisi, 1991.
10. Maisuradze I., Etnografiuli Masalebi (Khelnaweri), Samckhe-Javakhetis Istoriis Muzeumi, 1939.
11. Mindadze N., Qartveli Khalkhis Tradiciuli Samedicino Kultura, Tbilisi, 2013.
12. Sakhokia T., Etnografiuli Natserebi, Tbilisi, 1956.
13. Sakhokia T., Micvalebulis Kulti Samegreloshi, Masalebi Saqartvelos Etnografiisatvis, III,Tbilisi, 1940.
14. Sakhokia T., Qartuli Khatovani Kilo-Tqmani. Tbilisi, 1973.
15. Sakhokia T., Rogor Vizrdebodit Dzvelad (Mogonebani), Tbilisi, 1955.

16. Tsigni Saaqimoi, Tbilisi, 1936.
17. Tsuladze A., Etnografiuli Guria, Tbilisi, 1971.
18. Yiashvili A. Narodnaya Meditsina v Zakavkazskom Krae. Tiflis, 1904.

Nino Mindaze

TEDO SAKHOKIA ABOUT GEORGIAN FOLK MEDICINE

Prezented by D. Gulia Institute of History and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Sciensec

Summary

Tedo Sakhokia was the first Georgian anthropologist, researcher who became a correspondent member of Anthropological Society of Paris. He contributed greatly to the Georgian traditional culture and particularly to the research of traditional medicine. Ethnographic material found and studied by him is unique. TedoSakhokia offers us information about the factors inciting and favoring endemic diseases spread in western Georgia, about folk etiology of diseases and naturopathic and magic-religious means of therapy, about bioethics, folk traditions of patient care and palliative therapy. Especially, interesting is mytho-religious system associated with children's infectious diseases evidenced by Tedo-Sakhokia in Samegrelo, which cover faiths-opinions and rules and habits taking origin the Archaic period. According to his data, gradually, alongside with changes in religious faith, this system suffered changes and it shows vividly traces of impact of both pre-Christian and Christian religion. According to the information offered by TedoSakhokia about gender aspects of traditional medicine, about folk medicine personnel, folk surgeons in Samegrelo were mainly men, while women treated people by homemade medicines. TedoSakhokia's book "Georgian figurative *expressions*" is rather precious for the study of Georgian folk medicine. We meet there very interesting folk medicine terms and expressions. The work responds to the currently widely spread and significant branches such as medicinal ecology, ethno-medicine and generally medical anthropology. Tedo Sakhokia's work shows vividly that he was a follower of the popular at that time evolutionary theoriy and he used to explain many folk traditions on the base of this theory.

პოლიტიკის მეცნიერებები
POLITICAL SCIENCES

ალექსანდრე რუსეცკი

აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი

სტატიაში „აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში“ წარმოდგენილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტთა მხარდაჭერი პროგრამის ჩარჩოში ჩატარებული კვლევების შედეგები (საგრანტო ხელშეკრულება NN-18-1147). ფონდმა, ქართველოლოგიური კვლევების ჩარჩოში მხარი დაუჭირა სადისერტაციო ნაშრომს — „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ინტერდისციპლინური შედარებითი ანალიზი ინოვაციური 4D-RAV-17 მეთოდით“. ეს მეთოდი წარმოადგენს ჰოლისტური (არარედუქციონისტული) სამეცნიერო დიაგნოსტიკის, ანალიზის, სინთეზის და შეფასების ტექნიკების ერთობლიობას.

სტატიაში აფხაზეთის კონფლიქტი პირველად განიხილება როგორც აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) საგანი. ნაშრომში პირველადაა გამიჯნული აფხაზეთთან მიმართებაში არსებული კვლევების სამი იერარქიული დონე:

1. აფხაზიოლოგია (აფხაზეთმცოდნეობა, აფხაზეთის კვლევები);
2. აფხაზოლოგია (აფხაზთამცოდნეობა, აფხაზთა კვლევები);
3. აფსუალოგია (აფსუათმცოდნეობა, აფსუათა კვლევები).

აფსუათა კვლევები განიხილება როგორც აფხაზთა კვლევების ქვესისტემა, ხოლო აფხაზთა კვლევები, როგორც აფხაზეთის კვლევების ქვესისტემა.

აფსუა განხილულია როგორც აფხაზთა ქვესისტემა, ანუ როგორც ეთნოსი, რომელიც ავსებს დემოსს (პოლიეთნოსს).

აფხაზეთის კონფლიქტის გამოწვევის და მოუგვარებლობის ერთერთ მიზეზად წარმოდგენილია რედუქციონისტული ეთნოცენტრიზმი, რომელსაც დაჰყავს აფხაზეთმცოდნეობა აფსუალოგიამდე. ეს იწვევს კონფლიქტის აღქმის დეფორმაციას, რის შედეგად რთულდება კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია.

სტატიაში წარმოდგენილია აფხაზეთმცოდნეობის სპეციალისტთა შორის არსებული პრობლემები და ასევე მათი თანამშრომლობის ისეთი

შესაძლებლობები, როგორიცაა აფხაზეთმცოდნეობის კვლევების საერთაშორისო ცენტრის დაარსების და შესაბამისი საერთაშორისო ჟურნალის („აფხაზეთმცოდნობა“) გამოცემის იდეა.

აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების პოლიტიკური განწყობები

პოლიტიკური პროცესების მონაწილე სუბიექტები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ცნება „აფხაზეთს“. მათთვის ამ ტერმინის დენოტაცია, ანუ მისი პირველადი შინაარსი და მნიშვნელობა განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია მათთვის აფხაზეთის მომავლის ხედვა.

- აფსუათა სეცესიონისტურად განწყობილი ნაწილისათვის „აფხაზეთი“ და „აფსნი“ არის ერთი და იგივე. სტრატეგიაში ისინი მიისწრაფიან იმისკენ, რომ „აფხაზეთი“ გახდეს „აფსნი“, რაც გულისხმობს მთელი სივრცის აფსუათა კულტურის მატარებელი ადამიანების სიმრავლით შევსებას. ეს არის აფსუათა ეთნონაციონალისტური პროექტის შინაარსი. ანუ, ესაა ის მაგალითი, როდესაც „ნაწილს“ აქვს სურვილი რომ გახდეს „მთელი“. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში სირიის კონფლიქტის შედეგად მოხდა ამ ფრთის გაძლიერება და დევნილების გადმოსახლება. გარდა ამისა, სირიის ფაქტიურმა ხელისუფლებამ, ბაშარ ასადის სახით, სცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა.
- საქართველოს მთლიანობის მომხრეებისთვის (იუნიონისტებისათვის), „აფხაზეთი“, საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. ამ პოზიციის მომხრეების უმრავლესობა ლოიალურად არის განწყობილი აფსუების მიმართ. ისინი თვლიან, რომ აფსუებიც ძმები არიან, მაგრამ უშვებენ შეცდომას და ასრულებენ რუსეთის გეგმებს. მათი რადიკალური ნაწილი აიგივებს აფსუებს აფხაზებთან და ხედავს მათში მტრებს. ამის ერთ-ერთი დასტურია, 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს ჯარში „პოპულარული“ მდაბიო დონის სიმღერა – „ადე, ბიჭო მალხაზი, კარს მოადგა აფხაზი“...
- აფხაზეთის მოსახლების მნიშვნელოვანი ნაწილი (რუსეთზე ორიენტირებული ირრედენტისტები) მიიჩნევს, რომ დღევანდელი აფხაზეთი უნდა იყოს კრასნოდარის მხარის ნაწილი. ეს დერჟავნიკული პოლიტიკა გულისხმობს ამ ტერიტორიის „სოჭიზაციას“. არაა გამორიცხული რომ მოხდეს აფხაზეთის გამსხვილება ადლერი-სოჭის მიერთებით და რუსიფიკაციის პროცესის დაჩქარება; მეორე სტრატეგიით, ახალი შიდა კონფლიქტის პროვოცირება და ტერიტორიიდან დარჩენილი არასასურველი მოსახლეობის განდევნა. ამის შემდეგ კი ამ ტერიტორიის მიერთება.

- აფხაზეთის სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, აფხაზეთი პან-სომხური შავიზღვისპირეთის კომპონენტია. ისტორიის ამ ეტაპზე ისინი კმაყოფილდებიან რუსეთის პროვინციის პირობებზე და აძლიერებენ ამით წინა ჯგუფს. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ღრმა კონფლიქტი რუსულენოვანი მოსახლების იმ ნაწილთან, რომელიც წარმოადგენილია, ძირითადად, ეთნიკური რუსებით. სომხეთის პოლიტიკის პრიორიტეტია – რუსეთის მეშვეობით დაიყვანოს მინიმუმამდე საქართველოს და თურქეთის ზეგავლენა აფხაზეთზე და დაამყაროს ჯერ არაფორმალური, ხოლო სტრატეგიაში – ფორმალური კონტროლი აფხაზეთის მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე.
- თურქეთის პოლიტიკის მომხრეებისთვის აფხაზეთი განიხილება როგორც თურქეთის პროვინცია, რომელშიც იქნება დომინანტი ისლამის მიმდევართა კულტურა. ეს პროექტი გულისხმობს „მუხაჯირების“ დაბრუნებას და განიხილავს ასევე სოხუმს, როგორც კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ცენტრს. მათი სტრატეგიული ამოცანაა აფხაზეთის სრული დექრისტიანიზაცია – ქართველების, სომხების, ბერძნების და რუსების მოცილების გზით.

ეთნოცენტრისტული რედუქციონიზმი

აფხაზეთის კონფლიქტის **კომპლექსური სისტემის** მოუგვარებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს, სხვა მიზეზებთან ერთად, წარმოადგენს მისი **არასისტემური, რედუქციონისტული აღქმა, რომელიც ამახინჯებს მის ერთიან სურათს.**

მე-XIX საუკუნიდან შეიქმნა აღწერის დეფორმირებული ენის სტრუქტურა. ამ დეფორმაციამ **გამოიწვია** „აფხაზეთის“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების თვითნებური და მიზანმიმართული ინტერპრეტაციები. აღწერის პროცესში **მეცნიერულად არაგამართული** ტერმინების (უნებლიე ან მიზანდასახულმა) **გამოყენებამ** გამოიწვია ისეთი არეულობა, რომ რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა საბჭოს ყოფილი თავჯდომარის, მეცნიერებათა დოქტორის, ვალერი ტიშკოვის ინფორმაციით, ეს კონფლიქტი, მეცნიერ-კონფლიქტოლოგების დიდმა ფორუმმა ჰავაის კუნძულების ქალაქ კონში, ჯერ კიდევ 1990 წელს, შეაფასა როგორც „ფილოლოგიური კონფლიქტი“.

აფხაზეთის კონფლიქტის ქრონიკული მოუგვარებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ თვით აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) რედუქციონისტული ხასიათი.

ეთნოცენტრირებული (აფსუაცენტრირებული) განწყობები ხელს უშლის კონფლიქტის სისტემის ადეკვატურ აღქმას. სახელდობრ, კვლევის ობიექტად აფხაზეთმცოდნეობის სხვადასხვა დისციპლინებში წარ-

მოდგენილია „აფსუათა ეთნოსი“, რაც წარმოადგენს აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის სრულ იგნორირებას და დისკრიმინაციას. ეს ნიშნავს აფხაზეთმცოდნეობის დაყვანას აფსუათმცოდნეობამდე.

აფხაზეთის მოსახლეობას და მის ,,პოლიტიკურ ნებას‘‘ წარმოადგენს მხოლოდ მოსახლეობის სეცესიონისტურად განწყობილი ის ნაწილი, რომელსაც ხელოვნურად და ცინიკურად შეუქმნეს ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ ერის შემკრებ და შემომქმედ ეთნოსს.

ამას ხელს უწყობს არა მხოლოდ რუსეთი, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა ის აქტორი, რომელსაც სურს საქართველოს ზეგავლენის შემცირების ხარჯზე მოიპოვოს აფხაზეთზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

ამ დისკრიმნაციის გამოკვეთილ მაგალითს წარმოადგენს ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, დანიის ლიბერალური პარტიის ყოფილი ლიდერის და დანიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ანდრეს ფოგ რასმუსენის სკანდალური განცხადება 2019 წლის 9 სექტემბერს მაკკეინის სახელობის ფონდის მიერ თბილისში ჩატარებულ კონფერენციაზე. დასავლელმა დიპლომატმა შესთავაზა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროექტის განხილვა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გარეშე. ეს არის ამ რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილის (უნიონისტების) ინტერესების იგნორირება და მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევა. ამავე დროს ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი ,,დასავლელი პარტნიორების‘‘ იმიჯის დისკრედიტაციისა საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ურჩევნია შეინარჩუნოს ,,ერთიანობა‘‘ რუსეთის იმპერიის ჩარჩოში, ვიდრე ნაწილ-ნაწილ შევიდეს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში.

რეფლექსური აზროვნების ანალიტიკური და დიაგნოსტიკური შესაძლებლობები

აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ანალიზისთვის აუცილებლად მიგვაჩნია რეფლექსიის კოგნიტური შესაძლებლობების გამოყენება.

რეფლექსია ეს არის ადამიანის ისეთი აზროვნების სტილი, რომელიც საშუალებას იძლევა, პიროვნებამ მოახდინოს თვით ცოდნის შინაარსის სიღრმისეული გააზრება, მისი ფორმების, სტრუქტურის და შექმნის გენეზისის წინაპირობების გაცნობიერება, მისი მოპოვების და დამუშავების მეთოდების კრიტიკული ანალიზი. რეფლექსია – ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერებაა. (სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი)

რეფლექსია წარმოადგენს ყველა იმ მკვლევრის იარაღს, ვისაც აქვს სურვილი შეიტანოს საკუთარი წვლილი იმ მოუგვარებელი პრობლემების მოგვარებაში, რომელიც არის ჩვენ გარშემო. რეფლექსიის გარეშე,

პოლიტიკურ თეორიაში შეუძლებელია ახალი კონცეფციების ან მოდელების შემოთავაზება. ამიტომ თავის თავში რეფლექსია წარმოადგენს არსებულის რევიზიას. ესაა მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს რაიმე თეორიის, მოძღვრების რევიზიას (Chabashvili, 1989: 63-68).

ჩვენს შემთხვევაში ადგილი აქვს აფხაზეთის კონფლიქტის და ე.წ. სამშვიდობო პროცესის შესწავლის და არსებული ინტერპრეტაციების კრიტიკულ ანალიზსა და რევიზიას. კრიტიკული ანალიზის პროცესში შეკრებილი მონაცემების ინვენტარიზაციას, სინთეზირებას და მის საფუძველზე კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის კონცეპციის და შესაბამისი მოდელის შემოთავაზებას.

ასეთი ხედვის ჩამოყალიბების მიზეზს წარმოადგენს ვარაუდი, რომ აფხაზეთთან და აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში შექმნილი ცოდნის კაპიტალი (რომელიც მოითხოვს ინვენტარიაზაციას და შეფასებას) წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებისათვის ღირებულ რესურს, მაგრამ, ამავე დროს სერიოზულ ხელშემშლელ პრობლემას. სახელდობრ, საუბარია კონფლიქტის სტრუქტურის დეფორმირებულ აღქმაზე, რომლის დამადასტურებელი ემპირიული მასალა შეგვიძლია უხვად ვიხილოთ სამეცნიერო ნაშრომებში, ნორმატიულ აქტებში, პუბლიკაციებში და პოლიტიკოსების სპიჩებში.

ბუნებრივია, რომ ამაზე, პირველ რიგში, პასუხისგებლები არიან მეცნიერები. მათი კომპეტენცია უნდა იყოს საკმარისი არა მხოლოდ იმისთვის, რომ პირადად არ დაუშვან მარტივი შეცდომები მოვლენის აღქმის და აღწერის პროცესში, არამედ არ დაუშვან არსებული მცდარი მოსაზრებების და კლიშეების მასიური ტირაჟირება. არ გამოვრიცხავთ, რომ ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ ჩვეულებრივ შეცდომებს, არამედ გააზრებულ საინფორმაციო/ფსიქოლოგიურ აგრესიას, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთის კონფლიქტის არ მოგვარებას და მოითხოვს საგანგებო კვლევების ჩატარებასა და შესაბამის შეფასებას.

ამ „პარაზიტი“ ტერმინების და მიდგომების აღმოჩენის და ფიქსაციის მიზნით აუცილებელია წვდომა არსებულ სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასთან და შესაბამის დოკუმენტებთან. მნიშვნელოვანია ასევე ინფორმაციის ფლობა იმ ადამიანების შესახებ, ვინც ამ მიმართულებით მუშაობდა და მუშაობს. საუბარია **აფხაზეთმცოდნეებზე ან აფხაზეთის კვლევების სპეციალისტებზე**, ანუ უნდა დაგვედგინა თუ **„ვინ არის ვინ“** აფხაზეთის კვლევებში. მოვიპოვეთ ინფორმაცია როგორც ცალკეულ მეცნიერებზე, ასევე ორგანიზაციებზე. ამ მიზნით ასევე დავიწყეთ აფხაზეთმცოდნეობის დაარსების და განვითარების დინამიკის შესწავლა. ამ ინფორმაციის კონცენტრირება საჭიროა და ღირებული არა მხოლოდ ამ ნაშრომისთვის, არამედ მომავალი მკვლევარებისთვისაც. კვლევით დადგინდა, რომ მონაცემთა მსგავსი ერთიანი საინფორმაციო ბაზა დღეისთვის არ არსებობს.

ამ შემთხვევაში რეფლექსია წარმოადგენს იმ ცოდნის გააზრებას და შეფასებას, რომელიც არის შექმნილი საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი იმ ცოდნის, რომელიც პირდა-

პირ ან ირიბად ეხება აფხაზეთის კონფლიქტს.

აფხაზეთმცოდენობა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი

აფხაზეთმცოდნეობა (**აფხაზეთის კვლევები**) – არის მეცნიერება, ანუ ინსტიტუციონალიზებული, მრავალსაფეხურიანი, ლოგიკურად დაკავშირებული გამონათქვამების სისტემა, რომელიც ობიექტური მეთოდებით ცოდნის აკუმულირება-დაგროვებას ახდენს აფხაზეთის შესახებ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

ცოდნის აკუმულირება შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა მოტივით. მათ შორის პოლიტიკურ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს ამ კვლევის ობიექტის შესახებ ისეთი ინფორმაციების ფლობა, რომელიც უზრუნველყოფს მის (ანუ აფხაზეთის) მართვას და კონტროლს. გამომდინარე აქედან, **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს პოლიტიკურ იარაღს და კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია (მეცნიერების ნებისმიერ ქვედარგში) შეიძლება იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის. ვინც ამ იარაღს უკეთესად ფლობს, მას უფრო მეტი შანსი აქვს არსებულ ბრძოლაში გამარჯვების.

შესაბამისად, ადგილი უნდა ჰქონდეს ასევე ბრძოლას იარაღისთვის. **აფხაზეთმცოდნეობა**, როგორც იარაღი, შეიძლება გამოიყენო როგორც თავდაცვის, ისე თავდასხმის მიზნით და ამ იარაღს იყენებს კონფლიქტში ჩართული ყველა მხარე.

დღეს **აფხაზეთის** კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის მკვებავ არტერიას. იგი ხელს უწყობს კონფლიქტის ესკალაციას კონფლიქტში ჩართული სუბიექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეიარაღების გზით.

აფხაზეთმცოდნეობა, როგორც კონფლიქტის ველი და ობიექტი

აფხაზეთის კვლევის სპეციალისტების (აფხაზეთმცოდნეების) სიმრავლე წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის როგორც ესკალაციის, ასევე მოგვარების მკვებავ ძალას. მათი ნაშრომები ქმნიან რეალური თამაშის წესებს და განწყობებს. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ქვესისტემაში პროეცირებული კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია ზეგავლენას იქონიებს კონფლიქტის სრული სისტემის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე.

მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდა და **აფხაზეთმცოდნეების** ჩართულობა სამშვიდობო პროცესის დიაგნოსტიკაში, ახალი პროცესის დაგეგმარებასა და განვითარებაში. მეცნიერების თანამშრომლობა მშვიდობისათვის წარმოადგენს აკადემიური, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დიპლომატიის ფუძეს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით ორი საუკუნის განმავლობაში კვლევები აქტიურად მიმდინარეობს, **აფხაზეთმცოდნეო-**

ბა, როგორც სამეცნიერო მრავალდისციპლინური მიმართულება, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე იმყოფება.

აფხაზეთმცოდნეობა, აფხაზოლოგია და აფსუალოგია

მეცნიერების უმრავლესობა აფსუალოგიური ტიპის კვლევებს წარმოადგენს, როგორც აფხაზოლოგიურ კვლევებს და არა როგორც აფსუალოგიურ კვლევებს, რომლებიც აფხაზოლოგიური კვლევების ქვესისტემას შეადგენენ, არამედ ხდება, ფაქტობრივად, აფსუალოგიის და აფხაზოლოგიის გაიგივება.

უფრო მეტიც, **აფსუალოგიის და აფხაზეთმცოდნეობის გაიგივება** (ეს იგივეა, რომ ვაშლს დაარქვა ხილი. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვაშლი არაა ერთადერთი ხილი).

აფსუალოგია წარმოადგენს აფხაზოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ამ ორი ცნების გაიგივება დაუშვებელია. ამ შეცდომას (სავარაუდოდ, მიზანდასახულად) უშვებდნენ და უშვებენ მკვლევრები ორი საუკუნის განმავლობაში. აქ უნდა აღვნიშნოთ, თუ ადამიანი არის აფსუოლოგი, ის ავტომატურად არის აფხაზოლოგი, მაგრამ ყველა აფხაზოლოგი აფსუოლოგი ვერ იქნება.

აფსუოლოგი იკვლევს აფსუათა ფენომენს, ხოლო აფახაზოლოგი –აფხაზეთის მოსახლეობის სრულ პალიტრას.

აფხაზოლოგია წარმოადგენს აფხაზეთმცოდნეობის ქვესისტემას გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთმცოდნეობა არის ინტერდისციპლინური სისტემა.

აფხაზეთმცოდნეების ნაწილი შეიძლება მიაკუთვნებდეს საკუთარ თავს ქართველოლოგიას, შეიძლება არ მიაკუთვნებდეს (დღეს ეს პოლიტიკური კონფლიქტის და იდენტობის პრობლემაა). მაგრამ **აფხაზეთმცოდნეობა** (ტერიტორიული არეალის მიხედვით), უდაოდ, წარმოადგენს კავკასიოლოგიური (Caucasian Study) და შავიზღვისპირეთის კვლევების (Black Sea Study) ქვესისტემას. ავტორების ნაწილი **აფხაზეთმცოდნეობას** მიაკუთვნებენ მხარეთმცოდნეობას. მათ შორის, ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს საქართველოს მხარეა, ნაწილი – რომ ეს რუსეთის მხარეა, სხვა ნაწილი კი თვლის რომ ეს თურქეთის პროვინციაა.

აფხაზეთმცოდნეობა – აფხაზეთის შესახებ კვლევას ნიშნავს. შესაბამისად, თუ რას იკვლევს იგი, დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ინტერესები დევს ამ კვლევის უკან და რა განწყობით ატარებს **მეცნიერი ამ კვლევას**. ამის დადგენა თავისთავად წარმოადგენს სამეცნიერო კვლევით ამოცანას. გამომდინარე აქედან, თვით **აფხაზეთმცოდნეობა** შეიძლება წარმოადგენდეს კონფლიქტის ველსაც და კონფლიქტის საგანსაც.

აფხაზეთმცოდნეობის ისტორიიდან

აფხაზეთის კვლევები ინტენსიურად დაიწყო XIX-XX სს. მე-XX საუკუნის I ნახევარში ნიკო მარი აქვეყნებს ნაშრომს „აფხაზები და აფხაზთამცოდნეობა“ (მარი, 1935: 162-186). მნიშვნელოვანია, რომ როგორც სხვა მეცნიერები, ისიც ფაქტობრივად აიგივებს ტერმინებს „აფსუა“ და „აფხაზი“. როგორც ვხედავთ, მარი გამოიყენებს ტერმინს „აფხაზთამცოდნეობა“ (абхазоведение) და არა „აფხაზეთმცოდნეობა“ (абхазиаведение). „აფხაზთამცოდნეობა“ **წარმოადგენს „აფხაზეთმცოდნეობის“ ქვესისტემას და იკვლევს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფებს.**

ნიკო მარს შემოაქვს ტერმინი „გეო-ეთნიკური ერთეული“ და „ტომთა ლანდშფტი“ („ეთნიკური ლანდშაფტი“). ნ. მარი ცდილობს მონახოს კავშირი და შესაბამისობა აფსუათა „ეთნიკურ ლანდშფტსა“ და აფხაზეთის გეოგრაფიულ სივრცეს შორის და წარმოადგინოს აფხაზები (რეალურად კი მხოლოდ აფსუები), როგორც „გეო-ეთნიკური ერთეული“.

ნიკო მარი თავის კვლევებში კრიტიკულად აფასებდა იმ ფენომენს, რომ კავკასიოლოგიური კვლევები დაყვანილია, ძირითადად, არმენოლოგიურ და ქართველოლოგიურ კვლევებამდე და ცდილობდა გამოეკვეთა აფხაზოლოგიური მიმართულება როგორც დამოუკიდებელი მიმართულება. ასევე ნ.მარი თვლიდა, რომ საქართველოში უნდა დაარსებულიყო „კავკასიის უნივერსიტეტი“ და არა მხოლოდ ქართული უნივერსიტეტი. აფხაზთამცოდნეობაში მისი გააქტიურება „აძლიერებდა“ მის პოზიციას – ქართველოლოგიურ და არმენოლოგიურ კვლევებს ემატებოდა კიდევ ერთი მიმართულება (მარი, 1918: 1496-1516).

ნიკო მარის ინიციატივით იყო შექმნილი „საზოგადოებრივი მეცნიერებების აფხაზური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“ («Библиография абхазской литературы по общественным наукам»). იგი (!) აღნიშნავს, რომ საუბარია, ძირითადად, რუსულენოვან ლიტერატურაზე, რომელიც შეეხება აფხაზეთს (მარი, 1935: 132). აფხაზთამცოდნეობას ანუ აბხაზოლოგიას, ნიკო მარი განმარტავს როგორც მეცნიერებას აფხაზი ხალხის შესახებ. აფხაზ ხალხში ის განიხილავს ე.წ. „აფხაზური ენის“ მატარებლებს, ანუ რეალობაში აფსუათა ტომს. დიდი მეცნიერი აღმოჩნდა რედუქციონისტული აზროვნების მძევალი, ანუ რეალურად ის ეყრდნობა არა აფხაზოლოგიას, არამედ აფსუალოგიას და მას წარმოადგენს როგორც აფხაზოლოგიას, რაც არის მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა.

ნ. მარი აფხაზთმცოდნეობაში (აფხაზოლოგიაში), ხედავს აუცილებელ საფუძველს რათა მოხერხდეს შესაბამისი განათლების სისტემის აწყობა და ფართო მასების განათლება. რეალურად კი ის ცდილობს განავითაროს აფსუალოგია და ამით საფუძველს უყრის აფხაზოლოგიის და მთლიანად აფაზეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური სამეცნიერო სისტემის, ჰარმონიული განვითარების პროცესის ბლოკირებას.

მნიშვნელოვანია, რომ ნ. მარი თავის ნაშრომში აღწერს თვით ინსტიტუციონალურ პროცესს, რომელმაც ხელი შეუწყო „აფხაზთამოყვარ-

ულების“ (რეალურად კი აფსუაფილების) სამოქალაქო და სამეცნიერო გაერთიანებებს ამ იდეების გარშემო. აფხაზთამცოდნეობა ნიკო მარის მიხედვით, ფაქტობრივად, იყო ორიენტირებული ეთნიკურ და არა პოლიეთნიკურ ისტორიულ კულტურაზე.

როგორც მარის ნაშრომებიდან ჩანს, მას აფხაზეთი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ხარისხობრივად მნიშვნელოვანი კუთხე (მხარე). გამომდინარე აქედან, იგი აფხაზეთს განიხილავდა რუსეთის მხარეთმცოდნეობის კვლევის ობიექტად, ლინგვო-ეთნოგრაფიული პრიზმით და, გასაგები მიზეზების გამო, უგულველყოფდა ეთნო-დემოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური ცვალებადობის რეტროსპექტიულ დინამიკას და **სრულ** ეთნოლოგიურ სურათს. ფაქტობრივად, მისი კვლევა გამოკვეთილად ატარებს უფრო აფსუოლოგიურ, ვიდრე აფხაზოლოგიურ ხასიათს.

მიუხედავად **გამოკვეთილი ეთნოცენტრისტული ხასიათის რედუქციონიზმისა, რომელიც წარმოდგენილია აფსუაცენტრიზმით, ნიკო მარი** თავის ნაშრომში **ახსენებს** „სოხუმის ჩრდილოეთით მცხოვრებ კუმარიტების ტომს“. ის არ მოიხსენიებს მათ როგორც აფსუებს, ან როგორც აფხაზებს, მაგრამ **აფიქსირებს ამით აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ ჰეტეროგენობას. იგი შემდგომში არ ავითარებს** თემას და რჩება კითხვა – თუ რა ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფს **მიაკუთვნებს იგი კუმარიტებს**. აღარაა საუბარი იგივე ჯიქებზე, სვანებზე და იმ სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებზე, ვინც სახლობდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ **დღეს** აფხაზეთად მოვიხსენიებთ.

მიუხედავად იმ უდიდესი ღვაწლისა, რომელიც შემატა ნიკო მარის შრომებმა საქართველოს, ქართულ მეცნიერებას და კავკასიოლოგიას ზოგადად (ამას ხაზგასმით აღნიშნავენ – ი. ჯავახიშვილი, ა. წერეთელი ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე და სხვები) (Metreveli, 2016: 19), მისმა შრომებმა აფხაზეთის მიმართულებით ხელი შეუწყო აფხაზეთმცოდნეობის განვითარების რედუქციონისტულ პარადიგმას.

საიდუმლოებით არის აღსავსე ის ფაქტი, რომ იგი „აფხაზების“ კირილურ ანბანს ცვლის ლათინური ანბანით, რომელიც შესწორებების შეტანის შედეგად 12 წელი მოქმედებდა (1926-1938 წწ.), 1938 წელს კი ის ქართულმა ანბანმა შეცვალა. 1954 წელს, სტალინის და ბერიას გარდაცვალების შემდეგ, ასპარეზზე ბრუნდება კირილური ანბანი. ეს ძალიან საინტერესო ფაქტია, იმიტომ რომ არაა გამორიცხული, უახლოეს პერსპექტივაში, დღის წესრიგში დაბრუნდეს „აფხაზურის“ ლათინური ვარიანტი. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ნიკო მარი მხარს უჭერდა ამ ტერიტორიის ევროპეიზაციის სტრატეგიას, რაც შეიძლება იმ ისტორიული მომენტისთვის წარმოადგენდა კომპრომისს. ნიშანდობლივია, რომ „ლათინური“ (პროდასავლური ვექტორი) ერთვება უკვე 1926 წელს „კავკასიურ თამაშში“ და იწყებს ბრძოლას აფხაზეთისთვის. ეს ახლოსაა იმ პოლიტიკასთან, რომელსაც დღეს აწარმოებენ აფხაზეთში პროდასავლური ვექტორის ძალები. ამ პოლიტიკის ძირითადი არსია, აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილში გააძლიერონ პროდასავლური ორიენტაცია და

ამით დააბალანსონ რუსეთის ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირული ანალიზის შედეგად ნ. მარის მოღვაწეობა ზოგი ექსპერტის მიერ ფასდება როგორც საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებელი, ეს ასე არაა. მიუხედავად ბევრი ტკივილისა, რაც მას მიაყენეს ქართული ნაციონალისტური სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ის იძულებული გახდა გადასულიყო ქართველოლოგიიდან არმენოლოგიური კვლევების მიმართულებაზე (სადაც ასევე ჰქონდა სერიოზული მიუღებლობის პრობლემები სომეხ ნაციონალისტ-მეცნიერებთან), მიუხედავად იმისა, რომ, ი. სტალინის მიხედვით, ნ. მარი იყო „არშემდგარი მარქსისტი“, ეს პიროვნება, უდაოდ, იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, მაგრამ ქართული ეთნო-ნაციონალისტური სამეცნიერო დისკურსი მას სრულყოფილ ქართველად არ თვლიდა და დღესაც არ თვლის. ნ. მარის ბიოგრაფიის აღწერაში დომინირებს ტერმინთა ასეთი წყვილები – „მარი – ქართველებთან ერთად“ „მარი და ქართული სამეცნიერო აზროვნება“ და ა.შ. ავტობიოგრაფიაში თვით ნ. მარი წერს, რომ ერთერთ ამხანაგთან ერთად, ჯერ კიდევ გიმნაზიაში, დაუფიცავთ, „სანამ არ გავანთავისუფლებთ საქართველოს, იარაღს არ დავყრით“ (Metreveli, 2016: 11).

ამავე დროს ნათლად ჩანს, რომ ნიკო მარს ჰქონდა გააზრებული და ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების კავკასიური განზომილება და საქართველოს განვითარების ევროპული განზომილება. იგი ცდილობდა დაენახა საქართველო და მისი კულტურა, უშუალოდ ქართული ენა, გლობალური სისტემების სხვადასხვა განზომილებაში და კონფიგურაციაში.

როგორც ლინგვისტისა და ისტორიკოსისთვის, რომელიც სიღრმისეულად იკვლევდა კოლხეთის ისტორიას, უყურადღებოდ არ დარჩებოდა ის ფაქტი, რომ კოლხური ეთნიკური ჯგუფებიდან ერთ-ერთი – **მართა** ტომი იყო. მიუხედავად შოტლანდიური წარმოშობისა, ნიკო მარს გაუჩნდებოდა ჰიპოთეტური ვერსია თავისი გვარის პროტოისტორიასთან დაკავშირებით. არაა გამორიცხული, რომ ეს იყო ერთ-ერთი მკვებავი ძალა მისი ლინგვისტური კვლევებისა და მცდელობა, მოენახა ახლო კავშირები კავკასიურ და დასავლეთ-ევროპულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთი არაა მონოეთნიკური წარმონაქმნი. მიუხედავად ამისა, მისი „აფსუაფილია“ წარმოადგენს რეალურ ფაქტს და იწვევს ეჭვებს, რომ იგი მონაწილეობდა გარკვეული სოციალური პროექტის განხორციელებაში და საბოლოო ჯამში მისმა შემოქმედებამ (ამ მიმართულებით) მოახდინა აფხაზეთმცოდნეობის განვითარების დეფორმაცია და ბლოკირება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ნიკო მარის დამსახურება არ იყო. ამ პროცესში, ისევე როგორც დღეს, ჩართული იყო მთელი **ქართული** „ბომონდი“.

ფილოლოგიური ომი

ვინც გააკონტროლებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საკომუნიკაციო ენის სტრუქტურას, ის გააკონტროელბდა ტერიტორიას. აი, ეს ფორმულა დაედო საფუძვლად აფხაზეთის გარშემო არსებულ ფილოლოგიურ დაპირისპირებას.

XIX-XX სს. კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენდა „აფხაზური დამწერლობის“ შექმნასთან დაკავშირებულ კვლევებს. თვით ეს კვლევები და დამწერლობა გახდა დაპირისპირების ერთ-ერთი საგანი რუს და ქართველ მეცნიერებს შორის. რუსეთის იმპერიის ინტერესების გამტარებლები ცდილობდნენ აფხაზეთი საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოექციათ და ამისთვის აქტიურად იყენებდნენ „ფილოლოგიურ რესურსს“, ხოლო საქართელოს ინტელექტუალური ელიტა, მიუხედავად იმისა რომ თვით იმყოფებოდა რუსეთის ზეგავლენის ქვეშ, ცდილობდა შეენარჩუნებინა ენობრივი უპირატესობა და თვლიდა რომ **თუ** ე.წ. „აბხაზური ანბანი“ უნდა შექმნილიყო, **მისი ფუძე** ქართული დამწერლობის (გრაფიკის) მეშვეობით **უნდა ყოფილიყო**, გამომდინარე იქედან, რომ ისინი უკეთ გადმოგვცემენ ამ ენის ჟღერადობას. 157 წლის განმავლობაში აფხაზური ანბანი 4-ჯერ შეიცვალა:

- 1862-1926 წლები – კირილური დამწერლობის ანბანი (პეტრე უსლარი);
- 1926-1938 წლები – ლათინური დამწერლობის ანბანი (ნიკო მარი);
- 1938-1954 წლები – ქართული დამწერლობის ანბანი;
- 1954 წლიდან დღემდე – კირილური დამწერლობის ანბანი.

ოთხივე შემთხვევაში აფხაზური ენის საფუძველს წარმოადგენდა აფსუათა მონოეთნიკური ლინგვისტური რესურსი. **ქართველი მეცნიერები და საზოგადოება ამას შეეგუვნენ და მოერგნენ იმ ტერმინოლოგიას, რომელიც ჩრდილოეთიდან იყო ინიციირებული.** მაგალითად, ქართულ „ვიკიპედიაში“, **რომლითაც სარგებლობს ბევრი მკითხველი,** ჩვენ ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „პირველი მკვლევარი, რომელმაც შექმნა აფხაზური დამწერლობა (!), იყო რუსეთის არმიის გენერალი პეტრე უსლარი. მან 1862 წელს აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვის შედგენისას გამოიყენა რუსული ე. წ. კირილური ანბანის გრაფიკა მის მიერვე გამოგონილი ასო-ნიშნების დამატებით. სწორედ პ.უსლარის ამ ნაშრომით იწყება აფხაზური დამწერლობის ისტორია. ამის პარალელურად, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დირექტორმა ივანე ბართლომეიმ აფხაზური ანბანის შესადგენად ქართული ასოების გრაფიკა გამოიყენა, როგორც ყველაზე შესაფერი აფხაზური ენისათვის, რაც აკლდა ის ასო-ბგერები მიუმატა და 1865 წელს გამოსცა „აფხაზური ანბანი“, თუმცა, ეს ანბანი, პოლიტიკური მოტივით, არ იქნა მიღებული, შედეგად უპირატესობა მიენიჭა უსლარისეულ ანბანს“. ვხედავთ, რომ აქ გამოყენებულია ტერმინები „აფხაზური დამწერლობა“, „აფხაზური ანბანი“...

მთავარი ამოცანა ხომ ლინგვისტური სეპარაცია იყო, ამიტომაც „აფხაზური **დამწერლობა**“ შეიქმნა არა როგორც პოლიეთნოგრაფიული წარმონაქმნი არამედ, როგორც მონოეთნოგრაფიული წარმონაქმნი და ეს გახდა საფუძველი მომავლაში ბევრი სხვა პრობლემის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით პეტრე უსლარი წერდა: „დამოუკიდებელი ლიტერატურა აფხაზებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ და არც ექნებათ“; ასევე „კავკასიაში გავრცელებული, დამწერლობას მოკლებული ყველა ენისათვის ყველაზე კარგი და ყველაზე გამოსადეგი ქართული დამწერლობაა“ და „თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო წერის სისტემას, არამედ ასოებსაც, მაშინ ჩვენდაუნებურად ხელს შევუწყობთ კავკასიაში არა მარტო ქართული ავტონომიის, არამედ აფხაზური ავტონომიის შექმნასაც“. აი, ამ ტექსტზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ აფხაზური (არა აფსუური) ავტონომიის შექმნას სჭირდებოდა არა ქართული, მაგრამ ადგილობრივი **ალტერნატიული კავკასიური** ენა. ეს იყო აუცილებელი პირობა რათა შექმნილიყო რუსეთის იმპერიის ინტერესების გამტარებელი გარნიზონული ხასიათის „აფხაზური ავტონომია“.

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში მოიხსენიება ტერმინი „აფხაზური დამწერლობის ისტორია“. ეს ტერმინი არაა მართებული. თუ ვგულისხმობთ მხოლოდ აფსუათა დამწერლობას (**რომელიც მათი ენის საფუძველზეა შექმნილი),** მაშინ უნდა ვიხმაროთ „აფსუური დამწერლობის ისტორია“ (და უფრო ადრინდელი თურქულ/არაბული ისტორიული კვალიც უნდა გავითვალისწინოთ).

თუ ვგულისხმობთ აფხაზეთის ტერიტორიაზე რეტროსპექტივაში მოქმედ სხვადასხვა ენასა და დამწერლობებს, მაშინ უნდა წარმოვადგინოთ მთელი მათი თაიგული და არ დავიყვანოთ იგი მხოლოდ აფსუურ ენამდე.

აღსანიშნავია ასევე, რომ „აფსუური ენის“ კირილიცით შექმნა მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, აფსუების რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ინტეგრაციას და ბიუროკრატიული პრობლემების გამარტივებას. ანბანი შეიქმნა კოლონიალიზაციის და ასიმილაციის პროცესის გასამარტივებლად და არანაირად არ ისახავდა მიზნად აფსუათა თემის კულტურულ განვითარებას. „აფსუათა ბირთვი“ უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც ის გრავიტაციული ძალა, რომელმაც მოიზიდა **რუსეთის** „აფხაზურ პროექტში“ აფხაზეთის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, პირველ რიგში, მეგრელების გარკვეული ნაწილი.

ფაქტობრივად, დაიწყო რუსული აფხაზეთის ნაციონალური პროექტის შექმნის პროცესი და მასში მეცნიერები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ეს პროცესი გახდა პოლიტიკური დაპირისპირების მნიშვნელოვანი კერა და დღეს არსებული კონფლიქტის ერთ-ერთი საფუძველი. რუსეთის იმპერიას გააჩნდა და გააჩნია სერიოზული იდეოლოგიური უპირატესობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ხელს უწყობდა აფხაზეთში მართვადი ეთნო-ნაციონალისტური მოძრაობის შექმნის სტიმულირებას და კონტროლს. ამისთვის რუსეთი ცდილობდა გაეთანაბრებინა საქართ-

ველოს და აფხაზეთის პოლიტიკური რანგი. ამ პროცესმა **მორიგ** აპოგეუმს მიაღწია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და გამოიხატა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში.

საქართველო, ისტორიის ამ ეტაპზე, არ თავაზობდა აფხაზეთს თანაბარ და სიმეტრიულ ურთიერთობას და ათანაბრებდა მას საქართველოს სხვა კუთხეებთან. ქართველი პოლიტიკოსები აჟღერებდნენ „უმცროსი ძმის“ კონცეფციას, რომელიც იმ საზოგადოებისთვის, ვინც უკვე „აფხაზად“ თვლიდა თავს **(ან ვისაც აფხაზად თვლიდნენ),** იყო შეურაცხმყოფელი და მიუღებელი.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქართლ-კახეთის, იმერეთის, აფხაზეთის და სხვა წარმონაქმნების პოლიტიკური რანგები და გავლენები ერთიან სისტემაში არ იყო მუდმივი და იცვლებოდა.

ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან დეკემბრამდე აფხაზეთის ერთეული გამოყოფილი იყო საქართველოდან, ხოლო 1921 წლის დეკემბრიდან ის გახდა (ნაწილობრივად) საქართველოს ავტონომიური ერთეული. 1929 წლიდან მოხდა მხოლოდ გაგრის რაიონის დაბრუნება და საზღვარმა ფსოუზე გაიარა. **დასავლეთ აფხაზეთის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩა.** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონს მინიჭებული ქონდა განსხვავებული ხარისხის პოლიტიკური რანგი. აფხაზეთი, ამ თვალსაზრისით, იყო პირველი რანგის რეგიონი. მას მოყვებოდა აჭარა. ასეთი ტიპის ასიმეტრიული დაყოფის ნაცვლად, მე-XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, **თბილისიდან რეგიონებისათვის** შეთავაზებული იყო პოლიტიკური მოწყობის ისეთი გათანაბრებული ვარიანტი, რომელიც იწვევდა რანგის დაქვეითებას. ბუნებრივია, ამან გამოიწვია სერიოზული გაღიზიანება და კონფრონტაცია. განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა საქართველოს უნიტარული მოწყობის მოდელები. ეს კონფრონტაცია კი მეტად მომგებიანი აღმოჩნდა, პირველ რიგში, გარე ძალებისათვის. **აფხაზეთში გავლენის სფეროებზე კონტროლი დაამყარა რუსეთმა. ამავე დროს გაძლიერდა პროთურქული და პროსომხური ზეგავლენის ძალები.**

საქართველოს და დასავლეთის პოლიტიკამ აფხაზეთში განიცადა სრული კრახი.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოს ხელისუფლების უნიათობის შედეგად, რუსეთის ფედერაციამ მოახერხა აფხაზეთში სამხედრო-პოლიტიკური რეინკარნაცია და მისი დამოუკიდებლობის დეკლარირება, რამაც აღადგინა, ფაქტობრივად, 1921 წლის მარტის მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, მოხდა აფხაზეთის **რეოკუპაციის** ფაქტი.

სამწუხაროდ დღეს, აფხაზეთმცოდნეების დიდი ნაწილი წარმოადგენს ამ პოლიტიკური დაპირისპირების პალიტრას და ემსახურებიან, ძირითადად, ამ კონფლიქტის ესკალაციას და **არა მოგვარებას.**

დღის წესრიგში ისევ დგას საკითხი თუ **რამდენადაა** აფხაზური ის ენა, რომელსაც რუსი და ქართველი მეცნიერები (ერთობლივად) აფხაზურს უწოდებენ.

აფხაზეთის ენობრივი პოლიტიკის დაყვანა მხოლოდ ერთი ეთნოსის ენამდე აპრიორი ნიშნავდა ერთი ეთნოსის დომინირებას სხვა ეთნოსებზე, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა საკადრო პოლიტიკაში და დღესაც წარმოდგენილია აპარტეიდული ეთნოკრატიული რეჟიმით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოხდა აფსუათა ენის გამოყენება იმპერიული პოლიტიკისთვის. რეალური საკომუნიკაციო ენა დარჩა რუსული. აფხაზური ენა **რუსულს** კონკურენციას ვერ გაუწევდა (განსხვავებით ქართული ენისგან). ამიტომ ამ ანბანის შექმნა ნიშნავდა ქართული ენის ალტერნატივის შექმნას აფხაზეთის ტერიტორიაზე. იგივე პოლიტიკას აწარმოებდა და აწარმოებს რუსეთი **დღეს** მეგრულ ენასთან მიმართებით.

მეორე ამოცანა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ამ „ოპერაციას“, ეს იყო განდევნილი (ან თავისი ნებით თურქეთში გადასული) მუსლიმი მოსახლეობის („მახაჯირების“) ნათესავებისათვის გარკვეული „კომპენსაცია“. ისინი ვინც არ განიდევნა და დატოვეს, როგორც „ეთნოგრაფიული მასალა“, განწირულნი აღმოჩნდნენ, შეესრულებინათ ეს გეგმა.

მე-XX საუკუნის მიწურულს განმეორდა იგივე. ამჯერად „მახაჯიერებად“ შეგვიძლია მოვიხსენიოთ რუსეთის იმპერიისთვის იდეოლოგიურად მიუღებელი ქართულენოვანი ქრისტიანული მოსახლეობა და ყველა სხვა ადამიანი (უნიონისტი), რომელიც არ იყო გამოყოფის მომხრე. ***ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა შექმნილიყო აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების ერთიანი ძეგლი-მონუმენტი.***

იმ ეთნიკური წარმონაქმნისთვის, რომელიც დღესაც არის ძირითადი მატარებელი და დამცველი „აფხაზური“ ენობრივი (და არა მხოლოდ ენობრივი) კულტურის, თვით ტერმინი „აფხაზეთი“ არ წარმოადგენს ძირითად იდენტობას. ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციის დოკუმენტში ჩადებული იყო შემდეგი განმარტებითი ტექსტი – «Конституция Республики Абхазия (Апсны)». ამ მცირე დანამატში კარგად ჩანს საითაც არის მიმართული ამ ეთნიკური ჯგუფის რეალური და სასურველი იდენტობა, პოლიტიკური ამბიცია და სტრატეგიული მზერის ვექტორი. არ იქნება გასაკვირი, თუ ხვალ მოხდება ტერმინ აფხაზეთის ჩანაცვლება ისე, როგორც „მთიანი ყარაბაღი“ უკვე ჩაანაცვლეს „არცახით“. ეთნიკური ნაციონალიზმის მიზანს წარმოადგენს ფორმულის – „ნაწილი გახდეს მთელი“ – რეალიზაცია. ამ მიმართულებით **უკვე** მიღწეულია წარმატებები. ქართული ეთნიკური ჯგუფების **და, ზოგადად, გამოყოფის მოწინააღმდეგეების (უნიონისტების)** უმეტესი ნაწილი განდევნილია აფხაზეთიდან, დემოგრაფიული ბალანსი შეცვლილია. რეალურად ეს არის ყარაბაღის სცენარის აფხაზური ვარიანტი.

მიუხედავად **მორიგი** „ქირურგიული ოპერაციისა“, აფსუათა დემოგრაფიული მდგომარეობა განიცდის კრიზისს. ეთნიკური კონფლიქტი აფსუა-სომხებს, აფსუა-რუსებს და აფსუა-მეგრელებს შორის უკვე სახეზეა. და ამ კონფლიქტს კარგად იყენებს მოსკოვი, რათა არ მოხდეს აფხაზეთის ხელისუფლებაში სეპარატისტული ელიტის დომინირება. რუსეთს აქვს არა უსაფუძვლო შიში, რომ სეპარატისტები აქტიურად თანამშრომლობენ დასავლეთის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების და

თურქეთის სპეცსამსახურების წარმოადგენლებთან და მათ გააჩნიათ გააზრებული ისტორიული ანტიპათია იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მოახდინა მათი წინაპრების მასიური დეპოროტაცია.

აფსუური და აფხაზური ნაციონალიზმი

ჩვენი აზრით, ტერმინი „აფხაზი“ პოლიეთნიკური შინაარსისაა და ნიშნავს მთლიანად დემოსს (ხალხს) და არა ცალკეულ ეთნოსს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ აფსუებს ჩავთვლით აბორიგენულ მოსახლეობად (რაც საფუძველშივე არაა სწორი), არ შეიძლება მეცნიერული ინტერესი არ ვრცელდებოდეს, მაგალითად, აფხაზეთში სხვადასხვა ეპოქაში მაცხოვრებელ ბერძნებთან, „ლათინელებთან“, მესხებთან, სვანებთან და ა.შ.

მაგალითად, ამერიკის კვლევები **(American Studes)** ხომ არ გულისხმობს მხოლოდ **აბორიგენი ინდიელების კვლევას და არც უნდა გულისხმობდეს მხოლოდ აშშ-ის კვლევას?** ან **Russian Study** (რუსეთის კვლევები) ხომ არ გულისხმობს მხოლოდ ეთნიკურად რუსების კვლევას? ან Georgian Study არ უნდა იკვლევდეს საქართველოს ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებას და მხოლოდ „გურულებზე“ **უნდა** გააკეთოს აქცენტი? ესეთი მიდგომა მეცნიერებაში წარმოადგენს დესტრუქციული რედუქციონიზმის გამოვლინებას.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია დავაფიქსიროთ ორი ცნების არსებობის უფლება. ეს არის აფხაზური და აფსუური ნაციონალიზმი. **ეს ორი პროექტი წარმოადგენს მომავალი დაპირისპირების საფუძველს.** ამ ორ იდეოლოგიურ დაჯგუფებას შორის უკვე მიმდინარეობს კონფლიქტი. „აფხაზეთის“ ჩანაცვლება „აფსნით“, განსხვავებით ყარაბაღისაგან, ამ ეტაპზე არ ხდება. **„აფსნის“ პროექტის მომხრეები არ არიან ჯერ ამისთვის მზად.** აფსნი-ნაციონალისტის მიზანია – დამოუკიდებელი აფხაზეთი აფსუების დომინაციის ქვეშ. აფხაზი ნაციონალისტის მიზანიც დამოუკიდებლობაა, მაგრამ არა ცალკეული ეთნოსის დომინირებით, არამედ ძალაუფლების გადანაწილების გზით ეთნოპოლიტიკურ ელიტებს შორის.

აფხაზეთმცოდნეობა ჰოლიზმის და რედუქციონიზმის ჭრილში

აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის), როგორც სრულყოფილი სამეცნიერო მიმართულების, სისუსტეს წარმოადგენს თვით ამ მეცნიერების შემადგენელი კომპონენტების, შიგთავსის განსაზღვრა. გარდა პოლიტიკური განზომილებისა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, აფხაზეთმცოდნეობაშიც შეიძლება დავინახოთ რედუქციონისტული და ჰოლისტური მიდგომების ურთიერთდაპირისპირება. მეცნიერების ნაწილი გულისხმობს მხოლოდ ეთნოკულტურულ კვლევებს, ნაწილი კი უფრო ფართოდ უყურებს ამ საკითხს. ისინი თვლიან, რომ აფხაზეთის შესახებ კვლევები მეცნიერების ინტერდისციპლინური დარგია.

აფხაზოლოგის, თამარ გითოლენდიას აზრით, „აფხაზოლოგია კომპლექსური სამეცნიერო მიმდინარეობაა და მოიცავს ენათმეცნიერების, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურისა და ანთროპოლოგიის კვლევას“ (Gitolendia, 2013).

მეცნიერი გაბედულად და სამართლიანად ცდილობს, გააფართოოს საზღვრები და აფსუალოგიური კვლევები სტრატეგიაში გახადოს აფხაზოლოგიური. როგორც ვხედავთ, ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმ მეცნიერებებისა, რომლებიც წარმოადგენენ **აფხაზიოლოგიის** საფუძველს. მათ რიგშია, ასევე, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოსოციოლოგია, კონფლიქტოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, პოლიტიკური ლინგვისტიკა, რელიგიათმცოდნეობა, მხარეთმცოდნეობა, ეკონომიკა, ეკოლოგია, სამართალი, პოლიტოლოგია, გეოპოლიტიკა და ა.შ. რედუქციონიზმის დომინირება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და კონფლიქტის მკვებავ ძალას. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრებები წარმოდგენილია ნაშრომში – გითოლედია თ. (2013), „აფხაზოლოგია თბილისის სამეცნიერო ცენტრებში“.

პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ველების ზეგავლენის ქვეშ ეს კონფლიქტი მწვავდება, ძლიერდება მისი განვითარების დესტრუქციული და კონფრონტაციული პარადიგმა. **აფხაზეთმცოდნეები** იმყოფებიან არსებული კონფლიქტების ზეგავლენის ქვეშ და ხშირად ემსახურებიან იმ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებთანაც აქვთ გაძლიერებული ეთნიკური თუ პოლიტიკური იდენტობა. მეცნიერებს შორის დაპირისპირება პროეცირდება ფართო საზოგადოებაზე და ღებულობს საკმაოდ მძიმე და არასასურველ განწყობას. განსაკუთრებით მძაფრდება ეს დაპირისპირება, როდესაც ამ პროცესში ერთვებიან ეთნო-ნაციონალური ელიტის ავტორიტეტული წარმომადგენლები. ამის მაგალითია ცნობილი **აფსუა**-აფხაზი მწერლის და პოეტის, ნელი ტარბას, წერილი, რომელშიც ის ხედავდა საფრთხეს ქართველი ინტელიგენციის (მეცნიერების) მხრიდან.[1] არსებობს ამის საპირისპირო მაგალითები და ალტერნატიული შეხედულებები.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნო-ნაციონალურმა ზეგავლენამ გამოკვეთა **აფხაზეთმცოდნეობის** ისეთი ქვემიმართულებები (იდეოლოგიური პრო-მიმართულებები) როგორიცაა, ქართული აფხაზეთმცოდნეობა, აფსუათა აფხაზეთმცოდნეობა (არა აფსუალოგია), რუსული აფხაზეთმცოდნეობა, სომხური აფხაზეთმცოდნეობა, თურქული აფხაზეთმცოდნეობა და ა. შ. ყოველივე ამ **აფხაზიოლოგიას** ემსახურება „პერსონალური“ ენის (ტერმინების) სტრუქტურა. ერთი და იგივე მოვ-

[1] Все больше угнетают тяжелые мысли, что чем дальше, тем больше усиливаются необузданные страсти некоторой части грузинской интеллигенции (особенно ученых) в отношении к абхазам и Абхазии, что поперек их горла, как стал один раз как кость, так и застрял крепко абхазский вопрос, что усиливается все больше их желание еще и еще раз проехаться кровавым галопом по абхазским душам, чем дальше, тем больше ширится круг таких «наездников» и самое тревожное, в эту кровавую «джигитовку» вовлекли молодежь с отпущенными вожжами (Тарба, 1990).

ლენა არის დანახული სხვადასხვა მხრიდან და აღწერილი სხვადასხვა ტერმინის გამოყენებით.

აფხაზეთმცოდნეობა და სამშვიდობო პროცესი

აფხაზეთმცოდნეობას, როგორც მეცნიერებას, ასევე, გააჩნია „საერთო სტრატეგიულ მშვიდობაზე“ ორიენტაციის ძალაც, ანუ სამშვიდობო პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფის **შესაძლებლობა და მისია.**

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ და განვმარტოთ **აფხაზეთმცოდნეობის** სამშვიდობო მისია – სხვადასხვა მიმართულების კონფლიქტში ჩართულ მეცნიერების შრომათა გაერთიანება და ისეთი ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია სრულიად აფხაზეთისა და აფხაზების (აფხაზეთელების) კეთილდღეობაზე.

აფხაზეთმცოდნეები არიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები და მათი კვლევის საგანს წარმოადგენს აფხაზეთი და მასთან დაკავშირებული პროცესები. აფხაზეთის კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის ფენომენთან მიმართებაში მიმდინარე პროცესი, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერების შესაძლებლობები არასაკმარისად იყო გამოყენებული ისეთი პრობლემის მართვაში, როგორიცაა **დღემდე** მოუგვარებელი აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემა. ეს კონფლიქტი ნამდვილად „იმსახურებს“ გახდეს აფხაზეთის კვლევების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი.

სიტუაციას ართულებს ის, რომ თვით **აფხაზეთმცოდნეობა** დღეს წარმოადგენს აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ არენას, რაც რეალური საფრთხეა სამშვიდობო პროცესისათვის.

ჰოლისტური კონფლიქტოლოგია და ჰოლისტური აფხაზეთმცოდნეობა

ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს, მოიცვას ყველა არსებული პოზიცია და, გამომდინარე აქედან, უნდა წარმოადგენდეს ჰოლისტური კონფლიქტოლოგიის რესურსს. ჰოლისტური კონფლიქტოლოგია, განსხვავებით რედუქციონისტური კონფლიქტოლოგიისგან, ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ყველა მხარის პოზიცია და ინტერესი, სახელდობრ, შექმნას პირობები რედუქციონისტ-კონფლიქტოლოგთა ჩართულობისათვის სამშვიდობო პროცესის ახალ განზომილებაში. რედუქციონისტი-კონფლიქტოლოგი წარმოადგენს კონფლიქტის რომელიმე მხარეს და ეძებს არგუმენტებს, რათა გააძლიეროს ამ მხარის პოზიციები. ჰოლისტი-კონფლიქტოლოგი ცდილობს, ზეგავლენა იქონიოს პროცესის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე, მაგალითად, მოახდინოს პოზიტიური ისტორიოგრაფიული კვლევების ნაკადის გაძლიერება (როგორც ნეგატიური ნაკადის კომპენსაციის პროცესი).

ჰოლისტური კონფლიქტოლოგია ცდილობს რედუქციონისტურ კვ-

ლევებს შორის არსებული კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. ეს არის ახალი სამშვიდობო პროცესის „არქიტექტურისა“ და ახალი ხარისხის ინტელექტუალური პროდუქციის შექმნის შესაძლებლობა. ჰოლიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, კვლევაში აქტიურად გამოიყენება სინთეზის მეთოდი.

ბუნებრივია, ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს კვლევების ისეთ სისტემას, რომელიც ემსახურება სამშვიდობო პროცესს და, სახელდობრ, ამ პროცესში მეცნიერების ჩართულობას. თვით ამ კვლევების ტრანსპარენტულობის ხარისხის ზრდა, სავარაუდოდ, გამოიწვევს სისტემაში პოზიტიურ ცვალებადობას. ეს შეიძლება იყოს სამეცნიერო კვლევის კულტურის ახალ დონეზე გადასვლის შესაძლებლობა.

მაკრო დონეზე ინტელექტუალურ პროცესში ჩნდება „დამკვირვებელი“, რომელიც ახდენს ფიქსაციას, შეფასებას და ცდილობს, დაგვანახოს მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფის პროდუქტის რეალისტური სურათი. ეს ამოცანა მინიმუმია. „დამკვირვებელი“ ხდება გარანტი პროცესის ტრანსპარენციის და, შესაბამისად, მონაწილეთა ქცევის ტრანსფორმაციის, ხოლო ამოცანა მაქსიმუმი შეიძლება, ნიშნავდეს ამ პროცესის აქტიურ ფასილიტაციას და მედიაციას.

ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის სტრატეგიულ რესურსს. ფაქტობრივად, ჰოლისტური **აფხაზეთმცოდნეობა** შეიძლება, განვიხილოთ, როგორც სამშვიდობო პროცესის „ტვინი“.

აფხაზეთმცოდნეობის განვითარების სტრატეგიული ინიციატივები

აფხაზოლოგი თეიმურაზ გვანცელაძე წერს: „პროფესიონალ აფხაზოლოგთა ახალი კადრების ნაკლებობა: ენგურის გამოღმა არ გვყავს აფხაზური ენისმცოდნე არც ერთი ეთნოლოგი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, კონფლიქტოლოგი, სინქრონული თარგმანის სპეციალისტი“ (Gvanceladze, 2015).

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დონეზე არსებობდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეძლებდა ამ პროცესის კორექციას და **ახალი თაობის აფსუოლოგების, აფხაზოლოგების და აფხაზეთმცოდნეების მომზადებას. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შეიძლება გაჩნდეს ქართველოლოგიის ახალი სპეციალობა – აფხაზეთმცოდნეობა; ახალი სპეციალიზაცია – აფხაზთამცოდნეობა (აფხაზოლოგია) და ახალი ვიწრო სპეციალიზაცია – აფსუალოგია.**

დღის წესრიგში დგება საკითხი – მეცნიერების (ამ შემთხვევაში **აფხაზეთმცოდნეობის)** საერთაშორისო მართვა კონფლიქტისა და კრიზისის პირობებში. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია შესაბამისი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

ჩვენ ვიმყოფებით არჩევანის წინაშე: ან აფხაზეთის კვლევის სპე-

ციალისტები დარჩებიან აფხაზეთის მრავალწახნაგოვანი კონფლიქტის ინტელექტუალური მომსახურების მთავარ ძალად, ან ჩვენ შევძლებთ პირადად მათი, ასევე მათი კვლევების ინტეგრაციას სამშვიდობო პროცესში. ჰოლისტური პრინციპების გამოყენება და **აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის (ან ქსელის)** დაარსება წარმოადგენს ამ პრობლემათა რთული სისტემის ახლებურად დანახვისა და მართვის ინსტიტუციონალურ შესაძლებლობას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსისტეტის ბაზაზე არსებული სადოქტორო პროგრამების ანალიზის შედეგად, ჩვენ მივიღეთ საინტერესო მონაცემები. გაირკვა,რომ აფხაზეთის კონფლიქტს პირდაპირ და ირიბად (ერთდროულად) ეხება პირველი და მეორე კურსის **12 დოქტორანტი** (იურისტები და პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტები). სავარაუდოდ, მათი რაოდენობა მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, რომ მათ შორის თანამშრომლობის ეფექტური სქემის შექმნამ შეიძლება, გააჩინოს ახალი შესაძლებლობები. *ნაშრომის ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობს ინფორმაციის მოპოვება, თუ რა ხდება სხვა უნივერსიტეტებში და საერთშორისო დონეზე, რათა შევქმნათ მონაცემთა ბაზა ამ მეცნიერების შესახებ.*

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გამოვიკვლიეთ ასევე უკვე დაცული დისერტაციები. **აფხაზეთს უშუალოდ ეხებოდა 80-დე სადისერტაციო ნაშრომი ქართულ ენაზე, 221 ნაშრომი რუსულ ენაზეა შესრულებული, ხოლო 21 – ინგლისურ ენაზე.** ყველა ნაშრომი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არაა დაცული, ამიტომ კვლევის პროცესი გრძელდება. გამოიკვეთა, რომ სადისერტაციო ნაშრომებში დომინირებს: ეკონომიკის, დევნილთა ჯანდაცვის, ისტორიის, ფილოლოგიის, კულტურათმცოდნეობის საკითხები. პილოტურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მიმართულებით კვლევები საკმაოდ მცირეა და, ძირითადად, ისტორიის კვლევებზეა საუბარი. აქ შეინიშნება ნაკლებობა უახლოესი ისტორიის კვლევების თვალსაზრისით. ასევე მცირეა ნაშრომები პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით. საბოლოო სურათის დადგენა მოგვცემს შესაძლებლობას, შევიმუშაოთ რეკომენდაციები და მოვახდინოთ ინტელექტუალური სამეცნიერო პროდუქციის წარმოების პროცესის კორექცია.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტების ნაწილი ცდილობს დაიცვას დისერტაცია, რათა მიიღოს დოქტორის სტატუსი, ხოლო მეორე ნაწილს აინტერესებს, პირველ რიგში, სამეცნიერო პროდუქტი. მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ეს ფაქტორი იქედან გამომდინარე, რომ ის სერიოზულ **უარყოფით** ზეგავლენას ახდენს გარკვეული მცდარი იდეების და ლექსიკის ტირაჟირებაზე. ამიტომ ამ პროცესზე დაკვირვება შეამცირებდა ასეთი ტიპის ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებას. ეს პროცესი უნდა იყოს არა რევიზიის და ცენზურის სახით, არამედ ეყრდნობოდეს პროფესიულ სამეცნიერო კრიტიკას და სტრატეგიულ დაგეგმარებას.

სამეცნიერო ნაშრომების გარდა, ასევე მიმდინარეობს საერთაშორ-

ისო დონეზე ამ მიმართულებით გამოცემული ლიტერატურის აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა.

ამ თვალსაზრისით, 2019 წლის იანვრიდან დაიწყო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, უნივერსიტეტებთან და რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდთან.

მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელიც გააერთიანებს აფხაზიოლოგებს საერთაშორისო დონეზე, შეიძლება იყოს საერთაშორისო ჟურნალი **„აფხაზეთმცოდნობა“.** ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული ნებისმიერი ნაშრომი იქნება ინტეგრირებული ერთიან საინფორმაციო ბაზაში.

მეტად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო დონეზე მოინახოს შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტი, რომელიც მოახერხებდა ამ პროექტის ეფექტურ ფასილიტაციას, რაც წარმოადგენს მეტად საპასუხისგებლო ამოცანას. ამ თვალსაზრისით, რაციონალური იქნება ევროკავშირის რესურსების, კონკრეტულად, **„ერაზმუს +“,** შესაძლებლობის გამოყენება; ამ სფეროში მომუშავე უნივერსიტეტების ხელშეწყობით, **აფხაზეთმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის შექმნა.**

ეს ქმედებები აუცილებელია, რომ ბოლო მოეღოს უიმედობას, დაიმსხვრეს ის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, „ყველაფერი წყდება გლობალურ დონეზე“. გლობალურ დონეზე გადაწყვეტილებებს ადამიანები ღებულობენ. ამიტომ აუცილებელია ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე კომპეტენტური ადამიანების ზეგავლენა, არა სეპარატული ლობირების წესით, არამედ ადეკვატური ლეგიტიმური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მათი წარდგენის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ განსახილველად მიწოდებული დოკუმენტები უნდა აკმაყოფილებდნენ მინიმუმ ორ კრიტერიუმს – სამეცნიერო ექსპერტიზასა და განსხვავებულ აზრზე მყოფ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას პროცესში. ეს არ არის მარტივად მისაღწევი და გულისხმობს ახალი თაობის მენეჯმენტს, ასევე სამშვიდობო პროცესის მართვის გადაყვანას ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და მის ძირეულ დემოკრატიზაციას. პარტისიპატიული დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც უფრო მეტი ინტერესთა ჯგუფი იქნება ჩართული მოლაპარაკებებში, მით მეტი ეფექტი იქნება მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, ეს ჩართულობა არ გულისხმობს სპონტანურ და ანარქიულ ხასიათს. მონაწილეთა დივერსიფიცირებამ არ უნდა შექმნას საფრთხეები არსებული პროცესისათვის, მაგრამ ბოლო უნდა მოეღოს მონოპოლიზაციის პრინციპს, როდესაც თვით სამშვიდობო პროცესზე დაწესებულია მონოპოლია.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Chabashvili M. (1989), Uckho Sityvata Leqsikoni. / Collected and Introduced by Mikheil Chabashvili. 3th Edition. Tbilisi*: Ganatleba*, 1989 [MFN: 2749].
2. Gitoledia T. (2013), Afkhazologia Tbilisis Samecniero Centrebshi, 26.06.2013 (https://abkhazology.wordpress.com).

3. Gvancelaze T. (2015), Afkhazologiis Ziritadi Problemebi Tanamedrove Diskursshi, 22. 11.2015 (Https://Abkhazology.wordpress.com).
4. Marr N. (1918). O Kavkazckom Universitete v Tiflice. *Akademiya Nauk,* Moscow.
5. Marr N.Ya. (1935). Abkhazovedenie i Abkhazi (K voprocu o proizkhozhdenii etnogonii Vostochnoy Evropi). Selected Works, t. V. Moscow-Leningrad, GAIMK.
6. Metreveli R. Msoflio Mecnieri Qartuli Sakhlidan, *Gamomcemloba "Qartuli Universiteti"*, Tbilisi 2016.
7. Samoqalaqo Enciklopediuri Leqsikoni (Http://Www.Nplg.Gov.Ge/Gwdict/Index.Php?A=Term&D=5&T=14300).
8. Socialur da Politikur Terminta Leqsikoni-Cnobari / Editorial Board: Eduard Kodua and other. Logospresi,Tbilisi, 2004, ISBN 99928-926-9-2.
9. Tarba N. (1990). Edinenie, №5 (November), № 7 (December).

Alexsander Rusetsky

THE ABKHAZ CONFLICT IN THE CONTEXT OF ABKHAZ STUDIES (ABKHAZIAN STUDIES)

Presented by Political Conflicts and Peace Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The article presents the results of research carried out within the framework of the Doctoral Program of Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (Grant Agreement NN-18-1147) and Caucasus International University. In the framework of Kartvelological Studies, the Foundation supported the dissertation research "Interdisciplinary comparative analysis of the complex system of the conflict of Abkhazian conflict via innovative 4D-RAV-17 method". This method is a combination of holistic (non-reductionist) scientific diagnostics, analysis, synthesis and evaluation techniques.

The article for the first time discusses the Abkhazian conflict as the subject of Abkhazian Studies. The paper first time distinguishes between three hierarchical levels of research on Abkhazia:

1. Abkhazian Studies;
2. Abkhaz Studies;
3. Apsua Studies.

Apsua Studies are considered as a subsystem of Abkhaz Studies, and Abkhaz Studies, as a subsystem Abkhazian Studies.

Apsua is regarded as a subsystem of Abkhaz, that is, as an ethnos that fills the demos (poly ethnos).

One of the reasons for causing the Abkhazian conflict and failure to find a lasting solution is the reductionist ethnocentrism that drives Abkhazian science to Apsua Studies. This leads to a deformation of the perception of conflict, which makes it difficult to make a positive transformation of the conflict.

The article presents problems between specialists in Abkhazian Studies and opportunities for their cooperation, such as the idea of establishing an International Center for Abkhazian Studies and publishing a relevant international journal (“Abkhazian Studies”).

მერი გაბედავა

პოლიტიკური თანამშრომლობა და კომპრომისები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში 1919-1921 წწ.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძირეულად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება – დაიშალა რუსეთისა და ოსმალეთის დიდი იმპერიები, დაიწყო ახალი აქტორების მიერ კავკასიის რეგიონზე კონტროლის მოპოვებისათვის რთული და დაძაბული ბრძოლა. ამ პროცესებმა პირდაპირი გავლენა იქონია რუსეთის კოლონიური ბატონობიდან გათავისუფლებული ქვეყნებისა და ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკურ მომავალზე, რომელთა ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებამ გააძლიერა ეროვნული ერთობა, მძლავრი ბიძგი მისცა ერთა თვითგამორკვევისა და ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისათვის მოძრაობას.

ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციის, მდიდარი ისტორიული წარსულისა და მაღალი კულტურის მქონე დაპყრობილი ქვეყნები არ ურიგდებოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ დამპყრობლური რეჟიმის წინააღმდეგ, რითაც, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყვეს იმპერიაში პოლიტიკური კრიზისის მომზადებას. მათ პოლიტიკურ ელიტებს ჰქონდა მწყობრად ჩამოყალიბებული ნაციონალური იდეოლოგია, ორგანიზებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკუთარი სტრატეგია. ეროვნული გამოღვიძების პროცესი დაიწყო იმპერიაში შემავალ, სახელმწიფოებრივი გამოცდილების არმქონე, ეთნიკურ ჯგუფებსა და ხალხებში, რომელთა იდენტობა არ სცილდებოდა ტრაიბალიზმს. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი იყო რადიკალიზმი შეიარაღებული კონფლიქტებით.

იმპერიის რღვევისა და ეროვნული თვითგამორკვევის პირობებში მთელი პოსტიმპერიული სივრცე დიდმა ქაოსმა მოიცვა. ტრანზიციის პერიოდში პრივილეგირებული ფენები იბრძოდნენ სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, ხოლო პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები – პოლიტიკური ძალაუფლებისთვის, რის გამოც 1917-1918 წლებში მიმდინარე კონფლიქტები კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო დაპირისპირების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენდა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პოლიტიკური ელიტების ურთიერთობებში გარკვეულმა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი, რაც, ჩვენი აზრით, არა ნაციონალური ინტერესების კონფლიქტით, არამედ თბილისსა და რეგიონებს შორის ძალაუფლების გადანაწილების საკითხით იყო გამოწვეული.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ორ ინსტიტუციას – აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამ-

ფუძნებელ კრებას – შორის თანამშრომლობის ფორმატები, ორმხრივი დიალოგი და მიღწეული კომპრომისები; ამ კოოპერაციის შედეგები აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისა და ერთიანი სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.

ისტორიული ინსტიტუციონალიზმი

ისტორიული ინსტიტუციონალიზმი წარმოადგენს მეთოდს სოციალურ მეცნიერებაში, რომელიც ინსტიტუტებს იყენებს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ქცევის დასადგენად. ის ეფუძნება დაშვებას, რომ ინსტიტუციური წესები და მათზე რეაგირება, გრძელვადიან პერსპექტივაში, განსაზღვრავენ პოლიტიკური სუბიექტების ქცევებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ისტორიული ინსტიტუციონალიზმი ცდილობს, განსაზღვროს და ახსნას კონკრეტული პოლიტიკური შედეგები ინსტიტუციური სტრუქტურების ისტორიული მემკვიდრეობით. ის პოლიტიკას განიხილავს როგორც კონკურენციას მწირი რესურსებისათვის და ხაზს უსვამს პოლიტიკური ძალაუფლების განსხვავებას ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორებიცაა საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები. ისტორიული ინსტიტუციონალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინსტიტუტები არ მუშაობენ იდეალური ეფექტურობით და ინსტიტუციონალური წესები იცვლება ნელა, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ნებისმიერი ანალიზის დროს (Steinmo, 2008; Suddaby, Foster, Mills, 2014).

აფხაზთა სახალხო საბჭო

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც ჩამოყალიბდა 1917 წლის ნოემბერში, აფხაზი ხალხის ყრილობაზე, როგორც ეროვნულ-პოლიტიკური ორგანო. იგი მოგვიანებით ნაციონალურ საკანონმდებლო ორგანოდ გარდაიქმნა და მთლიანად აიღო პასუხისმგებლობა აფხაზეთის პოლიტიკურ მომავალზე. მისი პირველი თავჯდომარე იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ბასარია.

კონსტიტუციისა და დეკლარაციის მიხედვით, საბჭო აცხადებდა მზაობას, დაეცვა რევოლუციის მონაპოვრები, აფხაზი ხალხის ნაციონალური ინტერესები და ებრძოლა მისი თვითგამორკვევისათვის (Iz konstitutsii…, 1917). 1918 წლის 2 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და ხელში აიღო მთელი ძალაუფლება. ამრიგად, აფხაზთა სახალხო საბჭო ჩამოყალიბდა სოციალურ ინსტიტუტად, რომელიც ხელს უწყობდა აფხაზთა ეთნიკური იდენტობის ფორმირებას, ნაციონალურ მობილიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. სწორედ სახალხო საბჭოს ლიდრები

წყვეტდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის პოლიტიკური მომავალი – შეერთებოდა ის კავკასიის მთიელთა კავშირს, გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ, ფართო ავტონომიის საფუძველზე გაერთიანებულიყო ისტორიულ სამშობლოსთან, საქართველოსთან თუ დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში. 1917-1919 წლებში აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ნათლად ცხადყოფს, რომ აფხაზურ ნაციონალურ ელიტას არ ჰქონდა მწყობრად ჩამოყალიბებული ხედვა აფხაზეთის პოლიტიკურ მომავალზე და ისინი ხშირად მოქმედებდნენ არა პოლიტიკური და ეროვნული, არამედ ვიწრო მერკანტილური ინტერესებით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ცნობილი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწის, აფხაზეთის მთავართა შთამომავლის – ალექსანდრე გიორგის ძე შარვაშიძის საქმიანობა. ის იყო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენელი აფხაზეთში (1917 წ.), საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და აფხაზეთის საოლქო კომისარი, რომელიც თავს უფლებას აძლევდა ელაპარაკა აფხაზი ხალხის სახელით. ის ხან მხარს უჭერდა აფხაზეთის კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან გაერთიანებას, მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან აფხაზეთ-საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებზე, 1918 წლის ზაფხულში აფხაზეთში შემოუძღვა თურქთა დესანტს, ხოლო მოგვიანებით რუსეთის მონარქისტული ორიენტაციის გენერალს ა. დენიკინს სთხოვდა დახმარებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, ალექსანდრე შარვაშიძეს არ ჰქონდა მტკიცე პოზიცია აფხაზეთის პოლიტიკურ მომავალზე, მაგრამ შეუვალი იყო აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხში – აფხაზეთს უნდა მოეცვა ტერიტორია მდ. ენგურიდან მდ. მზიმთამდე, კრასნოდარის მხარემდე (კრასნაია-პალიანა-ადლერის ხაზის ჩათვლით ადლერამდე), სადაც გადიოდა სოხუმის ოლქის საზღვარი შავი ზღვის გუბერნიასთან. ერთი სიტყვით, ალექსანდრე შარვაშიძე,თავისი პოლიტიკური მრწამსითა და საქმიანობით, იყო აფხაზთა პლუტოკრატიული ნაციონალიზმის წარმომადგენელი.

აფხაზთა ეთნიკური იდენტობის პრობლემების განხილვისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის კულტურულ-ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც მიიღო აფხაზმა ხალხმა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში მუჰაჯირობისა და დამნაშავე მოსახლეობად გამოცხადების გამო (1878-1907 წწ.). ამ და სხვა ისტორიულმა პროცესებმა ხელი შეუწყვეს აფხაზთა ეროვნული ცნობიერების დანაწევრებას კულტურულ-ცივილიზაციური ნიშნით. მუსლიმი აფხაზები თვლიდნენ, რომ კულტურულად უფრო ახლოს იყვნენ ოსმალეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, ხოლო ქრისტიანი აფხაზები თავს ქრისტიანული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდნენ. სამურზაყანოს მოსახლეობა თავის მომავალს ერთიან ქართულ სახელმწიფოში ხედავდა. ბუნებრივია, აფხაზთა სახალხო საბჭო აირეკლავდა აფხაზური საზოგადოების განწყობებს, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციისა და მრწამსის აფხაზი პოლიტიკოსები. წი-

ნამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს იმ სოციო-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ აფხაზთა ახალი იდენტობის კონსტრუირებაზე, ამიტომ ამ საკითხის განხილვას ამით დავასრულებთ.

დებტები აფხაზეთის სტატუსის გარშემო აფხაზეთის სახალხო საბჭოში

1919 წლის 13 თებერვალს ჩატარდა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს აფხაზთა სახალხო საბჭოს (1919 წლის მაისიდან ეწოდა აფხაზეთის სახალხო საბჭო) პირველი დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ეს იყო პირველი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნები აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის პარლამენტარიზმის ისტორიას. თუმცა აფხაზი პოლიტიკის თეორეტიკოსები აფხაზეთის პარლამენტარიზმის საწყისად 1917 წელს, აფხაზთა სახალხო საბჭოს შექმნის თარიღს, მიიჩნევენ.

საბჭომ პირველივე სესიაზე, 1919 წლის 20 მარტს, დაამტკიცა „აქტი ავტონომიის შესახებ“. ეს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა როგორც, ზოგადად, საქართველოს, ასევე აფხაზეთის ისტორიაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთი დაბრუნდა ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, არამედ ახალი ქართული სახელმწიფოს განმტკიცება და შემდგომი განვითარება აფხაზეთიდან დაიწყო. ეს იყო აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილის დიდი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგი, რომლისთვისაც აფხაზი ხალხის წარსული და მომავალი ასოცირდებოდა საქართველოსთან. ამ დღიდან იწყება აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის სახელმწიფო ინსტიტუტების, დემოკრატიული ინსტიტუციების ფორმირებისა და განვითარების შეუქცევადი პროცესი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს პირველსავე სხდომაზე დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციის დეპუტატების მხრიდან გაისმა ბრალდებები საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც „ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო აფხაზეთი“. ისინი არ ცნობდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ლეგიტიმაციას და მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციას ავტონომიის შესახებ. რ. კაკუბა და ა. დემიანოვი ღიად ემხრობოდნენ რუს მონარქისტ გენერალს, ანტონი დენიკინს, რომელიც ერთიანი რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდა. ამავე სხდომის დადგენილების საფუძველზე, პარიტეტულ საწყისებზე, შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, შედიოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები. კომისიას დაევალა შეექმნა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუცია. კომისიამ იმუშავა თითქმის 2 თვე. დაპირისპირებამ აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განსაზღვრის საკითხში იმდენად მწვავე სახე მიიღო, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დატოვა რამდენიმე აფხაზმა დეპუტატმა და აფხაზეთის სახალხო საბჭოში დამოუკიდებელი, ახალი სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტთა ფრაქცია შექმნა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოში შემუშავდა 2 პროექტი – დამოუკიდებელ დეპუტატთა და საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრთის პროექტები. მათ შორის უთანხმოების საგანს წარმოადგენდა ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა სახელმწიფო ენის საკითხი (რუსული ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად), აფხაზეთის მოქალაქეობის შემოღება, დამოუკიდებელი საფინანსო პოლიტიკა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ფორმირება. ეს მოთხოვნები სცილდებოდა არათუ უნიტარული, არამედ ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის სამართლებრივ ჩარჩოებს და კონფედერაციის ელემენტებს შეიცავდა, რომლის სუბიექტები სუვერენული სახელმწიფოები არიან. აფხაზური ოპოზიცია თავის პოზიციას იმითი ამყარებდა, რომ თვით ფართო კულტურული ავტონომიის პირობებშიც კი აფხაზებს არ ექნებოდათ ნაციონალური იდენტობის დაცვისა და განვითარების საშუალება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გუმისთისა და სამურზაყანოს მაზრები მხარს უჭერდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრთის პროექტს, ხოლო კოდორისა და გუდაუთის მაზრები – დამოუკიდებელ დეპუტატთა პროექტს. მხარეებს შორის არსებული პრინციპული უთანხმოების გამო აფხაზეთის კომისარიატს დაევალა კომპრომისული პროექტის შემუშავება, რომელშიც შეჯერდებოდა ორივე პოზიცია (Proekt Komissariata Abkhazii). ეს იყო ინსტიტუციური ხასიათის კონფლიქტი აფხაზეთის ავტონომიური უფლებების განსაზღვრის საკითხზე, რომელიც მესამე, კომპრომისული საკონსტიტუციო პროექტის შექმნით დასრულდა. დამოუკიდებელთა ჯგუფმა აფხაზეთის სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო დელეგაცია არაუფლებამოსილად გამოაცხადა და საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან მოითხოვა, გაცნობოდნენ მათი კონსტიტუციის პროექტს.

აფხაზეთის ავტონომიის დებულების საკითხზე მუშაობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ჯანსაღი დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობდა საბჭოში – ინსტიტუციები ყველა ღონეს მიმართავდნენ კონსესუსის მისაღწევად და კონფლიქტის გადასაწყვეტად. თუმცა, კომპრომისის მიღწევა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დონეზე ვერ მოხერხდა და დისკუსია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში გაგრძელდა.

აფხაზეთის სტატუსის საკითხი საკონსტიტუციო კომისიაში და ორმხრივი კომპრომისი

1919 წლის სექტემბრის დასაწყისში აფხაზეთის სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო კომისია შეხვდა დამფუძნებელი კრების წევრებს, სადაც გაგრძელდა მუშაობა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე. დამფუძნებელი კრების მხრიდან კომისიაში მონაწილეობდნენ პეტრე სურგულაძე, სპირიდონ კედია, სამსონ დადიანი, ლევან ნათაძე, პავლე საყვარელიძე.

უმცირესობის წარმომადგენლებმა 1919 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობას მიმართეს წერილით, რომელიც ანტიქართული

განწყობითა და ნარატივებით გამოირჩეოდა. ისინი უარყოფითად აფასებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში წარმოებულ პოლიტიკას, ადანაშაულებდნენ ქართველ სახელმწიფო მოხელეებს აფხაზთა ნაციონალური ინტერესების ხელყოფაში, მოსახლეობის ძარცვასა და შევიწროებაში, აპროტესტებდნენ მოსახლეობისათვის გაუგებარი ქართული ენის თავს მოხვევას და მოითხოვენდნენ რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.

14 დეპუტატის ეს განცხადება დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“, რასაც მოყვა სახალხო საბჭოს საკონსტიტუციო დელეგაციის წერილი, საინტერესო თავისი სულისკვეთებით. წერილში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ცენტრსა და პერიფერიას შორის ძალაუფლების გადანაწილების პრობლემებზე, რომ ამ ჯგუფისათვის ცენტრიდან წამოსული ყველა რეფორმა განიხილება როგორც თავდასხმა აფხაზთა თვითგამორკვევაზე. აღნიშნულ პუბლიკაციას ცალსახად გასდევს აზრი, რომ მცირე ერები ვერ შეძლებენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფოს იდეას მხარს უჭერენ მემამულეები, ინტელიგენციის ნაწილი და ის ჯგუფები, რომელთათვისაც რესპუბლიკასთან კავშირს მოაქვს პრივილეგიების დაკარგვა. ამ პასუხში პირველად არის ღიად დასმული საკითხი პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების გადანაწილებისათვის ბრძოლის თაობაზე, რომელიც, როგორც წესი, იწვევს კონფლიქტს ცენტრსა და პერიფერიას შორის.

ნათელია, რომ აფხაზეთის ავტონომიის საკითხზე თვით საკონსტიტუციო კომისიაშიც არ არსებობდა ერთიანი პოზიცია, რაც კარგად ჩანს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 7 ივლისის სხდომიდან, რომელსაც ესწრებოდნენ პავლე საყვარელიძე, სერგეი ჯაფარიძე, ივანე გომართელი, ლევან ნათაძე, მელიტონ რუსია, სპირიდონ კედია, სამსონ დადიანი, პავლე წულაია. სხდომაზე კომისიის წევრთა ნაწილი ცალსახად უჭერდა მხარს უნიტარული სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც ავტონომიის ფარგლები არ უნდა გასცდენოდა ერობების უფლებებს. ეს პოზიცია არ იქნა გაზიარებულილ. ნათაძის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ აფხაზებისათვის შეპირებული ავტონომიის ნაცვლად ერობის მიცემა დაუშვებელი იყო და ითხოვდა საქართველოს ხელისუფლებას შეესრულებინა მიცემული პირობა. საკონსტიტუციო კომისიამ მოითხოვა შეეგროვებინათ დეტალური ინფორმაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის დამოკიდებულებისა და კონფლიქტების შესახებ; ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს გაეგრძელებინათ მუშაობა აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის საკითხის შემდგომი სრულყოფისათვის. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობა თვლიდა, რომ საქართველო უნდა ყოფილიყო უნიტარული სახელმწიფო, რომელიც არ ითვალისწინებდა ფართო ავტონომიის საფუძველზე სხვა სამართლის სუბიექტის არსებობას.

პარიტეტულმა კომისიამ შეიმუშავა აფხაზეთის ავტონომიის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო „აფხაზეთის მართვის ძირითად დებულებებს“. ამ დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთის სახ-

ალხო საბჭო გამოცხადდა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოდ, განისაზღვრა მის დაქვემდებარებაში შემავალი სფეროები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ მიწის განაწილების საკითხს თვით საბჭო განსაზღვრავდა, სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული, მაგრამ საბჭოს უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა სხვა ადგილობრივი ენებიც, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეკრებილი სახელმწიფო გადასახადი და სახელმწიფო კონცესიების ნაწილი ჩაირიცხებოდა აფხაზეთის ბიუჯეტში. ავტონომიური აფხაზეთის დებულების გადასინჯვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს, ხოლო გადასინჯვის ინიციატივა შეეძლო წამოეყენებინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

პარიტეტული კომისია, ასევე, მუშაობდა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაზე, მაგრამ ამ საკითხში ვერ მოხერხდა კონსესუსის მიღწევა აფხაზეთის სახალხო საბჭოსთან, რომელმაც 1920 წლის ოქტომბრისთვის შეიმუშავა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი და თბილისში მიავლინა დელეგაცია კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტით (On Relations…, 1920). საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ აფხაზთა დელეგაციას განემარტა, რომ კონსტიტუციის შემუშავების და დამტკიცების უფლება აქვს მხოლოდ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომ აფხაზეთის ავტონომიის საკითხი დგას დამფუძნებელი კრების დღის წესრიგში და საკანონმდებლო ორგანო ახლო ხანებში დაადასტურებს აფხაზეთის ავტონომიას. სახალხო საბჭოს დელეგატთა ნაწილმა ჩათვალა, რომ თბილისმა დაარღვია 1919 წლის 20 მარტის დადგენილება (აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის კონსტიტუციური გარანტიის შესახებ) და საქართველო აფხაზეთს არ აძლევდა შეპირებულ ავტონომიას.

1920 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა მუშაობა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების“ პროექტზე (Abkhazia Authomnomy…, 1920). ამ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუციის მოთხოვნები. ზემოთ დასახელებულ საკითხებს დაემატა შემდეგი ნორმები: საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში აფხაზეთი შეადგენდა ცალკე საარჩევნო ოლქს, საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 30 კაცით; აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებს მიეცათ იმუნიტეტი, საბჭო დამოუკიდებელი იყო თავის მოქმედებებში, ხოლო აფხაზეთის კომისარიატი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ანგარიშვალდებული იყო სახალხო საბჭოს წინაშე. განისაზღვრა საბჭოს ბიუჯეტის საკითხიც. დებულება „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის თებერვალში.

ამრიგად, საკონსტიტუციო კომისიამ პოლიტიკურ კომპრომისს მიაღწია, რაც შესაძლებელი გახდა ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსთა მაღალი პოლიტიკური კულტურის, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების გაცნობიერების, ასევე აფხაზი ხალხის მოთხოვნების სამართლიანობის გააზრების საფუძველზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რამდენად სწორად ვითარდებოდა საქართველოს დე-

მოკრატიული რესპუბლიკა და მისი ნაციონალური პოლიტიკა, რადგან კომპრომისის მიღწევა მხოლოდ პლურალისტულ და დემოკრატიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი.

ლიტერატურა:

1. Abkhazia Authomnomy Governing Provisional Rulesdraft, 23.12.1920. (http://iccn.ge).
2. Capoccia Giovanni (2016). When Do Institutions "Bite"? Historical Institutionalism and the Politics of Institutional Change. Comparative Political Studies. (https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0010414015626449).
3. Chitaia Davit, From the history of the Georgia, Tbilisi, 2002.
4. Constcom Constituent Assembly Georgia on Abkhazia Authonomy 29 Oct 1920. (http://iccn.ge).
5. Gabedava Meri (1993). Social-Political Movement in Abkhazia in 1917-1921. Tbilisi State University Publishing House.
6. Gamakharia Jemal. From the history of Georgian-Abkhazian interrelations. Tbilisi, 1991.
7. Iz Konstitutsii Abkhazskogo Narodnogo Soveta, 8 Noyabriya 1917. (http://abkhazeti.info/history/20050617232973363982.php).
8. On Relations of Abkhazian Authonomy and Georgia by Abkhazia National Council 21.07.1919. (http://iccn.ge).
9. Suddaby, R., Foster, William, and Mills, A. J. (2014). History and Institutions,' in Bucheli, M. and Wadhwani, D. (eds.) Organizations in Time: History, Theory, Methods' (pp.100-123). Oxford: Oxford University Press.
10. Vypiska iz Protokola Abkhazskogo Narodnogo Soveta o Vyborakh po Abkhazii v Uchreditelnoe Sobranie Gruzii (http://www.allgeo.org).

Meri Gabedava

POLITICAL COOPERATION AND COMPROMISE IN GEORGIAN-ABKHAZIAN RELATIONS, 1919-1921

Summary

Our work examines the cooperation between Abkhazian People's Council and the Constitutional Commission of the Constituent Assembly of Georgia (a national legislature of the Democratic Republic of Georgia) on the status of the Autonomous Republic of Abkhazia in the context of the theory of historical institutionalism.

The first democratic legislative elections of the People's Council of Abkhazia were held on the basis of universal suffrage by secret ballot, which marked

the beginning of the history of Abkhazian parliamentarism on February 13, 1919.

The Council approved the "Autonomy Act" declaring Abkhazia an autonomous area of the independent DRG on March 20, 1919. This laid the foundation for building a unite and democratic, new Georgian state.

There was no consensus over the status of Abkhazia among the members of the People's Council of Abkhazia. The demands of some lawmakers regarding the status of Abkhazia went beyond the legal norms of the federal system and contained elements of the Confederation.

The Constitutional Commission completed work on the draft "Decree on the Autonomous Administration of Abkhazia" on December 29, 1920. According to the document, Abkhazia was declared an autonomous unit within the framework of the DRG. During legislative elections of Georgia, Abkhazia was a separate election district with 30 seats. The members of the People's Council of Abkhazia were granted immunity; the Council was independent in its actions. The Abkhazian Commissariat, reporting to the People's Council of Abkhazia, had executive power. The budget issue was also solved _ the state tax collected on the territory of Abkhazia and part of the state concessions were transferred to the budget of Abkhazia. It was especially important that the land distribution was the exclusive right of the council itself. Georgian language was declared as state language, but the council was allowed to use other local languages.

The Georgian Constitution was adopted by the Constituent Assembly of Georgia in February 1921. The "Act on the Autonomous Administration of Abkhazia" was approved at the same time.

Thus, the Constitutional Commission reached a political compromise, which was made possible thanks to the high political culture of Georgian and Abkhazian politicians, both by understanding the common state interests and awareness of the national requirements of the Abkhaz people. This fact once again demonstrates how correctly the Democratic Republic of Georgia and its national policy developed, since a compromise can only be achieved in a pluralistic and democratic society.

ბელა კოპალიანი

პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში სინგაპურის მაგალითზე

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის მშენებლობის ინსტიტუტმა

მეოცე საუკუნე უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს ახლად შექმნილი სახელმწიფოთა წარმოქმნის სიმრავლის თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ახალი სახელმწიფოების შექმნა, მათი უმრავლესობა იყო პატარა და სუსტი. პატარა ქვეყნების მნიშვნელობა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იყო აღიარებული, ვინაიდან ერთა ლიგა შედგებოდა პატარა და სუსტი სახელმწიფოებისაგან.

პატარა ქვეყნების მეცნიერული ფუნდამენტის შექმნას ხელი შეუწყო ა.ბ. ფოქსის, დევიდ ვიტალის, შე და ბრუტლანდის, როტსტეინის, მატირენის და ისტის ნაშრომებმა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება პატარა ქვეყნისა ეკუთვნის კიოჰეინს, რომელიც ასკვნის, რომ სისუსტე, ან სიძლიერე დამოკიდებულია ქვეყნის ლიდერის აღქმაზე, თუ რა როლს ასრულებს მისი ქვეყანა სისტემურ ურთიერთობებში. ის ამბობს, რომ „პატარაა სახელმწიფო, რომლის ლიდერები თვლიან, რომ მას არასოდეს შეეძლება მარტო, ან სხვა პატარა ჯგუფთან ერთად, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა სისტემაზე“ (Keohane, 1969: 295).

დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში პატარა ქვეყნებს, ტრადიციულად პატივს არ სცემენ, სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით, მათ არ ანიჭებენ უპირატესობას. დიდ პოლიტიკაში აქტიურობა და ცვლილებები უძლიერესი სახელმწიფოების ხვედრია. სანამ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტი ფაქტორია, საერთაშორისო სისტემა კი იერარქიული ან ანარქიულია, პატარა ქვეყანა მეორეხარისხოვან, ან უმწეო ფაქტორად აღიქმება, მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი მათგანი მყიფე და არამდგრადი სახელმწიფოებრიობით გამოირჩევა და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. „ახალშობილი“ და „ახალგაზრდა“ ქვეყნების სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას არა მხოლოდ დიდი ძალისხმევა, არამედ დიდი დროც სჭირდება, ამბობს პროფესორი ალექსანდრე რონდელი თავის ნაშრომში, „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“ (Rondeli, 2003). მართლაც, პატარა ქვეყნები არასოდეს იყვნენ დალხენილნი. მათი „სატელიტიზაცია“ ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში.

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იმატა პატარა ქვეყნების რიცხვმა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო იმპერიების ნგრევამ და კოლონიური სისტემის მოშლამ. დღეისათვის პატარა ქვეყნებს, გაერთიანებული ერების ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ დახმარებას როგორც ეკონომიკურად, ასევე სახელმწიფოებრიო-

ბის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მათ პრობლემები არ აქვთ, ბევრი მათგანი დღესაც გადარჩენისათვის იბრძვის, ამის მკაფიო მაგალითია საქართველო.

შეუძლებელია საერთაშორისო პოლიტიკის ცოდნისა და გაანალიზების გარეშე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინაშე მდგარი პრობლემების სიღრმისეულად გაგება და გაცნობიერება. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა კონკრეტული პრობლემების წინაშე იდგა და დგას ეს ქვეყანა დღეს და როგორ ახერხებს ის, ამ რთულ ვითარებაში გზის გაკვლევას. თუმცა, აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სწორედ ამ ტიპის პრობლემები ექმნებათ დღეს საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს.

პატარა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენა, საკუთარი რაობის საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაცნობაა, განსაკუთრებით ეს ეხებათ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს, რომელთაც საერთაშორისო სისტემის წამყვან, უძლიერეს და უდიდეს სახელმწიფოებში ნაკლებად იცნობენ. ცალკეული ერთეულის როლი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებისა და ტრანსნაციონალიზმის სკოლებს თუ დავუჯერებთ, ნელნელა წინა პლანზე ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და სხვადასხვა ასოციაციებთან ერთად, სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციები გამოდიან. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკური იქნება, თუ ვიფიქრეთ, რომ დროთა განმავლობაში შესაძლებელია ქვეყანას (განსაკუთრებით სუსტ ქვეყანას) საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად არსებობა გაუჭირდეს, აღნიშნავს ა. რონდელი და აქვე იმასაც განმარტავს, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში რომელიმე კავშირში გაერთიანება, ანუ „ძალის სესხება“, შესაძლებელია პატარა ქვეყნისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა იყოს (Rondeli, 2003). თუმცა, მსოფლიოში არსებობს მაგალითები იმისა, თუ მიზანმიმართული, გონივრული პოლიტიკით როგორ შეიძლება პატარა ქვეყანა წარმატებული ქვეყნების რიგში აღმოჩნდეს და, შეიძლება ითქვას, ანგარიშგასაწევი გახდეს თვით დიდი ქვეყნებისათვის. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს სინგაპური.

სინგაპურმა თანმიმდევრული ხელმძღვანელობის დამსახურებით, ერთი თაობის განმავლობაში ჩამორჩენილი, სიდუხჭირით და ქოხმახებით დახუნძლული ტერიტორია, მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩააყენა. კუნძულ სინგაპურის ტერიტორია 581.5 კვ. კილომეტრია. ქვეყანა მოკლებულია წიაღისეულ სიმდიდრეებს, VII საუკუნიდან, ჯერ ინდონეზიის სულთნების ვასალური ტერიტორია იყო, შემდეგ ჰოლანდიელების, პორტუგალიელების, იაპონელების, ინგლისელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1965 წლიდან იგი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. სინგაპურში 5.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათი მოსახლეობის უმეტესობა, 70% ჩინელია, დანარჩენები კი – მალალები და ინდოელები. სახელმწიფო სისტემა – ლიბერალური, დემოკრატიული რესპუბლიკა, საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი (84 წევრი), სახელმწიფო მეთაური – პრეზიდენტი, რესურსები – თევზი, ღრმა წყლოვანი პორტე-

ბი. ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, ის აზიაში პირველია, ხოლო მსოფლიო მასშტაბით – მეთერთმეტე. მოსახლეობის 90% ფლობს საკუთარ სახლს, არის მსოფლიოში მესამე უდიდესი ფინანსური ცენტრი, ასევე მესამეა მსოფლიოში ნავთობის გადამუშავების მიმართულებით.

სინგაპურის ექსპორტს წარმოადგენს: მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ავტომობილები, ელექტრომოწყობილობანი, ქიმიკატები, კაუჩუკი, კვების პროდუქტები. სინგაპურის საზღვაო პორტი ცნობილია მსოფლიოში თავისი ტვირთბრუნვით და როგორც გემთსარემონტო ცენტრი. სინგაპური, როგორც ქალაქ-სახელმწიფო, შესანიშნავად იყენებდა და დღესაც იყენებს საკუთარ გეოგრაფიულ მდებარეობას ახალი შესაძლებლობების განვითარებისათვის. სინგაპურმა ერთ-ერთმა პირველმა სახელმწიფომ დაიწყო ზღვისთვის მიწების „გამორთმევა“. მართალია, ეს დღეს უცხო არ არის, მაგრამ ამ ნაბიჯმა, ასევე დიდი ეკონომიკური ზრდა მოუტანა ქალაქ-სახელმწიფოს. მეცნიერები, მკვლევრები თანხმდებიან, რომ ამ წარმატების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ხელისუფლება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უკვე ლეგენდად ქცეული პიროვნება ლი კუან იუ.

სინგაპურის პრემიერ მინისტრი ლი კუან იუ 31 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. ის თავის მოგონებებში წერს: „მე ვეძებდი ნიჭიერ ადამიანებს, ვნიშნავდი მათ მინისტრებისა და უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების თანამდებობებზე, რომ მათ პატიოსნად, ეფექტიანად ემართათ და გულისხმიერად მოკიდებოდნენ ადამიანთა მოთხოვნებს, ჩვენ ვსწავლობდით მუშაობის პროცესში და ვსწავლობდით სწრაფად. მე თითქმის არ დამიშვია ერთი და იგივე შეცდომა ორჯერ და ვცდილობდი მესწავლა სხვის შეცდომებზე“ (Lee Kuan Yew).

1965 წლიდან სინგაპური მარტოდმარტო უნდა გამკლავებოდა უამრავ გამოწვევას. თავდაპირველად ლი ცდილობდა მიეხედა ყველაზე საგანგაშო პრობლემებისათვის. ჯერ ერთი, სინგაპურს დამოუკიდებლობა თავდაცვის გაძლიერებით და საერთაშორისო აღიარების მოპოვებით, გაეროში შესვლის გზით უნდა დაეცვა. მეორეც, სინგაპურს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან, ხშირი იყო დაპირისპირება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ადგილი ჰქონდა ტერაქტებს მეზობელი ინდონეზიის ტერიტორიიდან შემოღწეული სამხედრო ფორმირებების მხრიდან. პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური მდგომარეობა მოითხოვდა კანონების ჩამოყალიბებას. პრემიერის კაბინეტმა დაუყოვნებლივ შექმნა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტრო.

1966 წლიდან სინგაპურმა აირჩია მკაფიოდ გამოხატული, თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული კურსი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ტრანსნაციონალური კომპანიების მეშვეობით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისაკენ იყო მიმართული. იმ დროს გაბატონებული შეხედულებით, დიდ მრავალეროვნულ კორპორაციებს (MNC) დაბალგანვითარებული ქვეყნების მიმართ საკუთარი ეგოისტური ინტერესები ამოძრავებდათ, რაც ადგილობრივი მშრომელების ექსპლუატაციითა და ქვეყნის გაძარც-

ვით სრულდებოდა. სინგაპურის ხელისუფლებამ მალე მოიშორა თავიდან ამგვარი დოგმები და გამოსცა „ეკონომიკის სტიმულირების აქტი“, რომლის ძალითაც 5-დან 10 წლამდე ვადით კაპიტალის უკუგების, მოგებისა და ქონების გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ ერთდროულად, როგორც ადგილობრივი start-up კომპანიები, ისე უცხოური მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც სინგაპურში სოლიდურ ინვესტიციებს განახორციელებდნენ. ქვეყანაში MNC-ების მოზიდვით, სინგაპური იმედოვნებდა, დასაქმების ზრდით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, მენეჯერული, ადმინისტრაციული გამოცდილების შეძენითა და ადამიანური კაპიტალის განვითარებით სარგებელი ენახა. პროფკავშირები, რომლებიც არაადეკვატური მოთხოვნებითა და მუდმივი გაფიცვების ორგანიზებით კანონს ხშირად არღვევდნენ და, რაც მთავარია, აფრთხობდნენ ინვესტორებს, გაუქმდა და მათი ლიდერების დიდი ნაწილი დააპატიმრეს. ახალი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფომ ხელფასების დარეგულირება ბაზარს მიანდო და დამსაქმებლებს მეტი თავისუფლება მისცა მუშახელის დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის საკითხში.

ამ პოლიტიკის დაწყებიდან საკმაოდ მოკლე დროში მრავალმა MNC-მ ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა სინგაპურში. მათ შორის პირველი „მერცხალი“ იყო Texas Instruments-ი, შემდეგ მას მალე მოჰყვნენ – National Semiconductor-ი, Hewlett-Packard-ი. 1970 წელს General Electric-მა სინგაპურში ერთბაშად 6 ქარხანა გახსნა. ასე მოიზიდეს ასობით მსხვილი კომპანია, დაწყებული საწარმოო ფირმებით (1970-იანი წლები) და დამთავრებული საფინანსო მომსახურების ფირმებითა (1980-იანი წლები) და მაღალტექნოლოგიური კომპანიებით (1990-იანი წლები). 2000 წლის ბოლოსთვის სინგაპურში დაგროვილი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 114 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 1971 წელს, როცა დასრულდა ბრიტანული სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია, სინგაპურს თითქმის აღარ აწუხებდა უმუშევრობის პრობლემა, რადგან მოზიდულმა დიდმა ინვესტიციებმა უზრუნველყო იმაზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, ვიდრე ბრიტანულ სამხედრო ბაზაზე დასაქმებული ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ.

„სინგაპური იმიტომ განვითარდა, რომ ის დანარჩენ მსოფლიოს სჭირდებოდა, ის ქალაქების გლობალური ქსელის ნაწილი იყო, სადაც განვითარებული ქვეყნების წარმატებულმა კომპანიებმა თავიანთი ბიზნესი დააფუძნეს“, – განაცხადა სინგაპურის პრემიერ მინისტრმა ლი კუან იუმ. მისი მოთხოვნა იყო პატიოსნება, ხალხის პრობლემების გულთან მიტანა და გადაწყვეტა, სინგაპურელთა გონებაში წესრიგის ჩანერგვა, შრომა საკუთარი ოჯახისა და ხალხისათვის, რაც ყველაზე მთავარია, პატრიოტიზმი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საგარეო პოლიტიკაში სინგაპურმა მიუმხრობლობის პოლიტიკა აირჩია, რომელმაც გაამართლა. ამ პოლიტიკას კი მაშინ ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ყველასთან ნორმალური ურთიერთობა და არა ვინმეზე, კონკრეტულზე არჩევანის გაკეთება, ან რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანება. ამ პოლიტიკურმა ვექტორმა

დიდი წარმატება მოუტანა სინგაპურს.

დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ რუსეთის ნეგატიურმა ფაქტორმა, კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა პრობლემები მეზობელ პატარა ქვეყნებთან. ეს ხელს უშლის დემოკრატიულ ცვლილებებს და ეკონომიკურ წინსვლას ამ ქვეყნებში. კარგად მიესადაგება ამ საკითხს შემდეგი გამოთქმა – „პატარა ქვეყნისათვის უდიდესი უბედურებაა დიდ, ძლიერ სახელმწიფოსთან უშუალო მეზობლობა“. საქართველომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკაში, თუმცა დღეს მრავალი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას.

ლიტერატურა:

1. Bauwens W., Armand Clesse & Olav Knudsen, Eds., Small States And The Security Challenge In The New Europe, (London, Washington, Brasey's), 1996.
2. Chipashvili H. Patara Qveynis Didi Chkua, 2016 (Http://Isari.Ge/Singapore–02–04–15.Php#Ixzz5ydosvjd0).
3. Keohane O. Robert. Lilliputians' Dilemmas: Small States in International Relations., International Organization, 23: 2 (1969).
4. Rappard William E., Small States In The League Of Nations, Political Science Quarterly, 49:4 (Dec. 1934).
5. Rondeli A. Saertashoriso Urtiertobebi. Nekeri, 2006.
6. Rondeli A. Patara Qveyana Saertashoriso Sistemashi. Saqartvelos Strategiisa da Saertasoriso Urtiertobebis Kvlevis Fondi. ,"Mecniereba". Tbilisi, 2003.
7. Singapuris Ekonomikuri Tsarmatebebis Mizezebi (Http://Www.Tabula.Ge/).
8. Spykman N. America's Strategy in World Politics, (New York, Harcourt, Brace And Co, 1942): 20; Quoted In Vandenbosch, "The Small States," 294-5.

Bela Kopaliani

THE SMALL STATES IN THE INTERNATIONAL SYSTEM ON THE EXAMPLE OF SINGAPORE

Presented by Institute of Political conflicts and Peace building at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The twentieth century can be considered unique in terms of plenty of the newly created states. The collapse of the Soviet Union led to the creation of new entities; most of them were small and weak. The importance of small states was recognized before World War II, because the League of Nations consisted of small and weak states.

Especially since the second half of the twentieth century, the number of small countries has increased. The collapse of empires and colonial system disruption contributed the mentioned situations. Today by the leading of the United Nations, small countries are contributed with economic, also with maintenance and strengthening of statehood. But we can't say that they have no problems, most of them fight for survival and clear example of this is Georgia.

Representing yourself in the international arena and introducing yourself to the international community are one of the main reasons for the small country. This problem is connected with new independent countries, which are less well known in the leading, strongest and largest states of the international system.

However, in the world there are some examples of how a small country with a reasonable, deliberate policy can become a successful country being accountable to a great state. A clear example of this is Singapore.

Singapore Exports: Machine-building products, automotive, electrical equipment, chemicals, rubber, food products. Singapore's seaport is known in the world for its turnover and ship repair center. Singapore, as a city-state, has been well-used and continues to use its own geographical location to develop new opportunities. Singapore was one of the first states which launched a "seizure" of lands from sea. Although, this is not a strange today, but this step brought a great economic growth in the city-state. Scientists and researchers agree that the main driving force of this success was government led by the legendary Lee Kuan Yew.

Singapore has chosen a policy of neutrality, which has been successful. This policy, then, had many followers. Normal relationships with everyone, not about choosing one particular or joining any military bloc, this political vector have made a huge success in Singapore.

ეკონომიკა
ECONOMICS

ქეთევან მაღლაკელიძე

ინტერვალური შეფასებები საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი სფეროს მარკეტინგულ კვლევაში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინსტიტუტმა

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამომხმარებლო ბაზრის მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევას.

ნაშრომში მარკეტინგული ინფორმაციის გამოყენებით აგებულია ინტერვალური შეფასებები საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის შემდეგი სფეროების მარკეტინგულ კვლევაში: პროდუქტების ფასები, უნივერსიტეტებში სწავლის ფასები და ტურისტების რაოდენობა საქართველოს მხარეებში.

კერძოდ, აგებულია სამი სიგმას წესი და 95%-იანი ნდობის ინტერვალები ორ შემთხვევაში: $A:$ – მიმდინარე ფასები, $B:$ – მომხმარებლისთვის მისაღები ფასები.

1. **პროდუქტების ფასების ინტერვალური შეფასებები**

№	პროდუქტების დასახელება	სამი სიგმას წესი	95%-იანი ნდობის ინტერვალი
1.	ბრინჯი	$A:\ [0.775;2.125]$ $B:\ [0.375;1.125]$	$(1.3105;1.5895)$ $(0.6725;0.8275)$
2.	წიწიბურა	$A:\ [1;2.2]$ $B:\ [0.375;0.525]$	$(1.476;1.724)$ $(0.4345;0.4655)$
3.	მაკარონი	$A:\ [1.925;2.375]$ $B:\ [0.95;1.25]$	$(2.1035;2.1965)$ $(1.069;1.131)$
4.	ხორბლის პური	$A:\ [1.4;2]$ $B:\ [0.475;0.625]$	$(1.638;1.762)$ $(0.5345;0.5655)$

5.	ხორბლის ფქვილი	$A: [1.7;2.3]$ $B: [0.77;0.925]$	$(1.938;2.062)$ $(0.8345;0.8655)$
6.	სიმინდის ფქვილი	$A: [1.7;2.3]$ $B: [0.95;1.25]$	$(1.938;2.062)$ $(1.069;1.131)$
7.	ძროხის ხორცი	$A: [13.5;16.5]$ $B: [6.75;8.25]$	$(14.69;15.31)$ $(7.345;7.655)$
8.	ღორის ხორცი	$A: [8.5;11.5]$ $B: [4.5;7.5]$	$(9.69;10.31)$ $(5.69;6.31)$
9.	ქათმის ხორცი	$A: [3.25;7.75]$ $B: [2.75;4.25]$	$(0.035;5.965)$ $(3.345;3.655)$
10.	ძროხის ხორცის ფარში	$A: [13.5;16.5]$ $B: [4.75;6.25]$	$(14.69;15.91)$ $(5.345;5.655)$
11.	მოხარშული ძეხვი	$A: [6.25;10.75]$ $B: [2.75;4.25]$	$(8.035;8.965)$ $(3.345;3.655)$
12.	შებოლილი ძეხვი	$A: [9.25;13.75]$ $B: [2.5;5.5]$	$(11.035;11.965)$ $(3.69;4.31)$
13.	სოსისი	$A: [7.5;10.5]$ $B: [2.5;5.5]$	$(8.69;9.31)$ $(3.69;4.31)$
14.	ახალი თევზი	$A: [12.5;15.5]$ $B: [2.5;5.5]$	$(13.69;14.31)$ $(3.69;4.31)$
15.	გაყინული თევზი	$A: [6.75;8.25]$ $B: [1.5;4.5]$	$(7.345;7.655)$ $(2.69;3.31)$
16.	რძე	$A: [2.75;4.25]$ $B: [0.95;1.25]$	$(3.345;3.625)$ $(1.069;1.131)$

17.	მაწონი	$A: [1.15;1.45]$ $B: [0.375;0.525]$	$(1.269;1.331)$ $(0.4345;0.4655)$
18.	ყველი	$A: [7.5;10.5]$ $B: [2.625;4.875]$	$(8.69;9.31)$ $(3.5175;3.9825)$
19.	ხაჭო	$A: [2.625;4.875]$ $B: [0.875;1.625]$	$(3.5175;3.9825)$ $(1.1725;1.3275)$
20.	არაჟანი	$A: [1.875;2.625]$ $B: [0.375;1.125]$	$(2.1725;2.3275)$ $(0.6725;0.8275)$
21.	კვერცხი	$A: [0.15;0.45]$ $B: [0.075;0.025]$	$(0.269;0.331)$ $(0.1345;0.1655)$
22.	კარაქი	$A: [4.625;6.875]$ $B: [2.75;4.25]$	$(5.5175;5.9825)$ $(3.345;3.655)$
23.	ზეთი	$A: [2.75;4.25]$ $B: [0.875;1.625]$	$(3.345;3.655)$ $(1.1725;1.3275)$
24.	ბადრიჯანი	$A: [3.25;4.75]$ $B: [1.375;2.125]$	$(3.845;4.155)$ $(1.6725;1.8275)$
25.	კარტოფილი	$A: [1.75;2.05]$ $B: [0.75;1.05]$	$(1.869;1.931)$ $(0.869;0.931)$
26.	ლობიო	$A: [3.875;4.625]$ $B: [1.875;1.625]$	$(4.1725;4.3275)$ $(1.1725;1.3275)$
27.	შაქარი	$A: [1.375;1.525]$ $B: [0.425;0.875]$	$(1.4345;1.4655)$ $(0.6035;0.6965)$
28.	ღვინო	$A: [6.25;10.75]$ $B: [3.125;5.375]$	$(8.035;8.965)$ $(4.0175;4.4825)$

29.	არაყი	$A: [7.5;10.5]$ $B: [1.5;4.5]$	$(8.69;9.31)$ $(2.69;3.31)$
30.	ლუდი	$A: [1.5;4.5]$ $B: [0.375;0.525]$	$(2.69;3.31)$ $(0.4345;0.4655)$

2. სწავლის ფასების ინტერვალური შეფასებები

№	სასწავლებლის დასახელება	სამი სიგმას წესი	95% -იანი ნდობის ინტერვალი
1.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	$[750;1650]$	$(1110;1290)$
2.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	$[850;1750]$	$(1210;1390)$
3.	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	$[1500;1700]$	$(1540;1660)$
4.	თავისუფალი უნივერსიტეტი	$[3175;3725]$	$(3285;3615)$

3. ტურისტების რაოდენობების ინტერვალური შეფასებები

№	მხარე	სამი სიგმას წესი	95% -იანი ნდობის ინტერვალი
1.	აჭარა	$[2.5;23.5]$	$(10.83;15.17)$
2.	გურია	$[2.5;29.5]$	$(13.21;18.79)$
3.	იმერეთი	$[5;7]$	$(9.76;12.24)$
4.	კახეთი	$[4.5;13.5]$	$(8.07;9.93)$
5.	მცხეთა-მთიანეთი	$[6.25;16.75]$	$(10.415;12.585)$
6.	რაჭა	$[6.25;16.75]$	$(10.415;12.585)$
7.	სამეგრელო	$[2.5;23.5]$	$(10.83;15.17)$
8.	სამცხე-ჯავახეთი	$[5.75;13.25]$	$(8.415;10.585)$

9.	სვანეთი	[6.25;16.75]	(10.415;12.585)
10.	ქვემოქართლი	[3.75;17.25]	(9.105;11.895)

ლიტერატურა:

1. Phurtukhia O., Albatur-Statistikuri Amocanebi. Tbilisis Sakhelmtsifo Universitetis Gamomcemloba, Tbilisi, 2012.

Ketevan Maghlakelidze

INTERVAL ESTIMATES IN THE MARKETING INVESTIGATION OF SOME SPHERES OF CONSUMERS' MARKET OF GEORGIA

Presented by Institute of Economics and Business Administration at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper touches upon the problem of using marketing information, interval estimates of prices for foodstuffs, education in universities and the number of tourists in the regions of Georgia. In particular, three sigma rules and 90 percent confidence intervals are constructed in two cases A – current prices and B – customer acceptable prices.

ჯანდრი ზარანდია

ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და საქართველოს მცირე მეწარმოეზის განვითარეზა

საქართველო-ევროკაშირის ეკონომიკურ თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა და პოლიტიკურ-კულტურული დატვირთვა გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ევროკავშირთან გახსნილი და გამარტივებული ეკონომიკური ურთიერთობები არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარანტი. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წელს დადებული ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იყო უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებში.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. 2014 წლის 1 სექტემბერს წინასწარ ამოქმედდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. 18 დეკემბერს კი ევროპარლამენტმა დიდი უმრავლესობით კენჭი უყარა შეთანხმებას, რითაც დაადასტურა ასოცირების პროცესის მხარდაჭერა. აღნიშნული დოკუმენტები ბევრ წინაპირობას უყენებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. მცირე მეწარმოების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებად ითვლება, ეროვნულ ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მცირე მეწარმოების დამკვიდრების ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ინსტრუმენტები. დღეს ქვეყანას ეძლევა უდიდესი შესაძლებლობა, მდგრადი გახადოს ეკონომიკის და მისი პირველი წყაროს – მცირე ბიზნესის განვითარება. ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს წარმოების განვითარება, იგი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, მცირე მეწარმოების განვითარება მთლიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას, უმუშევრობის შემცირებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მსოფლიო ბანკის განმარტებით, გლობალურ ეკონომიკაში კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის. აქედან გამომდინარე, ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა და კერძო სექტორის განვითარება ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური წინსვლისა და სიღარიბის შემცირების უმთავრესი ფაქტორია.

ასოცირებისა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, 2016 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ვიზა ლიბერალიზაცია, არის საფუძველი ჩვენი ორმხრივი ურთ-

იერთობების, თანამშრომლობის და ევროპული პერსპექტივის. ქვეყანამ ამით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზაზე.

კონკურენტული უპირატესობის ზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზაზე. კონკურენტუნარიანობა არის სახელმწიფოს უნარი, მიაღწიოს მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეებს და მოიპოვოს როგორც საექსპორტო, ასევე შიდა ბაზრების დიდი წილი. მსოფლიო გამოცდილება გვთავაზობს, რომ სახელმწიფოს (განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის პატარა სახელმწიფოს) კეთილდღეობა და განვითარება იმდენად არ არის დამოკიდებული მის ბუნებრივ სიმდიდრეზე, როგორც მის უნარზე, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა უწყვეტი განახლებით და ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგის გაუმჯობესებით. ეს უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს სახელმწიფო უზრუნველყოს „ძირითადი ბაზა“ იმ საქმიანობებისათვის, რომელიც „...იქნება ყველაზე პროდუქტიული სამუშაო ადგილების, ძირითადი ტექნოლოგიების და ყველაზე თანამედროვე კვალიფიკაციების ადგილი“. შრომითი რესურსები წარმოდგენილია იმ ძირითად ფაქტორებს შორის, რომელიც მოიცავს ამგვარ „ძირითად ბაზას“ და, აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტული პოტენციალი ნიშნავს არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობას და ხარჯს, არამედ რთულ უნარჩვევებს, რომელიც შეძენილია უმაღლესი განათლების და თანამედროვე კვლევების და მომზადების გზით, გარდაქმნას ადამიანური კაპიტალი უმაღლესი ხარისხის ფართო სამომხმარებლო საქონლად და მიაღწიოს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ფაქტორების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობას. ესენია: საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა, სიღარიბე და თანასწორობა; ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის საიმედოობა; ინდივიდუალური კომპანიების მიერ დაქირავებული შრომითი რესურსების სტრატეგიების ეფექტურობა. სხვადასხვა შემსრულებელი და დაინტერესებული მხარეები პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობა შრომითი რესურსების სფეროში მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. მთავრობას, კერძო სექტორს და სამუშაო ძალას შორის. ამ დოკუმენტის მიზანია, შეიქმნას წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებს საქართველო გაზარდოს მისი მწარმოებლურობა და წარმოადგინოს შრომითი რესურსები და კომპანიების სპეციალიზებული უპირატესობები.

საქართველოში კერძო სექტორის განვითარების საკვანძო ამოცანის შესასრულებლად, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ევროპის საინვესტიციო ბანკსა და ევროპის საინვესტიციო

ფონდს, ახორციელებს ევროკომისიასთან ერთად შემუშავებულ ორ ახალ პროგრამას, რომლებიც მომზადდა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შემუშავდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“. იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეგულარული დიალოგის გზით. ამ სტრატეგიის მიზნებია:

1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციის გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

განვიხილოთ კიდევ რა სახის მხარდაჭერას უწევს ევროკავშირი ქართულ ბიზნეს:

1. ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების მხრივ:

- ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მხარდაჭერა;
- ექსპორტთან დაკავშირებული ინვესტიციების სუბსიდირებული დაფინანსება;
- სუბსიდირებული დაფინანსება აღჭურვილობის შეძენის მოდერნიზაციისთვის;
- სესხები ბიზნესისთვის, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ;
- მიკროკრედიტები მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების ან განვითარებისთვის.

2. ბიზნესის უნარების გაუმჯობესების მხრივ:

- მორგებული საკონსულტაციო მომსახურება და ტექნიკური დახმარება კომპანიებისთვის – ადამიანური რესურსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მენეჯმენტის სტრუქტურები, ბიზნესის მოდელები და სხვ.;
- ტრენინგის პროგრამები სამეწარმეო უნარების გასაუმჯობესებლად ძირითად სფეროებში;
- მორგებული ტრენინგი და მენტორის მხარდაჭერა მეწარმე ქალებისთვის;

3. ახალი ბაზრების გაუმჯობესებული წვდომის მხრივ:

- ბიზნეს-კონსულტაციები და ტრენინგი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის;
- კომპანიების დახმარება ადაპტირების და ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტირების მიზნით;
- სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მხარდაჭერა ევროკავშირის ბაზრების ათვისების **მიზნით.**

საინტერესოა, თუ რომელმა კომპანიებმა გამოიყენეს ევროკავშირის მხარდაჭერა და რა სარგებელი მიიღეს მათ:

- ავტომობილების იმპორტიორმა კომპანიამ „ასპჯორჯია“ მიიღო ევროკავშირის დაფინანსება და კონსულტაცია ევროპის რეკონ-

სტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) ბიზნესპროცესების გაუმჯობესების მიზნით. ამის შედეგად კომპანიამ ბრუნვა 71%-ით გაზარდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა – 90%-ით;

- ტურისტულმა კომპანიამ „ლოპოტა ტურსერვისი“ ევროკავშირის დაფინანსება მიიღო საკუთარი საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემის გასაუმჯობესებლად. ამჟამად მისი პერსონალის რაოდენობა 55-დან 117-მდეა გაზრდილი;
- სამედიცინო ცენტრმა „სამედიცინო ჰოლდინგი 23“ ევროკავშირის დაფინანსების და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კონსულტაციის საფუძველზე შიდა მენეჯმენტი გააუმჯობესა და გახდა უფრო ეფექტიანი. ამჟამად კომპანია ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სერთიფიკატს ISO 9001;

როგორც მოგეხსენებათ, ევროპის საინვესტიციო ბანკი – ევროკავშირის ბანკი საქართველოში პროექტებს აფინანსებს „ევროკავშირის საგარეო სესხების მანდატის“ საფუძველზე. ამ მანდატით EIB-ს ეძლევა ევროკავშირის ბიუჯეტით უზრუნველყოფილი გარანტია პროექტების დასაფინანსებლად ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარება, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოების კუთხით, კლიმატურ ცვლილებებთან გამკლავება და ადაპტაცია.

ევროპის საინვესტიციო ფონდის (FIF**), რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის ნაწილია,** ამოცანაა ხელი შეუწყოს ევროპის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. ევროპის საინვესტიციო ფონდი ქმნის და ავითარებს სარისკო კაპიტალს და კაპიტალის ზრდას, გარანტიებს და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტებს, რომლებიც კონკრეტულად ამ სეგმენტზეა გათვლილი. ამ მხრივ, ევროპის საინვესტიციო ფონდი ხელს უწყობს ევროკავშირის მიზნების განხორციელებას ინოვაციის, კვლევის და განვითარების, მეწარმეობის, ზრდისა და დასაქმების მხარდასაჭერად (eeas.europa.eu).

ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSO) და მცირე და საშუალო-ბიზნესის (SME) მხარდასაჭერად შემუშავებული – East Invest 2 პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოსა და კონკურენტული კერძო სექტორის განვითარებას, სავაჭრო ნაკადების და ინვესტიციების მოცულობის ზრდის მეშვეობით ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (საქართველოს ჩათვლით) შორის.

East Invest 2 – პროგრამის მიზანია:

- გააძლიეროს მცირე და საშუალო ბიზნეს-ასოციაციები საქართველოში და გააუმჯობესოს მათი შესაძლებლობები ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნაში აქტიური მონაწილეობის მიზნით;
- გააუმჯობესოს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგი და გააძლიეროს ბიზნეს ასოციაციების შესაძლებლობები სახელმწიფოსთან დიალოგში მცირე და საშუალო ბიზნესის სათანადო

დონეზე წარმოსადგენად;

- უზრუნველყოს ასოციაციების შესაძლებლობების ზრდა და მდგრადობა, რათა მათ შეძლონ საკუთარი წევრებისათვის გაუმჯობესებული პროფესიული მომსახურების გაწევა;
- გააუმჯობესოს გრძელვადიანი პარტნიორობისა და ვაჭრობის პროცესი საქართველოს, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესსა და/ან მათ ასოციაციებს შორის;
- ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებდა და ახორციელებს მრავალჯერად რეფორმებს სტანდარტიზაციის სისტემაში და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით. განხორციელდა ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების სფეროში ძირეული რეფორმები. ტექნიკური რეგულირების სისტემაში რეფორმა მიზნად ისახავს საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისა და მომსახურეობისათვის ბარიერების მოხსნას, რაც საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ნათლად ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ სტრატეგიები, რომლებიც, უდაოდ, წინგადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, არამედ ამ სტრატეგიების რეალური განხორციელება დაიწყოს.

ამგვარად, საერთოდ წარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისთვის კიდევ ბევრია გასაკეთებელი სახელმწიფოს მხრიდან. პირველ რიგში, დაბეგვრის მიზნებისთვის განსაზღვრული კლასიფიკაცია უნდა დაუახლოვდეს სტატისტიკის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და გვქონდეს რეალური სურათი, თუ რომელი საწარმო რომელ კატეგორიას მიეკუთვნება და ამაზე დაყრდნობით შემუშავდეს ხელშემწყობი პროგრამები. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ თავისი შინაარსით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა მნიშვნელოვანია ბენეფიციარების შერჩევისას აქცენტი გაკეთდეს არა მათ ზომაზე, არამედ სხვა ინდიკატორებზე, მაგალითად, რა რაოდენობის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის, რამდენჯერ გაზრდის საწარმოო სიმძლავრეებს და ა. შ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 2 ახალი პროექტი მცირე და საშუალო მეწარმეებს DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარება. პროექტებისთვის მთლიანობაში 9.5 მლნ ევროა გამოყოფილი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა“ (GIZ) განახორციელებენ. ჯამში 170 საკონსულტაციო პროექტის განხორციელება იგეგმება, აქედან 150 ადგილობრივი კონსულტანტების, 20

კი – საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. პროგრამა 4 წელზეა გათვლილი და 4.5 მლნ ევრო დაიხარჯება.

პროექტის ფარგლებში, მინიმუმ 36 კომპანიას დაეხმარებიან საექსპორტო შესაძლებლობების განვითარებაში, რომ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს წარმოების პროცესი, შიდა სტრუქტურა და მენეჯმენტი. ასევე, მინიმუმ 60 კომპანია მიიღებს საკონსულტაციო დახმარებას სხვადასხვა სტანდარტისა და სერტიფიცირების თაობაზე. კომპანიების 225 წარმომადგენელი გაივლის ტრენინგს, რომ გაეცნონ რა მოთხოვნები აქვს DCFTA-ის.

პროგრამაში მონაწილეობისთვის მცირე და საშუალო მეწარმეები გარკვეულ მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ. სექტორზე შეზღუდვა არ არის, თუმცა, მეწარმეს მინიმუმ 1-2 – წლიანი სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონდეს, შესაბამისად, დახმარება „სტარტაპებისთვის“ არ არის განკუთვნილი. ერთ პროექტში EBRD-ის მხრიდან თანამონაწილეობა 10 ათას ევროს ეკვივალენტს ლარში არ აღემატება.

კიდევ ერთ პროექტს, რომელიც ფოკუსირებული იქნება მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაზე, GIZ ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად განახორციელებს. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმების განხორციელებას, რომ გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურნეტუნარიანობა და მოახდინოს ადაპტაცია ახალი რეგულირების ჩარჩოსთან. ერთ-ერთი კომპონენტი იქნება ბიზნეს-კლასტერების განვითარება და მათი ინტეგრაცია ევროკავშირის შესაბამის ქსელებში.

მცირე და საშუალო მეწარმეებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიღებული ცოდნისა და ექსპერტიზის პრაქტიკაში გამოსაყენებლად ფინანსური საშუალებებიც სჭირდებათ – სტანდარტების დანერგვა, წარმოების პროცესის მოწესრიგება, შესაძლოა, მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებთან იყოს დაკავშირებული. ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე თვეა დახმარების კიდევ ერთ ინსტრუმენტზე მუშაობს ევროკავშირი EBRD-სა და EIB-სთან ერთად. ეს არის DCFTA facility-ის ფინანსური დახმარების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც მეწარმეები შეძლებენ მანქანა-დანადგარების შესაძენად საჭირო სესხი ბანკიდან გამარტივებული პირობებით ეროვნულ ვალუტაში მიიღონ, გათვალისწინებულია გრანტები და ტექნიკური დახმარება, როგორც მეწარმეების, ასევე, ბანკებისთვის. DCFTA facility-ის პროგრამის განხორციელებაში ევროკავშირს ევროპის საინვესტიციო ბანკიც (EIB) დაეხმარება, EIB-ის კომპონენტში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება იქნება. როგორც EBRD, ასევე EIB პროგრამას ადგილობრივი ბანკების დახმარებით განახორციელებენ.

DCFTA facility მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინისთვისაა განკუთვნილი, მთლიანობაში 200 მლნ ევროა გამოყოფილი, აქედან რამდენი დაიხარჯება საქართველოში არსებული მცირე და საშუალო მეწარეებისთვის ჯერ უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ პირველი ბენეფიციარი საქართველო იქნება (Evrokavshiris Dafinansebit…).

ასევე ევროკავშირი მომავალი 4 წლის განმავლობაში საქართველოს 51 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს გამოუყოფს. ეს არის ყოვლისმომცველი პროგრამა, რომელიც მოიცავს 2 მიმართულებას: მუშაობას ხელისუფლებასთან და მცირე და საშუალო ბიზნესთან. ისინი დაეხმარებიან ხელისუფლებას საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში. ამავე დროს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი სფერო, რომელზეც ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმება გავლენას მოახდენს, მცირე და საშუალო ბიზნესია. ევროკავშირის მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესს და მათ ახალ სტანდარტებზე გადასვლა გაუმარტივოს. 51 მლნ ევროდან 25 მლნ ევრო საბიუჯეტო დახმარებისთვის იქნება გამიზნული. ეს არის თანხა, რომელიც პირდაპირ ხაზინაში გადაირიცხება და რომელსაც ფინანსთა სამინისტრო გააკონტროლებს. თუმცა, ეს არ არის უპირობო დახმარება. იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საბიუჯეტო დახმარება მიიღოს, გარკვეული რეფორმები უნდა განახორციელოს. რეფორმები უნდა განხორციელდეს ოთხი მიმართულებით. პირველი მიმართულება უშუალოდ ვაჭრობასთან არის დაკავშირებული. აქ შედის სანიტარული და ფიტოსანიტარული ხარისხის კონტროლი, სახელმწიფო შესყიდვების საკითხი... მეორე ბლოკი დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიასთან. ეს სტრატეგია ევროკავშირში არსებული სტანდარტების შესაბამისად შემუშავდება. მესამე ბლოკი არის ვაჭრობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ტრუქტურების გაძლიერება. მეოთხე ბლოკი კი მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურებას გულისხმობს. ეს არის ის წინაპირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა 25 მლნ ევროს მოცულობის საბიუჯეტო დახმარების მიღებას, დანარჩენი 26 მლნ ევრო მიზნობრივ პროექტებს მოხმარდება.

მიზნობრივი პროექტებიდან – 2 მლნ ევრო გამიზნულია სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესასოციაციების გაძლიერებისთვის. 6,5 მლნ ევრო მოხმარდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკურ ინტეგრაციას. 11 მლნ ევრო გათვალისწინებულია როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის, ისე იმ ინსტიტუციებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 51-მილიონიანი გრანტის გარდა კიდევ იქნება ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდაში დაეხმარება. ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის არ არსებობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საქართველოში. ამ შემთხვევაში ევროკავშირი დაეხმარება ბანკებს, რომ მათ დაფარონ ის რისკი, რომელიც თან ახლავს მცირე ბიზნესის მიერ შეთავაზებულ ბიზნეს-გეგმას. ეს პროგრამა ფოკუსირებული იქნება ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებზე (Evrokavshiris 51 mln…).

ჩვენი აზრით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ეს პროექტები მცირე ბიზნესის წარმატებული განვითარების გარანტი იქნება, რადგან

მათი მიზანია მცირე ბიზნესის მწარმოებლურობის ზრდა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მის კონკურენტუნარიანობის ზრდას გულისხმობს, ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მცირე ბიზნესს თანამედროვე ტექნოლოგიებით აწარმოოს მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქცია და გაიტანოს ევროკავშირის ბაზარზე. აგრეთვე, ეს პროექტი უმარტივებს მცირე ბიზნესს კრედიტებისადმი წვდომას, თავის მხირვ, დამატებითი ფულადი სახსრების გამოყენების შესაძლებლობა ზრდის ბიზნესის პოტენციალს და მის არეალს ბაზარზე, უარყოფით ფაქტს ის წარმოადგენს, რომ ლარში საპროცენტო განაკვეთი უცვლელი რჩება, რაც გულისხმობს სესხის იმავე ღირებულებას. თუ განვიხილავთ რომ საქართველოში საპროცენტო განაკვეთი საშუალოზე მაღალია, ეს გულისხმობს სესხის სიძვირეს, ამიტომ მცირე ბიზნესის გარკვეული ნაწილი თავს აარიდებს კრედიტების აღებას.

ჩვენი აზრით, მთავარი გამოწვევა არის ის, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს არ აქვს საბაზისო უნარ-ჩვევები, არ იციან მენეჯმენტი და არ აქვთ ბიზნეს-გეგმა, ისინი არ იცნობენ კარგად ბაზარს და საკუთარ მომხმარებლებს, სწორედ ასოცირების შესახებ შეთანხმება ამ პრობლემების აღმოფხვრას ემასუხრება, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ბიზნესის პოტენციალს.

უნდა ისიც აღვნიშნო, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს არა აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს განვითარებული ქვეყნების ბიზნესს, რადგან ქვეყანა არ ფლობს მაღალკვალიფიციურ მუშახელს, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ეფექტიან მართვის სტილს, ამდენად ბიზნესის სუბსიდირება საშუალებას მისცემს მეწარმეს აწარმოოს პროდუქცია შედარებით დაბალი თვითღირებულებით, რომელიც კონკურენციას გაუწევს უცხოურ პროდუქციას. საბოლოო ჯამში, მოკლევადიან პერიოდში, მცირე ბიზნესის სტიმულირება გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს დიდი პოტენციალის მქონე ბიზნესის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა:

1. European External Action Service (eeas.europa.eu).
2. Evrokavsiris Dafinansebit Mtsire da Sasualo Metsarmeebis Dasakhmareblad Ori Akhali Proeqti Daitsko (http://eugeorgia.info/ka/article/407/evrokavshiris-dafinansebit-mcire-da-sashualo-mewarmeebis-dasaxmareblad-2-axali-proeqti-daiwyo/).
3. Evrokavshiris 51 Mln-iani Grantis Natsili Mtsire da Sashualo Bizness Mokhmardeba (http://eugeorgia.info.
4. Information Center on NATO and EU (http://infocenter.gov.ge/).

Jandri Zarandia

ECONOMIC COOPERATION WITH THE EUROPEAN UNION AND DEVELOPMENT OF SMALL BUSINESS IN GEORGIA

Summary

Economic cooperation between European Union and Georgia has great political-cultural load for our country. Open and simplified relations with the European Union comprise the guarantee of the country's economic development. Agreement on association and wide free trade area poses to Georgia numerous preconditions on the way of EU membership and introduction of the policies supporting small entrepreneurship development is one of the main requirements to the partner states.

For the purpose of private sector development in Georgia he European Investment Bank Group implements numerous new programs developed together with the European Commission in the context of Association Agreement between EU and Georgia. Within the scopes of Association Agreement Small and Medium Entrepreneurship Development Strategy 2016-2020 was developed.

In addition to the programs developed together with European Commission, EU provides support to Georgian business with respect of improvement of access to finances, improvement of business skills and improved access to the new markets;

In our opinion, programs developed by the European Union and EU funded projects will guarantee successful development of small business as goal of these programs and projects is to improve productivity of small business implying improvement of its competitiveness at the international arena and this, in turn, allows small business to use the advanced technologies for manufacturing of highly competitive products and sell them at EU market. In addition, these measures simplifies for small business access to credits and opportunity to gain additional cash assets increases business potential and its area.

It should be noted that in Georgia small business is unable to compete with businesses of developed countries as there is lack of skilled labor, advanced technologies and effective management style and Association Agreement provides support in elimination of this problem, in turn, this would increase business potential, allow small entrepreneurs to manufacture the products at relatively low cost that would compete with the foreign ones in short run and stimulation of small and medium business would ensure promotion of entrepreneurship in long run.

დევი შონია

ცოდნის როლი თანამედროვე ქვეყნის ეკონომიკაში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტმა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის წინაშე მეცნიერების როლი დღემდე განსხვავებულად განიხილება და რჩება დავის საგნად. შორეულ წარსულში მეფეები ქირაობდნენ ასტროლოგებს, ალქიმიკოსებს, გეომეტრიის მცოდნეებს და ა. შ. რათა თავი გაერთოთ და გახალისებულიყვნენ დასახელებული დისციპლინების საკითხებით. ამ დროისათვის მცოდნე ადამიანები ასრულებდნენ მხოლოდ გამრთობების როლს. საბოლოოდ, ასტროლოგია ჩამოყალიბდა ასტრონომიად, ალქიმია – ქიმიად, გეომეტრია – მათემატიკად. გამოყენების თვალსაზრისით, ამ და სხვა დისციპლინების ცოდნას დიდი ხნის განმავლობაში აზრიც კი არ ჰქონდა. შემდგომ პერიოდშიც სამეცნიერო კვლევების წარმოება ხშირად ძვირადღირებულ ჰობად ითვლებოდა და მხოლოდ ელიტებისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო სტამბისა და თანამედროვე ფოსტის შექმნით, რომელთაც ხელი შეუწყვეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას, გაჩნდა ადამიანებს შორის ცოდნის, იდეებისა და მოსაზრებების გაცვალის შესაძლებლობები; ჩამოყალიბდა მოწინავე ინსტიტუტები და აკადემიები, რომელთა უმთავრესი ფუნქცია ცოდნის დაგროვება გახდა.

საქართველო, როგორც უძველესი ქვეყანა, სამეცნიერო განათლების თვალსაზრისით გამოირჩეოდა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს მნიშვნელოვნად განამტკიცებდა გელათისა და იყალთოს აკადემიები, სადაც ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, სამხედრო საქმე, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, მჭედლობა, კერამიკა, მევენახეობა-მეღვინეობა და ა. შ.

საბუნებისმეტყველო და მათემატიკის მიმართულებები მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად განვითარდა და გაფართოვდა XVII საუკუნიდან, რამაც გამოიწვია ისეთი სამეცნიერო დაწესებულებების წარმოშობა, როგორიცაა იტალიის მეცნიერებათა აკადემია (Italian Academy of Sciences de Lindsay), გერმანიის ლეოპოლდინის ნატურალისტთა აკადემია (German Academy of Sciences Leopoldina), ბრიტანეთის სამეფო საზოგადოება (British Royal Society), საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია (French Academy of Sciences); მოგვიანებით შეიქმნა გერმანიის მეცნიერებათა ასოციაცია ბერლინში (Wissenschaften Association of Germany in Berlin), რუსეთის მეცნიერებათა აკადემია (Russian Academy of Sciences) და ა. შ.

XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარე-

ბასთან ერთად, ცოდნამ განსაკუთრებული სტატუსი, პირველ რიგში, ზუსტ მეცნიერებებში მოიპოვა. კაპიტალის მეტი მოგების მიღებისაკენ სწრაფვა მოითხოვდა წარმოების გაფართოებას, ხოლო წარმოების გაფართოება – კი სულ უფრო მეტი ახალი საგნის, ენერგიისა და ინფორმაციის დაუფლებას. წარმოიშვა ახალი საწარმოო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მოზიდვის საშუალებით იყო შესაძლებელი. ცოდნა გახდა საწარმოო პროცესის აქტიური მონაწილე, როგორც ერთ-ერთი საწარმოო ძალა.

1857 წელს კარლ მარქსი წერდა, რომ „ძირითადი კაპიტალის განვითარება წარმოადგენს იმის მაჩვენებელს, თუ საყოველთაო საზოგადოებრივმა ცოდნამ რა დონეზე მიაღწია უშუალოდ საწარმოო ძალად გადაქცევას, და აქედან – იმის მაჩვენებლად, თვით სასიცოცხლო პროცესის პირობები რამდენად ექვემდებარება საყოველთაო ინტელექტის (general intellect) კონტროლს და არის გარდაქმნილი მის შესაბამისად. რა დონეზე არის საზოგადოებრივი საწარმოო ძალები შექმნილი არა მხოლოდ ცოდნის ფორმით, არამედ ასევე როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის, რეალური სასიცოცხლო პროცესის პირდაპირი ორგანოები“ (Marks, 2012: 582-583).

ჯერ კიდევ ინდუსტრიულ ეპოქასა და მის საზოგადოებაში, ცოდნამ რადიკალურად შეიცვალა სოციალური სტატუსი. თავდაპირველად, თუ ცოდნას სტატუსი ჰქონდა მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში, დროთა განმავლობაში მან შეაღწია სოციალურ-კულტურულ სფეროშიც და დაიწყო მისი გარდაქმნა, ანუ მატერიალური წარმოების საწარმოო ძალიდან ცოდნა თანდათანობით სოციალურ-კულტურული სფეროების უშუალო საწარმოო ძალადაც იქცა. ამასთან, თუ თავდაპირველად ასეთი როლისათვის შესაფერისი იყო მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შემუშავებული ცოდნა, დროთა განმავლობაში ამ როლის წარმატებით შესრულება (მათ შორის წარმოების სფეროშიც) დაიწყო სოციალურ-ჰუმანიტარულმა ცოდნამაც (ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ა. შ.).

ცოდნის სოციალური სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, მეცნიერები სხვადასხვა მიდგომებს აყალიბებენ. მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი დანიელ ბელლი ამტკიცებს, რომ „...ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების ხერხები ანაცვლებენ შრომას დამატებითი ღირებულების სახით. ამ გაგებით, როგორც შრომა და კაპიტალი იყვნენ ცენტრალური ცვლადები ინდუსტრიულ ეპოქაში, ინფორმაცია და ცოდნა ხდებიან პოსტინდუსტრიული საზოგადოების გადამწყვეტი ცვლადები“ (Bell, 1986: 330-342).

ამავე აზრს ემხრობა და ანვითარებს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და მენეჯმენტის თეორეტიკოსი პიტერ დრუკერი, რომელიც ამბობს რომ: „ცოდნის მნიშვნელობის ცვლილებამ, გარდაქმნა საზოგადოება და ეკონომიკა. ცოდნა დღეისათვის გახდა წარმოების ძირითადი პირობა. ტრადიციული „წარმოების ფაქტორები“ – მიწა (ანუ ბუნებრივი რესურსები), სამუშაო ძალა და კაპიტალი – არ გამქრალა, მაგრამ გახდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის“ (Drucker, 1999: 67-100). თანამედროვე

დასავლეთის საზოგადოებასთან მიმართებაში კი პ. დრუკერს მიაჩნია, რომ: „ალბათ ჯერ კიდევ ნაადრევია რომ დღევანდელი საზოგადოება განვიხილოთ როგორც „ცოდნის საზოგადოება“; ახლა ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებული (knowledge society) ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. ამასთან, საზოგადოება რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ნამდვილად შეიძლება დავახასიათოთ როგორც „პოსტკაპიტალისტური“ (Drucker, 1999: 714). დრუკერი აქვე დასძენს: „იმ გარემოებამ, რომ ცოდნა გახდა მთავარი, და არა უბრალოდ რესურსების ერთერთი სახე, გარდაქმნა ჩვენი საზოგადოება პოსტკაპიტალისტურად. მოცემული გარემოება ცვლის საზოგადოების სტრუქტურას და ამასთან რადიკალურადაც. ის ქმნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალ მამოძრავებელ ძალებს. ეს გულისხმობს ასევე ახალ პროცესებს პოლიტიკურ სფეროში“ (Drucker, 1999: 714).

უდავოა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი ხასიათდება ყველაფერი არსებულის ტოტალური გასაქონლებით, რაც ამავდროულად ვრცელდება ცოდნაზეც. ყველა ამ გარდაქმნების შედეგით, ცოდნა ხდება საქონელი. საქონელი კი ცნობილია რომ **არის შრომის პროდუქტი გაცვლის მიზნით**, რომელიც ატარებს სამომხმარებლო და გაცვლით ღირებულებას. იცვლება, ანუ იყიდება მხოლოდ ის, რასაც გააჩნია მოთხოვნა, რომელიც ხშირად მკვეთრად იცვლება არამდგრადი ამინდივით.

ცოდნის გასაქონლება – ეს არის მეცნიერების, ანუ იმ სოციალურ-კულტურული სფეროს კომერციალიზაციის მომენტი, რომელშიაც იწარმოება სოციალურად სანქცირებული ცოდნა. მეცნიერება ხდება ცოდნა-საქონლის მწარმოებელი და მიმწოდებელი შეკვეთის შესაბამისად და გასაცვლელად – საყოველთაო ექვივალენტზე“. მეცნიერები და სამეცნიერო კოლექტივები თავისთავად ამით ერთვებიან საბაზრო ურთიერთობებში, სადაც მოქმედებენ ყიდვა-გაყიდვისა და კონკურენციის კანონები.

ასეთი პროცესის დროს, მეცნიერებაზე მოთხოვნა, ანუ შეკვეთის მიღება ხდება გარედან – ბიზნესის სფეროდან, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიდან, უსაფრთხოებისა და სადამსჯელო განყოფილებებიდან და ა. შ. მეცნიერება იწყებს ორიენტირებას არა იმანენტურ პრობლემაზე, არამედ შემკვეთზე და მის მიერ წამოჭრილ პრობლემებზე, რაც გამომდინარეობს შემკვეთის საჭიროებიდან და ამდენად არა აქვს კავშირი უშუალოდ მეცნიერების შიდა პრობლემებთან.

ამავდროულად, მეცნიერების კომერციალიზაცია და ცოდნის გასაქონლება იწვევს ფუნდამენტური კვლევების გამოყოფას გამოყენებითი კვლევებისაგან. „საერთო ცოდნიდან სპეციალიზირებული ცოდნის კომპლექსისაკენ გადასვლა, ცოდნას გადააქცევს ძალად, რომელსაც შესწევს უნარი შექმნას ახალი საზოგადოება. მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ასეთი საზოგადოება უნდა ეფუძნებოდეს ცოდნას, ორგანიზებულს სპეციალიზირებული დისციპლინების სახით, მისი წევრები უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ფლობენ სპეციალურ ცოდნას სხვადასხვა სფეროში. სწორედ ამაშია მათი ძალა და ეფექტურობა“ (Drucker, 1999 :100).

როგორც ადრე, ასევე დღესაც და მომავალშიც ფუნდამენტური კვლევების მიზანი იყო, არის და იქნება ცოდნა, ობიექტური სურათის შექმნა სამყაროზე. გამოყენებითი კვლევების საბოლოო მიზანი კი – ზუსტი და ტექნოლოგიურად ეფექტური რეცეპტის შექმნა წარმოებისათვის. ფუნდამენტური კვლევებისათვის თვითკმაყოფილების მიზანს წარმოადგენს ჭეშმარიტი ცოდნის ძიება, ხოლო გამოყენებითი კვლევებისათვის – ინსტრუმენტალურ ფასეულობას. მისი თვითკმაყოფადი ფასეულობაა სწორედ ცოდნის ტექნოლოგიური ეფექტიანობა. გამოყენებითი მეცნიერების მიზანი და ფუნქცია პრაგმატულია: დასახული მიზნის მიღწევა. ამიტომაც გამოყენებით კვლევებს მოეთხოვება არა ჭეშმარიტება იმდენად, არამედ მისი ეფექტურობის მოთხოვნა კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად. გამოყენებით კვლევებში ამოცანები ისახება გარედან – დამკვეთისაგან და შედეგიც, საბოლოო ჯამში, ფასდება მის მიერ. დამკვეთს აინტერესებს ტექნოლოგიურად განხორციელებადი გადაწყვეტილება და არა ობიექტური ხედვა სამყაროზე ჭეშმარიტების თვალსაზრისით. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ გამოყენებითი კვლევების სტრუქტურა განსხვავდება ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების სტრუქტურისაგან.

ცალსახად დადებით ტენდენციებს ხედავენ ცოდნის გასაქონლებაში ფილოსოფიური პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლებიც. მათი აზრით, ამის უკან არის მომავალი. ისინი თვლიან, რომ მოდერნისტულ ეპოქისთვის ცოდნის წარმოება ამავდროულად იყო შემეცნების სუბიექტის სრულყოფილების წარმოებაც. პოსტმოდერნიზმის მიმდევარი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ფრანსუა ლიოტარის აზრით, „ძველი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ცოდნის მიღება განუყოფელია გონიერების ფორმირებისაგან, და თვით პიროვნებიდანაც კი – ძველდება და გამოდის მოხმარებიდან. ცოდნა იწარმოება იმისათვის, რომ იქნას გაყიდული, ის მოიხმარება და იქნება მოხმარებული, რათა მოიპოვოს ღირებულება ახალ პროდუქტში და ორივე შემთხვევაში, იყოს გაცვლადი“. ლიოტარს მიაჩნია, რომ „ცოდნა იქნება ამოქმედებული იმავე ქსელებით, რაშიც მოქმედებს ფულადი მიმოქცევა“ (Lyotard, 1998: 18-22).

როგორც ვხედავთ, ცოდნის როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში, უპირატესად, ეკონომიკასთან არის დაკავშირებული, სადაც მნიშვნელოვანია მისი სპეციალიზაცია, რითაც იცვლება ცოდნის ბუნებაც. ასეთ საზოგადოებაში რადიკალურად იცვლება ცოდნის მიღების, შენახვის, გადამუშავების და ტრანსლაციის შესაძლებლობები, რასაც თან ახლავს ინფორნმაციის რაოდენობისა და მისი ცირკულაციის უპრეცენდენტოდ ზრდა. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოებაში გამოყენებით მეცნიერებას ახასიათებს ექსპერტების დიდი რაოდენობა და ასევე დიდი რისკებიც.

ცოდნის მნიშვნელობის ცვლილებისა და მისი გამოყენების გაგებას, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის წახალისების თანამედროვე პროგრამების განვითარებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. შესაბამისად, მოწინავე გა-

მოცდილებებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია ხელისუფლების როლი საქართველოს უნივერსიტეტებში ინტელექტუალური საკუთრებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში, ტექნოლოგიების შერჩევასა და შეფასებაში ცოდნის კომერციალიზაციისათვის.

ლიტერატურა:

1. Drucker P. F., The Practice of Management, Hopper and Row, New York, 1954.;
2. Feder R. A., How to measure Marketing Performance., Harvard Business Review., 1965.;
3. Kotler Ph., Marketing Management – Analysis, Planning and Control., Prentice Hall. Englewood Cliffs., New Jersey., 1967;
4. Marks K. K kritike politicheskoy ekonomii. Izd. LIBREKOM, 2012.
5. Bell D. Sotsialnie ramki informatsionnogo obshchestva/ Novaya tekhnokraticheskaya volna na zapade. Moskva, Progress, 1986.
6. Drucker P. F. Postkapitalisticheskoe Obshchestvo//Novaya postindustrialnaya volna na Zapade. Antologya. Moskva. 1999.
7. Liotar ZH. F. Sostayanie Postmoderna. Sankt-Peterburg, 1998.

Devi Shonia

THE ROLE OF KNOWLEDGE IN THE ECONOMY OF A MODERN COUNTRY

Presented by Institute of Economic and Business Administration at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

At the modern stage, scholars are developing different approaches to changing the social status of knowledge. The relevance of the issue lies in the fact that knowledge and information have become the main variables of the post-industrial society, the major conditions for production and the driving force of socio-economic development. With such transformations knowledge becomes a commodity that requires commercialization. The commercialization of knowledge leads to the separation of basic research from applied research, and this point is primarily associated with the economy, where its specialization is important.

Based on a review of best practices, the paper attempts to show how new approaches to knowledge has changed today as well as its important role in the economic development of a modern country. This paper also emphasizes the importance of establishing a connection between the scientific and practical goals of the country and what are main challenges facing in Georgia today in this subject.

ნუგზარ თოდუა, ქეთევან მაღლაკელიძე

ანოვა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ზოგიერთი სფეროს მარკეტინგულ კვლევაში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინსტიტუტმა

მარკეტინგულ კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. მარკეტინგულ კვლევაში არსებითად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები. ნაშრომში ჩატარებული დისპერსიული ანალიზი ANOVA საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის შემდეგი სფეროების მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგულ კვლევაში: პროდუქტები, უნივერსიტეტებში სწავლა და ტურიზმი. შემოწმებულია ჰიპოთეზები ამ პოპულაციების საშუალო მნიშვნელობათა ტოლობის შესახებ.

1. ANOVA **მაღაზიებში მომხმარებელთა საშუალო რაოდენობის შესახებ მომხმარებელთა კმაყოფილების მიხედვით**

მაღაზიები	კმაყოფილი	უკმაყოფილო	არც კმაყოფილი არც უკმაყოფილო
აგროჰაბი	24	0	2
გუდვილი	15	11	10
ევროპროდუქტი	26	2	8
იოლი	16	11	2
კარფური	14	10	11
ნიკორა	25	8	12
ორი ნაბიჯი	20	12	10
სპარი	15	2	10
ფრესკო	18	10	14
ფუდმარტი	22	10	12

Anova: Single Factor

SUMMARY

ჯგუფები	რაოდენობა	ჯამი	საშუალო	შეუსაბამობა
კმაყოფილი	10	195	19.5	20.5
უკმაყოფილო	10	76	7.6	20.044
არც უკმაყოფილო	10	91	9.1	16.544

ANOVA

ვარიაციის წყარო	$$	df	MS	F	P-ღირ	F-კრიტ
ჯგუფებს შორის	840.0666667	2	420.0333	22.072596	2.09E-06	3.354
ჯგუფებს შიგნით	513.8	27	19.02963			
ჯამი	1353.86667	29				

ჰიპოთეზა H_0**:** პოპულაციის საშუალო მნიშვნელობები ტოლია.

ჰიპოთეზა H_1**:** პოპულაციის ერთი საშუალო მნიშვნელობა მაინც განსხვავდება დანარჩენი პოპულაციების საშუალო მნიშვნელობებისგან.

გადაწყვეტილება: რადგანაც F -ის მნიშვნელობა მეტია F_{crit} კრიტიკულ არეზე, ამიტომ H_0 ჰოპითეზას უკუვაგდებთ.

2. ANOVA **უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სწავლის კმაყოფილების შესახებ**

უმაღლესი სასწავლებელი	კმაყოფილი	უკმაყოფილო	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	68	15	20
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	70	12	10
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	76	8	12
თავისუფალი უნივერსიტეტი	75	11	15

Anova: Single Factor
SUMMARY

ჯგუფები	რაოდენობა	ჯამი	საშუალო	შეუსაბამობა
კმაყოფილი	4	289	72.25	14.916667
უკმაყოფილო	4	46	11.5	8.3333333
არც უკმაყოფილო	4	57	14.25	18.916667

ANOVA

ვარიაციის წყარო	$$	df	MS	F	P-ღირ	F-კრიტ
ჯგუფებს შორის	9416.166667	2	4708.083333	334.96	3.555E-09	4.2560
ჯგუფებს შიგნით	126.5	9	14.05555556			
ჯამი	9542.66667	11				

ჰიპოთეზა H_0**:** პოპულაციის საშუალო მნიშვნელობები ტოლია.

ჰიპოთეზა H_1: პოპულაციის ერთი საშუალო მნიშვნელობა მაინც განსხვავდება დანარჩენი პოპულაციების საშუალო მნიშვნელობებისგან.

გადაწყვეტილება: რადგანაც F -ის მნიშვნელობა მეტია F_{crit} კრიტიკულ არეზე, ამიტომ H_0 ჰოპითეზას უკუვაგდებთ.

3. ANOVA **უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტთა შესახებ**

უმაღლესი სასწავლებელი	მაგისტრა-ტურა	დოქტორან-ტურა	არვიცი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60	25	10
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	58	21	15
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	48	26	8
თავისუფალი უნივერსიტეტი	32	12	20

Anova: Single Factor
SUMMARY

ჯგუფები	რაოდენობა	ჯამი	საშუალო	შეუსაბამობა
მაგისტრატურა	4	198	49.5	163.66667
დოქტორანტურა	4	84	21	40.666667
არ ვიცი	4	53	13.25	28.916667

ANOVA

ვარიაციის წყარო	$$	df	MS	F	P-ღირ	F-კრიტ
ჯგუფებს შორის	2915.166667	2	1457.583333	18.747053	0.000618	4.2564947
ჯგუფებს შიგნით	699.75	9	77.75			
ჯამი	3614.91667	11				

ჰიპოთეზა H_0 : პოპულაციის საშუალო მნიშვნელობები ტოლია.

ჰიპოთეზა H_1 : პოპულაციის ერთი საშუალო მნიშვნელობა მაინც განსხვავდება დანარჩენი პოპულაციების საშუალო მნიშვნელობებისგან.

გადაწყვეტილება: რადგანაც F -ის მნიშვნელობა მეტია F_{crit} კრიტიკულ არეზე, ამიტომ H_0 ჰოპითეზას უკუვაგდებთ.

4. ANOVA **საქართველოს მხარეებში მოგზაურთა კმაყოფილების მიხედვით**

მხარე	ძალიან კმაყოფილი	კმაყოფილი	უკმაყოფილო
აჭარა	26	2	0
გურია	25	10	2
იმერეთი	24	12	11
კახეთი	22	11	8
მცხეთა-მთიანეთი	18	14	11
რაჭა	23	13	11
სამეგრელო	21	12	2
სამცხე-ჯავახეთი	20	12	3
სვანეთი	20	15	1
ქვემო ქართლი	24	14	12

Anova: Single Factor
SUMMARY

ჯგუფები	რაოდენობა	ჯამი	საშუალო	შეუსაბამობა
ძალიან კმაყოფილი	10	223	22.3	6.4555556
კმაყოფილი	10	115	11.5	13.388889
უკმაყოფილო	10	61	6.1	24.1

ANOVA

ვარიაციის წყარო	$$	df	MS	F	P-ღირ	F-კრიტ
ჯგუფებს შორის	1360.8	2	680.4	46.449558	1.83E-09	3.3541308
ჯგუფებს შიგნით	395.5	27	14.64814815			
ჯამი	1756.3	29				

ჰიპოთეზა H_0 **:** პოპულაციის საშუალო მნიშვნელობები ტოლია.

ჰიპოთეზა H_1 **:** პოპულაციის ერთი საშუალო მნიშვნელობა მაინც განსხვავდება დანარჩენი პოპულაციების საშუალო მნიშვნელობებისგან.

გადაწყვეტილება: რადგანაც F -ის მნიშვნელობამეტია F_{crit} კრიტიკულ არეზე, ამიტომ H_0 ჰოპითეზას უკუვაგდებთ.

5. ANOVA **ტურისტების მოგზაურობის მიზნების შესახებ**

მხარე	დასვენება	გართობა	რეკრეაცია
აჭარა	22	20	18
გურია	20	16	19
იმერეთი	18	16	16
კახეთი	16	20	18
მცხეთა-მთიანეთი	21	20	20
რაჭა	17	22	18
სამეგრელო	20	18	16
სამცხე-ჯავახეთი	15	16	16
სვანეთი	18	20	16
ქვემო ქართლი	12	16	15

Anova: Single Factor
SUMMARY

ჯგუფები	რაოდენობა	ჯამი	საშუალო	შეუსაბამობა
დასვენება	10	179	17.9	9.2111111
გართობა	10	184	18.4	5.1555556
რეკრეაცია	10	172	17.2	2.6222222

ANOVA

ვარიაციის წყარო	$$	df	MS	F	P-ღირ	F-კრიტ
ჯგუფებს შორის	7.266666667	2	3.633333333	0.6415958	0.53429	3.3541308
ჯგუფებს შიგნით	152.9	27	5.662962963			
ჯამი	160.1666667	29				

ჰიპოთეზა H_0 **:**პოპულაციის საშუალო მნიშვნელობები ტოლია.

ჰიპოთეზა H_1 **:** პოპულაციის ერთი საშუალო მნიშვნელობა მაინც განსხვავდება დანარჩენი პოპულაციების საშუალო მნიშვნელობებისგან.

გადაწყვეტილება: რადგანაც F -ის მნიშვნელობა მეტია F_{crit} კრიტი-

კულ არეზე, ამიტომ H_0 ჰოპითეზას უკუვაგდებთ.

ლიტერატურა:

1. Phurtukhia O., Albatur-Statistikuri Amocanebi. Tbilisis Sakhelmtsifo Universitetis Gamomcemloba, Tbilisi, 2012.

Nugzar Todua, Ketevan Maghlakelidze

ANOVA IN THE MARKETING INVESTIGATION OF SOME SPHERES OF CONSUMERS' MARKET OF GEORGIA

Summary

The dispersion analysis ANOVA is carried out in the marketing investigation of consumers' behavior in the following spheres of consumers' market in Georgia: foodstuffs, higher education and tourism. Hypotheses on the coincidence of means of these populations are tested.

პედაგოგიკა
PEDAGOGICS

ჯემალ ჯინჯიხაძე

მეცნიერული შემეცნება, როგორც პედაგოგიკური კვლევის ობიექტი

მეცნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ იგი მუდმივად და უწყვეტად შეივსება სულ ახალი და ახალი ფაქტებით. თავის მხრივ, ასეთი ფაქტების დაგროვებისა და ინტერპრეტაციისათვის საჭიროა კვლევის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, რომლებიც დამოკიდებულია გარკვეული თეორიული პრინციპების ერთობლიობაზე. ასეთმა ერთობლიობამ მეცნიერებათმცოდნეობაში მიიღო სახელი „მეთოდოლოგია“. ნებისმიერი მეცნიერული დისციპლინისა და მისი მეთოდოლოგიის შესახებ, ეს იქნება ფიზიკა, ბიოლოგია, ფსიქოლოგია თუ პედაგოგიკა, საუბარი იწყება, ჩვეულებრივ, მეცნიერებისა და მეცნიერული ცოდნის ზოგადი დახასიათებიდან. აუცილებლად დგება საკითხი მეცნიერული შემეცნების შესახებაც, რომლის შედეგი არის ცოდნა. ასეთი შემეცნება ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთი სახეა. რაც შეეხება საქმიანობის სახეებს, საქმიანობა შეიძლება იყოს პედაგოგიური, ეკონომიკური, მხატვრული და ა. შ. პედაგოგიკური მეცნიერების თავისებურებათა, ფუნქციების, სტრუქტურისა და ამოცანების სწორი გაგებისათვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს **საქმიანობისა** და **საქმიანობრივი მიდგომის** პრობლემა, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების. მრავალ წიგნსა და სტატიაშია საუბარი საქმიანობისა და საქმიანობრივი მიდგომის პრინციპის მნიშვნელობის შესახებ. გაჩნდა იდეა „საქმიანობის ზოგადი თეორიის“ შექმნის შესახებაც. საქმიანობის კატეგორიის მიმართ ასეთი ყურადღება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- შეიცვალა სოციალურ ცხოვრებაში საქმიანობის ადგილი; საზოგადოების სოციალური პროცესები შეგნებული, მიზანმიმართული, მეცნიერულად დასაბუთებული საქმიანობის საგანი ხდება.
- ცვლილებები განიცადა, აგრეთვე, ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერებების ურთიერთმიმართებებმაც, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერებების განვითარების პროექტულ-კონსტრუქციულ ფუნქციებთან.
- საზოგადოების, მეცნიერების, კულტურის განვითარება არა მხოლოდ ბადებს საქმიანობის ახალ სახეებს, არამედ სვამს საკითხსაც მათი შეგნებული პროექტირების შესახებაც.

ადამიანის საგნობრივ-პრაქტიკული საქმიანობა კაცობრიობის სუ-

ლიერი და მატერიალური კულტურის მთელი სიმდიდრისა და მრავალსახეობის საფუძველში ძევს. ამ თვალსაზრისით კულტურა გვესახება როგორც საქმიანობის სხვადასხვა სახის განუწყვეტელი კვლავწარმოება, რომელიც ემსახურება სოციალურ პრაქტიკას და ამ გაგებით იგი წარმოადგენს ადამიანთა საქმიანობის უფრო ფართო სტრუქტურის გარკვეულ რგოლს. მეცნიერება არის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა. მეცნიერების მიერ მოპოვებული ობიექტური ცოდნა საქმიანობის სისტემაში წარმოადგენს ადამიანის, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული სუბიექტის, მიზნების განხორციელების საშუალებას. ამ აზრით მეცნიერების ფასეულობა, ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისათვის, მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს საქმიანობის ობიექტურად დასაბუთებული პროგრამების გამომუშავებას.

რაკი შევეხეთ საქმიანობას, საჭიროა შევეხოთ ამ ცნების მოკლე დახასიათებასაც.

საქმიანობა არის გარესამყაროსადმი აქტიური მიმართების ფორმა. მისი შინაარსი კი შეადგენს ამ სამყაროს ცვლილებასა და გარდაქმნას, კულტურის ათვისებისა და განვითარების საფუძველზე.

ცნება **საქმიანობა** ძალზე ზოგადია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „საქმიანის თვისება; საქმის კეთება, შრომა, მუშაობა, მოღვაწეობა“. ცნება **მოღვაწეობის** შესახებ კი იგივე ლექსიკონი გვამცნობს: „საზოგადოების (ადამიანების...) სასარგებლოდ სისტემატური და ნაყოფიერი შრომა, მუშაობა, მოქმედება რომელიმე დარგში, ცოდნის ან მოქმედების რომელიმე სფეროში“.

მოღვაწეობა არის **საქმიანობის** კერძო შემთხვევა. **მოღვაწე** ის არის, „ვინც თავი გამოიჩინა ცოდნის ან მოქმედების რომელიმე სფეროში საზოგადოებისათვის (ადამიანებისათვის...) სასარგებლო სასტემატური და ნაყოფიერი შრომით“. **ღვაწლი** საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომაა, ამაგი.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ბიოლოგიური კვლავწარმოების გარდა, დამახასიათებელია კვლავწარმოების განსაკუთრებული სახე – არაბიოლოგიური, რომელიც ხორციელდება კულტურული ტრადიციის მექანიზმის მეშვეობით. ცნება **კულტურა** ასახავს უნიკალურ, მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ამ აზრით იგი მოცულობრივად და შინაარსობრივად შეესაბამება ცნებას „ადამიანური საქმიანობა“, რომელსაც გააჩნია საწყისი საადაპტაციო ორიენტაცია.

ცნების **კულტურა** უდიდესი ევრისტიკული ფასეულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის გვაძლევს საშუალებას, გავავლოთ მკვეთრი წყალგამყოფი ადამიანურ საქმიანობასა და ცხოველთა ბიოლოგიურ ცხოველქმედებას შორის. ცნებაში **კულტურა** აბსტრაჰირდება საქმიანობის სწორედ ის მექანიზმი, რომელიც არ მოიცემა ბიოლოგიური ორგანიზაციით და განასხვავებს სპეციფიკური ადამიანური აქტივობის გამოვლინებებს. ამასთან, ადამიანური საქმიანობის ზოგადი პროცესი ხორციელდება ბიოლოგიური და ზებიოლოგიური მექანიზმების უწყვეტი ურთიერთქმედე-

ბებითა და მათი განსაკუთრებული კომბინაციით.

ამიტომ იგი განსაზღვრავს ადამიანურ საქმიანობას როგორც ადამიანთა სოციალურ აქტიურობას, რომელიც პროგრამირდება და რეალიზდება კულტურის მექანიზმებით.

აქ ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის **კულტურა**. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვთქვათ, რომ კულტურის ცნების უამრავი დეფინიცია არსებობს და მათი განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. შევეცადოთ გავარკვიოთ, რა ქმნის კულტურას და მის საფუძველზე შევიქმნათ წარმოდგენა კულტურის ცნების შესახებ.

აი, რა ქმნის კულტურას:

- განათლება,
- ხელოვნება:
  - მოქანდაკეობა (სკულპტურა),
  - მხატვრობა,
  - ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა),
  - კინემატოგრაფია:
    - დოკუმენტური კინო,
    - ანიმაციური ფილმები,
    - მხატვრული კინო;
  - ლიტერატურა:
    - დრამატურგია,
    - პოეზია,
    - პროზა;
  - მუსიკა,
  - თეატრი,
  - ქორეოგრაფია,
  - ფოტოხელოვნება;
- რწმენა:
  - მითოლოგია,
  - რელიგია,
  - ფილოსოფია;
- ტრადიცია,
- წესები,
- ეთიკა,
- საინფორმაციო საშუალებები:
  - პრესა,
  - რადიო,
  - ტელევიზია,
  - ინტერნეტი;
- გართობა:
  - სამკაული,
    - ტანის მოდიფიკაცია,
  - ჰობი,
  - იუმორი,

- ❖ მეცნიერება,
- ❖ ტექნიკა.

როგორც ჩანს, კულტურა ეროვნულია. კულტურას ქმნის ზემოთ მოცემული ჩამონათვალი, მაგრამ ეს ჩამონათვალი არ არის კულტურა. კულტურა არის ზემოთ მოცემული ჩამონათვალით განსაზღვრული რაოდენობრიობა აღზევებული ხარისხობრივ ერთმთლიანობაში, რომელიც სიმბოლიზაციის დონემდე აღზევებულ აბსტრაქციაში ვლინდება. ე. ი. კულტურა აბსტრაქტული ცნებაა, იგი ცოცხალია და დინამიკური, მუდამ განვითარებადი. ეს არის „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა შრომა-გარჯილობით შექმნილი ღირებულებანი ერთობლივ, – მიღწევები განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნების, აგრეთვე ყოფა-ცხოვრების დარგში“.

მეცნიერები თავიანთ მსჯელობებში ამოდიან იქიდან, რომ კულტურის შემეცნებითი პოტენციალი მხოლოდ ერთ-ერთია ადამიანური ცნობიერების ფორმებიდან, რომელიც სხვა ფორმებთან ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაში რეალიზდება.

კულტურის ზოგადი ცნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ პედაგოგიურ კულტურაზე.

პედაგოგიური კულტურა ნაწილია იმ ზოგადი კულტურისა, რომელშიც მნიშვნელოვანწილად აისახება სულიერი და მატერიალური ფასეულობები, ასევე, შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობის ხერხები, რომლებიც აუცილებელია კაცობრიობისათვის, რომ მოემსახუროს თაობათა ცვლისა და პიროვნების სოციალიზაციის ისტორიულ პროცესებს: სოციალიზაცია ხომ ინდივიდის მიერ კულტურული ნორმებისა და ფასეულობების შეთვისების პროცესია.

მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის შემოქმედების აღორძინებასა და თვითრეალიზაციას. პედაგოგიური კულტურის მეთოდოლოგიური საფუძველია კულტურათა დიალოგის ფილოსოფიური თეორია (ბიბლერი). კულტურის ფენომენი განისაზღვრება გარდასული, თანამედროვე და მომავალი კულტურების დიალოგისა და ერთმანეთში მათი ურთიერთშეღწევის საშუალებით. პედაგოგიური კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ინდივიდის ურთიერთობა საკაცობრიო კულტურის გადაცემის სხვადასხვა მომენტებში:

- პედაგოგიური კულტურის ფენომენი დიალოგში განიხილება როგორც „მე“ „შენ“-ში და „შენ“ „მე“-ში (ურთიერთშეღწევა).
- პედაგოგიური სამყაროს, როგორც პედაგოგიური ურთიერთქმედების სუბიექტების სულიერი, ესთეტიკური და ინტელექტუალური განვითარების გარემოს, შექმნა.
- სხვა პიროვნებაში „ჩემთვის“ პიროვნების აღმოჩენა.

პედაგოგიური კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური ფასეულობების, საქმიანობის ხერხებისა და მასწავლებლის პროფესიონალური ქცევის დინამიკური სისტემა. ეს განათლებულობის ის დონეა, რომლის მეშვეობითაც ხდება პროფესიონალური ცოდნის გადაცემა.

პედაგოგიურ კულტურას თავისი **კომპონენტები** გააჩნია. ეს კომპონენტები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში შედის პედაგოგიური პოზიცია და პედაგოგის პიროვნულ-პროფესიონალური თვისებები. ეს უკანასკნელი გულისხმობს სინამდვილის განსაზღვრული მხარეების მიმართ მასწავლებლის პირად დამოკიდებულებას, ხოლო **პედაგოგიური პოზიცია** – ეს არის მორალური არჩევანი, რომელსაც მასწავლებელი აკეთებს. პედაგოგიური პოზიციისთვის დამახასიათებელია ორი მხარე: **მსოფლმხედველობრივი** (რომელიც გამოიხატება პროფესიის საზოგადოებრივი მნიშვნელოვნობის გაცნობიერებაში, ჰუმანისტურ პრინციპებზე ორიენტაციის არჩევანის სისწორესა და მასში დარწმუნებულობაში) და **ქცევითი** (რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებელს აქვს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილებები, იყოს მათზე პასუხისმგებელი და შექმნას პირობები მოსწავლის პიროვნების თვითრეალიზაციისთვის). პედაგოგიური პოზიცია რეალიზდება მასწავლებლის პიროვნულ-პროფესიონალური თვისებების, მისი ინტერესებისა და სულიერი მოთხოვნილებების მეშვეობით.

მეორე ჯგუფს შეადგენს პედაგოგიური ცოდნა და აზროვნება.

ცოდნის სახეობათა კლასიფიკაცია მრავალი არსებობს. მათ შორის:

- ცოდნა შეიძლება იყოს: **მეთოდოლოგიური** (რომელიც იძლევა წარმოდგენას პედაგოგიური მოვლენების შემეცნების გზების შესახებ), **თეორიული** (რომელიც მასწავლებელს აძლევს ორიენტაციას პედაგოგიური თეორიის სრულყოფაში), **ზოგადპედაგოგიკური** (ცოდნა პედაგოგიკური პროცესების ზოგადი კანონზომიერებებისა), **გამოყენებითი** (ცოდნა პედაგოგიკური პროცესების ცალკეულ უბნებში), **კერძოგამოყენებითი** (ცოდნა ცალკეულ დისციპლინებში).
- ცოდნა შეიძლება იყოს: **მეთოდოლოგიური, თეორიული, ტექნოლოგიური და მეთოდიკური** და სხვ.

პედაგოგიურ კულტურას განსაზღვრავს არა იმდენად ცოდნა, რამდენადაც – მიმართება ცოდნისადმი. ცოდნისადმი მიმართება აზროვნების დონით განისაზღვრება. პედაგოგიური აზროვნება თავის თავში მოიცავს: კრიტიკულ აზროვნებას (რომელიც გულისხმობს სწავლებასთან მისი ურთიერთქმედების ანალიზირების აუცილებლობას); შემოქმედებით აზროვნებას; პრობლემურ-ვარიაციულ აზროვნებას.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება *პროფესიონალური უნარები და პედაგოგიური საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათი.*

აქ, პედაგოგიური კულტურის დახასიათებისას, აღსანიშნავია ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. ეს – ადამიანის ცხოვრებაში მათემატიკურ მიმართებათა უნიკალურობას ეხება.

ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია საერთოდ მათემატიკის, და კერძოდ – სასკოლო მათემატიკის, გავლენა შემოქმედებითი პიროვნების აღზრდაზე. მათემატიკის გაკვეთილებზე ამოცანების ამოხსნის ხელოვნების სწავლება გვიქმნის განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს

იმისათვის, რომ მოსწავლეების გონებაში შევიტანოთ დალაგებულობა. კვლევითი საქმიანობის აუცილებლობა, რაც მათემატიკის გაკვეთილებს მუდმივად ახლავს, აღვივებს და ავითარებს ინტერესს კანონზომიერებებისადმი, მათში წვდომის უნარს, ასწავლის ადამიანური აზროვნების სილამაზისა და ჰარმონიულობის დანახვას. ყოველივე ეს ზოგადი კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკა გადამწყვეტ გავლენას ახდენს აზროვნების სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბებაზე: ლოგიკურის, სივრცით-გეომეტრიულის, ალგორითმულის, დივერგენტულის, კონვერგენტულის. ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი იწყება ჰიპოთეზის ფორმულირებით. მათემატიკა, სწავლების სწორი ორგანიზებისას, წარმოადგენს ჰიპოთეზების აგებისა და შემოწმების კარგ სკოლას, ასწავლის სხვადასხვა ჰიპოთეზების შედარებას, ოპტიმალური ვარიანტის მიგნებას, ახალი ამოცანების დასახვას, მათი ამოხსნის გზების ძიებას. გარდა ყოველივე ამისა, ის აგრეთვე გამოუმუშავებს მეთოდური მუშაობის ჩვევას, ასწავლის აზროვნების ზოგადი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას, რის გარეშე ვერც კი მოიაზრება ვერც ერთი შემოქმედებითი პროცესი. მათემატიკა მაქსიმალურად ხსნის ადამიანის აზროვნების შესაძლებლობებს და არის მისი უმაღლესი მიღწევა. იგი ეხმარება ადამიანს საკუთარ თავში ჩაღრმავებაში, საკუთარი თავის შეცნობასა და საკუთარი ხასიათის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამიტომ მათემატიკა ზოგადკაცობრიული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია. და, შესაბამისად, ნებისმიერ სასწავლო საგანში (და არა მხოლოდ მათემატიკაში) მოსწავლის სწორედ მათემატიკური აზროვნებისა და პრობლემისადმი მათემატიკური მიდგომის უნარის კვლევა მკვლევარისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ცნების **საქმიანობა** ადგილი და როლი განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი ეკუთვნის უნივერსალური, ზღვრული აბსტრაქციის თანრიგს. უნივერსალურობა ისეთი ტიპის ცნებისა, როგორიცაა **საქმიანობა**, ბადებს კიდევ ერთ მის თვისებას, რომელიც არ არის თვალსაჩინო, მაგრამ მეთოდოლოგიურად ძალზე არსებითია, – **პოლიფუნქციონალურობას**. მაშ, ცნებას **საქმიანობა** შეუძლია **სხვადასხვა ფუნქციის შესრულება**. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ საქმიანობა შეიძლება იყოს მეცნიერული შესწავლის საგანი. მას სწავლობს სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინა.

საქმიანობრივი მიდგომის შესაბამისად მეცნიერება ერთობლიობაში განიხილავს შემეცნებით საქმიანობასა და მის შედეგს – მეცნიერულ ცოდნას. ამ ერთიანობის ბუნება განისაზღვრება მეცნიერული საქმიანობისა და მეცნიერული ცოდნის თავისებურებებით.

ყველაზე უფრო ზოგადი სახით **მეცნიერებას** განსაზღვრავენ როგორც ადამიანური საქმიანობის სფეროს, რომელშიც მიმდინარეობს სინამდვილის შესახებ ობიექტური ცოდნის შემუშავება და თეორიული სისტემატიზაცია. მნიშვნელოვანია ის, რომ მეცნიერება არ დაიყვანება ცოდნაზე. ეს არ არის მხოლოდ ცოდნის სისტემა, როგორც ამას ზოგჯერ ამტკიცებენ, არამედ ესაა სწორედ საქმიანობა, მუშაობა, რომელსაც

მიზნად ცოდნის მიღება განუზრახავს.

მეცნიერული საქმიანობის სპეციფიკა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მეთოდებით – ზოგადმეცნიერულითა და სპეციალურით. შემეცნების მეთოდი წარმოიშობა როგორც წესებისა და ოპერაციების სისტემა. ეს წესები და ოპერაციები განპირობებულია „სუბიექტი-ობიექტი“ სისტემის ობიექტური თვისებებით. მეთოდი არ არის სუბიექტის მიმართ რაიმე გარეგანი, ან რაიმე, მდგომი სუბიექტსა და ობიექტს შორის, იგი ჩართულია შინაარსში ცნებისა **შემეცნების სუბიექტი**. გამოდის როგორც მისი თვისება, წარმოიშობა და ვითარდება სუბიექტის შემოქმედებითი, აქტიური საქმიანობის შედეგად სამყაროს შემეცნებისა და გარდაქმნის პროცესში.

საქმიანობის ზოგადი სტრუქტურა მოიცავს მიზანს, საშუალებასა და შედეგს.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში საქმიანობის სტრუქტურის ქვეშ ესმით კავშირი და მიმართება ადამიანთა კოოპერირებული აქტივობის გამოყენების სხვადასხვა უბანს შორის, რომლებიც ერთიანდებიან შესაბამის სახეებში და ადამიანთა საქმიანობის სფეროებში.

ამ განსაზღვრაში აისახება სულიერი და მატერიალური საქმიანობის ერთიანობა, ერთიანობა შედეგისა და პროცესის, ცოდნისა და მისი მიღების ხერხების. მეცნიერების თვითშეგნების მთავარ ნაწილად იქცა წარმოდგენა საქმიანობის ხასიათის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, მეცნიერული ცოდნა კი ყოველთვის არის შემმეცნებელი სუბიექტის საქმიანობის შედეგი.

როცა ვლაპარაკობთ პედაგოგიურ საქმიანობაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოზარდი თაობისათვის სოციალური გამოცდილების გადაცემის ამსახველი მიზანმიმართული საქმიანობა. მიზანი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ისტორიული ეპოქის ხასიათი, დაგროვილი სოციალური გამოცდილების დონე, სახელმწიფოს განვითარების დონე და სხვ. მაგრამ მეცნიერული კვლევის მიზანი პედაგოგიური საქმიანობის წიაღში უფრო ვიწროა და სუბიექტური, რადგანაც მოიცავს სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ელემენტებს, რაც ადამიანს უბიძგებს გარდაქმნისაკენ.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში ხშირად გამოყოფენ პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ **სტრუქტურულ კომპონენტებს**:

- საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებისა და ტენდენციების ცოდნა; ცოდნა იმ ძირითადი მოთხოვნებისა, რომლებიც დგას მასწავლებლის წინაშე.
- მეცნიერული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ფლობა იმ გამოცდილების საფუძვლებისა, რაც დაგროვილია კაცობრიობის მიერ წარმოების, კულტურისა და საზოგადოებრივ მიმართებათა სფეროში, და რაც განზოგადებული სახით გადაეცემა მოზარდ თაობებს.
- პედაგოგიკური ცოდნა, სააღმზრდელო გამოცდილება, დახელოვნება, ინტუიცია.

- უმაღლესი ზნეობრიობა და ესთეტიკური კულტურა.

პედაგოგიური საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებელია მისი **პროდუქტიულობა**. განასხვავებენ ამ პროდუქტიულობის **ხუთ დონეს**:

- **არაპროდუქტიული**. მასწავლებელს შეუძლია სხვებისთვის გადაცემა იმისა, რაც თვითონ იცის. მას შეესაბამება მოსწავლეთა რეპროდუქციული ცოდნა.
- **მცირეპროდუქტიული**. მასწავლებელს შეუძლია თავისი გადაცემა შეუგუოს აუდიტორიის თავისებურებებს. მას შეესაბამება მოსწავლეთა ადაპტაციური ცოდნა.
- **საშუალოპროდუქტიული**. მასწავლებელი სასწავლო კურსის ცალკეული განყოფილებების მიხედვით ფლობს ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღების სტრატეგიებს. მას შეესაბამება მოსწავლეთა ლოკალურ-მამოდელირებელი ცოდნა.
- **პროდუქტიული**. მასწავლებელი ფლობს სასწავლო საგანში, და საერთოდ, ცოდნისა და უნარ-ჩვევების საძიებელი სისტემის მოსწავლეებში ფორმირების სტრატეგიებს. მას შეესაბამება მოსწავლეთა სისტემურ-მამოდელირებელი ცოდნა.
- **მაღალპროდუქტიული**. მასწავლებელი ფლობს მოსწავლის პიროვნების, თვითაღზრდაში, თვითგანათლებასა და თვითგანვითარებაში მისი მოთხოვნილებების ფორმირების საშუალებად თავისი საგნის გარდაქმნის სტრატეგიებს. ამ დონეს შეესაბამება მოსწავლეთა სისტემურ-მამოდელირებელი საქმიანობა და ქცევა.

პედაგოგიური საქმიანობის არსი გვაძლევს საშუალებას, გამოვყოთ განსაზღვრული **პროფესიონალური ფუნქციების** მთელი რიგი, რომელთა განხორციელება განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობას.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში განიხილება პედაგოგიური საქმიანობის შემდეგი **ფუნქციები**:

განმავითარებლობითი ფუნქცია წარმოადგენს წამყვანს მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობაში. იგი თვითონ თავის თავში აერიანებს შემდეგ ქვეფუნქციებს:

- **გნოსტიკურობითს** (შემეცნებითს), რომელიც მოიცავს აუცილებელი ცოდნის დაგროვების, ლიტერატურაზე მუშაობის, კოლეგების გამოცდილების შესწავლის, შემეცნების, აღმზრდელობითი ზემოქმედების საშუალებათა ათვისებისა და ა. შ. უნარებს.
- **კვლევითობითს**, რომელიც მოიცავს განხილვისა და გამოკვლევისათვის პრობლემათა განსაზღვრის, მეცნიერული ლიტერატურის ანალიზირების, კვლევის ჰიპოთეზებისა და ამოცანების წამოყენების, კითხვების პრობლემურად დასმისა და ა. შ. უნარებს.
- **ინფორმაციულობითს**, რომელიც მოიცავს მეტყველებითი გამომხატველობითობის გამოყენების, მასალის ზუსტად, სხარტად, მოკლედ და ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და მისი გაგებინების, თხრობის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების, მასალის ათვისების პროცესში მოსწავლეთა აქტივიზირებისა და ა. შ. უნ-

არებს.

- **წამქეზებლობითს**, რომელიც მოიცავს ინტერესის აღძვრის, ყურადღების მობილიზების, აქტიურობისათვის შეგულიანების, ცოდნის პრაქტიკულ მოქმედებაში გადაყვანის, საქმიანობისა და ქცევის შეფასების, ასაკის მიხედვით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებისა და ა. შ. უნარებს.

კონსტრუქციულ-ორგანიზატორულობითი ფუნქცია ორიენტირებულია ისეთი პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტურობას. იგი მოიცავს მთელ რიგ უნარებს: პედაგოგიური პროცესის დაგეგმვის, შინაარსიანი საქმიანობისთვის მასალის, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შერჩევის, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რეჟიმის შესრულების ორგანიზების, განმავითარებელი გარემოს შექმნისა და მოსწავლის პიროვნების აღზრდის საშუალებად მისი გამოყენებისა და ა. შ.

დიაგნოსტიკურობითი ფუნქცია ორიენტირებულია აღსაზრდელებისა და პედაგოგიური პროცესის განსაზღვრაზე აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. იგი მოიცავს უნარებს: ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის თავისებურებათა განსაზღვრისა და საკუთარ საქმიანობაში მისი გამოყენების, პროგრამის მოთხოვნებთან მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობის დამყარების, მთლიანობაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობის აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასთან მოსწავლის განვითარების კავშირების დანახვისა და სხვ.

კოორდინირებითი ფუნქცია ორიენტირებულია მოსწავლეზე პედაგოგიურ ზემოქმედებათა შინაარსისა და მიმართულებების გაერთიანებასა და შეხამებაზე, რაც ხორციელდება საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის სისტემაში. იგი გულისხმობს ისეთ უნარებს, როგორიცაა: მშობლებთან და კოლეგებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, მშობელთა პედაგოგიურ განათლებაში მონაწილეობის მიღება და სხვ.

კომუნიკაციურობითი ფუნქცია მასწავლებელთაგან მოითხოვს მაღალ ზნეობრივ და ხასიათის თვისებებს; მოითხოვს, რომ იყოს მოსწავლეებთან მუდამ კეთილმოსურნე, ტაქტიკური, ალერსიანი, თბილი და თავაზიანი.

მშობლიურობითი (დედობრიობითი) **ფუნქცია** ვლინდება მოსწავლეთა დადებითი ემოციონალური მდგომარეობის უზრუნველყოფაში, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში, მათი ნორმალური ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების უზრუნველყოფაში.

გარდამქმნელობითი ფუნქცია მასწავლებლისაგან მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისადმი შემოქმედებითი მიდგომის გამოვლენას.

ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმალური აგების აუცილებელი პირობაა ყვე-

ლა პედაგოგიური ფუნქციის ერთობლივი ურთიერთშეხამებული რეალიზაცია.

მეცნიერულ გამოკვლევაში ახალი ცოდნის მიღება მისი საკუთრივი მიზანია, რომელიც მიიღწევა ამავე მეცნიერების სპეციალური საშუალებებით. ამ საშუალებებს მიეკუთვნება კვლევის ჰიპოთეზა, მოდელირება, კვლევის მეთოდები და სხვ. პედაგოგიური საქმიანობის საშუალებები უფრო ფართოა. ისინი მოიცავენ უკვე მიღებული ცოდნის ფლობასაც და მის გამოყენებასაც. გარდა ამისა, თვით მეცნიერული გამოკვლევა შეიძლება იყოს პედაგოგიური სინამდვილის გარდაქმნის საშუალება.

მეცნიერული გამოკვლევა წარმოშობს მეცნიერულ ცოდნას, როგორც მის შედეგს და პრაქტიკის უკეთესობისკენ შეცვლის ხერხს, მაგრამ მეცნიერული კვლევის ჩარჩოებს მიღმა ეს მეცნიერული ცოდნა იქცევა თეორიულ საშუალებებად, რომლებიც ავსებენ შემეცნების მატერიალურ-ტექნიკურ და ენობრივ საშუალებათა სისტემას. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ახალი პრობლემების წამოყენებას, მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ახალი ციკლის წარმოშობას.

პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობის მიზნები და შედეგები გავლენას ახდენენ მეცნიერული პედაგოგიკური საქმიანობის მიზნებსა და საშუალებებზე. საქმიანობის სტრუქტურის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენის, გართულება გარდაუვალად წარმოშობს მისი პრაქტიკული განხორციელების სიძნელეებსაც.

საქმიანობის ძირითადი **წინააღმდეგობრიობები** არსებობს:

- პიროვნების ფსიქიკური პოტენციალის დონესა და საქმიანობაში მისი რეალიზაციის ხარისხს შორის;
- საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ მოტივებს, მოლოდინებსა და მათთან შეუთავსებელ შედეგებს შორის;
- დიდი მიღწევების დაჩემების მაღალ დონესა და მათი უზრუნველმყოფელი საქმიანობის მიმართ ფსიქოლოგიური მზაობის დაბალ დონეს შორის;
- საქმიანობის სტარტზე სიტუაციის ადეკვატურ შეფასებასა და საამისო პრაქტიკულ უუნარობას შორის;
- საქმიანობის მსვლელობისა და პერსპექტივების პროგნოზირების აუცილებლობასა და საამისო უნარის არარსებობას შორის;
- განუწყვეტლივ ზრდადი მოთხოვნების დონესა და ამ დონეს ჩამორჩენილ სოციალურ-ფსიქოლოგიური მზაობის დონეს შორის (საქმიანობის ხასიათი, საქმიანობის ინტენსიფიკაციის პირობებში, ადამიანს ყოველთვის უყენებს მოთხოვნებს).

მაშასადამე, საქმიანობა შეიძლება იყოს სინამდვილის ობიექტი, შემეცნების ობიექტი, მეცნიერული შემეცნების ობიექტი, მეცნიერული კვლევის საგანი და ა. შ. არსებობს მეცნიერების სპეციალური დარგი, რომელიც სწავლობს მეცნიერულ შემეცნებას, – **მეცნიერების მეთოდოლოგია**.

ლიტერატურა:

1. Chkuaseli Qetevan, Chkuaseli Ivane. Pedagogikis Zogadi Safuzvlebi. Tbilisi, 2012.
2. Davidov V. P. Obraztsov P. I. , Uman A. I. Metodologiya I Metodika Psikhologo-Pedagogicheskogo Issledovanya. Moskva, 2006.
3. Jinjikhaze Jemali. Pedagogikuri Kvleva (Metodologia, Metodebi, Metodika). Tbilisi, 2016.
4. Koheni Luis, Manioni Lourens, Morisoni Qeit. Kvlevis Metodebi Ganatlebashi: (Https://Docs.Google.Com/Viewer?A=V&Pid=Sites&Srcid).
5. Kraevskiy V. V. Berezhnova E. V. Metodologya Pedagogiki: Noviy Etap. Moskva, 2008.
6. Kushner Yu. Z. Metodologya I Metody Pedagogicheskogo Issledovaniya. Mogilev, 2001.
7. Pedagogika: Teorii, Sistemy, Tskhnologii. Ed. A. Smirnova. Moskva, 2006.
8. Qurdadze Irma**.** Pedagogiuri Kvlevis Metodologia da Metodebi. Tbilisi, 2008.
9. Valeev G. H. Metodologya I Metody psikhologo-Pegagogicheskih issledovaniy. Sterlitamak, 2002.
10. Vasaze Natela**.** Pedagogika. Tbilisi, 2000.

Jemal Jinjikhadze

SCIENTIFIC COGNITION AS AN OBJECT OF PEDAGOGIC RESEARCH

Summary

Recently, it has become evident that the place of activity has changed in social life; Social processes of society become the subject of conscious, purposeful, scientific-based activity. Changes were also concerned to mutual respect of fundamental and applied sciences, which are connected to project – construction functions of scientific development; The development of society, science and culture not only creates new faces of the activity, but sets a problem about their deliberated projection. That is why all activities and activity approaches have attracted attention. The paper in this perspective has studied cognition as the object of pedagogical research.

გულნაზ ხუხუა

თავისუფლება თუ ბუნებრივობა ალზრდაში

„შენი საუნჯე შენი ვინაობაა“.

ი. ჭავჭავაძე

თავისუფლება უმაღლესი ღვთიური და ზოგადკაცობრიული ღირებულებაა, ცოცხალი არსების ბუნებრივი ზრდის, აღზრდისა და განვითარების ფუნდამენტური საფუძველი. არჩევანის თავისუფლება ღმერთმა უბოძა ადამიანს, მაგრამ თავისუფლების ცნებას ყველა თავისებურად იგებს. ამიტომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ჭეშმარიტი თავისუფლება ანუ ბუნებრივობა და ყალბი თავისუფლება ანუ თავაშვებულობა. როგორც ქრისტემ თქვა: „ხე ნაყოფით შეიცნობაო“ (მათე, 7:18). ასევე მოვლენების ღირებულება მისი შედეგით განისაზღვრება. ყველა ის უბედურება, რაც დღეს ხდება მთელ მსოფლიოში: უსამართლობა, ძალადობა, ბოროტება, დამანგრეველი ომები, ტერაქტები, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა, გარყვნილება და ა. შ. ყოველგვარი უმსგავსოება: უზნეო პოლიტიკის, ხარბი კომერციის, ცრუ რელიგიების, უღმერთობის და ყველაფერი ერთად კი არასწორი აღზრდის შედეგია. პედაგოგიკის კლასიკოსები ამიტომ მიიჩნევდნენ აღზრდას საზოგადოებრივ და მარადიულ მოვლენად. იან ამოს კომენსკი წერს: „არ არსებობს ამქვეყნად არავითარი იმაზე ჭეშმარიტი გზა ადამიანთა გახრწნილების აღმოსაფხვრელად, ვიდრე ახალგაზრდობის სწორი აღზრდაა.“ ნილ პოსტმანი წერს: „სკოლაში სწავლების მიზანი საერთო კულტურის შექმნაა“ (Postman, 2007: 75) და ავტორი იქვე განაგრძობს: „კაცობრიობის სიცოცხლის უნარიანობა და შემოქმედებითობა დამოკიდებულია მრავალფეროვნებაზე“ (Postman, 2007: 81), მაგრამ მრავალფეროვნება შემოქმედებითად და გასაერთიანებლად უნდა გამოვიყენოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შურისძიება, მტრობა აღმოცენდება“ (Postman, 2007: 77).

ჭეშმარიტი თავისუფლება ღვთისგანაა და გულისხმობს ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებებისა და სოციოგენური მოთხოვნების კანონიერი, ზნეობრივი გზით დაკმაყოფილების უფლებას, რომელსაც ახლავს გონივრულობა, ზომიერების, თავშეკავების, თავმდაბლობისა და მადლიერების გრძნობა. საღ ჭკუაზე მყოფი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა იარსებოს, შეგნებული ცხოვრებით იცხოვროს, დაიცვას საზოგადოებაში თანაცხოვრების წესი, იშრომოს, აიმაღლოს ადამიანური ურთიერთობის კულტურა, სათუთი დამოკიდებულება სამყაროსა და მისი შემოქმედისადმი, აკეთოს, შექმნას, აშენოს. ამავდროულად, მისი კანონიერი უფლებაა ჰქონდეს ჯანდაცვის, საცხოვრისის, კვების, განათლების, სიტყვისა და შრომის ადეკვატური გარემო პირობები.

აბსოლუტური თავისუფლება ბუნებაში, სამყაროში არ არსებობს. ღმერთმა თავის ქმნილებებს, მთელ სამყაროს, ცასა და დედამიწას და რაც

მათშია, დაუდგინა არსებობის, მოძრაობის, ცვლილების, განვითარების კანონები და პრინციპები, წესები, წესრიგი, ფუნქციები და საზღვრები, ჰარმონიულობა და შეთანხმებულობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირებულობა: „ანგელოზები, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ცანი და ცათანი, დედამიწა, და რაც მასშია, „მისი ბრძანებით შეიქმნენ, მისით დგანან ისინი მარადიულად, მისცა მათ წესი, რომელიც არ გაუქმდება“ (ფსალმუნები, 148: 1-14). ხოლო თავის მსგავსად და ანარეკლად შექმნილ ადამიანებს მისცა შემეცნების უნარი, რომ გაეგოთ ცხოვრების აზრი და ადამიანის დანიშნულება, რომ დამტკბარიყვნენ ბედნიერი ცხოვრებით უსაფრთხო, თვალწარმტაც და მშვიდობიან გარემოში; დაუდგინა ურთიერთობების, ქცევისა და მოქმედების ცნობილი ზნეობრივი ნორმები 10 მცნების სახით. რომელთა დაცვა უზრუნველყოფდა უსაფრთხო, მშვიდობიან და ბედნიერ თანაცხოვრებას ამ ულამაზეს, უმდიდრეს და თვალწარმტაც დედამიწაზე.

ეს რაც შეეხება ზოგადად ჭეშმარიტ თავისუფლებას. კერძოდ, ბავშვის თავისუფლება კი იმაში მდგომარეობს, რომ მას უფლება აქვს მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენებისა და განვითარებისათვის ჰქონდეს შესატყვისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიურ-ემოციური, სოციალ-ეკონომიური და მორალური პირობები; მიიღოს მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების ადეკვატური განათლება და აღზრდა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის, რომელიც გულისხმობს, როგორც იაკობ გოგებაშვილმა ბრძანა, გონებრივ სიმაღლეს, ზნეობრივ სისპეტაკეს, სულიერ სიმდიდრეს და სიკეთეს. ასევე დაცული უნდა იქნეს ბავშვის თამაშის, გართობისა და დასვენების ბუნებრივი უფლებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფლების ჭეშმარიტება და სიყალბე შედეგითა და წარმომავლობით განისაზღვრება. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ მათი წარმომავლობა ღვთისგანაა თუ სატანისგან. ამაში დაგვეხმარება ბიბლიის გამოცხადების 12: 9 პირველი ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: ზეციდან „გადმოგდებულ იქნა დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო.“ სატანა-ეშმაკი, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა კაცობრიობის წინაპარი წყვილი – ადამი და ევა და ისინი დაუპირისპირა ყოვლისშემოქმედ უზენაეს ღმერთს. სანამ არ გავიგებთ, როგორც ქრისტემ თქვა: „ვინ არის „სიცრუის მამა,“ რომელიც ყალბი თავისუფლების უკან დგას, შეუძლებელია მის მახეში მოყოლილის თავის „სიმართლეში“ გადარწმუნება. ეს დაამტკიცა დრომ და რეალურმა სინამდვილემ.

თავისუფლებას, რომელსაც აღსაზრდელი ზნეობის დაცემისკენ მიჰყავს, ეს ყალბი, მაცდუნებელი თავისუფლებაა, რომელიც გამოხატულებას პოულობს მის ქცევასა და მოქმედებაში, ასოციალურობაში, დაბალ აკადემიურ მოსწრებაში, კონფლიქტურობაში, ყველასა და ყველაფერი ღირებულისადმი უპატივცემლო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებებსა

და ურთიერთობებში და, საერთოდ, მოსწავლის წესებისადმი დაუმორჩილებლობაში. ეს სიპტომები აშკარად და ცხადად იკვეთება თანამედროვე განათლების სისტემაში საერთოდ და კერძოდ, ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებში. ეგოცენტრიზმი, მატერიალიზმი, ამპარტავნობა, ქედმაღლობა, სიძულვილი, სიცრუე, შურიანობა, სიხარბე, გარყვნილება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა, დაზიანება და მკვლელობებიც კი სკოლის ცხოვრების თანამგზავრად იქცა. უკანონო, არასრულწლოვანი დედებისა და მამების, მკვლელებისა და მოკლულების სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც ბეჭდური და ვერბალური მედიებით ვიგებთ, ნამდვილად გამაოგნებელია.

ერთი კვირის განმავლობაში ორ სკოლაში მომიწია კლასებში საშინელი ინციდენტის განხილვაში მონაწილეობის მიღება. თანაკლასელმა გოგონებმა თმებით ითრიეს ერთმანეთი. ყველა თავდამსხმელს ამართლებდა, ხოლო დაზარალებულს ამტყუნებდა და სრულიად უაპელაციოდ, უსულგულოდ, საშინელი აგრესიული ტონით სკოლიდან მის წასვლას მოითხოვდა დირექტორის მხარდაჭერით. ჩანდა, რომ თავდამსხმელი კლასელების წაქეზებული იყო, მაგრამ სიმართლისა და პატიოსნების წყალობით ორივე დაზარალებული ბავშვი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ორივემ დამნაშავედ სცნო თავი, პატიება ითხოვეს და პირობა დადეს, რომ მათი მხრიდან მსგავსი არაფერი მოხდებოდა.

ადამიანის ყოვლად დამამცირებელი მეორე ინციდენტი მოხდა სხვა სკოლის VIII და III კლასელებს შორის. ხუთი წლით უფროსი ბიჭი თავს დაესხა III კლასელ ბიჭუნას უკნიდან სრულიად მოულოდნელად და საჯაროდ შარვალი ჩახადა. შეურაცყოფილი ბიჭუნა ტირილით სახლში გავარდა. აღშფოთებული მშობლები ბავშვიანად გამოქანდნენ სკოლაში იმ იმედით, რომ მომხდარი ინციდენტი ადეკვატურად იქნებოდა შეფასებული სკოლის ხელმძღვანელობის მიერ. მაგრამ პირიქით, სულ სხვა სურათი დახვდათ. თითქოს არც არაფერი მომხდარა. მასწავლებელს, არამც თუ ზომების მიღება, ამ ინციდენტისთვის საერთოდ მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და დაზარალებულ ბავშვს უბრალოდ მოუწოდა სიმშვიდისაკენ. ამ შემთხვევაში მშობლებს ისღა დარჩენოდათ, რომ თავად მიეღოთ სათანადო ზომები. ინციდენტი იმით ამოიწურა, რომ დამნაშავეს დაჩოქილს მოახდევინეს ბოდიში შეურაცხყოფილი ბავშვის მშობლებმა.

ზემოთ მოყვანილი ინციდენტები არ არის ერთეული შემთხვევები ჩვენს სასკოლო სინამდვილეში. მასშტაბები ბევრად უფრო გრანდიოზულია, ჩვენდა სამწუხაროდ!

მოდით, ამ ორ სასკოლო ინციდენტთან დაკავშირებით დავსვათ კითხვები: რასთან გვაქვს საქმე? რა არის ამის მიზეზი? და რა გამოსავალი არსებობს?

აღნიშნულ ინციდენტებიდან აშკარად გამოკვეთილია ე.წ. ბულინგი, რომელმაც ეპიდემიური ხასიათი მიიღო მთელ მსოფლიოში და რომელიც წარმოადგენს ძალადობას, სხვის ექსპლუატაციას, ჩაგვრას, შურს, სიძულვილს, აგრესიას, ეგოცენტრიზმს, ყველაზე წინ და მაღლა საკუთარი „მე“-ს დაყენებას. თვითგანდიდების მანიას სხვისი დამცირების ხარჯზე.

ბულინგთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი თ. მუსერიძე-ჯავახიშვილი: „დაწყებით კლასებიდანვე სწავლაში წარუმატებელი მოსწავლეები (ძირითადად ბიჭები) გარდამავალი ასაკიდან, თვითდამკვიდრების, „დიდობისა“ და დამოუკიდებლობის დაკმაყოფილების საშუალებად ირჩევენ გაკვთილის გარეშე სასკოლო სივრცეში „გაბატონებას“ – ძალადობით სხვების დამორჩილებას“ (Museridze–Javakhisvili, 2016: 180), მაგრამ ბულინგის არსის ცოდნა არ არის საკმარისი პრობლემის მოსახსნელად. უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიღოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე, მაგალითად:

- რა არის ბულინგის, ესოდენ უარყოფითი და დამანგრეველი უარყოფითი ემოციების გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები?
- როგორ ვიპოვოთ ოპტიმალური გამოსავალი პრობლემის გადასაჭრელად?

პედაგოგიკურ მეცნიერებაში დადგენილია, რომ პიროვნების განვითარებას სამი უცვლელი ფაქტორი განაპირობებს. ესენია: მემკვიდრეობითობის ანუ ბიოლოგიური ფაქტორი, სოციალური გარემოსა და აღზრდის ფაქტორი. თითოეულ მათგანის ცალ-ცალკე და სამივეს ერთად გათვალისწინებას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაში. მემკვიდრეობითობის ფაქტორი შეიცავს ინფორმაციებს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, ბიოლოგიური ფონის – ტემპერემენტის, ფიზიკური, ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და ემოციური მდგომარეობის შესახებ, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ჩართვა და ადეკვატური სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობის წარმართვა. ამისთვის საჭიროა მასწავლებელი ფლობდეს ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნას.

სოციალური გარემოს ფაქტორს განსკუთრებული ადგილი უკავია სრულფასოვანი პიროვნების აღზრდაში. აღსაზრდელებს უჩნდებათ საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის დაუოკებელი, სამართლიანი სოციოგენური მოთხოვნები, როგორიცაა: სწრაფვა დიდობისაკენ, თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, აქვთ სურვილი ცნობდნენ, აღიარებდნენ, ყურადღებას აქცევდნენ, აფასებდნენ, მის აზრს ანგარიშს უწევდნენ, უსმენდნენ, ეკითხებოდნენ, ენდობოდნენ და რაც მთავარია, უყვარდეთ. ბავშვს აქვს უფლება ამ სამართლიანი სოციოგენური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჰქონდეს ადეკვატური გარემო პირობები. ქვეყანაში იყოს სამართლიანი, ყოველმხრივ მოწესრიგებული და განვითარებული სოციალურ–პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ვითარება, მაღალი დონის სახელმწიფო და საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ინსტიტუციები, სამართლიანი კანონის უზენაესობა, სოციალურად და ეკონომიურად დაცული ოჯახები, ზნემაღალი და დახვეწილი გემოვნების საზოგადოება და პროფესიონალი მასწავლებელი.

თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობისა და მიბაძვის წყალობით ბავშვი სარკესავით ირეკლავს მის გარშემო არსებულ საგნებს, მოვლენებს,

პროცესებს, ქცევებს, მოქმედებებსა და მეტყველების კულტურას. შემეცნების უნიკალური თეორიის – სენსუალიზმის მიხედვით ბავშვმა იცის მხოლოდ ის, რაც შეგრძნებაში ჰქონია: უნახავს, მოუსმენია, დაუყნოსია, დაუგემოვნებია და შეხებია. არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ გვქონია. ამ უნივერსალურ ფუნქციას ასრულებს ჩვენი შემოქმედის მიერ ბოძებული გრძნობათა ორგანოები. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ იან ამოს კომენსკის გენიალური ფრაზეოლოგიური ნათქვამი: „გონებას მოცემული აქვს როგორც მსტოვარნი და მზვერავნი ორგანოები, რომელთა მეოხებით ის წვდება იმას, რაც მის გარეთ არის: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, დაგემოვნება და შეხება ისე, რომ ვერც ერთი ქმნილებათაგანი ვერსად ვერ დაემალება. და, რადგან ხილულ სამყაროს არაფერი აქვს ისეთი, რისი ან ხილვა, ან მოსმენა, ან შეყნოსვა, ან დაგემოვნება, ან შეხება არ შეიძლებოდეს. ...ამიტომ არაფერია სამყაროში ისეთი, რომლის ჩაწვდომა ადამიანს, აღჭურვილს გრძნობითა და გონებით, არ შეეძლოს“ (კომენსკი, 1949: 48).

რეალური სინამდვილე, სამწუხაროდ, არ იძლევა ზნეობის იდეალურ მაგალითებს აღზრდისათვის. იმ მანკიერებებს, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მაღალ ეშელონებში, საზოგადოებაში, ურთიერთობებში ბავშვებს ნორმა ჰგონიათ და დასაშვებად მიაჩნიათ. იმეორებენ იმას, რასაც ხედავენ და ისმენენ უფროსებისგან. ყველას იზიდავს კომფორტული ცხოვრება, მაგრამ ბავშვები კარგად ხედავენ, რომ ეს პატიოსანი შრომით მიუღწეველია. ამიტომ არ იზიდავთ მათ სწავლის, შრომისა და მშრომელისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, პატიოსნება, რაც სკოლასა და მთელ საზოგადოებას უქმნის გარკვეულ პრობლემებს.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მოზღვავებულ საინფორმაციო საშუალებებს, ცხოვრების რიტმის აჩქარებულ დინამიკას მოჰყვა აქსელერაციის პროცესი, რომელმაც გამოიწვია ბავშვების ნაადრევი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მომწიფება და დაირღვა ბალანსი ფიზიკურ განვითარებასა და სოციალიზაციას შორის. ამ დისბალანსთან დაკავშირებით უფროსები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას: „ამხელა „ვერზილას“ ჭკუა არა აქვს თავშიო.“ რამდენჯერ მოგვისმენია ბავშვებისგან წუხილი სიმაღლის გამო მისი ქცევის არასწორად შეფასებისათვის. „ჩემმა სიმაღლემ ბავშვობა წამართვაო.“ მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვის ასაკობრივ თავისებურებას მისი ფიზიკური მდგომარეობა: ზომა და წონა არ განსაზღვრავს. ასეთ დროს მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს არა სუბიექტური მოსაზრებებითა და შიშველი პრაქტიციზმით, არამედ უნდა დაეყრდნოს განვითარების კანონზომიერებებსა და პედაგოგიურ კანონებსა და პრინციპებს.

არანაკლებ პრობლემურია დღეს სკოლებში მოსწავლეთა ჩაცმისა და ვარცხნილობის თავისუფლება. ზღვარსგადასული მოდის გავლენა ახალგაზრდებზე. ასაკთან, მოსწავლის სტატუსთან და მის ფიზიოლოგიურ კონსტიტუციასთან შეუფერებელი ჩაცმულობა და ვარცხნილობა და თუ ამას ემატება კიდევ მაკიაჟი და სამკაულებიც, ასეთი უსაზღვრო თა-

ვისუფლება ბავშვს უკარგავს ბუნებრიობას და არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.

ჩაცმულობასთან დაკავშირებით სკოლაში არის მეორე უკიდესურობა. ყველამ ვიცით, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება დაყოფილია მდიდრებად და ღარიბებად. ამის მიზეზი სხვა თემაა და ამაზე აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყველა ოჯახს არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავის ბავშვს მდიდრულად ჩააცვას. მდიდრების გაზულუქებული ბავშვები კი ბოროტად სარგებლობენ თავიანთი მატერიალური შესაძლებლობით და სხვისი გაჭირვებით ხალისობენ, შეურაცხყოფას აყენებენ თავიანთი ცრუ უპირატესობის დასამტკიცებლად. დაჩაგრული ბავშვები კი მუდმივად თავდაცვით პოზიციაში არიან და, მიკერძოების შემთხვევაში კი, რაც, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს, დამნაშავედ მსხვერპლი გამოყავთ, რის შედეგადაც დაზარალებულს უსამართლობისა და პროტესტის გრძნობა უჩნდება. ზოგი ამას ავლენს აგრესიულობით, შურისძიებითა და ანგარიშსწორებით, ზოგი კიდევ თავისი უმწეობით ითრგუნება და თავისთავში იკეტება.

ძალადობისა და სექსუალური შინაარსის შემცველი ინფორმაციები უწყვეტ ნაკადად მოედინება ტელევიზიის, კინოფილმების, მუსიკალური ვიდეოკლიპებისა და ინტერნეტის მეშვეობით, რომელსაც აქტიურად ეწაფებიან გაუთვითცნობიერებელი ბავშვები და ხშირად „ტელემანიაკებისა“ და „კიბერხულიგნების“ მახეშიც ებმებიან. უფრო მეტიც, ზოგჯერ შემთხვევით, ზოგჯერ სპეციალურად ახალგაზრდა აწყდება თვალის მაცდუნებელ პორნოგრაფიულ ვებსაიტებს და ინტიმურ ვებჩეთებს, რომლის გავლენა იმდენად დიდია, რომ ის მთელი არსებით ებმება ვირტუალურ-ინტიმურ ურთიერთობებში, რაც ემოციურ და ზნეობრივ ზიანს აყენებს და აფერხებს ადამიანურის, ღირებულის გამოვლინებასა და მით უმეტეს, განვითარებას.

როგორც ცნობილია, ეს უბედურება მარტო ჩვენთან არ არის, თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია ჩენთვის. ამერიკელ და ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევებში თავმოყრილია გამაოგნებელი სტატისტიკური მონაცემები პორნოგრაფიით გატაცებულთა დანგრეული ოჯახების, მოზარდების გონებრივი და ზნეობრივი დეგრადაციის, სექსუალური ძალადობის, ნაადრევი სექსუალური კავშირისა და უკანონო ფეხმძიმობის, მორალურ-ემოციური ზიანის, აკადემიური ჩამორჩენილობის, შიდსის გავრცელებისა და სხვა იმ სისაძაგლეების შესახებ, რაც თან სდევს უნიკალურ თანამედროვე ტექნიკის ბოროტად და არაგონივრულად გამოყენებას.

წარუმატებელმა განათლების რეფორმების რეფორმათა რეფორმებმა ვერ მოიტანა ღირებული შედეგები. სწორად აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა თავის გამოსვლაში, რომ განათლების რეფორმებმა საშინელი კრახი განიცადაო. თუმცა კრახის მთავარ მიზეზებზე არავინ ლაპარაკობს. საერთოდ ყოველგვარ განვითარებას და მათ შორის განათლების განვითარებას თავისი კანონები და კანონზომიერებები, წესი და წესრიგი, ისტორიული მემკვიდრეობითობის პრინციპი განაპირობებს. ნიჰილიზმი – კაცობიობის მიერ დაგროვილი უმდიდრესი ცოდნა-გამოცდილების

უგულებელყოფა და შიშველ ნიადაგზე საძირკვლის გარეშე სიახლის ეგიდით ეროვნული სპეციფიკის გაუთვალისწინებლად უცხოელ ხალხთა გამოცდილების მექანიკური გადმოტანა იწვევს ორივეს: უცხოური და შინაური განათლების გაუფასურებას. ზუსტად ეს მოხდა ჩვენს განათლების სისტემაში. ნიჰილიზმთან დაკავშირებით დევიდ პერკინსი წერს: „თუ არ გესმით როგორ იფურცლება ისტორია, ძნელად ჩასწვდებით თანამედროვეობის მაჯისცემას, ვერ შევძლებთ საკუთარი ცხოვრების ისტორიული რაკურსიდან შეფასებას“ (Perkinsi, 2007: 14).

ეროვნული სახელმწიფო ენისა და განათლების დაკნინებამ, უფროსი თაობის, რომელთა მხრებზე იდგა მთელი მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სვეტები, „ჩარეცხილებად“ გამოცხადებამ, ყოვლად უაპელაციოდ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხთან და პროფესორის წოდებასთან გათანაბრებამ, განათლების მინისტრებად ხან წყალკანალის სპეციალისტის, ხან იურისტის, ხან ექიმის, ხან ეკონომისტის, ხან კიდევ ვინ არა, გარდა პედაგოგისა, თითქოს პედაგოგიკის დოქტორები და პროფესორები, ან თუნდაც რიგითი პედაგოგები დაწყდნენ საქართველოში. მეპურემ „პური უნდა აცხოს, მეწაღემ წაღები კეროს“ – ფორმულამ მოიტანა საბერძნეთისა, და, საერთოდ, მთელი ანტიკური ცივილიზაციები. ყველა დროისა და ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილები, დიდი მეცნიერები ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ გზად პროფესიონალიზმს და საქმისადმი ერთგულებას თვლიდნენ.

დღეს იმაზე ბჭობენ ქვეყნის კანონმდებლები ე.წ. „სექსის გაკვეთილი“ რომელ კლასში დააკანონონ. სამასხარაო გახადეს ღვთის მიერ დადგენილი ამაღლებულ სიყვარულზე დაფუძნებული უწმინდესი, კანონიერი ცოლ-ქმრული სქესობრივი კავშირი, რომლის მისიაა კაცობრიობის შთამომავალთა გამრავლება, ახალი სიცოცხლის გაჩენა. არავინ არაა იმისი წინააღმდეგი, რომ სქესობრივი მომწიფების ასაკში მოსწავლეებმა ისწავლონ ქალისა და კაცის დანიშნულება და ურთიერთობის კულტურა, რომ ღირსეული ოჯახის საფუძველია მოწონება და ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და ერთგულება, ინტერესთა ერთიანობა, ასკობრივი, ფიზიკური და ხასიათის შესატყვისობა. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება.

მთელი ზოგადი განათლების სისტემა ორიენტირებულია სწავლა/სწავლებისა და კვლევების მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე: როგორ ვასწავლოთ? და რისთვის ვასწავლოთ? ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ პრობლემა მის ცალმხრივობაშია. საქმე იმაშია, რომ აქ იგნორირებულია მთავარი, პედაგოგიური სისტემები:

- რა ვასწავლოთ? ე.ი. განათლების შინაარსი, ინფორმაცია – ცოდნის წყარო, რომლის ასათვისებლად გვჭირდება სწავლების მეთოდები, ტექნოლოგიები და კვლევები;
- სწავლების ფუნქციების (საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი) კომპლექსური ერთიანობა;
- ერთმანეთთან ორგანულად დაკაშირებული და ერთიმეორის განმაპირობებელი უნიკალური და მარადიული პედაგოგიური პრო-

ცესები: სწავლება და აღზრდა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული სრულფასოვანი პიროვნების ფორმირება, რომელიც განათლებულიც იქნება, სულიერად მდიდარი, ზნემაღალი, დახვეწილი, გემოვნებიანი და ფიზიკურად ჯანსაღი, შრომისუნარიანი, მიზანსწრაფული, მარჯვე და მოქნილი და ამ დროს რა ხდება?! აღზრდის ცნების ხსენებაც კი ცოდვადაა მიჩნეული და თვლიან, აღზრდა სკოლისა და სახელმწიფოს საქმე არ არის, რომ ის მოძველებულია და გამოუსადეგარი, უფრო მეტიც, „აღზრდა ძალადობააო ბავშვებზე.“

- უსარგებლოდ გართულებულ-დაწვრილმანებულია ცოდნის შეფასების კრიტერიუმები;
- აღრეულია პედაგოგიკურ ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემა საომარი ტერმინებით (ოკუპაცია, ინტერვენცია, იერიში, პილოტირება და ა. შ.);
- თავისუფლების ეგიდით დარღვეულია მოსწავლეთა აქტივობის პედაგოგიური და ზნეობრივი ჩარჩოები;
- შეზღუდულია მასწავლებლის უფლებები და ხელფასი და სხვ.
- დარღვეულია სწავლა-განათლებისა და აღზრდის მეცნიერების – პედაგოგიკის სტრუქტურული აგებულება, სიმწყობრე, მეცნიერულობის, თანმიმდევრულობისა და სისტემატურობის დიდაქტიკური პრინციპები, ცნებით-ტერმინოლოგიური სისტემა, მის სხეულში ზედმეტად შეჭრილია ფსიქოლოგიზმი და საგნობრივი მეთოდიკა. (ეს ნათლად ჩანს სილაბუსებში);
- უგულებელყოფილია კაცობრიობის მიერ დაგროვილი უმდიდრესი პედაგოგიკური ცოდნა-გამოცდილება, თითქოს პედაგოგიკური მეცნიერება საბჭოთა კავშირის მიერ იყოს მოგონილი. (ლენინიც კი წინააღმდეგი იყო ნიჰილიზმის და მოითხოვდა რეტროსპექტრული ღირეულობებისა და ფასულობების შემოქმედებითად ათვისებასა და ზომიერად აწმყოში გადმოტანას).

მთელი პედაგოგიური პროცესი ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ და რისთვის ვასწავლოთ, ასევე ცოდნის შეფასების აჭრილ-ამჟავებულ და დაქუცმაცებულ მეთოდებზე. საერთოდ, იგნორირებულია განათლების შინაარსი, სწავლების ფუნქციები, აღზრდის ცნება. სწავლებისა და აღზრდის ორგანული კავშირი, პედაგოგიური კანონები და კანონზომიერებები, პრინციპები. მოშლილია არასაგაკვეთილო კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა და ყალბი თავისუფლების ეგიდით ხელმიშვებული ბავშვები მიყვებიან სტიქიურ დინებას. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მხარს უჭერს სრულ თავისუფლებას იმ იმედით, რომ ბავშვი პირადი გამოცდილებით მიხვდება იმას, თუ რა არის მისთვის უკეთესი. მაგრამ, სანამ ამას მიხვდება, ამასობაში არასწორი ქცევა ხომ ჩვევად ექცევა და ხელახლა აღზრდის პრობლემა ანუ კორექციის აუცილებლობის საკითხი დგება. ამიტომ არის შემეცნების სენსუალიზმის თეორია უნივერსალური, რომ ბავშვს იმთავითვე

სწორი შეგრძნებები მიეცეს. რაც გულისხმობს პედაგოგიურ საზღვრებში მოქცეული მოქმედების მრავალფეროვან არეალს, რომელიც ბავშვს მისცემს არჩევანის თავისუფლებას, სადაც ნებისმიერი არჩევანი ზნეობრივად ღირებული იქნება. ასეთი პედაგოგიური სიტუაციები ბავშვს ხელს შეუწყობს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნების, გრძნობებისა და უნარ–ჩვევების განვითარებას მის სოციალიზაციას.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ბავშვის ჭეშმარიტ და ყალბ, მაცდუნებელ თავისუფლებაზე, მათ არსზე, განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, იმ პრობლემებზე, რაც ემოციურ და მორალურ ზიანს აყენებს სკოლასა და საზოგადოებას. ახლა ვიმსჯელებთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე:

- უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიკურ მეცნიერებაში ნიჰილიზმს უნდა ვუთხრათ უარი და სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებაში უნდა ვაღიაროთ აღზრდისა და მისი მეცნიერების პედაგოგიკის პრიორიტეტულობა;
- პედაგოგიკური მეცნიერების შეუცვლელი როლი და მნიშვნელობა პროფესიონალი პედაგოგიური კადრების მომზადებაში;
- პედაგოგიკის მეცნიერება მავანთა სუბიექტურ მოსაზრებებზე აგებულ სილაბუსს კი არ უნდა ემთხვეოდეს, არამედ პირიქით, სილაბუსი უნდა ემთხვეოდეს პედაგოგიკის თეორიას და გზას უნათებდეს პრაქტიკას, დაცული უნდა იყოს მეცნიერულობის, თანმიმდევრობისა და სისტემურობის დიდაქტიკური პრინციპი.
- სკოლაში „სექსის გაკვეთილი“ კი არა, ეთიკის (ზნეობის) გაკვეთილი უნდა შემოვიტანოთ;
- ბავშვთა ცნობისმოყვარეობისა და მიმბაძველობის ღვთიური უნარები გამოყენებული უნდა იქნეს სიკეთის, სილამაზისა და მშვენიერების, ამაღლებულის, ზოგადკაცობრიული ღირებულებებისა და ფასეულობების შესასწავლად, იდეალური ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მაგალითების გასაცნობად, რომ მოსწავლეს ჰქონდეს სიკეთისა და უკეთურობის შედარებისა და გარჩევის საშუალება. ამისთვის საუკეთესო გზას წარმოადგენს ღვთისა და მისი ძის იესო ქრისტეს და მათ მიმდევრების: ნოეს, მოსეს, აბრაამის, დავითის, სოლომონის და სხვა ბიბლიური პერსონაჟების ქრისტეს მოციქულების ჩათვლით და არა მარტო მათი, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი კლასიკოსების გაცნობა. უზადო და წუნდაუდებელი პირადი მაგალითები არაჩვეულებრივ გამაკეთილშობილებელ და განმავითარებელ გავლენას ახდენს აღსაზრდელებზე.

სკოლა და მასწავლებელი – ეს ორი ღვთაებრივი მოვლენა აღვირახსნილი ბიუროკრატიის, გაფეტიშებული მეთოდების და ტექნოლოგიების მსხვერპლად იქცა. მასწავლებელი გადარჩენისათვის იბრძვის და არც დრო და არც ძალა არ რჩება ბავშვების განათლებისთვის. ეს პრობლემა, როგორც ამერიკელი მეცნიერის ნილ პოსტმანის წიგნიდან „განათლების მიზანი“ ჩანს, მარტო ქართული არ არის. „მეტისმეტად ბევრი ინსტრუ-

მენტი, ისევე, როგორც მეტისმეტად ბევრი ბიუროკრატია, მხოლოდ ხელს უშლის სწავლებისა და სწავლის ბუნებრივ დინებას“ (Postmani, 2007: 32).

ამრიგად, მოცემულ ნაშრომში გამოკვლეულია აღზრდაში ბუნებრივი თავისუფლებისა და ყალბი თავისუფლების თავისებურებები, მათი განმასხვავებელი ნიშნები წარმომავლობისა და შედეგების ანალიზის მეთოდით. დასაბუთებულია ჭეშმარიტი ბუნებრივი თავისუფლების ღვთიური წარმომავლობა, ზოგადკაცობრიული და პედაგოგიური ღირებულება. ჭეშმარიტი თავისუფლება ემსახურება ბავშვის ბუნებრივი ბიოგენური მოთხოვნილებებისა და სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მისი კანონიერი უფლებების დაცვას. რასაც შედეგად მოსდევს პროსოციალურობა, მაღალი აკადემიური მოსწრება, სანიმუშო ყოფქცევა, განათლებულობა, განვითარება, მაღალი სულიერობა, ზნეკეთილობა, დახვეწილი გემოვნება და ა. შ.

ყალბი თავისუფლება ამოიცნობა მისი ნეგატიური შედეგებით, როგორიცაა: ასოციალურობა, დაბალი აკადემიური მოსწრება, მოსწავლის წესებისადმი დაუმორჩილებლობა, კონფლიქტურობა, ძალადობა, უმეცრება, ე.წ. ბულინგი და ა. შ.

სამყაროში, ცასა და დედამიწას და რაც მათშია, ყველაფერს აქვს თავისი არსებობისა და განვითარების ღვთის მიერ დადგენილი საზღვრები, კანონები, კანონზომიერებები, წესები და პრინციპები, მით უმეტეს აღზრდა, ეს უფაქიზესი და უნიკალური საქმეც, ბუნებრივია, ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. ამიტომ, ბუნებრივია და კანონზომიერი აღზრდაში პირველი და მთავარი უნდა იყოს მისი (აღზრდის) მეცნიერება – პედაგოგიკის თეორია, რომელიც თავისი პედაგოგიკური ცნებითი-ტერმინოლოგიური სისტემის მეოხებით ხსნის პედაგოგიურ მიზანს, კანონებსა და კანონზომიერებებს, შინაარსს, პრინციპებს და წარმოადგენს მის სისტემაში შემავალი დარგების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

პედაგოგიური პროცესის ორი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სისტემის: სწავლებისა და აღზრდის ერთმანეთისგან გახლეჩვა და აღზრდის ბავშვზე ძალადობად გამოცხადება, არის საზოგადოებაში არსებული უბედურებების მიზეზთა მიზეზი. აღზრდის სისტემაში შემავალი კომპონენტების უბრალო ჩამონათვალიც კი ცხადს ხდის იმ დანაკლისს, რაც მიადგა უმცროს თაობას და მთელ საზოგადოებას. შეუძლებელია ამ დანაკლისის კომპენსაცია აღზრდის სისტემის (თავისი ხუთივე კომპონენტით: გონებრივ-ინტელექტუალური აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, სულიერი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა და ფიზიკური აღზრდა) თავის უფლებებში სრული აღდგენის გარეშე. პედაგოგიკის თეორიის სილაბუსები აღზრდის სისტემის გარეშე ფრთამოტეხილ ფრინველს, უფრო მეტიც, „ეზოპეს ყვავს“ ჰგავს.

ლიტერატურა:
1. Biblia – Axali Qveynierebis Targmani, Tbilisi, 1984.
2. Khukhua Gulnazi, Pedagogikuri Narkvevebidan – Tavisufleba tu Zalaufleba?!, Tbilisi, 2014.
3. Komenski Ian Amos, Didi Didaqtika, Tbilisi, 1949.
4. Muserize-Javaxisvili Tamar, Inkluziuri Ganatlebis Erti Fsiqologiuri Aspeqti. Tbilisi, 2016.
5. Perkinsi Devi, Gonivruli Skola. Tbilisi, 2007.
6. Postmani Nil, Ganatlebis Mizani. Tbilisi, 2007.

Gulnazi Khukhua

FREEDOM OR NATURALNESS IN UPBRINGING

Summary

The paper deals with the problem of mixing true and false freedoms and identifying the truth on the basis of analysis of their origin and results; The results of true or natural freedom are: Pro-social behavior, high academic achievements, exemplary behavior, erudition, development, spirituality, high moral standards, love of God, humanity, diligence, refined taste and so on.

The results of false freedom are as follows: Asociality, low academic achievement, disobedience, violence, lack of education, egocentrism, ungodliness, misanthropy and so on.

The paper also discusses two major systems of pedagogical processes: upbringing and teaching; and the hardest consequences of splitting them; also analysis of calling upbringing "child abuse" and pedagogical means of rectifying the situation.

ოთარ ვახანია

სტუდენტური სპორტი და სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის პრობლემები

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და მისმა სამართალმემკვიდრემ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისი არსებობის 86 წლის განმავლობაში, 1932 წლიდან დღემდე ზოგჯერ რთული, ტრაგიკულიც და მასთან ერთად სახელოვანი გზა გამოიარა. ის გახდა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც სხვა მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად შესანიშნავი ტრადიცია გააჩნია სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროშიც.

ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი, თავიდანვე იქნა შეტანილი სასწავლო გეგმაში. ინსტიტუტი თანდათან ვითარდებოდა, უმჯობესდებოდა ინფრასტრუქტურა, აშენდა ინსტიტუტის ახალი შენობა და ა. შ.

ინსტიტუტის შესამჩნევი წინსვლა და აღმავლობა იწყება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესება და სტუდენტური სპორტის განვითარება ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. 1946 წ. გაუქმდა სამხედრო კათედრა და მის ნაცვლად შეიქმნა ფიზიკური აღზრდის კათედრა, რომელიც 5 საშტატო ერთეულით იყო დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, არც ერთ თანამშრომელს სპეციალური განათლება არ ჰქონდა.

სტუდენტთა ნამდვილ ფიზიკურ აღზრდაზე, სპორტის განვითარებაზე ლაპარაკი შეიძლება 1948 წლიდან დავიწყოთ. ფიზიკური აღზრდის კათედრა მთლიანად დაკომპლექტდა ახალგაზრდა სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით. სათანადო დონეზე ამაღლდა სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის პროცესი, კვირაში 4 საათი ტარდებოდა ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი I–II კურსებზე. სპორტის 15 სახეობაში რეგულარულად ტარდებოდა საწვრთნო მეცადინეობები. ბევრი სტუდენტი გახდა აფხაზეთისა და საქართველოს რეკორდსმენი, ჩემპიონი და პრიზიორი.

სტუდენტთა ფიზიკურმა აღზრდამ და სპორტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინსტიტუტის ცხოვრებაში, რაშიც, კათედრასთან ერთად, უდიდესი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის დირექტორს როსტომ წულუკიძეს. ამ პერიოდში ფიზიკური აღზრდის კათედრის წევრები იყვნენ: ო. ვახანია (კათედრის გამგე), უფროსი მასწავლებლები: ვ. კალანდაძე, თ. შუბლაძე, ა. წიქრიძე, რ. ტაგანაშვილი, გ. კიკვაძე, მასწავლებლები: გ. ელერდაშვილი, მ. გაბუჩია.

1949 წ. ინსტიტუტში გაიხსნა ფიზიკური აღზრდის სპეციალობა, რომელიც ამზადებდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, დარგის სპეციალისტებს, რამაც დიდი როლი შეასრულა აფხაზეთისა და სამეგრელოს რაიონების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მნიშვნელოვანი დეფიციტის აღმოფხვრაში.

ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ 1951 წ. ფიზიკური აღზრდის სპეციალობის მომსახურებისათვის გაიხსნა სპეციალური კათედრა – „ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის“ სახელწოდებით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ო. ვახანია. აღსანიშნავია, რომ კათედრამ დიდი როლი ითამაშა არა მარტო ფიზიკური აღზრდის სპეციალობის სტუდენტთა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სასწავლებელში აღნიშნულ სპეციალობაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რის შედეგად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ისტორიაში, გარდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტისა, პირველად ჩვენი კათედრის წევრებმა დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია, გამოაქვეყნეს წიგნები და მრავალი სამეცნიერო შრომა. ესენია: ო. ვახანია, რ. ტაგანაშვილი, თ. შუბლაძე, პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდის სპეციალობის კურსდამთავრებულები.: ვ. სახოკია, ბ. მიქაძე, მ. კორსანტია. მ. წიქრიძემ წარადგინა დისერტაცია დასაცავად, მაგრამ ვერ მოასწრო უცაბედად გარდაცვალების გამო. ეს ფაქტი უპრეცენდენტოა, რადგან დღემდე საქართველოს არც ერთ უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს სპორტის სფეროში სამეცნიერო ხარისხი არ გააჩნიათ.

სოხუმის უნივერსიტეტში ყველა პირობა იყო შექმნილი სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული დახელოვნებისათვის. უნივერსიტეტს ორი დიდი სპორტული დარბაზი ჰქონდა და, ამასთან ერთად, ჩვენი სტუდენტებისათვის სოხუმის ყველა სპორტული ნაგებობის კარი ღია იყო – სტადიონი, საცურაო აუზი, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნები და ა. შ. სპორტის 15 სახეობაში ასობით სტუდენტი სპორტულ ოსტატობას ეუფლებოდა. უნივერსიტეტის ფეხბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები და სპორტის სხვა სახეობის სპორტსმენები აფხაზეთისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები იყვნენ.

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავისი სიტყვა თქვეს დიდ სპორტშიც. აი, ზოგიერთი მათგანი:

გიგა ნორაკიძე – ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, უნივერსიტეტის ფეხბურთის წამყვანი მოთამაშე; თამაშობდა სოხუმის „დინამოში“, თბილისის „დინამოში“, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი.

რაშ ხუტაბა – ფილოლოგი, ზედიზედ ხდება აფხაზეთის, საქართველოს, ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში;

პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტები (ფიზიკური აღზრდის სპეციალობით):

ვლადიმერ დგებუაძე – მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალო-

სანი ჭიდაობა-ძიუდოში.

სერგეი ტერნავიხი – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 2-გზის ოქროს მედალოსანი ჭიდაობა-სამბოში.

ალექსანდრე გარადიანკინი – მსოფლიოს ოქროსა და ბრინჯაოს მედალოსანი ტყვიის სროლაში.

კარლო დარასელია – ევროპის ჩემპიონი, სსრკ, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი სასტენდო სროლაში, სროლის „მაესტროდ“ წოდებული იტალიაში.

უნივერსიტეტის სტუდენტებს დევნილობამდე ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული აქვთ 10 ოქრო, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

ეს ყველაფერი იყო სოხუმში, დევნილობამდე.

უნივერსიტეტის ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო დევნილობიდან. უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო თბილისში 1993 წ. ოქტომბრიდან. სხვა ფაკულტეტებთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო განათლების ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდის სპეციალობამ, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებმა. ფიზიკური აღზრდის სპეციალობას თავიდან შეექმნა სირთულეები სპორტული ბაზების და ინვენტარის უქონლობის გამო. მაგრამ სპორტის აკადემიის უანგარო დახმარებით ყველა პრობლემა მოგვარდა. უნივერსიტეტის დანარჩენ ფაკულტეტებზე ფიზიკური აღზრდა ისწავლებოდა მხოლოდ პირველ კურსებზე. უნივერსიტეტს არ გააჩნდა სპორტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მაგრამ ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე, ნიჭიერი და კარგი ორგანიზატორი მ. კორსანტია ახერხებდა სხვადასხვა ადგილას მეცადინეობის ჩატარებას სტუდენტთა საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ასევე მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სექციები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ტარდებოდა შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებები. სპორტსმენები მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ჩემპიონატებში, უნივერსიადაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. არაერთი სტუდენტი გახდა ჩემპიონი და პრიზიორი.

უნდა აღინიშნოს, რომ რექტორი, პროფესორი ოთარ ჟორდანია დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას და სპორტის განვითარებას.

უნივერსიტეტის სპორტსმენებს სხვადასხვა შეჯიბრზე მოპოვებული აქვთ ოქროს 10, ვერცხლის 16 და ბრინჯაოს 16 მედალი.

უნივერსიტეტისა და ქვეყნის სიამაყეა განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებულები: **ლუკა კურტანიძე** და **ვარლამ ლიპარტელიანი**.

ლუკა კურტანიძე – ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში.

ვარლამ ლიპარტელიანი – ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი

ლუკა კურტანიძე

ჭიდაობა-ძიუდოში.

2005 წლიდან დაიწყო რეფორმები, რომლებმაც მთლიანად შეცვალა სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის სისტემა. რა მოგვიტანა რეფორმებმა? რეფორმების შედეგად გაუქმდა ფიზიკური აღზრდის კათედრები, შეიკვეცა 12 სპეციალისტი. გაუქმდა ფიზიკური აღზრდის სპეციალობა, გაუქმდა ფიზიკური აღზრდის სწავლება ფაკულტეტებზე. რეფორმა კარგია თუ ის პროგრესს ემსახურება, მაგრამ როცა პირიქითაა, უკან გადადგმული ნაბიჯია, მაშინ ასეთი რეფორმა უაზრობაა.

რეფორმა, რომელმაც არსებული სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის სისტემა, სპორტის კარგი ტრადიცია ნულამდე დაიყვანა, რექტორატის ინიციატივა არ იყო. ეს უაზრო რეფორმა განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით იქნა განხორციელებული.

წარმოუდგენელია უნივერსიტეტი სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის და სპორტის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე.

თბილისის მერიამ უნივერსიტეტს აუშენა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, სადაც ვარჯიშობდნენ კალათბურთში, ხელბურთში, მინიფეხბურთში, ფრენბურთში, მაგრამ ეს მოედანი დღეს არ არსებობს, განადგურებულია, კერძო მშენებლობას შეეწირა. საუბარი იყო მისი აღდგენის შესახებ, მაგრამ არა ოფიციალურ დონეზე.

დღეს ფუნქციონირებს კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განყოფილება. ხუთი საშტატო ერთეულით, რომლის ხელმძღვანელია მ. კორსანტია. დეპარტამენტში მის გარდა სპეციალური განათლება სპორტში არც ერთ თანამშრომელს არ აქვს.

მიუხედავად სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობისა, ეს განყოფილება მაინც ახერხებს სტუდენტთა მცირე ნაწილის – 50 სტუდენტამდე (უნივერსიტეტის თითქმის 3000 სტუდენტიდან) სპორტში ჩართვას..., ანუ სტუდენტთა ძირითადი მასა მთლიანად მოწყვეტილია ფიზიკური აღზრდის პროცესს და სპორტს.

სახელმწიფოს მოვალეობაა ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობაზე. სხვა ფაქტორებთან ერთად, ჯანმრთელობის განმტკიცების საუკეთესო საშუალება ფიზიკური ვარჯიში, აქტიური მოძრაობა და სპორტია. დღეს საუბრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე, რომლის ერთ-ერთი ელემენტი სისტემატური ვარჯიში და აქტიური მოძრაობაა. დღევანდელი ადამიანის უბედურება უმოძრაობა – ჰიპოდინამიაა. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ადამიანის უბედურება უმოძრაობააო.

რა ფიზიკური დატვირთვა აქვთ ჩვენ სტუდენტებს? არავითარი, II–III სართულებზეც ლიფტით ადიან.

სამწუხაროდ, ჩვენ სტუდენტებს ელემენტარული ცოდნა არ აქვთ ფიზიკური ვარჯიშების ოჯახურ პირობებში დამოუკიდებლად ჩატარებისათვის. ამ მიმართებით სკოლას მათთვის არაფერი მიუცია. განა სტუდენტებმა არ იციან, რომ ფიზიკური ვარჯიში აუცილებელია მათი ჯანმრთელობისათვის? ბევრ სტუდენტს სურვილი აქვს ივარჯიშოს, მაგრამ სად და როგორ?

ხომ არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, ჩვენი სტუდენტობა რომ დროზე ადრე დაბერდეს. სად არის გამოსავალი ზემოთ აღნიშნული პრობლემიდან?

ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა, უნდა აღდგეს სპორტული მოედანი, მეორე – უნივერსიტეტში უნდა მოეწყოს ტრენაჟორების დარბაზი, რომლის მოწყობილობა არც ისე ძვირია და ამით შეიძლება გადაწყდეს სტუდენტთა ფიზიკური მომზადების ბევრი საკითხი. ტრენაჟორები შეიძლება განთავსდეს მესამე სართულზე ბიბლიოთეკის მიერ გამონთავისუფლებულ დარბაზში, ან სხვაგან. ამის საშუალება უნივერსიტეტს აქვს; მესამე და მთავარი, აშენდეს სპორტული დარბაზი, რაც რთულია, მაგრამ შესაძლებელი; მეოთხე, აღდგეს ფიზიკური აღზრდის სპეციალობა; მეხუთე, გაიხსნას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.

უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ხონელიძეს უმნიშვნელოვანესი გეგმები აქვს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროს გაუმჯობესებისათვის, უნივერსიტეტის სრულყოფისათვის. უნივერსიტეტის საქმიანობა ბატონ ზურაბის მოსვლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა.

მოკლე დროში საგრძნობლად გაუმჯობესდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, გულს ახარებს დღეს უნივერსიტეტის კორპუსების, აუდიტორიების, კაბინეტების, დერეფნების და სხვათა ვიზუალური მხარე. არ ვლაპარაკობ სასწავლო და სამეცნიერო პროცესის საგრძნობ ამაღლებაზე, სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნიკის ფართო დანერგვაზე, სტუდენტთა მნიშვნელოვან გააქტიურებაზე და სხვა მრავალ სიკეთეზე, რაც უნივერსიტეტში ხდება.

სოხუმის უნივერსიტეტში დღეს, ძირითადად, ერთადერთი პრობლემა სტუდენტის ფიზიკური აღზრდა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. სპორტი უნდა გახდეს ყველა სტუდენტისათვის მისაწდომი. დღეს უნივერსიტეტებს დიდი ავტონომია აქვთ და თვითონ შეუძლიათ ბევრი საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრა.

მჯერა, მაღალი ნიჭიერებითა და დიდი ორგანიზატორული თვისებებით დაჯილდოებული ბატონი ზურაბ ხონელიძე ზემოთ აღნიშნულ პრობლემასაც დადებითად და დროულად გადაწყვეტს.

Otar Vakhania

STUDENT SPORT AND STUDENTS' PHYSICAL EDUCATION PROBLEMS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper discusses the history of students' physical education and sports and the problems in this field in Sokhumi State University recently.

SSU has passed 86 successful years of its existence, and the famous way in the field of students' physical education and sports. Two chairs were functioning at the university: The chair of the physical education and the chair of the physical education theory and methods. Physical education as a subject was taught at all faculties.

A number of Olympic Games prizes, World and European champions were raised at our university. All this was before the downfall of Sokhumi in 1993. During the first period of our displacement, despite the lack of sports infrastructure, physical education and sports had been successfully developing.

The reforms made in the university led to the abolition of physical education chairs, physical education specialty and physical education as a subject in all faculties.

Reforms are good if they serve progress, other vise, they are a step back.

Where is the solution? In my opinion: The chair of the physical education and sports must be opened; A ruined playground must be rebuilt; A new, well equipped gymnasium must be opened.

Today the university is independent and can solve the above mentioned problems easily.

ლეილა შეროზია

პიროვნებაზე ორიენტირებული აღზრდა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

პიროვნებაზე ორიენტირებული აღზრდა – ეს არის არა აღზრდის ახალი მეთოდი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ იგი უახლესი ტექნოლოგიაა, რომელიც ასწავლის აღსაზრდელს, რა და როგორ უნდა გააკეთოს, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგს.

პიროვნებაზე ორიენტირებული აღზრდის ძირითადი ნიშანია თავისუფლება. ბავშვს არ აიძულებენ შეასრულოს ესა თუ ის მოთხოვნა, პირიქით, სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით უქმნიან ისეთ პირობებს, რომ ბავშვი თვითონ მივიდეს სწორ დასკვნამდე. პედაგოგი ვალდებულია თვალყური ადევნოს ბავშვის განვითარების პროცესს, მაგრამ არ უნდა ჩაერიოს მის მიმდინარეობაში. ამ გზით იგი უზრუნველყოფს ბავშვის თავისუფლებას. აღმზრდელი მხოლოდ ქნის პირობებს თვითგანვითარებისათვის. „ხელოვანი მასწავლებელი დროულად ხვდება, სად არის საჭირო მისი ჩარევა და სად არა, როცა იგი შეამჩნევს რომ ბავშვებს საკუთარი ძალებით არ ძალუძთ პრობლემის გადაჭრა, მხოლოდ მაშინ ერევა მის საქმიანობაში“ (Vulfson, 1996: 75).

ავტორიტარულ პედაგოგიკას შემუშავებული ჰქონდა მუშაობის საკუთარი სქემა: მოთხოვნა-აღქმა-მოქმედება. გაიგე? – ეკითხებოდა მასწავლებელი, მაშინ კეთილი ინებე და შეასრულე. თავისუფალი პიროვნება რომ აღზარდოს, აუცილებელია ბავშვი მივაჩვიოთ იმას, რომ მან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, პასუხი აგოს მის შედეგებზე. ამისათვის კი საჭიროა შევეცადოთ თვითოეულ მოსწავლეში აღვზარდოთ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიც გახლავთ, იფიქრონ დიდხანს, იმოქმედონ სწორად, გარეგანი დაძალების გარეშე, პატივი სცენ პიროვნების არჩევანსა და გადაწყვეტილებას, გაითვალისწინონ მისი პოზიცია, შეხედულებები, გადაწყვეტილებები და ა.შ.

დღეს ძალიან ბევრი მასწავლებელი ბავშვს ეპყრობა ყოველგვარი პატივისცემის გარეშე. ეს შეიძლება ჩვენი ძველი მენტალიტეტის შედეგია. მაგრამ უდავოა, რომ მიდგომა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რათა ბავშვმა იგრძნოს საკუთარი თავის რწმენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი არ მოინდომებს დიდობაში შესვლას და თავის საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტება. (ყველასთვის ცნობილია, რომ ჰუმანისტური პედაგოგიკის ძირითადი მახასიათებელია – თავისუფალი არჩევანის განცდა და დიდობაში შესვლის ფსიქოლოგია – ხაზგასმა ჩემია: ლ. შ.).

საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ან თუნდაც თბილისში იშვიათად შეხვდებით ისეთ მასწავლებელს, რომელიც პირველკლასელებს თქვენობით მიმართავს. სინამდვილეში ასე უნდა იყოს, რათა პატარამ იგრძნოს,

რომ მასწავლებელი მის გვერდით დგას და არა მასზე მაღლა. ბავშვები ყოველთვის მიილტვიან იქითკენ, სადაც ისინი უყვართ, სადაც მათი სჯერათ და ეცნობიან. „სიყვარულის სკოლის“ ტექნოლოგია ყველასთვის გასაგებია, აქ მასპინძლები ბავშვები არიან, ხოლო აღმზრდელები უფროსი მეგობრები, რომელთანაც შეიძლება ყველა საკითხის გადაჭრა. აღმზრდელები არა მარტო გულდასმით თამაშობენ ბავშვებთან, არამედ ყველაფრის აკეთებენ იმისათვის, რომ უფრო მეტად გაართონ ისინი. ბრძანების – „გააკეთეს“, ნაცვლად, აღმზრდელები ეძებენ გზებსა და საშუალებებს, რომელიც ბავშვის დამოუკიდებელი სურვილის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

ვიკვლევთ რა პირველკლასელების საქციელს თბილისის რამდენიმე სკოლაში (კვლევა ჩატარდა 2012-2014 წლებში) მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბევრი აღსაზრდელი კარგად იცნობს მორალურ ნორმებსა და პრინციპებს, მაგრამ შეგნებულად არღვევს მას. რას აკეთებს ამ დროს მასწავლებელი? უკითხავს მათ მორალს, სჯის თუ ხშირად ამეორებინებს ქცევის წესებს? სამწუხაროდ, ყოველთვის გვავიწყდება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ბავშვი არასოდეს არ გააკეთებს სიხარულით იმას, რაც მის ჭკუაში არ ჯდება, ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია ჩამოუყალიბოს ბავშვებს მორალური ნორმების საფუძველი.

კერძოდ, აღნიშნულ სკოლებში პირველკლასელებს ვთხოვე ყოფილიყვნენ ჩვენი დამხმარე და სხვა ბავშვებისათვის ესწავლებინათ ქცევის წესები, ამავე დროს თვალყური ედევნებინათ მისი შესრულებისათვის. დასმულმა საკითხმა სხვა ფორმულირება მიიღო და იგი გადაიქცა თავისუფალ თამაშად. დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ბავშვების გავლენა ბავშვებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მასწავლებელის გავლენა მოსწავლეებზე.

იმისთვის, რომ მასწავლებელმა თავისი საქმიანობა გარდაქმნას ჰუმანისტურ საწყისებზე, საჭიროა მან გააცნობიეროს თავისი შესაძლებლობა. ამისათვის კი მან პასუხი უნდა გასცეს იმ შეკითხვებს, რომელიც ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ჰუმანისტმა პედაგოგმა კ. როჯერსმა:

- შეძლებ თუ არა შენ ყოველგვარი განსჯისა და კრიტიკის გარეშე შეაღწიო აღსაზრდელის სულიერ სამყაროში, დაინახო და შეაფასო იგი.
- შეძლებ თუ არა აღსაზრდელში მისი ინტერესების აღმოჩენის და განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ არ გეცოდინება, რა შედეგებით დამთავრდება იგი.
- შეძლებ თუ არა იმას, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ სწორი დამოკიდებულების შექმნა, როგორც საკუთარი თავის, ასევე გარემო სამყაროს მიმართ.
- შეძლებ თუ არა იმას, რომ ახალგაზრდებმა მოახერხონ საკუთარი სულიერი სამყაროს და იდეების ინტეგრირება.
- შეძლებ კი იყო მათთან გულწრფელი და ღია, მოახერხებ მათთან ექსპრესიული ურთიერთობის დამყარებას, რომლის დროსაც

ორივე მხარეს ეძლევა შანსი ისწავლოს.

თუ რომელიმე თქვენგანი შეკითხვების უმრავლესობას უპასუხებს – დასძენს როჯერსი, მას შეეძლება შეუმსუბუქოს ცხოვრება საკუთარი სკოლის მოსწავლეებს, დაეხმაროს მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებაში.

ამდენად, პიროვნულად ორიენტირებული აღზრდა შეუძლია განახორციელოს სპეციალურად მომზადებულმა პედაგოგმა, რომელიც შეიარაღებული იქნება უმაღლესი სულიერი თვისებებით. მას ევალება შეიმუშავოს მტკიცე აღმზრდელობითი პრინციპები. მან ასევე კარგად უნდა იცოდეს, რა შეიძლება და რა არა.

როგორც ცნობილია, ჰუმანისტურ პედაგოგიკას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 70-იან წლებში. მისი ფუძემდებელი კი არის უდიდესი პიროვნება და მეცნიერი – შალვა ამონაშვილი. როცა მას დაუსვეს ასეთი შეკითხვა: (მაშინ იგი ხელმძღვანელობდა პირველ ექსპერიმენტულ სკოლას), თქვენი აღზრდილები რით გამოირჩევიან სხვა ბავშვებისაგანო, მან უპასუხა: მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ისინი იქნებიან შემწყნარებლები და უზომოდ ეყვარებათ ერთმანეთი, სასიკვდილოდ არასდროს გაიმეტებენ სხვას, (თუმცა პიროვნულ თვისებებთან ერთად მის აღსაზრდელები დღეს წარმატებული მეცნიერები, ხელოვანები, საზოგადო მოღვაწეები არიან – ხაზგასმა ჩემია: ლ. შ.).

ჰუმანისტური პედაგოგიკა დაფუძნებულია პიროვნებებზე ორიენტირებულ აღზრდაზე – ამიტომ ამ კუთხით მომუშავე მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- მან კარგად უნდა იცოდეს თავისი აღსაზრდელის ტემპერამენტი, ხასიათი, შეხედულება, გემოვნება და სხვა ინდივიდუალური თავისებურებები.
- უნდა შეძლოს აღსაზრდელში აზროვნების, მოტივის, ინტერესის, განწყობის, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებისა და სხვა პიროვნული თვისებების ზუსტი დიაგნოსტიკა და ანალიზი.
- ასევე მან უნდა შეძლოს იმ მიზეზების დროზე გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლიან აღმზრდელობით პროცესს მიზნის მიღწევაში, რათა მიზანმიმართულად შეცვალოს საკუთარი მუშაობის ტაქტიკა.
- იგი მაქსიმალურად უნდა დაეყრდნოს აღსაზრდელის აქტივობას.
- ასევე მან უნდა შეძლოს აღზრდისა და თვითაღზრდის პროცესების ერთმანეთთან შერწყმა, საჭირო დახმარება გაუწიოს ახალგაზრდებს თვითაღზრდისათვის საჭირო მიზნების, ფორმებისა და მეთოდების შერჩევაში (Amonashvili, 1986: 115-120).

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ჰუმანისტი პედაგოგი ყოველნაირად უნდა შეეცადოს, რომ სკოლა გახადოს უფრო პრესტიჟული ბავშვებისათვის, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, რომ იგი ასევე მიმზიდველი გახდეს პედაგოგებისათვისაც.

ლიტერატურა:
1. Amonashvili S. Fiqrebi Humanur Pedagogebze, Tbilisi, 1986;
2. Cucqiridze Z. Orjonikidze N. Ganatlebis Tanamedrove Teoriebi, Tbilisi, 2005;
3. Research Materials, 2012-2014.
4. Vulfsoni G. Sedarebiti Pedagogika, Moskovi, 1996;

Leila Sherozia

PERSON-ORIENTED EDUCATION

Summary

Education plays a major role in the growth and progress of a society. Educational institutions are essential parts of a country and society. Today, for some reason the school is considered the last point of a failed career, in fact everything is different. Those who first decide to become a teacher should be aware of difficulties of working with children. A young humanist teacher should strive to make the school more prestigious for children, only then it will be attractive to teachers as well.

One of the most significant ways of improving the system of education is the introduction of relevant pedagogical principles, particularly, the person-oriented approach.

ზვიად მიქაძე

ფრენბურთის თამაშის საშუალებით პიროვნულ და სოციალურ ფასეულობათა ჩამოყალიბება

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

სპორტული წვრთნა მოიცავს სპორტსმენის მომზადებისათვის საჭირო ყველა ძირითად თვისებას: ფიზიკურს, ტექნიკურს, ტაქტიკურს, ფსიქოლოგიურს, სათამაშოს და თეორიულს.

სპორტსმენის მომზადების პროცესში უმჯობესდება და სრულყოფილებამდე იხვეწება ის ჩვევები, უნარი და ცოდნა, რომელიც აუცილებელია ფრენბურთის თამაშის თანამედროვე დონეზე წარმართვისათვის. წვრთნის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფიზიკურად განვითარებული, ჯანმრთელი, შრომისუნარიანი და საზოგადოებისათვის აქტიური მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეეძლება უმაღლესი სპორტული შედეგების მიღწევა.

ფრენბურთი, როგორც აღზრდის პროცესის შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვანი საშუალებაა ახალგაზრდა თაობის ჯანსაღი პიროვნული და სოციალური ფასეულობების ჩამოყალიბებისთვის. მოზარდებში რთულად მისაღწევი მიზნებისთვის თავის არიდება იწვევს ვალდებულების გრძნობის დაჩლუნგებას. ფრენბურთი აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა, რათა ბავშვებმა და მოზარდებმა გააცნობიერონ საკუთარი ვალდებულებები და დაეუფლონ მათი შესრულების ხელოვნებას, რაც ფრიად სასარგებლო იქნება მათთვის როგორც ფრენბურთის თამაშისას, ასევე საერთოდ ცხოვრებაშიც.

შეუპოვრობა ერთობ აუცილებელი თვისებაა. ფრენბურთი დიდად უწყობს ხელს ვარჯიშის დროს ახალგაზრდებში ამ თვისების განვითარებას და მიზნის მისაღწევად საჭირო ბრძოლის უნარის გამომუშავებას. ახალგაზრდა, რომელსაც შეუპოვრობა ფრენბურთმა გამოუმუშავა, ცხოვრებისეულ სირთულეებს უფრო მომზადებული ხვდება.

ფრენბურთი უყალიბებს ბავშვს ჩვევას იკისროს და შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები. მოთამაშე ვალდებულია ივარჯიშოს და ითამაშოს კვირის გარკვეულ დღეებში, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ამ დროს ვარჯიშის სურვილი. ვალდებულება გულისხმობს, რომ ზოგჯერ ბავშვმა უარი თქვას პირად სურვილებზე და ანგარიში გაუწიოს გუნდის მოთხოვნებს. ამისათვის აუცილებელია მოთამაშემ გამოიმუშაოს სწორი პირადი დისციპლინა, რაც მას საშუალებას მისცემს გუნდის ინტერესები პირადზე მაღლა დააყენოს და შეასრულოს თავისი მოვალეობა გუნდის წინაშე.

დამწყები მოვარჯიშე ახალგაზრდები სხვისთვის ანგარიშის გაწევას

არ თვლიან სავალდებულოდ. ხშირად მათი ქმედებები მხოლოდ წუთიერი სურვილითაა ნაკარნახევი. თუ მათ რაიმე არ მოსწონთ და პროცესი მათგან მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, ასეთი მოზარდები თავს ანებებენ ნებისმიერ საქმიანობას, ადვილად იხევენ უკან, რაც ჩვევაში გადაეზრდებათ ხოლმე, რადგან იწყება ვალდებულების გრძნობის დაჩლუნგება.

მაგალითად, 10 წლის მოვარჯიშეს გარკვეულ დღეს არ სურს ვარჯიშზე წასვლა და არც მიდის. მის თანაგუნდელსაც იგივე პრობლემა აქვს, მაგრამ ის გრძნობს საკუთარ მოვალეობას გუდის წინაშე და მიდის ვარჯიშზე. რომელ მათგანს მოუტანს მეტ სარგებლობას ფრენბურთი, როგორც აღმზრდელობითი პროცესი?

ფრენბურთი, როგორც სპორტის სახეობა, აღზრდის ბრწყინვალე საშუალებაა, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა გააცნობიერონ საკუთარი ვალდებულებები და დაეუფლონ მათი შესრულების ხელოვნებას. ეს ფრიად სასარგებლო იქნება მათთვის არა მარტო ფრენბურთის თამაშისას, არამედ საერთოდ ცხოვრებაში.

ფრენბურთის ვარჯიშის პროცესში მოზარდს აგრეთვე უყალიბდება შეუპოვრობა, რომელიც ერთობ აუცილებელი თვისებაა ცხოვრებაში. ფრენბურთი დიდად უწყობს ხელს ახალგაზრდობაში შეუპოვრობისა და მიზნის მისაღწევად საჭირო ბრძოლის უნარის გამომუშავებას.

ცხადია, ფრენბურთი ახალგზარდებში შეუპოვრობას ავითარებს მხოლოდ მაშინ, თუ ახალგაზრდა მოთამაშეებთან მომუშავე მწვრთნელი აფასებს ბავშვების ძალისხმევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ რთული სპორტული დღეები უდგათ და ბევრი რამ არ გამოსდით.

აგრეთვე ძლიერ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ფრენბურთელმა გამოიმუშაოს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა გუნდის წინაშე. მწვრთნელი ვალდებულია გამოუმუშაოს მოთამაშეებს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა გუნდის წინაშე ისე, რომ ეს პასუხისმგებლობა მათთვის სასიამოვნო მოვალეობა იყოს და არა მძიმე ტვირთი. მან თავის უნდა შეიკავოს ისეთი კომენტარებისაგან როგორიცაა: „ჩვენი დამარცხება შენი ბრალია“, ან „შენი იმედი გვქონდა“. სწორად შემუშავებული მეთოდიკა მოთამაშეების მიერ პასუხისმგებლობის აღების მომენტში დიდად განსაზღვრავს ბავშვების დამოკიდებულებას შემდგომ ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანია, მოთამაშეებმა იცოდნენ თუ რა უნდა აკეთონ თამაშის დროს და რა მოეთხოვება თითოეულ მათგანს. ასევე საჭიროა გააცნობიერონ, რომ აუცილებელია გაზარდონ პირადი წვლილი. ამისათვის მწვრთნელმა ყოველ მოთამაშეს უნდა აუხსნას და შეაგნებინოს თუ რა მნიშვნელობა აქვს გუნდის ინტერესებისათვის სწორ ინდივიდუალურ მოქმედებებს, განსაკუთრებით იმ მოქმედებებს, რომლებსაც სხვა დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ეხმარება მოზარდს იყოს გუნდური მოთამაშე, რადგანაც ფრენბურთის გუნდი ერთ-ერთი კარგი ჯგუფური გარემოა ადამიანის პირადი პასუხისმგელობის გასავითარებლად.

ფრენბურთის მწვრთნელი თავდაპირველად ატარებს მოძრავ თამაშებს, რომელიც ხელს უწყობს ფრენბურთის თამაშისათვის აუცილებელი ჩვევების და თვისებების გაუმჯობესებას. მაგალითად,

თამაში „ბრძოლა ბურთისათვის“ (ერთი ბურთით) მომეცადინენი იყოფიან ორ გუნდად (სასურველია ჯგუფები სხვადასხვა ფორმით გამოვიდნენ), თითოეული გუნდიდან თითო მოთამაშე მოედნის შუაგულში დგება ბურთის გათამაშებისათვის. დანარჩენი გუნდის მოთამაშეები მოედანზე განლაგდებიან თავიანთი შეხედულებისამებრ. მწვრთნელი აუგდებს ბურთს გამთამაშებელ მოვარჯიშეებს, რომლებიც მოედნის შუაში არიან და თითოეული მათგანი ცდილობს ბურთი ერთ-ერთ თავის მოთამაშეს გადაუგდოს. მოთამაშეები ბურთს რომ დაეუფლებიან, გაითამაშებენ მას ერთმანეთს შორის, მათი მოწინააღმდეგე გუნდი კი ცდილობს წაართვას ის და თუ ამას მიაღწევენ, ბურთს ისინი გაითამაშებენ ერთმანეთში. თამაში ტარდება 10-15 წუთის მანძილზე. გამარჯვებული გამოდის ის, ვინც მეტხანს შეინარჩუნებს ბურთს.

წესები: 1. ბურთის ხელში ჩაგდება შეიძლება მხოლოდ ჰაერში, ბურთის ხელიდან გამოგლეჯა შეცდომად ითვლება. 2. თუ ბურთი გადადის მოედნის საზღვრიდან, იგი თამაშში მოწინააღმდეგე გუნდს შემოაქვს. 3. მოედანზე საზღვრიდან, იგი თამაშში მოწინააღმდეგე გუნდს შემოაქვს. 4. მოედანზე ბურთით სირბილი არ შეიძლება, ბურთი მიღებისთანავე უნდა გადაეცეს თანამოთამაშეს. 5. უხეში თამაშისათვის ბურთი გადაეცემა დაზარალებულ გუნდს.

ეს თამაში ეხმარება მომეცადინეების გუნდური ურთიერთდახმარების გრძნობის, აგრეთვე მოქმედების კორდინაციის, მოხერხებულობისა და სისწრაფის გამომუშავებაში. თამაშში გადაცემები საფრენბურთო ელემენტებით სრულდება და, ამდენად, იგი ამ ელემენტებში წვრთნასაც წარმოადგენს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობის გააზრება და შეფასება მხოლოდ ფრენბურთის თამაშით არ ხდება (ფაქტია, რომ ბევრ ფრენბურთელს დღესაც არ გააჩნია ეს თვისება). ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია მწვრთნელებმა ყურადღება გაამახვილოს გუნდური თანამშრომლობის პრინციპებზე და ვარჯიშები ისე წარმართონ, რომ მოთამაშეებმა გააცნობიერონ ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა და გამოიმუშაონ ამგვარი მოქმედებები.

ფრენბურთის წვრთნის დროს მოზარდები ეჩვევიან წესების პატივისცემას. ფრენბურთის გუნდში თამაში თავისთავად გულისხმობს ისეთი წესის ცოდნასა და პატივისცემას, როგორიც არის: მოთამაშის მოვალეობები გუნდში, ვარჯიშისა და თამაშის წესები და სხვა. ამრიგად, ფრენბურთის თამაშის პროცესში ახალგაზრდა მოვარჯიშეები, მოთამაშეები ეჩვევიან იმ აზრს, რომ მათ ყოველთვის არ შეუძლიათ აკეთონ ის, რაც სურთ და სხვა ადამიანებთან თანაარსებობის პროცესში უნდა დაემორჩილონ გარკვეულ წესებს. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტულატია, რომელსაც ფრენბურთი ასწავლის ბავშვებს.

ფრენბურთი ასევე კარგი საშუალება, რომ მოზარდმა ისწავლოს სხვა ადამიანების, მათ შორის თანაგუნდელების, მოწინააღმდეგეების, მწვრთნელების, თამაშის ორგანიზატორების, მსაჯების და მაყურებლის პატივისცემა. ახალგაზრდა მოთამაშემ უნდა შეძლოს გუნდში არსებული პიროვნული განსხვავებების პატივისცემაც, ანუ თანაარსებობა იმ

ადამიანებთან, რომლებთანაც ერთად უხდება სპორტული მოღვაწეობა. მათ შორის შეიძლება სხვადასხვა სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის, რელიგიის ან სულაც სხვა ქვეყნის წარმომადგენელი იყოს. ისინი ასევე ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ და პატივი სცენ უშუალოდ თამაშის დროს გამოვლენილ განსხვავებებს, რადგან, ბუნებრივია, ზოგიერთი მოთამაშე უკეთ თამაშობს, ვიდრე დანარჩენი, უფრო დახელოვნებულია ან თამაშის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს და ა.შ. ამიტომ ფრენბურთის გუნდში თამაში ასწავლის მოთამაშეს თანაგუნდელის პატივისცემას, მიმტევებლობას და გულღიაობას, რადგან ფრენბურთს ძალუძს დააკავშიროს ისეთი ადამიანებიც, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, განსხვავებული თვისებების გამო შეიძლება ერთმანეთის მოწინააღმდეგეებიც კი ყოფილიყვნენ.

ლიტერატურა:

1. Dzagania J., Gulbiani T. Handball. Alioni, Batumi, 2003.
2. Gikashvili G. Volleyball. Degaprint. Tbilisi. 2019.
3. Jeleznyak I.Volleyball. Moscow, 1991.
4. Kakhidze G. Sports Theory, Tbilisi, 2007.
5. Nikolaishvili I. Volleyball. Education, Tbilisi. 1966.

Zviad Mikadze

DEVELOPING PERSONAL AND SOCIAL VALUES THROUGH PLAYING VOLLEYBALL

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper discusses the volleyball as an upbringing process, which is the most important tool in forming the healthy personal and social values of the younger generation.

Volleyball develops a young person's habit of taking on and fulfilling certain responsibilities: ability to manage, self-control and control, cooperative relationships, right and quik decision making, ensuring his/her professional training and meeting life's challenges more preparedly.

პედაგოგიკის ისტორია
HISTORY OF PEDAGOGICS

იმერი ბასილაძე, ნინო გელენიძე

დავით მაჭავარიანის საგანმანათლებლო და სამისიონერო მოღვაწეობა აფხაზეთში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთის ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ქართველ მისიონერებთან და განმანათლებლებთან არის დაკავშირებული. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ დავით მაჭავარიანის დამსახურება აფხაზეთში პირველი ქართული სკოლის გახსნასთან დაკავშირებით.

დავით აფანასის ძე მაჭავარიანი დაიბადა 1821 წელს. 1843 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. 1844 წელს გადაიყვანეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1850 წელს ჯერ დიაკონის, ხოლო შემდეგ მღვდლის ხარისხში აიყვანეს. იმავე წელს ინიშნება ოქუმის ხარების სახელობის ეკლესიის მღვდლად და სამურზაყანოს ბლაღოჩინად (Dudko, 1956: 132).

1851 წელს დაბა ოქუმში სამურზაყანოსა და მთელი აფხაზეთის მასშტაბით, სწორედ დავით მაჭავარიანის ინიციატივით და საქართველოს ეგზარქოსის თანხმობით გაიხსნა ოქუმის სამრევლო სკოლა (Rogava, 2002: 113). სკოლას სასულიერო და საერო კადრები უნდა მოემზადებინა. „შესაფერი შენობის ასაგებად მ. ვორონცოვმა 400 ვერცხლის მანეთი გამოყო. მანვე 1851 წელს ოქუმის ეკლესიის ახალი შენობის გეგმა დაამტკიცა (Rogava, 2002: 114).

ყირიმის ომის დროს დაახლოებით 1855 წლის ზაფხულში ის ტოვებს სამურზაყანოს და თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ქუთაისში გადადის. იგი ომის დამთავრებამდე დარჩა ქუთაისში. 1856 წელს დავით მაჭავარიანი კვლავ დაბრუნდა სამურზაყანოში და ოქუმის ორკლასიანმა სკოლამ მისი ხელმძღვანელობით კვლავ განაგრძო მუშაობა. იმავე წელს აფხაზეთში პირველად ოქუმში გაიხსნა საეკლესიო-სამრევლო ბიბლიოთეკა.

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოების რევიზორები ამოწმებდნენ რა ოქუმის სამრევლო სკოლას, მაღალ შეფასებას აძლევდნენ სკოლაში არსებულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. მალე „სკოლა ორკლასიან, რვაგანყოფილებიან სკოლად გადაკეთდა“ (Jguburia, 2001: 1).

1866 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, მასიურად

დაიწყო აფხაზთა გადასახლება ოსმალეთში. შექმნილ ვითარებაში რელიგიამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

აფხაზეთის ეპარქიაში რეფორმის ჩატარების მიზნით, მეფისნაცვალთან შეთანხმებით, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა ვ.გეიმანმა 1867 წლის ნოემბერში დააყენა საკითხი აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებისა და იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისადმი დაქვემდებარების შესახებ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა, დავით მაჭავარიანთან ერთად, 1868 წლის მაის-ივნისში იმოგზაურა აფხაზეთში და მოინახულა ეკლესია-მონასტრები. სკოლები მხოლოდ სამურზაყანოში ნახა და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელ საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება „Обозрение абхазских и самурзаканских приходов“. მოხსენებაში გაბრიელ ეპისკოპოსმა ჩამოაყალიბა განათლების მდგომარეობა აფხაზეთში. მისი შეფასებით, სწავლა-განათლების დონე აფხაზეთში არც თუ ისე მაღალი იყო. 1868 წლის ივლისში მან მხარი დაუჭირა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმების იდეას, მაგრამ დაეთანხმა იმერეთის ეპარქიის გამგებლობაში მის გადასვლას (Mtskemsi, 1890: 6).

დავით მაჭავარიანის თხოვნით გაბრიელ ეპისკოპოსმა მართლმადიდებლობის აღმდგენელ საზოგადოებას მოთხოვა ოქუმში ქალთა სასწავლებლის დაარსება. „სამურზაყანოს საზოგადოების წარმომადგენელთა თხოვნა სასწავლებლისათვის შენობის აგების თაობაზე, გაბრიელ ეპისკოპოსმა 1868 წლის 6 სექტემბერს გაუგზავნა მართლმადიდებლობის აღმდგენელ საზოგადოებას. მალე ოქუმის სკოლასთან ქალთა განყოფილება გაიხსნა“ (Abdaladze, 2014: 147).

ქართველი მისიონერების ძალისხმევა მიმართული იქნა აფხაზი ხალხის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისაკენ. რუსული თვითმმართველობის მძიმე პირობებში ქართველი მისიონერები მაინც ახერხებდნენ აფხაზთა გარკვეული ნაწილის გაქრისტიანებას. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა გაბრიელ ეპისკოპოსმა. მას აფხაზთა გაქრისტიანებაში დიდ დახმარებას უწევდა ბლაღოჩინი დავით მაჭავარიანი.

შევიდა რა აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიის გამგებლობაში, გაბრიელმა აფხაზეთის უფროს ბლაღოჩინად დავით მაჭავარიანი დაანიშვნინა. გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ 18000-მდე აფხაზი მოინათლა.

„გაბრიელის დავალებით დ. მაჭავარიანმა, სამ მისიონერთან ერთად, ბიჭვინთის ოლქში იქადაგა ქრისტიანობა. მათი ქადაგება იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ გაგრაშიც გადავიდნენ, სადაც თურქეთში გადასახლების შემდეგ დარჩენილი ჯიქებიც კი მონათლეს“ (Gamakharia, 2005: 490).

ეპისკოპოსი გაბრიელი თავის ქადაგებებში აფხაზთა შორის, არწმუნებდა რა მათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობაში. კიდევ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად უსაბუთებდა, რომ მათთვის აუცილებელია ქრისტიანად მოქცევა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მთავრობა ახლადმონათლულებს, ისევე როგორც აფხაზებს, სხვადასხვა შეღავათებთან ერთად, ათავისუფლებდა აფხაზებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან (Mtskemsi, 1890: 6).

კ. დ. მაჭავარიანი სამურზაყანოს მოსახლეობის რწმენის სიმტკიცისა და ღრმა რელიგიურობის დამადასტურებელ ასეთ ფაქტს იხსენებდა: „ვ.გეიმანმა სამურზაყანოს წარმომადგენლები სოხუმში მიიწვია და მათ ბატონყმობის გაუქმების შესახებ აუწყა; ჩამოსული სტუმრების საპატივცემულოდ გაშლილი სუფრა სამარხვო კერძებით გააწყვეს, ვინაიდან მარხვის დღე დაემთხვა და სამურზაყანოელებმა ხორცის მირთმევაზე უარი განაცხადეს“ (Gamakharia, 2005: 493).

1867 წელს დავთ მაჭავარიანი დაინიშნა აფხაზეთისა და სამურზაყანოს უფროს ბლაღოჩინად. შემდეგ გადაიყვანეს სოხუმის ოლქის პირველ ბლაღოჩინად, სადაც იმსახურა 1892 წლამდე. მისი ბლაღოჩინის თანამდებობაზე გადაყვანა წარმატებული აღმოჩნდა. „სამურზაყანოს ტერიტორიაზე თანმიმდევრულად იხსნება სკოლები ბედიაში, დიხაზურგაში, ნაბაკევში, ჩხორთოლში, გუდავასა და საბერიოში“ (Gelantia, 2001: 1). როგორც მკვლევარი რ. გელანტია წერს: ამ სკოლებში სწავლება მიდიოდა, რუსულ ენასთან ერთად, ქართულ ენაზე. სწავლებაში იყენებდნენ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“, „ბუნების კარს“, გ. კალანდარაშვილის „რუსული ენის დაწყებით კურსს ქართველთათვის“, ა. დიდებულიძის „არითმეტიკულ ცნობარს“, კ. უშინსკის „ბავშვთა სამყაროს“ (Gelantia, 2001: 2).

ბლაღოჩინი
დავით მაჭავარიანი

„დ. მაჭავარიანი, როგორც კირიონი აღნიშნავდა, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით და ღირსეული თანამებრძოლების შერჩევის უნარით. მას მხარში ედგნენ მღვდელმონაზვნები ბესარიონ დგებია (დგებუაძე) და ათანასე ჟორდანია. დ. მაჭავარიანისა და მისი თანამოღვაწეების ბეჯითი და უანგარო საქმიანობის შედეგად მთელი აფხაზეთის მოსახლეობის 4/5-მა მართლმადიდებლობა მიიღო. სამურზაყანო კი მთლიანად ქრისტიანული იყო“ (Gamakharia, 2005: 492-493).

ეპისკოპოსი გაბრიელი
(ქიქოძე)

დეკანოზი დავით მაჭავარიანი 1878-1889 წლებში, აფხაზეთის უფროს ბლაღოჩინობასთან ერთად, ბათუმის ეკლესიის მართვასაც ითავსებდა. იწოდებოდა აფხაზეთისა და ბათუმის ეკლესიების უფროს ბლაღოჩინად.

1889 წელს დავით მაჭავარიანი ინიშნება სოხუმის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ. იგი ეპისკოპოსის მიერ დანიშნული 8 ზედამხედველის მეშვეობით აკონტროლებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს.

სოხუმის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი წარმატებული აღმოჩნდა დავით მაჭავარიანისათვის. 1889-1898 წლებში სამურზაყანოს სოფლებში უკვე არსებობდა 22 სკოლა, კერძოდ, ოქუმში, ბედიაში, დიხაზურგაში, საბერიოში, გუდავაში, ოტობაიაში, ბარღებში, ცხირში, მუხურწარჩეში, რეჩხში, პირველბედიაში, ჭუბურხინჯში, თაგილონში, მუხურში, რეფო-შეშელეთში, მეორე ჭუბურხინჯში, რეფში, ხუმუშქურში, ჩხორთოლში, ქვემოცხირში (Gelantia, 2001: 2).

დავით მაჭავარიანი 1892-1905 წლებში, პარალელურად, იყო სოხუმის კათედრალური ტაძრის წინამძღვარი.

ოქუმის და ილორის ეკლესიების მღვდელმსახურნი, იმავდროულად ოქუმის სკოლის პედაგოგები – დავით მაჭავარიანი, იოანე კერესელიძე, იოანე ჩხენკელი, ამბროსი ხელაია და მათი თანამზრახველი საერო მოღვაწეები – მ. ემუხვარი, ივ. გეგია, თ. სახოკია, ან. ჯუღელი, სამურზაყანოს მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ქორქაშვილი ღიად, თუ ფარულად ხელს უწყობდნენ სკოლაში მშობლიური ენის სწავლას და ეკლესიებში წირვა-ლოცვისა და პარაკლისების ქართულ ენაზე აღსრულებას. „აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომაც წირვაც ქართულად უნდა იყოს“, – განუცხადა მამა ამბროსიმ რუსული ეკლესიის მესვეურებს. 1895 წელს სამურზაყანოელებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს სოხუმის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსს, ოქუმის სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ და აიძულეს ოქუმის ეკლესიის მღვდელი კავკასიძე, რომელიც „მარჯვე დამცველი იყო და გამტარებელი ცხოვრებაში რუსული მოქალაქეობრიობისა, რათა გაეძევებინათ ის სამურზაყანოდან“ (Jguburia, 2001: 2).

სამრევლო სკოლების გახსნით გაბრიელ ეპისკოპოსი და დავით მაჭავარიანი უნარჩუნებდნენ აფხაზ ყმაწვილებს მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას. სამრევლო სკოლები არ შედიოდა სახალხო განათლების სისტემაში და ამიტომ გაბრიელი და დავით მაჭავარიანი ახერხებდნენ მათ მფარველობას.

იმდროინდელი აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუსიფიკაციის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბრძოლის შესახებ, სოხუმის ეპისკოპოსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა შეფს ატყობინებდა, რომ „ეპარქიაში მცხოვრები ქართველები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობის, რაშიაც სრულ დახმარებას უწევს მათ სამღვდელოება, რომელიც განსაკუთრებით ქართველთაგან (მეგრელთაგან) შედგება. საერთოდ, ქართველების მოძრაობა დიდად აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების და გადაგვარების საქმეს“ (Jguburia, 2001: 2).

ოქუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საპატიო სიაში მოიხსენიებიან ქართველი ერის სახელოვანი შვილები: აკაკი ჩხენკელი (ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართ-

ველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კიტა ჩხენკელი (ქართველოლოგი, პუბლიცისტი, ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი), მელიტონ ემუხვარი (მეფის არმიის გენერალი, სამურზაყანოს ცხენოსანთა პოლკის – „აფხაზური მილიციის“ მეთაური, რუსეთ-თურქეთის ომების გმირი), არზაყან ემუხვარი (აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, პარიზში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), ივანე გეგია (საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი), გიორგი ჯგუბურია (საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), ილია ვეკუა (მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი) (Jguburia, 2001: 2).

სამრევლო სკოლების გახსნით გაბრიელ ეპისკოპოსი და დავით მაჭავარიანი აფხაზეთში უნარჩუნებდნენ ყმაწვილებს მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას. სამრევლო სკოლები არ შედიოდა სახალხო განათლების სისტემაში და ამიტომ ისინი ახერხებდნენ მათ მფარველობას. მიუხედავად იმისა, რომ რუსიფიკაციის იდეოლოგები მიზნად ისახავდნენ აფხაზი ხალხის მოწყვეტას ქართული კულტურული სივრცისაგან, აფხაზები ოჯახებში სწავლობდნენ ქართულ ენას და იყენებდნენ მას ოფიციალური საქმის წარმოებაში, ქრისტიანული ღვთისმსახურებისას და კულტურის დარგში.

ამდენად, აფხაზურ მოსახლეობაში შენარჩუნებული იყო ქართული ენის ცოდნის ტრადიციული მოთხოვნილება. ასეთ პირობებში გმირობის ტოლფასი იყო დავით მაჭავარიანის და სხვა ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ აფხაზური და ქართული ენის სწავლების დანერგვას აფხაზურ სოფლებში დიდი მეცადინეობით შექმნილ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში.

ლიტერატურა:

1. Abdaladze L. Sasuliero Ganatleba Da Pedagogikuri Azrovneba XIX Saukunis Guria-Samegrelos Eparkiashi. Disertacia Ganatlebis Doktoris Akademiuri Khariskhis Mosapoveblad, 2014.
2. Basiladze I. Gabriel Episkoposis (Gerasime Kikodzis) Kristianuli Pedagogika. Kutaisi, 2000.
3. Basiladze I., Machavariani T., Sasuliero Ganatlebis Istoriidan XIX Saukunis Meore Naxevris Apkhazetshi., Sakartvelos Ganatlebis Mecnierebata Akademiis Moambe № 12, N 1512-195 X. Tbilisi, 2012.
4. Dudko A. P. Iz Istorii do Revolocunnoi Shkoli v Apkhazia (1851-1917 Gg.), Sukhumi , 1956.
5. Gamakharia J. Afkhazeti Da Martlmadidebloba. Tbilisi , 2005.
6. Gelantia R. Kartuli Skolebis Bedi Apkhazetshi: Apkhazetis Pirveli Skolis

Daarsebis 150 Tslistavis Gamo, "Dilis Gazeti", 2001.
7. Jguburia Z. Okumis Skola – Afkhazetis Garusebis Winaarmdeg Brdzolis Forfosti: Apkhazetshi Pirveli Skolis Daarsebis 150-e tslistvavis Gamo, "Dilis Gazeti", 05. 22. 2001. (www.Opetext.Org.Ge).
8. Jurnali "Mtskemsi", 1890, # 182.
9. Rogava G. Religia Da Eklesia Sakartveloshi (XIX-XX Ss.). Tbilisi, 2002.
10. Tsverava ts. Sakartvelos Saegzarkosos Samisienoro Mogvaweoba XIX Saukuneshi. Kutaisi, 2003.

Imeri Basiladze, Nino Gelenidze

DAVID MACHAVARIANI'S EDUCATIONAL AND MISSIONARY WORK IN ABKHAZIA

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Since the 50s of the 19th century, significant events have taken place in the history of Abkhazia, which are related to Georgian missionaries and educators. Among them should be mentioned David Machavariani's merit regarding the opening of the first Georgian school in Abkhazia.

In 1851 on Davit Machavariani's initiative and the Exarchos of Georgia's consent Okumi parish school was opened in DabaOkumiSamurzakano and throughout Abkhazia.

"After Gabriel's order D. Machavariani together with three missionaries preached Christianity in Bichvinta district. Their preaching had been so successful that they moved to Gagra, where even the remained leopards after their resettlement in Turkey were baptized".

გულნაზ ხუხუა

ძველი ქართული კულტურულ-საგანამანათლებლო ცენტრები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

განათლების ფენომენი ისეთივე ძველი და მარადიული საზოგადოებრივი მოვლენაა. როგორიც არის თვით ადამიანის წარმოშობა. როგორც კი ღმერთმა შექმნა „ცა და დედამიწა“ (დაბადება, 1: 1) და რაც მასშია: კოსმიური და მიწიერი სასწაულები და ეს საოცარი პლანეტა-დედამიწა მოამზადა საცხოვრისად, შექმნა ყოველივე შექმნილის სრულფასოვანი, გონიერი, ღირსეული და მადლიერი მეპატრონე-მომხმარებელები: ადამი და ევა შემეცნების, სიყვარულის, გამრავლების, საზრიანობის, სიკეთის, შენების, კეთების, მეტყველების, წვდომისა და განსჯის უნარით; დაუდგინა საზრიანი ცხოვრების წესები და კანონები. აკურთხა ისინი და უთხრა: „...ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას“ (დაბადება, 1: 28). ეს გრანდიოზული დავალება, რომელიც ღმერთმა მისცა კაცობრიობის პირველ წინაპარ წყვილს – ადამსა და ევას, როგორ ფიქრობთ, ყოვლის შემოქმედი უზენაესი ღმერთი იმაზე იყო ორინტირებული, რომ ევოლუციის გზით ისინი ერთ დროს მაიმუნიდან გაადამიანდებოდნენ და ამას როგორმე მოახერხებდნენ?! ცხადია, არა! ბიბლიაში გარკვევით წერია: „დაიწყო ღმერთმა ადამიანის შექმნა თავის ანარეკლად, ღვთის ანარეკლად შექმნა იგი. კაცად და ქალად შექმნა ისინი“ (დაბადება, 1:27) ყველა იმ ღვთიური უნარებით, რომელიც ზემოთ დავასახელეთ. ადამიანი ის ბიოლოგიურ-სოციალური არსებაა დღემდე, რაც შექმნიდან იყო. მის ორასი სახის ასტრილიონ უჯრედს და სხეულის ორგანოებს არაფერი არც მომატებია, არც დაკლებია და არც შეცვლილა. ადამიანის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური კონსტრუქციის, ორგანული კავშირების შეცვლა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია და ეს ფიზიკურად შეუძლებელია, თუმცა ადამიანმა დროთა განმავლობაში ადამიანურ მოთხოვნათა დაკმაყოფილების პროცესში მეტი შეიცნო, გაიგო, აითვისა და ამაღლდა ჩვეულებრივ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებიდან კლასიკურ კულტურამდე. ბიბლიაში წერია: „რაც იყო, იგივე იქნება და რაც გაკეთებულა, იგივე გაკეთდება; ასე რომ არაფერია ახალი მზის ქვეშ. განა არსებობს რამე, რაზეც იტყვიან, აჰა, ახალიაო?!, ის უკვე უხსოვარი დროიდან არსებობს; რაც გაჩნდა, ჩვენამდეც არსებობდა“ (ეკლესიასტე, 1: 9, 10). რაც ადამიანის ხელით შექმნილა და იქმნება, ყოველივე ღვთის ქმნილებათა ანალოგიით კეთდება, მაგალითად: თვითმფრინავი, ხომალდი, ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, რობოტი და ა.შ. ევოლუციის თეორიის მიხედვით, მეცნიერები დღემდე იჯერებენ და აჯერებენ სხვებსაც, რომ ადამიანებმა მეტყველება ისწავლეს თანდათანობით შრომითი და სხვადასხვა ურთიერთობების პროცესში. ბიბლია კი ამბობს საპირისპიროს, რომ ღმერთმა ადამი და ევა შექმნა მეტყველების უნარით. ამას მოწმობს ბიბლიაში

ჩაწერილი დიალოგები. მაგალითად:

- ღმერთსა და ადამს შორის,
- ადამსა და ევას შორის,
- სატანასა და ევას შორის.

უფრო მეტიც, ღმერთმა ადამს დაავალა ყოველი სულიერისთვის სახელების დარქმევა. „როცა იეჰოვა ღმერთმა მიწისგან გარეული ცხოველები და ცის ფრინველები შექმნა, მიუყვანა ისინი კაცს, რომ ენახა, რას დაარქმევდა თითოეულს... არქმევდა ის სახელებს შინაურ ცხოველებს.“ (დაბადება, 2 :19, 20) (Khukhua, 2008: 40-46).

მეტყველება რომ ევოლუციის ნაყოფი არ არის და იგი სიცოცხლესთან ერთად ღვთისგან მიეცა ადამიანს, როგორც უნიკალური ძღვენი. ამაზე მეტყველებს სამეტყველო აპარატის უნიკალურობა თავისი ცენტრალური და პერიფერიული განყოფილებებითა და აღჭურვილობებით: ტვინის მარცხენა სფეროში განლაგებული ვერნიკეს, ბროკასა და ასოციაციის (მეხსიერების) სასწაულმოქმედი ცენტრებით (Khukhua, 2017: 106–131).

ბიბლიური ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ შემეცნებითი პროცესი იწყება სიცოცხლის დაწყებასთან ერთად, ხოლო განათლება კი შემეცნებითი აქტივობის მუდმივი თანამგზავრია. შეგრძნებებით რომ შეიცნობა. განათლების შინაარსი იმდენნაირია, რამდენნაირიცაა სამყარო და ადამიანური საქმიანობა. ამის მიხედვით ცოდნის ციკლებად იყოფა მთელი შემეცნებითი სფერო, როგორიცაა:

- საბუნებისმეტყველო ციკლი – ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ფიზიკური გეოგრაფია, ასტრონომია და სხვა;
- საზოგადოებრივ–ჰუმანიტარული ციკლი – ფილოლოგია, ისტორია, სამართალი, სოციოლოგია, ეკონომიკა, ეკონომიური გეოგრაფია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა და სხვა;
- ხელოვნების დარგები: მხატვრული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა, სინთეზური ხელოვნება: კინო, თეატრი, ოპერა, ბალეტი და ა. შ.
- ტექნიკური ციკლის საგნები და სხვა.

ბიბლიიდან ვიგებთ, რომ შემეცნებითი პროცესი დაიწყო პრაქტიკული აქტივობებით, შრომითი საქმიანობით. ეს ჩანს აბელისა და კაენის მიერ გაღებულ შესაწირავში. აბელი იყო მიწათმოქმედი, კაენი კი მესაქონლეობას მისდევდა. ისინი თავთავიანთი შრომის პროდუქტს სწირავდნენ ყოვლისშემოქმედ ღმერთს მადლიერების გამოსახატავად. აქედან ჩანს, რომ მათ უკვე ჰქონდათ გარკვეული პროფესიული განათლება პრაქტიკული მოქმედებისათვის.

- მოჰყავდათ მოსავალი;
- უვლიდნენ და ამრავლებდნენ საქონელს;
- ჰქონდათ სულიერება;
- პატივს მიაგებდნენ შემოქმედს.

აღნიშნული ფაქტების ანალიზი გვაძლევს დასკვნის საფუძვ-

ელს, რომ მათ ეს ცოდნა-გამოცდილება შეიძინეს ორი გზით:

- ღვთის მიერ ბოძებულ შეგრძნებათა ორგანოებისა და ინტელექტუალური უნარების წყალობით;
- მშობლების – ადამისა და ევას მიერ პედაგოგიური დახმარების გაწევით.
- ადამსა და ევას კი თვით ღმერთი უწევდა დახმარებას.

მაშასადამე, განათლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ერთი წყარო, ერთი წინამძღვარი ჰყავს და ეს არის ყოვლისშემოქმედი ღმერთი იეჰოვა და ნურავინ ნუ დაიკვეხნის და ნუ ჩათვლის, რომ ამ ზეაღმატებულ ფენომენს კაცობრიობის დამსახურებად. ეს არის ღვთის წყალობა, კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაღებული. ვინც მიიღო ეს წყალობა და შექმნეს ცივილიზაციები, ქება მათ. ვინც არ ნათლდება, სამწუხაროა.

ცივილიზაციის საშუალებაც და შედეგიც განათლებაა. განათლების ერთ-ერთი კრიტერიუმი კი განვითარება. განათლებისა და განვითარების შეუცვლელი, უზუსტესი და მარადიული გზა კი სწავლა/სწავლება და აღზრდა. კოლხური ცივილიზაციის ფესვებიდანაა ამოსული ძველი ქართული კულტურულ–საგანმანათლებლო კერები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, რომელთა უბრალო ჩამონათვალიც კი საკმარისია ეროვნული ღირსებისა და კულტურის წარმოსადგენად. ქართულ ანბანზე კი არაფერს არ ვამბობთ. ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული მითები, ლეგენდები, არქეოლოგიური და სხვა მატერიალური თუ ბეჭდური ძეგლები, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონათხრობები, რომლებიც დიდი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს, შეუძლებელია არ დაიჯეროო ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ანტიკურობა, გრანდიოზულობა და ღირებულება. მივყვეთ კონკრეტული ფაქტების განხილვას. ყველამ იცის, რომ უმაღლესი განათლების კერები საბაზისო განათლების გარეშე ვერ შეიქმნებოდა. ეს ავტომატურად იგულისხმება და ამაზე აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ, უბრალოდ ვიტყვით, რომ უხსოვარი დროიდან ჩაეყარა საფუძველი განათლების სისტემას – სასულიერო და საერო სასწავლებლებს, როგორიცაა: ელემენტარული (ანუ დაწყებითი განათლება) სკოლა, გრამატისტული სკოლა, რიტორიკული სკოლა, სასულიერო სემინარია, გიმნაზია, ლიცეუმი, კოლეჯი და სხვა პროფესიული სასწავლებლები დარგების მიხედვით.

ჩვენამდე მოღწეული ცნობათა წყაროების მიხედვით საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი ფიქსირდება ჩვ. წ. აღ. III-IV სს. ფაზისის რიტორიკული აკადემიის სახელწოდებით. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლას კოლხურ-ბერძნული სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის პირმშოდ მიიჩნევს და ამას აქვს გარკვეული საფუძველი, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ აკადემიის კურსდამთავრებული ბერძენი მოღვაწეების დამოკიდებულებას ალმა-მატერის მიმართ. მაგალითად: ბერძენ ფილოსოფოსსა და ორატორს თემისტიოსსა და მამამის ევგენიოსს აქ ფაზისის აკადემიაში მიუღიათ

უმაღლესი განათლება, რომელთა განსწავლულობა განადიდებდა ქართულ აკადემიას, სადაც სწავლება როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. თურმე იმხანად საბერძნეთში ყოველ წელიწადს იმართებოდა ორატორთა შეჯიბრებები, სადაც უმეტეს შემთხვევაში მამა და შვილი ევგენიოსი და თემისტიოსი იმარჯვებდნენ, როგორც წესი (Gamyrelize, Yaukhcishvili, 1961: 45–58.). შ. ნუცუბიძის თქმით, აღნიშნული აკადემია ამზადებდა სასამართლოს მოღვაწეებს: ადვოკატებსა და ბრალმდებლებს (ნუცუბიძე, 1956: 91).

ცნობილია, რომ V ს. სირიაში უკვე არსებობდა ქართული უმაღლესი განათლების ცენტრი, რომლის დამაარსებელი იყო პეტრე იბერი. მას უმაღლესი განათლება კონსტანტინოპოლში ჰქონია მიღებული. ზედმიწევნით ფლობდა ბერძნულ და სირიულ ენებს, ფილოსოფიას.

V საუკუნეში იერუსალიმის მახლობლად, საბაწმინდაში საბა განმწმენდილს დაუარსებია ქართული საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ემსახურებოდა ქართული კულტურის განვითარების საქმეს. აკადემიკოს კორნელ კეკელიძის თქმით, ორიგინალური ქართული საგალობლები ეკუთვნის საბა განწმედილს, რომელიც X საუკუნის სინას მთის ხელნაწერში N65 (ნ. მარი) წიგნსაცავშია მოთავსებული (კეკელიძე, 1980: 163).

IX საუკუნეში პალესტინიდან ქართველ მოღვაწეებს არაბთა თავდასხმების გამო სინას მთისთვის შეუფარებიათ თავი და იქ განუახლებიათ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ქართველი მკვლევარები განსაკუთრებით გამოყოფენ სინას მთის სახელით ცნობილ ქართულ წიგნთსაცავს. X საუკუნის მიწურულს ათონის ივერთა მონასტერი დაუარსებია იოანე ხურსიძე-მთაწმინდელს, სახელგანთქმულ ქართველ მხედარმთავართან, შემდგომში ბერად აღკვეცილ თორნიკე ერისთავთან ერთად. ბარდა სკლიაროსის დამარცხებისათვის საბერძნეთის დედოფალ თეოფანიას თორნიკე ერისთავი დაუსაჩუქრებია დიდძალი სიმდიდრით. თორნიკეს საჩუქრის ნაწილი გადაუცია მეფისთვის ქვრივ-ობლების დასახმარებლად, დანარჩენი კი გამოუყენებიათ აღნიშნული მონასტრის ასაგებად, რომელიც მალევე იქცა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერების აღიარებულ ცენტრად. იოანეს სიკვდილის შემდეგ, ათონის ქართულ აკადემიას სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი ექვთიმე ათონელი. მან კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა აკადემიის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. წერდა ორიგინალურ თხზულებებს. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას ბერძნულიდან ქართულ ენაზე და პირიქით. მაგალითად, ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნა გენიალური პედაგოგიური ნაწარმოები „სიბრძნე ბალავარისა.“ ამით ხელს უწყობდა ქართული კულტურის ცნობადობასა და ინტერნაციონალურ მეგობრობას ქართველ და ბერძენ ერებს შორის.

როგორც მეცნიერები იტყობინებიან, ექვთიმეს სიკვდილის შემდეგ, აკადემიას სათავეში ჩადგომია უაღრესად განათლებული და ჭეშმარიტი მამულიშვილი გიორგი ათონელი. მას სწავლა-განათლება მიუღია ჯერ საქართველოში, ხახულის მონასტერში, შემდეგ კი ცოდნა გაუღრმავებია კონსტანტინოპოლში. „ათონის ქართულ აკადემიაში, – წერს ნ. ბასილაძე,

არა მარტო ბიზანტიაში მყოფი ქართველები სწავლობდნენ, არამედ საქართველოდანაც მიემგზავრებოდნენ საფუძვლიანი უმაღლესი განათლების მისაღებად, რომელთა უმრავლესობა სამშობლოში ბრუნდებოდა და ავრცელებდა ათონში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას“ (Basiladze, 2013: 20). კ. კეკელიძის ზემოთ დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ: „გიორგი მთაწმინდელს, ივერიის მონასტრის წინამძღვარს, ჩვენი მწერლობის ისტორიაში ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორც ექვთიმე ათონელს“.

მეცნიერთა აზრით, XI საუკუნეში ქართველ მხედართმთავრის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის აკადემიას, რომლის რექტორი ყოფილა იოანე პეტრიწონელი, განსაკუთრებული როლი შეუსრულებია ქართული კულტურისა და განათლების განვითარებაში. გრიგოლ ერისთავთერისთავის ძეს შეუდგენია 33 თავისგან შემდგარი აკადემიის მუშაობის ტიპიკონი ანუ წესდება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სწავლ-სწავლებისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების: სირიის, სინას, ათონის, ბულგარეთის (პეტრიწონის), უმაღლესი სასწავლებლების – აკადემიების ისტორია ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ საქართველოს III-IV საუკუნემდეც შესაძლებელია ჰქონოდა უმაღლესი განათლების სისტემა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო უბრალოდ ვერ მოაღწია ჩვენამდე. თუ III საუკუნის საქართველოში იყო მეტყველების კულტურის უმაღლესი ხარისხის – მჭევრმეტყველების აკადემია, წარმოუდგენელია, არ ყოფილიყო სხვა დარგობრივი აკადემიები. მაშინ ანტიკურ ხანაში უმაღლესი განათლების გარეშე როგორ მიაღწევდნენ განვითარების ისეთ დონეს, როგორიც კოლხური ცივილიზაცია იყო?!

უცხოეთში დაფუძნებული ქართული აკადემიები ნამდვილად არ ყოფილა უპრეცედენტო, წინამძღვრების გარეშე. რასაც მოწმობს ფაზისის რიტორიკული აკადემია, სადაც ამზადებდნენ უმაღლესი რანგის როგორც ქართველ, ისე უცხოელ მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ორატორებს. XI საუკუნის დასაწისში უკვე გვაქვს გელათის აკადემია. „დღესაც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქუთაისის მახლობლად წყალწითელას ხეობის მწვანით შემოსილ მთის პლატოზე ქვის გალავანით შემოზღუდული გელათის მონასტრის ანსამბლი, რომელსაც ამშვენებდა სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გელათის აკადემია“ (პედაგოგიკის ისტორია, 2004: 398). მეფე დავით აღმაშენებელმა მის მიერ დაარსებულ აკადემიაში თავი მოუყარა მაღალი რანგის მეცნიერებს: იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელს და სხვ. გელათის აკადემიის რექტორად დაინიშნა არსენ ვაჩეს ძე იყალთოელი. როგორც ისტორიკოსები იტყობინებიან, გელათის აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, რიტორიკა, გრამატიკა, ლიტერატურა, მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტროლოგია, იურისპრუდენცია, მედიცინა, რაც ადასტურებს პედაგოგიურ, იურიდიულ, სამედიცინო, და სხვა ფაკულტეტების არსებობას. ასევე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ რაკი გელათის მონასტერს ვრცელი სამიწათმოქმედო მეურნეობა ჰქონ-

და (მევენახეობა, მეფუტკრეობა და მარცვლეული კულტურა) და ა. შ. შესაძლებელია, რომ სასოფლო-სამეურნეო დარგებიც ისწავლებოდა. ყოველ შემთხვევაში, რატომ უნდა გამოირიცხოს აღნიშნულ აკადემიაში ამ დარგების არსებობა ისტორიულად მიწათმოქმედების ქვეყანაში?! გელათის აკადემიის უნიკალურობის ხაზგასასმელად აკადემიკოს როინ მეტრეველს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 70-ე წლის იუბილესადმი მიძღვნილ ნაშრომში: „მეცნიერებათა აკადემიის ღრმა ფესვები“ მოყავს ბრძენკაცის ნათქვამის კლასიკური შედარება: „გელათმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია – „სხვა ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“, სიბრძნისა და რწმენის ცენტრად მოევლინა ქვეყანას“ (Metreveli, 2011: 5-17).

მკვლევარები იყალთოს აკადემიის აღდგენას XI-XII სს. მიჯნაზე მოღვაწის გელათის აკადემიიდან გადმოსულ არსენ ვაჩეს ძეს, შემდეგში იყალთოელის სახელით წოდებულს მიაწერენ. სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ IX საუკუნეში არაბების მიერ იყალთოს მონასტრის გრანდიოზული კომპლექსის განადგურებას მოჰყვა აკადემიის კორპუსიც, რომელიც 1115-1120 წლებში მეფე დავით აღმაშენებლის თაოსნობით იქნა აღდგენილი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა გელათის აკადემიიდან წამოსული დიდი მწიგნობარი არსენ იყალთოელი. მას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ სწორედ, ასეთ აკადემიაში შეიძლებოდა აღზრდილიყო ისეთი დიდი ფილოსოფოსი და იურისტი, როგორიც იყო არსენ იყალთოელი.

იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა სახალხო მეურნეობის ყველა ციკლის საგნები, რაც მიუთითებს მის მრავალპროფილიანობაზე. ქართულ ფოლკლორში შემონახულია ცნობა, რომ შოთა რუსთაველს უმაღლესი განათლება ამ აკადემიაში ჰქონდა მიღებული.

ისტორიული წყაროები იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ იყალთოს აკადემია არაფრით ჩამოუვარდებოდა გელათის აკადემიას. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ XII საუკუნე „ოქროს ხანად“ იწოდება საქართველოს ისტორიაში. ქვეყანა, რომელსაც ასეთი საერთაშორისო სტანდარტების სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლები გააჩნდა, ცხადია, ეყოლებოდა ასევე მაღალი რანგის კადრები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჭეშმარიტი განათლება ყოველთვის აისახება ქვეყნისა და ერის განვითარებაში.

ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება გრემის აკადემიაც, მაგრამ ჟამთა სიავის გამო განიცდის მტკიცებულებების სიძუნწეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენადაც არარსებული არასდროს არასად მოხსენიება და თუ მოხსენიებულია, ის უდავოდ იარსებებდა. აქ მინდა დავიმოწმო ოთარ ჭილაძის ლექსი, „როდესაც ასე ახლოა გრემი: „და თუმცა გრემი არის ბებერი, დაღლილი და დანგრეული,“ „...მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს სახეგაპობილ კედლის ალმური“ (1959 წ).

ჩვენი ქვეყნის წარსულის უმდიდრესი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის წიაღში შეიცნობა დიდი საქართველოც და

ევროპაც. პირველ რიგში, თავი უნდა შევიცნოთ და მერე ვეძებოთ სხვაგან უკეთესი, რომ ახალ თაობას არ მოეჩვენოს, თითქოს XXI საუკუნემდე წერა-კითხვა არ ვიცოდით.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საკითხები, საერთოდ, განათლების წარმოშობისა (მის მხოლოდშობილობის) და ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შესახებ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ის შეიცავს, აგრეთვე, შეფასებით ინფორმაციებს ჭეშმარიტი მამულიშვილების უანგარო, თავდადებულ კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაზე. მათი რეტროსპექტრულ და თანამედროვე ღირებულებებზე, რომელთა ცოდნა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ადამიანის ღირსების, დანიშნულებისა და ცხოვრების აზრის გაცნობიერებაში.

ლიტერატურა:

1. Basiladze N., Qartuli Pedagogikis Istoria. Batumi, 2013.
2. Gamyrelize Al., Kaukhchishvili S. Bizantieli Mtserlebis Cnobebi Saqartvelos Shesakheb. T. 1, Tbilisi, 1961.
3. Kekelidze K., Dzveli Qartuli Literaturis Istoria, T. 1, Tbilisi, 1980.
4. Khukhua G. Inkluziuri Ganatleba. Tbilisi, 2017.
5. Khukhua G., Biblia Metyvelebis Tsarmoshobisa da Danisnulebis Shesakheb. Kulturatashorisi Komunikaciebi, #3, Tbilisi, 2008.
6. Metreveli R., Mecnierebata Akademiis Rhrma Fesvebi. Ckhum-Afkhzetis Mecnierebata Akademia, Sromebi #1, 2011, pp. 5-10.
7. Nucubidze Sh., Qartuli Filosofiis Istoria, T1, Tbilisi, 1956.
8. Pedagogikis Istoria. Ed. N. Vasadze, Tbilisi, 2004.

Gulnaz Khukhua

ANCIENT GEORGIAN CULTURAL AND EDUCATIONAL CENTERS IN GEORGIA AND ABROAD

Summary

This scientific paper discusses a divine origin of educational phenomenon. It also deals with existence of Georgian highest educational centers and academies in Georgia and abroad; and Georgians who served at the centers from antique era to the 12thcentury CE.

All things were made by God who created a man with potential psycho-intellectual abilities which were necessary for development and perfection; From

the beginning until now a human has not changed biologically.

According to the materials which have been preserved until now, the monasteries that were founded by Georgians abroad were ecclesiastical, educational and cultural centers, uniting Georgians outside the country. The following highest educational schools emerged in Georgia and abroad:

- Rhetorical Academy of Fazisi –3th-4th centuries CE;
- Gelati Academy established by David the Builder –10th century CE;
- Ikalto Academy was destroyed by Arabs in 9th century and later, in 11th-12th centuries it was rebuilt;
- Georgian highest educational center in Syria, established by Peter Iberian in the 5th century;
- Cultural and educational center of Sin – 9th century;
- Georgian cultural, educational and scientific center of Iberian monastery on Athos established by Ioane Khurtsidze and Tornike Eristavi –10th century;
- In Bulgaria the Georgian highest educational school known as Petritsi Academy established by; Georgian warlord Grigol Bakuriani where the first director was Ioane Petritsi – 10thcentury.

სწავლების მეთოდიკა
TEACHING METHODOLOGY

ბელა სარია

რატომ გახდა აუცილებელი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობასთან მიბრუნება?

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

თანამედროვე საზოგადოება უამრავი გადაუჭრელი ზნეობრივ-მორალური პრობლემის წინაშე დგას. აღმზრდელობითი კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებამ დაკარგა მორალური საყრდენები და აღარ პასუხობს სასიცოცხლო ინტერესს – იყოს შესაფერისი გარემო პიროვნების ზნეობრივი და სულიერი აღზრდისათვის.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში მსგავსი პრობლემების მოწესრიგების შესაძლებლობა უდიდესმა მამულიშვილებმა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესების ჰუმანისტური პრინციპებით მოწყობაში დაინახეს. 1865 წლიდან დაწყებული, იაკობ გოგებაშვილი თავის მისიად მიიჩნევდა ახალი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სისტემის ჩამოყალიბებას და ამისთვის გულდასმით შეისწავლიდა არსებულ ვითარებასა და ისტორიულ კონტექსტებს. ის მხარს უჭერდა სახალხო სკოლების შექმნასა და ფუნქციონირებას საქართველოს ყველა რეგიონში, რადგან სახალხო სკოლების საქმიანობის კონცეფციის საფუძველში მოიაზრებდა სამშობლოს სიყვარულს, სიკეთის რწმენასა და მაღალი ზნეობრივი იდეალების ერთგულებას.

გოგებაშვილისა და მისი მხარდამჭერების ძალისხმევით იმ დროს არსებულ ყველა ტიპის სკოლაში სააღმზრდელო საქმიანობა გახდა ერთერთი ძირითადი მიმართულება. გოგებაშვილისათვის ხალხურობის იდეა ერწყმის თავისუფლების იდეას. მას მიაჩნდა, რომ თავისუფალი აღზრდა არის აუცილებელი პირობა ბავშვის ზნეობრივი და შემოქმედებითი განვითარებისათვის. ის უპირისპირდებოდა რუსული გიმნაზიებისათვის დამახასიათებელ ძალადობრივ აღმზრდელობით სისტემას, ბავშვის მიმართ უდიერ დამოკიდებულებას, ამიტომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ბავშვის პიროვნების პატივისცემა მისთვის უპირობო აუცილებლობა გახდა.

ყმაწვილის სულთან და გულთან მისასვლელად გოგებაშვილმა ორი ძირითადი გზა აირჩია – მშობლიური ენა და გარემომცველი ბუნება. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, ასევე, ხალხის კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებსა და რელიგიურ-სარწმუნოებრივ ასპექტებს, როგორც პიროვნების ზნეობრივი თვითსრულყოფის საფუძვლებს.

ჩვენი მოსაზრებით, საინტერესოა თვალი მივადევნოთ, სად და როგორ ხედავს იაკობ გოგებაშვილი მოსწავლის ადგილს სასწავლო პროცესში. ასე, ვფიქრობთ, გასაგები გახდება რატომ ენდობიან დღესაც საუკეთესო მასწავლებლები მის პედაგოგიურ ალღოსა და მეცნიერულ ინტუიციას.

1865 წელს გამოცემულ ანბანის პირველ სახელმძღვანელოში „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლისათვის," იაკობ გოგებაშვილს გამოყენებული აქვს ბგერითი ანალიზური მეთოდი. გოგებაშვილი 24 წლისა იყო, როცა სქოლასტიკური სკოლებისათვის მიღებული სინთეზური მეთოდი ჩაანაცვლა იმ დროისათვის უახლესი, ყველა პროგრესული პედაგოგისაგან აღიარებული ანალიზური მეთოდით.

ი. გოგებაშვილმა ახალი მეთოდის უპირატესობა მეცნიერულად დაასაბუთა „ქართული ანბანის" წინასიტყვაობაში. იგი ჩამოთვლის იმ ღირსებებს, რაც მის მიერ შედგენილ „ქართულ ანბანსა" და ბგერით-ანალიზურ მეთოდს ახასიათებს:

1. „სიტყვა საგანს ასახავს – იგი გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ ბგერა-ასო სიტყვის საფუძველზე უნდა მიეცეს. ამით ყმაწვილი პირველვე დაინახავს სწავლაში ჰაზრს, შეხედავს სწავლას, როგორც გონივრულ საგანს და წახალისდება... აი, ყმაწვილის მასწავლებელმა წაიკითხა სიტყვა: დე-და. ყმაწვილი წარმოიდგენს თავის დედასა, ამასთანავე თავის სახლს, მამას, ძმებს, ადგილს. ერთი სიტყვით, ერთი სიტყვა უამრავ საგანს მოაგონებს, რამდენიმე ჰაზრს წარმოუდგენს გონებაში ყმაწვილსა. მოსწავლე იგრძნობს კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა და რადგანაც ყოველ ყმაწვილს უყვარს ბუნება და ცხოვრება, სწავლაზედაც წახალისდება."
2. „ყმაწვილი ამ მეთოდზე კითხვას უფრო გონივრულად და სწრაფად სწავლობს. ეჩვევა კითხვას მარცვლებისა და არა ასოების ჩათვლით.
3. „ეს მეთოდი უადვილებს მასწავლებელს ცხად-გასაგონებლად, ყმაწვილს აუხსნას განრჩევა ხმოვანი და უხმო ასოებისა".
4. ამ მეთოდით სწავლება ასე მიმდინარეობს: „მასწავლებელი გამოთქვამს პირველ სიტყვას (ბა-გა) ისე, რომ ყოველს მარცვალს ცხადად განარჩევს. მოსწავლე გაიმეორებს. სწორედ აგრეთვე წაიკითხავს და გაამეორებინებს მეორე სიტყვას (დე-და). შემდგომ ორივეს ერთად გაამეორებინებს. აგრეთვე წაიკითხავს მესამე სიტყვას და მოსწავლეს გაამეორებინებს. შემდგომ სამივეს ერთად გაიმეორებენ. მერე წაიკითხავენ შემდგომ სამ სიტყვას: გუ-და, აბ-გა, ად-გა"...
5. „... როცა ყველა სიტყვის წაკითხვა და ჩვენება ეცოდინება მოსწავლეს, მაშინ მასწავლებელი მარცვლებს დააწყებინებინებს. ჯერ თვითონ წაიკითხავს მარცვლებს და უჩვენებს რომელი მარცვალი რომელ სიტყვაშია; მერე ამავე მარცვლებს წაიკითხავს მოსწავლე... შემდეგ მარცვლებიდან ამავე წესით გამოიყოფა ასოები, ხდება ცალკე ასოს წაკითხვა, ხმოვნისა და თანხმოვნის გარჩევა და ა.შ.
6. „მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ რასაც ბავშვი კითხულობს, მისი შინაარსი ესმოდეს;"

7. „ყოველი ამგვარი წიგნი ისე უნდა იყვეს შედგენილი, რომ ყმაწვილი სწავლაზე წაახალისოს, მოსწავლეს პირველივე სწავლა მოაწონოს... წასაკითხავი მასალა ადვილი უნდა იყოს, მისი გაგონება არ უნდა გაუჭირდეს... ამათ კითხვისას იპოვნის სიამოვნებას და თავის ცარიელს გონებას შესძინებს იმ ცოდნაებსა, რომელთაც ითხოვს მისი ბუნება“.
8. „მხოლოდ ის პირველი წიგნი უნდა იყვეს სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილისთვის, რომელიც შედგების ბუნებისა და იმის საგნების აღწერაებიდგან, რომლებიც მდაბიურად ხსნის ბუნების მოვლენებს.“
9. „მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ სტატიების სმენა გაუადვილოს ყმაწვილს; მან აუხსნელად არა სტატია არ უნდა გაუკვეთოს ყმაწვილს. ჯერ თვითონ წაუკითხავს სტატიას და ყოველფერს აუხსნის, მერე ზეპირად ათქმევინებს სტატიის აზრებს, შემდგომ დაუნიშნავს საკითხავადა“ (გოგებაშვილი, 1957).

ეს არის გააზრებული კითხვის გამართული სისტემა, ახალი მეთოდების ნაკრები, რომელსაც ავტორი თავაზობს მასწავლებელს. ნათელია, რომ დღევანდელი გადასახედიდანაც, საოცრად თანამედროვეა თავისი ჰუმანისტური, თავისუფალი აღზრდის პრინციპებზე, ბავშვზე მორგებული მეთოდოლოგიის გამო. ი. გოგებაშვილი წერდა: „არსებულ „ქართულ ანბანთა“ მეტად უხეირობამ, რაც შენიშნული იყო სემინარიის ხელმძღვანელობის მიერ, გამაბედვინა მე შემედგინა ანბანის სახელმძღვანელო ერთ-ერთ უკეთესსა და უახლეს მეთოდზე“.

ზემოთ მოტანილი 9 პუნქტი მხოლოდ მცირე ნაწილია იაკობ გოგებაშვილის მეთოდური შეხედულებებიდან. როგორც აღვნიშნეთ, არცერთ ამ დებულებას ყავლი არ გასვლია. „დედა ენამ“ კულტურული ძეგლის სტატუსი შეიძინა. ამის საფუძველი კი, როგორც თავად ავტორი წერდა, ის არის, რომ: „დედა ენის“ შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გულიო“ (გოგებაშვილი, 1989: 77). დღეს, როცა პირველი კლასისთვის წერა-კითხვის შესასწავლად ბევრი განსხვავებული სახელმძღვანელო არსებობს, მოცემულობა ასეთია – საერთაშორისო კვლევის (PIRLS-ის) მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს წაკითხულის აღქმა უკიდურესად უჭირთ და წიგნიერების დონე საგანგაშოდ დაბალია. საერთაშორისო კვლევები არსებულის მიზეზად სახელმძღვანელოების გაუმართაობას ასახელებენ. სამწუხაროდ, დაწუნებული სახელმძღვანელოების რიგში მოექცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაც.“ გამოსავლის საპოვნელად სწორი იქნება გარკვეული ფაქტების ჩამონათვალს მივაქციოთ ყურადღება.

თავად იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ 33-ჯერ გამოსცა. პირველი რედაქცია, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ 1865 წელს გამოიცა. მცირე ცვლილებებით დაბეჭდა მან იგივე სახელმძღვანელო 1868 წელს, მაგრამ ამ მეთოდით წერა-კითხვის სწავლება გაუჭირდათ მასწავლებლებს მოუმზადებლობის გამო და ავტორი იძულებული გახდა, „ქართული ანბანის“ მესამე გამოცემაში მოწონებული ბგერითი ანალიზური მეთოდი შეეცვალა დაწუნებული ბგერითი

სინთეზური მეთოდით. ქართული ანბანის მე-5 გამოცემაში (1872) ი. გოგებაშვილმა არსებითი შესწორებები შეიტანა: დაარღვია ბგერა-ასოთა სწავლების ანბანური რიგი, წერა-კითხვის დაწყებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად შემოიღო სავარჯიშო ზეპირმეტყველებაში, დაანაწევრა მისაწოდებელი მასალა, სწავლების დასაწყისისთვის გადმოიტანა ხმოვნების გაცნობა, უფრო აზრიანი გახდა კითხვაში სავარჯიშო მასალა. ეს რედაქცია 1872 და 1873 წლებშიც (მეხუთე და მეექვსე გამოცემები) ჩასწორდა და შემოკლდა. 1876 წლის რედაქციას მან პირველად უწოდა „დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისთვის“. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო გამოცემაში იმ დროისათვის რუსეთსა და ევროპაში ფართოდ გავრცელებული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი გამოიყენა. გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ თითოეული ახალი რედაქცია ასწორებდა წინა გამოცემის ხარვეზებს და, იმავდროულად, ზუსტად ასახავდა სწავლა-სწავლების ახალ მოთხოვნებსა და შეცვლილ სასწავლო გარემოს. როგორც დავრწმუნდით, გოგებაშვილის დამოკიდებულება თავისი სახელმძღვანელოების მიმართ თავისუფალია და შემოქმედებითი.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით არჩევდა სახელმძღვანელოში შესატანი ტექსტების ლექსიკას. სახელმძღვანელოში მოთავსებულია ისეთი სიუჟეტური ტექსტები, რომელთა გააზრებული კითხვა მოსწავლეს უვითარებს ანალიზისა თუ წარმოსახვის უნარებს. საგაკვეთილო ამოცანების შესრულებისას მოსწავლე არასოდეს რჩება მასწავლებლის ყურადღების მიღმა. გოგებაშვილის მითითებით, მასწავლებელმა ჯერ მთლიანი ტექსტი უნდა მოასმენინოს ბავშვებს, შემდეგ კი დაანაწევროს და ასე, ნაწილ-ნაწილ წააკითხოს და ყოველი წაკითხული ნაწილის შემდეგ კითხვებით გააააქტიურებინოს, გააააზრებინოს მოსწავლეებს წაკითხული ეპიზოდი. ეს მეთოდი იაკობ გოგებაშვილმა XIX საუკუნის ბოლოს ჩამოაყალიბა. დღეს უამრავი ქვეყნის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს აღნიშნული მეთოდით სწავლება. მას „პაუზებით კითხვის“ სახელით იცნობენ.

პროფესორი ვ. რამიშვილი „დედა ენაში“ შეტანილ საკითხავ მასალაზე წერდა: „საკითხავი მასალა „დედა ენაში“ ჟანრების მიხედვით ნაირგვარია: ზღაპარი, მოთხრობა, იგავ-არაკი, ლექსი, სტატია, ანდაზა, გამოცანა... გარდა საკითხავი მასალისა მოთავსებულია სასაუბროები, საწერი სავარჯიშოები... საკითხავი მასალა უმეტესად ხალხურია (ლექსები, ზღაპრები...). ხალხურ ნაწარმოებს იაკობ გოგებაშვილი უპირატესობას ანიჭებს იმიტომ, რომ მასში ხალხის სიბრძნეა გამოხატული, ხელს უწყობს ბავშვის ფანტაზიის, წარმოსახვის უნარის განვითარებას, ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. ხალხური ნაწარმოების ენა ლაკონურია და სადა, მის შინაარსს ბავშვი ადვილად ითვისებს. ხალხური ნაწარმოები ბავშვის მეტყველების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. თემატიკურად საკითხავი მასალა მრავალფეროვანია: ეხება მცენარეებს, ცხოველებს, წელიწადის დროებს, გმირობას, კაცთმოყვარეობას, დედის სიყვარულს, გონებამახვილობას, მოხერხებულობას, სიბეჯითეს,

კეთილშობილებას, სულგრძელობას, ადამიანთა ურთიერთობას, ცხოველთა ურთიერთობას და სხვა.“ (Ramishvili, 1976).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო და მეთოდურ მოსაზრებებს ყავლი არ გასვლია. ისინი დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას. ამიტომაც ამ პრინციპებით შემუშავებული ნებისმიერი სახელმძღვანელო მისაღები და სანდო იქნება ქართული სკოლებისათვის. რაც შეეხება „დედა ენის“ ტექსტურ მასალას, XXI საუკუნეში მათი გადმოკოპირება არ იქნება მართებული. უნდა გვახსოვდეს, იაკობ გოგებაშვილის პრინციპი იყო ხალხის მეტყველებასთან უკიდურესად დაახლოებული სამეტყველო ფორმებით შედგენილი (ხშირად ადაპტირებული) ტექსტების შექმნა, რათა საკითხავი მასალა ადვილად აღსაქმელი და გასაგები ყოფილიყო მოსწავლეებისათვის.

ლიტერატურა:

1. Gogebashvili Iakobi. Tkhzulebani, Tbilisi, 1957.
2. Gogebashvili Iakobi. Tkhzulebani, Tbilisi, 1989.
3. Ramishvili V. “Deda Enis” Amagdari. Jurnal *Primary School and Pre-School Education*. 1976, #4.

Bela Saria

WHY DID IT BECOME NECESSARY TURNING BACK TO IACOB GOGEBASHVILI’S HERITAGE?

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Modern society faces many unsolved moral problems. The educational crisis is caused by the fact that society has lost its moral foundations and no longer responds to the vital interest of being an environment conducive to one’s moral and spiritual upbringing.

By the end of the 19th century and the beginning of the 20th century, the greatest patriots saw the possibility of solving such problems in a humanistic manner in educational and nurturing processes.

Iacob Gogebashvili has scientifically substantiated the advantage of the new method in the preface to the “Georgian alphabet”. It lists the merits of the “Georgian alphabet” and its sound-analytic method:

This is a well reading system, a set of new methods was offered by the author to the teacher. And, it is clear that, even today, it is remarkably up-to-date on its humanistic, free-living principles of child.

The above mentioned 9 points are only a small part of Iakob Gogebashvili's methodological views. As we have noted, none of these provisions came to fruition. „DEDA ENA" has acquired the status of a cultural monument. The basis for this is the author's statement: "During the creation of the "DEDA ENA" my Georgian mind and my Georgian heart acted together".

Nowadays, when there are many different textbooks for first grade literacy, according to International Research (PIRLS), children in our country have extremely low perceptions of reading and literacy level is very low.

International studies said that a lack of guidelines is the reason for the existing process. Unfortunately, Iacob Gogebashvili's "DEDA ENA" is among rejected textbooks. To find a solution, it would be appropriate to pay attention to the list of facts.

Gogebashvili has published "DEDA ENA" 33 times in his lifetime. We would like to draw the reader's attention to the fact that each new edition corrects the previous edition and, at the same time, accurately reflects the new teaching and learning requirements in changed educational environment. As we have assured, Gogebashvili's attitude towards his textbooks is free and creative.

It is possible to say with confidence that Iakob Gogebashvili's scientific and methodological views have not gone away. They are still relevant today. That is why any guidelines developed by these principles will be acceptable and reliable for Georgian schools. As for the textual material of the "DEDA ENA" their copying in the 21st century will not be corrected.

It should be remembered that Gogebashvili's principle was to create (often adapted) texts that were very closely related to the speech of the people so that the reading material could be easily understood by the students.

ლევან ჯინჯიხაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები და კლასიფიკაცია

ადამიანის საქმიანობის სტრუქტურის სხვადასხვაგვარი კვლევა მუდმივად ხაზს უსვამს მასში მოტივაციის კომპეტენტურობის არსებობის აუცილებლობას. ნებისმიერი საქმიანობა წარიმართება გაცილებით ეფექტურად და მოგვცემს ხარისხიან შედეგს, თუკი პიროვნებას გააჩნია ძლიერი, ნათელი და ღრმა მოტივები, რომლებიც იწვევენ სასურველ აქტიურ მოქმედებას, სიძნელეების გადალახვას, დასახული მიზნისაკენ დაჟინებულ სწრაფვას. აქ უნდა წარმოჩინდეს მოსწავლის ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა მიზანსწრაფულობა, ორგანიზებულობა, მომთხოვნელობა, კონკრეტულობა, თანმიმდევრულობა და სხვ.

ყოველივე ამას კი პირდაპირი კავშირი აქვს სასწავლო საქმიანობასთან, რომელიც იმ შემთხვევაში იქნება უფრო წარმატებული, თუ მოსწავლეებს ჩამოყალიბებული აქვთ დადებითი დამოკიდებულება სასწავლო საქმიანობისადმი, თუკი მათ აქვთ ცოდნისადმი ინტერესი, მოთხოვნილება ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი, გამომუშავებული აქვთ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა. სწორედ სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს პიროვნების თანდათანობითი ფორმირება.

პიროვნების ფორმირება ანუ პიროვნების სრულყოფა ეს არის სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, სტაბილიზაციის გარკვეული დონის მიღწევა, თვისებათა შეძენა, გარკვეული შედეგის მიღწევა (Vasadze, 2000: 126).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლე წარმოადგენს ინტერაქტიური სწავლების სუბიექტს. იგი სწავლება-სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლება-სწავლის პროცესი განსაკუთრებით აქტიურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული. ეს ცნება (სწავლების სწავლა) მოიცავს დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი აქტივობების დროში განაწილებას, მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთდამოკიდებულებას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას (Maglakelidze, 2013:8).

აქედან გამომდინარე თავად ტერმინი სწავლება-სწავლა სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ეს პროცესი ინტერაქტიური უნდა იყოს და მისი სუბიექტები როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეც აქტიურად უნდა იყვნენ მასში ჩართულნი. სწავლება-სწავლა წარმოადგენს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს, სადაც პედაგოგმა უნდა მიმართოს

- მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეო-

ბაზე;

- დაეხმაროს მას იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას;
- აღმოაჩენინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი.

სწავლება-სწავლა ადამიანის მიერ ცოდნის, უნარ-ჩვევების ათვისების მიზანმიმართული პროცესია თანამედროვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტერმინების **მეთოდის, მეთოდიკის** და **მეთოდოლოგიის** განმარტება ლექსიკონების მიხედვით ასეთია:

მეთოდ-ი [ბერძ. methodos] 1. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხი. 2. ხერხი, წესი, წესების სისტემა რაიმე მოღვაწეობაში.

მეთოდიკა [ბერძ. methodike] 1. რისამე პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭირო მეთოდების, წესების ერთობლიობა. 2. პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც გადმოსცემს ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდებს.

მეთოდოლოგია [ბერძ. Methodos მეთოდი და logos მოძღვრება] 1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ. 2. ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებულ კვლევის მეთოდთა ერთობლიობა (Uckho sityvata leqsikoni, 1964:248).

ფაქტიურად ასევეა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც:

მეთოდ-ი [ბერძ. Methodos გამოკვლევა] 1. მოვლენის კვლევის ხერხი, – მიდგომა შესასწავლი მოვლენებისადმი, ჭეშმარიტების დადგენის გეგმაშეწონილი გზა. 2. ხერხი, გზა, საშუალება მოქმედებისა.

მეთოდიკა [ბერძ. methodike] 1. რაიმე საქმის შესასრულებლად საჭირო ხერხთა სისტემა. 2. პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სწავლების წესებსა და ხერხებს.

მეთოდოლოგია [ბერძ. methodos მეთოდი და logos სწავლება] 1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ. 2. ერთობლიობა კვლევის მეთოდებისა და ხერხებისა, რომელსაც ამა თუ იმ მეცნიერებაში იყენებენ [qartuli enis ganmartebiti leqsikoni, 1958;159-160].

ა. ნარგიზიშვილისა და მ. ნარგიზიშვილი-მიქაძის განმარტებით მეთოდოლოგია არის მეცნიერება კვლევის იდეალური პოზიციების ლოგიკისა და მეთოდების შესახებ, ხოლო თეორია არის შესასწავლი მოვლენების, პროცესების შემეცნების, გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული შეხედულებათა, მსჯელობათა, დასკვნების ერთობლიობა (Nargizishvili, Nargizishvili-Mikadze, 2006:18).

განასხვავებენ ნებისმიერი მეცნიერების მეთოდოლოგიის სამ დონეს:

- **ზოგადი მეთოდოლოგია** – ზოგადმეცნიერული მიდგომა ადამიანის სწავლებისა და აღზრდის პროცესების კანონზომიერებათა შესახებ;

- **სპეციალური (კონკრეტული) მეთოდოლოგია** – მყარი წარმოდგენების შექმნა ადამიანის ცხოვრების, ფსიქიკისა და მათზე პედაგოგიური აღმზრდელობითი ზემოქმედების შესახებ. ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა იკვლიოს და დაადგინოს ის კანონზომიერებანი, რომელიც დამახასიათებელია კვლევის მოცემული ობიექტისათვის, მასში შემავალი ფენომენებისათვის;
- **კერძო მეთოდოლოგია** – წარმოადგენს იმ მეთოდთა, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული მოვლენების და, საერთოდ, პედაგოგიური პროცესების შესწავლისა და ანალიზისათვის (Nargizishvili, Nargizishvili-Mikadze, 2006: 21).

პრაქტიკულად ასეთივე შინაარსისაა ზემოთხსენებული ტერმინების განმარტება პედაგოგიკისა და მეთოდიკის სხვა სპეციალისტთა მიერაც.

მეთოდოლოგიას სხვანაირად მეცნიერული კვლევის სტრატეგიასაც უწოდებენ.

სწავლების მეთოდები გვაქვს ორნაირი, ფართო გაგებით **მეთოდი-კონცეფცია**, ეს არის სწავლების გზებისა და საშუალებების ერთობლიობა. ხოლო, სწავლების მეთოდები ვიწრო გაგებით **მეთოდი-საშუალება** – ეს არის განსაზღვრული საშუალებები მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობისა მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მიმართულია სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად.

სწავლების მეთოდები არის მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის საშუალება, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედების ორგანიზაციას, რომელსაც ისინი მიჰყავს არცოდნიდან ცოდნამდე, უვითარებს უნარებს კონკრეტული საგანმანათლებლო შინაარსის მასალების ათვისებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწავლების მეთოდები, მიზანი და შინაარსი ისტორიულად ყოველთვის იცვლებოდა. იგი იცვლება ყოველ გაკვეთილზე მასალის ხასიათის, მოსწავლეთა ასაკის, მომზადების დონისა თუ გაკვეთილის მიზნის მიხედვით.

სწავლების მეთოდების შერჩევისას აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მათი სწავლებითი მნიშვნელობა, არამედ, მათი გავლენაც მოსწავლეთა შემეცნებითი მოქმედების აღზრდასა და განვითარებაზე. ამ მხრივ საინტერესოა ისეთი შემეცნებითი მოქმედება, რომელიც მიმართავს მოსწავლეს შემეცნების გზებისა და ხერხების ძიებისაკენ, საკუთარი ცოდნის აქტუალიზაციისაკენ, ანალიზისაკენ, სინთეზისაკენ, განზოგადებისაკენ.

დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მოიაზრება არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული გზის შერჩევა, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტების ძიება. იმისათვის, რომ სასწავლო საქმიანო-

ბის ასეთი მოტივები ჩამოყალიბდეს, აუცილებელია ყველა იმ მეთოდის გამოყენება, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სასწავლო საქმიანობის მიზანმიმართული ორგანიზაციული განხორციელებისათვის.

ეს მეთოდები შეიძლება იყოს:

ცოდნის მიღების წყაროდან გამომდინარე:

- **ვერბალური** (სიტყვიერი) **მეთოდები**, რომლებიც მიმართულია ცოდნის თეორიული ფორმირებისაკენ და ასევე მოსწავლეთა სიტყვიერ-თვალსაჩინოებრივი აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისაკენ;
- **სწავლების თვალსაჩინო მეთოდები**, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სახოვანი აზროვნებისა და მეხსიერების განვითარებისაკენ;
- **სწავლების პრაქტიკული მეთოდები**, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების ფორმირებისაკენ, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულების გზით სასწავლო საქმიანობის ჩვევების განვითარებისაკენ.

მიდგომის ლოგიკურობიდან გამომდინარე:

- **ინდუქციური** – კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა;
- **დედუქციური** – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დედუქციას გააჩნია ორნაირი გაგება: ფართო გაგებით დედუქცია არის აზროვნების ფორმა, როცა ცნობილი აზრებიდან გამოიყვანება ახალი აზრები წმინდა ლოგიკური გზით, გამოიყენება ლოგიკური კანონები. ხოლო ვიწრო გაგებით დედუქციაში იგულისხმება მსჯელობები, რომლებშიც გამოიყენება ზოგიერთი ლოგიკური წესი.
- **ტრადუქციული** – ანალოგიებით მსჯელობა, რომელიც შეიძლება გვქონდეს სამი ტიპის: ერთეულიდან ერთეულისაკენ, კერძოდან კერძოსაკენ, ზოგადიდან ზოგადისაკენ.

მასწავლებელ-მოსწავლის თანამშრომლობითი საქმიანობიდან გამომდინარე:

- ლექცია;
- საუბარი;
- გადმოცემა (თხრობა);
- დემონსტრაცია;
- დამოუკიდებელი მუშაობა.
- წიგნთან მუშაობა, რომელიც ორი სახისაა: ახსნითი კითხვის მეთოდი და დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.

დიდაქტიკური ამოცანებიდან გამომდინარე:

- ცოდნის შეძენა;
- უნარ-ჩვევების ფორმირება;
- ცოდნის შესაბამისად გამოყენება;
- შემოქმედებითი საქმიანობა;

- აღქმითი;
- განმარტებითი;
- განმტკიცებითი და სხვ.

შემეცნებითი საქმიანობიდან გამომდინარე:

- ახსნით-ილუსტრაციული;
- რეპროდუქციული;
- პრობლემურ-ძიებითი;
- ნაწილობრივ-ძიებითი (ევრისტიკული);
- კვლევითი.

ცოდნის დანაწევრების ან გაერთიანების პრინციპიდან გამომდინარე:

- ანალიზური;
- სინთეზური;
- ანალიზურ-სინთეზური;
- შედარებითი;
- განმაზოგადებელი.

დასახელებულ მეთოდებს ახასიათებს არა მხოლოდ სასწავლო-ინფორმაციული თვისებები, არამედ მოტივაციური ზემოქმედებაც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ნებისმიერი სწავლების მეთოდის მოტივაციურ-მასტიმულირებელ ფუნქციაზე.

პედაგოგიკური მეცნიერებიდან და მასწავლებელთა სასწავლო საქმიანობიდან გამომდინარე, გროვდება მეთოდთა საკმაოდ დიდი არსენალი, რომლებიც მიმართულია სწავლების დადებითი მოტივების ფორმირებისაკენ, შემეცნებითი აქტივობის სტიმულირებისაკენ, რომლების საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის კიდევ უფრო გამდიდრება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ შემთხვევაში სტიმულირების ფუნქცია იწევს წინა პლანზე და სხვა მეთოდთა ხელშეწყობით იწვევს საგანმანათლებლო ფუნქციის განხორციელებას.

მასწავლებლის მიერ აღძრული სტიმული მოსწავლეებში, პირველ რიგში, უნდა იწვევდეს შინაგან კმაყოფილებას, რადგან ხშირად ეს აძლევს მათ საშუალებას წარმოაჩინონ საკუთარი თავი, ადგილი დაიმკვიდრონ კლასში, თანატოლებში. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა მასწავლებელმა მოსწავლეთა მიმართ დაიცვას ზომიერება.

სტიმულირებისა და მოტივაციის მეთოდთა ჯგუფი პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში მოთავსდება ის მეთოდები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების გასააქტიურებლად, ხოლო მეორე ქვეჯგუფში ის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობების ფორმირებაზე სწავლების პროცესში.

სპეციალური კვლევები, რომლებიც მიძღვნილია **შემეცნებითი ინტერესის** ფორმირების პრობლემისადმი, გვიჩვენებს, რომ ყველა სახის ინტერესი, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, ხასიათდება ძირითადად სამი აუცილებელი მომენტით:

- საქმიანობისადმი ემოციების დადებითი დამოკიდებულებით;
- ამ ემოციების შემეცნებითი მხარის არსებობით;

- სასწავლო საქმიანობის მოტივაციის არსებობით (Jinjikhadze, 2014: 24).

ამიტომ, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სწავლების პროცესში აუცილებელია, ხელი შევუწყოთ დადებითი ემოციების წარმოქმნას სასწავლო საქმიანობასთან, მის შინაარსთან, ფორმებთან და მეთოდების განხორციელებასთან მიმართებაში. ემოციური მდგომარეობა ყოველთვის კავშირშია სულიერ მღელვარებასთან, განცდასთან, როგორიცაა: თანაგრძნობა, სიხარული, მწუხარება, გაკვირვება, აღტაცება. სწორედ ამიტომ ყურადღების, დამახსოვრების, გააზრების პროცესში ერთვება პიროვნების ღრმა შინაგანი განცდა, რომელსაც იძლევა თვით ეს პროცესები სასწავლო პროცესის ინტენსიური მიმდინარეობისას და აქედან გამომდინარე, იგი ხდება მეტად ეფექტური, მისაღწევი მიზნის გააზრებით.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ერთ-ერთი ხერხი, რომელიც შედის სწავლების ემოციონალურ-მასტიმულირებელ მეთოდთა სისტემაში, არის **შექმნის** ან **წარმოქმნის ხერხი** (სტრატეგია), რომელიც შეიძლება წარმოიშვას სახალისო, გასართობ სიტუაციებში, როგორიცაა, მაგალითად, სასწავლო პროცესის შესავალ ნაწილში სახალისო ეპიზოდების მოხმობა, გამოცდილების ფაქტორის გათვალისწინება, პარადოქსული (უჩვეულო, უცნაური) ფაქტები. მასწავლებელს ინტერესის ასამაღლებლად შეუძლია მოიხმოს და გააანალიზოს ეპიზოდები ან ნაწყვეტები მხატვრული ლიტერატურიდან, რომელიც ეხება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას (Jinjikhadze, 2014: 25).

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, სწავლების პროცესში ინტერესის სტიმულირებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს **შემეცნებითი თამაშობები**, რომლის დასაყრდენსაც წარმოადგენს სათამაშო სიტუაციები. შემეცნებითი თამაშობები მასწავლებლის მიერ ყოველთვის უნდა განისაზღვროს საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარე.

სწავლებაში სტიმულირებისა და მოტივაციის მეთოდებს მიეკუთვნება ასევე **დისკუსიის სიტუაციის შექმნის მეთოდი**. დისკუსია ინტერაქტიური მეთოდიკის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს და მისი წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა კლასში სუფევდეს ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი.

დისკუსიის მეთოდი ეს არის მოქნილი მეთოდი, რომელიც გამოიყენება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისათვის, უპირველესად კი, კრეაციულობისა და თვითშემეცნების თვალსაზრისით. ეს მეთოდი გამოიყენება სასწავლო პრობლემების გადასაჭრელად. ამ მეთოდს გააჩნია შესაძლებლობები კომუნიკაციურ ქცევასა და საკუთარ თავთან მიმართებაში მოსწავლემ მოახდინოს და აწარმოოს ძიებისა და დადებითი თვისებების ფორმირება და განმტკიცება.

სასწავლო დისკუსია იწვევს და ამაღლებს ინტერესს ამა თუ იმ თემისადმი, მოვლენისადმი, ფაქტისადმი. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელ-

მა აღნიშნული მეთოდი გამოიყენოს აქტიური სწავლების წარმართვისათვის. მასწავლებელს შეუძლია საკამათო სიტუაცია შექმნას ნებისმიერ მომენტში თუნდაც ტრივიალური (გაცვეთილი) კითხვის დასმით: „ვინ ფიქრობს სხვაგვარად?“ თუ ასეთი კითხვა იწვევს კამათს, მაშინ მოსწავლეები თავისდაუნებურად იყოფიან მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად ამა თუ იმ თემის (საკითხის) გარკვევა-განმარტებისას და ინტერესით ელოდებიან მასწავლებლის არგუმენტირებულ დასკვნას.

მასწავლებლის როლი დისკუსიის მსვლელობისას ზოგადად შეიძლება ასეთი იყოს:

- ზუსტად და გასაგებად განსაზღვროს სადისკუსიო საკითხი;
- არ ჩაერიოს დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
- მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება;
- გააკონტროლოს, რომ მოსწავლეებმა დისკუსიისას დასმული პრობლემიდან არ გადაუხვიონ.

დისკუსიის მოსალოდნელი შედეგებია:

- სასწავლო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება;
- სწავლა სხვების მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა;
- საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება;
- მოსწავლეების მაღალი ხარისხით ჩართულობა სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, დისკუსიის მეთოდის გამოყენება სწავლებაში იძლევა:

- მოსწავლის შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას;
- მოსმენის უნარის განვითარებას;
- პრობლემათა მყისიერად გადაწყვეტის უნარს;
- მოტივაციის ამაღლებას;
- საკუთარი იდეების არგუმენტირებას;
- საკუთარი პიროვნული პოზიციის უპირატესობის ჩვენებას არგუმენტების მოყვანით და სხვ.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მეთოდს დადებით მხარესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეები:

- ერთგვარად შეზღუდულია მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან;
- ჯგუფურმა დისკუსიამ შეიძლება დაკარგოს თავისი მიმართულება;
- ეფექტური ჯგუფური დისკუსია შესაძლებელია მხოლოდ მცირე ჯგუფების შემთხვევაში;
- ძალიან რთულია საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებაზე უარის თქმა. მოსაზრება მცდარი რომ აღმოჩნდეს, ზოგ მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს მისი აღიარება.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი, გარდა იმისა, რომ ქართუ-

ლი ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე აყენებს კონკრეტულ თემას, საკითხს თუ პრობლემას და სადისკუსიოდ განაწყობს მოსწავლეებს, ამავე დროს უნდა იზრუნოს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც საჭიროა და აუცილებელი დისკუსიის ნორმალურად წარმართვისათვის. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებში გააღვივოს და დანერგოს აზრი, რომ დისკუსიაში მონაწილეებს აქვთ საერთო პრობლემა და შეხედულებათა შეჯერება მიგვიყვანს პრობლემის სწორ გადაჭრასთან.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, სასწავლო დისკუსია გამოდის იმ მეთოდის როლში, რომელიც ახდენს ინტერესის სტიმულირებას სწავლისადმი.

სტიმულირების მეთოდებს შორის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ **ცხოვრებისეული სიტუაციების ანალიზი**. ეს მეთოდი უშუალოდ იწვევს სწავლისადმი სტიმულირებას კონკრეტული ცოდნის ფონზე.

სწავლისადმი ინტერესის სტიმულირებისათვის ერთ-ერთ აქტიურ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეებში **წარმატების მიღწევის სიტუაციის შექმნა**, რომლის დროსაც სწავლებაში შეიძლება გარკვეული სახის სირთულეებსაც წავაწყდეთ [Jinjikhadze, 2014:28]. სასწავლო სირთულეების დაძლევის მიზნით მიზანშეწონილია, მასწავლებელმა შეარჩიოს ზოგიერთი ისეთი მოსწავლე, რომელთაც სჭირდებათ სტიმულირება; ისინი მიიღებენ შესაბამის ეტაპზე მათთვის მისაწვდომ დავალებას, რომელიც შემატებდა რწმენას საკუთარი თავისადმი და შეძლებდნენ გაეგრძელებინათ თავიანთი სასწავლო საქმიანობა სასურველ ტემპში.

წარმატების მიღწევის სიტუაციის შექმნა შესაძლებელია მოსწავლეთა დიფერენციაციის გზით ერთი და იგივე სირთულის სასწავლო დავალების შესრულებით. წარმატების მიღწევის სიტუაცია იქმნება მასწავლებლის მიერ, მოსწავლის სტიმულირების (წახალისების, წაქეზების) გზით.

ლიტერატურა:

1. Chabahsvili M. (1964) Uckho Sityvata Leqsikoni. Tbilisi.
2. Jinjikhadze L. (2014) Qartuli Enisa da Literaturis Datsyebiti Kursis Stsavlebis Metodika da Teqnologia. Tbilisi (Jinjikhadze, L. (2014). Primary Course Teaching Method and Tecnology Of Georgian Language and Literature. Tbilisi).
3. Maglakeidze N. (2013) Qartuli Enis Stsavlebis Metodika/Didaqtika (I-VI Klasebi). Tbilisi.
4. Nargizishvili A., Nargizishvili-Miqadze M. (2006) Pedagogika. Tbilisi.
5. Qartuli Enis Ganmartebiti Leqsikoni. T. V. (1958) Tbilisi.
6. Vasadze N. (2000) Pedagogika. Tbilisi .

Levan Jinjikhadze

METHODOLOGICAL PRINCIPLES AND CLASSIFICATION OF GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE TEACHING

Summary

The paper deals with the problem of Georgian Language and Literature Teaching Methodological Principles and Classification. It particularly explains teaching methods, methodologies and their significance; there are three levels of methodology: General Methodology – general-scientific approach towards the patterns of human teaching and upbringing processes; Specific (particular) methodology – creation of a solid imaginations about life, mentality and pedagogical educational influence. This methodology gives the possibility to search and state the regulations, which are characterized for the given research; Private methodology is a combination of those methods, ways and means which are used for specific events and in general, teaching and analyzing pedagogical processes. There are also represented the following methods of teaching, which can be: proceeding from the source of receiving knowledge: verbal (word) methods of teaching, visual and practical methods of teaching. From the approach of logics viewpoint they are inductive, deductive and traductive ones. According to the teacher-pupils collaboration activity: it could be a lecture, talk, narration, demonstration, independent work and work on books which can be of two types: the method of explanatory reading and method of independent reading; Due to didactical tasks there are the following methods: knowledge acquisition, skills formation, appropriate application of knowledge, creative activity, reception, explanation and the others. Due to cognitive activity: explanation-illustrative, reproductive, problem-seeking, partial-seeking (heuristic), researchable. Due to the principle of fragmentation and unity of knowledge: analytical, synthetic, analytical-synthetic, comparative and generalizing

Rusudan Gogokhia

APPROACHES TO TEACHING PHRASAL VERBS

Presented by Institute of foreign Language at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Abstract. Phrasal verbs present a challenge for language teachers and students. ESL teachers are typically given knowledge of syntactic tests to identify PVs, but a deeper semantic knowledge may help them teach more effectively. Empirical research is needed to establish this claim. Teaching strategies beyond memorization, syntactic rules, and categorization have been proposed by several researchers. Studies indicate that some of these strategies may help ESL student's better grasp the identification and interpretation of PVs. These strategies need to be examined further with more languages, better methodologies, and multiple levels of students to verify their effectiveness.

There are other ways that words can take on multiple meanings, though. One of these ways involves phrasal verbs. Phrasal verbs open up a whole new world of possibilities for speaking English. They are phrases that give verbs completely different meanings. They are also used incredibly often in everyday conversation, which makes them important to know.

A phrasal verb is made up of a main verb together with an adverb or a preposition, or both. Typically, their meaning is not obvious from the meanings of the individual words themselves.

Teachers and learners tend to perceive Phrasal Verbs as difficult to learn, particularly as they seem to have so many alternative meanings, yet they are among the first verbs acquired by native speaker children. You've probably encountered them in traditional lists as discrete items of vocabulary, often paired with their Latin cognates, e.g. come back/return, as a massive load to be learnt by heart. Happily, there is a much better solution, requiring a complete shift in approach. As with every component of any language, you have to think "system".

Phrasal verbs only have 'meaning' in context. It's pointless trying to translate them in a one-to-one correspondence. A phrasal verb has as many 'meanings' as the contexts in which it can be used. So, the definitions listed in dictionaries are interpretations of possible contexts, not translations of meanings. They can be used so creatively, forming much of the basis of English humour.

Why are phrasal verbs thought to be so difficult? When a learner encounters an unfamiliar phrasal verb, she/he will usually know what the base verb means and what the particle means – but put the two together and you get something completely different. Even beginners know what put means and what off means, but that won't help them to guess the various meanings of put off. Teaching material which addresses this problem typically focuses more on explaining how phrasal verbs work, rather than on why they behave in the way they do. The

learner is still left with the impression that it is all very arbitrary, very random, and that there don't appear to be any obvious rules.

It seems very unlikely that their behaviour is not amenable to systematic explanation – but it has to be admitted that if there are rules in operation here, they are pretty hard to discern. A good place to start is by looking at the common particles from which most phrasal verbs are formed. While it doesn't really make sense to think of a particle as having a meaning, we can at least talk about the semantic information which it contributes to the phrasal verb of which it is a component.

Stepping back in the early days was shown that spatial prepositions not only have more precise literal meanings than is sometimes recognized, but that their physically grounded spatial meanings are used to express and nuance dozens of abstract notions, many of them are absolutely central to thought. Conceptual metaphor helps to explain, for example, the underlying link between expressions like 'a heated debate, 'a fiery temper', 'seething with rage', 'an inflammatory remark' and 'getting hot under the collar'. These formulations are all connected by the fact that when English-speakers talk about anger, they unconsciously invoke a metaphor in which 'being angry is like getting hot or being on fire'. It is reasonable to suppose that the same principles may also help us to unravel the mysteries of phrasal verbs and their particles.

Most of the common phrasal verb particles are – in their basic meanings – words describing positions in space: up, down, in, out, on and off all have literal uses that relate to spatial orientation. But most spatial concepts also have figurative uses, and many of these are – if not actually universal – found in a wide variety of other languages: for example, the ideas of being "up" or 'down' are often equated metaphorically with high and low quantities, with status and power, and with a person's mood. If an amount goes up it becomes larger, if it goes down it becomes smaller. Similarly, people in powerful positions are thought of as being "high up", whereas the weak and powerless are *down at the bottom*. And if you are *down in the dumps* this is definitely not as good as being 'up on cloud nine. There is a coherent system at work here and the metaphorical development of literal spatial concepts is rooted in physical and cultural experience. For example, the link between being up and having power has a basis in our experience of the world: if two people fight and one of them is physically on top of the other, that person usually ends up having the power.

The beginnings of a fairly systematic process, in which the basic, spatial particles develop new and more abstract meanings. As these particles combine with common verbs to form phrasal verbs, the metaphorical meanings of the particles contribute to our understanding of the whole verb. Thus, when someone leaves a powerful position, we say they step down, and if a dictator is removed from office he is brought down. In each case, we can see that the choice of particle is not at all arbitrary: the use of down – with its association with loss of power – gives us the best clue to the meanings of the phrasal verb.

Some of these ideas are exploited in Macmillan's recently-published phrasal

verbs dictionary (Rundell, 2005: 57-89). Several earlier dictionaries of phrasal verbs have tried to tackle the issue of what particles 'mean' by including a *particle index* that shows the various semantic features associated with each of the main particles. This is fine as far as it goes, but what limits all these attempts is that they describe but do not really explain. In the end, students are still left with a disparate collection of meaning areas which simply have to be memorized. Starting from the principle that the non-literal meanings of spatial particles are not arbitrarily assigned.

First, over: one of its basic meanings is the idea of moving across a space from one side to the other. Linked closely to this are the notions of passing, from one side to the other, above the top of something, and the related idea of one thing covering something else? Several further ideas that develop as metaphorical alternations on these spatial concepts, including: being in a higher position than someone else and having authority over them, powerfully affecting someone's emotions – trying to hide a truth or problem.

By a similar process, we can trace the paths by which figurative notions attach themselves to another of over's literal meanings, the sense of something going over the edge of a container and flowing away. A small imaginative leap takes us from here to the idea of people being *filled to overflowing* with emotion, and to the notion of something going beyond a limit. One of the senses of back is the idea of returning to a place you were in before. This is a basic, spatial concept. But the more abstract notion of time is often conceptualized in terms of space: for example, we talk about past events being behind us, and we think of the future as being "ahead". So returning to a former position links metaphorically to returning to an earlier time: In the story, an elderly lady looks back to her childhood before the war. This in turn takes us to the ideas of returning to a previous point in a discussion, or to a previous condition. For 12 major particles, the process by means of spatial concepts gradually attracts networks of metaphorical meanings. It would be rash to claim that we have thereby solved the mystery of phrasal verbs.

English phrasal verbs are everywhere, so one of the best ways to learn them is to try to listen for them. These phrases are commonly used, and would not be unusual to hear in a conversation. Some phrasal verb meanings are obvious – like "fall down" – but some are almost like idioms since they can't be literally translated – like "come on." To make them easier to learn, you can try grouping phrasal verbs into categories like time of day or positive (i.e. cheer up) and negative.

Phrasal verbs are used just like verbs anywhere they make sense! Usually, the verb and preposition in a phrasal verb need to be said together, like in the phrase "fall down." In some cases, though, you can separate the verb and the preposition by putting other words in between them. For example: the phrase "turn off" can be used just like that, or it can be interrupted by stating what you're turning off. In other words, you can say "turn off the TV," but you can also say "turn the TV off." Both are correct! Another thing to keep in mind about phrasal verbs is that they are still verbs. That means the verb part of the phrase can be

changed depending on the tense of the sentence. So "turn off" can also be "turned off" and "turning off," for example

Phrasal verbs (PVs) are inherently difficult for ESL learners to master. This suggests a need for a more complete understanding of this grammatical structure, and calls for new teaching strategies that go beyond syntactic identification or lists and groupings for memorization.

B. J. White states that PVs are difficult for ESL learners because they are unpredictable, polysemous, frequent, and non-universal. They are unpredictable because the meanings can sometimes be literal, as in stand up, aspectual, as in speak up, or idiomatic, as in butter up. They are polysemous, meaning one PV can have multiple meanings.

Native speakers frequently use PVs. According to Gardner and Davies (2007: 339-359), "learners will encounter, on average, one in every 150 words of English they are exposed to" Adding to the frequency problem is the knack English speakers possess for coining new PVs. PVs are called the "most prolific source" of new words in English. PVs are not universal. Some languages have them, such as Dutch and Swedish, while others don't, such as Hebrew and Chinese (Liao and Fukuya, 2004: 193-226). Even if a student's L1 has PVs, it is unlikely that there will be a consistent correspondence between PVs in the L1 and the L2 because of their idiomatic nature. Therefore, language transfer will be of limited value in the learning of PVs. And actually, when a similar correspondence between languages exists, it often confuses theL2 learner and leads to mistakes (Chan & Liou, 2005: 231-251). It is apropos that one researcher says "the phrasal verb is a syntactic oddity in the language world".

PVs can be challenging for students and teachers alike. Armstrong encouraged teachers to increase their knowledge of PVs beyond the syntactic tests that are typically learned in teacher training. Traditional training for ESL teachers includes syntactic tests for identifying PVs, such as the Particle Shift and Adverbial Insertion tests (Koffi, 2010). Armstrong suggests that teachers need further knowledge about the semantics of PVs. He classifies PVs into three semantic types: directional, aspectual, and idiomatic. Directional PVs are translated literally. The individual components of the phrase make the meaning apparent, as in "Jo hauled up the anchor". With aspectual PVs, the verb component can be understood literally, but the particle doesn't have a transparent meaning, as in "Jo tore up the contract". Idiomatic PVs have a meaning unrelated to the verb or the particle, as in "Jo rubbed out her friend". Armstrong posits that idiomatic PVs are stored as a single unit in the mental lexicon, while directional PVs are stored as individual lexical items.

Most ESL teachers are familiar with syntactic tests that help to identify a PV, but these tests are of little help in decoding its meaning. Further, syntactic tests have limited applicability. Some syntactic tests are only effective with transitive PVs, such as "Jo tore up the contract". However, intransitive PVs, such as "the plane took off" are not subject to adverbial insertion, particle shift, or pronoun substitution for the object of the PV. We can identify a PV with particle shift

with this simple move of the particle: “Jo tore the contract up”. However, with a PV like “the plane took off”; there is nowhere to move the particle. Note that PP-Proposing is still possible with an intransitive PV, as in “off the plane took”, which tells us that off is not a preposition, but an immovable particle. Therefore, Armstrong suggests that ESL teachers need to add semantic knowledge to their repertoire. Once phrasal verbs are identified, they can be semantically classified as directional, aspectual, or idiomatic. Because directional PVs are fully compositional, learners can translate them directly. Idiomatic PVs need to be learned as lexical units, just as any other vocabulary item would be learned. Therefore, bring up means ‘educate’ and rub out means “kill”. Aspectual PVs can be recognized as retaining the literal meaning of the verb, with an idiomatic meaning of the particle. PVs like heat up, tire out, and slow down, if recognized as aspectual, can be learned in this manner.

References:

1. Armstrong, K. 2004. Sexing Up The Dossier: A Semantic Analysis Of Phrasal Verbs for Language Teachers. Language Awareness, 13(4), 213-224.
2. Chan, T. & Liou, H. 2005. Effects of Web-Based Concordance Instruction on EFL students’ learning of verb-noun collocations. Computer Assisted Language Learning, 18, 231-251.
3. Cappelle, B., Shtyrov, Y. &Pulvermüller, F. 2010. ‘Heating up or Cooling up the Brain? MEG Evidence That Phrasal Verbs Are Lexical Units.’ Brain & Language 115, 189-201.
4. Gardner, D., & Davies, M. 2007. Pointing Out Frequent Phrasal Verbs: A Corpus Based Analysis. TESOL Quarterly, 41, 339-359.
5. Goldberg, A. E. 2013a. ‘Argument Structure Constructions Versus Lexical Rules or Derivational Verb Templates.’ Mind & Language 28(4), 435-65.
6. Koffi, E. 2010. Applied English Syntax: Foundations For Word, Phrase, And Sentence Analysis. Dubuque, IA: Kendall Hunt Publishing Co.
7. Liao, Y., &Fukuya, Y. J. 2004. Avoidance of Phrasal Verbs: The Case of Chinese Learners of English. Language Learning, 54(2), 193-226.
8. Rundell Michael 2005. Macmillan Phrasal Verbs Plus. Macmillan Education.
9. Suttle, L. & Goldberg, A. 2011. ‘The Partial Productivity of Constructions as Induction.’ Linguistics 49(6), 1237-67.
10. White, B. J. 2012. A Conceptual Approach to the Instruction of Phrasal Verbs. Modern Language Journal, 96(3), 419-438.

რუსუდან გოგოხია

ფრაზული ზმნების სწავლების მიდგომები

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხო ენების ინსტიტუტმა

ფრაზული ზმნები წარმოადგენენ გამოწვევას ენის სწავლისას მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, რაც დასტურდება მათი უკეთ გაგების, გაცნობისა და სწავლა-სწავლების საკითხებზე გამოქვეყნებული გამოკვლევებით. პედაგოგები მოცემულ ცოდნას აწვდიან სინტაქსური ტესტების მეშვეობით, მაგრამ უფრო ღრმა სემანტიკური ცოდნა დაეხმარება მათ ეფექტურად სწავლაში. რამდენიმე მკვლევარი გვთავაზობს სწავლების სტრატეგიების სინტაქსური წესების და კატეგორიზაციის მიხედვით. კვლევების თანახმად, ზოგიერთი სტრატეგია შეიძლება დაეხმაროს სტუდენტს უკეთ გააცნობიეროს ფრაზული ზმნების იდენტიფიკაცია და ინტერპრეტაცია. ეს სტრატეგია უნდა იყოს განხილული უფრო მეტად, უკეთესი მეთოდოლოგიით და სხვადასხვა დონის სტუდენტების შემოწმებით, მათი ეფექტურობის დასადგენად.

თამარ დოგრაშვილი, გიორგი ბერძულიშვილი, ირინე გოგიბერიძე

ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი ამოცანები მათემატიკის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში და მათი სწავლების მეთოდიკური ასპექტები

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

მისასალმებელი ფაქტია, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო 2019-2020 სასწავლო წლიდან გეგმავს სასკოლო პროგრამაში ფინანსური განათლების კომპონენტის დანერგვას. შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს სასწავლო სტანდარტებს. ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით უკვე არსებობს კურიკულუმი, რომლის მიხედვითაც მეშვიდე-მეცხრე კლასებში დაიწყება ახალი სასწავლო პროგრამით დაწერილი სასწავლო სახელმძღვანელოებით სწავლება. ეს არ იქნება ცალკე საგანი. ის გაერთიანდება სამოქალაქო სწავლებასთან.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა მოახდინეს ადამიანთა ცხოვრების დონის ცვლილება, რამაც დღის წესრიგში დასვა პიროვნებების ადაპტაცია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საჭირო გახდა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ეფექტურად, თანამედროვე მეცნიერული მიდგომებით გადაწყვეტენ პრაქტიკულ საქმიანობაში წამოჭრილ პროფესიულ ამოცანებს და დაიკავებენ აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას. ამ ამოცანების გადაჭრა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა ფინანსური განათლების დონესთან, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საგანმანათლებლო სივრცის ყველა საფეხურზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ განათლების სამინისტროს ინიციატივას ფინანსური განათლების კომპონენტების სწავლების შემოღებაში, მაგრამ ამ საკითხში გვაქვს განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა. კერძოდ, ჩვენ ვთვლით, რომ მიზანშეწონილია ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი ამოცანების განხილვა მათემატიკის გაკვეთილებზე დაიწყოს არა მეშვიდე კლასიდან, არამედ დაწყებითი კლასებიდან და გაგრძელდეს სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომის განხორციელებისათვის კი აუცილებელია დამუშავდეს ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანების დაწყებით კლასებში სწავლების მეთოდიკური ასპექტები.

ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანების განხილვა დაწყებით კლასებში ითვალისწინებს ყველა მოსწავლის მომზადებას ელემენტარულ დონეზე ფინანსებში. ფინანსური

განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანების სწავლებისას მასწავლებლის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთათვის საბაზისო ფინანსური ცოდნის გადაცემას. ეს ცოდნა შეიძლება ეხებოდეს პიროვნების ფინანსურ ქცევას, ოჯახის ფინანსების ან საწარმოო-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც უკავშირდება საკუთრების ფორმებს, შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური დაცვის საფუძვლებს და სხვ.

უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ საბაზისო ფინანსური ცოდნა არ წარმოადგენს პიროვნების ფინანსური და განათლების ფორმირების საფუძველს. ფინანსური განათლების პროცესში თითოეული უმცროსკლასელის აქტიური პოზიცია საშუალებას იძლევა, არჩეულ იქნეს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების გზა, რაც განსაზღვრავს მოსწავლეთა თვითრეალიზების არეალს, რითაც გარანტირებული ხდება სხვა ფინანსური ცოდნის და უნარ-ჩვევების ათვისება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მოსწავლეთა ფინანსური ცოდნის და განათლების საკითხების სწავლება ახალი არ არის. ასეთი საკითხები ჩართული იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ქართულ ენაზე გამოცემულ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში. თანამედროვე მიდგომები რა თქმა უნდა განსხვავდება თითქმის ორი საუკუნის წინანდელი მიდგომებისაგან. მოსწავლეთა ფინანსური აღზრდის პროცესში ფინანსური ცოდნა გარდაიქმნება დასკვნებში, რომელთა რეალიზება ხდება ქცევებსა და მანერებში. მოსწავლის ქცევებსა და მანერებში წამყვან ძალას წარმოადგენს მათი ფინანსური მოთხოვნილებები და პიროვნული ინტერესები, რაზეც თავის მხრივ გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსური და ეკონომიკური კულტურა.

უმცროსკლასელთათვის ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანების სწავლება წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ დაკვეთას. უმცროსკლასელთა ფინანსური განათლება უნდა წარიმართოს სხვადასხვა მიმართულებით: ფინანსური განათლების შესავალი უმცროსკლასელთათვის ძირითად სასწავლო საგნებში; ფინანსური განათლების ინტეგრირებული კურსი უმცროსკლასელთათვის; ფინანსური განათლების სპეციალური კურსის ჩართვა უმცროსკლასელთა სასწავლო პროცესში და სხვ. სამწუხაროდ, დაწყებითი სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში ფინანსური განათლების კუთხით თითქმის არაფერი კეთდება, ხოლო იმ სკოლებში, სადაც ძირითადად დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საკუთარი ინიციატივით ხდება ფინანსური საკითხების გაცნობა მოსწავლეებისათვის, ეს პროცესი მიმდინარეობს არაორგანიზებულად და სტიქიურ ხასიათს ატარებს. ეს გამოწვეულია სასწავლო ლიტერატურის არქონით. თანამედროვე ქართულ მეთოდურ ლიტერატურაში ჩვენ არ შეგვხვედრია არცერთი მეთოდური ნაშრომი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ხასიათის საკითხების სწავლებასთან დაწყებით კლასებში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოჭრილი საკითხები აჩვენებს, რომ

აუცილებლობას წარმოადგენს უმცროსკლასელთათვის ფინანსური საკითხების სწავლება. ჩვენი აზრით, უმცროსკლასელთათვის ფინანსური განათლების დაბალი დონის ძირითადი მიზეზი არის უსისტემო სწავლება. პირველ რიგში, ამის ბრალია ის, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არა აქვთ სპეციალური სამეცნიერო-მეთოდური მომზადება ფინანსებში; მეორე მიზეზი არის ის, რომ მასწავლებლები ფინანსური საკითხების სწავლების დროს იყენებენ სწავლების ტრადიციულ მიდგომებს, მეთოდებსა და ხერხებს, რომლებშიც გათვალისწინებული არ არის ფინანსური საკითხების სწავლების სპეციფიკა და თავისებურებები. მესამე მიზეზი არის ის, რომ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული არ არის ერთიანი აპრობირებული ხედვა, თუ რომელი ფინანსური საკითხები უნდა შეისწავლონ უმცროსკლასელებმა. მეოთხე მიზეზი არის ის, რომ ფინანსებში უამრავი სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის მიუხედავად, ჯერჯერობით შემუშავებული არ არის უმცროსკლასელთათვის შესასწავლი ფინანსური საკითხების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძვლები, რომლებიც დაფუძნებული იქნება უმცროსკლასელთა ასაკობრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებზე.

ჩვენ ვთვლით, რომ დაწყებითი სკოლებისათვის სადღეისოდ არ არსებობს მწყობრი მეთოდური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უმცროსკლასელებისათვის საჭირო ფინანსური ხასიათის მასალის მიწოდებას, რომლის სწავლება უზრუნველყოფილი იქნება დიდაქტიკური გადასვლით მარტივი მასალიდან რთულზე, შესაბამისობაში იქნება უმცროსკლასელთა ასაკობრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან და უპასუხებს ფინანსური მეცნიერების სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს.

ფინანსური განათლების კომპონენტების უმცროსკლასელთა სწავლებისადმი ჩვენი მიდგომა ასეთია:

- რადგან დაწყებით კლასებში არ ისწავლება ფინანსების დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, ამიტომ ფინანსური განათლების კომპონენტების სწავლება უნდა მოხდეს საგანთაშორისი კავშირების გამოყენებით, კერძოდ, მათემატიკის გაკვეთილებზე ფინანსური განათლების კომპონენტების მქონე ამოცანების ჩართვით;
- სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ყურადღება უნდა გამახვილდეს პრაქტიკული ყოველდღიური საკითხების სწავლებით, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს, ძირითადად, მარტივი საყოფაცხოვრებო ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანები;
- მათემატიკის გაკვეთილებზე ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი ამოცანების ჩართვა უმცროსკლასელთა სასწავლო პროცესში უნდა მოხდეს იმ დროს, როცა გაკვეთილზე მასწავლებელი ან ხსნის, ან განამტკიცებს, ან იმეორებს კონკრეტულ არითმეტიკულ ოპერაციას, ან იყენებს კონკრეტულ მიდ-

გომას, ხოლო ფინანსური განათლების კომპონენტების მქონე მათემატიკური ამოცანის ამოხსნა ხდება იმავე ოპერაციით ან კონკრეტული მიდგომით;

- ასეთი ფორმით ფინანსური განათლების საკითხების სწავლება დაწყებით კლასებში არ მოითხოვს არა მარტო სასწავლო საგნის დამატებას, არამედ დამატებით სასწავლო დროის გამოყოფასაც კი;
- ჩამოყალიბებული სახით უმცროსკლასელებში საგანთაშორისი კავშირების რეალიზება ხელს შეუწყობს საქართველოში, ახალ პირობებში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო უმცროსკლასელთა ფინანსური კულტურის ფორმირების საკითხები საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი სტრატეგიული პრობლემის ნაწილი ხდება.

ჩვენ შევიმუშავეთ მეთოდური მიდგომები, რომლებიც თავსებადია მათემატიკის მესამე კლასის კურსთან. ჩვენ ვთავაზობთ მათემატიკური ამოცანების ტრანსფორმირებას ისეთი ფორმით, რომ მათში გამოხატული იყოს ფინანსური განათლების კომპონენტები, დამოკიდებულებები და ოპერაციები ფინანსურ ცნებებს შორის. ამ მიზნით განვიხილავთ ამოცანათა სისტემას, რომლებიც რამდენიმე ბლოკისაგან შედგება.

1. ამოცანები ფინანსური ტერმინების კოდირებასა და დეკოდირებაზე.

მაგალითად, შეასრულეთ არითმეტიკული მოქმედებები, დაალაგე მიღებული შედეგები ზრდადობის მიხედვით და შენ გაიგებ შენთვის და ქვეყნისთვის ძალიან საჭირო სიტყვას.

760 – 60 + 100 = კ
290 + 70 = ნ
140 – 6 = კ
640 – 80 + 200 = მ
650 – 80 = ო
260 – 3 = ი
360 : 9 = ე
(300 + 160 : 4) : 2 = ო
480 : 6 = კ

პასუხი: ეკონომიკა.

2. ალგორითმულად ამოხსნადი ამოცანები. ალგორითმების შედგენა.

ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე დასახელების საქონელი და მათი ფასები ინტერნეტ მაღაზიაში

საქონლის დასახელება	ფასი
ასტრიდ ლინდგრენი „მაწანწალა რასმუსი“	9 ლარი
იაკობ გოგებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა? და სხვა მოთხრობები“	7 ლარი
კარლო კოლოდი „პინოქიოს თავგადასავალი“	11 ლარი
ალექსეი ტოლსტოი „ბურატინოს თავგადასავალი“	6 ლარი
რუდოლფ რასპე „ბარონ მიუნ ჰაუზენის მოგზაურობა“	8 ლარი
შარლ პერო „წითელქუდა და სხვა ზღაპრები“	10 ლარი
ჯანი როდარი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“	12 ლარი

ა) დახაზეთ ცხრილი, რომელშიც ორი სვეტი იქნება. ცხრილიდან აარჩიე წიგნების დასახელებები: ეს წიგნი მე წავიკითხე – ჩაწერე მისი დასახელება მარჯვენა სვეტში. ამ წიგნის წაკითხვა მინდოდა – ჩაწერე მისი დასახელება მარცხენა სვეტში. შეკრიბე მარცხენა მხარეში ჩამოწერილი წიგნების ფასები. შეკრიბე მარჯვენა მხარეში ჩამოწერილი წიგნების ფასები. შეადარე მიღებული ჯამები და ჩაწერეთ უტოლობის სახით.

ბ) შეადგინეთ ყველა სამი წიგნისაგან შედგენილი კომპლექტები ისე, რომ მათი ფასების ჯამი არ აღემატებოდეს 25 ლარს. შეადგინეთ ყველა ვარიანტი.

3. ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური შინაარსის მქონე ცხრილებთან.

მაგალითად, მესამე კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს საზაფხულო არდადეგებზე ზღვაზე დაისვენონ და თან აჭარის ღირსშესანიშნაობებსაც გაეცნონ. მათ თანაკლასელ თორნიკე ბასილაძეს დაავალეს გაარკვიოს სასტუმროს ფასები ბათუმში და ექსკურსიის ღირებულება აჭარის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებზე. თორნიკემ ინტერნეტში მოძებნა შესაბამისი ინფორმაცია და გაარკვია, რომ ბათუმში სასტუმროში „აჭარა“, რომელსაც კოტეჯებიც აქვს, კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას, რომელთა ფასები მოცემულია ცხრილში:

მომსახურების სახე	ფასები დასვენების დღეებში		ფასები სამუშაო დღეებში		
ორადგილიანი ნომრები	70 ლარი		25 ლარი		
ნახევრადლუქსები	100 ლარი		80 ლარი		
კოტეჯი	200 ლარი		180 ლარი		
დამატებითი ადგილი	20 ლარი		15 ლარი		
კვება					
საუზმე	5 ლარი	სადილი	7 ლარი	ვახშამი	6 ლარი
ექსკურსია					
გონიო	150 ლარი	ქედა		200 ლარი	

სარფი	160 ლარი	ჩაქვი	130 ლარი
ქობულეთი	120 ლარი	შუახევი	100 ლარი
ხულო	250 ლარი	ხელვაჩაური	140 ლარი

სასტუმროს რომელი ნომრებია ყველაზე ძვირი? ყველაზე იაფი? რამდენი ლარია საჭირო სასტუმროში სამჯერადი კვებისათვის? რომელი მარშრუტის ექსკურსიაა ყველაზე ძვირი? ყველაზე იაფი? კოტეჯის დაქირავება უფრო ძვირი ჯდება ერთ მოსწავლეზე, თუ სასტუმროს ნომრის აღება, თუ კოტეჯში 4 მოსწავლე შეიძლება განთავსდეს? რომელ დღეებშია სასტუმროს ნომრები უფრო ძვირი? რამდენით? რატომ არის სასტუმროს ნომრები უფრო ძვირი არასამუშაო დღეებში, ვიდრე სამუშაო დღეებში? გამოთვალეთ დასვენებისათვის საჭირო თანხა 25 მესამე კლასელი მოსწავლის, ორი მასწავლებლის და მოსწავლეთა სამი თანმხლები მშობლისათვის ორი დღის განმავლობაში, თუ ისინი განთავსდებიან სასტუმროს ორადგილიან ნომრებში და ისარგებლებენ დღეში სამჯერადი კვებით. თანხები დათვალეთ ცალ-ცალკე, თუ ორივე დღე სამუშაოა, ორივე დღე არასამუშაოა, ერთი დღე სამუშაოა და ერთი დღე არასამუშაოა. გამოთვალეთ ორი ექსკურსიისათვის საჭირო თანხა, თუ მესამე კლასის მოსწავლეები აპირებენ დაათვალიერონ სარფი და ხულო? რომელ დღეებში იქნება ყველაზე ეკონომიური პაკეტი? შეადგინეთ ყველაზე ეკონომიური პაკეტი ორდღიანი დასვენებისათვის, რომელიც მოიცავს დღეში სამჯერად კვებას და ორ ექსკურსიას. რა დაგიჯდებათ თქვენი ოჯახის ყველა წევრის სამდღიანი დასვენება სასტუმროს ნახევრადლუქსებში დღეში სამჯერადი კვებით, თუ სამივე დღე სამუშაოა? ერთი დღე სამუშაოა და ორი არასამუშაო? ორი დღე არასამუშაოა და ერთი სამუშაო? რა დაუჯდება 5 სულიან ოჯახს კოტეჯის დაქირავება არასამუშაო დღით, თუ გამოიყენებენ დამატებით ადგილს? დასვენების რომელი ორდღიანი პაკეტია თქვენთვის ყველაზე მისაღები? რატომ?

4. ტექსტური არითმეტიკული ამოცანები, რომელთა ფაბულაში ჩართულია ფინანსური კატეგორიები.

ამოცანა. ამბროლაძეების ოჯახი შედგება მამის, დედის, ბებიის და ორი შვილისაგან. მამის ხელფასია 1000 ლარი, დედის ხელფასი – 800 ლარი, ბებია პენსიონერია და მისი პენსია 200 ლარია. რამდენი ლარია საშუალოდ ოჯახის წევრზე ერთ თვეში ამბროლაძეების ოჯახში?

5. ფინანსური წიგნიერების მაფორმირებელი მათემატიკური ამოცანები

ამოცანა 1. მარკეტში პროდუქტებს ყოველდღიურად საშუალოდ 500 კლიენტი ყიდულობს. საშუალო ნავაჭრი ჩეკით 25 ლარია. გამოიანგარიშეთ ყოველთვიური შემოსავალი. მითითება:

საშუალო ნავაჭრი ჩეკით = ყოველდღიური შემოსავალი: დღეში კლიენტების რაოდენობაზე.

ამოცანა 2. გამოთვალეთ, რამდენი უნდა იყოს მარკეტის საშუალო ნავაჭრი ჩეკით, რომ ყოველთვიური შემოსავალი (30 დღე) გაიზარდოს

20%-ით. შემოგვთავაზეთ მარკეტში ჩეკით საშუალო ნავაჭრის გაზრდის მეთოდები.

ამოცანა 3. ჰიპერმარკეტში კარტოფილის ყიდვა შეიძლება აწონვით, კილოგრამობით – 1 კილოგრამის ფასი 1 ლარი და 30 თეთრი და 10 კილოგრამიანი შეფუთვებით – 1 შეფუთვა 11 ლარი.

ა) რა ღირს 1 კილოგრამი კარტოფილი შეფუთვაში? ბ) როგორ ჯობია ვიყიდოთ 5 კილოგრამი კარტოფილი – აწონვით, თუ ერთი 10 კილოგრამიანი შეფუთვა? ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ უმჯობესია ვიყიდოთ 10 კილოგრამიანი შეფუთვა, ვიდრე აწონვით 5 კილოგრამი. ახსენით მათი პოზიცია. სხვები ამბობენ, რომ 10 კილოგრამიანი შეფუთვით კარტოფილის ყიდვა ცუდი ფინანსური გადაწყვეტაა. ახსენით მათი პოზიციაც. თქვენ როგორ მოიქცეოდით?

ზოგჯერ ფინანსური კომპონენტების შემცველ მათემატიკურ ამოცანაში კარგად არის ჩამოყალიბებული ისეთი ცნებები, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება, სამუშაოს მოცულობა, სამუშაო დრო, გეგმა, ეკონომია და სხვ. მაგალითად,

ამოცანა 4. ხარატს შეუკვეთეს 30 დეტალი, რომელიც მას უნდა გაეჩარხა 10 საათში, მაგრამ ხარატმა ახალი საჭრისის გამოყენებით შეძლო დროის ეკონომია და 1 დეტალს ამზადებდა 15 წუთში. რამდენი დეტალის გაჩარხვას შეძლებს დამატებით ხარატი მის მიერ დაზოგილ დროში?

ამ ამოცანის ამოხსნის შემდეგ უნდა ჩავატაროთ დამატებითი მუშაობა ამოცანის პირობაზე. ამ მიზნით მიზანშეწონილია მოსწავლეებს დავუსვათ კითხვები, რომლებიც უკავშირდება შრომის ნაყოფიერების ზრდას, მისი საშუალებით დეტალების რაოდენობის გაზრდას, როგორი კავშირი შეიძლება იყოს დეტალების სწრაფად დამზადებასა და მათ ხარისხს შორის, როგორ დაუკავშირებენ ზედმეტად გამოჩარხული დეტალების რაოდენობას და ხარატის დამატებით ანაზღაურებას ერთმანეთს და სხვ. ამისათვის შესაძლებელია მოცემულ ამოცანასთან ერთად დამატებით კიდევ რამდენიმე ამოცანის ამოხსნა:

ამოცანა 5. რამდენ ლარს მიიღებს ხარატი შეკვეთილი დეტალების გაჩარხვისათვის, თუ თითოეული დეტალის დამზადებისათვის მას 3 ლარს უხდიან?

ამოცანა 6. რამდენი ლარით მეტს მიიღებს ხარატი, თუ მის მიერ დაზოგილ დროში გამოშვებულ დეტალებშიც ისე გადაუხდიან, როგორც შეკვეთილ დეტალებში?

ასეთი ამოცანების ამოხსნის დროს უმცროსკლასელები ეჩვევიან ელემენტარული გამოთვლების ჩატარებას, ეჩვევიან რაიმე პროდუქტის ან ნივთის შეძენის დროს მათთვის ფინანსურად მომგებიანი ვარიანტის შერჩევას, პოულობენ უფრო მომგებიან და მოხერხებულ შემთხვევებს ცხოვრებისეული პრაქტიკული ამოცანების ამოხსნისას.

განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ამოცანა 7. 100 კვადრატულ მეტრზე ნიორის საშუალო მოსავალი 20 კილოგრამია. რამდენი კილოგრამი ნიორი აიღო ფერმერმა ფართობზე, რომლის სიგრძე 50 მეტრია და სიგანე 40 მეტრი? რამდენი ლარის მოგება

მიიღო ფერმერმა, თუ მან 1 კილოგრამი ნიორი გაყიდა 3 ლარად, ხოლო ნიორის მოყვანაზე სულ დახარჯა 500 ლარი? ამ ამოცანაში მოსწავლეები ეცნობიან ტერმინებს შემოსავალი, გასავალი, ფერმერი, ხარჯები.

ამოცანა 8. მამას ხელფასი თვეში 1200 ლარია, დედას ხელფასი კი – 900 ლარი. რამდენ ლარს აიღებენ ისინი 1 წლის განმავლობაში? შეუძლიათ თუ არა მამას და დედას 3 თვეში იყიდონ ტელევიზორი, რომელიც 600 ლარი ღირს, თუ მათი ხელფასის 2/3 საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის იხარჯება? შეუძლიათ თუ არა დედას და მამას ტელევიზორთან ერთად შვებულებისათვის შეიძინონ 1500 ლარიანი საგზური?

არასაკმარისი ფინანსური აღზრდა უმცროსკლასელელებში ხშირად ვლინდება არა მარტო მოსწავლეთა საერთო სარგებლობის ნივთებისადმი დაუდევარი მოპყრობით, არამედ ისინი დაუდევრად ეპყრობიან საკუთარ ნივთებსაც. მოსწავლეები უმრავლეს შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ, რომ მათთვის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნივთში მშობლებს საკმაოდ ძვირი აქვთ გადახდილი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ამოცანა 9. მრავალსართულიანი სადარბაზოს კარი სადარბაზოში მაცხოვრებელი რამდენიმე ბავშვის ცელქობის გამო მწყობრიდან გამოვიდა და შესაცვლელი გახდა. ამ ბავშვების მშობლებს მოუხდათ ახალი კარის ყიდვა, რისთვისაც მათ გადაიხადეს 300 ლარი, მის ჩასასმელად კი დამატებით – 100 ლარი. სულ რა თანხა გადაიხადა ყველა მშობელმა ერთად და რამდენი თითოეულმა ოჯახმა ცალ-ცალკე, თუ კარის შეძენასა და დაყენებაში მონაწილეობდა ოთხი ოჯახი.

ამოცანა 10. სკოლის შენობაზე ერთი წლის განმავლობაში ცელქმა მოსწავლეებმა 10 ფანჯრის შუშა ჩაამსხვრიეს. ერთი ფანჯრის შუშა ღირს 15 ლარი, მაღაზიიდან შუშის ტრანსპორტირება 5 ლარი, შუშის ფანჯარაში ჩასმა 10 ლარი. რამდენი ლარის ზარალი მიაყენეს სკოლას ცელქმა ბავშვებმა?

ამოცანა 11. სკოლის ხეივანში დარგული იყო 80 ძირი ხის ნერგი, მაგრამ მათგან 20 ხის ნერგი გადატეხილია. რამდენი ხე დარჩა სკოლის ხეივანში? დაითვალეთ რამდენი ლარის ზიანი მიაყენეს სკოლას, თუ ერთი ძირი ხის ნერგი 10 ლარი ღირს, ხოლო მისი დარგვა 6 ლარი?

ამ თემის აქტუალობის გასაზრდელად მეთოდურად მიზანშეწონილია ფინანსური შინაარსის მქონე ისეთი მათემატიკური ამოცანების განხილვა, რომელშიც საუბარია მოსწავლეთათვის საჭირო ნივთების ფასებზე, საოჯახო ბიუჯეტის ეკონომიაზე, კერძო სკოლებში სწავლის ქირის გადასახადზე და სხვ. უმცროსკლასელთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ფინანსური ხასიათის ამოცანების პირობების ჩამოყალიბება მიზანშეწონილია ისეთი ფორმით, სადაც ამოცანის პირობებში მოსწავლეებს ხვდებათ მათთვის საყვარელი ზღაპრების, მულტფილმების, სატელევიზიო გადაცემების და ლიტერატურული გმირები. მაგალითად:

ამოცანა 12. ნიფ-ნიფიმ და ნაფ-ნაფიმ ავტომანქანების შემკეთებელი სახელოსნო გახსნეს. სახლი მათ ნუფ-ნუფისაგან არენდით აიღეს, რისთვისაც მას ერთი წლის საფასური – 6000 ლარი გადაუხადეს. ამის გარდა,

მათ იყიდეს 25000 ლარის სათადარიგო ნაწილები, დაცვის სამსახურთან გააფორმეს ერთწლიანი კონტრაქტი 5000 ლარად. გადაიხადეს ყველა სახის გადასახადი, რომელთა ჯამი ერთი წლის განმავლობაში იყო 4000 ლარი. ნიფ-ნიფის და ნაფ-ნაფის მიერ ერთი წლის განმავლობაში ავტომანქანების შეკეთებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 88000 ლარი. რამდენია ნიფ-ნიფისა და ნაფ-ნაფის სუფთა მოგება 1 წლის განმავლობაში? 1 თვეში?

ამოცანა 13. სამმა გოჭმა ნიფ-ნიფიმ, ნაფ-ნაფიმ და ნუფ-ნუფიმ გადაწყვიტეს დიდი სახლი ააშენონ და სამივე ძმამ ერთად იცხოვროს. დათვალეს რამდენი ლარი დაჭირდებათ სახლის ასაშენებლად. საძირკვლის ჩაყრა – 500 ლარი, კედლების აშენება – 2500 ლარი, სახლის დახურვა – 2000 ლარი, სახლის რემონტი – 2000 ლარი, საჭირო ავეჯი და ელექტროტექნიკა – 2000 ლარი. გოჭებს სახლის ასაშენებლად საჭირო თანხის მხოლოდ ნახევარი აღმოაჩნდათ, ნახევარი მათ ბანკიდან კრედიტით აიღეს. რა თანხა უნდა დაუბრუნონ გოჭებმა ბანკს, თუ ბანკიდან გამოტანილ კრედიტს მათ უნდა დაუმატონ გამოტანილი კრედიტის 1/5?

წარმოდგენილი ამოცანების ამოხსნით მოსწავლეები ეცნობიან ფინანსურ ცნებებს, ასრულებენ გარკვეულ ოპერაციებს გონებაში, ასრულებენ არითმეტიკულ გამოთვლებს. ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი ამოცანების ამოხსნით მათემატიკის გაკვეთილი ხდება აზრობრივად დატვირთული და მრავალფეროვანი, ააქტიურებს მოსწავლეთა აზრობრივ მოქმედებებს, ამდიდრებს და აფართოებს მოსწავლეთა ცოდნას მათემატიკური და ფინანსური ტერმინებით, ხელს უწყობს ფინანსური ცოდნის საფუძვლების ათვისებას და მოსწავლეებს აჩვევს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორ და ფინანსურად მომგებიან ქცევის წესებს.

ფინანსური განათლების კომპონენტების შემცველი მათემატიკური ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს მოსწავლეებს რეალური სიტუაციების ანალიზში, ეხმარება მათ დამოუკიდებლად მოძებნონ სწორი გამოსავალი თეორიულად და განახორციელონ ისინი პრაქტიკულად. ფინანსური შინაარსის ამოცანების ამოხსნა დაწყებითი კლასების მათემატიკის გაკვეთილებზე დაეხმარება მასწავლებლებს ცხოვრებისეული მოთხოვნებისა და პედაგოგიურ პროცესს შორის არსებული ხარვეზის შესავსებად.

Tamar Dograshvili, Giorgi Berdzulishvili, Irine Gogiberidze

TASKS CONTAINING COMPONENTS OF FINANCIAL EDUCATION IN MATH LESSONS IN PRIMARY CLASSES AND THEIR TEACHING METHODOLOGICAL ASPECTS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

From the current academic year in the seventh grade will start financial education component teaching that will be combined with civil training. We welcome this fact, but we believe that the teaching of financial education components should start in the primary classes being necessary to process the methodological aspects of teaching math tasks in primary classes that contain financial educational components. Involving the tasks containing financial education components in primary classes in mathematics learning process, will provide all of the students' elementary level training in finances that require no additional training time. When teachers use financial education components in the math lessons, they face a specific task that provides giving basic financial knowledge to their students. Tasks can be related to financial behaviors of a person, family economics or industrial and economic processes regarding different forms of ownership, labor organization, basics of socio-economic protection of students in the market economy, etc.

The paper discusses the different types of mathematical tasks that contain financial education components for younger students. Developed teaching methods will help primary class math teachers to fill the gaps between living requirements and pedagogic processes.

თეიმურაზ ორმოცაძე, ალექსანდრე გუმბერიძე

პარამეტრიანი ამოცანების შესახებ

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

პარამეტრიანი განტოლებები და უტოლობები, ტრადიციულად მიეკუთვნებიან ელემენტარული მათემატიკის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანათა ჯგუფს. სწორედ პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნისას ყველაზე ნათლად ვლინდება თუ რამდენად ფართოა მოსწავლის მიერ ათვისებული ცოდნის მარაგი და ღრმაა მისი აკადემიური მომზადების დონე.

2005 წლიდან დღემდე, არცერთ წელს არ ყოფილა ერთიანი ეროვნული გამოცდები მათემატიკაში ისე, რომ მის ყველა ვარიანტში არ ყოფილიყოს წარმოდგენილი თუნდაც ერთი პარამეტრიანი ამოცანა. ეს გასაგებიცაა, რადგან პარამეტრიანი ამოცანები ყველაზე უკეთ პასუხობენ კითხვას, თუ რამდენად ყოვლისმომცველი და არაფორმალურია აბიტურიენტის ცოდნა.

წარმოდგნილ სტატიაში შევეცდებით, გავერკვეთ სხვადასხვა ტიპის ელემენტარული პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნის თავისებურებაში.

როგორც წესი გამოყოფენ პარამეტრიანი ამოცანების ორ ტიპს:

I. პარამეტრის ყველა მნიშვნელობისათვის იპოვეთ განტოლების ან უტოლობის ამონახსნი.

II. იპოვეთ პარამეტრის ყველა მნიშვნელობა, რომელთათვისაც განტოლების ან უტოლობის ამონახსნები აკმაყოფილებენ მოცემულ პირობებს.

შესაბამისად ამ ორი ტიპის ამოცანების პასუხებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, პირველი ტიპის შემთხვევაში პასუხი გამოიყურება ასე: თითოეული პარამეტრის მნიშვნელობისთვის ჩამოიწერება შესაბამისი ამონახსნი, ხოლო მეორე ტიპის ამოცანებისთვის ჩამოითვლება პარამეტრის ყველა მნიშვნელობები, რომელთათვისაც სრულდება ამოცანის პირობა.

უმრავლესობა მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისა პარამეტერს აღიქვამენ, როგორც „ჩვეულებრივ" რიცხვს. ზოგიერთ ამოცანაში პარამეტრი მართლაც მუდმივი რიცხვია, მაგრამ ეს მუდმივი რიცხვი, ხომ შეიძლება იყოს სხვადასხვა. ზოგიერთ ამოცანაში კი მოსახერხებელია პარამეტრიც აღვიქვათ როგორც ცვლადი. ამის გამოცაა, რომ მოსწავლეების და აბიტურიენტების უმრავლესობას უჭირს პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნა.

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ და აღნიშნული უხერხულობის გასაქარწყლებლად მოვიყვანოთ რამდენიმე ამოცანის ამოხსნის მაგალითები:

მაგალითი 1. (ტრივიალური) ამოხსენით $x-a=0$ განტოლება.

პასუხი: x=a ნებისმიერი a-სთვის.

ეს მაგალითი გვახსენებს, რომ პირველი ტიპის პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნისას, საჭიროა არა მარტო უცნობის მნიშვნელობების პოვნა, არამედ, აუცილებელია მიეთითოს ამონახსნს პარამეტრის რა მნიშვნელობისთვის აქვს აზრი.

მაგალითი 2. ამოხსენით განტოლება $x - a^{\frac{1}{2}} = 0.$.

პასუხი: თუ $a \geq 0$, მაშინ $x = a^{\frac{1}{2}}$;

ხოლო თუ $a<0$, მაშინ განტოლებას ამონახსნი არა აქვს.

მაგალითი 3. ამოხსენით განტოლება $ax=1$.

ამოხსნა: ბევრი, პასუხს $x = \frac{1}{a}$ დაუფქრებლად დაწერს. მაგრამ a პარამეტერს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა განსხვავებული მნიშვნელობები, მათ შორის ნულიც. ამიტომ, ყურადღება გვმართებს პასუხის ჩაწერისას.

პასუხი: თუ $a=0$, მაშინ ამონახსნი არა აქვს; თუ $a \neq 0$, მაშინ $x = \frac{1}{a}$.

ზოგიერთ მოსწავლეს ან აბიტურიენტს პარამეტრისადმი ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორც ცვლადისადმი. ამიტომ მათ შეუძლიათ პარამეტრიც გამოსახონ ცვლადის საშუალებით, რაც მიუღებელია (Cherkasov, Iakushev, 1999).

მაგალითი 4. ამოხსენით განტოლება $(a^2-4)x=a+2$.

ამოხსნა: საკმარისია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევები:

შემთხვევა 1: $a^2-4\neq0$ მაშინ $x = \frac{1}{a-2}$.

შემთხვევა 2: $a^2-4=0$. არსებობს ორი ვარიანტი $a=2$ და $a=-2$.

როცა $a=2$, მაშინ განტოლება იღებს $0 \cdot x=4$ სახეს და ამონახსნი არა აქვს.

როცა $a=-2$, მაშინ განტოლება იღებს $0 \cdot x=0$ სახეს და მისი ამონახსნია ნებისმიერი რიცხვი.

შევნიშნოთ, რომ პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნის ძირითად ეტაპს პასუხის ჩაწერა წარმოადგენს. ეს მოსაზრება განსაკუთრებით ეხება იმ ტიპის ამოცანებს, რომლებშიც ამონახსნის სხვადასხვა ვარიანტი, დამოკიდებულია პარამეტრის მნიშვნელობებზე. ამიტომ პასუხის ჩაწერისას არ უნდა გამოგვრჩეს, ამოხსნის არც ერთი ეტაპი (Ormotsadze, 2015).

ბოლოს განხილული მაგალითის პასუხის ჩაწერა, ფაქტობრივად, იმეორებს ამოხსნას.

პასუხი: თუ $a=-2$, მაშინ x – ნებისმიერი რიცხვია:

თუ $a=2$, მაშინ ამონახსნი არა აქვს;

თუ $a\neq+2$, მაშინ $x = \frac{1}{a-2}$.

მაგალითი 5. ამოხსენით უტოლობა $(a-1)\, x < 2$.

ამოხსნა: როგორც თქვენ უკვე $x < \frac{2}{a-1}$ ხვდებით ამონახსნს, საერთო არაფერი არა აქვს აღნიშნული ამოცანის ამოხსნასთან. საქმე მხოლოდ იმაში კი არის, რომ a-1 გამოსახულება შეიძლება ნულის ტოლი გახდეს. არამედ, უნდა გვახსოვდეს რომ თუ ტოლობის ორივე მხარეს გავამრავლებთ ან გავყოფთ დადებით რიცხვზე უტოლობის ნიშანი არ იცვლება, ხოლო თუ უტოლობის ორივე მხარეს გავამრავლებთ ან გავყოფთ უარყოფით რიცხვზე უტოლობის ნიშანი იცვლება საპირისპიროთი. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტი თითქმის ტრივიალურია, მის გაუთვალისწინებლობას აბიტურიენტების უმრავლესობა შეცდომამდე მიჰყავს (Ormotsadze, 2015).

პასუხი: თუ $a<1$, მაშინ $x > \frac{2}{a-1}$;

თუ $a=1$, მაშინ x-ნებისმიერი რიცხვია:

თუ $a>1$, მაშინ $x < \frac{2}{a-1}$.

მაგალითი 6. ამოხსენით განტოლება $\frac{y+a}{y+2} = 0.$

ამოხსნა: ცხადია, რომ $y=-a$ მოცემული განტოლების ერთადერთი ამონახსნია. თუმცა ეს არაა საბოლოო პასუხი. მართლაც $y\neq-2$ მოთხოვნა, იწვევს $a\neq2$.

პასუხი: თუ $a\neq2$, მაშინ $y=-a$;

თუ $a=2$, მაშინ ამონახსნი არა აქვს.

მაგალითი 7. ამოხსენით განტოლება $(x-3)\sqrt{(x-a)} = 0$.

ამოხსნა: მოცემული განტოლება ტოლფასია შემდეგი სისტემის $\begin{cases} x \geq a. \\ \left[\begin{array}{l} x = 3 \\ x = a \end{array}\right. \end{cases}$, საიდანაც $x=a$ არის ამ განტოლების ამონახსნი ნებისმიერი a-სთვის, ხოლო $x=3$, როცა $a\leq3$ (Cherkasov, Iakushev 1999).

პასუხი: თუ $a<3$, მაშინ x=a ან x=3.

თუ a=3, მაშინ x=3.

თუ $a>3$, მაშინ x=a.

ლიტერატურა:

1. Cherkasov O., Iakushev A. Matematika. Airis Pres, Moskva, 1999.
2. Ormotsadze T. Matematikuri Amocanebi 40-Ze. “Damani”, 2015.
3. Ormotsadze T. Matematika. Abiturientebisatvis (Teoria da Praqtika) “Damani”, 2015.
4. Ormotsadze T. The Role of Forms of Studies In Improving Popils Knowledge, Internacional Periodical Jurnal Education, 2010, №1.

Teimuraz Ormotsadze, Aleqsandre Gumberidze

ON PARAMETRIZED TASKS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper describes the main features of some types of elementary parameter tasks. Specific examples show the availability of parametric tasks and the effectiveness of using some of the nuances in case of clarification of mentioned features.

ფსიქოლოგია
PSYCHOLOGY

ლია სვანიძე

მეტყველება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური პროცესი, მისი ადგილი და როლი კაცობრიობის სულიერ განვითარებაში

მეტყველება არის ადამიანის სპეციფიკური მოქმედების ინდივიდუალური ფსიქიკური მოვლენა, რომელშიც ენობრივი კოდი და ნიშანთა სისტემაა გამოყენებული და, სადაც ენობრივი ერთეულები სრულიად სხვადასხვა ურთიერთმიმართებაში ყოფნით შეუზღუდავი რაოდენობის კომბინაციებს ქმნიან. იგი ყოველთვის დროშია გაშლილ-განფენილი და მოსაუბრის თავისებურებებს გამოხატავს, ასევე იგი დამოკიდებულია კონტექსტსა და საურთიერთობო სიტუაციაზე.

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისება არის მეტყველების უნარი. ენა და მეტყველება მჭიდროდ დაკავშირებული, ერთიანი პროცესია. ენაში დაგროვილია წინა თაობების მიერ შეძენილი უმნიშვნელოვანესი სულიერი ცხოვრების ღირებულებები. განუზომელია მეტყველების კავშირი აზროვნებასთან, რომელიც არის არსებითი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი. იგი საგანთა და მოვლენათა არსებით ნიშნებს, კანონზომიერებებს ასახავს გაშუალებულად და განზოგადებულად. იგი არის ტვინის მიერ გარე სამყაროს გამოხატვის უმაღლესი და ურთულესი ფორმა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. აზროვნება შეუძლებელია მეტყველების გარეშე. იგი მიმდინარეობს მეტყველებით ფორმაში. აზრი მუდამ არის დაკავშირებული სიტყვიერ ფორმულირებასთან.

გვევლინება რა აზროვნების სრულყოფისა და რეალიზების საშუალებად, ენა ამავდროულად გაგებული უნდა იქნას, როგორც სისტემა, რომელშიც კოდირებულია მთელი სამყაროს აღქმა, როგორც მოცემული ერის კულტურა.

ენა ყოველთვის კონკრეტული პროცესია, რომელიც იყენებს შესაბამის ენობრივ კანონებს. მაგრამ, რადგან ეს პროცესი ყოველთვის ორ მხარეს ვარაუდობს, რაც საკომუნკაციოდ მეორე პარტნიორსაც ითვალისწინებს, ამ პროცესში სხავდასხვა განსხვავებულ როლს ასრულებს – აქტიურს ან პასიურს, ასევე განსხვავებულ სინქრონულ მექანიზმებს იყენებს, განსხვავებული პარალინგვისტიკური საშუალებებით მონაწილეობს, გააჩნია თავისებურებები, გამოთქმის ფორმები და სხვ.

სასაუბრო მექანიზმები მეტად მრავალფეროვანია და იერარქიული ზემოქმედების ფაქტორად გვევლინებიან.

სასაუბრო მექანიზმები არსებითად განფენილია ცენტრალური ნერვული სისტემის არეალში და მოთავსებულია თავის ტვინის მარცხენა

ჰემისფეროში, რომლებიც ითვლებიან სამეტყველო ადგილებად. ამ ადგილებში არსებული სპეციალური ზონები პასუხს აგებენ მეტყველების მოტორულ ფუნქციებზე. მას უწოდებენ ბროკის მოტორული მეტყველების ცენტრს, მისი აღმომჩენის ფრანგი ნეიროქირურგის ბროკის საპატივცემულოდ. როგორც აღინიშნა, ცნობიერების ღერძს, მისი არსის განმსაზღვრელ პროცესს აზროვნება წარმოადგენს. სულიერი აქტივობის ყველა ფორმა ცნობიერ ხასიათს მხოლოდ იმის მეშვეობით იძენს, თუ მის მიმდინარეობაში აზროვნება მონაწილეობს. არსებითის წვდომა მხოლოდ ადამიანს შეუძლია, როგორც მოაზროვნე სუბიექტს. ცხოვრებისეულმა სიტუაციებმა გვიჩვენა, რომ აზროვნებას მაშინ მივმართავთ, როდესაც ქცევითი ამოცანის გადასაჭრელად (მიზნის მისაღწევად) ჩვეული და დასწავლილი ცოდნა (მოქმედება) საკმარისი არ აღმოჩნდება.

აზროვნების საქმეში ჩართვისათვის აუცილებელია ქცევის პრაქტიკული მიმდინარეობა შეჩერდეს და მისი ყველა პარამეტრი საგანგებო განხილვის ობიექტად იქცეს. ცნობიერი, ანუ ცოდნითი მიმართება საგანთან მხოლოდ იმ პირობით შეიძლება დამყარდეს, თუ ეს საგანი გამოიყოფა სინამდვილის სხვა ობიექტებიდან და სუბიექტის ფსიქიკური აქტივობა მასზე გაჩერდება. ამ პროცესს, აქტს დიმიტრი უზნაძემ **ობიექტივაცია** უწოდა. ცნობიერი ფსიქიკური აქტივობა ობიექტივაციის პლანში მიმდინარე აქტივობაა, რომლის აღმოცენებაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს **სიტყვა**, სიტყვის გამოყენებით მოქმედების უნარს მეტყველება წარმოაჩენს.

სრულიად ნათელია, რომ სინამდვილის ობიექტივირებული ასახვა სიტყვიერი მოქმედების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ ადამიანს გააჩნია სინამდვილის სიტყვებში რეპრეზენტირებული ფორმით ასახვის უნარი. სწორედ სიტყვაა ობიექტივაციის და მის საფუძველზე აღძრული აზროვნების პროცესის იარაღი.

„შემეცნების პროცესში ადამიანს ესაჭიროება სიტყვის (ენის) გამოყენება, რაც საგანგებო მოქმედებას – მეტყველებას – წარმოადგენს“ (Magradze, 2008: 151).

მეტყველებას გააჩნია უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციები: გამომსახველობითი – ექსპრესიული ფუნქცია; სიგნიფიკაციური ფუნქცია; წამქეზებლობითი ფუნქცია, ინტელექტუალური ფუნქცია; განმაზოგადებელი ფუნქცია (ქვემოთ შევეხებით დაწვრილებით). ცნობილია მეტყველების ზეპირი და წერითი ფორმა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველება.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მეტყველების ენერგეტიკა, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე პარამეტრს: გადაადგილებას, აუდიტორიასთან სიახლოვეს, ჟესტიკულაციას, ხმის ტონს, ემოციურობას, მსმენელისაკენ მიმართულებას, მრავალფეროვნებას მეტყველების პროცესში. გასათვალისწინებელია მეტყველების ენერგეტულობის ოპტიმალურობა – მაღალი, საშუალო და დაბალი, გასათვალისწინებელია მოცემული სიტუაცია. მეტყველებაში დიდ როლს ასრულებს მეტყველების კულტურა – ზეპირი და წერითი მეტყველების სრულყოფის

ხარისხი, რომელიც ხასიათდება მისი წარმატებულობის და გამოხატვის დონით, ლექსიკის სიმდიდრით, თანამოსაუბრებისადმი თავაზიანი მიმართვის მანერით, მათ შეკითხვებზე პასუხის, პატივისცემის მიგების უნარით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მეტყველების ერთ-ერთი კომუნიკაციური მხარე – მეტყველების ხატოვნება, მისი აზრის მრავალფეროვნება.

ენა, როგორც სისტემა, როგორც ნორმა, რომელიც ადამიანთა ქცევების რეგულირებას ახდენს, და მეტყველება როგორც კონკრეტული პროცესი, ენობრივ ნიშნებს იყენებს ეთნიკური ერთობის მიერ ობიექტური სამყაროს, სუბიექტურად ასახვის საშუალებად. ერთმა ბრძენმა ბრძანა, რომ მეტყველება არის ენა მოქმედებაში. ენა არის აზრების ფორმირების და ფორმულირების სპეციფიკური ადამიანური შესაძლებლობა ენობრივი საშუალებების დახმარებით.

მრავალგზის კვლევების შედეგები გვაუწყებს, რომ მეტყველება აზროვნების რეალიზების საშუალებად გვევლინება, მაგრამ იგი ასევე თავის თავში იტევს ადამიანური შემეცნების უდიდეს სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ასპექტში და ამყარებს მატერიალური ფორმით ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ცნობიერება, როგორც ფსიქიკის უმაღლესი ფორმა, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ქცევებთან, რომელიც გარდატყდება სინამდვილის ასახვის ენობრივ პრიზმაში.

ადამიანის მეტყველება წარმოიშვა და განვითარდა სასმენი სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საფუძველზე. მეტყველებისათვის სმენას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მის უქონლობას. მეტყველების სრულყოფაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხედველობის მდგომარეობასაც.

მეტყველების დახვეწაში სასარგებლოა ხმამაღალი წაკითხვა მეტყველების გამოყენებით. სამეტყველო პროცესები შეუდარებლად უმჯობესდება მხედველობის მოდალობის მეშვეობით. მაშასადამე, მეტყველების პროცესში მხედველობის მოდალობის გამოყენებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ხმამაღლა წაკითხვას. იგი ყველაზე მძლავრი და პოპულარულია შემეცნებითი პროცესების სრულყოფილად მიმდინარეობაში. იგი შესაძლებლობას იძლევა დამოუკიდებლად იქნას შეთვისებული მრავალფეროვანი ინფორმაცია. ამიტომ იგი ყოველმხრივ იმსახურებს დადებით შეფასებას, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის შეთვისებისას, რაც ადამიანის სწავლისა და განვითარებისათვის სჭირდება. არ უნდა გაუფრთხილდეთ დროს, პირიქით, მაქსიმალური საჭიროებით უნდა იქნას იგი გამოყენებული. წერითი მეტყველება ყველაზე უფრო სუსტად არის წარმოდგენილი მეტყველებითი პროცესების სტრუქტურაში, ვინაიდან იგი შეუდარებლად შრომატევადია, ვიდრე ვერბალური (და კითხვითი) მეტყველება. თუმცა, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მეტყველების წერითმა ჟანრმა შეიძლება მოგვცეს უაღრესად ღირებული და არატრივიალური ინფორმაცია (მით უმეტეს, თუ ადამიანი კარგად არის დაუფლებული წერითი მეტყველების კულტურას).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი მეტყველებითი ფორმა და ფუნქციები შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად თავისი ხასიათით და გამოხატვითი ფორმით, თუ ამას საჭიროება და გარკვეული დრო მოითხოვს.

მეტყველების ფუნქციათა შორის თავისი სიმყარით, სიახლოვით, განუყოფელობით, საჭიროებით, მთავარი გახლავთ მისი ექსპრესიულობა, რაც გამოხატავს ადამიანის და საზოგადოების დამოკიდებულებას სინამდვილის მოვლენების მიმართ, ამ მოვლენების შესაფასებლად, ასევე საკუთარი ემოციური მდგომარეობის შესაცნობად. ეს ფუნქცია ძალიან ადრეულ ასაკში იჩენს თავს, ახლად შობილი ბავშვიც კი პირველსავე წამოძახილში გამოხატავს თავის პროტესტს და მეტყველების ეს ფორმა ამ სამყაროდან წასვლის ბოლო წუთებში ავლენს თავის სახეს. გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების აღნიშნული ფუნქცია არ ითვლება სოციალურ ნორმად და არ შეესაბამება მას, მაგრამ ერთი კი ცხადია – ემოციების მართვა დიდი სიმდიდრეა და ზოგჯერ პიროვნულ განძსაც კი უწოდებენ მას. მაგალითად – ექიმის, პედაგოგის, მშობელის, დიპლომატის, ხელმძღვანელის, მომსახურე პერსონალის – აუცილებელ საჭიროებად გვევლინება. მეტყველების მეორე ფუნქციად გვევლინება სიგნიფიკაციური ფუნქცია. ადამიანთა შორის (ნებისმიერი) ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი, ვინც ურთიერთობენ, ერთმანეთთან აუცილებლად იყენებენ ერთ და იგივე (აბსოლუტურად იდენტურ) ნიშნებს, ერთი და იგივე მნიშვნელობით. მეტყველების ნიშანთა საზოგადოებრივი ერთმნიშვნელობა შესაძლებლობას იძლევა არსებობდეს ადეკვატური ურთიერთგაგების სრულყოფილი ეფექტი. სიგნიფიკაციური ფუნქცია გვიჩვენებს, როგორ ფლობს ენას ადამიანი, როგორია მისი ენის კულტურა.

მეტყველების ერთ-ერთ საინტერესო ფუნქციას წარმოადგენს მისი ინტელექტუალური ფუნქცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა იგი განვიხილოთ როგორც აზროვნების რეალიზების იარაღი, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების პროცესში. მეტყველება ხომ არა მხოლოდ კორელირებას ახდენს, არამედ მთელს ცნობიერებაზეა განფენილი.

პიროვნების ინტელექტუალური ფუნქციის უმნიშნელოვანესი მაჩვენებელია – შეგვეძლოს ზუსტად, სწრაფად და მცირე რაოდენობის სიტყვებით აღვწეროთ, შევიმეცნოთ, საჭირო ინფორმაცია ოპერატიულად გადავცეთ, მოვერგოთ სიტუაციას, გვქონდეს უნარი სწრაფად შევიმეცნოთ მოსაუბრის აზრი, ორიენტაცია მოვახდინოთ რთული, ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობის შექმნისას, ადვილად განვაზოგადოთ სიტუაცია და წარმოვადგინოთ დასკვნა. მეტყველების ინტელექტუალური ფუნქციის გამოვლენის ყველაზე აუცილებელი საჭიროებაა აიღო კონტროლისა და მართვის ფუნქცია.

როგორც გამოჩენილი სწავლული ჯემალ ჯინჯიხაძე თავის „პედაგოგიურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ აღნიშნავს (Jinjikhadze, 2017: 237-238), ინტელექტი არის სიძნელეთა შემეცნებისა და გადალახ-

ვის ზოგადი უნარი, რომელიც აერთიანებს ადამიანის ყველა შემეცნებით უნარს: შეგრძნებას, აღქმას, მეხსიერებას, წარმოდგენას, წარმოსახვას, აზროვნებას... საერთოდ, ინტელექტი ის პოტენციალია, რომლის დახმარებითაც ადამიანს სწავლა, რაიმეს გაგება და ნასწავლის ადეკვატური გამოყენება შეუძლია.

მეტყველების ინტეგრალურ, განმაზოგადებელ ფუნქციად გვევლინება კომუნიკაციური ფუნქცია. მეტყველებაში საზოგადოდ და არსებითად ურთიერთობებში გამოიყენება უაღრესად მრავალფეროვან საკითხთა წრე და ურთიერთობის საშუალებები, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური, როგორც ერთ ადამიანთან, ისე მრავალ ხალხთან, როგორც ნაცნობებთან, ისე უცნობებთან, აუდიტორიასთან და ა.შ. მეტყველების სრულყოფის ფაქტორთა წარმოჩენა-დახვეწას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკური პროცესების სრულყოფაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამოუწურავია აზროვნების კავშირი და ფუნქცია მეტყველებასთან, ასევე მეტად მრავალფეროვანია ინფორმაცია აზროვნების თავისებურებათა შესახებ. ამა თუ იმ სუბიექტზე შესაძლოა მივიღოთ უამრავი ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ მეტყველებით.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური პროცესები უაღრესად არაერთფეროვანია, მათი განზოგადების თვალსაზრისით სინამდვილის ასახვაში, რაშიც გადამწყვეტ როლს სიტყვიერი (ენის) ნიშნები თამაშობენ. აზროვნების მეშვეობით სამყაროს განზოგადოებულ ასახვას სპეციალურ ვერბალურ სამეტყველო ნიშნების წარმოქმნამდე მივყავართ, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება ადამიანთა ეფექტური ურთიერთობა ამ ურთულეს საკითხთან დაკავშირებით. ამგვარად, აზროვნება, რომლის რეალიზების ერთადერთ საშუალებას მეტყველება წარმოადგენს, შესაძლებლობას იძლევა თვით ურთიერთობის (მეტყველების) სრულყოფის აუცილებლობისათვის. მრავალგზის გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აზროვნების დაქვეითების, მოშლის შემთხვევაში დიდი სიძნელეები ექმნება კომუნიკაციის სფეროს.

ბავშვობის შედარებით მოგვიანო ასაკში – 7 წლის ბავშის აზროვნების წამყვან სახედ ითვლება სიტყვიერ-ლოგიკური აზროვნება – გაგებულობა, ცნება (გასაგები, მკაფიო), რომელიც გამოხატულია სიტყვიერ ნიშნებში (მეტყველებაში), ხოლო კავშირი ცნებებს შორის – მრავალფეროვან გრამატიკულ კონსტრუქციებში. ცნებითი (გამოკვეთილი) გაგებითი აზროვნება ყოველთვის არის გააზრებული, ვერბალიზირებული (გამეტყველებული) აზროვნება. აზროვნების წამყვან სახედ ცნებითი აზროვნება შეიძლება ჩაითვალოს და მისი კავშირი მეტყველებასთან შეუცვლელია.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს მეტყველების გარკვეულობასა და გაგებას შორის.

გაგება მოითხოვს აკუსტიკური პირობების გაუმჯობესებას, მეტყველების უფრო ღრმა შემეცნებას, ასევე ინფორმაციის სისრულეს, ძლიერ დაძაბულობას, ფსიქოლინგვისტური მახასიათებლების გაშინაგნებას.

მეტყველების სრულყოფილად გაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსმენელის პოზიციას, მის ყურადღებიანობას, დაინტერესებულობას, სიახლეების შეთვისების უნარს, მთელი შინაგანი ძალების მობილიზებას, საკუთარ პრობლემებზე ნაკლებად ფიქრს, აქტივობას.

მეტყველების სრულყოფას ხელს უწყობს კარგი მსმენელი, იგი ყოველთვის კეთილგანწყობილია, ყურადღებით ეკიდება მოსაუბრეს, ცდილობს გაიგოს ქვეტექსტიც, აქტიურად უჭერს მხარს მოსაუბრეს თავისი გამომეტყველებით, პოზით, მიმიკით, სიტყვას არ აწყვეტინებს, არ ჩქარობს. მეტყველება, როგორც სოციალური განვითარების პროდუქტი, აუცილებელია ურთიერთობისათვის, მაგრამ ერთია, როდესაც ეურთიერთობებით ახლობელ ადამიანს, კარგ ნაცნობს, მეორე, როდესაც ნაკლებად ნაცნობს ან სრულად უცნობს, ან ხალხმრავალ აუდიტორიას.

გამომსვლელი პირველ რიგში უნდა შეეცადოს კეთილგანწყობა დაამყაროს მსმენელებთან, ამას შესანიშნავად ახერხებენ დიპლომატები და კარგი ხელმძღვანელები. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სასურველია გამოვიყენოთ ლინგვისტიკური „კოსმეტიკა“ და არა საწყენი, გულსატკენი გამოთქმები, რაც ყოველთვის არის მიუღებელი. უნდა გადავამოწმოთ დროდადრო, სრულყოფილად გაიგეს ჩვენი ნათქვამი მსმენელებმა? ყურადსაღებია, რომ საუბარში, მეტყველებაში განსაკუთრებით იკვეთება მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, ასევე სასაუბრო თემისადმი და თანამოსაუბრისადმი დამოკიდებულება.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეტყველების მაორგანიზებელი ფუნქცია, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ცნობიერების მუშაობა. სინამდვილის ცნობიერი ასახვა მხოლოდ იმის მეშვეობით ხდება შესაძლებელი, რომ თითქმის ყველაფერს სიტყვების მეშვეობით აღვნიშნავთ და ჩვენს აზრებს სიტყვიერი ფორმით ვაყალიბებთ. დიმიტრი უზნაძის თანახმად, სწორედ სიტყვაა ობიექტივირებული ასახვის იარაღი და სიტყვა რომ არ გვქონდეს, სინამდვილე ჩვენს მიერ ასე დიფერენცირებულად ვერ იქნებოდა განცდილი, როგორც ეხლა არის. შემეცნების პროცესში ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება სიტყვიერ-ენობრივი გამოყენება, რაც საგანგებო მოქმედებას მეტყველებას წარმოადგენს.

ყოველგვარი შემეცნებითი საქმიანობის მიმდინარეობა აუცილებლად მოითხოვს მეტყველების განუწყვეტელ მონაწილეობას.

მეტყველება, როგორც სიტყვის გამოყენებითი მოქმედება, არის აზროვნების შესაბამისად, მაღალი რანგის ფსიქიკური პროცესის განხორციელების აუცილებელი პირობა. ზოგჯერ ადამიანი ასევე საკუთარ თავს ესაუბრება, მხოლოდ იგი ამას ჩუმი შინაგანი მეტყველების გზით ახერხებს. რაც შეეხება ხმამაღალ გარეგან მეტყველებას, როგორც ცნობილია, იგი ძირითადად სხვებისათვის აზრების გაზიარების, კომუნიკაციისათვის არის საჭირო.

როგორც აღინიშნა, მეტყველების იარაღია ენა, რომელიც ნიშანთა მზა სისტემის სახით არის მოცემული. სიტყვა, როგორც ობიექტივაციის იარაღი, საფუძვლად ედება არა მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი სინამდვილის ცნობიერ განცდას, არამედ სინამდვილის კატეგორიალურ

ასახვასაც, რადგან ერთგვაროვანი (ერთი კატეგორიის) საგნები, ენაში, როგორც წესი, საერთო სიტყვით აღინიშნება.

ენაში კონცენტრირებულად ამ ენაზე მოსაუბრე ეთნოსის კოლექტიური ცნობიერებაც წარმოჩინდება, სინამდვილის ცალკეულ მხარეთა განზოგადებული ნიშნების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ყოველი ენა თავისებური მსოფლმხედველობრივი სისტემაა. ენა და მეტყველება, როგორც საზოგადოებრივი პიროვნების პროდუქტი, არის მზა იარაღი ინდივიდის მიერ სინამდვილის გააზრებული ასახვისათვის.

ადამიანი ამა თუ იმ ენაზე მეტყველების დაუფლების შედეგად, ამ ენაში მოცემულ მსოფლმხედველობასაც და აზოვნების სტილსაც ეუფლება. ამიტომაა, რომ ადამიანის ეროვნული მიკუთვნებულობა განისაზღვრება არა მხოლოდ გენეტიკური ნიშნით, არამედ, აგრეთვე, იმ ენითაც, რომელიც მისთვის სინამდვილის ცნობიერი ასახვის ძირითადი იარაღია. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ბავშვი მეტყველებას სწავლობს ბუნებრივად, მიბაძვის გზით. იგი ზუსტად ისე ალაპარაკდება, როგორც მისი სოციალური წრე მეტყველებს.

ენა და მეტყველება უზრუნველყოფენ შესასწავლი მოვლენების ობიექტივირებულ ასახვას, ქმნიან აუცილებელ პირობებს შესასწავლი შინაარსის გაცნობიერებისათვისაც. საგნის აღქმა მხოლოდ იმით ხდება შესაძლებელი, რომ სუბიექტი აქტიურად მიმართავს საკუთარი შეგრძნებების ორგანოების მუშაობას საგნებზე და ახდენს მისი რეალური მოცემულობის პერცეპციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აპერცეპციასაც.

საზოგადოების განვითარების განუყოფელ კავშირს ენასთან, მეტყველებასთან აღნიშნავენ ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ლინგვისტები და სხვები. მათი აზრი შეიძლება ერთიანი წინადადებით გამოიხატოს: ენა ისეთივე ძველია, როგორც ცნობიერება (გონება). ცნობიერების მსგავსად ენა მაშინ წარმოიშვა, როდესაც მისი არსებობა საჭირო და აუცილებელია, როდესაც უდაო ხდება ადამიანთა ურთიერთობა, რომელიც მათ ცხოვრებას, არსებობას განაპირობებს. ურთიერთობის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, როგორც კაცობრიობას არ შეუძლია განვითარება ენისა და მეტყველების გარეშე. როდესაც მეტყველება არსებითად განსაზღვრავს სოციალურ პროგრესს და საზოგადოების განვითარებას, იგი მასთან ერთად და მის კვალდაკვალ ვითარდება.

თანამედროვე, მეტნაკლებად განვითარებული ენები ყოველმხრივ ასახავენ კაცობრიობის სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს. თანამედროვე ენები ასევე განსხვავდებიან უძველესი ენებისაგან, როგორც თავისი განვითარების დონით უძველესი პირველყოფილი საზოგადოება განსხვავდება თანამედროვე განვითარებული საზოგადოებისაგან.

ენის ყველა ფუნქცია და მეტყველება იქეთკენ არის მიმართული, რომ მიღწეული იქნას ურთიერთგაგება, ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის; მოხდეს ინფორმაციის ზუსტი, უტყუარი, დახვეწილი ურთიერთგაცვლა; ურთიერთზემოქმედების მასშტაბების გაფართოება,

თანამედროვე ენობრივი და მეტყველებითი საშუალებების განვითარების ძირითად მიზანს წარმოადგენს. იგი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კაცობრიობის, საზოგადოების განვითარების დონესთან.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კომუნიკაციური კავშირების მოწესრიგებული სისტემის შექმნის გარეშე დროის და საშუალებების მინიმალური დანახარჯის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღება.

მრავალგზის მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ენობრივი, მეტყველებითი – ვერბალური საშუალებები ინფორმაციის მოპოვების, შეთვისების და გადაცემის ყველა სფეროში უმნიშნელოვანეს ადგილს იკავებს და ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას მოითხოვს.

საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ პრობლემებს, რომლებიც უკიდურესად ამბივალენტურ ხასიათს ატარებენ ჩვენს დროში. ეს არის კომპიუტერული ქსელი და „ინტერნეტი“, რომლებმაც უმოკლეს დროში და ძალიან სწრაფად მოიპოვა დიდი უპირატესობა საინფორმაციო ქსელში.

კომუნიკაციის კომპიუტერულმა სისტემამ, გარკვეულწილად მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად აღიარა თავისი თავი, რაშიც ხელი შეუწყო მრავალრიცხოვან მომხმარებელთა მრავალრიცხოვანი ადამიანებისათვის, სხვადასხვა წრეებისათვის შეძლებოდა ინფორმაციის მიწოდება. ეს ე.წ. რადიალური (ქსელური) კომუნიკაციები, რომლის საშუალებითაც მიმწოდებელი (კომუნიკატორი) იყენებს ისეთ ქსელს, სადაც შევა ნებისმიერი ზომის და ფორმა-შინაარსის მატარებელი ინფორმაცია რეციპიენტისათვის, რათა მან დააინტერესოს რაც შეიძლება ბევრი ადამიანი, მისამართად შემდეგ ტექსტს იყენებენ: „მათთვის, ვინც დაინტერესებულია ვირტუალური რეალობის სისტემით“, მაგრამ ასეთი სისტემის საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით არ შეუძლია უზრუნველყოს სისრულე და სიზუსტე ინფორმაციის მიმღებისათვის, ვინაიდან იქ არ არის უძველესი სიბრძნე – კომუნიკაციის ჩვეული ფორმა: „მიუთითეთ სრული, ზუსტი მისამართი“. ასევე, უამრავმა კვლევებმა დაადასტურა ჭეშმარიტება, რომ აღნიშნულ საკომუნიკაციო ქსელს გააჩნია უთვალავი ნაკლოვანი მხარეები, ვფიქრობთ, ისიც კი კმარა, რომ მეტად რთულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთობლივი (გადამცემ-მიმღები) დამუშავება და, შესაბამისად, საერთოს პოვნა, რომელიც ყველასათვის იქნება მისაღები, რაც ყველას აწყობს.

მიუხედავად ზემოთქმულისა და მრავალი სირთულეებისა, კომუნიკაციის კომპიუტერული სისტემები ჩვენს დროში დამაჯერებლად და გაბედულად იკავებენ ლიდერის პოზიციას, რაც უზრუნველყოფს გადაცემას, შენახვა-შენარჩუნებას და საჭირო ინფორმაციის გამოყენებას.

კომუნიკაციური სისტემის სრულყოფის სფეროში პროგრესი იმდენად დიდია, რომ ცნობილმა ფანტასტმა ეჟი ლემმა საინტერესო დასკვნა გააკეთა: „ბოლოს და ბოლოს ტექნიკა ისეთ წარმატებებს მიაღწევს, რომ ადამიანი შეძლებს გვერდი აუაროს საკუთარ თავს და ისე იცხოვროს“.

მაგრამ ყველაზე ძლიერი, სრულყოფილი ტექნიკაც კი დედამიწის

ზურგზე ვერ შეცვლის ადამიანს – შემოქმედს, რომელიც ქმნის ახალ იდეებს, ჩამოაყალიბებს მათ ვერბალურ ფორმაში და მას გახდის მიმზიდველს, შექმნის ამ იდეების განხორციელების ძლიერ განწყობას, გონებით დაასაბუთებს ამ იდეების განხორციელების აუცილებლობას, ადამიანთა აქტიურობის მაქსიმალური ამაღლებით იდეებს სინამდვილედ აქცევს.

ეს არის კაცობრიობის განვითარების ძირითადი წყარო.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება აღინიშნოს, რომ ფსიქიკის ყველა პროცესის, თვისებებისა და მდგომარეობის გააქტიურებაში „ლომის წილი“ მიუძღვის მეტყველებას.

ლიტერატურა:

1. Jinjikhadze J. Pedagogiur Terminta Ganmartebiti Leqsikoni, “Universali”, Tbilisi, 2017.
2. Maghradze M. Gantsyobis Teoria da Ganatlebis Fsiqologiis Zogadi Sakitxebi, Qutaisi., 2008.
3. Mayers D. Sotsialnaya Psikhologya. Sankt- Peterburg- Moskva, 1997.
4. Uznadze D. Zogadi Fsiqologia, Tbilisi, 1998.
5. Vertgeymer M. Produktivnoe Myshlenie. Moskva, 1987.
6. Vygotsky L.S. Istorya Razvitia Visshikh Psikhitscheskikh Funktsiiy. Sobrannie Sochinenya. T. 3, Moskva, 1983.

Lia Svanidze

SPEECH AS A VERY IMPORTANT MENTAL PROCESS, ITS PLACE AND ROLE IN THE SPIRITUAL GROWTH OF THE MANKIND

Summary

The author of the work, Lia Svanidze considers the speech as an individual mental phenomenon of human’s specific action, in which a language code and sign system are used and where language units create unlimited number of combinations in entirely different interrelationships. It concerns speech functions, forms, kinds, speech energy, speech culture and many important issues, that undoubtedly have to be taken into account when considering speech and language, for instance, the dependence between speech understanding and its clarity, listener’s position, attention and gestures, mimic, facial expression etc., as well as very detailed knowledge of audience, emotional state of listeners and other important aspects.

Author purposely considers and comprehensively deals with the great im-

portance of speech and language during communication, issues of inextricable relationship of thinking and speech. The language issue is considered in depth in the work in the context of multiplicity of human relations, language reflects social progress and society development, it develops subsequent to it, language clearly reflects the scientific-technical and cultural progress of the mankind – the author concludes.

In author's opinion, all language functions and the speech as a whole were directed towards attainment of mutual understanding, in order that humans make rapid interchange of accurate information, and make mutual influence wider.

It is clearly seen from the work that language verbal means held prominent place in all areas of information exchange and provide the efficiency of verbal communication. It is predetermined from the psychological viewpoint, as well.

Problems considered in the work clearly show that even the most powerful and improved equipment (computers, Internet etc.) will no way replace the human-creator on the Earth, who creates new ideas, formulates then in verbal shape, makes these ideas attractive, in order to set the mood of other humans and "breathe life into" these ideas, to "vitalize" them. Thanks to its marvelous multiplicity, speech is the main reliable source of materialization of these ideas.

ლევან ჯინჯიხაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები

მოსწავლეთა მეტყველების კულტურისა და აზროვნების განვითარებისა და ამაღლებისათვის ზრუნვა სკოლებისა და მასწავლებლების ერთ-ერთი საპატიო და ურთულესი ამოცანაა. იგი ერთ-ერთ მთავარ, ძირეულ მიმართულებას წარმოადგენდა ყოველთვის ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკაში.

ცნებას **მეტყველების განვითარება** გააჩნია როგორც ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური, ისე პედაგოგიური მნიშვნელობა. პიროვნების მეტყველებითი და კომუნიკაციური საქმიანობა ვითარდება მის სულიერ-ზნეობრივ ინტერესებთან ერთად, როდესაც იგი ეცნობა ლიტერატურულ ნაწარმოებებს თუ ხელოვნების სხვა დარგის ქმნილებებს. პიროვნების მეტყველებითი საქმიანობა განუყოფელია მის მორალურ-ესთეტიკურობასა და ქცევასთან, ზოგადად, საქმიანობასთან. მეტყველება ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ენის კანონებზე.

მეტყველების კულტურა ფართო (უნივერსალური) საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური შინაარსის ცნებაა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს პიროვნებისა და საზოგადოების საერთო ენობრივი გარემოს მოწესრიგებულობას, სახელმწიფო ენის (და სხვა ენა-კილოთა) მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობით წესრიგს, ერთგვარ სოციოლინგვისტურ ჰარმონიას.

უფრო ვიწრო შინაარსით მეტყველების კულტურა გულისხმობს პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას (ცოდნასა და გამოყენებას), რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისათვის არის მიღებული და სავალდებულო (Arabuli, 2004: 4).

თავის დროზე ი. გოგებაშვილი წერდა, რომ მოსწავლეთა მეტყველების კულტურის, წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი დედაენის საკითხთა სწავლების სისტემაში სკოლის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. მოსწავლეთა მეტყველების განვითარების უმთავარეს წყაროდ ის ლიტერატურას, ხალხურ შემოქმედებას მიიჩნევს. ამ მიზნით მას თავის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით კი დედაენის სახელმძღვანელოში, უხვად აქვს წარმოდგენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სასაუბროები, სურათები, ზეპირი და წერითი სავარჯიშოები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ლოგიკურ აზროვნებასა და მხატვრული მეტყველების თანდათანობით განვითარებას, დამოუკიდებელი ჩვევების გამომუშავებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ფრაზის სწორად აგებისა და გაბმული მეტყველების ჩვევის გამომუშავებას. გარდა ამისა, დიდი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ მასალა, რომელიც აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისათვის შეირჩევა, უნდა იყოს

მარტივი და ბავშვის გონებისათვის მისაწვდომი (Ramishvili, 1990: 47).

ბავშვის მეტყველება დიდადაა დამოკიდებული სოციალურ გარემოზე. რამდენადაც ორგანიზებულად მოქმედებს ეს გარემო ბავშვის მეტყველებაზე, იმდენად სწრაფად და სწორი ფორმით ვითარდება ბავშვის მეტყველება. მისი განსაზღვრით განვითარებული კულტურული მეტყველება ეწოდება ისეთ მეტყველებას, რომელიც არის აზრიანი, სწორი, ზუსტი, ცხადი, სუფთა, მწყობრი და სახოვანი (Ramishvili, 1999: 27).

როდესაც ვხმარობთ ტერმინს „მეტყველების განვითარება“ მხედველობაში გვაქვს კონკრეტული ინდივიდი, ამჯერად – მოსწავლე. მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკა შეისწავლის მოსწავლეთა მეტყველების (და მასთან დაკავშირებით აზროვნების) განვითარების საკითხებს. ენობრივი კულტურის მაღალი დონე აზროვნების მაღალ დონეზე მიგვითითებს, მეტყველების კულტურისათვის ზრუნვა ამავე დროს აზროვნების კულტურისათვის ზრუნვაც არის (Maglakelidze, 2013: 151).

ფაქტია, რომ ყოველი აზრი თავის გამოხატულებას ენაში პოულობს. ამიტომაც განვითარებული მეტყველება განვითარებულ აზროვნებას გულისხმობს, განუვითარებელი მეტყველება კი – განუვითარებელ აზროვნებას და პირუკუ. მეტყველებას აზროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ მათი გაიგივება მაინც არ შეიძლება, არსებობს მათ შორის განსხვავებაც. აზროვნებას თავისი კანონები აქვს, ხოლო მეტყველებას თავისი. პირველს ლოგიკა სწავლობს, ხოლო მეორეს – გრამატიკა (Jinjikhadze M., 1960: 22).

მოსწავლეთა აზროვნება და მეტყველება რომ გავხადოთ უფრო მეტად სწორი, გამართული, ლოგიკური, გამომეტყველებითი, სახოვანი და ინტონაციურად მდიდარი, საჭიროა დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მიზანმიმართულად გამოვიყენოთ მრავალმხრივი ლოგიკური აქტივობები, სხვადასხვა სახის სასაუბროები, სურათის აღწერა, ნაწარმოების (ილუსტრაციის) შინაარსის გადმოცემა, თხრობა, ტექსტების შედგენა საყრდენი სიტყვების ან საყრდენი ფრაზების გამოყენებით, სათაურის, ანდაზის, ფაბულის მიხედვით, ანაგრამებზე, ლექსიკონსა და წინადადებებზე, გაბმულ მეტყველებასა და სახოვან მეტყველებაზე ვარჯიში და სხვ. (Jinjikhadze L., 2014: 95).

აქ, ამ შემთხვევაში თავს იჩენს ერთი რამ: ბრძოლა მეტყველების განვითარებისათვის მიზანს ვერ მიაღწევს აზროვნების განვითარებისათვის ბრძოლის გარეშე. ასე რომ, ყოველი მასწავლებელი, როდესაც მუშაობს მოსწავლის მეტყველების განვითარებაზე, პარალელურად უნდა ზრუნავდეს მისი ლოგიკური აზროვნების განვითარებისთვისაც, ანუ უნდა ფლობდეს სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

აზროვნება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა განსაზღვრული: ტვინის ფუნქცია – პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, დასკვნების გამოტანისა (Qartuli Enis Ganmartebiti Leqsikoni, 1950: 178).

აზროვნება ინდივიდის შემეცნებითი საქმიანობის პროცესია, რო-

მელიც ხასიათდება სინამდვილის განზოგადებული და გამეშვეობითებული ასახვით. ის ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი ღებულობს გარესამყაროდან, მას აძლევს საშუალებას, წარმოიდგინოს საგნის არა მხოლოდ გარეგანი მხარე, არამედ შინაგანიც (Jinjikhadze J., 2017: 25).

ამდენად, **აზროვნება** არის ადამიანის ტვინის პროდუქტი და სინამდვილის შემეცნების ყველაზე უფრო რთული ფორმა, კოგნიტური პროცესია, რომელიც წარმოადგენს ახალ სიტუაციაში ადამიანის ორიენტაციის, პრობლემის, ამოცანის გადაჭრის უნარს. აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია **გაგების** მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია რაიმე ამოცანასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირების შინაგანი მოთხოვნილებით. პრობლემური სიტუაციის გადაჭრასთან ერთად აზროვნების პროცესიც მთავრდება. ის წარმოადგენს მიზანდასახულ, ნებისმიერ პროცესს.

აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მოვლენაა და მის საგანს შეადგენს:

- აზროვნების სუბიექტი – **პიროვნება** მოტივაციურ-ემოციური სფეროთი, განწყობით;
- აზროვნების ობიექტი – ამოცანა, პრობლემა მისი სტრუქტურული მახასიათებლებით;
- აზროვნების პროცესის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, მისი მიმდინარეობის მექანიზმი.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში განარჩევენ აზროვნების შემდეგ სახეებს:

- **პრაქტიკული ანუ მოქმედებით-ხატოვანი აზროვნება**. ასეთი აზროვნების დროს ამოცანის გადაწყვეტა ხდება უშუალოდ მოქმედების პროცესში. აზროვნების ამ სახის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უშუალო აზრითი გარდაქმნების ობიექტია რეალური სიტუაცია. აზროვნების ეს სახე ძირითადია და წარმოადგენს აზროვნებითი მოქმედებების სხვა სახეების განვითარების პირველ საფეხურს.
- **თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება**. აზროვნების ეს სახე ხასიათდება თვალსაჩინო სახეებით მანიპულირების უნარით, პრაქტიკულ მოქმედებათა გარეშე.
- **ლოგიკური აზროვნება** არის ისეთი აზროვნება, როდესაც ამოცანის გადაწყვეტა ხდება ცნებების მეშვეობით და ძირითადად ეყრდნობა ვერბალურ-ლოგიკურ მსჯელობას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ლოგიკური აზროვნების განვითარება არ გამორიცხავს აზროვნების პირველი ორი სახის განვითარებას. ისინიც განაგრძობენ განვითარებას, განსაკუთრებით – ხატოვანი.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს დიქოტომიური (**დიქოტომია** [ბერძ. dichotomia ორად გაკვეთა] – მთელის გაყოფა ორად, შემდეგ თითოეული ნაწილისა კვლავ ორად და ა.შ.) დაყოფაზე დაფუძნებული აზროვნების კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია ასეთნაი-

რად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- **თეორიული აზროვნება**. ეს არის აზროვნება, როდესაც ხდება გარკვეული კანონზომიერებების შემეცნება აბსტრაქტული მიმართებების დამყარების საფუძველზე. **პრაქტიკული** აზროვნება, რომელიც ძირითადად მიმართულია კონკრეტული, კერძო ამოცანების გადაჭრაზე, სადაც გადაწყვეტილება უშუალოდ მიმდინარე პროცესის სწრაფი ანალიზის შედეგად მიიღება.
- **ანალიზური (ლოგიკური) აზროვნება.** ანალიზური აზროვნების დროს პროცესი დროში გაშლილია, მიმდინარეობს ეტაპობრივად და შედარებით გაცნობიერებულია. **ინტუიციური** აზროვნების დროს კი პროცესი დროში შეზღუდულია და მინიმალურადაა გაცნობიერებული.
- **შემოქმედებითი აზროვნება** ემსახურება ახალი კანონზომიერებების აღმოჩენას და მიმართულია ახალი იდეების შექმნაზე. **კრიტიკული აზროვნება** კი მიმართულია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებაზე და არსებული შეცდომებისა და ხარვეზების გამომზეურებაზე.
- **რეალისტური აზროვნება** ორიენტირებულია გარე სამყაროზე და ემყარება ლოგიკურ კანონებს. პრობლემის გადაჭრისას იგი მოითხოვს ანალიზსა და აბსტრაქციას. **შინაგანი აზროვნება** კი ძირითადად მიმართულია შინაგან სამყაროზე. პრობლემის გადაჭრისას იგი ეყრდნობა არა მხოლოდ რეალურად არსებულ მიმართებებს, არამედ საკუთარ სურვილებსაც.
- **პროდუქციული აზროვნება** წარმოადგენს ისეთ აზროვნებას, რომლის მეშვეობით მიიღება სრულიად ახალი ცოდნა, გამოცდილება. ხოლო **რეპროდუქციული** აზროვნება პრობლემის გადაჭრისას ემყარება უკვე მზა ჩვევას, გამოცდილ სქემას.

ყოველივე ეს სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ აზროვნების შემდეგი ოპერაციები:

- **ანალიზი**. ანალიზის [ბერძ. analysis დაშლა] ოპერაცია ადამიანს საშუალებას აძლევს აღქმული მთლიანი მასალიდან, მოვლენიდან გამოყოს სხვადასხვა მხარე. ის გულისხმობს ამოცანის ცალკეულ ნაწილებად დაშლას და მის შემადგენელ ელემენტებზე მსჯელობის უნარს.
- **სინთეზი**. სინთეზი [ბერძ. synthesis შეერთება] ეს არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს. იგი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას, ერთ შინაარსად შეკვრას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგ., ნაწილებისაგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისებების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა. შ.
- **აბსტრაქცია**. აბსტრაქცია [ლათ. abstractio მოცილება, მოშორება] ისეთი ოპერაციაა, როდესაც შემეცნების პროცესში ხდება ობიექტის (საგნის, მოვლენის) არაარსებითი მხარეების, თვისებებისა და კავშირების უგულებელყოფა და სხვა (არსებითი) ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში – განყენება. იგი გულისხმობს ობიექტთა შედარებით ანალიზს, ამ ობიექტებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოყოფას და ამ ნიშნების საფუძველზე ობიექტთა კატეგორიაში გაერთიანებას.

როგორც ვიცით, მეტყველების მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს, ესენია: **მოსმენა** და **ლაპარაკი**. ამ სამეტყველო ქცევებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების თანამიმდევრული განვითარება მიზნად ისახავს თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას.

აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, მეტყველება, პირველ რიგში, გულისხმობს ზეპირ მეტყველებას, ბავშვის უნარს, ერთი მხრივ, გამოთქვას თავისი აზრი, შეხედულებები, ფიქრები, ხოლო, მეორე მხრივ, მოისმინოს და აღიქვას გარშემომყოფთა ნათქვამი.

ზეპირი მეტყველება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: **რეცეპციული** (რა ესმის), **ექსპრესიული** (რისი თქმა შეუძლია) და **პრაგმატული** (ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ იყენებს ენის ცოდნას). აქ შეიძლება გამოიყოს მეტყველების სხვადასხვა ტიპი:

- **რეცეპციული მეტყველება**, რომელიც გულისხმობს მოსმენასა და მოსმენილის გაგების უნარს. აქ მოსწავლეს შეუძლია მიუთითოს დასახელებულ საგანზე ან დაასრულოს დაწყებული ეს თუ ის მოქმედება;

- **ექსპრესიული** (პროდუქციული) **მეტყველება** მოიცავს მოსწავლის უნარს სიტყვიერად გამოხატოს სხვადასხვა შინაარსი.
- **პრაგმატული განვითარება** იწყება მოთხოვნილებისა და სურვილის გამოხატვით და სრულდება წარმატებული კომუნიკაციით.

კომუნიკაცია კი, როგორც ვიცით, გვაქვს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური, სადაც ვერბალური კომუნიკაცია მოიცავს შინაარსის სიტყვიერ გამოხატულებას, ხოლო არავერბალური კი – ჟესტიკულაციას – სახის გამომეტყველებას, სხეულის მოძრაობას, ინტონაციასა და სხვა არასიტყვიერ მახასიათებლებს.

აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მეცნიერულ-პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გაიგება როგორც მასწავლებლისა და მოსწავლეების სპეციალური ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია აზროვნებისა და მეტყველების დაუფლებისაკენ. საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე პედაგოგთა, მეთოდისტთა, ფილოლოგთა და ფსიქოლოგთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა და წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ აზროვნებისა და მეტყველების დაუფლებაზე ზრუნვა, რასაც მუდმივად ექცეოდა და ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ლიტერატურა:

1. Arabuli, A. Qartuli Metyvelebis Kultura. Tbilisi, 2004.
2. Jinjikhadze M. Tseriti Metyvelebis Ganvitareba. Sokhumi, 1960.
3. Jinjikhadze J. Pedagogikur Terminta Ganmartebiti Leqsikoni. Tbilisi, 2017.
4. Jinjikhadze L. Qartuli Enisa da Literaturis Dawyebiti Kursis Stsavlebis Metodika da Teqnologia. Tbilisi, 2014.
5. Maglakelidze N. Qartuli Enis Stsavlebis Metodika/Didaqtika. Tbilisi, 2013.
6. Qartuli Enis Ganmartebiti Leqsikoni. Ed. Ciqobava Arn. T. I., Tbilisi, 1950.
7. Ramishvili V. Dedaena da Misi Stsavlebis Sakitkhebi Iakob Gogebashvilis Modzgvrebasi. Book.
8. Gogebashvili I. Rcheuli Tkhzulebani. T. IV, Compiled by Ramishvili V., Qajaia L. Tbilisi, 1990.
9. Ramishvili V. Qartuli Enis Stsavlebis Metodika. Tbilisi, 1999.

Levan Jinjikhadze

PEDAGOGICAL-PSYCOLOGICAL ASPECTS OF TEACHING GEORGIAN LAHGUAGE AND LITERATURE

Summary

The concept – development of speech has psychological-philosophical and pedagogical meaning. Speech and communicative activity of a person is developing together with his/her spiritual-moral interests, when he/she is learning the work of fiction or the other works of other spheres of Art. Speech activity of a person is integrated with his/her moral-esthetical behavior, his/her all activities, in general. Speech is a peculiar feature of a human being, which is upon the whole based on the language laws.

Thinking is a cognitive process, which is the ability of solving the problem, task in a new situation of a person's orientation. One of the basic and most significant features of thinking is a requirement of understanding, which is conditioned by internal demands of reduction of uncertainty related to any task. The process of thinking comes to the end together with solving the problematic situation. This is a purposeful process of any kind. Firstly, thinking is a psychological phenomenon and the subject of it is as follows: 1. Subject of thinking: a person himself with motivation-emotional sphere, mood; 2. Object of thinking – is a task, problem with its structural features; 3. Psychological structure of thinking process, the mechanism of its currency.

In contemporary Psychology there are distinguished the following kinds of thinking: practical or creative-figurative thinking, visible- figurative thinking, and logical thinking.

In pedagogical-psychological science there exists a classification of thinking based on dichotomic division. We can imagine such classification as: theoretical and practical thinking; analyzing (logical) and intuitive thinking; creative and critical thinking; realistic and initial thinking; productive and reproductive thinking, and hence it follows there are outlined the following operations of thinking: Analyze, synthesis, abstraction.

There exist different types of oral speech: Receptive (what can hear), expressive (what can say) and pragmatic (usage of language skills in a different situation).

Scientific-pedagogical importance of thinking and speech could be understood as a special joint activity of a teacher and students, which is directed to mastering of thinking and speech.

ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი, მარეხი ნიკოლაძე

პედაგოგი, როგორც გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის მატარებელი პიროვნება

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

გადაჭარბებული არ იქნება იმის განცხადება, რომ აუდიტორიის მართვა, ლექტორსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობა ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. საგანმანათლებლო პროცესში მართვა – ეფექტური სწავლების განუყოფელი კომპონენტია. თუ პედაგოგს არ აქვს უნარი გააღვივოს თანამშრომლობითი დამოკიდებულება სტუდენტებში და ჩართოს ისინი სხვადასხვა აქტივობებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სწავლის შედეგები ეფექტური აღმოჩნდეს. ამასთანავე, ცუდი მართვა იწვევს დროის ფუჭ ხარჯვას, ამცირებს დროს, რომელსაც სტუდენტები უშუალოდ მასალის ათვისებაზე ხარჯავენ. ზოგადად, არასწორი მართვის პირობებში სასწავლო გარემო არ არის ისეთი ხარისხიანი, როგორიც უნდა იყოს.

ეფექტური მართვისათვის კი მნიშვნელოვანია ლექტორის მენტალური მზაობა – კონკრეტული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. იგი ძალიან ახლოსაა „ყურადღებიანობის“ ცნებასთან. „ყურადღებიანობა“ გულისხმობს სიტუაციაში გარკვევის გამძაფრებულ უნარს, საკუთარი ფიქრებისა და ქცევის გაცნობიერებულ კონტროლს ამ სიტუაციის მიმართ. ასეთი გონებრივი მდგომარეობის განვითარება და შენარჩუნება ადვილი არ არის. პედაგოგის შინაგანი, ფსიქოლოგიური მზაობა სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისათვის მისგან მოითხოვს ყურადღების, „გონებრივი სიფხიზლისა“ და „ემოციური ბალანსის“ უნარის განვითარებას, რისთვისაც მას დასჭირდება – მყისიერი რეაქცია, პრობლემების პროგნოზირება და გამოცდილ კოლეგებზე დაკვირვება.

პედაგოგი მუდმივად უნდა ახდენდეს თავისი ფიქრების მონიტორინგს, უნდა ზრუნავდეს საკუთარ ემოციურ მდგომარეობაზე.

სწავლების პროცესი აუდიტორიის კართან არ მთავრდება. ფაქტია, რომ ყველაზე წარმატებული პროფესორები მაღალ სტანდარტებზე არიან ორიენტირებული და აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტებთან როგორც აუდიტორიაში, ისე მის გარეთ. ეჭვს არ იწვევს, რომ პედაგოგის წარმატების საიდუმლო იმალება არა მარტო მის მეთოდებში, არამედ მის გულში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ეთიკას სწავლების პროცესში. იგი პირდაპირ კავშირშია სტუდენტების მიმართ პასუხისმგებლობასთან.

პედაგოგის ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებლობა სწავლებას უკავშირდება.

სწავლების უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლას. ეთიკური პრინციპების დამცველი პედაგოგი სრულყოფილად ფლობს როგორც სასწავლო კურსის შინაარსს, ისე პედაგოგიურ მეთოდებს. კარგად იცნობს სტუდენტებს, რომლებთანაც უწევს მუშაობა. იგი ვალდებულია მაღალ დონეზე მოემზადოს ყოველი მეცადინეობისათვის, პედაგოგი სისტემატურად უნდა ეცნობოდეს უახლეს მიღწევებს თავის დარგში და უზრუნველყოფდეს სტუდენტის ავტონომიას.

ლექტორი უნდა ამჟღავნებდეს პატივისცემას სტუდენტის, როგორც პიროვნების მიმართ. პირველ ყოვლისა, საჭიროა იგი იცნობდეს თითოეული ინდივიდის მიზნებს, ღირებულებებსა და ინტერესებს. ამისათვის არსებობს არაერთი მეთოდი: დღიურები, ანკეტები, აზრების ურთიერთგაზიარება მცირე ზომის ჯგუფებში და სხვ. თუმცა ამ ხერხების გამოყენებისას უნდა დავიცვათ ზომიერება და გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რათა არ დაირღვეს სტუდენტის უფლებები.

დაკვირვება გვმართებს ისეთი საკითხების განხილვისას, რომელთა მიმართ სტუდენტები განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევიან და აქვთ მძაფრი რეაქცია, მაგალითად, მულტიკულტურული ან რელიგიური თემები.

პედაგოგს ევალება დაიცვას სტუდენტის კონფიდენციალურობა. არაეთიკურია, მაგალითად, კონკრეტული სტუდენტის საქმეების შესახებ საუბარი იმ პირთან, რომელსაც არა აქვს ლეგიტიმური უფლება დაინტერესდეს ამით. დაუშვებელია სტუდენტების ნაშრომების დატოვება ისეთ ადგილზე, სადაც ყველას შეეძლება მათი დათვალიერება. მიუღებელია სტუდენტების ნიშნების საჯაროდ გამოცხადება.

დიდია პედაგოგის პასუხისმგებლობა კოლეგების, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სასწავლო დისციპლინის მიმართ. მას ევალება თავისუფალი და სამართლიანი მეცნიერული კვლევის, სხვებისადმი პატივისცემის, უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპების დაცვა.

ამ შემთხვევაში ეთიკური ღირებულებების დარღვევად მიიჩნევა კვლევის შედეგების ფალსიფიკაცია; კოლეგების, ან სტუდენტების მუშაობის არასწორად შეფასება; საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა; სწავლების შეუსაბამობა სტუდენტების ინტერესებთან; სტუდენტთა მუშაობის იგნორირება; ასევე, იმდენად დიდი დამატებითი სამუშაოს შესრულება, რომ სავალდებულო სამუშაოსათვის შესაძლოა აღარც დარჩეს საკმარისი დრო და ა. შ. აუცილებელია პედაგოგმა უზრუნველყოს მუდმივი წინსვლა კარიერის მანძილზე.

პედაგოგობა იდეალური პროფესიაა. მას შევყავართ უსაზღვრო და გამოწვევებით აღსავსე სამყაროში: თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურობა, ახალი მეთოდოლოგიური მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები, ახალი შემოქმედებითი იდეები.

სწავლება არის როგორც ინტელექტუალური, ისე სოციალური პრო-

ცესი. სტუდენტებს გამუდმებით ებადებათ ახალი კითხვები და მოსაზრებები, რაც, თავის მხრივ, ძლიერ ბიძგს აძლევს შემდგომ პროფესიულ განვითარებას. ყოველი ახალი ჯგუფი კმაყოფილებისა და სტიმულის ახალი წყაროა. რა შეედრება განცდას, რომელიც გვეუფლება მაშინ, როცა ყოფილი სტუდენტი საუბრობს ჩვენს დამსახურებაზე მის მიმართ.

პედაგოგის პროფესია სავსეა პრობლემებითა და გამოწვევებით. ყოველთვის იარსებებენ ინდიფერენტულად განწყობილი, მეამბოხე, მეცადინეობის გამცდენი სტუდენტები. ჩვენი მცდელობა – გადავჭრათ არსებული პრობლემები – ზოგჯერ კრახს განიცდის, მაგრამ დროდადრო წარმატებულია და ამ წარმატებას უდიდესი კმაყოფილება მოაქვს.

პედაგოგობა ყველა პიროვნებისათვის არ არის იოლი. ენთუზიაზმი, კომუნიკაბელურობა და პედაგოგიური მოწოდება ქმნიან საფუძველს შესანიშნავი დასაწყისისათვის, თუმცა არცერთ ჩამოთვლილ ღირსებას აზრი აღარ ექნება, თუ პედაგოგიური საქმიანობა არ შეესაბამება კონკრეტული სასწავლო გარემოს მიზნებსა და სპეციფიკას.

პედაგოგის პროფესია მოითხოვს უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ჩამოყალიბებას. ისინი, თავის მხრივ, აძლიერებენ თავდაჯერებას და სიყვარულს საქმის მიმართ, სტიმულს აძლევენ შემდგომ ზრდა-განვითარებას.

ლიტერატურა:

1. Kari D. Profesionalizmi da Etika Pedagogiur Saqmianobasi (New York: Routledge, 2000).
2. Marki P. Profesoris Valdebulebebi: Kolejshi Stsavlebis Etikuri sakithebi (Totowa, NJ: Rowman& Littlefield, 1994)
3. Marzano R. J., Marzano I. S., Feiqnigi D. F. Klasis Martva. Tbilisi, 2009.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani, Marekhi Nikoladze

THE TEACHER AS A PERSON WITH A CERTAIN PSYCHOLOGICAL STATE

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

In the paper we focus on the role of a teacher as a person with a certain psychological state for effective management of the lecture. We have discussed the jollowing terms: “mental readiness”, its connection with the concept of “alertness”, “mental alert”, “emotional balance”, “instant reaction”, “prediction of problems” and need for “observing experienced teachers”.

Teachers must constantly take care of their thoughts, their emotional stability, and teaching ethics in the training process, student autonomy, confidentiality and responsibility for colleagues, educational institutions and training disciplines. They care about their students’ happiness, well-being and life beyond the classroom.

We think that the given paper calls on the teachers once again for sustainable development, the ability to develop skills and make love their job really leading to success.

ჯემალ ჯინჯიხაძე

აზროვნება და გრძნობა-ემოციები

როგორც ვიცით, ლოგიკური ოპერაციები აზროვნების სტრუქტურას განეკუთვნება, მაგრამ აზროვნება ყოველთვის არ არის ის პროცესი, რომელშიც მხოლოდ ლოგიკა და გონება მონაწილეობს. აზროვნების პროცესში ხშირად ერთვება ემოციები და ცვლის მას, ზოგჯერ – ძირეულადაც. აზრი ხშირად იცვლება სუბიექტური გრძნობის მიხედვით და ამის გამო შეიძლება ობიექტურობისგან შორსაც აღმოჩნდეს. ასე, რომ, ემოციონალური აზროვნება უფრო მეტად წინასწარ გათვლილ სასურველ შედეგზეა ორიენტირებული და არა ობიექტურ რეალობაზე, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ემოციები სტიმულს აძლევენ აზროვნებას და აზროვნება ხდება უფრო მიზანმისწრაფული, მოქნილი, მკაფიო, ლაღი, ამაღლებული. აზროვნების პროცესში ემოციები განსაკუთრებით მაშინაა მკაფიოდ გამოხატული, როცა წარმოებს პრობლემის გადაჭრის ხერხების ძიება და ხდება სასურველი შედეგის მიგნება. ასეთ შემთხვევაში ისინი ევრისტიკულ და რეგულატორულ ფუნქციებს ასრულებენ.

ემოციების ევრისტიკული ფუნქცია მდგომარეობს გამოყოფაში იმ ოპტიმალური ზონისა, რომლის ფარგლებშიცაა მოსანახი პრობლემის გადაჭრა, ხოლო ემოციების რეგულატორული ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ მოახდინონ პრობლემის გადაჭრის ძიების აქტივიზირება მაშინ, როცა ეს ძიება სწორი მიმართულებით წარმოებს და შეანელონ იგი მაშინ, როცა ინტუიცია კარნახობს, რომ პრობლემის გადაჭრის ძიების მიმართულება შერჩეულია არასწორად.

ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემის ამოხსნის პოვნა ან მასთან მიახლოება მოსწავლის ემოციონალურ ამაღლებას იწვევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ გრძნობა-ემოციები აზროვნების შინაგანი თვისებაა, მას აზროვნება თვითონ წარმოშობს და იგი ნებისმიერ აზროვნებით პროცესს მისი განვითარების ყველა ეტაპზე ახლავს, მეტ-ნაკლები გამოხატულებით. არ არსებობს გრძნობა-ემოციები აზროვნების გარეშე და პირუკუ, არ არის აზროვნება გრძნობა-ემოციების გარეშე. უფრო ზუსტად, გრძნობა-ემოციები მდგომარეობს აზროვნებაში, მის რეალურ სუბიექტურობა-ობიექტურობაში.

ამის გამო, აქ აუცილებლადაა განსახილავი ერთი, ჩვენის აზრით, უმნიშვნელოვანესი საკითხი: უნდა გავცეთ პასუხი კითხვას: ***რა არის ობიექტური რეალობა?***

– მხოლოდ გარესამყარო? – არამც და არამც!

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უპირველესად უნდა გავარკვიოთ: რა არის, რომელია ჩვენი ცნობიერების **რეალური სარბიელი**, ე. ი. უნდა დავადგინოთ ჩვენი მშობლიური ენისა და ჩვენი აზროვნების ობიექტური ფარგლები. აზროვნება ხომ არსებობს და ვითარდება მხოლოდ ენის ფარგლებში.

მაშასადამე, ისმის კითხვა: რა არის **ჩვენი ცნობიერების უნივერსუმი?** – აი, რა:

1. ***გარე სამყარო,***
2. ***მხატვრულ-ლიტერატურული სახეები,***
3. ***რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები,***
4. ***აბსტრაქცია.***

ცნობიერების ამ ოთხივე უბანზე წარმოდგენები ერთნაირი უფლებისანი არიან, თუმცა, დონეებია სხვადასხვა, და ჩვენი აზროვნება ოთხივეს მოიცავს. ოთხივე ერთად განაპირობებს ნებისმიერ შემეცნებით პროცესს. ამასთან, აზროვნება მათ მიღმა არ არსებობს. როგორც ჩანს, ეს უნივერსუმი იწყება გარესამყაროთი, თავდება აბსტრაქციით. დანარჩენი ორი მათ შორისაა. გარესამყარო – ვიცით, რომ ობიექტური რეალობაა; ვნახოთ, რა არის აბსტრაქცია! აბსტრაქცია რომ არსებობს, ამაში ეჭვი არ გვეპარება. აბსტრაქცია არსებობს ჩვენს გონებაში, ტვინში, და ეს უტყუარია. აბსტრაქცია რომ სუბიექტური იყოს, მაშინ ყოველ ადამიანს თავისი მათემატიკა ექნებოდა. მართკუთხედი ყველა ადამიანისათვის მართკუთხედია, ე. ი. მათემატიკური ცნებები ობიექტური რეალობაა, რომელიც აბსტრაქციაში არსებობს, აბსტრაქცია კი ობიექტური რეალობაა ჩვენს აზროვნებაში. ყოველი ადამიანისათვის აბსტრაქცია სუბიექტურია აბსტრაქციისავე ნიაღში, თავისი სპეციფიკით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანი ერთნაირად იაზროვნებდა.

მაშასადამე, ***ობიექტური რეალობა*** შედგება ოთხი უკიდეგანო არეალისგან: ***გარესამყარო, მხატვრულ-ლიტერატურული სახეები, რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, აბსტრაქცია.*** გრძნობა-ემოციები ოთხივეს ახლავს თავისებურად და თავისი სპეციფიკური გამოვლინებით.

ამგვარად, საგანი ***ობიექტური რეალობაა***, თუ იგი არსებობს: ან ***გარესამყაროში***, ან ***მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში***, ან ***რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში***, ან ***აბსტრაქციაში***.

მაგალითად: მთვარე კონკრეტულია, კვადრატი აბსტრაქტულია და ორივე რეალურია, ობიექტურად არსებული რეალობა: ერთი – გარესამყაროში, მეორე – აბსტრაქციაში. დემეტრე თავდადებული კონკრეტულია, სპირიდონ მცირიშვილი, ან ოტელო ლიტერატურული პერსონაჟებია და ყველა ობიექტურად არსებული რეალობაა, პირველი – გარესამყაროში, მეორე და მესამე – მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში. ოტელო, ეს საოცარი მავრი, არასოდეს არ არსებულა, იგი შექსპირის მოგონილია, მაგრამ ჩვენ მის შესახებ ყველაფერი ვიცით, ისიც კი ვიცით, მის ცოლს რა ერქვა – დეზდემონა. ამავდროულად: მართლა არსებული, მაგრამ აწ გარდასული მრავალი პიროვნების შესახებ არაფერი არ ვიცით, ისტორიამ არაფერი არ შემოგვინახა. უფრო მეტიც: დიდი ხანი არ არის, გარკვეულ წრეებში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ძველბერძენი ფილოსოფოსები მოგონილი პირებია და სხვ.

ნუ გავაიგივებთ ობიექტურ რეალობასა და გარესამყაროს! ობიექტური რეალობა უფრო ფართო ცნებაა.

ბუნებამ ადამიანს მიანიჭა შემეცნების უნარი და მისცა ამ შემეცნების ბუნებრივი საშუალებებიც. ადამიანმა კი თავისთვის შემეცნების უამრავი სხვა (წარმოებული თუ ხელოვნური) საშუალებაც შექმნა. გარესამყაროს ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში): მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემო, გული, ინტუიცია და გონება. ყველა დანარჩენი არეალის ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია გული, ინტუიცია და გონება (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში).

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხსაც.

გრძნობა-ემოციებს ადამიანის ცხოვრებაში, მათი გამოვლინების ხარისხის შესაბამისად, სხვადასხვა როლის შესრულება შეუძლიათ, ზოგჯერ ეს როლები შესაძლოა ერთმანეთის საპირისპიროც იყოს:

შემოქმედებითი აზროვნების შემთხვევაში დადებითი გრძნობა-ემოციები წინა პლანზე იწევს. მათ ძალუძთ გაანათონ, გაასხივოსნონ, გააკეთილშობილონ მოაზროვნის გონება, იქცნენ ზეშთაგონების ღვთაებრივ წყაროდ და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, შეიძლება შექმნას რაღაც დიდებული და ამაღლებული.

კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში წინა პლანზე შესაძლოა უარყოფითმა ემოციებმა წამოიწიონ და, თუ ისინი აგრესიულობის თუნდაც ძალიან მცირე ხარისხით ხასიათდებიან, ძალუძთ დაბინდონ, დააბნელონ, გზას აცდინონ, გააუკუღმართონ მოაზროვნის გონება და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, თუ იგი უარყოფით ემოციებს აჰყვა, შეიძლება საბედისწერო შეცდომაც კი დაუშვას. ამიტომ კრიტიკული აზროვნება ყოველთვის უმჯობესია გრძნობა-ემოციების გარეშე, ცივი გონებით, დამშვიდებულ გულზე.

მაშასადამე, გრძნობა-ემოციებს კარგის მოტანაც შეუძლიათ და ცუდისაც. ამიტომ სწავლების პროცესში მათ გამოყენებას სიფრთხილე სჭირდება, მათი გამოყენებისადმი შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო.

ჩვენში დღემდე ემოციები სასწავლო მასალის ათვისებასთან შეუთავსებლად ითვლებოდა. ეს იდეა ძველი ფილოსოფიისა და მეცნიერული ტრადიციების ნაკარნახევია. თუმცა, საბჭოთა იდეოლოგიითაც იყო განპირობებული. სინამდვილეში ცოდნის შეთვისების პროცესი და გრძნობა-ემოციები დინამიკურადაა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული.

ადამიანი ბავშვობიდანვე განიცდის გარესამყაროს, შემდგომ – სხვა რეალობასაც, სუბიექტურ და ობიექტურ სინამდვილეს, და ეს განცდა შემეცნებაში აისახება; ადამიანი განცდისას შეიმეცნებს, ე. ი. გარკვეული გაგებით განცდა თვითონაა შემეცნება. ამ შემეცნებისას ადამიანი აქტიურია და ეს აქტიურობა ხორციელდება ნებელობითი პროცესების მეშვეობით. მაშასადამე, განცდები მოიცავს შემეცნების, გრძნობა-ემოციებისა და ნებელობის პროცესებს. აქედან სრულიად აშკარაა, თუ როგორი ორგანიზაცია გააჩნია მოსწავლის სასწავლო შემეცნების რთულ

(შესაძლოა, – ურთულეს) სტრუქტურას.

ამგვარად, გრძნობა-ემოციები სწავლებისა და სწავლის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა, ეფექტური სწავლება და სწავლა შეუძლებელია გრძნობა-ემოციების მადლის გარეშე.

მაგრამ პრინციპულად ჩნდება კითხვები: მოსწავლის აზროვნების განვითარებაში სად უნდა მოეძებნოს ადგილი გრძნობა-ემოციებს? როგორი უნდა იყოს მათი შეხამება პედაგოგიურ პროცესებთან? როგორია ლოგიკისა და გრძნობა-ემოციების ოპტიმალური ურთიერთმიმართება? და სხვ.

ამ ფონზე აუცილებელია, განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის შესახებაც ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული შეხედულება გვაქვს. როგორია მისი სტრუქტურა?

ჩვენის აზრით, ამ კითხვებზე პასუხს სულ რამდენიმე ცნების ლოგიკურ სტრუქტურაში და მათ შორის ურთიერთმიმართებებში გარკვევა მოგვცემს.

ეს ცნებებია:

- **ადამიანის ორი სამყარო** – დიდი სამყარო – გული, მცირე სამყარო – ტვინი (გონება). ამ ორი სამყაროს ერთიანობა ქმნის ადამიანის მთელ შინაგან სამყაროს. მათი ჰარმონიული ერთიანობის შინაგანი იერარქიით ადამიანს ექმნება საკუთარი კოსმობიოლოგიური ველი, რომელიც კოსმოსური ენერგიითაა დამუხტული და ადამიანი სამყაროს სრულიად ბუნებრივად შეიმეცნებს. ამ შემეცნების ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის შიდარიტმებისა და გარერიტმების თანხვდენილობის ხარისხზე.
- **გული** – ადამიანის დიდი სამყარო, რომელსაც მინიჭებული აქვს ბუნებრივი უნარი: იმედის, რწმენისა და სიყვარულის (ყველა სხვა ზნეობრივი ფასეულობა მათ საფუძველზე აღმოცენდება), დაკისრებული აქვს მიწიერი ფუნქცია: უზრუნველყოს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა; ეს კი, თავის მხრივ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას; ამ დროს ორგანიზმში თანდათანობით ყალიბდება ურთულესი კანონზომიერებებით მოწესრიგებული უჯრედული ბიოქიმიური ცვლილებებისა და გარდაქმნების მთელი სამყარო, რომელიც კოსმოსური ენერგიის ველში ექცევა და იმართება მისით. ეს სამყარო სუნთქავს ერთიანი ორგანიზმის, ცალკეული ორგანოების, ქსოვილების, უჯრედებისა თუ სუბუჯრედული სტრუქტურების ფრიად მოწესრიგებული რიტმებით. ასეთი სამყარო ნებისმიერ ადამიანს გააჩნია და იგი სრულიად თავისებურია, ინდივიდუალური. გულის ნეირონულ სისტემას მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერებები აქვს და იგი ტვინს მუდმივად აწვდის ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციით იქმნება ადამიანის ემოციონალური გამოცდილება. სხვა სიტყვებით, გულის მიერ მიწო-

დებული ინფორმაციის საფუძველზე ტვინში იქმნება გარკვეული ბაზა, რომელიც სრულად განსაზღვრავს ადამიანის რეაქციებსა და განწყობილებებს.

- **ტვინი** – ადამიანის მცირე სამყარო, რომელსაც მინიჭებული აქვს ბუნებრივი უნარი: მსჯელობის, მტკიცებისაკენ სწრაფვისა და ეჭვების. დაკისრებული აქვს მიწიერი ფუნქცია: მასში არსებული ასი მილიარდი ნეირონით არეგულიროს ადამიანის ორგანიზმისა და ცნობიერების ნებისმიერი რეაქცია გარესამყაროსადმი. ამასთან, გამოიყოფა ტვინის სამი უმნიშვნელოვანესი ბლოკი. 1. ***ტონუსის ენერგეტიკული ბლოკი***, რომელიც განთავსებულია ტვინის სიღრმეში, ტვინის ღეროს ზედა ფენებში. ამ ბლოკის ერთ ნაწილში წარმოებს ორგანიზმში ნივთიერებათა ქიმიური ცვლის რეგულაცია. მეორე, ბადისებრ ანუ რეტიკულარულ ნაწილში, აღმოცენდება აგზნების იმპულსები, რომლებიც თავიანთი ენერგიით კვებავენ ტვინის ქერქს. როგორც კი ეს ენერგეტიკული ნაკადი შეწყდება, მაშინვე ტვინის ქერქის ტონუსი ეცემა და ადამიანი ვარდება ნახევრადძილის მდგომარეობაში, შემდეგ ეძლევა ძილს. 2. ***ძირითადი ბლოკი*** განთავსებულია დიდი ნახევარსფეროების უკანა ნაწილში და მას ევალება გარესამყაროდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და შენახვა. 3. ***მთავარი ბლოკი***, რომელიც ინახავს ადამიანის პიროვნებას, განთავსებულია შუბლის მიდამოებში. არის მეოთხეც, ეს არის ***ამიგდალა***. იგი ნუშისებრი სხეულია, გაჟღენთილია ნეირონებით, დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი ზომისაა, განთავსებულია ტვინის ორივე ნახევარსფეროში, – ყურის ყვრიმალის მიდამოებში და არეგულირებს ემოციებს. ამიგდალა ემოციონალურ მეხსიერებასთან დაკავშირებული ძირითადი კომპონენტია.
- **ფსიქიკა** (< ძვ. ბერძ. ψῡχικός სულიერი, ცხოვრებისეული) – ტერმინი აღნიშნავს რთულ ცნებას, რომელიც გამოიყენება ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და მედიცინაში. ეს არის ადამიანის გონებისა და გულის ურთიერთჰარმონიულობის ხარისხი (რანგი). და სწორედ ეს რანგი განაპირობებს ქცევას. უფრო კონკრეტულად, **ქცევას** განაპირობებს: გონების მხრივ – ადამიანის **ცოდნა, გამოცდილება** და **აზროვნება**, გულის მხრივ – **გრძნობები, განცდები** და **ემოციები**, ხოლო ორივეს მხრივ ერთდროულად – **განწყობები** და **ინტუიცია**. მათი ურთიერთჰარმონიულობის წყალობით მიმდინარეობს ფსიქიკური პროცესები, რომლებიც გაშუალებულია შემეცნებითი ფაქტორებით და გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა. რაც უფრო ამაღლებულია გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობა, მით უფრო სრულყოფილია ფსიქიკური პროცესები. სწორედ ამიტომაა ფსიქიკური პროცესების დონეები სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა.
- **ინტუიცია** (< ლათ. intuitio ჭვრეტა < intueor დაჟინებით ვუყურებ) – 1. მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო, სტიქიური გრძნო-

ბა, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალღო. 2. აზროვნებითი პროცესი, რომელიც მდგომარეობს სინამდვილის უშუალო წვდომაში, ამოცანის ამოხსნის პრაქტიკულად მომენტალურ მონახვაში, ლოგიკური კავშირების არასაკმარისი გაცნობიერებისას. ინტუიცია ემყარება ქვეცნობიერს, წარმოსახვას, ემპათიას, გონების გამჭრიახობას, ალღოს. ინტუიციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისათვის, როცა აუცილებელია ახალი ცოდნის აღმოჩენა ან ადრე შეძენილის გამოყენება რეალობის გარდაქმნის ან სრულყოფის მიზნით. პრობლემის გადაჭრის პროცესში ადამიანის ინტელექტი და მისი ინტუიცია ერთიანობას ქმნიან. ისე, რომ, ინტუიციურისა და ლოგიკურის ურთიერთდაპირისპირება მთლად კორექტული ვერ არის. ინტუიცია ადამიანის გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობის ხარისხითაა განპირობებული, იგი ამ ჰარმონიულობაში აღმოცენდება. რაც უფრო ურთიერთჰარმონიულია ადამიანის გული და გონება, მით უფრო განვითარებულია მისი ინტუიცია.

მაშასადამე, **ინტუიცია** არის ადამიანის ქვეცნობიერი უნარი, რომელსაც წარმოქმნის მისი გულისა და გონების ჰარმონიულობა. ამიტომაა ურთიერთკავშირში ადამიანის ფსიქიკა და ინტუიცია.

როგორც ვიცით, შემეცნების სახეებია: გრძნობითი, რაციონალური და ინტუიციური.

გრძნობითი შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის დიდი სამყარო – გული; და, თუ დიდი სამყარო თანხმობაშია მცირე სამყაროსთან, მაშინ გრძნობითი შემეცნების სამივე ეტაპობრივი ფორმა: შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა სრულიად ბუნებრივ და ფრიად აღზევებულ პირობებში მიმდინარეობს. საერთოდაც, დიდ სამყაროში წარმოქმნილ გრძნობებსა და ემოციებს მცირე სამყაროს კონტროლი სჭირდება.

რაციონალური შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის მცირე სამყარო – გონება; და, თუ მცირე სამყარო თანხმობაშია დიდ სამყაროსთან, მაშინ რაციონალური შემეცნების სამივე ფორმა: ცნება, მსჯელობა და დასკვნა სრულიად ბუნებრივად და ფრიად ამაღლებულად ვითარდება. საერთოდაც, მცირე სამყაროში წარმოქმნილ მტკიცებებსა და არგუმენტირებებს გრძნობები და ემოციები სულიერებას მატებს და შემეცნების პროცესი ფრიად აღზევებულად მიმდინარეობს.

ინტუიციური შემეცნების პროცესში მიიღწევა წვდომა რეალობის ისეთ შინაარსში, რომელიც ადამიანურ გამოცდილებაში მოცემული არ არის. ასეთებია: აბსოლუტური, უსასრულო, მარადიული, ღვთაებრივი და სხვ. ე. ი. ინტუიციური შემეცნება იდეებში წვდომას გულისხმობს, და სამყაროს იდეალური შემეცნება გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ცნებითი, თუმცა, ძნელადაა გამოხატულებადი. იდეალური ცოდნისა და მისი გამოხატულების ფორმებია: პოეზია, ხელოვნება, რელიგია, მეცნიერების სილამაზე და მშვენიერება.

ინტუიციური შემეცნების პროცესში თანაბრადდომინანტურია ადა-

მიანის ორივე სამყარო – დიდი და მცირე. ამ სამყაროთა თანაკვეთაში მათი ჰარმონიულობის რანგი ღვთაებრივ სიმაღლეს აღწევს.

ეს ყოველივე – ძალიან კარგი, მაგრამ ყურადღების მიღმა დაგვრჩა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ, რაც ღვთაებრივი სიდიადით დომინირებს ყველა სამყაროულ მოვლენასა და საგანში, ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მის არსებაში. ეს – **ოქროს კვეთა** გახლავთ.

ხეოპსის პირამიდის, ტაძრების, ბარელიეფების, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ტუტანჰამონის სამაროვნიდან მოპოვებული სამკაულების პროპორციები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტელები სარგებლობდნენ ოქროს კვეთით. ოქროს კვეთის სიდიადე აზევებს კაცობრიობის მიერ მთელი მისი არსებობის მანძილზე შექმნილ შედევრებს.

მეტ კონკრეტულობაში დაინტერესებული მკითხველისათვის აღვნიშნავთ, რომ ოქროს კვეთა მათემატიკური ტერმინია. ამბობენ, რომ (ნახ. 1) C წერტილი AB მონაკვეთს ოქროს კვეთის პროპორციით ყოფს, ან, სხვა სიტყვებით, AB მონაკვეთის ოქროს კვეთას ახდენს, თუ

ნახ.1

$$AC : AB = BC : AC.$$

ამგვარად, ოქროს კვეთა არის მონაკვეთის ისეთი გაყოფა ორ ნაწილად, სადაც მონაკვეთის მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი შეეფარდება მთელ მონაკვეთს. გეომეტრიაში ოქროს კვეთას საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფასაც უწოდებენ.

ეს – რაოდენობრივ ჭრილში, მათემატიკაში. მაგრამ იგი იმდენად მშვენიერებამოსილი აღმოჩნდა, რომ გამოვიდა მათემატიკიდან და მთელი თავისი სიდიადით გადავიდა როგორც ვიზუალური, ისე აუდიალური და აბსტრაქტული აღქმის ხარისხობრივ სფეროში: აღმოჩნდა, რომ, თუ მთელის ნაწილების თანაფარდობა ოქროს კვეთას უახლოვდება, მაშინ საოცრად აღზევებული მშვენიერება ისადგურებს შემეცნებით პროცესებში.

ოქროს კვეთა პირველად ევკლიდეს „საწყისებში“ გვხვდება. ევკლიდე მას იყენებს ხუთკუთხედისა და ათკუთხედის აგებისას. მაგრამ უდავოა, რომ ოქროს კვეთას იცნობდნენ პითაგორელები. ევკლიდეს შემდეგ ოქროს კვეთას იკვლევდნენ ჰიფსიკლე და პაპე ალექსანდრიელი.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში გაძლიერდა ინტერესი ოქროს კვეთისადმი. მისი გამოყენება ინტენსიური გახდა როგორც გეომეტრიაში, ისე ხელოვნებაში, განსაკუთრებით არქიტექტურაში. ლუკა პაჩოლიმ (პაჩიოლომ) მას ტრაქტატი მიუძღვნა და **„ღვთაებრივი პროპორცია“** უწოდა. ტერმინი **„ოქროს კვეთა“** ლეონარდო და ვინჩიმ შემოიღო. ოქროს კვეთა შეიჭრა ფერწერაში, მუსიკაში, პოეზიაში და დაიმკვიდრა საოცრად აღზევებული მდგომარეობა.

ოქროს კვეთა აბსოლუტური ღვთაებრივი ჰარმონიაა.

სწორედ ეს ღვთაებრივი ჰარმონია აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანის დიდ და მცირე სამყაროებს. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, ადამიანის დიდი სამყარო, მცირე სამყარო და ინტუიცია წყვილ-წყვილად ოქროს კვეთის პროპორციაში იმყოფებიან. როგორც კი ეს ჰარმონია ირღვევა, ადამიანი უკვე ვერ აზროვნებს სწორად, ვერც გული კარნახობს სასიკეთოს. მათ ჰარმონიულობაში კი ფრთებს ისხამს სინერგია – ადამიანური და ღვთაებრივი ნების გაერთიანება, რომლის დროსაც ჭეშმარიტი სიბრძნის მადლი ზევდება და სწავლებაც ღვთაებრივ დონეზე მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გენიალურად თქვა შოთა რუსთაველმა:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

რუსთაველმა, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან განაცალკევა გული, ცნობა და გონება. მაგრამ დიალექტიკურ ერთმთლიანობაში მოაქცია სამივე და ამ განცალკევებაში ცნობა შუალედურია, იგი იბადება გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობაში. მე მგონი, „ცნობა“-ში რუსთაველი სწორად ინტუიციას გულისხმობს.

ამაში ცხადად ჩანს რუსთაველის ფრიად ამაღლებული პედაგოგიური ალღო.

ეს – მეთორმეტე საუკუნის სწორუპოვარი მოღვაწის უდავო გენიალურობაა.

ჩვენ კი მეოცე საუკუნის პედაგოგიკაში უგულებელვყავით გული, უარვყავით იგი და სულიერებისგან დაცლილ გონებრივ აღზრდას მივანიჭეთ დომინანტობა. მოსწავლეს რომ გაკვეთილზე გაეცინა, მასწავლებელი მას გაკვეთილიდან გააგდებდა, რას ხედავ სასაცილოსო, ეტყოდა. სწავლებაში სრულიად განვერიდეთ გრძნობებს, განცდებს, ემოციებსა და იუმორს.

დღეს, თითქოს დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, არასწორად, ცალკე, იზოლირებულად, „ემოციური აღზრდის“ სახით. ცალკე გამოვყავით იგი აღზრდის დიდაქტიკურ პრინციპებში.

ეს საკითხი, ვგონებ, იმსახურებს ყურადღებას!

Jemal Jinjikhadze

THINKING AND EMOTIONS

Summary

Logic operations belong to the structure of thinking, but thinking is not always the process where only the logics and mind participate. In the process of thinking emotions often incorporate and change them, sometimes even fundamentally. Emotional thinking is more oriented to the desired outcome and not on objective reality, but often emotions give way to thinking and thinking becomes more purposeful, flexible, clear, delightful, and exalted. In the process of thinking emotions are clearly expressed, when you are looking for the ways of problem solving and finding the desired results. Sense-emotions are the inner aspect of thinking, thinking itself generates it and exists and accompanies every stage of development of thinking process. There are no sense-emotions without thinking and vice versa, there is no way of thinking without emotions. More precisely, sense-emotions are in thinking, its essence of real subjectivity-objectivity. In this regard the following concepts are studied and analyzed in the given paper: the inner human world, heart, brain and intuition.

ბიობიბლიოგრაფია
BIOBIBLIOGRAPHY

Отар Жордания

ГЕНЕРАЛ-ЛЕЙТЕНАНТЫ КАВКАЗСКОГО ВОЕННОГО ОКРУГА 1901- 1917 ГГ.

В работе предпринята попытка представить читателю имена тех генерал-лейтенантов Русской Императорской армии, которые служили в Кавказском военном округе в 1901-1917 (март) гг. Как известно, чин «генерал-лейтенант» в «Табели о рангах» по состоянию на 1917 год принадлежал к III классу. По гражданскому ведомству ему соответствовал чин «тайного советника». Генерал-лейтенанты, занимали, как видно из сказанного, высокое положение на иерархической ступени государства, оказывая прямо или косвенно свое влияние не только на военную, но и на общественную жизнь страны. О генерал-лейтенантах Русской Императорской армии написано не мало. После распада Советского Союза интерес к военной истории страны значительно возрос. В этом отношении заметных успехов достигла русская историческая наука. На основании новых документальных материалов были опубликованы многочисленные специальные работы по военной истории Российского государства, в которых даны объективные оценки не только военным успехам Русской Императорской армии, но и вскрыты причины тяжелых поражений страны в годы Русско-Японской (1904-1905), Первой мировой (1914-19188). войн и. т. д. Проведена большая работа по составлению биобиблиографических словарей военных деятелей страны. Появились интересные работы об образовательном цензе офицеров и генералов Русской Императорской армии. Одним словом, наблюдение за ходом развития военной историографии объективно показывает, что в недалеком будущем на очередь дня станет вопрос о необходимости подготовки обобщающей работы по истории дореволюционной военной интеллигенции Российской империи. В этом отношении предстоит проделать большую работу по изучению как биографических данных, так и творческого наследия представителей офицерского корпуса и. т. д.

В работе мы стремились более или менее полно осветить биографии генерал-лейтенантов Кавказского военного округа, показать их общий образовательный ценз, исправить и дополнить

сведения о их военной деятельности, обозначить роль Кавказской армии в формировании будущих полных генералов, т.е. генералов от инфантерии, кавалерии, артиллерии и инженер-генералов и. т. д.

Работа написана на основании данных «Списков» генералам по старшинству за 1901-1914 (СПб.), 1916 (Пгр.), «Списка генералам и штаб-офицерам Кавказского военного округа» за 1900 – 1911 (Тфл), других литературных источников.

АБАЦИЕВ ДМИТРИЙ КОНСТАНТИНОВИЧ (3.12.1857 – 4.06.1936). Георгиевский кавалер. Воспитывался дома, окончил Виленское пехотное юнкерское училище. На службе с 9.11. 1876. Участник Русско- Турецкой войны 1877-1878, награжден чином прапорщика – 25.02.1878, за отличия в военных экспедициях 1879-1881 (ранен в бою) удостоен орденов Св. Анны 4 ст. (1880) и 3 ст. с мечами и бантом, Св. Станислава 3 ст. (1881), Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом, золотой шашкой и чином подпоручика (1882), хорунжий – 21.11.1883, корнет гвардии – 6.05.1884, за отличия по службе получил чины поручика – 1.01.1885, подъесаула – 14.05.1895 и есаула – 1.01.1901. Полковник – 6. 04.1903. Участник Русско – Японской войны 1904 – 1905, награжден орденом Св. Владимира 3 ст. с мечами (1904), мечами к ордену Св. Анны 2 ст. и чином генерал-майора – 28.03.1906. За отличие по службе генерал- лейтенант – 9.10.1912.

До июля 1906 службу проходил вне Кавказского военного округа. Прикомандирован к штабу Кавказского военного округа – 9.07.1906 – 6.01.1907, командовал 2 бригадой 1 Кавказской казачьей дивизии – 6.01. 1907 – 9.10.1912. Начальник 2 Кавказской казачьей дивизии – 9.10.1912. В 1-й мировой войне командир 6 Кавказского армейского корпуса – 14.06.1916. За выдающееся боевое отличие в бою при Битлисе награжден орденом Св. Георгия 4 ст. (1916).

За другие военно-служебные заслуги награжден орденами Св. Станислава 2 ст. (1894) и 1 ст. (1909), Св. Анны 2 ст. (1902) и 1 ст. (1912).

Кавалер многих иностранных знаков отличия: болгарского – Св. Александра 3 ст., бухарского – Благородной Бухары 2 ст., персидского – Льва и Солнца (1896), румынского – Железного креста (все в 1896), прусского – Красного Орла 4 ст. , Сиамской Короны 3 ст. (1897), французского – кавалерийского креста Почетного легиона (1902), греческого – Спасителя 4 ст. (1902), болгарского – За храбрость 4 ст. (1903).

Spisok, 1907. Tfl. 1907: 26; Spisok gen., 1910. SPb.: 565; Spisok, 1911. Tfl.: 16; Spisok gen., 1914. SPb.: 335; Spisok gen., 1916. SPb: 35.

АГАПЕЕВ НИКОЛАЙ ЕРЕМЕЕВИЧ (6. 05.1849 – ?). Воспитывался в 1 кадетском корпусе и 2 военном Константиновском училище. На службе с 26.08.1865. Произведен в подпоручики – 17.07.1867, прапорщик гвардии – 10.08.1868, подпоручик гвардии – 30.08.1872, поручик гвардии – 30.08.1875. Участник Русско – Турецкой войны 1877-1878, штабс-капитан – 30.08.1877, награжден боевыми орденами Св. Анны 3 ст. с мечами и бантом, Св. Станислава 2 ст. с мечами, Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом, Св. Анны 2 ст. с мечами (1878). Капитан, переименован в подполковники – 12.04.1881. За отличия по службе награжден чинами полковника – 30.08.1887, генерал- майора – 6.12.1897, генерал – лейтенанта – 6.12.1904.

До февраля 1904 службу проходил вне Кавказского военного округа.: занимал должности окружного интенданта Финляндского (1889 – 1899) и Виленского (1898 – 1904) военных округов. Окружной интендант Кавказского военного округа – с 28.02.1904.

За другие военно-служебные заслуги награжден орденами Св. Станислава 3 ст. (1873) и 1 ст. (1899), Св. Анны 1 ст. (1903), Св. Владимира 3 ст. (1890) и 2 ст. (1906) и Белого Орла (1910).

Генерал от инфантерии – 7.05.1912.

Spisok, 1905. Tfl.: 9; Spisok, 1910. Tfl.: 4; Spisok gen., 1912. SPb.: 156.

АЛИХАН- АВАРСКИЙ А. М. см.: АЛИХАНОВ МАКСУД

АЛИХАНОВ- АВАРСКИЙ А. М. см.: АЛИХАНОВ МАКСУД

АЛИХАНОВ МАКСУД (МАКСУД-БЕК, АЛЕКСАНДР МИХАЙЛОВИЧ) (23.11.1846 – 3.07.1907). Георгиевский кавалер. Воспитывался в Тифлисской дворянской гимназии и Константиновском военном училище. Произведен в корнеты – 23.05.1864, поручик – 1.02.1868, штабс-ротмистр – 11.02.1869, участник военных экспедиций 1871 (награжден чином ротмистра – 1.09.1871, орденом Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом (1872), 1873 и 1875 (ранен в бою), награжден чином майора – 8.11.1873. Участник Русско-Турецкой войны 1877-1878 (награжден Знаком отличия военного ордена Св. Георгия 4 ст. (1877), разжалован в рядовые – 30.07.1877), с лишением воинского звания и орденов. В последующие годы неоднократно отличился в военных экспедициях 1879, 1883 – 1885 1900 -1901 годов. Прапорщик – 24.08.1880, поручик – 27.07.1882, штабс-ротмистр – 13.07.1883, возвращен чин майора – 23.02.1884, награжден орденами Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом, Св. Станислава 2 ст. с мечами (1884), подполковник – 6.05.1884. За выдающееся боевое отличие удостоен ордена Св. Георгия 4 ст. (1885). Полковник – 6.10.1898.

За боевое отличие в годы Китайского похода произведен в генерал-майоры – 14.10.1901. Генерал-лейтенант – 22.04.1907.

В 1873-1875 чиновник особых поручений при главнокомандующем Кавказской армии, начальник Мервского округа – 1884-1890, состоял при войсках Кавказского военного округа – с 16.06.1890. В 1905 назначен военным губернатором Кутаисской губернии, командир 2 Кавказского казачьего дивизиона – с 22.04.1907.

В годы первой буржуазно-демократической революции 1905-1907 в России с особенной жестокостью расправлялся с участниками революционных выступлений в Грузии. Погиб при нападении боевиков.

За другие военно-служебные заслуги награжден орденами Св. Анны 2 ст. (1888) и 1 ст. (1906), Св. Владимира 3 ст. (1899), Св. Станислава 1 ст. (1904).

Кавалер иностранных орденов: персидского – Льва и Солнца 3 ст. (1884), 2 ст. (1900) и 1 ст. (1902), бухарского – Благородной Бухары золотого 2 ст. (1895).

Автор мемуаров.

Spisok gen. 1905 (may). SPb.: 984; Spisok gen., 1905 (sen.). SPb.: 972. Ср.: Spisok, 1905. Tfl.:22; Spisok, 1907. Tfl.: 14.

АМИРАДЖИБОВ МИХАИЛ КАЙХОСРОВИЧ (КАЙХОРОВИЧ) (1. 09.1833- 27.11.1903), князь. Георгиевский кавалер. Воспитывался в частном учебном заведении. На службе с 19.07.1851. Участник Крымской войны 1853 – 1856: за боевое отличие произведен в прапорщики – 2.11.1853, подпоручик – 17.09.1855, участник завершающего этапа (1857-1864) военных действий Кавказской войны (1817-1864), за боевое отличие произведен в поручики – 1.02.1860 и награжден орденом Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом (1860), штабс- капитан – 21.08.1863, капитан (за боевое отличие) – 21.05.1864, штабс-капитан гвардии – 8.11.1866, капитан гвардии – 20.04.1869, полковник гвардии – 30.08.1871. За выдающееся боевое отличие награжден орденом Св. Георгия 4 ст. и произведен в генерал-майоры – 1877 (старшинство в чине с 7.11.1879). В 1878 получил орден Св. Георгия 3 ст., в 1879 – орден Св. Станислава 1 ст. с мечами. Генерал-лейтенант – 30.08.1893.

21.07. 1893 назначен начальником 39 пехотной дивизии, командир 1 Кавказского армейского корпуса – с 22.03.1899.

За другие военно-служебные заслуги награжден орденами: Св. Станислава 2 ст. (1871), императорской короной к ордену Св. Станислава 2 ст. (1873), Св. Анны 1 ст. (1885), Св. Владимира 2 ст. (1888), Белого Орла (1895), Св. Александра Невского (1901), Знаком за 40 лет безупречной службы в офицерских чинах (1898).

Кавалер ордена прусской Короны 2 ст. со звездою и др.

Spisok, 1894. Tfl.: 20; Spisok, 1899. Tfl.:10; Spisok gen., 1902 (cen.). SPb.:196.

АФАНАСЬЕВ ВЛАДИМИР ДМИТРИЕВИЧ (1.02.1853 – ?). Воспитывался в Николаевском реальном училище, 2 военном Константиновском и Михайловском артиллерийском училищах. Окончил Михайловскую артиллерийскую Академию по 1 разряду. На службе с 30. 08.1871: подпоручик – 7.08.1874, поручик – 25.10.1875, штабс-капитан – 26.12.1877, штабс-капитан гвардии – 3.10.1884, капитан – 5.04.1892, полковник – 2.04.1895, за отличия по службе награжден чинами генерал-майора – 14.10.1903 и генерал – лейтенанта – 14.10.1907.

С 3. 03. 1904 командовал 20 артиллерийской бригадой, и. д. начальника артиллерии 2 Кавказского армейского корпуса – с 4. 05. 1907, начальник артиллерии 2 Кавказского армейского корпуса – с 6.12.1907 и Кавказского военного округа – с 21.03.1908.

За военно-служебные заслуги награжден орденами Св. Станислава 3 ст. (1880), 2 ст. (1888) и 1 ст. (1906), Св. Анны 3 ст. (1885), 2 ст. (1892) и 1 ст. 1911), Св. Владимира 4 ст. (1896) и 3 ст. (1899)

Кавалер итальянского командорского креста Св. Маврикия и Лазария (1903).

Spisok, 1908. Tfl: 365; Spisok, 1910. Tfl.: 9; Spisok gen., 1910. SPb.: 283; Spisok, 1911. Tfl.: 9; Spisok gen., 1914. SPb.: 209; Spisok gen., 1916. SPb: 25.

БАРАТОВ НИКОЛАЙ НИКОЛАЕВИЧ (10.02.1865 – 22.03.1932). Воспитывался в реальном училище, 2 военном Константиновском, Николаевском инженерном училищах. Окончил Николаевскую Академию Генерального штаба по 1 разряду. На службе с 1.09.1882: произведен в хорунжие – 7.08.1885, сотник – 31.12.1885, подъесаул – 8.10.1887, награжден чином есаула, переименован в капитаны – 22.05.1891, подполковник – 24.03.1896, полковник – 7.08.1900, получил орден Св. Анны 2 ст. (1904). Участник Русско-Японской войны 1904-1905: награжден мечами к ордену Св. Анны 2 ст. (1906). Произведен в генерал-майоры – 18.05.1906 и удостоен орденом Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом и золотым оружием с надписью «За храбрость» (1906). Генерал-лейтенант – 26.11.1912, одновременно пожалован орденом Св. Станислава 1 ст. (1912).

Обер-офицер для поручений при главнокомандующем войсками Кавказского военного округа – 28.04.1882, сотрудник Ставропольского казачьего юнкерского училища – с 18.07.1895. Командир 1 Сунженско-Владикавказского полка Терского казачьего войска – с 29.03.1901,

начальник штаба 2 Кавказского армейского корпуса – с 1.07.1907 Начальник 1 Кавказской казачьей дивизии – с 26.11.1912. В 1-й мировой войне командир Кавказского кавалерийского корпуса – 28.04.1916.

За другие военно-служебные заслуги награжден орденами Св. Станислава 3 ст. (1893) и 2 ст. (1899), Св. Анны 3 ст. (1895), Св. Владимира 3 ст. (1909) и др.

Кавалер иностранных орденов: бухарского – Благородной Бухары золотой 3 ст. (1896), персидского – Льва и Солнца 2 ст. (1904).

Spisok, 1907. Tfl.: 29; Spisok gen., 1910. SPb.: 587; Spisok gen., 1913 SPb.: 323; Spisok gen., 1914. SPb. : 337; Spisok gen., 1916. SPb.: 35.

БАБЫЧ МИХАИЛ ПАВЛОВИЧ. См.: БАБИЧ МИХАИЛ ПАВЛОВИЧ

БАРЯТИНСКИЙ АЛЕКСАНДР АНАТОЛЬЕВИЧ (14.08.1846 – ?). Воспитывался в 7 Петербургской гимназии. На службе с 29.111.1866: прапорщик – 29.11.1866, подпоручик – 20.04.1869. Участник военных экспедиций 1870, 1875 и Русско-Турецкой войны 1877 – 1878, контужен и ранен в бою, поручик – 28.03.1871, награжден орденом Св. Станислава 3 ст. (1871), штабс-капитан – 8.04.1873, капитан, с переименованием в подполковники – 13.10.1875, за боевое отличие награжден золотым оружием и чином полковника – 11.06.1877, удостоен ордена Св. Владимира 4 ст. с мечами и бантом (1878). Генерал-майор – 19.08.1890, генерал-лейтенант – 6.12.1899.

Занимал командные и административные должности: командир 14 гренадерского Грузинского Е.И.В. Великого князя Константина Николаевича полка – с 29.01.1879, начальник Кавказской туземной стрелковой бригады – 19.08.1890 – 4.02.1895, помощник Кутаисского военного губернатора – с 4.02.1895, военный губернатор Дагестанской области – с 10.04.1896. С 9 10.1901 состоял при войсках Кавказского военного округа.

За другие военно-служебные заслуги награжден орденами Св. Анны 3 ст. (1874), Св. Станислава 2 ст. (1884), Св. Анны 2 ст. (1889), Св. Владимира 3 ст. (1893), Св. Станислава 1 ст. (1895).

Кавалер иностранных орденов: Прусской короны 3 ст. (1871), Вильгельма Фридриха 1 кл. (1872), персидского – Льва и Солнца 2 ст. (1879) и 1 ст. (1896), бухарского – Благородной Бухары 1 ст. (1898).

Spisok, 1879. Tfl.: 149; Spisok, 1891. Tfl.: 59; Spisok, 1895. Tfl.: 32; Spisok, 1897. Tfl.: 24; Spisok gen., 1901. SPb.: 401; Spisok gen., 1902. SPb.: 362; Spisok, 1905. Tfl: 5; Spisok gen., 1906. SPb.: 200.

БАУЕР (БАУЭР) АЛЕКСАНДР ФЕДОРОВИЧ (21.01.1852 – ?).

